



უშიშარი მოსამართლეები, უსამართლო კანონები

ცამეტი ისტორია სამართლის გმირების შესახებ

ჰანს პეტერ გრავერი

გრავერის შთამაგონებელი ისტორიები უშიშარი მოსამართლეების შესახებ, დროული და ფასეულია, განსაკუთრებით – ავტორიტარიზმის აღზევების ეპოქაში. გრავერი, სასამართლო ხელისუფლების გამოჩენილი მკვლევარი, ჩინებულად წარმოაჩენს სამართლებრივი ჰეროიზმის იდეალებს ტერორის, ომებისა და რეპრესიების პერიოდში. ლამაზად და დამაჯერებლად დაწერილი ეს შესანიშნავი წიგნი სავალდებულო საკითხავი უნდა გახდეს არა მხოლოდ იურიდიული ეთიკის მიმართულების ნებისმიერი კურსის მსმენელისათვის, არამედ ღრმად მოაზროვნე მოქალაქეებისთვისაც, რომლებიც მუდამ ეძიებენ საინტერესო პროზას, სიცოცხლის სურვილსა და შთაგონებას რომ აღვიძებს.

ტერენს ჰალიდეი, ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია
და ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტი

როდის უნდა დაიცვას მოსამართლემ კანონი ძალაუფლებაში მყოფ პირთა თავდასხმებისგან? და როდის უნდა აიმაღლოს მოსამართლემ ხმა ბოროტი ან მჩაგვრელი კანონების წინააღმდეგ? „უშიშარი მოსამართლეები, უსამართლო კანონები: ცამეტი ისტორია სამართლის გმირების შესახებ“ – სწორედ რომ ამ ურთულეს გამოწვევებს ეხმიანება, სხვადასხვა საუკუნეში და კონტინენტზე მოღვაწე ისტორიული პიროვნებების მაგალითებზე დაყრდნობით. დღეს, როცა ავტორიტარული რეჟიმები საფრთხეს უქმნიან სასამართლო დამოუკიდებლობას მყიფე დემოკრატიებში, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომი აღვიძებს კრიტიკულ აზროვნებას, კეთილსინდისიერებასა და გამბედაობას.

მარტა მინოუ, ჰარვარდის სამართლის სკოლის
მე-300 საიუბილეო უნივერსიტეტის პროფესორი

ცნობილი ნორვეგიელი მკვლევრისა და იურისტის, ოსლოს უნივერსიტეტის იურიდიული სკოლის ყოფილი დეკანის ავტორობით შექმნილი ეს წიგნი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. პერსონაჟების ცხოვრებისეული ისტორიების თხრობისას, ავტორი, სხვა საკითხებთან ერთად, ისეთ თემებსაც აანალიზებს, როგორებიცაა: ადამიანის უფლებების დაპირისპირება კანონთან, მართლმსაჯულებისთვის, ბუნებითი სამართლისთვის და იურიდიული პოზიტივიზმისთვის ჭიდილში; კანონის მიმართ მინიმალური ეთიკური მოთხოვნები; განსხვავება სამართლებრივ ნორმასა და სამართლებრივ წესრიგს შორის; რამდენად კონსერვატიულია მოსამართლის ეთიკური ფასეულობები და ა.შ. ავტორი აღნიშნავს, რომ „ავტორიტარული მმართველები ერთმანეთის მაგალითებზე სწავლობენ და დამცინავად სარგებლობენ კანონებში არსებული ხარვეზებით, რომლებსაც დემოკრატიული და ლიბერალური სახელმწიფოები, ზოგჯერ, კეთილი მიზნებისთვის ტოვებენ. სწორედ ამიტომ, სამართლის უზენაესობაზე თავდასხმა არ უნდა დარჩეს უპასუხოდ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამგვარი მოვლენები ჩვენს მიწა-წყალზე ხდება“.

ჰანა ვრონსკა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე
უკრაინა

განსაკუთრებულად ყურადსაღებია ავტორის თვალსაზრისი იმ მორალური პრინციპების შესახებ, რომლებიც მოსამართლეს ბუნებრივად უნდა გააჩნდეს; ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა კანონების ზნეობასთან შესაბამისობაზე... მტკიცედ მწამს: მანტიის მორგებამდე, ყველა მოსამართლემ უნდა გააცნობიეროს, რომ დროდადრო, შესაძლოა, რთული არჩევანის წინაშე დადგეს – უპირატესობა მიანიჭოს სამართლიანობას, სამართლის უზენაესობას თუ, ვთქვათ – ხელი-სუფლების ან, თუნდაც საზოგადოების მოლოდინებს, რომლებიც, შესაძლოა, სულაც არ ერგებოდეს ზემოაღნიშნულ პრინციპებს.

ვალენტინა დანიშევსკა, უკრაინის უზენაესი სასამართლოს
მთავარი მოსამართლე 2017-2021 წლებში

უშიშარი მოსამართლეები, უსამართლო კანონები

ეს წიგნი სამართლის გმირებზე მოგვითხრობს. წიგნში აღწერილია ისტორიები, სადაც მოსამართლეებმა, ნაცვლად იმისა, რომ ბრმად მიჰყოლოდნენ კანონებს, გამოიჩინეს სიმამაცე, ზომიერება, სიბრძნე და სამართლიანობა. წიგნში შეხვედებით სამსჯელოდ გამოტანილ სადავო საკითხსაც იმის შესახებ, თუ რამდენად ეკისრება მორალური პასუხისმგებლობა მოსამართლეს – დაიცვას კანონის უზენაესობა, იმის მიუხედავად, თუ რა წერია რეალურად კანონში. ნაშრომში წარმოდგენილი ცამეტი ისტორია იმ მოსამართლეების შესახებ გვიამბობს, რომლებიც სხვადასხვა გარემოებაში დაუპირისპირდნენ ხელისუფლებას, საზოგადოებრივ აზრს და დაიცვეს სამართლის უზენაესობა. შესავალ თავში აღწერილია ორი ამბავი, როცა სავალალო შედეგები მოჰყვა კანონის აღმსრულებლების მხრიდან ხელისუფლებაში მყოფთა მოთხოვნების უპირობო შესრულებას. ცამეტ ისტორიას მოჰყვება ორი თეორიული თავი, სადაც განხილულია მოსამართლის მორალური პასუხისმგებლობის საკითხები. დასასრულს კი, წიგნი ეთიკის თეორიის იმ თავისებურებებს აანალიზებს, რომლებითაც უნდა ხელმძღვანელობდეს მოსამართლე შეფასებისა და არჩევანის გაკეთებისას, რათა საკუთარი მორალური პასუხისმგებლობა პირნათლად შეასრულოს. ითვლება, რომ კლასიკური ფასეულობები – სიმამაცე, ზომიერება, სიბრძნე და სამართლიანობა, იმ თვისებათა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომლებიც სამართლიანი გადაწყვეტილებისა და მსჯელობის საფუძველს წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, აღნიშნული წიგნის მიზანია ასაზრდოოს კულტურა და ტრადიცია, რომელიც აყალიბებს სამართლის უზენაესობის დამცველ იურისტებს. თუ კრიტიკულად გავაანალიზებთ, ჩვენი სამართლის ინსტიტუტების წარსული, მეტწილად არ იძლევა სიამაყის საფუძველს. ნაშრომი შეეცდება შეცვალოს აღნიშნული მოცემულობა, გამონაკლისი შემთხვევების გამომჟღავნებითა და რეფლექსირებით. წიგნი განსაკუთრებით საინტერესო საკითხავი იქნება სტუდენტებისთვის და მკვლევარებისთვის, რომლებიც იურისპრუდენციის, იურიდიული ეთიკისა და სამართლის ისტორიის დისციპლინებს ეუფლებიან.

ჰანს პეტერ გრავერი ნორვეგიის ქალაქ ოსლოს უნივერსიტეტის, კერძო სამართლის ფაკულტეტის სამართლის პროფესორია. არის პუბლიკაციების ავტორი სამართლის სოციოლოგიის, სამართლის თეორიისა და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით.

**უშიშარი
მოსამართლეები,
უსამართლო
კანონები**

ცამეტი ისტორია სამართლის გმირების შესახებ

ჰანს პეტერ გრავერი

**VALIANT JUDGES,
INIQUITOUS LAW**

Thirteen Stories of Heroes of the Law

Hans Petter Graver

დაკაბადონება, ყდის დიზაინი: ნატა ყიფიანი
ინგლისურიდან თარგმანი: ნატო ჯმუხაძე
ტექსტის რედაქტორი: მარიამ იაშვილი

ნიგნი გამოცემულია: ა(ა)იპ დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს და დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფის მიერ და ასევე, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაციის მიერ.

ნიგნი დაბეჭდილია სტამბაში: შპს „ფავორიტი სტილი“

© 2024 Hans Petter Graver

ჰანს პეტერ გრავერის უფლება, იყოს იდენტიფიცირებული როგორც ამ ნაშრომის ავტორი, ეფუძნება 1999 წლის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 5-ე და 6-ე მუხლებს.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია ნიგნის რომელიმე თავის გადაბეჭდვა, რეპროდუცირება ან გამოყენება ნებისმიერი ელექტრონული, მექანიკური ან სხვა საშუალებების მეშვეობით, რომლებიც უკვე არსებობს ან შემდგომში იქნება გამოგონილი, მათ შორის ფოტოკოპირება და ჩანაწერის შექმნა ინფორმაციის შემნახველი თუ მომპოვებელი სისტემების გამოყენებით, გამოცემლებისგან წერილობითი ნებართვის გარეშე.

სავაჭრო ნიშნები: რომელიმე პროდუქტის ან ორგანიზაციის სახელწოდება შესაძლოა იყოს სასაქონლო ნიშანი ან რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი და გამოიყენებოდეს მხოლოდ იდენტიფიცირებისა და განმარტების მიზნებისთვის, ამგვარი ნიშნისთვის რაიმე ზიანის მიყენების განზრახულობის გარეშე.

საქართველოს ბიბლიოთეკის კატალოგიზაციის მონაცემი

ნიგნის კატალოგის ჩანაწერი ხელმისაწვდომია საქართველოს ბიბლიოთეკაში

ISBN: 978-9941-8-7312-6

ნიგნი გამოცემულია USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ნიგნში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს შეხედულებებს.



სარჩევი

წინასიტყვაობა	9
შესავალი	11
1 რას ნიშნავს იყო გმირი	21
2 მანდრუპ პედერსენ შონენბული	59
3 ჯეიმს ედვინ ჰორტონი	79
4 ლოთარ კრეისიგი	91
5 ნორვეგიის უზენაესი სასამართლო	105
6 ჰანს ლენგლანდი	121
7 ჰანს გეორგ კალმაიერი	135
8 ანდრეას სერვინი	149
9 ეგილ რაიხბორნ-კიენერუდი	163

10	ჰერბერტ ჯეი სტერნი	177
11	აჰარონ ბარაკი	195
12	აირის იასმინ ბარიოსი	213
13	მალგორჟატა გერსდორფი	229
14	დეიდა გილუადიდან	245
15	განსჯა კანონის საწინააღმდეგოდ?	259
16	როგორია ღირსეული მოსამართლე?	289

წინასიტყვაობა

ეს წიგნი შედეგია მრავალწლიანი კვლევების, რომელთა ფოკუსს სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სასამართლოს შორის არსებული ურთიერთობა წარმოადგენს, განსაკუთრებით კი ისეთ ქვეყნებში, სადაც დემოკრატია და სამართლის უზენაესობა არასახარბიელო მდგომარეობაშია. წიგნის პირველი ვერსია 2020 წელს გამოქვეყნდა ნორვეგიულ ენაზე, ნაშრომი სლოვაკურ ენაზე გამოიცა 2021 წელს, ხოლო უკრაინულზე კი – 2022 წელს. ინგლისურენოვან გამოცემას დაემატა კიდევ ერთი ისტორია და თითქმის მთლიანად დარედაქტირდა თეორიული დისკუსიის ნაწილები 1-ელ, მე-15 და მე-16 თავებში, რათა უფრო აქტუალური გაგვეხადა საერთაშორისო აუდიტორიისთვის.

ნორვეგიულ ენაზე წიგნის გამოქვეყნების შემდეგ შევხვდი არაერთ მოსამართლესა და სხვა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს იმ პრობლემებზე სასაუბროდ, რასაც მოსამართლეები აწყდებიან არასამართლიან კანონებთან ან მზაკვარ მმართველებთან შეხებისას. ჩემს წიგნში გახშიანებულ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ვისაუბრე ნორვეგიის ადვოკატთა ასოციაციის მიერ მთელი ნორვეგიის მასშტაბით გამართულ ათზე მეტ შეხვედრაზეც. მადლობას ვუხდით როგორც შეხვედრის ორგანიზატორებს, ისე თითოეულ მონაწილეს: საინტერესო შენიშვნები და შთამაგონებელი დისკუსიები მნიშვნელოვნად დამეხმარა წიგნის სრულყოფაში.

მსურს ასევე მადლობა გადავუხადო მწერალს, დოქტორ ალან უინტერს შესანიშნავი დისკუსიისთვის ნაცისტური გერმანიის სასამართლო სისტემის შესახებ და ჩემი ინგლისურის გაუმჯობესებაში განეული დახმარებისთვის.

ჰანს პეტერ გრავერი, ოსლო

შესავალი

ეს არის ნიგნი უშიშარი მოსამართლეების შესახებ, რომლებიც დაუპირისპირდნენ იმ უსამართლო კანონებს, ხელისუფლებებსა და საზოგადოებებს, სისტემატურად რომ უთხრიან ძირს, ან თავს ესხმიან სამართლის უზენაესობას. ეს არის ნიგნი შორეულ ჩრდილოეთში, ნორვეგიაში პოლარულ წრესთან მდებარე, ფინმარკის საგრაფოს ჩრდილოეთ რაიონში მცხოვრები მოსამართლის შესახებ, ვინც წერტილი დაუსვა კუდიანების სასამართლო პროცესებს მეთექვსმეტე საუკუნეში; სამხრეთელი მოსამართლის შესახებ აშშ-ის ალაბამას შტატიდან, რომელმაც 1930-იან წლებში ცხრა შავკანიანი ბიჭუნა და მამაკაცი ელექტრო სკამისგან იხსნა; და მამაცი გვატემალელი მოსამართლის შესახებ, რომელიც ცდილობს სამხედრო მალაჩინოსნები პასუხისგებაში მისცეს სამხედრო დიქტატურის დროს ჩადენილი ძალადობისთვის და ა.შ. მთლიანობაში სულ ცამეტ სხვადასხვა ისტორიას გაეცნობით.

ამალია ამაია აღნიშნავს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში მოსამართლეების სახელები და ბიოგრაფიები პრაქტიკულად არაა მოხსენიებული.¹ იურიდიული დოქტრინა და იურიდიული თეორია სავსეა პრინციპებითა და წესებით, თუმცა ფაქტობრივად არასდროს ინტერესდება იმ პირთა ვინაობებით, ვინც ამ დოქტრინებს ან თეორიებს ქმნიან და პრაქტიკაში ნერგავენ. აკადემიური კვლევების მიმართულებით, არსებობს ერთი კონკრეტული სფერო, რომელიც მოსამართლეთა ბიოგრაფიების შესწავლითაა დაკავებული.² კვლევების გარკვეული ნაწილი კი პირდაპირ გაიგივებულია გამორჩეულ პირთა ან გმირების შემსწავლელ სემინტთან.³ ხშირად, ესაა კვლევები ისეთი მოსამართლეების შესახებ, რომლებმაც

1 Amalia Amaya, “Exemplarism and Judicial Virtue,” *Law & Literature* 25:3 (2013), 428–445, doi:10.1525/lal.2013.25.3.428, ბოლოს ნანახია 2023 წლის 07 თებერვალს.

2 საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ბიოგრაფიების შესახებ ლიტერატურის გასაცნობად, იხილეთ Victoria Barnes and Emily Whewell, “Judicial Biography in the British Empire,” *Indiana Journal of Global Legal Studies* 28:1 (2021), 1–28, notes 1–8.

3 იხილეთ, მაგალითად, Norman Gross (ed.), *Noble Purposes Nine Champions of the Rule of Law* (Athens, OH: Ohio University Press, 2007).

პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიღებით, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ლიბერალური ან სოციალური უფლებების განვითარებაზე დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ანუ ეს სექტორი მხოლოდ გამოჩენილი, სახელგანთქმული, ყველასთვის პატივსაცემი და საოცარი მოსამართლეების შესახებ ცნობების შეგროვებითაა დაკავებული. ეს წიგნი, ამ თვალსაზრისით, განსხვავებულია. მასში აღწერილ მოსამართლეებს აღიღებენ არა მათი ისტორიული გადაწყვეტილებების გამო, არამედ მათი სიმამაცისთვის, სამართლის უზენაესობის დასაცავად მართოდმართო ბრძოლისთვის, როდესაც ამ უკანასკნელს თავს ესხმოდნენ კონკრეტული ქვეყნის მმართველები ან გავლენიანი საზოგადოებრივი ძალები. ასეთი მოსამართლეების უმეტესობა არ არის სახელგანთქმული ან აღიარებული ფართო წრეებში. ეს წიგნი იმ თვალსაზრისითაც განსხვავდება, რომ მასში ადამიანების პორტრეტები ერთმნიშვნელოვნად სამართლისა და მორალური თეორიების კონკრეტული ასპექტების ხაზგასასმელადაა აღწერილი. აღნიშნული პორტრეტები უფრო მეტად ცალკეულ ისტორიებს გვიყვებიან, ვიდრე ბიოგრაფიებს. ამიტომ, წიგნის თითოეული თავი კონკრეტული მოსამართლის შესახებ, უფრო მეტად „ცხოვრებისეული მონათხრობია“, ვიდრე მოსამართლის ბიოგრაფია.⁴

რასაკვირველია, წიგნისთვის გმირების შერჩევა, სუბიექტური გადაწყვეტილებაა, ამიტომ ავტორს ყოველთვის შეუძლია განსხვავებული გმირები ამოარჩიოს. ჩემი არჩევანი კი იმაზე მეტყველებს, რომ მე ვარ ჩრდილოეთ ევროპის სკანდინავიური ქვეყნიდან და ჩემი კვლევის უმთავრეს ფოკუსს ევროპისა და დასავლეთის ქვეყნების სამართლებრივი ტრადიციები წარმოადგენს. შესაბამისად, აზიისა და აფრიკის საკითხებში კარგად გათვითცნობიერებულმა ადამიანებმა, შესაძლოა ჩათვალონ, რომ ცხადი მაგალითები წიგნში აღწერილი არ არის.

ზემოთქმულის გადასამოწმებლად სავარაუდო კანდიდატად გამოდგება პაკისტანის მთავარი მოსამართლე იფტიხარ მუჰამედ ჩაუდრი. როგორც ცნობილია, 2005 წელს, მთავარ მოსამართლედ დანიშვნის შემდეგ, იგი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული და ამბი-

4 იხილეთ David Sugarman. “From Legal Biography to Legal Life Writing: Broadening Conceptions of Legal History and Socio-legal Scholarship,” *Journal of Law and Society* 42:11 (2015), 7–33.

ციური სამართალწარმოების პროგრამის განხორციელებას შეუდგა.⁵ მან ბრძოლა გამოუცხადა დაბალი დონის კორუფციას სამშენებლო უსაფრთხოებისა და ურბანული დაგეგმარების საქმეებში, მაღალი დონის კორუფციას პრივატიზაციისა და ფასების კონტროლის საქმეებში, დაუპირისპირდა უშიშროების სამსახურებს უკანონო დაკავებების საქმეებში და ქვეყნის პრეზიდენტსაც კი – საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით. შედეგად, ის დააპატიმრეს და თანამდებობიდან მოხსნეს. იფტიხარ მუჰამედ ჩაუდრის თანამდებობაზე აღდგენა შესაძლებელი გახდა ადვოკატთა ასოციაციისა და საზოგადოებრივი მედიის მიერ წარმოებული ერთნაირი საპროტესტო კამპანიის შედეგად. მოსამართლეთა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა მიმდინარეობს აფრიკის არაერთ ქვეყანაშიც, რაც სამომავლოდ, შესაძლოა, მოსამართლეების გმირობის მიზეზი გახდეს. სამწუხაროდ, ამ მოვლენების ამსახველი ყოვლისმომცველი კვლევები ძალზედ მწირია, ამიტომ დღეს სიმამაცის მაგალითები, უმეტესწილად, უცნობი რჩება გარე სამყაროსთვის.⁶

თუმცა, ეს წიგნი არ არის მოსამართლეთა ბრძოლის მეთოდური ან სიღრმისეული ანგარიში. მასში აღწერილი ისტორიების მიზანი იმის ჩვენებაა, თუ როგორ მოახდინეს მოსამართლეებმა საკუთარი მორალური პასუხისმგებლობის ცხადად დემონსტრირება და რომ ამის განხორციელება აბსოლუტურად შესაძლებელია და აღფრთოვანებას იმსახურებს. დიდი იმედი მაქვს, მომავალში სხვა მკვლევრები გაგვაცნობენ სხვა ისტორიებს და დროთა განმავლობაში, ჩვენ შევქმნით ისეთ კულტურასა და ტრადიციას, რომელიც შობს სამართლის უზენაესობის სადარაჯოზე მდგომ უშიშარ მოსამართლეებს. აუცილებელია, ეს პროცესი რეალისტური ფორმით განხორციელდეს და არა მცდარი ნარატივებით იმის შესახებ, თუ რამდენად შესანიშნავია სასამართლო სისტემა. ისტორია კი სწორედ რომ ამის საპირისპიროს გვიყვება: ჩვენი სამართლებრივი ინსტიტუტების წარსული, როდესაც

5 იბილეთი Shoaib A. Ghias, “Miscarriage of Chief Justice: Judicial Power and the Legal Complex in Pakistan under Musharraf.” In T. Halliday, L. Karpik, and M. Feeley (eds.), *Fates of Political Liberalism in the British Post-Colony: The Politics of the Legal Complex* (pp. 340–377) (Cambridge: Cambridge University Press, 2012). doi:10.1017/CBO9781139002981.014: 346–350.

6 იბილეთი Charles Manga Fombad, “The Struggle to Defend the Independence of the Judiciary in Africa.” In Shimon Shetreet, Hiram Chodosh, and Helland Eric (eds.), *Challenged Justice: In Pursuit of Judicial Independence* (Leiden: Brill, 2021). doi: https://doi.org/10.1163/9789004421554_011

ისინი გამოცდის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე, დიდწილად სიამაყის საფუძველს არ იძლევა. სწორედ ეს არის ის, რისი შეცვლაც შეგვიძლია ჩვენ, გამონაკლის შემთხვევებზე აქცენტირებით.

წიგნში მოთხრობილი ისტორიები არ არის ჩემი კვლევის შედეგი. მათში აღწერილია სხვათა, და ზოგჯერ კი, თავად კონკრეტული პიროვნებების ნაამბობი. ჩემი სურვილი იყო, რომ მათი ამბავი ლიტერატურული ფორმით გადმომეცა. ამიტომ, წიგნში არ ვიყენებ ციტირებებს, რაც აუცილებელ აკადემიურ მოთხოვნას წარმოადგენს. ამის სანაცვლოდ კი, ყოველი თავის დასასრულს, თან ვურთავ იმ გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს, რომლითაც თითოეულ ისტორიაზე მუშაობისას ვიხელმძღვანელებ.

წესიერი და მამაცი ადამიანები დავიწყებას არ იმსახურებენ. მათი ისტორიების შესწავლა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი საკუთარი მაგალითით გვიჩვენებენ, რომ დინების სანინაღმდეგოდ ცურვა შესაძლებელია, თუნდაც ისეთ დისციპლინირებულ ინსტიტუციაში, როგორც სამართალია. გარდა ამისა, ესაა მნიშვნელოვანი შთაგონების წყარო ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც შესაძლოა რთულ სიტუაციაში აღმოჩნდეს, როდესაც მოსამართლის პროფესია და მოსამართლის როლი მათ კეთილსინდისიერებას გამოცდას მოუწყობს. აღნიშნული მაგალითები ცხადყოფს, რომ სწორი საქმის კეთება შესაძლებელია, თუნდაც ეს კანონსა და ძლიერთა ამა ქვეყნისათა ძალაუფლებას ეწინააღმდეგებოდეს. მსგავსი ნიმუშების გაცნობით ასევე იზრდება ჩვენი ეთიკური ცნობიერება. დაბოლოს, ძალაუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მაგალითები შეიძლება შთაგონების წყაროდ იქცეს არა მხოლოდ იურისტებისთვის, არამედ ძალაუფლებაში მყოფი ნებისმიერი პირისთვის ისეთ სახელმწიფოში, სადაც სამართლიანობას ებრძვიან.

ჩემი წიგნის გმირები მოსამართლეები არიან, შესაბამისად, ნაშრომი აღწერს მათ საქმიანობას მოსამართლის რანგში. რასაკვირველია, გმირები სხვა იურიდიულ პროფესიებშიც გვხვდებიან, განსაკუთრებით კი ადვოკატებს შორის და ისტორიას არა ერთი გამბედავი ადამიანი ახსოვს; ბევრმა მათგანმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ლიბერალური

კანონების უზენაესობის დანერგვაში, რასაც დღეს ასე ძლიერ ვაფასებთ.⁷ სუპერემირები – მაჰათმა განდი და ნელსონ მანდელა, ორივე ადვოკატები იყვნენ და მათ ისტორიებს უკვე სხვა კონტექსტში მოგიხსნებოდა. და თუ რა განასხვავებს ადვოკატს მოსამართლისგან არის ის, რომ ადვოკატი არ გახლავთ პასუხისმგებელი სახელმწიფო ხელისუფლების აღსრულებაზე ისე, როგორც ეს მოსამართლეს და სხვა საჯარო მოხელეს მოეთხოვებათ. მას აქვს ისეთი ტიპის თავისუფლება, რომელიც სახელმწიფო უწყებებში სხვადასხვა თანამდებობაზე მომუშავე იურისტ კოლეგებს არ გააჩნიათ. ამიტომ, ადვოკატის ეთიკური დილემები განსხვავდება მოსამართლის წინაშე არსებული გამოწვევებისაგან. აქედან გამომდინარე, დამცველისა და ადვოკატის პროფესიის გმირების ქება სხვა ნაშრომის საგანია.

მიზეზი, თუ რატომ შევარჩიე მოსამართლეები ამ წიგნისათვის, შემდეგში მდგომარეობს: ისინი სახელმწიფოს ძალაუფლებრივ სტრუქტურაში მომუშავე პირთა იმ არქიტექტურებს წარმოადგენენ, ვისაც სამართლის აღსრულებისა და დაცვის ვალდებულება აკისრიათ. სახელმწიფო სტრუქტურაში, განსაკუთრებით კი, საჯარო სამსახურში, მსგავსი ფუნქციის მქონე ბევრი სხვა თანამდებობა არსებობს. მაგრამ მოსამართლესთან შედარებით, საჯარო მოხელეები იერარქიულ სისტემაში მუშაობენ და მოეთხოვებათ ერთგულება, რაც მოსამართლის ერთგულების ვალდებულებისგან, მკვეთრად განსხვავდება. საჯარო მოხელეების მოვალეობა, ხშირად, პოლიტიკის რეალურ ცხოვრებაში განხორციელება და შესაბამისი ეფექტის მიღებაა. ამიტომ მათი, როგორც კანონის განმარტებლების ფუნქცია მოსამართლის ფუნქციისგან განსხვავებით, ნაკლებად გამოკვეთილია. თუმცა, მოსამართლის შესახებ გაკეთებული არაერთი აქცენტი, ასევე ვრცელდება საჯარო მოხელეებზე, როგორც საჯარო უფლებამოსილების მქონე პირებზე.

არსებობენ მოსამართლეები, რომლებიც გმირულად იბრძვიან არა მხოლოდ სახელმწიფოს მმართველების წინააღმდეგ, არამედ სხვა მიმართულებითაც. კონკრეტულად, მახსენდება ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი მოსამართლეები. ჯოვანი ფალკონე და პაოლო

7 იხილეთ Terence C. Halliday, Lucien Karpik, and Malcolm M. Feeley. *Fighting for Political Freedom: Comparative Studies of the Legal Complex and Political Liberalism* (Oñati International Series in Law and Society. Oxford: Hart, 2007).

ბორსელინო, იტალიელი მოსამართლეები, ნამდვილად იმსახურებენ ადგილს მანტიით შემოსილი გმირების გვერდით.⁸ მიზეზი, თუ რატომ არ არიან ეს მოსამართლეები წინამდებარე წიგნში მოხსენიებულნი არის ის, რომ ისინი სხვა მიზნისთვის იბრძოდნენ და არა იმისთვის, რაზეც ეს წიგნია ფოკუსირებული. თუმცა, ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ მათ ბრძოლას არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა სამართლის უზენაესობისთვის.

წიგნში ასევე აღწერილი მაქვს ორი ისტორია, რომელიც არაა მოსამართლეების შესახებ: პირველი მოგვითხრობს ოკუპირებულ ნიდერლანდებში მოღვაწე ჰიტლერის ხელისუფლების ერთ ჩვეულებრივ მაღალჩინოსანზე, ხოლო მეორე – გამოგონილი სახელმწიფოს, „გილეადის“ ერთ-ერთ ლიდერზე. ამ პერსონაჟების წიგნში შეტანის გადამწყვეტი ფაქტორი ის გახდა, რომ ორივე ისტორია შთამბეჭდავი და ამალელებელია. თუმცა, რეალური მიზეზი გაცილებით სიღრმისეულია. ჰანს კალმაიერი, გერმანიის საოკუპაციო მთავრობის, ნიდერლანდების რაიხსკომისარიატის იურისტი, დაახლოებით სამოსამართლეო ფუნქციას ასრულებდა, როგორც ებრაელების საქმეებზე მომუშავე განყოფილების ხელმძღვანელი. მას ევალებოდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება 1935 წლის ნიურნბერგის კანონის მიხედვით ებრაელად ან არაებრაელად პიროვნების კატეგორიზაციის შესახებ და სწორედ მას უნდა განესაზღვრა – ვინ გაეგზავნა სიკვდილის ბანაკებში და ვინ გაეთავისუფლებინა. მიუხედავად იმისა, რომ კალმაიერის თანამდებობა არ გულისხმობდა მოსამართლეობას, მისი მოვალეობები სასამართლოს სფეროს მჭიდროდ უკავშირდებოდა. მისი ისტორია დემონსტრირებაა იმისა, თუ რაოდენ აქტუალურია წიგნში მოცემული დისკუსია საჯარო მოხელეებისთვისაც.

დეიდა ლიდია, გილეადიდან, მოსამართლედ *მუშაობს*, როდესაც სასამართლო დარბაზში აკავებენ და კოლეგებთან ერთად ფურგონით სტადიონზე გადაჰყავთ. მისი პროფესია და მოსამართლის გამოცდილება არის ის, რასაც მეთაური ჯადი მკაფიოდ უსვამს ხაზს, როდესაც დეიდა ლიდიას ქალთა სემინტის ორგანიზების და მართვის უფლებას ანიჭებს. აიხსნება თუ არა დეიდა ლიდიას მიერ გილეადის სახელმწიფოში

8 იხილეთ Cyrille Fijnaut, “Twenty Years Ago: The Assassinations of Giovanni Falcone and Paolo Borsellino,” *European Journal of Crime, Criminal Law, and Criminal Justice* 20:2 (2012), 131–136.

შესრულებული ფუნქცია და ქმედებები მისი სამოსამართლეო პროფესიით? რატომ აირჩია მარგარეტ ეტვუდმა თავისი ნაწარმოების მთავარ ანტიგმირად მოსამართლე და რატომ იწყება რეკოლუცია სასამართლოს შენობაზე თავდასხმით? ლიდის ანიჭებენ უფლებამოსილებას შექმნას „კანონები და ყველაფერი დანარჩენი“. დეიდა ლიდის ამბავს, მიუხედავად იმისა, რომ ის გამოგონილია, ან შესაძლოა იმიტომაც, რომ გამოგონილია, ბევრი რამის თქმა შეუძლია კოლაბორაციონიზმსა და წინააღმდეგობაზე, ძალაუფლებასა და კონტრძალაუფლებაზე, ასევე რეჟიმის ინსტრუმენტად ყოფნასა და სისტემის დამხობას შორის ეთიკურ ბალანსზე. რამდენი ხანი შეიძლება გმირი იყოს ბოროტმოქმედი, სანამ ის გმირის ტიტულს დაკარგავს? დეიდა ლიდია გამოგონილი ამბავია, თუმცა ლიდის წარმოსახვითი ისტორია, წიგნში აღწერილი სხვა გმირების ნამდვილობითაა დაბალანსებული.

ცამეტევი ისტორია განსხვავებულია, თუმცა თითოეული მათგანი თავისებურად შთამბეჭდავია. ზოგიერთი ამბავი ჰყვება იმ მოსამართლის შესახებ, რომელიც კანონს და წესრიგს იცავს მაშინ, როცა ხელისუფლება და სხვა პირები კანონის დარღვევას ცდილობენ. სხვების შემთხვევაში კი სწორედ მოსამართლეა კანონდამრღვევი, თუკი ორიენტირად ხელისუფლების მხრიდან სამართლის აღქმას გავითვალისწინებთ. დანარჩენ ისტორიებში სულაც არ არის მარტივი იმის დადგენა, თუ რა არის სწორი და რა არასწორი. დაპირისპირება მოსამართლესა და ხელისუფლებაში მყოფ პირთა შორის, შესაძლოა ასევე წარმოიშვას კანონის განმარტებასთან დაკავშირებით. ნაწილი პერსონაჟებისა გმირები არიან, რადგან ისინი აქტიურად ერთვებიან ბრძოლაში, ანუ ომში, რომელსაც, როგორც წესი, მოსამართლეების უმეტესობა თავს არიდებს.

ჰ.ლ.ა. ჰარტი, მეოცე საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსი სამართლის დარგში, თავის გავლენიან ნაშრომში „სამართლის კონცეფცია“ ამბობს:

იმისთვის, რომ ადამიანებმა ცხადად ამოიცნონ, თუ როგორ დაუპირისპირდნენ ჩინოვნიკების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, რასაკვირველია, საჭიროა მათ დაიმასხოვრონ, რომ რაიმეს იურიდიულად მართებულად მიჩნევა, თავისთავად არ ნიშნავს მისდამი უპირობო მორჩილების ვალდებულებას და რომ არა აქვს მნიშვნელობა, რაც არ უნდა გრანდიოზულად ან ავტორიტეტულად გვეჩვენებოდეს ოფიციალური სისტემა, მისი

მოთხოვნები, საბოლოოდ, მაინც ზნეობრივ შემოწმებას უნდა დაექვემდებაროს.⁹

წიგნში აღწერილ გმირებს აერთიანებთ ის, რომ ისინი, სამართლიანობისა და სამართლის იდეალების დასაცავად, ხელისუფლებას უპირის-პირდებიან. ხშირ შემთხვევაში, ბრძოლას უცხადებენ არა მხოლოდ მმართველობაში მყოფ პირებს, არამედ იმ საყოველთაოდ აღიარებულ შეხედულებასაც, თუ რა არის ან არ არის მართებული. ფაქტორი, რომელიც მათ გმირებად აქცევს არის მათივე უნარი მკაფიოდ განჭვრიტონ, როდის ემუქრება საფრთხე სამართლის უზენაესობის ფუნდამენტურ პრინციპს, მიიღონ არაორდინალური გადაწყვეტილებები და გამოიჩინონ სიმამაცე და დადგნენ მარტო სამართლის უზენაესობის დასაცავად, ხშირად საკუთარი სიცოცხლისა ან, თუნდაც, კარიერის რისკის ფასად. უსამართლობის მსხვერპლთა მიმართ ემპათიისა და თანაგრძნობის გამო, მათ სხვა ალარაფერი დარჩენიათ რა, გარდა იმისა, რომ სამართლიანობისთვის იბრძოდნენ.

გადავწყვიტე, რომ წიგნის ცამეტი გმირი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოგიდგინოთ. თხრობას ვინცებ მოსამართლე მანდრუპ პედერსენ შონენბულით, რომელმაც მეჩვიდმეტე საუკუნის ჩრდილოეთ ნორვეგიაში, ფინმარკის საგრაფოში უამრავი ქალი იხსნა სიკვდილისგან და რომლის თაოსნობითაც, ნორვეგიაში კუდიანების გასამართლებას წერტილი დაესვა. წიგნის დასასრულს, გაგაცნობთ დეიდა ლიდიას, მარგარეტ ეტვუდის გამოგონილი, კომმარული და დისტოპიური სახელმწიფო „გილეადის“ მოსამართლეს. ამ ორი პერსონაჟის ამბავს შორის კი მოგიყვებით მეოცე საუკუნისა და ჩვენი თანამედროვეობის მოსამართლეების შესახებ.

ცამეტი გმირის ისტორიების კვალდაკვალ ორი თეორიული თავია წარმოდგენილი. პირველში განვიხილავ, თუ რამდენად ეკისრება მოსამართლეს მორალური პასუხისმგებლობა და ვალდებულება, კანონის შინაარსის მიუხედავად. ჩემი ღრმა რწმენით, მოსამართლე მორალურად პასუხისმგებელი სუბიექტია და ის ყოველთვის ვერ გაიმართლებს თავს იმით, რომ ფურცელზე დანერილ კანონს აღასრულებს.

ბოლო თავში კი შემოგთავაზებთ მსჯელობას, თუ რომელი ეთიკური თეორიით უნდა იხელმძღვანელონ მოსამართლეებმა საკუთარ შეფასებებში და როგორი არჩევანი უნდა გააკეთონ მორალური ვალდებულების აღსასრულებლად. ამ კუთხით, მე ვამტკიცებ, რომ სათნოების ეთიკა სწორედ ის თეორიაა, რომელიც იძლევა საჭირო მიმართულებას და რომ ჩვენ გვჭირდება მოსამართლეები, რომლებსაც აქვთ განსჯის უნარი და შეუძლიათ საკუთარი ქმედებების შეფასება. სათნოების კლასიკური სახეობები, როგორებიცაა სიმამაცე, ზომიერება, სიბრძნე და სამართლიანობა, ის თვისებებია, რომლებიც განაპირობებენ ორივეს: საღ განსჯასა და შეფასებას.

იმედი მაქვს, წინამდებარე წიგნით ჩემს წვლილს შევიტან იმ შეხედულების გამოსწორებაში, რომლის თანახმადაც, მოსამართლის პიროვნებას არ აქვს მნიშვნელობა და რომ მოსამართლეს არჩევანი არ გააჩნია გადაწყვეტილების მიღების დროს. წიგნში აღწერილი ცამეტივე ისტორიით, მსურს გიჩვენოთ, რომ დინების საპირისპიროდ ცურვა შესაძლებელია; სწორედ რომ მოსამართლის გადასაწყვეტია სახელისუფლებო და საზოგადოებრივი აზრის უარყოფა და, ზოგჯერ, ამგვარი რამ მოსამართლის მხრიდან სწორი საქციელია.

არ უნდა დაგვავიწყდეს ასევე ის გმირები, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში ძალისხმევას არ იშურებენ, ჩვენმა სახელმწიფო უწყებებმა საღი გადაწყვეტილებები რომ მიიღონ. უამრავი ადამიანი მუშაობს რთულ პირობებში, პოლიტიკური ზენოლის ქვეშ და რესურსებისთვის ბრძოლაში, თუმცა გარემოებები ნაკლებად დრამატულია იმასთან შედარებით, რაც ამ წიგნშია აღწერილი. ნორმალურ დროში, ყოველდღიური გმირები ბევრად უფრო დიდ საქმეს აკეთებენ, ვიდრე ისინი რომლებსაც ამ წიგნში შევხვდებით. ამაღია ამიას მსგავსად, მეც მჯერა, რომ „მაგალითის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამოსამართლო ფასეულობების დასაწერად, რაც აუცილებელია საღი სასამართლო გადაწყვეტილების გამოსატანად, ისევე როგორც სამართლებრივი დასაბუთების თეორიის განსავითარებლად“.¹⁰ იმედს ვიტოვებ, რომ წიგნში აღწერილი ისტორიები შთაგონება და მხარდაჭერა იქნება ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც ეთიკური დილემის წინაშე აღმოჩნდება სამართლის გამოყენებისა და აღსრულების დროს. ამასთან, ვერასდროს

10 Amaya, “Exemplarism and Judicial Virtue,” 429.

ვიქნებით დარწმუნებულნი, რომ მომავალში ნამდვილი გმირები აღარ დაგვჭირდებათ.

გამოყენებული ლიტერატურა

- Amaya, Amalia. “Exemplarism and Judicial Virtue.” *Law & Literature* 25, no. 3 (2013): 428–445. <https://doi.org/10.1525/lal.2013.25.3.428>, ბოლოს ნანახია: 07.02.2023.
- Barnes, Victoria, and Emily Whewell. “Judicial Biography in the British Empire.” *Indiana Journal of Global Legal Studies* 28, no. 1 (2021): 1–28.
- Fombad, Charles Manga. “The Struggle to Defend the Independence of the Judiciary in Africa.” In *Challenged Justice: In Pursuit of Judicial Independence*, edited by Shimon Shetreet, Hiram Chodosh, and Helland Eric. Leiden: Brill, 2021. https://doi.org/10.1163/9789004421554_011
- Fijnaut, Cyrille. “Twenty Years Ago: The Assassinations of Giovanni Falcone and Paolo Borsellino.” *European Journal of Crime, Criminal Law, and Criminal Justice* 20, no. 2 (2012): 131-136.
- Halliday, Terence C., Lucien Karpik, and Malcolm M. Feeley. *Fighting for Political Freedom: Comparative Studies of the Legal Complex and Political Liberalism. Oñati International Series in Law and Society*. Oxford: Hart, 2007.
- Hart, H.L.A. *The Concept of Law*. Oxford: Hart, 1961.
- Gross, Norman (ed.), *Noble Purposes Nine Champions of the Rule of Law*. Athens, OH: Ohio University Press, 2007.
- Shoib A. Ghias. “Miscarriage of Chief Justice: Judicial Power and the Legal Complex in Pakistan under Musharraf.” In *Fates of Political Liberalism in the British Post-Colony: The Politics of the Legal Complex*, edited by T. Halliday, L. Karpik, & M. Feeley, 340–377. Cambridge: Cambridge University Press, 2012. <https://doi.org/10.1017/CBO9781139002981.014>
- Sugarman, David. “From Legal Biography to Legal Life Writing: Broadening Conceptions of Legal History and Socio-legal Scholarship.” *Journal of Law and Society* 42, no. 11 (2015): 7–33.

1

რას ნიშნავს იყო გმირი

მოკლე მიმოხილვა

ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ, თუ რამდენად არის დამოკიდებული ჩვენი სამართლებრივი დაცვა იმ პატიოსან და კეთილსინდისიერ მოსამართლეებზე, რომლებიც სამართლის უზენაესობას უზრუნველყოფენ. მოსამართლეთა უმრავლესობა სახელისუფლებო და საზოგადოებრივი აზრისკენ იხრება. თუმცა, საბედნიეროდ, არსებობენ გამონაკლისები. ნაციისტურ გერმანიაშიც კი იყვნენ მოსამართლეები, რომლებმაც უარი თქვეს მორჩილებაზე და შეეცადნენ რეჟიმის დანაშაულებრივი ქმედებები გამოესწორებინათ. მოსამართლე იურიდიული პროფესიის გმირია, რომელიც უზარმაზარი ზეწოლისა და, ხშირად, პირადი რისკის მიუხედავად, იცავს ფუნდამენტურ სამართლებრივ პრინციპებსა და სამართლის უზენაესობას. მოცემული თავი განმარტავს მოსამართლე-გმირის კონცეფციას და გვიმტკიცებს, რომ ასეთი ადამიანების ისტორიების შესწავლა მნიშვნელოვანია, რამეთუ ისინი, თავიანთი მაგალითებით გვიჩვენებენ, რომ დინების წინააღმდეგ მოძრაობა შესაძლებელია, თუნდაც ისეთ მადისციპლინირებელ ინსტიტუციას ეხებოდეს საკითხი, როგორც კანონია.

2003 წლის 20 მარტს კოალიციური შეიარაღებული ძალები, აშშ-ის მეთაურობით, ერაყში შეიჭრნენ. შეჭრის მიზანი ერაყის დიქტატორის, სადამ ჰუსეინის დაშობა იყო. შეერთებული შტატების მტკიცებით, სადამ ჰუსეინი საერთაშორისო ტერორიზმს უწყობდა ხელს და მასობრივი განადგურების იარაღს აწარმოებდა. გაეროს უშიშროების

საბჭოს სხვადასხვა რეზოლუციის მხარდაჭერით, აშშ-მა განაცხადა, რომ იურიდიული საფუძველი ერაყზე თავდასხმისთვის ნამდვილად ჰქონდა. ქვეყანაში შექრა სადამ ჰუსეინის დამხობით დაგვირგვინდა, თუმცა, ამან ასევე გამოიწვია ერაყის სახელმწიფოს ჩამოშლა, რის გამოც ერაყი დღემდე, ორი ათეული წლის შემდეგაც კი, ქაოსისა და არეულობის წერტილს წარმოადგენს, რაც ნეგატიურად აისახება არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთზე, არამედ მთელს მსოფლიოზე.

უკანონო ომის სამართლებრივი მხარდაჭერა

ერაყში შეჭრამდე რამდენიმე თვით ადრე, გაეროს უშიშროების საბჭოსა და წევრი სახელმწიფოების იურიდიულ დეპარტამენტებში გაცხარებული აქტიურობა შეინიშნებოდა. ამ აქტიურობის მიზანს, კანონმდებლობის დაზუსტება და ომისთვის სამართლებრივი საფუძვლის მომზადება წარმოადგენდა. ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც ეს პროცესები მიმდინარეობდა, იყო გაერთიანებული სამეფო. იმ დროს გაერთიანებული სამეფოს მთავრობას პრემიერმინისტრი ტონი ბლერი ხელმძღვანელობდა, რომელიც აშშ-ს ემხრობოდა. ამ გარემოების გამო, ადმინისტრაცია და უშუალოდ მისი იურისტები დიდი ზენოლის ქვეშ და სერიოზული ეთიკური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ.¹¹

ლორდი კანცლერი, ლორდ გოლდსმიტი, თავდაპირველად მიიჩნევდა, რომ ერაყზე თავდასხმა უკანონოა იქნებოდა, თუკი ამ ღონისძიების დამტკიცება არ მოხდებოდა უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.¹² მან გააფრთხილა როგორც პრემიერ-მინისტრი, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრი, ბ-ნი სტროუ, რომ „არ იყო ოპტიმისტურად განწყობილი“ ერაყის დანაშაულების საპასუხოდ სამხედრო მოქმედების გამოყენების სამართლებრივ დასაბუთებასთან დაკავშირებით, თუკი უშიშროების საბჭო მეორე რეზოლუციას არ მიიღებდა. თავისი პირველი

11 ერაყზე თავდასხმის საფუძვლის სამართლებრივი ანალიზი, იხილეთ Lori Fisler Damrosch and Bernard H. Oxman, “Editors’ Introduction,” *Agora: Future Implications of the Iraq Conflict*, 97 AM. J. INT’L L. (2003), 553, 553–557, 803–804 (discussing the US debate over the legality of the Iraq War).

12 დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილება ომში შესვლის შესახებ იხილეთ „ერაყის საქმის გამოძიება“, <https://web.archive.nationalarchives.gov.uk/20171123122743/>, <http://www.iraquinquiry.org.uk/the-report/>

დასკვნის სამუშაო ვერსიაში, ლორდ გოლდსმიტმა აღნიშნა, რომ „საჭირო იყო უსაფრთხოების საბჭოს დამატებითი გადაწყვეტილება, 678 (1990) რეზოლუციაში მითითებული ძალის გამოყენების უფლების აღსადგენად, თუმცა ასეთი გადაწყვეტილების მიღება არ იყო აუცილებელი დამატებითი რეზოლუციის სახით მომხდარიყო“. ლორდ გოლდსმიტმა ვერ დაინახა თავდაცვისა და ჰუმანიტარული ჩარევის წინაპირობა, რაც ერაყში სამხედრო მოქმედების დაწყების სამართლებრივ საფუძვლად გამოდგებოდა. იმავე აზრზე იყო ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტიც. ამერიკას კი ერაყში შეჭრა უშიშროების საბჭოს ახალი გადაწყვეტილების გარეშე სურდა. ამერიკას ამ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, პრობლემები ჰქონდა ნაწილობრივ, რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგობის გამოც.

პრემიერ მინისტრ ტონი ბლერს კი, აშშ-ის მხარდაჭერა სურდა. მან გოლდსმიტს ახალი დასკვნის მომზადება სთხოვა. ლორდ კანცლერზე ზენოლა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჯეკ სტროუმაც მოახდინა. საბოლოო ჯამში, გოლდსმიტი დანებდა. 27 თებერვალს, დაუნიგ სტრიტის 10 ნომერში ოფიციალურ პირებთან შეხვედრისას, ლორდ გოლდსმიტმა მათ ურჩია, რომ „ყველაზე უსაფრთხო სამართლებრივი გზა, უშიშროების საბჭოს დამატებითი რეზოლუციის მიღება იქნებოდა“. თუმცა, იქვე დასძინა, რომ

მისი დასკვნით, თუკი არსებობდა მყარი ფაქტობრივი საფუძველი იმის დასამტკიცებლად, რომ ერაყმა ვერ გამოიყენა 1441 რეზოლუციაში მითითებული უკანასკნელი შესაძლებლობა, მაშინ „გონივრულ არგუმენტად“ ჩაითვლებოდა 678 (1990) რეზოლუციაში მითითებული ძალის გამოყენების უფლების აღდგენა ისევე 1441 რეზოლუციით, დამატებითი რეზოლუციის საჭიროების გარეშე.

აქედან გამომდინარე, მთავრობამ დაასკვნა, რომ შეჭრა კანონიერად ჩაითვლებოდა. ლორდ კანცლერის თავდაპირველი პოზიციის შესახებ, კაბინეტის დანარჩენ წევრთა ინფორმირება არ მომხდარა, ასევე არ უჩვენებიათ მათთვის მისი თავდაპირველი ანგარიში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მინისტრთა კაბინეტის წევრები არ ჩააყენეს საქმის კურსში იმ სერიოზული ეჭვების შესახებ, რაც დიდი ალბათობით წამოიჭრებოდა სამართლებრივი თვალსაზრისით ხელისუფლების პოზიციასთან დაკავშირებით და რომ, ფაქტობრივად, მსგავსი ეჭვები

ლორდ კანცლერისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული სამსახურის მიერ უკვე იყო გამოთქმული.

მიმდინარე მოვლენების შესახებ პარლამენტს 17 მარტს ეცნობა. სამართლებრივი დასაბუთება მომზადდა საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მიერ, ლორდ გოლდსმიტის ოფისის იურისტებთან ერთად. დასაბუთებაში არაფერი იყო ნათქვამი საგარეო საქმეთა უწყების პოზიციის შესახებ ერაყში შეჭრის უკანონობაზე ან ლორდ კანცლერის მხრიდან გამოთქმულ ეჭვებთან დაკავშირებით.

რატომ გადაწყვიტეს საგარეო საქმეთა უწყების და ლორდ კანცლერის ოფისის იურისტებმა მონაწილეობა მიეღოთ კაბინეტის, პარლამენტის და ბრიტანელი ხალხის მოტყუებაში? საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის ოფისის მთავარმა მრჩეველმა იურიდიულ საკითხებში, სერ მაიკლ ვუდმა, რამდენიმე წლის შემდეგ, ერაყის საქმის გამოძიების ფარგლებში, განაცხადა:

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ იმ მომენტში, ვფიქრობ, ჩვენ ვიმყოფებოდით არა კონკრეტული გადაწყვეტილების შესახებ კონსულტირების რეჟიმში, არამედ ადვოკატირების რეჟიმში. საქმე ერთ რამეს ეხებოდა: როგორ და რა ფორმით მიგვეწოდებინა ეს ინფორმაცია ფართო საზოგადოებისთვის?¹³

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელისუფლების იურისტების ამოცანა ის კი არ იყო, პროფესიული იურიდიული კონსულტაცია გაეწიათ, მათივე კომპეტენციის საფუძველზე, არამედ ტონი ბლერის მიერ ომში შესვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისთვის მოეფიქრებინათ სამართლებრივი დასაბუთება – იმ გადაწყვეტილებისთვის, რომელსაც თავად უკანონობად მიიჩნევდნენ. როგორ გაამართლა მთავარმა იურიდიულმა მრჩეველმა ამ ყველაფერში თავისი მონაწილეობა? მან თქვა: „ცხადია, მე მქონდა განსხვავებული სამართლებრივი შეხედულება,

13 <https://webarchive.nationalarchives.gov.uk/20171123122731/>, <http://www.iraqinquiry.org.uk/the-evidence/transcripts-videos-of-hearings/hearings-2010-01-26/>, გვ. 60.

მაგრამ როგორც პროკურორმა უკვე აღნიშნა, ეს იყო მთავრობის მოსაზრება და ჩვენ მასზე დაყრდნობით უნდა გვემოქმედა“.¹⁴

ეს იყო სამართლებრივი ქმედება, რომელსაც საშინელი შედეგები მოჰყვა. ომი გამანადგურებელი დარტყმა აღმოჩნდა ერაყისთვის და გავლენა იქონია მთლიანად რეგიონის სტაბილურობაზე. დაილუპა ათიათასობით ერაყის მოქალაქე და ათასობით მოკავშირე ძალების სამხედრო მოსამსახურე. მსოფლიო დღემდე ებრძვის ერაყის ომით გამოწვეულ გრძელვადიან შედეგებს.

რამდენად მართებული იყო საგარეო უწყების იურისტების მხრიდან სახელისუფლებო ზენოლის წინაშე თავის დახრა, თუ უარი უნდა ეთქვათ ხელისუფლების პოზიციის იურიდიულ გამართლებაზე? რას გააკეთებდით თქვენ მსგავს სიტუაციაში? ელიზაბეტ ვილმშერსტი, საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული განყოფილების უფროსის მოადგილე გახლდათ. ამ პოზიციაზე იგი მთელი თავისი ცხოვრება მუშაობდა, 1974 წლიდან მოყოლებული, როცა იურიდიული ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, პირველად შედგა ფეხი უწყებაში. 2003 წლის 20 მარტს კი, თანამდებობიდან გადადგომით, მან წერტილი დაუსვა თავის 28-წლიან კარიერას. იმავე დღეს, აშშ-ი და დიდი ბრიტანეთი ერაყში შეიჭრნენ.

ამ ფაქტიდან ორი წლის შემდეგ, ელიზაბეტ ვილმშერსტის თანამდებობიდან გადადგომის მიზეზები ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებისთვის. ის არ იზიარებდა მთავრობის პოზიციას ომთან დაკავშირებით, რადგან მტკიცედ სწამდა, რომ ეს გადაწყვეტილება არაკანონიერი იყო. იგი ვერანაირ მონაწილეობას ვერ მიიღებდა ომის იურიდიულ გამართლებაში, რაშიც მისი დეპარტამენტი იყო ჩართული, განსაკუთრებით კი იმ უკიდურეს ძალადობასთან მიმართებით, რომლის გაჩაღებასაც აშშ-ი და გაერთიანებული სამეფო ერაყში აპირებდნენ. მისი აზრით, ერაყზე თავდასხმა საერთაშორისო სამართლის სერიოზული დარღვევა იქნებოდა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მხოლოდ ელიზაბეტი აღმოჩნდა ამ ფაქტის მონაწილე იურისტებიდან ერთადერთი,

14 <https://webarchive.nationalarchives.gov.uk/20171123122731/>, <http://www.iraqinquiry.org.uk/the-evidence/transcripts-videos-of-hearings/hearings-2010-01-26/>, გვ. 65.

რომელმაც ამგვარი დასკვნა გააკეთა ბევრისგან მოწონებული სამართლებრივი პოზიციის თაობაზე.

ერაყის ომის სამართლებრივ დასაბუთებაში ჩართული სახელისუფლებო იურისტები მრავალმხრივი ზენოლის ქვეშ იმყოფებოდნენ. პირველი, ეს იყო მათი უპირობო ერთგულება კანონის მიმართ, იმ კანონისა, რომელიც ამბობდა, რომ ერაყში შეჭრა უკანონოა იყო. ხოლო მეორე ფაქტორს განაპირობებდა მათი უპირობო ერთგულება ხელისუფლებისა და დამსაქმებლისადმი. ხელისუფლების პოზიცია, რომელიც უმაღლეს დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებას ეფუძნებოდა, მდგომარეობდა შემდეგში: ერაყში შეჭრა აუცილებელი და სამართლებრივად დასაბუთებული იყო. მთავრობის იურისტებს, როგორც წესი, არ აქვთ უფლება გამოთქვან საკუთარი მოსაზრება, როდესაც მთავრობის პოზიცია მკაფიოდ გამოხატულია. მათ ევალებათ ერთი მხრივ საუკეთესო რჩევების მიწოდება და იმავდროულად პატივისცემის დემონსტრირებაც იმ პოზიციისადმი, რომელიც ამგვარი რჩევის საფუძველზე მიიღება. მესამე კი იყო მათი სინდისი. რამდენად ეკისრება საჯარო მოხელეს მორალური პასუხისმგებლობა მთავრობის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე, თუკი მან ხელისუფალს ამგვარი ქმედებების განუხორციელებლობა ურჩია? რა პირობებში შეიძლება წარმოიშვას მორალური პასუხისმგებლობა? რა გარემოებებში შეიძლება ჩაითვალოს თანამდებობის დატოვება ეთიკური თვალსაზრისით ერთადერთ მისაღებ გამოსავლად?

სკანდალი ნორვეგიის სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის სააგენტოში

გადავინაცვლოთ 2019 წლის შემოდგომის ნორვეგიაში. 28 ოქტომბერს, შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა და მთავარმა პროკურორმა პრესკონფერენცია გამართეს. მინისტრის განცხადებით, იგეგმებოდა სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც შეისწავლიდა სოცუზრუნველყოფის სააგენტოს მესვეურების მიერ ევროპული კანონმდებლობის არამარ-

თებულის გამოყენების ათასობით შემთხვევას 2012 წლიდან დღემდე.¹⁵ ამ ინფორმაციამ დიდი მლელვარება გამოიწვია ნორვეგიის საჯარო სივრცეში. მინისტრის განცხადების თანახმად:

სოცურუნველყოფის ადმინისტრაციის საქმიანობის შესწავლამ აჩვენა, რომ ნორმა, რომლითაც რეგულირდება საბიულეტენო შეღავათების გაცემა იმ ადამიანების შემთხვევაში, რომლებიც 2012 წელს ევროკავშირის მიერ „სოციალური დაცვის კოორდინირების წესის“ მიღების შემდეგ მიემგზავრებიან ან საცხოვრებლად გადადიან ნორვეგიის საზღვრებს გარეთ ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებში, არასათანადო წესით გამოიყენებოდა. ეს ძალიან სერიოზული პრობლემა აღმოჩნდა, ვინაიდან არაერთ პირს დაუსაბუთებლად დასდეს ბრალი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, ხოლო ზოგ შემთხვევაში, მათ სოლიდური კომპენსაციის გადახდის ვალდებულებაც კი დაეკისრათ. წარდგენილი ბრალდების საფუძველზე, რამდენიმე პირი დამნაშავედ ცნეს და საპატიმრო ან სხვა სახის სასჯელი შეუფარდეს. გამოვთქვამ უდიდეს სინანულსა და თანაგრძობას დაზარალებულებისა და მათი ოჯახების მიმართ.¹⁶

ორი კვირის შემდეგ, მინისტრმა პარლამენტს აცნობა, რომ დადასტურდა ევროკავშირის რეგულაციის არასწორი გამოყენებით დაზარალებულ პირთა დაახლოებით 2400 შემთხვევა, სადაც ბენეფიციარებს დაევალით მიღებული შეღავათების უკან დაბრუნება. 100-ზე მეტ პირს ბრალი სოცშეღავათებით თაღლითობის მუხლით წაუყენეს, 50 პირი გაასამართლეს, აქედან 36-ზე მეტ ადამიანს, სასამართლომ პატიმრობა მიუსაჯა. უშუალოდ შეცდომის დაფიქსირების მომენტში, 50-ზე მეტ საქმეზე სისხლის სამართლებრივი დევნა უკვე მიმდინარეობდა.¹⁷

15 EEA ხელშეკრულების არასწორი გამოყენების მოკლე მიმოხილვა, იხილეთ EFTA სასამართლოს გადაწყვეტილება E-8/20; <https://eftacourt.int/download/8-20-judgment/?wpdmdl=7250>

16 “Hauglie: Vil granske feil praktisering av EØS-regler,” ბოლოს ნანახია 2019 წლის 28 ოქტომბერს, <https://www.regjeringen.no/no/aktuelt/hauglie-vil-granske-feil-praktisering-av-eos-regler/id2675402/>

17 “statsråd Hauglies redegjørelse for Stortinget om praktiseringen av EU's trygdeforordning 883/2004 artikkel 21”, ბოლოს ნანახია 2019 წლის 05 ოქტომბერს, <https://www.regjeringen.no/no/aktuelt/statsrad-hauglies-redegjorelse-for-stortinget-om-praktiseringen-av-eus-trygde-forordning-8832004-artikkel-21/id2676562/>

ნორვეგია ევროკავშირის შიდა ბაზართან, „ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA) შეთანხმებით“ არის დაკავშირებული. სოციალური დაცვის სამსახურებმა უგულვებელყვეს ერთიან ბაზარზე თავისუფალი გადაადგილების უფლება და დანერგეს პრაქტიკა, რომლის თანახმადაც უარს ეუბნებოდნენ შეღავათის გაცემაზე იმ პირებს, რომლებსაც უფლება ჰქონდათ შეღავათი მიეღოთ. ის ადამიანები კი, რომლებსაც უკვე ჰქონდათ მიღებული დახმარება, სოცურუნველყოფის სააგენტოს პრაქტიკის საპირისპიროდ, აიძულეს დაებრუნებინათ უკვე მიღებული თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეები დამალავდნენ ინფორმაციას, საზღვარგარეთ გამგზავრების თაობაზე, მათი საქმე ეგზავნებოდა პროკურატურას, რომელიც მოქალაქეებს ბრალს თაღლითობის მუხლით უყენებდა, ხოლო სასამართლო – სასჯელს უფარდებდა. ნორვეგიის კანონმდებლობის მიხედვით, ნებისმიერი სამართლებრივი ნორმა, რომელიც EEA შეთანხმების პუნქტებს ეწინააღმდეგება, იურიდიული ძალის არმქონეა. შესაბამისად, რეციპიენტებისთვის შეღავათებზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა და ისინი არ არღვევდნენ კანონს, როდესაც კუთვნილ კომპენსაციას იღებდნენ. მიუხედავად ამგვარი სამართლებრივი რეალობისა, უწყება ამ ადამიანების შესახებ პოლიციას აცხობინებდა, პროკურატურა მათ ბრალს უყენებდა, ხოლო სასამართლო სასჯელს უსაზღვრავდა.

ამ ყველაფრის ფონზე, უწყებაში ნამდვილად ჟღერებოდა გარკვეული კრიტიკა.¹⁸ თუმცა, კრიტიკულ შეხედულებებს არავინ უგდებდა ყურს. ამასთან, არცერთ კრიტიკულად განწყობილ ადამიანს, საკუთარ მოსაზრებებთან დაკავშირებით, საჯაროდ არ უსაუბრია. როგორ მოახერხა პროფესიონალებით დაკომპლექტებულმა სამსახურმა ამდენი ხნის განმავლობაში ევროპული სამართლის ფუნდამენტური ნორმების არამართებული გამოყენება და სოციალური დახმარების მიმღებთა ფუნდამენტური უფლებების უგულვებელყოფა? როგორ მოხდა, რომ ამგვარი პრაქტიკა ამდენი ხნის განმავლობაში არასდროს დადგა კითხვის ქვეშ და არ დასაწეცირდა პროკურატურის ან სასამართლოს მიერ? როგორც ჩანს, უწყების ადმინისტრაციას და, ზოგადად, იურიდიული

18 “NAV Spesialoppdrag – D2019-10 Kartlegging av fakta i EØS-saken Internrevisjonen 11. desember 2019”, ბოლოს ნანახია 2020 წლის 7 აპრილს, https://www.nav.no/no/nav-og-samfunn/kontakt-nav/kontakt-oss_2/feiltolkning-av-eos-reglene/internrevisjonens-rapport-kartlegging-av-fakta-i-eos-saken

სვეროს წარმომადგენლებს, არ ჰქონდათ საკმარისი ცოდნა ევროპული კანონმდებლობის შესახებ. თუმცა, ზემოაღნიშნული ფაქტები იმაზე მეტს მეტყველებს, ვიდრე ეს უბრალოდ ცოდნის სიმწირეა.

შემთხვევითი არ არის, რომ სკანდალი სწორედ სოცუზრუნველყოფის სააგენტოში განვითარდა. სოციალური შედეგათის მიმღები პირები, უმეტეს შემთხვევაში, მონყვლადი ადამიანები არიან, როგორც წესი, ხანგრძლივად მოავადე, დასაქმების ბაზრის მიღმა მყოფი ინდივიდები. ამასთან, ზოგადი დამოკიდებულება იმ პირების მიმართ, რომლებიც მოსახლეობის მიერ გადახდილი საშელავათო თანხების სხვა ქვეყნებში ექსპორტს ახდენენ, ძალზედ ნეგატიურია. ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, საგადასახადო უწყებების მიერ დაშვებული შეცდომის გამოვლენას დიდი დრო სულაც არ სჭირდება, სანამ ის შედავებული იქნება სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში. სოციალური დახმარების მიმღებ პირებს კი, საკმარისი რესურსები არ გააჩნიათ ხელისუფლებასთან საბრძოლველად, ასევე ძალზედ მცირეა აღნიშნული მიმართულებით მომუშავე იურისტების რიცხვი.

როდესაც ზემოთ აღწერილი შეცდომის შესახებ ხელისუფლებამ შეიტყო, მისი გამოსწორებისთვის ღონისძიებების გატარებას კიდევ რამდენიმე თვე დასჭირდა. ამასობაში, კიდევ უფრო მეტ ადამიანს ეთქვა უარი დახმარებაზე და უფრო მეტი პირი მოხვდა საპატიმროში. საზაფხულო არდადეგების გამო, რამდენიმე კვირით გადაიდო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც, გასატარებელი ღონისძიებები უნდა განხილულიყო. როდესაც შეხვედრა საბოლოოდ შედგა, მიღებული იქნა გადაწყვეტილება: არ ეცნობებინათ პროკურატურისთვის მცდარი სამართლებრივი ნორმის შესახებ, რომლის საფუძველზეც ადამიანების გასამართლება ხდებოდა. ინფორმაციის გაცემაზე თავშეკავების მიზეზი „ნეგატიური საჯაროობის“ თავიდან არიდება იყო, რაც აუცილებლად მოხდებოდა, თუკი ხელისუფლება მოუმზადებელი შეხვედებოდა ამ ამბავს. ამასობაში, კიდევ რამდენიმე კვირა გავიდა და კიდევ რამდენიმე სისხლის სამართლებრივი დევნა იქნა ინიცირებული უდანაშაულო მოქალაქეების წინააღმდეგ.¹⁹

ერაყის ომის სამართლებრივი მომზადება და ნორვეგიის სოცუზრუნ-ველყოფის სააგენტოს სკანდალი ორი მაგალითია იმისა, თუ როგორ სავალალოდ წარიმართა მოვლენები მაშინ, როდესაც მათ, ვისაც კანონის აღსრულება ევალებოდათ, უბრალოდ, ხელისუფლების მოთხოვნების შესრულება არჩიეს. მსგავსება ამ ორ შემთხვევას შორის არის ის, რომ ორივე მაღალგანვითარებული სამართლებრივი სისტემების მქონე სახელმწიფოებში მოხდა, სადაც სამართლის უზენაესობას, როგორც წესი, დიდი ყურადღება ექცევა. ამის მიუხედავად, კანონმდებლობამ და იურისტებმა ვერ შეასრულეს თავიანთი უმთავრესი მოვალეობა: დაეცვათ სამართლიანობა და სამართლის უზენაესობა. არ არსებობდა არანაირი ნაციონალური დონის კრიზისი, რომელიც საგანგებო ოპერაციის დაწყების ან რუტინული სამართლებრივი შეღავათების შეწყვეტის გამართლებად გამოდგებოდა. ორივე მაგალითი გვიჩვენებს, რომ წესები შეიძლება დაირღვეს ან უგულბელყოფილ იქნას და რაოდენ აუცილებელია, რომ სისტემაში არსებობდნენ იურისტები, რომლებიც მზად იქნებიან დაუპირისპირდნენ უმრავლესობის აზრს და დაიცვან სამართალი. სამწუხაროდ, ორივე შემთხვევა დასტურია იმისა, რომ ასეთი ადამიანები იშვიათობას წარმოადგენენ. სწორედ, ამ ყველაფრის შეცვლის მცდელობას ემსახურება ეს ნიგნი.

სამართლის უზენაესობა ამ ნიგნის საკვანძო თემაა. სამართლის უზენაესობა და მისი ეკვივალენტი სამოქალაქო სამართალში *Rechtsstaat*, სწორედ ის მთავარი კონცეფციებია, რომლებიც სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება.²⁰ აღნიშნული ტერმინები ხშირად გვხვდება სხვა ისეთ ცნებებთან მიმართებითაც, როგორებიცაა *ლიბერალური სახელმწიფო* და *კონსტიტუციური დემოკრატია*. *ლიბერალური სახელმწიფო* არის ქვეყანა, რომელიც იცავს ცალკეული ადამიანის უფლებებს, განსაკუთრებით კი სამოქალაქო და პოლიტიკურ კონტექსტში, როგორიცაა სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლება. *კონსტიტუციური დემოკრატია* კი გულისხმობს სახელმწიფოს, რომელსაც მართავს ხმათა უმრავლესობით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც იმავდროულად შეზღუდულია

20 არსებობს ვრცელი ლიტერატურა სამართლის უზენაესობის შესახებ და უამრავი სხვადასხვა კონცეპტუალიზაცია ამ თემაზე. B Tamanaha, *On the Rule of Law History, Politics, Theory* (Cambridge: Cambridge University Press, 2004) იძლევა მიმოხილვას „სამართლის უზენაესობის“ სხვადასხვა მნიშვნელობის შესახებ.

გარკვეული პროცედურებითა და რეგულაციებით, რათა დაცული იქნას უმცირესობების უფლებები.

კრიტიკული თეორიის გადმოსახედიდან, სამართლის უზენაესობა ხშირად განიხილება როგორც კონცეფცია, რომელიც კერძო საკუთრების და ლიბერალური საზოგადოების სხვა ღირებულებების დაცვის პოლიტიკური შინაარსითაა დატვირთული. ქ. დ. ივინგი და ქ. ა. გეარი, თავიანთ კვლევაში „მეოცე საუკუნის დასაწყისის ბრიტანეთში სამოქალაქო თავისუფლებებისთვის ბრძოლის“ შესახებ, აღნიშნავენ რომ ამ კონცეფციას შეიძლება მიენიჭოს შინაარსი, რაც ასევე აქტუალური იქნება პოლიტიკური მემარცხენეებისთვის. ივინგი და გეარი სამართლის უზენაესობას უყურებენ, როგორც კანონიერების ძირითად მოთხოვნას; რომ მათ, ვინც ძალაუფლებას ახორციელებენ უნდა ჰქონდეთ სამართლებრივი საფუძველი საკუთარი ქმედებებისთვის. აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა არ უნდა ანიჭებდეს ზედმეტად ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას და რომ სამართალი უნდა ითვალისწინებდეს ავტონომიურ და ანგარიშვალდებულ იურიდიულ პროცესს.²¹ მოცემულ წიგნში ტერმინი „სამართლის უზენაესობა“ ჩემი მხრიდან გამოყენებულია მხოლოდ ვინრო გაგებით, ლიბერალურ სახელმწიფოსთან ან კონსტიტუციურ დემოკრატიასთან ყოველგვარი კავშირის გარეშე. თუკი ისტორიას გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ სამართლის უზენაესობა შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ისეთ სახელმწიფოებშიც, რომლებიც სულაც არ ითვლებიან ლიბერალურად ან დემოკრატიულად. სამართლის უზენაესობა საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა, როგორც, მას ხშირად უწოდებენ, დასავლური სამართლებრივი ტრადიციების ნაწილის სახით.²² სამართლის უზენაესობა, როგორც ასეთი, ქმნის ისტორიულ ფონს ლიბერალური დემოკრატიებისთვის ადამიანის უფლებების პატივისცემასთან დაკავშირებით, რაც სამართლის უზენაესობის თანამედროვე გაგების ესოდენ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს.

21 K.D. Ewing and C.A. Geary, *The Struggle for Civil Liberties Political Freedom and the Rule of Law in Britain, 1914–1945* (Oxford: Oxford University Press, 2000), 12–16.

22 დამატებით იხილეთ Hans Petter Graver, „Judicial Independence Under Authoritarian Rule: An Institutional Approach to the Legal Tradition of the West,” *Hague Journal on the Rule of Law* (2018), 317–339.

ამ შეზღუდული ისტორიული გაგებით, სამართლის უზენაესობა ნიშნავს, რომ ძალაუფლება უნდა აღსრულდეს სამართლებრივ საფუძველზე და რომ ის შეიძლება დაექვემდებაროს კონტროლს იურიდიული სფეროს დამოუკიდებელი ექსპერტების მხრიდან. სწორედ ამის გამო, სამართლის უზენაესობის უზრუნველსაყოფად, საზოგადოება ქმნის დამოუკიდებელ სასამართლოებს და აღასრულებს კანონმდებლობას, რათა სახელმწიფოს ჰქონდეს უფლება გაატაროს საჭირო ზომები. თუმცა, მხოლოდ ინსტიტუციური მოწყობა სამართლის უზენაესობის დასამკვიდრებლად, საკმარისი არ არის. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სამართლის უზენაესობას ესაჭიროება ისეთი ადამიანების ჩართულობაც, რომლებიც ასაზრდოებენ მას, ასევე შესწევთ უნარი და სურვილი დაიცვან ის საჭიროების შემთხვევაში.

სამართლის უზენაესობა ერთ-ერთი ფართოდ აღიარებული იდეალია. მიუხედავად ამისა, ხშირად სამართლის უზენაესობა პოპულარულობას კარგავს, როდესაც მას ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიზნების წინაშე არსებულ დაბრკოლებად აღიქვამენ, როგორებიცაა, მაგალითად, კომუნიზმთან ან ისლამურ ტერორიზმთან ბრძოლა, სოციალურ კეთილდღეობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს პრინციპების, ან ეროვნული ღირებულებების დაცვა. ძალზედ მარტივია სამართლის უზენაესობის უგულვებელსაყოფად საჭირო მხარდაჭერის მობილიზება, როდესაც საფრთხე ემუქრება მნიშვნელოვან ღირებულებებს ან ინტერესებს. ამის მაგალითებია, კოვიდ-19 პანდემია, ისევე, როგორც „ომი ტერორიზმის წინააღმდეგ“. ასეთ შემთხვევებში, სამართლის უზენაესობას სჭირდება გმირები, რომლებიც მზად არიან დაიცვან, ან მსხვერპლი გაიღონ სამართლის უზენაესობის დასაცავად და იბრძოლონ მისი იდეალებისთვის, როდესაც ხელისუფლებები თუ ძლიერი საზოგადოებრივი ძალები, კანონიერი ან უკანონო საშუალებებით, თავს ესხმიან სამართლის უზენაესობას.

მოსამართლე

მოსამართლე სამართლის უზენაესობის დაცვის ბოლო ინსტანციაა. იგი ავტონომიური და ანგარიშვალდებული პროცესის შემოქმედია, სადაც მმართველები პასუხს აგებენ მათ მიერ ძალაუფლების განხორციელებისას გამოყენებულ მეთოდებზე. მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების

კანონისადმი შესაბამისობა და მათი კანონიერების ფარგლებში მოქცევა. სამართლის უზენაესობის პრინციპის თანახმად, სასამართლო უნდა იყოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენებისგან დამოუკიდებელი, ხოლო მოსამართლე ხელისუფლების სხვა შტოებისადმი ერთგულების ვალდებულებისგან თავისუფალი. მოსამართლეების შესწავლით, ჩვენ შეგვიძლია ჩავწვდეთ იმ ურთიერთქმედების არსს, რომელიც ყალიბდება სამართალს, ძალაუფლებასა და ზნეობრიობას შორის. სამოქალაქო სიმამაცე და სამართლის უზენაესობის დაცვისთვის მზაობა აუცილებელია ყველა სახელისუფლებო შტოს წარმომადგენლისათვის, თუმცა მოსამართლეთა შესწავლა იძლევა სიღრმისეულ ცოდნას და ასევე შთაგონებას, რომელიც ბევრად სცილდება მოსამართლის ოფიციალურ ფუნქციას.

მოსამართლე სამართლებრივი გადაწყვეტილების მიმღები პირის იდეალური სახეა. თავის შეფასებებში, მოსამართლე ვალდებულია დაეყრდნოს კანონს, საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და არაფერს სხვას. მოსამართლის პიროვნების გაანალიზებით, შეგვიძლია შევიქმნათ სიღრმისეული წარმოდგენა იმაზე, თუ რას მოითხოვს სამართალი გადაწყვეტილების მიმღებისაგან ერთგულების თვალსაზრისით, რას გულისხმობს ერთგულება და რა შემთხვევებშია შესაძლებელი კანონის დარღვევის გამართლება. მოსამართლის როლი ბევრს არაფერს გვაუწყებს სხვა პოზიციებზე მომუშავე იურისტების ფუნქციებზე და სრულად არ აღწერს პროფესიულ იურიდიულ ეთიკას. თუმცა, ამგვარმა კვლევებმა შეიძლება მოგვანოდოს ცოდნა იმ გამონევეების შესახებ, რომელსაც ნებისმიერი ადამიანი შეიძლება წააწყდეს, ვინც სამართლის დაცვას ემსახურება. სწორედ ამ მიზეზით არიან მოსამართლეები ამ წიგნის მთავარი გმირები, მიუხედავად იმისა, რომ წიგნის დასაწყისში აღწერილი ორი ისტორია საჯარო მოხელეების შესახებ მოგვითხრობს. არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, თუ როდის უნდა დავიცვათ კანონი და როდის გავიდეთ იურიდიული პასუხისმგებლობის ფარგლებს მიღმა, აქტუალურია ყველა იმ ადამიანის შემთხვევაში, ვინც სახელმწიფოს სახელით სამართლებრივ ძალაუფლებას ახორციელებს.

მოსამართლის ფუნქცია ეპოქებისა და ქვეყნების მიხედვით იცვლება და განსხვავებულია დემოკრატიულ და ავტოკრატიულ წყობილებებში. ერთი და იგივე არ არის ერთგულება კანონმდებლის მიმართ, რომლის მიზანიც სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებაა და იმ პირის მიმართ, ვინც საპირისპირო აზრის შეკავებას და ოპონენტების ჩახშობას

ცდილობს. მიუხედავად ამისა, მოსამართლის როლი უნივერსალური კომპონენტებისგან შედგება: სამართლისადმი ერთგულების ვალდებულება და სამართლის უზენაესობისკენ სწრაფვა. იმისათვის, რომ მოსამართლემ ეს მოლოდინები გაამართლოს, მას უნდა ჰქონდეს გარკვეული თვისებები, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი და უმთავრესი შემდეგი კლასიკური ფასეულობებია: სიბრძნე, სამართლიანობა, სიმტკიცე და ზომიერება.

მოსამართლის ერთგულება სამართლისაკენ მიემართება; სამართლის ერთგულება მოსამართლის უმნიშვნელოვანესი თვისებაა. ამის მიუხედავად, მოსამართლეები, ისევე როგორც ჩვეულებრივი მოკვდავები, ხანდახან პოპულარული სენტიმენტებისა და მოსაზრებების ზეგავლენის ქვეშ ექცევიან. კავშირი სამართალს და პოპულარულ რწმენებსა და ღირებულებებს შორის კომპლექსურია. ლოგიკური იქნება თუკი ვიტყვით, რომ სწორი გადაწყვეტილების მისაღებად, მოსამართლეს მოეთხოვება იმ პირთა „მიზნებისა და იდეალების გაცნობიერება და თანაგრძნობა“, რომლებსაც შეეხო კანონი, მათ შორის „ფართო საზოგადოების იმ ნაწილისაც, რომლის ინტერესებიც არ ემთხვევა“ მოსამართლის ინტერესებს.²³

ამგვარი სენტიმენტები, რწმენები და ღირებულებები ხანდახან შესაძლოა წინააღმდეგობაში მოდიოდეს სამართალთან, გამოიწვიოს მისი უგულვებელყოფა და დარღვევა, მათ შორის სასამართლოს მიერ ან სასამართლოს თანხმობით. როგორც სამართალი, ისევე პოლიტიკური მორალი მოითხოვს, მოსამართლეებმა აღმართონ ბარიერები ხელისუფლების ან საზოგადოების მხრიდან სამართლის უგულვებელყოფის მძლავრი მოწოდებების წინააღმდეგ. ძალიან გვიანდა გვჯეროდეს, რომ ეს ნამდვილად ასე ხდება.

ისტორია კი, ამასობაში, სავსეა უამრავი კონტრმაგალითით, იმდენად ბევრით, რომ შეიძლება ვიფიქროთ, სულაც პირიქითაა საქმე; გავლენიანი საზოგადოებრივი ძალების ზეწოლის წინაშე მოსამართლეები ფარ-ხმალს ყრიან. რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, მორალური ან სოციალური პანიკის პერიოდებში, მოსამართლეები სამართლის დარღვევაზე თანხმდებიან. ისტორიას უამრავი ასეთი მაგალითი ახსოვს.

სამართლის ღალატი მოსამართლეების მხრიდან არაერთხელ აღბეჭდილა მხატვრულ ლიტერატურაში ისეთი ავტორების მიერ, როგორებიც იყვნენ შექსპირი, კაფკა და მელვილი, „სიმართლისა და შერიგების“ კომისიების ანგარიშებში, მაგალითად, აპართეიდი სამხრეთ აფრიკაში და სამხედრო დიქტატურა ჩილეში, ასევე იურიდიულ და ისტორიულ სამეცნიერო ნაშრომებში. სურათი ყოველთვის იდენტურია. სასამართლოები ამართლებენ ხელისუფლებების მიერ ჩადენილ სისასტიკეს, იქნება ეს სამართალდარღვევები თუ რეჟიმის მიერ დანერგილი მჩაგვრელი კანონები. ისტორია ღალატობს იმ იდეალებს, რომლებიც სამართლის უზენაესობის, მოსამართლეებისა და ადვოკატების მხრიდან მისი დაცვის შესახებ გაგვაჩნია.

ზოგ შემთხვევაში, სამართალი, ცხოვრებაში გატარების კვალდაკვალ, ძლიერ წინააღმდეგობაში მოდის ფუნდამენტურ მორალურ პრინციპებთან. ზოგჯერ, ამორალურია უშუალოდ კანონი და საზოგადოებრივი ზენოლა, რომელიც კანონის უგულბელყოფას მოითხოვს. რას მოველით მოსამართლეებისგან, როცა კანონი ფუნდამენტურად დამაზიანებელია; მაინც უნდა დაცივან მათ ასეთი კანონი? და რას ვიტყვით იმ მოსამართლეებზე, რომლებიც ნებდებიან საზოგადოების ზენოლას? მოსამართლეებს უყვართ საკუთარი თავის სამართლის უზენაესობის დამცველებად წარმოჩენა, თუმცა როდესაც ჭეშმარიტად უნევთ არჩევანის გაკეთება კანონსა და სამართლიანობის იდეალებს შორის, ისინი უმეტეს შემთხვევაში, უპირატესობას კანონს ანიჭებენ, მაშინაც კი როცა კანონი დამაზიანებელია. ზოგად სურათზე თუკი ვისაუბრებთ, ქცევითი ნიმუში ასეთია: მოსამართლეთა უმეტესობა მხარს უჭერს სახელმწიფო ძალაუფლებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მთავრობას ძლიერი საზოგადოებრივი აზრი უმაგრებს ზურგს.

მრავალი წლის განმავლობაში, ჩემი კვლევის საგანს წარმოადგენდა სასამართლო და მოსამართლის როლი ავტორიტარულ რეჟიმებში. შედეგად, ასეთი რამ დავასკვნენ: ზოგადად, მოსამართლეები ემორჩილებიან ხელისუფლებაში მყოფთა შეხედულებებს, მაშინაც კი, როცა ეს უკანასკნელნი კანონმდებლობას ადამიანების შესავიწროებლად იყენებენ

ან სამართალს უგულვებელყოფენ.²⁴ მოსამართლეები ხდებიან იარაღი ხელისუფლების ხელში და სამართლის უზენაესობის დემონსტრაციის თანამონაწილეები. თუმცა, თუკი ჩავუღრმავდებით მოცემულობას, გამონაკლისებსაც ამოვიცნობთ. ნაცისტურ გერმანიაში, ბევრი მოსამართლე ცდილობდა გესტაპოს უფლებამოსილებების შეზღუდვას; ზოგიერთმა მათგანმა საკონცენტრაციო ბანაკების მწამებელთა პასუხისმგებლობაში მიცემაც კი სცადა.²⁵ ბრაზილიაში მოსამართლეებმა გაბედეს და გენერლებს დაუპირისპირდნენ,²⁶ რუმინეთის მაგისტრატი მოსამართლეები შეებრძოლნენ სახელისუფლებო ძალების მცდელობას - ჩაეხშოთ მოსამართლეების ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ,²⁷ ხოლო მოცემულ მომენტში, პოლონელი მოსამართლეები ცდილობენ მოიგერიონ პოლონეთის მთავრობის ორკესტრირებული თავდასხმა სამართლის უზენაესობაზე.²⁸

ვინ არიან ეს მოსამართლეები და რატომ არ არიან ისინი უფრო მეტნი? ეს წიგნი შეეცდება ამ კითხვებზე პასუხის გაცემას. პასუხები საინტერესო იქნება მათთვის, ვისთვისაც სულერთი არ არის იმის უზრუნველყოფა, რომ საჯარო ხელისუფლების განხორციელება ეფუძნებოდეს სამართალს და შეზღუდული იყოს სამართლის ძალით.

მოსამართლე, როგორც ხელისუფლების მსახური

1948 წელს, სამხრეთ აფრიკაში აპართეიდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ქვეყანა ოპოზიციური აზრის ავტორიტარული ჩაგვრის

24 იხილეთ Hans Petter Graver, *Judges Against Justice on Judges When the Rule of Law Is Under Attack, Berlin -Heidelberg 2015* and Hans Petter Graver, *Der Krieg der Richter: Die deutsche Besatzung 1940–1945 und der norwegische Rechtsstaat* (Baden-Baden: Nomos, 2019).

25 Hans Petter Graver, “Why Adolf Hitler Spared the Judges: Judicial Opposition Against the Nazi State,” *German Law Journal* 19 (2018), 845–878.

26 Marc J. Osiel, “Dialogue with Dictators: Judicial Resistance in Argentina and Brazil,” *Law and Social Inquiry* 20 (1995), 481–560.

27 “900 Days Of Uninterrupted Siege Upon the Romanian Magistracy: A Survival Guide,” Editura C.H. Beck București 2020, https://www.kas.de/documents/280457/0/900_days_EN_20201202.pdf/2d07e665-a8e3-b003-55c8-a0bae8b4ff6c?version=1.0&t=1609841294482, 113–116.

28 Lukasz Bojarski, “Civil Society Organizations for and with the Courts and Judges– Struggle for the Rule of Law and Judicial Independence: The Case of Poland 1976–2020,” *German Law Journal*, 22:7 (2021), 1344–1384. doi:10.1017/glj.2021.72

რეჟიმში გადავიდა. რეპრესიებისთვის გამოიყენებოდა ორი სამართლებრივი საფუძველი: აპართეიდი და საგანგებო კანონმდებლობა. ორივე მექანიზმი საერთო სამართლის ტრადიციებისა და ნიდერლანდების სამეფოს კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენდა, რომელთა მიხედვით, აღიარებული იყო კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი და ადამიანის თავისუფლების დაცვის ვალდებულება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული სამართლებრივი ცვლილებები სასამართლოებმა დაამტკიცეს. ნაცვლად იმისა, რომ საერთო სამართლის habeas corpus პრინციპი გამოეყენებინათ, სასამართლოებმა იურიდიულ ხერხებს მიმართეს, რითაც რეპრესიული კანონმდებლობის გავლენა კიდევ უფრო გააფართოვეს.²⁹

აპართეიდის რეჟიმის დაშლის შემდეგ, „სამართლისა და შერიგების კომისიამ“ აღნიშნული მოსამართლეების საქმის შესწავლა დაიწყო. კომისიისადმი მიწერილ წერილში, მოსამართლეთა ერთი ჯგუფი, შემდეგნაირად შეეცადა აპართეიდის დროს მათ მიერ დანერგილი პრაქტიკის დასაბუთებას:

განურჩევლად მოსამართლის პირადი პოზიციისა, არის ის პოლიტიკური სპექტრის მემარცხენე, ცენტრისტულ თუ მემარჯვენე მხარეს, თუკი, მას მისივე პიროვნული პრინციპების საწინააღმდეგოდ, შესწევს უნარი თავისუფლად უგულბელებს პროფესიული ფიცი, ასეთი მოსამართლე გმირად ვერ ჩაითვლება. ამგვარი ქცევა პატიოსნებას მოკლებულია და სასამართლო ხელისუფლების ბოროტად და ეგოისტურად გამოყენების ილუსტრაციაა. მსგავს შემთხვევაში, მოსამართლეს რჩება კეთილსინდისიერად მოქმედების მხოლოდ ორი გზა: დატოვოს თანამდებობა ან დაიცვას პროფესიული ფიცი.³⁰

აღნიშნული ამონარიდი გამომხატველია იმ მოსაზრებისა, რომელიც ფართოდაა გავრცელებული მოსამართლეებისა და სამართლის მკვლევრების წრეში, არა მხოლოდ სამხრეთ აფრიკაში, არამედ ზოგადად დასავლური სამართლებრივი ტრადიციების მქონე ქვეყნებშიც.

29 David Dyzenhaus, *Hard Cases in Wicked Legal Systems* (Oxford: Oxford University Press, 2010), 48–49.

30 “Report of the Truth and Reconciliation Commission of South Africa” vol. 4 (1998), s. 101, <https://www.justice.gov.za/trc/report/finalreport/Volume%204.pdf>

უამრავი მოსამართლე იზიარებს სამხრეთ აფრიკელი მოსამართლეების მოსაზრებას. აღნიშნული პოზიცია ასევე მიღებული და მხარდაჭერილია იურიდიული თეორიის, ასევე ლიბერალურ მეცნიერებათა მკვლევრების მიერ. მაგალითად, როგორც დევიდ დიზენჰაუსი აღნიშნავს: „მოსამართლის გადაწყვეტილება – არ გამოიყენოს ნორმა მხოლოდ იმიტომ რომ ის ამორალურია – ნიშნავს, რომ ის უარს ამბობს მოსამართლეობაზე, ვინაიდან სამართლებრივი წესრიგის ფუნდამენტური პრინციპია, რომ მოსამართლე ყველა შემთხვევაში უნდა იყენებდეს მოქმედ ნორმებს.“³¹ სამართლის ფილოსოფოსი, პოლონელი იეჟი ზაიადლო, ურჩი მოსამართლის საკითხს ოქსიმორონად მიიჩნევს.³²

როგორც იურისტს, ზოგჯერ სურვილი მიჩნდება დავეთანხმო სამხრეთ აფრიკელ მოსამართლეებს. იმავედროულად, ჩემი შინაგანი ხმა მენიშნავს. განა ეს უფრო თავის მართლების მცდელობა არაა, ვიდრე სამართლის უზენაესობის დაცვის გამოხატულება? ის რომ მოსამართლის დაუმორჩილებლობა ოქსიმორონია, არ არის ერთადერთი მყარი პოზიცია იურიდიულ თეორიაში. უდავო ავტორიტეტი, ჰ.ლ.ა. ჰარტი მიიჩნევს, რომ კანონი შეიძლება იყოს ძალიან უსამართლო გამოსაყენებლად და მოსამართლეს შესაძლოა ჰქონდეს მორალური ვალდებულება, არ გამოიყენოს ასეთი კანონი.³³ აუცილებელია, თანამდებობრივი ფიცი მოსამართლეს ბოჭავდეს კანონით და ასევე, აკისრებდეს მორალურ პასუხისმგებლობას თავის ქმედებებზე. კანონი თავისით ვერ აღსრულებს და თუკი კანონი ძალადობრივია, გამოდის, მისი აღმასრულებელი მოსამართლეც სჩადის ძალადობრივ ქმედებას. ის, რომ მოსამართლეს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა კანონის აღსრულებისთვის, სასამართლოს დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი კომპონენტია – მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს სანქციების ან სხვა შედეგების შიში თავისი სამუშაოს შესრულებისას. მაგრამ ეს სასამართლოს დამოუკიდებლობის არგუმენტად ვერ გამოდგება, როდესაც თავად კანონი ესხმის თავს სამართლის უზენაესობას. სამხრეთ

31 David Dyzenhaus, “The Grudge Informer Case Revisited,” *New York University Law Review* 83 (2008), 1000–1034, 1016.

32 იბოლეთი Zajadło Jerzy: Judicial disobedience, justice Lemuel Shaw and Commonwealth v. Aves, *Archiwum Filozofii Prawa i Filozofii Społecznej*, 3:32 (2022), 103–113. doi: 10.36280/AFPiFS.2022.3.103

33 H.L.A. Hart, *The Concept of Law* (Oxford: Oxford University Press, 1961), 203.

აფრიკელი მოსამართლეების პოზიციის გამართლება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ სამართლის ნორმათა იმგვარი განმარტებით, რომელიც გამორიცხავდა ეთიკურად ამაზრზენ შედეგებს, რაც ამ მოსამართლეებმა არ გააკეთეს. ამ მსჯელობას ნიგნის მე-15 თავში კვლავ დავუბრუნდები.

და რაც შეეხება თანამდებობიდან გადადგომას, როგორც ალტერნატივას? როდესაც ავტორიტარული ძალები ხელისუფლებაში მოდიან, მოსამართლეების უმეტესობა თანამდებობაზე რჩება და კანონმდებლობის აღსრულებას აგრძელებს ისე, როგორც ეს ხელისუფლებას სურს; აგრძელებს მაშინაც კი, როდესაც ხელისუფლება ქვეყნის სათავეში არაკანონიერი გზით მოდის, ხოლო კანონმდებლობას ოპოზიციის შესავინროებლად და საკუთარი პოლიტიკის გასატარებლად იყენებს.

გადადგომა ალტერნატივაა, თუმცა, მაინც არაა დამაკმაყოფილებელი გამოსავალი. როგორც ინდივიდუალური ქმედება, ეს მხოლოდ იმას გამოიწვევს, რომ იმავე თანამდებობას სხვა პირი დაიკავებს და ის გააგრძელებს რეჟიმის სახელით ჩაგვრას; შესაბამისად, გამოდის რომ გადადგომა მხოლოდ „პასუხისმგებლობის გადაბარებაა“ სხვაზე.³⁴ მოქალაქეებს უფლება აქვთ ჰქონდეთ ქმედითი სამართლებრივი სისტემა და სამართლიან სასამართლოზე წვდომის უფლება, თუნდაც ავტორიტარულ საზოგადოებაში. მათ ესაჭიროებათ სახელმეკრულეობო, ქონებრივი, ქორწინებასთან დაკავშირებული, და ა.შ. დავების მოგვარება და სჭირდებათ დაცვა კრიმინალისგან, რაც სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს, მაშინაც კი როდესაც სახელმწიფოს არაკეთილსინდისიერი ადამიანები მართავენ. მოქალაქეების მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, თუკი ყველა პატიოსანი მოსამართლე უარს იტყვის თანამდებობაზე. ეს ნიშნავს, რომ მოსამართლეებად დარჩებიან მხოლოდ არაკეთილსინდისიერი ან გულგრილად განწყობილი პირები, რაც რასაკვირველია, ვერ გააუმჯობესებს კანონმდებლობის მოქმედებას.

34 იხილეთ See Jefferey Brand-Ballard, *Limits of Legality: The Ethics of Lawless Judging* (Oxford: Oxford University Press, 2010), 177.

დიალოგი საქალაქო სასამართლოს მოსამართლესთან

ცოტა ხნის წინ ვესაუბრე ჩემს ძველ მეგობარს, საქალაქო სასამართლოს ყოფილ მოსამართლეს, კნუტ ერიკ სტრომს. ჩვენი საუბრის თემა შეეხებოდა სოციალური დაცვის სამსახურში მომხდარ სკანდალს. როგორ შეიძლებოდა ასეთი ფაქტის დაშვება, რომ მოსამართლეები ადამიანებს ციხეში სოცუზრუნველყოფის უწყების ანგარიშებზე დაყრდნობით უშვებდნენ, ევროპული კანონმდებლობის გამოყენების სისწორის გადამოწმების გარეშე? სახელმწიფო უწყებების ქმედებები უკანონობა იყო, ხოლო მოსამართლეები, თვით უზენაეს სასამართლოშიც კი, ამ უკანონობას ჩვეულებრივ მოცემულობად იღებდნენ.

„შევეცადე წარმომედგინა, თუ რას გავაკეთებდი მათ ადგილას“, – თქვა კნუტ ერიკმა. „იმ შემთხვევაში, თუ არცერთი მხარე არ წამოჭრიდა ევროპული კანონის საკითხს, მაშინ პასუხი მარტივია. მეც სხვების მსგავსად გავასამართლებდი ადამიანებს“.

„და რა მოხდებოდა, თუკი დაცვის მხარე ევროპული კანონმდებლობის საკითხს კითხვის ქვეშ დააყენებდა“, – ვკითხე მე. „რამდენიმე შემთხვევაში, ასეც მოხდა“.

„დარწმუნებული ვარ, ამ შემთხვევაში, ჩემი პირველი რეაქცია იქნებოდა კითხვის დასმა – ჰქონდათ თუ არა მათ უზენაესი სასამართლოს რომელიმე გადაწყვეტილება საკუთარი არგუმენტის გასამყარებლად. თუკი დაცვისგან უარყოფით პასუხს მივიღებდი, მაშინ შევეკითხებოდი პროკურორს, რამდენად ჰქონდა უზენაეს სასამართლოს განხილული თუნდაც ერთი საქმე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით“.

„კარგ პროკურორს ეს ხომ, წესით, დამოუკიდებლად უნდა მოეფიქრებინა“, – ვკითხე მე.

„რა თქმა უნდა, კი. ხოლო თუ პროკურორი დაასახელებდა საქმეს, რომლის ფარგლებშიც უზენაეს სასამართლოს გასამართლებელი ეყოლებოდა ადამიანი ევროპული კანონმდებლობის კითხვის ქვეშ დაყენების გარეშე, საქმე დაიხურებოდა (არსებობს უზენაესი სასამართლოს ორი მსგავსი გადაწყვეტილება). მეორე მხრივ, თუკი ასეთ პრეცედენტს ვერ დამისახელებდნენ, მოვისმინდი დაცვის მხარის პოზიციას. უნდა ვალიარო, დაცვას გაუჭირდებოდა ჩემი დარწმუნება, თუმცა ერთი ბრწყინვალე არგუმენტიც კი

საკმარისი იქნებოდა ჩემს დასარწმუნებლად, რომ ბრალდებული გამემართლებინა“.

„პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ არც ერთ ადვოკატს წარმო-
დგენა არ ჰქონდა, თუ რა ენერა ევროპულ კანონში“, – ვუთხარი მე.

„არის ერთი რამ, რაც მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, როდესაც საქმის განმხილველ მოსამართლეზე ვსაუბრობთ“, – ამბობს კნუტ ერიკი. „მარტივი არ არის საქმის განმხილველი მოსამართლისთვის დამოუკიდებლობის შენარჩუნება. შესაძლებელია, ყველაზე მადისციპლინირებელი ფაქტორი მოსამართლისთვის, კოლეგების (სხვა მოსამართლეების, პროკურორებისა და საბჭოს) წინაშე სახის დაკარგვის შიში იყოს. მე ამ შიშს „სულელის მახეში“ გაბმის შიშს ვუნოდებ“.

„სულელის მახეში“? – ვეკითხები მე.

„იმ შემთხვევაში, თუკი საქმის განმხილველი მოსამართლე ფრთხილი, ხელისუფლებისადმი ერთგული და ორიგინალურობას მოკლებულია, იგი უსაფრთხოდ გრძნობს თავს. ხოლო თუკი ნაკლებად ფრთხილია, ისე არ ემორჩილება ხელისუფლებას და მეტ ორიგინალურობას იჩენს გადაწყვეტილებებში, მას შესაძლოა აღმაცერადაც კი დაუნყონ ყურება.“

თუმცაღა, საბოლოო ჯამში, მას პატივისცემით მოეპყრობიან, უფრო მეტადაც კი, ვიდრე ფრთხილ და მორიდებულ მოსამართლეს. თუმცა, ოდნავ ნაკლები სიფრთხილე, დამოუკიდებლობა და ორიგინალურობა, მალე საკამათო ფიგურად გადააქცევს და ის კოლეგების, სასამართლოს თავმჯდომარის, პროკურატურისა და სხვა პირების დაკვირვების ობიექტი გახდება.

„რალაც მომენტში, რასაც თავად მოსამართლე გამბედაობად და დამოუკიდებლობად მიიჩნევს, სხვებმა შეიძლება მისი მახასიათებელი თვისებების და პირადი პრობლემების შედეგად აღიქვან. და როგორც კი ამ წერტილს მიაღწევს, ის სულელის მახეში გაბმული აღმოჩნდება. მას სერიოზულად აღარავინ აღიქვამს და ძალიან გაუჭირდება მახიდან თავის დახსნა. პრობლემა ისაა, რომ როდესაც მოსამართლე ამგვარ რეპუტაციას შეიძენს, მისი სამომავლო ქმედებები, ამ რეპუტაციის ფონზე შეფასდება“.

შეუძლებელია სოციალური კონფორმიზმის გავლენის ამაზე მკაფიოდ ახსნა.

უსამართლობის გამართლება მოსამართლის მიერ

კიდევ უფრო დიდი თავსატეხია იმის გაცნობიერება, თუ რატომ უჭერენ მოსამართლეები მხარს კანონდამრღვევ ხელისუფლებებს. თუმცა, მექანიზმი აქაც მარტივია. მოსამართლეები ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს სხვადასხვა მიზეზის გამო ემხრობიან. როგორც წესი, მოსამართლეები და ძალაუფლების მქონე სხვა პირები ერთსა და იმავე სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებიან.³⁵ მოსამართლე, რომელიც ცდილობს წინ აღუდგეს რეჟიმს, ხშირად, სოციალური სტატუსისა და კარიერული პრივილეგიების დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება ხოლმე.

ხელისუფლებაში მყოფებს ასევე შესწევთ სასამართლო სისტემის დასჯის უნარი.³⁶ ხელისუფალთ, რომლებიც მედიასაშუალებებს აკონტროლებენ, შეუძლიათ სასამართლო სისტემას თავს დაესხან ბრალდებით, რომ ისინი კორუმპირებულნი ან ქედმაღალი ელიტური წრის წარმომადგენლები არიან, რომლებიც საერთოდ ვერ ერკვევიან „უბრალო მოქალაქის“ ინდივიდუალურ გარემოებებსა და საჭიროებებში. თავდასხმა ასევე შეიძლება იქნას მიმართული კონკრეტული მოსამართლეებისა და მათი გადანაცვტილებების მიმართ. ასევე, კარგად აპრობირებული მეთოდია უმაღლესი ინსტანციის სასამართლოზე კონტროლის მოპოვება, სასამართლოს ლოიალური მოსამართლეებით დაკომპლექტების ან სხვა საშუალებების გამოყენებით. მოსამართლეთა მდგომარეობა ყველა ინსტანციის სასამართლოში ასევე შეიძლება შესუსტდეს, სამსახურიდან გათავისუფლებისგან დაცვის იმუნიტეტის მოხსნით ან ურჩობისთვის მოსამართლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენებით. საქმეების განაწილების გაკონტროლება კი შესაძლებელია სასამართლოს ერთგული თავმჯდომარეების მეშვეობით, რომლებიც ასევე წყვეტენ რესურსების, მათ შორის შვებულებისა და დანინაურების საკითხებს. ზოგიერთ შემთხვევაში, მოსამართლეებს პირდაპირ ეუბნებიან, თუ რა სახის გადანაცვტილება უნდა გამოიტანონ კონკრეტულ საქმეებზე.

თუმცა, ხშირად საჭირო არ ხდება კონკრეტული ზომების გატარება, რათა უზრუნველყოფილი იქნას მოსამართლეების მიერ კანონის მორ-

35 Björn Dressel, Raul Sanchez-Urribarri, and Alexander Stroh, “The Informal Dimension of Judicial Politics: A Relational Perspective,” *Annual Review of Law and Social Science* 13 (2017), 413–430.

36 იხილეთ მიმოხილვა და დისკუსია András Sajó, *Ruling by Cheating Governance in Illiberal Democracy* (Cambridge: Cambridge University Press, 2020), 66–81.

ჩილად გამოყენება ისე, როგორც ეს ხელისუფლებას სურს. პატივისცემა კანონის ავტორიტეტისადმი, ასევე უარყოფითი შედეგების შიში, ჩვეულებრივ, საკმარისია მითითებების შესასრულებლად. კანონის აღსრულება მოსამართლის ფუნქციის განუყოფელი ნაწილია, იმის მიუხედავად ეთანხმება თუ არა იგი სუბიექტურად ამგვარ კანონს. ეს ასევე ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, სადაც რეჟიმი ავტორიტარულია. მოსამართლის პიროვნებამ არ უნდა იმოქმედოს მისი განსჯის უნარზე. გარდა ამისა, სამართლის უზენაესობის მნიშვნელოვან ასპექტს ყველა შემთხვევაში სამართლის თანაბრად აღსრულება წარმოადგენს.

მაშასადამე, რთული მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რატომ ემსახურებიან მოსამართლეები ავტორიტარულ რეჟიმებს ნებაყოფლობით, მიუხედავად იმისა, რომ კარგად გააზრებული აქვთ სამართლის, სამართლიანობისა და სამართლის უზენაესობის ყველა იდეალი.

ხანდახან სახელმწიფოს მმართველი პირები ხელისუფლებაში არალეგიტიმური გზებით მოდიან, მათ შორის სახელმწიფო გადატრიალებით, ანექსიით, ოკუპაციით და სხვა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამგვარი მთავრობებიც კი, მხარდაჭერას იღებენ სასამართლო სისტემისგან, რომელიც, თავის მხრივ, მათ მიერ ჩადენილ ქმედებებს კანონიერ სახეს აძლევს.³⁷ ამის ერთ-ერთი მაგალითი მეორე მსოფლიო ომისდროინდელი გერმანიის ოკუპაციის ქვეშ მყოფი ნორვეგიაა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი ოკუპანტებისა და მათი ნორვეგიელი *Nasjonal Samling* (NS) კოლაბორაციული რეჟიმის მიერ დანერგილი კანონები უსამართლობა იყო, სასამართლო მათ მოქმედ სამართლებრივ ნორმებად აღიარებდა.³⁸ გრძელვადიან პერსპექტივაში კი, თითქმის შეუძლებელია მოსამართლემ არ აღიაროს იმ ზომების კანონიერება, რომელსაც ხელისუფლებაში მყოფები იღებენ. მოსამართლეები შესაძლოა პროტესტს გამოთქვამენ გარდამავალ პერიოდებში, მაგრამ, როგორც კი ახალი რეჟიმი იმკვიდრებს თავს, მათ სხვა გზა აღარ რჩებათ, გარდა იმისა, რომ დაემორ-

37 Tayyab Mahmud, "Jurisprudence of Successful Treason: Coup d'Etat & Common Law," *Cornell International Law Journal* 27 (1994), 49–140.

38 იხილეთ Hans Petter Graver, "National Socialism and the Law in Norway Under German Occupation, 1940–1945," in Stephen Skinner: *Ideology and Criminal Law: Fascist, National Socialist and Authoritarian Regimes* (Oxford: Hart, 2019), 187–205.

ჩილონ შექმნილ მდგომარეობას, თუკი რასაკვირველია, მოსამართლედ მუშაობის გაგრძელებას აპირებენ.

კიდევ ერთი გზა, რითაც ნებისმიერ რეჟიმს შეუძლია სასამართლოს გვერდის ავლით ჩაიდინოს უკანონო ქმედება, გახლავთ სასამართლოს იურისდიქციის შეზღუდვა. სამართლებრივი ნესრიგი ხშირად შეიცავს ისეთ ნორმებს, რომლებიც სასამართლოს უფლებამოსილებას კანონით ზღუდავენ. მაგალითად, სასამართლოსთვის მიმართვის შეზღუდვა, სასამართლოს იურისდიქციის შეზღუდვა გადასინჯოს ადმინისტრაციული დისკრეციის საქმეები.³⁹ ეს სამართლის უზენაესობას პრაქტიკული თვალსაზრისით აზრს უკარგავს. თუმცაღა, სასამართლოს იურისდიქციის შეზღუდვა შესაძლებელია ერთი შეხედვით კანონიერი საშუალებებითაც მოხდეს, მაგალითად, ისეთი კანონმდებლობის მიღებით, რომელიც პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს გარკვეულ ორგანოებს ან სექტორებს. ნაცისტებმა დაამტკიცეს კანონი, რომელიც სასამართლოს უკრძალავდა გესტაპოსა და *Schutz Staffel* (SS) საქმიანობის შემონიშნებას. სამხრეთ აფრიკის მთავრობამ კი მიიღო საგანგებო კანონი, რომლითაც აიკრძალა სასამართლოსა და პრესის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი.⁴⁰ მსგავსი კანონები უმეტესად გვხვდება ავტორიტარულ რეჟიმებში, თუმცა, ასევე ვაწყდებით სამართლებრივ სისტემებშიც, როდესაც მიიჩნევა, რომ ქვეყანაში ეროვნული უსაფრთხოების საკითხი დგას.

ზოგჯერ, ძლიერი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ზენოლის გამო, მოსამართლეები აღიარებენ კანონის დარღვევას ან მის უგულებელყოფას. მოსამართლეებიც ადამიანები არიან და ექცევიან სხვა ადამიანების მსოფლმხედველობისა და დამოკიდებულებების გავლენის ქვეშ. სამხრეთ აფრიკელი მოსამართლეების უმეტესობა რასისტული განწყობების თეთრკანიანი იყო, ხოლო 1930-იან წლებში მოღვაწე გერმანელი მოსამართლეების უმრავლესობას სჯეროდა, რომ ებრაელები საფრთხეს წარმოადგენდნენ გერმანელი მოსახლეობისთვის. ეს მოსამართლეები

39 Adam Shinar, "One Rule to Rule Them All? Rules of Law against the Rule of Law," *The Theory and Practice of Legislation* 5:2 (2013), 149–170. doi: 10.1080/20508840.2017.1335014

40 Nicholas Haysom and Clive Plasket, "The War Against Law: Judicial Activism and the Appellate Division," *South African Journal on Human Rights* 4 (1988), 303–333.

აქტიურად მონაწილეობდნენ ებრაელი ხალხისთვის გერმანიის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების ჩამორთმევის პროცესში.

მოსამართლემ შესაძლოა კანონი დაარღვიოს იმის გაუცნობიერებლად, რომ ის კანონს არღვევს. ნორვეგიის სოცუზრუნველყოფის სააგენტოს სკანდალი სწორედ ამის მაგალითია. ადამიანები ციხეში ჩასვებს ისეთი ქმედების ჩადენისათვის, რაც უკანონობა არანაირად არ იყო, და მხოლოდ იმიტომ, რომ არც პროკურორებმა და არც მოსამართლეებმა ეჭვქვეშ არ დააყენეს სოციალური დაცვის ნორმის კანონიერება ევროპული კანონმდებლობით აღიარებული თავისუფალი გადაადგილების უფლების ფარგლებში. შედეგად, საზოგადოების ზენოლა სოციალური შეღავათის მიმღებთა მიმართ, რომლებიც ნორვეგიის სახელმწიფოს მიერ გაცემულ სოციალურ დახმარებას სხვა ქვეყნებში იღებდნენ, ასევე ტრადიციული ნდობა საჯარო ხელისუფლების მიმართ, ნორვეგიაში თანამედროვეობის უდიდესი იურიდიული სკანდალის საფუძველი გახდა.

ნორვეგიაში, ისევე როგორც სხვა სკანდინავიურ ქვეყნებში, ურთიერთობა ხელისუფლების წევრებს შორის, ასევე ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის ნდობის უმაღლეს ხარისხზეა დამყარებული. მოსამართლეები ხელმძღვანელობენ მიდგომით, რომ საჯარო ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ პატივი სცეს კანონს და დაიცვას სამართლის უზენაესობა. თუმცა, ეს ყოველთვის ასე არ ხდება, განსაკუთრებით კი ევროპულ კანონმდებლობასთან მიმართებაში, როდესაც სახელმწიფო უწყებები, ეროვნული პოლიტიკის განხორციელების მიზნით, ხშირად ცდილობენ დაადგინონ საკუთარი საქმიანობის საზღვრები იქ, სადაც ევროპული კანონმდებლობა ამის საშუალებას იძლევა. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო უწყებებს ევროპულ სამართალთან დამოკიდებულებაში იურიდიული სუბიექტის პოზიცია უკავიათ და არა კანონის დამცველის პოზიცია, რაც მათი სტანდარტული მიდგომაა ეროვნულ სამართალთან მიმართებაში.⁴¹ თუკი მოსამართლეები მთავრობის საქმიანობის შემოწმებისას ამას

41 იხილეთ Carl Baudenbacher, “Room for Manoeuvre” Is the Real Reason for Norway’s EEA Scandal, VerfBlog, 2019 წლის 20 ნოემბერი, <https://verfassungsblog.de/room-for-manoeuvre-is-the-real-reason-for-norways-eea-scandal/>. ამ მიდგომის კრიტიკული ანალიზისთვის, იხილეთ doi: <https://doi.org/10.17176/20191122-002032-0> (ბოლოს ნანახია 10.05.2013?).

ვერ დაინახავენ, მათ შეიძლება მწვანე შუქი აუნთონ უკანონობას, როგორც ეს სოცუზრუნველყოფის სააგენტოს საქმეში მოხდა.

წინააღმდეგობის პირველი მარცვალი

მოსამართლეთა უმეტესობა ხელისუფლებასა და საზოგადოებრივ აზრს ემორჩილება. საბედნიეროდ, არსებობენ გამონაკლისები. ნაცისტურ გერმანიაში იყვნენ მოსამართლეები, რომლებიც უარს ამბობდნენ მორჩილებაზე და ცდილობდნენ რეჟიმის ქმედებების გამოსწორებას.⁴² სამართლის გმირი არის მოსამართლე, რომელიც უზარმაზარი წნეხის, ხშირად, პირადი რისკის ფასადაც კი, იცავს ფუნდამენტურ სამართლებრივ პრინციპებს და სამართლის უზენაესობას. ამ წიგნში, ჩვენ გავეცნობით სხვადასხვა ქვეყანასა და სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მოღვაწე სამართლის ცამეტ გმირს.

სამართლის გმირის ტიტულის დამსახურება, მრავალი საშუალებითაა შესაძლებელი. რამდენიმე წლის წინ, ინგლისურ გაზეთში *Guardian* იბეჭდებოდა სტატიების სერია, რომლის ფარგლებშიც იურისტები აქვეყნებდნენ ისტორიებს, მათი რჩეული სამართლის გმირების შესახებ.⁴³ პერსონაჟებს შორის იყვნენ მოსამართლეები, ადვოკატები და მკვლევრები.

არაერთმა მოსამართლემ დაიმსახურა ქება-დიდება ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებისა და უფლებების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის. მათ შორის იყვნენ რუთ ბეიდერ გინსბურგი, ერლ უორენი და კორნჰილის წარმომადგენელი ლორდი ბინგჰემი. მკვლევრებსაც აქვთ შესაძლებლობა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ სამართლის განვითარებაში და გახდნენ აღფრთოვანების ობიექტები. ფილიპ სენდსის მხრიდან უზარმაზარი პატივისცემა და აღიარება დაიმსახურა ჰერშ ლაუტერპახტმა, მის მიერ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სისტემის ფორმირებაში

42 იხილეთ Hans Petter Graver, "Why Adolf Hitler Spared the Judges: Judicial Opposition Against the Nazi State." *German Law Journal* 19:4 (2018), 845–877.

43 "Legal Heroes," *The Guardian*, 2010 წლის 22 აგვისტოდან 2011 წლის 10 თებერვლამდე, ყველა ხელმისაწვდომია აქ: <https://www.theguardian.com/law/series/legal-heroes>

შეტანილი წვლილისთვის. სენდსის ავტორობით შექმნილი ცნობილი ბესტსელერი, *East West Street*, მოგვითხრობს ლაუტერპახტსა და რაფაელ ლემკინზე, რომლებმაც, მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტების მიერ განხორციელებული სისასტიკეების შემდეგ, შეიმუშავეს თეორია გენოციდისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შესახებ.

Guardian-მა ასევე დიდი პატივისცემით აღნიშნა სახელგანთქმული ადვოკატების, მათ შორის რობერტ ფ. კენედის, ლუიზ არბორის, ნორმან ვაშინგტონ მენლის და კლარენს დაროუს, გმირული ბრძოლა საზოგადოების მტრების წინააღმდეგ, ასევე ჩაგრულთა და უფლებანართმეულთა და ზოგადად ადამიანის უფლებების დასაცავად მათ მიერ გაღებული წვლილი. დოქტორ აივი უილიამსმა კარი გაულო ქალებს საადვოკატო პროფესიაში და ზოგადად, ხელი შეუწყო ქალების თვალსაწიერის გაფართოებას მხოლოდ იმით, რომ იგი ინგლისისა და უელსის ადვოკატთა ასოციაციის პირველი ქალი წევრი გახდა. ამ მიზეზთა გამო, ის დღემდე აღფრთოვანების ობიექტია.

საგაზეთო სტატიების ერთ-ერთმა ავტორმა, ინგლისისა და უელსის იურიდიული საზოგადოების ყოფილმა პრეზიდენტმა ლინდა ლიმ არჩევანი შეაჩერა თომას მურზე „მისი ენთუზიაზმისა და სამართლის უზენაესობისადმი ერთგულების გამო“.⁴⁴ სერ თომას მური ისტორიაში შევიდა როგორც ლორდი კანცლერი, რომელმაც უარი თქვა პარლამენტის მიერ დამტკიცებული აქტის შესრულებაზე, რადგან ჩათვალა, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა საღვთო კანონებს და „მაგნა კარტას“ მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ ეკლესია უნდა ყოფილიყო თავისუფალი, დამოუკიდებელი და ხელშეუხებელი.

გმირად შერაცხვის მრავალი გზა არსებობს, თუმცა თომას მურის ისტორია ყველაზე ახლოსაა იმასთან, რა განმარტებასაც წინამდებარე წიგნი გთავაზობთ სამართლის გმირის შესახებ. ჩემი დიდი სურვილია შევისწავლო მოსამართლეები, რომლებმაც გამოავლინეს სიმამაცე, ზომიერება, სიბრძნე, სამართლიანობა და ბრმად არ მიჰყვნენ კანონებს. ასევე, მსურს განვიხილო რთული საკითხი – რამდენად ეკისრება

44 Linda Lee, “My Legal Hero,” *The Guardian*, 2011 წლის 12 იანვარი, <https://www.theguardian.com/law/2011/jan/12/my-legal-heroes-thomas-more>

მოსამართლეს მორალური პასუხისმგებლობა სამართლის უზენაესობის დაცვისას, იმის მიუხედავად, თუ რა წერია პოზიტიურ სამართალში.

ჩემი კვლევის ფოკუსს არ წარმოადგენენ ბრწყინვალე იურისტები ან მოსამართლეები, რომელთა მემკვიდრეობაც მნიშვნელოვან სამართლებრივ მოვლენებსა და საეტიკო გადანყვეტილებებს დაედო საფუძვლად. დღესაც კი, სასამართლოები ხშირად ციტირებენ ცნობილ ინგლისელ მოსამართლეს, ლორდ მენსფილდს, რომლის ისტორიული გადანყვეტილებითაც შესაძლებელი გახდა კანონმდებლობის მორგება მეთვრამეტე საუკუნის ინგლისში მიმდინარე ცვალებად პირობებზე, სამართლებრივ და ზნეობრივ პრინციპებზე დაყრდნობით.⁴⁵ ლორდი მენსფილდი, ერთი მხრივ, შეიძლება ჩაითვალოს სამართლის გმირის თვალსაჩინო მაგალითად. თუმცა, ამის საპირისპიროდ, ჩემი პერსონაჟები არიან მოსამართლეები, რომლებმაც დაიცვეს სამართლის უზენაესობა ისეთ გარემოებებში, როდესაც მას საფრთხე ხელისუფლებაში მყოფი პირების, საზოგადოებრივი აზრისა და ზოგჯერ კანონმდებლობის მხრიდანაც კი ემუქრებოდა. თუმცა, მხოლოდ იმის გამო, რომ წიგნში ისინი საჯარო ხელისუფლების მოხელეების რანგში მოქმედებენ, შესაძლოა, ზოგიერთმა თქვენგანმა, მათი საქმიანობა გარკვეულ გარემოებებში სამოქალაქო დაუმორჩილებლობადაც კი ჩათვალოს.

ყველა მათგანს აერთიანებს ერთი რამ: ისინი დაუპირისპირდნენ ხელისუფლებას და უარი თქვეს სახელმწიფოს მორჩილ მსახურებასა და რეპრესიების იარაღად საკუთარი თავის შეთავაზებაზე. ერთ შემთხვევაში, მათ დაიცვეს კანონი, რომელსაც სახელმწიფო ორგანოები არღვევდნენ. მეორე შემთხვევაში, დაუპირისპირდნენ ამორალურ და მჩაგვრელ კანონებს. მესამე ჯგუფში კი ის გმირები შედიან, რომლებიც ჩაებნენ ბრძოლაში საჯარო მოხელეების წინააღმდეგ, კონკრეტული კანონმდებლობის შემუშავებასთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ, თუ რამდენად არის დამოკიდებული ჩვენი სამართლებრივი დაცვა იმ პატიოსან და კეთილსინდისიერ მოსამართლეებზე, რომლებიც სამართლის უზენაესობას უზრუნველყოფენ. ოცდამეერთე საუკუნის, დასავლური სამართლებრივი ტრადიციების მქონე თვითკმარი სამართლებრივი წესრიგის პირობებშიც კი, აბსო-

ლუტურად შესაძლებელია საშინელებები მოხდეს. 1920-იან და 1930-იან წლებში, შეერთებული შტატები და სკანდინავიის ქვეყნები პიონერები იყვნენ „გონებასუსტი“ პირების იძულებითი სტერილიზაციის პრაქტიკის მხრივ, რომლის მიზანსაც საზოგადოებისთვის სოციალური პრობლემის თავიდან არიდება წარმოადგენდა. სწორედ ეს ფაქტორი იქცა ნაცისტური კანონმდებლობის მოტივაციად და გამართლებად, რამაც შემდგომში უპრეცედენტო ძალადობის სახე მიიღო.

კიდევ ერთ მაგალითად გამოდგება ჩვენს უახლეს ისტორიაში მომხდარი კოვიდ-19 პანდემია. პანდემიამ „უკიდურესი ზენოლა მოახდინა სამართლებრივ სისტემებზე მთელს მსოფლიოში“ და გამოავლინა „ძალაუფლების (ბოროტად) გამოყენების საფრთხეები საგანგებო მდგომარეობის დროს“.⁴⁶ ნორვეგიაში პანდემიამ მთელი რიგი პრობლემები შექმნა კონსტიტუციის ფუნდამენტური ნორმების აღსრულების კუთხით. ლოკდაუნი ნორვეგიაში 2020 წლის 12 მარტს დამტკიცებული ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე გამოცხადდა, გადანყვტილებით, რომელიც არღვევდა კონსტიტუციის მოთხოვნას. ადმინისტრაციული აქტის თანახმად, ზემოაღნიშნული გადანყვტილების მიღება მთავრობის კომპეტენციაში შედიოდა. ნორვეგიის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის აქტით განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლები მთავრობამ და ადგილობრივი ხელისუფლებების ორგანოებმა უკიდურესად გააფართოვეს, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი რამ უპირობოდ გამოიწვევდა კონსტიტუციით დაცული უფლებების შორს მიმავალ შეზღუდვებს. კანონი კორონას შესახებ ფარულად მომზადდა. კანონით შემოთავაზებული იქნა ხელისუფლებისთვის უფლებამოსილების გადაცემა, რაც კონსტიტუციით დაშვებული მაქსიმალური უფლებამოსილება იყო.

მსოფლიოში დემოკრატიის მდგომარეობის შემფასებელი სხვადასხვა პროექტი არსებობს, რომლებიც ერთხმად აღიარებენ, რომ დემოკრატია დაღმასვლას განიცდის.⁴⁷ V-Dem-ის მიერ 2022 წელს მომზადებულ

46 Joelle Grogan and Julinda Beqiraj, “The Rule of Law as the Perimeter of Legitimacy for Covid-19 Responses.” In Joelle Grogan and Alice Donald (eds.), *Routledge Handbook of Law and the COVID-19 Pandemic* (p. 201) (London: Routledge, 2022).

47 იხილეთ Bastian Herre. “The World Has Recently Become Less Democratic,” *Our World in Data*, 2022 წლის 06 ნოემბერი, <https://ourworldindata.org/less-democratic>

ანგარიშში დემოკრატიის მდგომარეობის შესახებ აღნიშნულია, რომ დემოკრატიის დონე, რომლითაც საშუალო სტატისტიკური გლობალური მოქალაქე 2021 წელს სარგებლობდა, შემცირდა 1989 წლის მაჩვენებლამდე და რომ ბოლო 30 წლის დემოკრატიული მიღწევები ფაქტობრივად აღარ არსებობს.⁴⁸ Freedom House-ის მტკიცებით, „მსოფლიოს ყველა რეგიონში, დემოკრატიას თავს ესხმიან პოპულისტური ლიდერები და ჯგუფები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან პლურალიზმს და ითხოვენ უკონტროლო ძალაუფლებას მათი მხარდამჭერების ინტერესების გასათარებლად, როგორც წესი, უმცირესობებისა და სხვა მოჩვენებითი მტრების ხარჯზე“.⁴⁹

როგორც ჩანს, სასამართლო სისტემა დემოკრატიის გარშემო მიმდინარე ბრძოლების მთავარი პოლიგონია. სასამართლოებისა და მართლმსაჯულების ცენტრალური ადგილი აშკარაა იმით, რომ ბევრი „სამართლის უზენაესობის რეგრესს“ იყენებს როგორც საკვანძო ტერმინს, რათა აღწეროს და გაანალიზოს უნგრეთსა და პოლონეთში განვითარებული მოვლენები. სამართლის უზენაესობის რეგრესი შემდეგნაირად განიმარტება:

პროცესი, რა დროსაც არჩეული საჯარო ხელისუფლება მიზანმიმართულად ახორციელებს სამთავრობო გეგმას ძალაუფლების შიდა კონტროლის მექანიზმების სისტემატურად შესასუსტებლად, გასანადგურებლად ან ხელში ჩასაგდებად, ლიბერალური დემოკრატიული წყობის დემონტაჟისა და დომინანტი პარტიის გრძელვადიანი მმართველობის გამტკიცების მიზნით.⁵⁰

ამ განმარტების ცენტრალური საკითხია იურიდიული ინსტიტუტების სისტემატური და მიზანმიმართული ხელში ჩაგდება. სამართლის უზენაესობის რეგრესი გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი ავტონომიის

48 V-Dem Institute, *Democracy Report*, University of Gothenburg, 2022, გვ. 6, https://www.v-dem.net/documents/19/dr_2022_ipyOpLP.pdf

49 “Democracies in Decline,” Freedom House, accessed NAR?, <https://freedomhouse.org/issues/democracies-decline>

50 L. Pech and K. Scheppele (2017). “Illiberalism Within: Rule of Law Backsliding in the EU.” *Cambridge Yearbook of European Legal Studies* 19 (2017), 3–47. doi: 10.1017/cel.2017.9 გვ. 10.

ხარვეზებს. ევროკომისიის მიერ მომზადებულ ანგარიშებში სამართლის უზენაესობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, მთავარი შეფოთება გამოთქმულია პოლონეთისა და უნგრეთის შესახებ, რომლებიც ევროკავშირის მე-7 მუხლის პროცედურას ექვემდებარებიან.⁵¹ 2020 წლის ანგარიშში „ევროკავშირში სამართლის უზენაესობის მდგომარეობის შესახებ“ ნათქვამია, რომ კომისია სწავლობს პოლონეთის მართლმსაჯულების სისტემის მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ „პოლონეთში 2015 წლიდან განხორციელებული მართლმსაჯულების რეფორმები აზრთა სხვადასხვაობის მთავარი მიზეზი გახდა, როგორც ადგილობრივ, ასევე ევროკავშირის დონეზე და გამოიწვია მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთაგან რამდენიმე დღემდე გადაუჭრელია“.⁵² წინამდებარე ნიგნში აღწერილი ერთ-ერთი ისტორია პოლონეთში სამართლის უზენაესობისთვის ბრძოლას შეეხება.

ზოგჯერ ამბობენ, რომ საერთო სამართლის სისტემაში მოსამართლეები უფრო მედეგები არიან ავტორიტარული რეჟიმების მიმართ, ვიდრე სამოქალაქო სამართლის სისტემაში.⁵³ ამ საკითხის ემპირიულად დასაბუთებას ართულებს მეთოდოლოგიური პრობლემები. თუმცა, ისტორიაში მოგვეპოვება მკაფიო მაგალითები იმისა, რომ ხელისუფლების წნეხის ქვეშ მყოფი სამართლის უზენაესობის დაცვა ყოველთვის არ არის დამოკიდებული საერთო სამართლის მოსამართლეზე. მიუხედავად იმისა, რომ დევიდ დიზენჰაუსს მტკიცედ სწამს საერთო სამართლის პრინციპების, თავის დეტალურ კვლევაში „სამხრეთ აფრიკაში აპართეიდის პირობებში სამოქალაქო უფლებების დაცვის შესახებ“, აღნიშნავს, რომ მოსამართლეების უმეტესობა ხელმძღვანელობდა „მარტივი ფაქტის“ (როგორც დიზენჰაუსი უწოდებს) მიდგომით, რაც მათ რეჟიმის ავტორიტარული ქმედებების გამართლებისკენ უბიძგებდა.⁵⁴ თვით ინგლისშიც კი, რომელიც საერთო სამართლის აკვნად მიიჩნევა, მოსამართლეებმა აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პოლიციის ამკარა უკანონო

51 იხილეთ ევროპარლამენტის, ევროსაბჭოს, ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომისიის და რეგიონების კომისიისთვის გაგზავნილი კომისიის ანგარიში, 2022 წლის სამართლის უზენაესობის ანგარიში. COM(2022) 55 საბოლოო, EUR-Lex – 52022DC0500 – EN – EUR-Lex (europa.eu).

52 COM(2020) 580 საბოლოო.

53 იხილეთ, მაგალითად, Kühn, Zdeněk, “The Judiciary in Illiberal States,” *German Law Journal* 22: 7 (2021), 1231–46. doi: 10.1017/glj.2021.71. გვ. 1239.

54 Dyzenhaus, *Hard Cases in Wicked Legal Systems*.

ქმედებები 1914-1945 წლების სოციალური მღელვარებების დროს ლეგიტიმურად აღიარეს. ივინგისა და გეარის თქმით, არ მოიძებნება არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე კანონმდებლობის შესახებ, მიღებული 1914-1945 წლებში, რომლითაც შეიზღუდა პირადი და პოლიტიკური თავისუფლებები სამოსამართლო განმარტების საფუძველზე⁵⁵.

პლურალისტურ საზოგადოებაში, სადაც არსებობს საკანონმდებლო ორგანო და მთავრობა, რომლებიც პატივს სცემენ სამართლის უზენაესობის პრინციპებს, მოქალაქეებს უმეტესწილად იმედი აქვთ, რომ სასამართლო მათ დაიცავთ, თუკი უკანონო და არასამართლიან ზემოქმედებას დაექვემდებარებიან ხელისუფლების მხრიდან. ამასთან, ისიც არ დაგვაინწყდეს, რომ საზოგადოების გარკვეული ჯგუფები უფრო მეტად მონყვლადები არიან. დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელიც სამართლის უზენაესობის პრინციპებით იმართება, ნორმალურ პირობებში, როგორც წესი, კანონი თავის ფუნქციას ასრულებს. მაგრამ, როდესაც საზოგადოება გრძნობს საფრთხეს, როდესაც საზოგადოებრივ აზრს კოლექტიური სიბეცე ახასიათებს, ან, როდესაც ავტორიტარული მმართველი ხელში იგდებს ქვეყნის მართვის სადავეებს, ისტორია გვიჩვენებს, რომ სასამართლო ვეღარ იცავს მათ, ვინც სახელმწიფოსგან ძალადობას განიცდის, მიუხედავად სასამართლო სისტემაში არსებული წინააღმდეგობის მარცვლებისა.

გმირი

როგორ ყალიბდება გმირი? პასუხი: პიროვნული თვისებების, კონტექსტისა და მორალური პრინციპების ერთობლიობის საფუძველზე. ადამიანებს, რომლებიც ძალაუფლებას უპირისპირდებიან, ერთი რამ აერთიანებთ: ისინი თვითონ ირჩევენ საკუთარ გზას და არ ჰგვანან სხვებს. სოციალური ფსიქოლოგიიდან ვიცით, რომ პიროვნება შეიძლება დაექვემდებაროს თანამემამულეებისგან მომდინარე უზარმაზარ წნეხს. გმირები ასეთ ზენოლას უპირისპირდებიან და უმკლავდებიან. ეს შესაძლოა მოხდეს მათი პიროვნული თვისებების დამსახურებით,

55 K.D. Ewing and C.A. Geary, *The Struggle for Civil Liberties Political Freedom and the Rule of Law in Britain 1914-1945* (Oxford: Oxford University Press, 2000), 29. აგრეთვე იხილეთ დასკვნები მე-8 თავში.

თუმცა ასევე, უბრალოდ, იმის გამო, რომ ისინი არიან ადამიანები, რომლებიც აზროვნებენ და აცნობიერებენ, რომ მათ პირადად ეკისრებათ პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე.

თუმცა, ოპოზიციაში ყოფნა საკმარისი არ არის, რომ გმირად ჩაითვალოს. გმირობა აუცილებლად შეიცავს რისკის ელემენტს. რისკი კი შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. გმირი მინიმუმ რისკავს იმით, რომ შესაძლოა დაზარალდეს მისი საზოგადოებრივი რეპუტაცია, კარიერა ან სხვა პრივილეგიები. ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა საფრთხე მის პირად უსაფრთხოებას ან სიცოცხლესაც კი დაემუქროს. გმირობა ხშირად უამრავი რამის დაკარგვას გულისხმობს.

იმისთვის, რომ ადამიანი გმირად იწოდებოდეს, ის სწორ მხარეს უნდა დადგეს. ამიტომაც, აუცილებელია გმირის ქმედებების მორალური შეფასება. ზოგჯერ, მაგალითად, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულებების, გენოციდის და მონობის შემთხვევებში, ყველასთვის აშკარაა რა იქნება სამართლიანი მაშინაც, თუ ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ გაამართლონ თავიანთი პოლიტიკა აუცილებლობით ან ერის კეთილდღეობაზე ზრუნვის მოტივით. სხვა შემთხვევები კი, უფრო საკამათოა. ბევრი თვლის, რომ დონალდ ტრამპი, პრეზიდენტის რანგში, კეთილი მიზნებისთვის იბრძოდა, როდესაც იმ კორუმპირებულ პოლიტიკურ ელიტას დაუპირისპირდა, ძალაუფლების უზურპაცია რომ მოახდინა საკუთარი ინტერესებისთვის და უბრალო მოსახლეობის საზიანოდ. სხვებს კი მიაჩნიათ, რომ ტრამპი საფრთხეს წარმოადგენს ეროვნული და საერთაშორისო ინსტიტუტებისთვის, რომლებიც დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის დასაცავადაა შექმნილი. ამ ყველაფერს ისტორია განსჯის. მანამდე კი, საჭიროა ყველამ საკუთარი აზრი ჩამოიყალიბოს, სასურველია, რაციონალური რეფლექსიის გზით.

სამართლის გმირი არის ადამიანი, რომელსაც არ შესწევს ძალა საკუთარი სინდისი ამორალურ ან ეთიკური თვალსაზრისით საკამათო ამოცანებს მოარგოს, რაც, როგორც წესი, თან ახლავს მოსამართლის ან სამართლის აღმასრულებლის ოფიციალურ თანამდებობას. უმეტეს ჩვენგანს სურს სულიერი სიმშვიდე და მტკივნეული კონფლიქტების თავიდან არიდება, როდესაც არჩევანის გაკეთება მიდგომებსა და ქმედებებს შორის გვიწევს. ამიტომ, უმარტივესი გამოსავალია სიტუაციისადმი ჩვენი მიდგომების და ემოციების ადაპტირება შემდეგი მსჯელობით: „ჩემი საქმე არაა იმის გადაწყვეტა, თუ რა არის სწორი ან

არასწორი; მე თუ არ გავაკეთებ ამას, გააკეთებს სხვა“, და ა. შ. გმირი ასე არ ფიქრობს და საკუთარ სინდისს არ არგებს სიტუაციას. ჩვენ ყველაზე დრამატული კონფლიქტების მოწმენი ვხდებით კრიტიკულ სიტუაციებში, თუმცა კონფლიქტი შეიძლება ნებისმიერ საზოგადოებაში და ნებისმიერ დროს წარმოიშვას.

1945 წელს ნაცისტური გერმანიის დაცემის შემდეგ, იურისტებსა და პოლიტიკოსებს შორის გაიმართა მწვავე დებატები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლებოდა იმის დაშვება, რომ ამაყი გერმანული სასამართლო სისტემა ნაცისტების მორჩილ მსახურად გადაიქცა. ერთ-ერთი ახსნა, რომელიც არ იქნა უარყოფილი, იყო ის, რომ იურისტებსა და მოსამართლეებს არ გააჩნიათ გმრობის ტრადიცია ან სურვილი, სამართლის უზენაესობისთვის ბრძოლას თავი რომ შესწირონ.⁵⁶ სხვა პროფესიების წარმომადგენლები, მათ შორის პოლიციელები, მეხანძრეები და მეზღვაურები, ხელმძღვანელობენ პროფესიული ეთიკით, რაც მათგან მზაობასა და ნება-სურვილს მოითხოვს – დათმონ სიცოცხლე საკუთარი პროფესიისთვის. მეხანძრემ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რაც მის ძალებშია, რომ ადამიანის სიცოცხლე იხსნას, თუნდაც ეს უსაფრთხოების რისკის ფასად დაუჯდეს, ხოლო გემის კაპიტანი, უკანასკნელი ტოვებს ჩაძირულ ხომალდს. იურისტს კი კარიერასა და სამართლის უზენაესობას შორის შეუძლია არჩევანი კარიერის სასარგებლოდ გააკეთოს და, იმავდროულად, თავიდან აირიდოს ლაჩრად მოხსენიების საფრთხე.

თუმცაღა, წინააღმდეგობის მარცვალი უკვე არსებობს, რადგან ბევრი მოსამართლე სავარაუდოდ შინაგანად არ ეთანხმება და უკმაყოფილოა, როდესაც ხედავს ან იყენებს ისეთ კანონებსა და სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც არღვევენ სამართლის წინაშე თანასწორობის, სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და საჯარო ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისგან დაცვის პრინციპებს. უბრალოდ, მათ რაიმეს შეცვლა არ ძალუძთ. როგორც ვნახეთ, ამის მრავალი მიზეზი არსებობს, თუმცა ერთ-ერთი ფაქტორი შეიძლება იყოს შთაგონებისა და ფსიქოლოგიური მზაობის ნაკლებობა.

56 Oberlandesgerichtsrat Dr Robert Figge, Die Verantwortlichkeit des Richters, *Süddeutsche Juristen-Zeitung* 2:3/4 (1947), 179–184.

ჩვენ ყველას გვჭირდება გმირები. გმირები არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ მხარდაჭერის მობილიზება, ჩვენი შთაგონება და გამხსნევა, რათა ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმის წარმოჩენა შევძლოთ. გმირები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფოების მშენებლობაში, ამიტომაც, ნორვეგიელები სიამაყით იხსენებენ მეფე ჰააკონის „არა!“-ს, რომელიც მან გერმანელების მისამართით წარმოთქვა 1940 წლის აპრილში, ასევე უზენაესი სასამართლოს გადადგომას იმავე წლის დეკემბერში რაისკომისარი ტერბოვენისა და ნაცისტური პარტიის მიერ ნორვეგიაში სამართლის უზენაესობაზე თავდასხმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. უზენაესი სასამართლოს ამბავი, ამ წიგნში აღწერილი ერთ-ერთი ისტორიაა. თანამდებობიდან გადადგომით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა მიანიშნეს, რომ ნაციონალური პარტიის პოზიცია არალეგიტიმური იყო და რომ მათი წინააღმდეგობა სამართლიანობისთვის ბრძოლას წარმოადგენდა.

ჩვენ ვერ გვექნება მოლოდინი, რომ მოსამართლეები დაგვიცავენ ავტორიტარული მმართველების მიერ ჩადენილი ძალადობისაგან, თუკი არ გვეყოლებიან მოსამართლეები, რომლებსაც ექნებათ უნარი და გამბედაობა დაუპირისპირდნენ მმართველ ხელისუფლებებს. სამართლის უზენაესობის დაცვის სურვილი, მაშინაც კი, როდესაც ამ ქმედებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადამიანის კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე, უნდა გახდეს მოსამართლეთა კორპუსის სულისკვეთების ნაწილი. ამისთვის აუცილებელია, მომავალი თაობის იურისტებში ჩავენერგოთ სამართლის უზენაესობის ღირებულებებისადმი სიყვარული და მოვამზადოთ ისინი იმ მოლოდინებისთვის, რომ ოდესმე ისინიც გახდებიან სამართლის უზენაესობისთვის ბრძოლის მონაწილე რაინდები. ამიტომ, იმედი მაქვს, წიგნში აღწერილ ისტორიებს 13 გმირის შესახებ წაიკითხავენ და მოუყვებიან ყველას, ვინც სამართალსა და სხვა დისციპლინებს ეუფლებიან სამომავლოდ სახელმწიფო სტრუქტურებში თანამდებობების დასაკავებლად. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სამართლის სფეროს სპეციალისტების გარდა, სხვა ადამიანებმაც გააცნობიერონ სამართლის უზენაესობის მნიშვნელობა და პატივი სცენ მათ, ვინც სამართლის უზენაესობის დაცვას ემსახურება.

გამოყენებული ლიტერატურა

- Baudenbacher, Carl. “Room for Manoeuvre is the Real Reason for Norway’s EEA Scandal.” Last modified October 21, 2021. <https://verfassungsblog.de/room-for-manoeuvre-is-the-real-reason-for-norways-eea-scandal>
- Bojarski, Łukasz. “Civil Society Organizations for and with the Courts and Judges: Struggle for the Rule of Law and Judicial Independence: The Case of Poland 1976–2020.” *German Law Journal* 22, no. 7 (2021): 1344–384.
- Brand-Ballard, Jeffrey. *Limits of Legality: The Ethics of Lawless Judging*. Oxford: Oxford University Press, 2010.
- Dressel, Björn, Raul Sanchez-Urribarri, and Alexander Stroh. “The Informal Dimension of Judicial Politics: A Relational Perspective.” *Annual Review of Law and Social Science* 13, no. 1 (2017): 413–30.
- Dyzenhaus, David. *Hard Cases in Wicked Legal Systems: Pathologies of Legality*. 2nd ed. Oxford: Oxford University Press, 2010.
- Dyzenhaus, David. “The Grudge Informer Case Revisited.” *New York University Law Review* (1950) 83, no. 4 (2008): 1000–034.
- Editura, C.H. Beck. *900 Days Of Uninterrupted Siege Upon The Romanian Magistracy: A Survival Guide*. Bucharest: Editura C.H. Beck, 2020.
- Ewing, Keith D., and C. A. Gearty. *The Struggle for Civil Liberties: Political Freedom and the Rule of Law in Britain, 1914–1945*. Oxford: Oxford University Press, 2001.
- Graver, Hans Petter. “Judicial Independence under Authoritarian Rule: An Institutional Approach to the Legal Tradition of the West.” *Hague Journal on the Rule of Law: HJRL* 10, no. 2 (2018): 317–39.
- Graver, Hans Petter. *Judges against Justice: On Judges When the Rule of Law Is under Attack*. Heidelberg: Springer, 2015.
- Graver, Hans Petter. *Der Krieg der Richter. Die deutsche Besatzung 1940–1945 und der norwegische Rechtsstaat*. Translated by Melanie Hack. Baden-Baden: Nomos, 2019.
- Graver, Hans Petter. “Why Adolf Hitler Spared the Judges: Judicial Opposition Against the Nazi State.” *German Law Journal* 19, no. 4 (2018): 845–78.
- Grogan, Joelle, and Alice Donald. *Routledge Handbook of Law and the COVID-19 Pandemic. Routledge Handbooks in Law Ser.* London: Routledge, 2022.
- Hand, Learned. *The Spirit of Liberty*. New York: Aldred A. Knopf, 1952.
- Hart, H.L.A. *The Concept of Law. Clarendon Law Series*. Oxford: Clarendon Press, 1961.
- Haysom, Nicholas, and Clive Plasket. “The War Against Law: Judicial Activism and the Appellate Division.” *South African Journal on Human Rights* 4, no. 3 (1988): 303–33.

- Kühn, Zdeněk. “The Judiciary in Illiberal States.” *German Law Journal* 22, no. 7 (2021): 1231–246.
- Lee, Linda. “My legal hero.” *The Guardian*. January 12, 2011. <https://www.theguardian.com/law/2011/jan/12/my-legal-heroes-thomas-more>
- Mahmud, T. “Jurisprudence of Successful Treason: Coup-d’état and Common-Law.” *Cornell International Law Journal* 27, no. 1 (1994): 49–140.
- Mahoney, J. “Review: The Struggle for Civil Liberties: Political Freedom and the Rule of Law in Britain, 1914–1945 K. D. Ewing, C. A. Gearty: The Struggle for Civil Liberties: Political Freedom and the Rule of Law in Britain, 1914–1945.” *20th Century British History* 13, no. 1 (2002): 95–97.
- Osiel, Mark J. “Dialogue with Dictators: Judicial Resistance in Argentina and Brazil.” *Law & Social Inquiry* 20, no. 2 (1995): 481–560.
- Pech, Laurent, and Kim Lane Scheppele. “Illiberalism Within: Rule of Law Backsliding in the EU.” *The Cambridge Yearbook of European Legal Studies* 19 (2017): 3–47.
- Figge, Robert. “Die Verantwortlichkeit Des Richters: Ein Weiterer Beitrag Zur Frage Der Strajrechtlichen Hastung Der Richter Für Die Anwendung Naturrechtswidriger Gesetze.” *Süddeutsche Juristen-Zeitung* 2, no. 3/4 (1947): 179/180-83/184.
- Sajó, András. *Ruling by Cheating: Governance in Illiberal Democracy*. *Cambridge Studies in Constitutional Law*. Cambridge: Cambridge University Press, 2021.
- Shinar, Adam. “One Rule to Rule Them All? Rules of Law against the Rule of Law.” *Theory and Practice of Legislation* (Oxford, England) 5, no. 2 (2017): 149–70.
- Skinner, Stephen. *Ideology and Criminal Law: Fascist, National Socialist and Authoritarian Regimes*. Oxford: Hart, 2019.
- Tamanaha, B. *On the Rule of Law History, Politics, Theory*. Cambridge: Cambridge University Press, 2004.
- Zajadło, Jerzy. “Judicial Disobedience, Justice Lemuel Shaw and Commonwealth v. Aves.” *Archiwum Filozofii Prawa i Filozofii Społecznej* 32 no. 3 (2022): 103–113.
- Zajadło, Jerzy. *Lord Mansfeld. To Be a Judge!*. Gdansk: Gdansk University Press, 2021.

2

მანდრუპ პედერსენ შონენბული

მოსამართლე, რომელმაც ჯადოქრების კოცონზე
დანვას წერტილი დაუსვა

მოკლე მიმოხილვა

ამ თავში გავეცნობით მანდრუპ პედერსენ შონენბულს, რომელმაც უზარმაზარი წვლილი შეიტანა მეჩვიდმეტე საუკუნის ნორვეგიადანიის სამეფოში მიმდინარე ჯადოქრების საზარელი სამსჯავროს დასრულების პროცესში. ეს მამაცი მოსამართლე დაუპირისპირდა საზოგადოებრივ აზრს, მაგისტრატ მოსამართლეებს, შერიფის აღმასრულებლებს და რისკის ფასად გააუქმა ჯადოქრების კოცონზე დანვის სამართლებრივი საფუძველი. სწორედ იურისტების მოთხოვნა – შემოეღოთ სამართლებრივი განჭვრეტადობა და მტკიცებულებითი სტანდარტი და არა განმანათლებლობის ხანა, იყო ის, რამაც წერტილი დაუსვა ჯადოქრების გასამართლებას.

მარენ იაკობსდატერი, ცივილიზებული მსოფლიოს უკიდურეს ჩრდილოეთში მცხოვრები დაოჯახებული ქალბატონი, ზამთრის ერთ უკუნეთ ღამეს, ხელბორკილდადებული, არქტიკული წრის შორეული ჩრდილოეთით მდებარე შერიფ კანინგემის ახლად აგებული ვარდუს ციხე-

სიმაგრის ბნელ და ცივ „კუდიანების დილეგში“ ჩააგდეს. აქ ის კოცონზე ცოცხლად დანვას უნდა დალოდებოდა. 1647 წლის ზამთარი იდგა.

ვარდუ პატარა კუნძულოვანი დასახლება იყო ნორვეგიის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე ფინმარკის საგრაფოში, დაახლოებით 300 მოსახლით. ვარდუ დანია-ნორვეგიის მეფის იმდროინდელი გაფართოებული სამეფო ძალაუფლების მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენდა.

იმავე წლის 4 ივნისს, მოსამართლე მანდრუპ პედერსენ შონენბულის ვარდუს სასამართლოს (*thing*) თავმჯდომარედ დანიშნებით, მარენ იაკობსდატერს სრულიად მოულოდნელად, მეორე შანსი მიეცა. ქალაქში შონენბულის ბოლო ვიზიტიდან სამი წელი იყო გასული. მარენის ქმარი, ბერგენის მკვიდრი, მაგისტრატ მოსამართლესა და მის კოლეგებს არასწორი განაჩენის გამოტანაში ადანაშაულებდა. სასამართლოს თავმჯდომარეობას შონენბული სწორედ ამ საქმის განხილვით შეუდგა.

შონენბული აღმოჩნდა ის ერთადერთი ადამიანი, რომელმაც არ გაიზიარა მსჯავრდებული დამნაშავეების, მოღალატეების, ჯადოქარი კაცების ან გრძნეული ქალების ბრალდებები სისხლის სამართლის საქმეებში. მან ასევე არ მიიღო წამების ან „ღვთის განაჩენის“ შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები. მათ შორის იგულისხმებოდა „წყლის ტესტი“, რომლის დროსაც მსხვერპლს გაკოჭავდნენ, აშიშვლებდნენ და ნავიდან შუა ზღვაში აგდებდნენ. თუკი ადამიანი წყალზე ტივტივს დაინყებდა, ის დამნაშავე იყო; თუ ჩაიძირებოდა – უდანაშაულო. მეფის განკარგულებით, ასეთი მტკიცებულება უკანონოდ მიიჩნეოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ნორვეგიაში ჯადოქრობისთვის 300-ზე მეტი ადამიანი სწორედ მის საფუძველზე გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს.

ჯადოქრობაში ბრალდებული მარენ იაკობსდატერი კოცონს იმ ფაქტმა გადაარჩინა, რომ მოსამართლემ, საზოგადოებრივი აზრისა და პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისა და თანამდებობის პირების პრესტიჟისათვის ზიანის მიყენების ხარჯზე, დაყინებით მოითხოვა ჯადოქრობაში ბრალდებულ პირთა მიმართ სტანდარტული პროცედურული წესების გამოყენება. მართალია, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა მანდრუპ პედერსენ შონენბულის ისტორიიდან ჩვენ ახლაც შეგვიძლია ვისწავლოთ, მაგალითად ის, თუ რატომ უნდა იყოს სასამართლო დამოუკიდებელი და როგორ შეუძლია

ერთ მოსამართლეს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საზოგადოების ცხოვრებაში, როდესაც ის იცავს იმას, რაც სწორად მიაჩნია.

წელიწადში რამდენიმე კოცონი

ჯადოქრების სამსჯავრო ჩვენი ისტორიის ბნელი თავია. მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეების ევროპაში 40 000-ზე მეტი ადამიანი, აქედან უმეტესობა ქალი, ჯადოქრობისთვის გაასამართლეს და კოცონზე დანვეს. ნორვეგიაში 300-მდე ადამიანს ენია იგივე ბედი 1590-1690 წლებში ჩატარებული, დაახლოებით 800 სასამართლო პროცესის შედეგად. სასამართლო განხილვები და სიკვდილით დასჯა დროდადრო მკვეთრად იმატებდა, ზოგიერთ ადგილას კი, მაგალითად, დასავლეთით მდებარე როგალანდის და შორეულ ჩრდილოეთში ფინმარკის საგრაფოებში, წლის განმავლობაში, შესაძლოა რამდენიმე კოცონიც კი აგიზგიზებულიყო. ნარმოიდეინეთ, რა შთაბეჭდილებას ახდენდა ეს მოვლენები მეჩვიდმეტე საუკუნის პატარა და მჭიდროდ დასახლებული სოფლების მოსახლეობაზე. ამბობენ, ფინმარკის შემთხვევაში, ჯადოქრების სასამართლოები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ფორმით, თითქმის ყველა ოჯახს შეეხო: ზოგი იყო ბრალმდებელი, ზოგიც მონმე ან ბრალდებული.

წამება და ღვთიური დასტური

ჯადოქრობის ბრალდებით დასჯის რისკი, შედარებით დაბალი იყო ნორვეგიაში, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. სკანდინავიაში, მტკიცებულების მოპოვების მიზნით წამება, შედარებით ნაკლებად გამოიყენებოდა, ვიდრე დანარჩენ კონტინენტზე. შესაბამისად, მსჯავრდებულთა რაოდენობა აქ უფრო დაბალი იყო, ვიდრე, მაგალითად, გერმანიის ტერიტორიაზე. მსჯავრდებულთა განსხვავებული პროპორციულობა შეინიშნებოდა ნორვეგიის შიგნითაც; ფინმარკში რაოდენობა უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში. ფინმარკში წამება და ღვთიური დასტური უფრო ფართოდ გამოიყენებოდა, ვიდრე ქვეყნის სხვა რეგიონებში. წყლით ტესტი, რომლის დროსაც, ეჭვმიტანილს შუა ზღვაში ნავიდან აგდებდნენ იმის სანახავად – ჩაიძირებოდა თუ არა – გამოიყენებოდა ფინმარკში, თუმცა ნაკლებად პოპულარული იყო ნორვეგიის ან ევროპის სხვა ქალაქებში.

რამდენადაც ვიცით, მანდრუპ პედერსენ შონენბული პირველი მოსამართლეა, რომელმაც თანმიმდევრულად გამოხატა კრიტიკული დამოკიდებულება ჯადოქრების სამსჯავროს მიმართ. ის დაუპირისპირდა არა მხოლოდ ადგილობრივ მაგისტრატ მოსამართლეებს, არამედ აღმასრულებლებსა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს, რითაც ნორვეგიაში შექმნა წინაპირობა სიკვდილით დასჯის პრაქტიკის ამოსაძირკვად. შონენბული ასრულებდა *lagmann*-ის ფუნქციას, ანუ რეგიონული სასამართლოს ან *lagmannsrett*-ის, მოსამართლის როლს.

მიუხედავად იმისა, რომ რთულია, ვიმსჯელოთ საუკუნეების წინანდელ მოვლენებში კონკრეტული ადამიანების ძალისხმევასა და როლის შესახებ, ისტორიკოსები შონენბულის წვლილის თაობაზე ერთ აზრზე არიან. ჰანს ეივინდ ნესი, რომელიც დღემდე იკვლევს ჯადოქრების სასამართლო პროცესებს, ასევე ვიკინგების ეპოქაში ჩამოყალიბებულ *lagmannsrett*-ის, ანუ ამჟამინდელი ნორვეგიის სააპელაციო სასამართლოს ისტორიას, წერს, რომ ჩვენს ხელთ არსებული პირველწყაროების თანახმად, შონენბული ნორვეგიაში პირველი მოსამართლეა, რომელმაც ხმა აიმაღლა ჯადოქრების გასამართლების წინააღმდეგ. შონენბულის წყალობით, ჯადოქრების სამსჯავროს წერტილი დაესვა, ამტკიცებს ოგე თორ ფალკანგერი – პროფესორი, ომბუდსმენი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე და „ჰალოგალანდის სააპელაციო სასამართლოს (*Hålogaland lagmannsrett*) ისტორიის“ ავტორი. სამართლის ისტორიის პროფესორი იორნ ოირეჰაგენ სუნდე შონენბულს აღწერს, როგორც პიონერს, რომელმაც პირველმა თქვა უარი წამებისა და ღვთიური დასტურის მტკიცებულებად მიღებაზე. „შონენბულმა საფუძველი გამოაცალა ჯადოქრობის გამო გასამართლებას“, – წერს ისტორიკოსი რუნ ბლიქს ჰეგენი თავის წიგნში ფინმარკის ჯადოქრების სასამართლო პროცესების შესახებ. შესაბამისად, შონენბულის წვლილი განსაკუთრებით თვალსაჩინოა და დოკუმენტირებული თანამედროვე ისტორიულ ნაშრომებშიც.

შერიფმა სატანასთან ბრძოლით ძალაუფლება განიმტკიცა

ჯადოქრების საქმეების უმეტესობა იწყებოდა მეზობლებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტებით, ცხოველებზე ან ადამიანებზე ძალადობის ან ბუნების ძალებზე მანიპულირების ბრალდებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამგვარი კონფლიქტები საზოგადოებაში ვითარდებოდა

ქვევიდან ზევით, შესაძლოა, სწორედ ისეთ პერიოდებში, როდესაც ადამიანებს რესურსებზე არ მიუწვდებოდათ ხელი და სიღარიბე სტანდარტულად იყო. თუმცა, კუდიანების საქმეებში დომინანტური და ცეცხლზე ნავთის დამსხმელის როლი ადგილობრივ ხელისუფლებას ეკავა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ფინმარკში, სადაც ჯადოქრების პროცესებს სატანისტურ ძალებს უკავშირებდნენ. ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, გამოძიება და სასამართლო პროცესი პატივისცემის მოპოვებისა და საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების შესაძლებლობას წარმოადგენდა. ყოველ ჯერზე, როდესაც ახალი შერიფი გამოჩნდებოდა ფინმარკში, პროცესების ახალი ტალღა იწყებოდა, რაც შემთხვევითი ნამდვილად არ იყო.

პროცესებში ადგილობრივი ხელისუფლება – აღმასრულებელი და შერიფი მონაწილეობდა. ადგილობრივი ხელისუფლების გარდა, მოსახლეობის დიდი ნაწილიც ჩართული იყო ბრალმძებლის, მოწმის, ასევე მსაჯულის რანგში. ამ პერიოდებს მორალური პანიკა ერთვოდა თან. კუდიანების დამწვევებს, თავის მხრივ, კანონი უმაგრებდა ზურგს: ჯადოქრობა კატეგორიულად იკრძალებოდა, ხელისუფლებას მოეთხოვებოდა კუდიანების ამოძიკვა, შესაბამისად, ჯადოქრების დასჯა აუცილებლად უსასტიკესი ფორმით უნდა მომხდარიყო. სასამართლო პროცესები კოპენჰაგენის მმართველობისგან შორს მყოფი საჯარო მოხელეებისთვის შესანიშნავ ინსტრუმენტს წარმოადგენდა საკუთარი ლეგიტიმაციისა და ავტორიტეტის განსამტკიცებლად ადგილობრივ თემში; მსგავსი რამ ძალიან საჭირო იყო, ისეთ ადგილას, რომელიც მეფის ფიზიკური ძალებისგან შორს მდებარეობდა. სწორედ ასეთ გარემოში გამოჩნდა შონენბული და, არა მხოლოდ ადგილობრივ ხელისუფლებას, არამედ მოსახლეობასაც კი დაუპირისპირდა.

უმალეს სასამართლოს გარდატეხა შეაქვს

დღევანდელი გადმოსახედიდან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს იურიტების, როგორც პროფესიული ჯგუფების წვლილი კუდიანებზე ნადირობის დასრულების საქმეში. სწორედ იურიდიულმა პროფესიამ დაანება სამართლებრივი სიცხადისა და მტკიცებულებითი სტანდარტის მოთხოვნები. მიუხედავად ამისა, მკვეთრი განსხვავება იყო ადგილობრივი და ცენტრალური სასამართლოების შეფასებებში. გამამტყუნებელი განაჩენების უმეტესობას ადგილობრივი სასამართლოები იღებდნენ,

ზემდგომი სასამართლოები კი, ხშირ შემთხვევაში, ბრალდებულებს ამართლებდნენ. დანია-ნორვეგიაში, 1650-1680 წლებში, თითქმის ყველა საქმე, რომელმაც ზემდგომ სასამართლომდე მიაღწია, გამამართლებელი ვერდიქტით დასრულდა.

ეს ტენდენცია, დანიაში უზენაესი სასამართლოს, ხოლო ქრისტიანიაში უმაღლესი სასამართლოს დაარსების შემდეგ გაძლიერდა. მეფის საბჭოს, უზენაეს სასამართლოს ან უმაღლეს სასამართლოს არც ერთი სასიკვდილო განაჩენი არ გამოუტანიათ ჯადოქრების საქმეებში. 1670 წლის შემდეგ, რეგიონულმა სასამართლომ მხოლოდ ერთხელ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. შეიძლება ითქვას რომ, რეგიონულმა სასამართლოებმა თავიანთი პრაქტიკა თანდათან ზემდგომი სასამართლოების სტანდარტს შეუსაბამეს. თუმცა, ადგილობრივი მოსამართლეები გადანყვეტილებებს დიდი ხნის განმავლობაში ცენტრალური სასამართლოების ზედამხედველობის გარეშე იღებდნენ და ადამიანების კოცონზე დაწვაც შესაბამისად გრძელდებოდა.

სწორედ პროცედურის იურიდიფიკაციამ, ასევე იმ მოსამართლეების გასამართლებამ, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ პროცედურულ მოთხოვნებს, შესაძლებელი გახადა კუდიანების საქმეების საბოლოოდ დასრულება. მაგალითად, უზენაესმა სასამართლომ 1674 წელს თანამდებობიდან გადააყენა ცენტრალური ნორვეგიის სასამართლოს *lagmann*-ი იენს ბენგი, რენდალენში ჯაჭვურად განვითარებულ სასამართლო პროცესებზე გამოვლენილი ისეთი ქცევის გამო, რომელიც ყოველგვარ სამართლებრივ ნორმას სცდებოდა. მაგრამ პროცესები რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მაინც ტალღებად გრძელდებოდა და უამრავი ქალის სიცოცხლაც შეინირა.

საინტერესოა, მაშ რამ გამოიწვია ცვლილება? 1670-იანი წლებისთვის, ჯადოქრების სასამართლო პროცესების ისტორია ორ ათეულ წელს ითვლიდა და სიკვდილიმისჯილ ადამიანთა უმრავლესობაც კოცონზე იყო დამწვარი. მაშ, რატომ ადრე არ ჩაებნენ უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეები ამ პროცესში? იმდროინდელი სასამართლოს ინსტიტუციური მოწყობა მკვეთრად განსხვავდებოდა დღევანდელისგან. აპელაციის ინსტიტუტი კანონმდებლობაში 1590 წელს დაინერგა, თუმცა დიდი დრო დასჭირდა იმ სისტემად ჩამოყალიბებულიყო, როგორც ის დღესაა. ამდენად, 1600-იანი წლების ბოლომდე სააპელაციო სისტემა ქმედითად არ ფუნქციონირებდა.

რეგიონულმა სასამართლოებმა მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო ოპერირება, როგორც სააპელაციო ორგანომ. უმეტეს შემთხვევას სასოფლო საბჭოები განიხილავდნენ. უფრო რთული საქმეები კი რეგიონულ სასამართლოში, პირველი ინსტანციის წესით, განსახილველად რჩებოდა. ხშირად, მაგისტრატი მოსამართლეები და სასოფლო საბჭოები განაჩენის გამოტანამდე, კონსულტაციებს *lagmann*-თან გადიოდნენ, რაც აპელაციას აზრს უკარგავდა; ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს მონაწილეობა უკვე ჰქონდა მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლო პროცესში.

1613 წლის განკარგულების თანახმად, ვერდიქტი დაუყოვნებლივ ექვემდებარებოდა აღსრულებას ისე, რომ მსჯავრდებულებს, როგორც წესი, აღარ ეძლეოდათ ახალი სასამართლო პროცესის შესაძლებლობა. თუმცა, ორსული ქალების შემთხვევაში, სიკვდილით დასჯა ქალის მშობიარობამდე იყო აკრძალული. ამ ფაქტორმა სიკვდილს გადაარჩინა რამდენიმე ქალი, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, როდესაც ჩვენი ისტორიის გმირი ვადსოსა და უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარე სხვა დასახლებებში ჩავიდა.

ამ ყველაფრის დასასრულებლად საჭირო იყო მამაცი მოსამართლე, რომელიც დაინახავდა, თუ რამხელა სიგიჟე იყო ადამიანების კოცონზე დანვა ჭორების საფუძველზე; ადამიანი, რომელიც მზად იქნებოდა შესულიყო ადგილობრივ თემში და დაჰპირისპირებოდა ადგილობრივ ხელისუფლებას მისსავე ტერიტორიაზე; მოსამართლე, რომელიც შორიდან და უსაფრთხო კრიტიკით არ დაკმაყოფილდებოდა, თანაც იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც საქმე ზემდგომ, აღმატებულ მოსამართლეებამდე მიაღწევდა. მანდრუპ პედერსენ შონენბული სწორედ ასეთი მოსამართლე იყო.

დანის არისტოკრატია და ბრძოლა 30-წლიან ომში

და მაინც, ვინ იყო მანდრუპ პედერსენ შონენბული? იგი დაიბადა 1603 წლის 18 მაისს ქალაქ შტიეგენში, ნორვეგიის ნორდლანდის საგრაფოში, რომელიც მეცამეტე საუკუნიდან ნორვეგიის ჩრდილოეთში *lagmannsrett*-ის ადგილსამყოფელს წარმოადგენდა. მისი მშობლები ადრე გარდაიცვალნენ, ამიტომ 1610 წლიდან ის მეზობლად მდებარე ბოდუგარდში იზრდებოდა, მისი ბიძაშვილისა და მეურვის ჰარტივი

ბილეს სახლში. მანდრუპი თავდაპირველად ქალაქ ბერგენის სკოლაში შეიყვანეს, მოგვიანებით კი დანიის ქალაქ ორჰუსში გადავიდა სასწავლებლად. გარკვეული თვალსაზრისით, მას იურიდიული პროფესია მემკვიდრეობით ერგო მამისგან, პედერ ჰანსენ შონენბულისგან. პედერი *lagmann*-ის ტიტულს 1587 წლიდან მოყოლებული 1609 წლამდე, ანუ გარდაცვალებამდე, ატარებდა.

lagmannsrett-ი იყო რეგიონული სასამართლო, რომელსაც იურიდიული განათლების მქონე მოსამართლე ედგა სათავეში. ადგილობრივი საქმეები განიხილებოდა *herredsrett*-ში. ეს იყო დანესებულება, სადაც მსაჯულის როლს ადგილობრივი მაცხოვრებლები ასრულებდნენ, ხოლო გადანყვეტილებების ფორმულირებაში დახმარებას კანონების მცოდნე *sorenskriver*-ები უწევდნენ. პედერის მამა დიდგვაროვანი ოჯახიდან იყო, დანიის ქალაქ ფუნენიდან. სალტენში მანდატურის პოზიციაზე სამუშაოდ ჩასულმა *lagmann*-ის ქალიშვილზე იქორწინა, და, მოგვიანებით, სიმამრის გარდაცვალების შემდეგ, ამ უკანასკნელის თანამდებობაც დაიკავა. პედერ შონენბული ასევე აქტიურად იყო ჩართული 1604 წელს კრისტიან IV-ის ნორვეგიული კანონის შემუშავების პროცესში, რომელიც ნორვეგიის კანონმდებლობის უდიდესი კოდიფიკაციის სახელითაა ცნობილი.

მანდრუპი სამხედრო სამსახურში პირველად ჰოლანდიაში გაიწვიეს, თუმცა შემდეგ, მეფე კრისტიან IV-ს ბრძანებით, იგი დანიის ოფიცრის წოდებით 30-წლიან ომში ჩაება. დანიის დამამცირებელი მარცხისა და 1629 წელს ლიუბეკის სამშვიდობო შეთანხმების შემდეგ, მანდრუპი ნორდლანდში დაბრუნდა. უსასტიკესი და უიმედო ომის შემდეგ, მამის მსგავსად, *lagmann*-ის ქალიშვილზე იქორწინა და მოგვიანებით ამ თანამდებობაზე სიმამრი ჩაანაცვლა. მანდრუპის ვაჟსა და მის სიძეს ასევე მემკვიდრეობით ერგოთ *lagmann*-ის პოსტი. ამდენად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ დროს, რეგიონებში უმაღლესი სასამართლოები ოჯახური დინასტიის პრინციპით იმართებოდა. იმდროინდელი ნორვეგიისთვის, ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ჯოჯოხეთის ცეცხლი ფინმარკში

ჯადოქრობის აკრძალვის შესახებ პირველი განკარგულება დანიის მეფემ გამოსცა და ის ნორვეგიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე მდებარე

ქალაქ სტავანგერზე ვრცელდებოდა. შემდგომში, კანონის იურისდიქციის ფარგლებში მოექცა ქალაქი ბერგენი, მოგვიანებით კი, მთელი ქვეყანა. აღნიშნული განკარგულებით, ყველა საჯარო პირს მოეთხოვებოდა კუდიანების მოძებნა და მათი მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა. დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, ადამიანს უსასტიკესი სასჯელი ელოდა.

პირველი ჯადოქარი 1622 წელს დაწვეს, ქალაქ სტავანგერში. ერთ დღეს, ქალაქის მღვდლის ცოლი ავად გახდა. ქალი დარწმუნებული იყო, რომ მის ავადმყოფობაში ჯადოქრის ხელი ერია. დიდი მითქმა-მოთქმის შემდეგ, ქალაქის განსწავლული ქალბატონები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ქალაქში ნამდვილად ცხოვრობდა გრძნეული, რომელმაც ეს ყველაფერი ჩაიდინა. განსაკუთრებით ერთი ქალი იპყრობდა მათ ყურადღებას: „რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მეტისმეტი გამჭრიახობით გამოირჩეოდა, ამიტომაც, მისი აღსასრული მალე უნდა დამდგარიყო“. სასამართლოც უმოკლეს დროში გაიმართა. 1621–1634 წლებში, სტავანგერში გამორჩეულად ბევრი კუდიანის საქმე განიხილეს. 1633 წელს შვიდი ადამიანი დაწვეს სტავანგერის ოლქში, მათ შორის სამი უშუალოდ ქალაქში. პედერ რავნი, სტავანგერის *lagmann*-ი, შეეცადა პასუხისმგებლობა თავიდან აეცილებინა და ერთ-ერთი საქმე ჰერედაგენში, იმდროინდელ უმაღლეს სასამართლოში, გადააგზავნა. თუმცა მას საქმე უკან დაუბრუნდა მითითებით, რომ განაჩენის გამოტანა მის მოვალეობას წარმოადგენდა. ამ გზავნილის მიღებამდე და ასევე შემდეგ, სტავანგერში *lagmann*-ის ფუნქციის შესრულებისას, მან სასიკვდილო განაჩენი კიდევ რამდენიმე ადამიანს გამოუტანა.

კუდიანების პროცესებთან დაკავშირებით, ფინმარკი ყველაზე გამოჩენილია. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ფართო უფლებები ჰქონდათ და კოპენჰაგენში მდებარე ცენტრალური ხელისუფლების კონტროლისა და იურისდიქციის გვერდის ავლით ოპერირებდნენ. სიკვდილით დასჯილთა წილი ფინმარკში უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქვეყნის დანარჩენ რეგიონებში. მეჩვიდმეტე საუკუნეში, ფინმარკში რეგისტრირებული ჯადოქრობის 138 შემთხვევიდან, 76 კოცონზე დაწვეთ დასრულდა. რამდენიმე ბრალდებული დაკითხვის დროს გარდაიცვალა. ეს ყველაფერი იმაზე მოწმობს, რომ ნორვეგიაში დამდგარი სასიკვდილო განაჩენების 31 პროცენტი ფინმარკზე მოდიოდა.

სასამართლო პროცესების მასშტაბი ვადსოს რაიონში, მათ შორის კუნძულ ვარდუსზე, იმდენად დიდი იყო, რომ თითქმის ყველა ოჯახი, ამა თუ იმ ფორმით, მოექცა ამ პროცესების ნეგატიური ზეგავლენის ქვეშ. ნებისმიერი ქალი, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვებიც კი, შეიძლებოდა სასამართლოში დაეხარებინათ. ჯადოქრობის შიში, სავარაუდოდ, უმძაფრესად შეიგრძნობოდა ფინმარკის რეგიონში, ნორვეგიისა და საამის მოსახლეობას შორის არსებული დაძაბულობის გამო. მიუხედავად ამისა, ბრალდებულთა მხოლოდ მცირე ნაწილი იყო საამის მკვიდრი.

ფინმარკში ჯადოქრობასთან დაკავშირებით ბრალდებების რაოდენობამ პიკურ მაჩვენებელს გარკვეულ პერიოდებში, კერძოდ, 1620, 1650 და 1660 წლებში მიაღწია. მკვეთრი ზრდის მიზეზად ბევრი რამ სახელდება. თუმცა, უმთავრესად ის გამოწვეული იყო როგორც ადგილობრივად განვითარებული მოვლენებით, ისე ოფიციალური პირების შემადგენლობაში მიმდინარე ცვლილებებით. აღნიშნული მოვლენების პიკის განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენდა ასევე ჯაჭვურად მიმდინარე სასამართლო პროცესები – როდესაც, ბრალდებული, წამების შედეგად, სხვა არაერთ ადამიანს ასახელებდა. 1620 წელს გამართული პროცესების სავარაუდო მიზეზად, შესაძლოა 1617 წელს მომხდარი საზღვაო კატასტროფა დავასახელოთ. კერძოდ, შობის ღამეს 10 ხომალდი ჩაიძირა, რომელზეც კიბერგისა და ვარდუს მცხოვრები 40 ადამიანი იმყოფებოდა. ამ ფაქტის შემდეგ, რამდენიმე ქალი ხომალდების ჩაძირვაში მონაწილეობის ბრალდებით ვარდუსის დილეგში გამოამწყვდიეს. მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ჯადოქრობა მათ 1617 წლის ტრაგიკული მოვლენის შემდეგაც კი არ შეუწყვეტიათ.

მაგალითად, ერთ-ერთი ბრალდების თანახმად, ვარდუს მკვიდრი კარი ოლასდატერი, 1620 წლის შობა დღეს, ფრინველად გადაიქცა და სხვა ჯადოქრებთან ერთად ლიდერჰორნის მთისკენ გაფრინდა. ისინი მთაზე ალკოჰოლს შეექცეოდნენ და როკავდნენ. კარის და კიდევ რამდენიმე ქალს ბრალად ედებოდათ შობის წინა პერიოდში ეშმაკისგან ფრენის უნარის შესწავლა. კარის ბოძზე სიკვდილი მიუსაჯეს, რომელიც არაუგვიანეს 1621 წლის 30 იანვარს უნდა აღსრულებულიყო. სასამართლო პროცესის ოქმში ნათქვამია, რომ ის „სამმა კუდიანმა ამხილა. ასევე მან თავად აღიარა, რომ დაეუფლა გრძნეულობის ოსტატობას და სამ სხვა კუდიანთან ერთად, ყორნად გადაქცეული, ზეცაში დაფრინავდა“.

1621 წლის 16 იანვრის განაჩენით, იგივე ბედი ეწია გური ოლსდატერ-საც, ოქმის თანახმად, „ჩაუტარდა წყლის ტესტი. ასევე ექვსმა პირმა, რომლებიც უკვე გამოესალმნენ სიცოცხლეს, მას გრძნეული ჯადოქარი უწოდეს“.

მარენ იაკობსდატერის საქმე

ზემოთ ნახსენები მარენ იაკობსდატერი იმ ადამიანებს შორის იყო, რომლებიც მეჩვიდმეტე საუკუნის შუა ხანებში ფინმარკის სასამართლოს წინაშე წარდგნენ. მისი შემთხვევა სწორედ ის პირველი საქმე აღმოჩნდა, რითაც დაიწყო *lagmann*-ის ჩარევა ფინმარკის ჯადოქრების სასამართლო პროცესებში. კანონის თანახმად, *lagmann*-ს ევალებოდა სამ წელიწადში ერთხელ ფინმარკში ჩასვლა. 1647 წელს, ერთ-ერთი ვიზიტის დროს, შონენბული ვარდუში სწორედ იმ მომენტში ჩავიდა, როცა მაგისტრატმა მოსამართლემ მარენ იაკობსდატერი კუდიანობისთვის გაასამართლა.

შონენბულმა მარენისთვის შეფარდებული სასჯელი გააუქმა, ანულირებულად და ძალადაკარგულად გამოაცხადა. მარენის ბრალდებაში მთავარი მტკიცებულება იყო ის, რომ მას კუდიანობაში ბრალს ჯადოქრობაში უკვე მსჯავრდებული სხვა პირები სდებდნენ. *lagmann*-მა თავის გადაწყვეტილებაში 1558 წელს გამოცემული განკარგულება მიუთითა, რომლის თანახმად, „არაქრისტიანი ადამიანების“ სიტყვის დაჯერება იკრძალებოდა. შონენბულმა მაგისტრატი მოსამართლე არამართებული ვერდიქტის გამოტანისთვის დააჯარიმა, ხოლო მსაჯულები დაინდო, რადგან მათ არც შესაბამისი ცოდნა ჰქონდათ და ვერც პასუხი მოეკითხებოდათ.

გემების ჩაძირვა, უბედური შემთხვევები და თანამდებობის პირთა შეცვლა ჩრდილოეთ რეგიონებში ჯადოქრების სასამართლო პროცესების დაწყების მიზეზი გახდა

1653 წელს შონენბული ეწვია შემდეგ დასახლებებს: ვარდუ, მაკაური, ომგენგი, სქუთინგბერგი, კიელვიკი, ინგოი, ჰამერფესტი, ჰასვაგი და ლოპპა. დღემდე ხელმისაწვდომია ამ მოგზაურობის ამსახველი სასამართლოს ოქმები და მოსამართლის ანგარიში. შონენბულის თავმჯდომარეობით, ზემოაღნიშნულ სასამართლოებში განხილულ იქნა

რამდენიმე საქმე, სადაც ჯადოქრობაში უკვე გასამართლებული და სოფლის საბჭოს მიერ დასჯილი ადამიანები სხვა პირებს ამხელდნენ.

სამი წლის შემდეგ ფინმარკში უკანდაბრუნებულმა შონენბულმა აღმოაჩინა, რომ ადგილობრივი თემის მაცხოვრებლებს, რომლებსაც მარენის წინააღმდეგ ჩვენება ჰქონდათ მიცემული, კომპენსაციის გადახდა დაჰკისრებოდათ. იმ მამაკაცისთვის კი, რომელსაც მარენის წინააღმდეგ შეეტანა საჩივარი, 16 კვირით „ორმო“ მიესაჯათ. ეს ზუსტად იმდენივე დღე იყო, რა ხანიც მარენმა ბნელ და გაყინულ დილეგში გამომწყვდეულმა დაჰყო.

1652-1653 წლებში ჩატარებული პროცესები, სავარაუდოდ, 1651 წლის შემოდგომაზე ხომალდების ჩაძირვას უკავშირდება. უსასტიკესი დაკითხვების შედეგად, გუნჰილდ ამუნდსდატერმა აღიარა, რომ საკუთარი დების დახმარებით, ზღვის ლეღვა გამოიწვია. გუნჰილდის და სხვა რამდენიმე პირის წინააღმდეგ საჩივარი ლაურიძ ბრასმა შეიტანა, რომელმაც თევზის უზარმაზარი ნადავლი დაკარგა გემების ჩაძირვის შედეგად. მისივე თქმით, ხომალდების განადგურების მომენტში, ქალები „ჩიტებად გარდაისახნენ“ და დემონთან ერთად ცაში ფრენა დაიწყეს.

როგორც კი შონენბული თვალს მიეფარა, ფინმარკში ჯადოქრების სასამართლო პროცესები განახლდა. 1663 წელს, როდესაც ის მორიგჯერ დაბრუნდა ქალაქში, ჯადოქრობის ბრალდებით კიდევ რამდენიმე ქალი აღმოაჩინა დაპატიმრებული. ვარდუსის დილეგში რვა წლამდე ასაკის გოგონები იყვნენ გამომწყვდეულები. ინგებორგ ივერსდატერი 12 წლის იყო. მისი დაკითხვა 1663 წელს გაიმართა. დედამისი უკვე დასჯილი იყო კუდიანობისთვის კოცონზე დანვით. ბრალდების თანახმად, სწორედ დედამისმა ასწავლა ინგებორგს ჯადოქრობა ლუციფერის დახმარებით. ქალის აღიარება და ჩვენებები წამებისა და წამების მუქარის შედეგად იყო მოპოვებული. *lagmann*-მა ინგებორგს სასჯელად ფინმარკის დატოვება განუსაზღვრა, რითაც მისი სიცოცხლე კოცონზე დანვისგან იხსნა.

შონენბული ამჯერად იმის გამოძიებას შეუდგა, თუ როგორ აწარმოებდა ადგილობრივი ხელისუფლება ზემოაღნიშნულ საქმეებს. შედეგად კი დაადგინა, რომ ბრალდებულ ქალებს მოკვლით ემუქრებოდნენ და აწამებდნენ. მოსამართლემ ქალები გაამართლა. ჯადოქრების სამსჯავრო, რომელიც ფინმარკში 1662 წლის შემოდგომიდან 1663 წლის

ზამთრის ჩათვლით მიმდინარეობდა, ყველაზე საზარელ მოვლენად შევიდა ნორვეგიის ისტორიაში. კოცონზე სულ 19 ქალი დაწვეს. ხოლო ერთადერთი ფაქტორი, რამაც უფრო მეტი ქალის კოცონზე დაწვას შეუშალა ხელი, იყო შონენბულის ჩარევა. 1663 წელს შონენბულის ძალისხმევის შედეგად, რამდენიმე წელიწადში ჯადოქრების სასამართლო პროცესები ფინმარკში საბოლოოდ დასრულდა.

კოცონის მხარდამჭერი იურისტები

შონენბულის გამამართლებელი განაჩენები, რასაკვირველია, კრიტიკის გარეშე არ დარჩენილა. მარენ იაკობსდატერის გამართლებამ ორჯერ გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის აღშფოთება: ისინი მარენს „საზარელ დანაშაულსა და დიდი უბედურების გამოწვევაში“ სდებდნენ ბრალს. მარენი სიკვდილს პირველად კოცონის გასაჩაღებლად საჭირო შეშის ნაკლებობის მიზეზით გადაურჩა. სწორედ ამის წყალობით აღმოჩნდა მარენი შონენბულის წინაშე, რაც საბოლოოდ, მისი გამართლებით დასრულდა. შონენბულთან მან უარყო აღიარებითი ჩვენება და, ასევე, რამდენიმე სხვა ადამიანის მისამართით გამოთქმული ბრალდებები, რომლებიც ჯერ კიდევ სასჯელის მოლოდინში იმყოფებოდნენ. შონენბულმა ისინიც გაამართლა.

შონენბულს თავისი მოღვაწეობის პერიოდში მწვავედ აკრიტიკებდნენ. ფინმარკის ოლქის გუბერნატორმა, ჰანს ჰ. ლილიენსკიოლდმა, 1680-იანი წლების დასასრულს, ჩრდილოეთის ზამთრის გრძელი და ბნელი დღეები ხელნაწერის „ჯადოქრობა და ბოროტება მეჩვიდმეტე საუკუნის ფინმარკში“ შექმნას შეაღია. ხელნაწერი მკითხველს რეგიონში ჯადოქრების სასამართლო პროცესების მიმოხილვას სთავაზობს.

ლილიენსკიოლდი თვითონაც *lagmann*-ი იყო ბერგენში, სანამ გუბერნატორად დაინიშნებოდა ფინმარკში. იგი არ ეთანხმებოდა კოლეგა შონენბულის გადაწყვეტილებებს. „კუდიანებს რომ შესძლებოდათ სერიოზული ბრალდებებისგან თავის დახსნა ცრუ ჩვენების მიცემით და, ამით, შემდგომი დაკითხვებისა ან შემონმებების თავიდან აცილება, მაშინ არავინ არასდროს დაინებოდა კოცონზე“, – წერს ლილიენსკიოლდი. ლილიენსკიოლდს სჯეროდა, რომ ჯადოქრები, რომლებსაც თავად სატანა წვრთნიდა, ეშმაკისეული და დამაზიანებელი საქმეებით იყვნენ დაკავებულები. მისი მტკიცებით, შონენბულმა ქალები გაამართლა

მხოლოდ მათი მხრიდან საკუთარი აღიარების უარყოფის საფუძველზე, მეორე მხარეს კი საერთოდ არ მისცა სხვა პირების ჩვენებების უარყოფის ან წარდგენის საშუალება. როდესაც შონენბულმა განაცხადა, რომ ჯადოქრობა უფრო მეტად ადამიანის ფანტაზიის ნაყოფი იყო, ვიდრე რეალური უნარი, ლილიენსკილდმა უპასუხა, რომ ეს მხოლოდ ერთი ადამიანის მოსაზრება იყო და მეტი არაფერი. მან დიდი პატივით მოიხსენია ის მმართველები და მოსამართლეები, რომლებმაც წინა ათწლეულების განმავლობაში მრავალ ადამიანს მიაღებინეს „ცხელი აბაზანა“, ასევე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სწორედ მათი ძალისხმევით წყალობით ჯადოქრების შემოსევა ფინმარკში თითქმის მოიხსოვ.

ჯადოქრების სასამართლო პროცესებს წერტილი მოსამართლეებმა დაუსვეს

მხოლოდ მოსამართლეები იმსახურებენ ქება-დიდებას ჯადოქრების პროცესების დასრულებისთვის. ეს არ იყო განმანათლებლობის ეპოქის რაციონალური აზრი, როგორც ბევრი ფიქრობს, რამაც წერტილი დაუსვა ჯადოქრებზე ნადირობას ნორვეგიაში. მეთვრამეტე საუკუნეში, როდესაც განმანათლებლობის ხანა დაიწყო, კუდიანების სასამართლო პროცესები უკვე რამდენიმე ათეული წლის დასრულებული იყო. მაშ, რა გახდა საკანონმდებლო და სასამართლოს მიდგომის ცვლილების მიზეზი? 1660 წელს აბსოლუტიზმის დამკვიდრების შემდეგ, სასამართლო სისტემა უფრო მეტად ორგანიზებული გახდა. პროფესიონალი მოსამართლეებით დაკომპლექტებული უზენაესი სასამართლო კოპენჰაგენში 1661 წელს დაარსდა, ხოლო ნორვეგიის უმაღლესი სასამართლო – 1666 წელს.

ამან პროფესიული ელემენტი გააძლიერა სასამართლო სისტემაში და შეასუსტა თავადაზნაურობა და ეკლესია. კრისტიან V-ს მიერ 1687 წელს გამოცემული *Norske Lov*-ის თანახმად, შესაძლებელი გახდა სასიკვდილო განაჩენის აღსრულებამდე, ჯადოქრების წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენების *lagmannsrett*-ში გასაჩივრება. თუმცა, ამ კონკრეტული მომენტისათვის, ნორვეგიაში ჯადოქრების პროცესები თითქმის აღარ იმართებოდა.

ფორმალური კუთხით თუ შევხედავთ, ჯადოქრების სასამართლო პროცესები თავიდანვე კანონის დარღვევით ტარდებოდა. მეფე კრისტიან

III-ის მიერ 1558 წელს მიღებული ბრძანებულების თანახმად, აკრძალული იყო მსჯავრდებულების, მოღალატეების, ჯადოქარი კაცების ან გრძნეული ქალების ჩვენებების, ან მათი მხრიდან სხვა ადამიანების მისამართით გაჟღერებული ან წარმოდგენილი ბრალდების სარწმუნოდ მიღება. მიუხედავად ამისა, მრავალი ათეული სვეუბედური ადამიანი შეჩვენებული და კოცონზე დასჯილი იქნა სწორედ გრძნეულობაში ბრალდებული ადამიანების საჩივრების საფუძველზე. სასამართლო პროცესებზე და ვერდიქტებში უბრალოდ არ მიიღებოდა მხედველობაში მტკიცებულებების კანონის მოთხოვნები. როდესაც მოსამართლეებმა მტკიცებულებითი სტანდარტის პრაქტიკაში გამოყენება დაიწყეს, პროცესები შეწყდა. შონენბული ამ კუთხით პიონერი აღმოჩნდა. მას მოუწია ადგილობრივი ხელისუფლების, სხვა მოსამართლეებისა და საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ გალაშქრება. როდესაც რეფორმებს, კვალდაკვალ, პროფესიონალი მოსამართლეების ეფექტური და ძლიერი მონაწილეობა მოჰყვა, ჯადოქრების სასამართლო პროცესებსაც წერტილი დაესვა, იმის მიუხედავად, რომ ჯადოქრობა კანონში საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში დანაშაულად მოიხსენიებოდა.

წარსულის გაკვეთილი

მეჩვიდმეტე საუკუნის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. დღევანდელი სახელმწიფოებრივი და სასამართლო სისტემის შედარება მაშინდელ სისტემებთან, უბრალოდ, არ შეიძლება. ჩვენ აღარ ვასამართლებთ ადამიანებს ჯადოქრობისთვის, არ ვიყენებთ ღვთიურ დასტურს მტკიცებულებად და არ ვწვავთ ადამიანებს კოცონზე. უზრუნველყოფილი გვაქვს სამართლებრივი დაცვა და ადამიანის უფლებების განვითარებული სისტემა, რომლის შესახებ, ადამიანებს მეჩვიდმეტე საუკუნეში ოცნებაც კი არ შეეძლოთ.

მიუხედავად ამისა, მეჩვიდმეტე საუკუნის სამართლებრივი წესრიგის გარკვეული თავისებურებები დღემდე წარმოადგენს იმ სისტემის ნაწილს, რასაც ჩვენ სამართლის უზენაესობის ფუნდამენტად მივიჩნევთ. იმ ეპოქაშიც კი, თანასწორობა სამართლის წინაშე აღიარებული იყო და, კანონი, ყოველ შემთხვევაში ფორმალურად მაინც, ყველა ადამიანზე თანაბრად ვრცელდებოდა. ჯადოქრობის ბრალდება შეიძლებოდა წაეყენებინათ როგორც არისტოკრატიული, ასევე დაბალი ფენის წარმომადგენლისთვის, ხოლო ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მაღალი

საზოგადოების წარმომადგენელიც ისჯებოდა ჯადოქრობისთვის. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შონენბულმა არ გაუწია ანგარიში საზოგადოებაში დამკვიდრებულ რწმენებს; ბევრი ადამიანი, ვინც მან გადაარჩინა, ნაკლებად პრივილეგირებული წრიდან იყო.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო განსხვავება სასულიეროსა და საეროს შორის. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება და კანონმდებლობა რელიგიის წყალობით ჩამოყალიბდა რეფორმაციის შემდეგ, ხოლო მეფე ფორმალურად ეკლესიის მეთაურად ითვლებოდა, მეფე არ იყო სულიერი ლიდერი. ეკლესია და სამართლებრივი სისტემა ცალ-ცალკე სუბიექტები იყვნენ. მოსამართლეები მოქმედებდნენ კანონმდებლობის პროფესიული ცოდნიდან გამომდინარე, სადაც სამართლებრივი მოთხოვნების დაცვა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ეკლესიის სურვილების შესრულება ეშმაკთან ბრძოლისა და სულების განწმენდასთან დაკავშირებით.

სამართალი დამოუკიდებელი იყო ასევე სხვა თვალსაზრისითაც. მართალია, მოსამართლეები კოპენჰაგენის მეფის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ და, შესაბამისად, არ იყვნენ დამოუკიდებლები თანამედროვე გაგებით, მათ მაინც ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ ადგილობრივი ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად ემოქმედათ და მისგან დაეცვათ მოქალაქეები. სამართალი განცალკევებული იყო ეკლესიისა და სახელმწიფო მოხელეებისაგან, შესაძლოა თქვათ – ავტონომიურიც კი, თანამედროვე გაგებით; რაც ნიშნავს რომ სამართალი განიმარტებოდა და გამოიყენებოდა თავისი ავტონომიური მნიშვნელობით, როგორც წესების, ისე პრაქტიკის დონეზე.

იურიდიული განათლება და პროფესიონალიზმი

ჯადოქრების პროცესებისადმი პროტესტი სასამართლო ხელისუფლების პროფესიულ წრეებში დაიწყო. დანიასა და ნორვეგიაში ფორმალური საგანმანათლებლო დაწესებულებების არარსებობის მიუხედავად, იურიდიული პროფესია მაინც ვითარდებოდა. ინგლისური სამართლიდან ვიციით, რომ თანამედროვე ეპოქაშიც კი, იურიდიული პროფესიის არსებობისთვის აუცილებელი არ არის ფორმალური განათლება სამართალში.

მეჩვიდმეტე საუკუნის ნორვეგიის ზემოთ აღწერილი სამართლებრივი წესრიგის მახასიათებლები იმის დასტურია, რომ ნორვეგიას მყარი ადგილი უკავია დასავლეთის სამართლებრივ ტრადიციებში. სამართლის ისტორიის ამერიკელი მკვლევრის, ჰაროლდ ბერმანის აზრით, შუა საუკუნეების ევროპაში ჩამოყალიბებული ეს ტრადიცია შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება:⁵⁷

- შედარებით მკვეთრი სხვაობა სამართლის სკოლებსა და სხვა ტიპის ინსტიტუტებს შორის.
- სამართლის სკოლების ადმინისტრირება ევალება ადამიანების სპეციალურ ჯგუფს.
- იურისტები გადიან სპეციალურ გადამზადებას უმაღლესი განათლების კონკრეტული მიმართულებით, რასაც იურიდიულ სწავლებას ეძახიან და რომელსაც კომპლექსური დიალექტიკური კავშირი აქვს სამართლის სკოლებთან.
- სამართალი გაგებულია როგორც ლოგიკური მთლიანობა, როგორც ერთიანი სისტემა, რომელიც იმართება შინაგანი ლოგიკით და აქვს თაობების აღზრდისა და განვითარების უნარი.
- სამართალი, პოლიტიკურ ხელისუფლებასთან შედარებით, უპირატესია და მნიშვნელოვან ასპექტებში აღემატება კიდევ პოლიტიკას.
- თანა-არსებული და კონკურენციაში მყოფი იურისდიქციებისა და სამართლის სისტემების სიმრავლე.
- ბრძოლა იდეალებსა და რეალობას, დინამიკურ მახასიათებლებსა და სტაბილურობას, სამართლის ტრადიციის ტრანსცენდენტურობასა და იმანენტურობას შორის.

57 Harold J. Berman, *Law and Revolution: The Formation of the Western Legal Tradition* (Cambridge, MA: Harvard University Press, 1983), 7–10.

ცვლილებებს ცალკეული ადამიანები ახდენენ

ყველა იმ თავისებურებას, რომელსაც ბერმანი აღწერს, ჯადოქრების სასამართლო პროცესების დროს არსებულ კანონებში ამოიკითხავთ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ იმ ეპოქაში უკვე არსებობდა სამართლის უზენაესობის ღრმა ფესვები და რომ ევროპის უკიდურეს ნაწილში მდებარე ჩრდილოეთ ნორვეგია, საერთო ევროპული სამართლის ტრადიციის ნაწილია. ინსტიტუტების განვითარება, როგორც წესი, მცირე ნაბიჯებით მიმდინარეობს და დამოკიდებულია გასავლელ გზაზე. სწორედ ეს ფაქტორი უვითარებს ინსტიტუტებს ცვლილებებისადმი მედეგობას. ამგვარი ტრადიციების მქონე ქვეყნებში, მმართველები ვერ არღვევენ ტრადიციებს და ვერ მოქმედებენ კანონისგან დამოუკიდებლად ისე მარტივად, როგორც ტრადიციების არმქონე ქვეყნების მმართველები ახერხებენ.

და მაინც, შონენბულის ისტორია გვიმტკიცებს, რომ ერთი ადამიანის ძალისხმევას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი ისტორია დასტურია იმისა, თუ როგორ ვერ დაიცავენ მოქალაქეებს ძალადობისგან ტრადიციები და ინსტიტუტები, თუკი არ იარსებებენ ადამიანები, რომლებიც უერთგულდებიან თავიანთ ღირებულებებს. შონენბულის ისტორია იმავდროულად გვიჩვენებს, თუ როგორ უზრუნველყოფს ტრადიცია ინდივიდებს რესურსებით, რათა მათ შეძლონ სამართლიანობისთვის ბრძოლა. სწორედ სამართლისადმი პატივისცემით მოპყრობის მოწოდებითა და დაჟინებული მტკიცებით, რომ ხელისუფლებასაც ევალება სამართლიანობის დაცვა, მოახერხა შონენბულმა უდანაშაულო ადამიანების აბრიალებული ცეცხლისგან დახსნა.

გამოყენებული ლიტერატურა

- Aurenes, Ola. *Mennesker Og Skjebner: Livs- Og Kulturbilleder Fra Stavanger I Begynnelsen Av 1600-tallet*. Stavanger: Dreyer, 1938.
- Berman, Harold J. *Law and Revolution: 1: The Formation of the Western Legal Tradition*. Vol. 1. Cambridge, MA: Harvard University Press, 1983.
- Falkanger, Aage Thor. *Lagmann Og Lagting I Hålogaland Gjennom 1000 år*. Oslo: Universitetsforl, 2007.
- Hagen, Rune Blix. *Ved Porten Til Helvete: Trolldomsforfølgelse I Finnmark*. Oslo: Cap-pelen Damm, 2015.

- Lilienskiold, Hans H. Trolldom Og Ugudelighet I 1600-tallets Finnmark. Redigert Og Bearbeidet Av Rune Hagen Og Per Einar Sparboe. 9:2 (1999).
- Næss, Hans Eyvind. Trolldomsprosessene I Norge På 1500–1600-tallet: En Retts- Og Sosialhistorisk Undersøkelse. Oslo: Universitetsforlaget, 1982.
- Niemi, Einar, and Sveen Arvid. Vadsøs Historie: 1 : Fra øyvær Til Kjøpstad (inntil 1833). Vol. 1. Vadsø: Vadsø Kommune, 1983.
- Sunde, Jørn Øyrehagen. Speculum Legale: Rettsspegele: Ein Introduksjon Til Den Norske Rettskulturen Si Historie I Eit Europeisk Perspektiv. Bergen: Fagbokforl, 2005.

3

ჯეიმს ედვინ ჰორტონი

მოსამართლე სკოტსბოროდან

მოკლე მიმოხილვა

ზოგჯერ მოსამართლეს სჭირდება გამბედაობა, რომ კანონი სწორად გამოიყენოს. ჯეიმს ედვინ ჰორტონი იყო მოსამართლე, რომელმაც 1933 წელს ალაბამას შტატის ქალაქ დეკატურში მომხდარი ჯგუფური გაუპატიურების საქმე განიხილა და არაპოპულარული გადანიშნულება მიიღო. მას ეს ნაბიჯი კარიერის ფასად დაუჯდა – თუმცა ამით ადგილი დაიმკვიდრა სამართლის ისტორიაში. წინამდებარე თავში ჩვენ გავიცნობთ მოსამართლეს, რომელმაც აშშ-ის ღრმა სამხრეთით მდებარე, რასისტული განწყობებით გამორჩეულ საზოგადოებაში, კოლეგებისა და საზოგადოების აზრის საპირისპირო განაჩენი გამოიტანა.

დროდადრო მოსამართლე უზარმაზარი ზენოლის ქვეშ ექცევა, რათა თვალი დახუჭოს კანონსა და სამართლიანობის პრინციპებზე. ზოგჯერ სახელმწიფო, უმაღლესი ინსტანციის სასამართლოები, კოლეგები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და იდეალური საზოგადოება მოსამართლისგან ითხოვენ მორჩილებას ან კანონის დარღვევასაც კი. წინა თავში ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ სისტემატურად უგულებელყოფდნენ მეჩვიდმეტე საუკუნის ნორვეგიაში მოსამართლეები მტკიცებულებით სამართალსა და კანონს, რათა ჯადოქრობასა და ეშმაკთან შეთქმულებაში ბრალდებული ადამიანები კოცონზე დაენვათ.

1933 წელს, მსგავსი გამოწვევის წინაშე, აშშ-ის სამხრეთით, ალაბამას შტატში მდებარე, პატარა ქალაქ დეკატურში მოღვაწე მოსამართლეც აღმოჩნდა. მოსამართლე ჯეიმს ედვინ ჰორტონის ამბავი, რომელმაც „სკოტსბოროს ბიჭების“ საქმე 1930-იან წლებში განიხილა, არის ერთ-ერთი იმ ადამიანის ისტორია, რომელმაც საკუთარი კარიერა და ცრურწმენები განზე გადადო, რათა ერთი კონკრეტული იდეის სულისკვეთებით ეცხოვრა: საზოგადოება უნდა იმართებოდეს კანონისა და სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით.

1933 წელს ამერიკის ეკონომიკა სწრაფ რეგრესს განიცდიდა, სამხრეთ რეგიონებში კი, შავკანიანი ამერიკელების ლინჩის წესით დასჯის შემთხვევები მატულობდა. ეს იყო დიდი დეპრესიისა და „უცხო ხილის“ სახელწოდებით ცნობილი პერიოდი, წლები, როცა ხეზე შავკანიან ადამიანთა გვამები ეკიდა და მათ სამხრეთიდან მონაბერი ქარი არხევდა. ლინჩის წესით დასჯილთა რიცხვი ალაბამაში 1929 წელს ეკონომიკური დეპრესიის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე გასამმაგდა.

თუკი რომელიმე აფრო-ამერიკელს სამხრეთ რეგიონებში თეთრკანიან ქალთან სექსუალური კავშირის დამყარებაში ან გაუპატიურებაში დაადანაშაულებდნენ, მას აუცილებლად უსასტიკესი სიკვდილი ელოდა – ან ლინჩის წესით ჩაქოლავდა აფიტირებული ბრბო ან სასამართლო სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდა. უდანაშაულობის დამტკიცების ნებისმიერი მცდელობა თითქმის ყოველთვის წარუმატებლობით სრულდებოდა.

„სკოტსბოროს ბიჭების“ ამბავი სწორედ ასე დაიწყო. თუმცა, მოსამართლის მიდგომის წყალობით, სულ სხვანაირი ფინალით დასრულდა. ეს იყო 1930-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე საკამათო რასობრივი და პოლიტიკური საქმე.

მანანალების ჩხუბი სატვირო მატარებელში

ყველაფერი დაიწყო 1931 წლის 25 მარტის დილას, როდესაც ცხრა შავკანიანი ბიჭი ტენესის შტატის ქალაქ ჩატანოგაში სატვირო მატარებელში ავიდა. მატარებელი მემფისისკენ მიემგზავრებოდა. იმავე მატარებლით მგზავრობდა შვიდი თეთრკანიანი ბიჭი და ორი თეთრკანიანი გოგონა. ამ ორ ჯგუფს შორის ატყდა ჩხუბი, რომლის დროსაც თეთრკანიანი ბიჭები მატარებლიდან ჩაყარეს. განაწყენებულმა

თეთრკანიანმა ბიჭებმა სადგურის თანამშრომლებთან იჩივეს, რომ-ლებმაც თავის მხრივ, ზემდგომებს შეატყობინეს ჩხუბის შესახებ და მოითხოვეს, რომ „ყველა ზანგი მატარებლიდან ჩამოეყარათ“. მომდევნო სადგურზე, შერიფის წარმომადგენლებმა ცხრავე ბიჭი დააკავეს. ასაკით ყველაზე უმცროსი 12 და 13 წლის ბავშვები იყვნენ. მატარებელში შერიფმა ასევე დააკავა ორი ქალი და ყველანი ახლომდებარე ქალაქ სკოტსბოროში გადაიყვანა.

დაკავებულ ქალებს შეეშინდათ, რომ შერიფი მათ ბრალს სექსუალური მომსახურების განწევის მიზნით სახელმწიფო საზღვრის კვეთისთვის წაუყენებდა. ქალები ბამბის სართავ ფაბრიკაში შავი სამუშაოების შესრულების გარდა, დამატებითი შემოსავლის მისაღებად, სექსუალურ მომსახურებასაც ეწეოდნენ. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მათ ცხრავე ბიჭს ჯგუფურ გაუპატიურებაში დასდეს ბრალი. ქალებმა განაცხადეს, რომ მათზე ექვსმა ბიჭმა რიგრიგობით იძალადა. ქალების მონაყოლით, ისინი იატაკზე გააკავეს, სცემდნენ და იარაღით ემუქრებოდნენ. შერიფმა მათ ჩვენება ჩამოართვა, ხოლო ორმა ექიმმა ქალებს სხვადასხვა სამედიცინო შემონმება ჩაუტარა. ექიმებმა ვერ აღმოაჩინეს რაიმე ჭრილობის კვალი ან გაუპატიურების სხვა ნიშნები, ხოლო გამონაყოფი, რომელიც ქალების სხეულში აღმოჩნდა, უკვე დიდი ხნის მკვდარ სპერმას შეიცავდა.

მთვრალი უძრავი ქონების აგენტი და ბებერი ადვოკატი

ბრალდების შესახებ ინფორმაციის გახმაურების შემდეგ, უამრავი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. ისინი შერიფისგან ცხრავე მამაკაცის გადაცემას მოითხოვდნენ, რათა ხალხს დაუყოვნებლივ ჩამოეხრჩო დამნაშავეები. შერიფმა უარი განაცხადა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ეროვნული გვარდიის გამოძახებაც კი მოუხდა. ერთი კვირის შემდეგ, საქმე სასამართლოში გადაიგზავნა.

ქალაქის არც ერთმა ადვოკატმა არ აიღო საკუთარ თავზე ბრალდებულების დაცვა, ამიტომ მოსამართლემ პენსიაზე გასული, ბებერი გონებასუსტი ადვოკატი დანიშნა მათ დამცველად. რამდენიმე შეწუხებულმა შავკანიანმა მოქალაქემ ძალზედ დაკავებულ და არცთუ ისე კარგი რეპუტაციის მქონე უძრავი ქონების აგენტს სთხოვა დახმარება. არც ერთ დამცველს არ მიეცა საქმეში არსებული დოკუმენტების წინასწარ გაცნობის

საშუალება, ხოლო კლიენტებთან ნახევარსაათიანი გასაუბრების შესაძლებლობაზე ნებართვა მხოლოდ პირველი სასამართლო პროცესის დაწყებამდე დაუშვს. პროცესის დაწყების მომენტისთვის, უძრავი ქონების აგენტი ისეთი მთვრალი იყო, რომ ნორმალურად ფეხზეც კი ვერ იდგა. სასამართლო პროცესი თავიდან ბოლომდე, დაძაბული, მტრული და აღშფოთებული საზოგადოების ემოციების ფონზე წარიმართა. მთელი დროის განმავლობაში ბრალდებულები ან ხელბორკილებით იყვნენ დაბმულები ან მათ სამხედროები იცავდნენ.

ბრალდებულები სამ ჯგუფად გაასამართლეს. სამივე პროცესი ერთ დღეში დასრულდა. სასამართლო დარბაზში პროცესის მიმდინარეობისას, ეროვნული გვარდიის შეიარაღებული წარმომადგენლები ძლივს ახერხებდნენ 1500-კაციანი გაავებული და ხმაურიანი ბრბოს შეკავებას. ბრბო სისხარულითა და ყიჟინით შეხვდა ნაფიცი მსაჯულების მიერ პირველი ჯგუფის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენის გამოცხადებას, რომელსაც მეორე ჯგუფის განმხილველი ნაფიცი მსაჯულებიც ისმენდნენ. ყველა ბრალდებულს, გარდა ერთისა, რომელსაც ჯერ 13 წელიც არ შესრულებოდა, სასამართლომ სასჯელის სახით ელექტრო სკამი განუსაზღვრა. საქმე სააპელაციო წესით ალაბამას უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა. უზენაესმა სასამართლომ განაჩენი უცვლელად დატოვა.

როდესაც საქმე აშშ-ის უზენაეს სასამართლოში გადავიდა, სასამართლომ წინა ინსტანციის გადანყვეტილებები გააუქმა იმ საფუძვლით, რომ ბრალდებულებს კვალიფიციურ დამცველზე წვდომის საშუალება არ მიეცათ. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა:

ბრალდებულები – ახალგაზრდები, გაუნათლებლები, წერა-კითხვის უცოდინრები, სიძულვილით გარშემორტყემულნი, რომლებსაც, საზოგადოება საზარელ დანაშაულში დებდა ბრალს, ხოლო ჯარისკაცებს თავიანთი დაცვის ქვეშ შეჰყავდათ და გაჰყავდათ სასამართლო დარბაზიდან, სულ რამდენიმე წამში აღმოჩნდნენ სიცოცხლის დაკარგვის საფრთხის წინაშე, – მას შემდეგ რაც ადვოკატი, რომელსაც ცხოვრებაში პირველად დაეკისრა მსგავსი პასუხისმგებლობა, მათ წარმომადგენლობას შეუდგა.⁵⁸

58 პაუელი ალაბამას წინააღმდეგ, 287 აშშ 45 (1932).

მოკლედ, შემზადდა სცენა იმავე საქმეზე მეორე რაუნდის ჩასატარებლად. სახელმწიფო ბრალმდებელმა საქმის ნარმოება ხელახლა დაიწყო.

კომუნისტურ პარტიას საქმე საერთაშორისო დონეზე გააქვს

სწორედ ამ მომენტში, სცენაზე შემოდის მოსამართლე ჯეიმს ედვინ ჰორტონი, რომელიც მოსამართლედ პატარა ქალაქ დეკატურში, ზემოაღნიშნული ორი ქალბატონის მშობლიურ ქალაქში მუშაობდა. ამასობაში, „ჩაგრული შავკანიანი მუშების“ სახელით, საქმეში ჩაერთო ამერიკაში მოქმედი კომუნისტური პარტია. რამდენიმე ბრალდებულის დედა ევროპასა და აშშ-ის სხვა შტატებშიც კი გაამგზავრეს მხარდაჭერისა და თანაგრძნობის მოსაპოვებლად.

საქმე ღარიბი მუშათა კლასის ჩაგვრისა და ბურჟუაზიის მიერ შავკანიან მოსახლეობაზე ძალადობის მაგალითად იქცა. მთელი მსოფლიოდან მოედინებოდა მხარდაჭერის წერილები, მათ შორის ალბერტ აინშტაინისა და ცნობილი ავტორების თომას მანისა და ჰ. ჯ. უელსისგან – აშშ-ის პრეზიდენტისა და ალაბამას გუბერნატორის სახელზე. ევროპული გაზეთები აჭრელებული იყო სტატიებით აღნიშნული საქმის შესახებ.

ამგვარი მხარდაჭერა ალაბამაში აღქმული იქნა, როგორც კომუნისტური დივერსია, დაფინანსებული მოსკოვისა და „ებრაელების ფულით“, თუმცა საბოლოოდ, აშშ-ის ჩრდილოეთ და სამხრეთ შტატებს შორის განსხვავების სიმბოლოდ იქცა.

კომუნისტურმა პარტიამ პროცესისთვის, ცნობილი ახალგაზრდა ადვოკატი ნიუ-იორკიდან, სამუელ ლეიბოვიცი დაიქირავა. ლეიბოვიცმა საქმის სხვა ქალაქში გადატანა მოითხოვა, რამეთუ, მისი ღრმა რწმენით, სკოტსბოროში სამართლიანი სასამართლოს ჩატარება უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა. საქმე დეკატურში გადაიგზავნა. სასამართლო პროცესზე, ლეიბოვიცს, ბრალდებულებსა და მოსამართლეს სიკვდილითაც კი ემუქრებოდნენ. სასამართლო პროცესზე დამსწრე რამდენიმე მოქალაქემ ყური მოჰკრა, თუ როგორ ეჩურჩულებოდა ერთ-ერთი მონმე მეორეს ლეიბოვიცის შესახებ: „საოცარი იქნება, ქალაქს ცოცხალი თუ დატოვებს“.

მოსამართლე მონათა პლანტაციიდან უნივერსიტეტის დიპლომით

1933 წლის 27 მარტის ნაშუადღევს, დეკატურში სასამართლო პროცესი დაიწყო. სასამართლო დარბაზის 425-ივე ადგილი დამსწრე საზოგადოებამ დაიკავა, ასევე ცალკე სკამები და მაგიდები განათავსეს ჟურნალისტებისთვის (ცნობილი გაზეთებიდან, მათ შორის *Associated Press*, *New York Times* და *Daily Worker*). ხალხის გრძელი რიგი სასამართლო დარბაზს გარეთ, დერეფნებში გრძელდებოდა. ნაფიც მსაჯულებად თორმეტი ადგილობრივი თეთრკანიანი მამაკაცი იყო შერჩეული. შავკანიანების არჩევა პრაქტიკაში დაშვებული არ იყო.

მოსამართლეს თეთრკანიანი იყო და ჯეიმს ედვინ ჰორტონი ერქვა. წარმოსადეგი, ხმელი აღნაგობის ჰორტონი, სიმალლით თითქმის ექვს ფუტს უტოლდებოდა. მოგვიანებით, საქმის პროკურორი, თომას ნათი აღნიშნავს, რომ მოსამართლე ხალხს აბრაამ ლინკოლნს აგონებდა.

ჰორტონი შეძლებული სამხრეთელი ოჯახიდან გახლდათ. განათლება ტენესის უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული. იმ დროისთვის, საკმაოდ უჩვეულო იყო იურისტებისა და მოსამართლეებისთვის იურიდიული განათლების საუნივერსიტეტო დონეზე მიღება. ჰორტონი უზარმაზარ ფერმაში გაიზარდა, რომლის სიმდიდრესაც სწორედ მონების ექსპლუატაციით მიღებული შემოსავალი განაპირობებდა. შესაბამისად, ის იზიარებდა თეთრკანიანი მოსახლეობის უმეტესობის აზრს, რომ შავკანიანი და თეთრკანიანი ადამიანების ერთმანეთისგან გამიჯვნა აუცილებლობას წარმოადგენდა. თუმცა, ასევე სწამდა, რომ თეთრკანიანებს გარკვეული ვალდებულება ეკისრებოდათ შავკანიანების მიმართ, მათ შორის იმის უზრუნველყოფა, რომ სასამართლო სისტემა მათ სამართლიანად მოჰქცეოდათ.

ცხრა ბრალდებულიდან პირველი ეჭვმიტანილის, ჰეივუდ პატერსონის საქმე დიდხანს არ გაგრძელბულა. ჰორტონმა დროულად შენიშნა, რომ საქმეში რალაც რიგზე ვერ იყო. ნაყენებულ ბრალთან დაკავშირებით ეჭვი ჯერ კიდევ პირველი დაზარალებულის დაკითხვისთანავე გაუჩნდა. ორი ექიმიდან კი, მხოლოდ ერთი გამოცხადდა მონმე-ექსპერტად. სასამართლოს დაწყებიდან სულ რალაც ორ დღეში მეორე ექიმი მოსამართლეს სასამართლო დარბაზის გარეთ შეხვდა და უამბო, რომ სამედიცინო შემონმებისას, როდესაც მან ქალებს უთხრა, რომ ისინი ცრუობდნენ, მათ უბრალოდ დასცინეს. ექიმმა სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემა არ ისურვა, იმის შიშით, რომ შემდგომში ველარასდროს

შეძლებდა საექიმო პრაქტიკის გაგრძელებას. ჰორტონს ორი არჩევანი ჰქონდა: ეიძულებინა ექიმი ჩვენება მიეცა ან სასამართლო პროცესი შეენწყვიტა. იმავდროულად, მას სჯეროდა რომ ნაფიცი მსაჯულები ბრალდებულებს გაამართლებდნენ სუსტი მტკიცებულებების გამო.

მოსამართლე ჰორტონმა, ნაფიცი მსაჯულებისთვის ინსტრუქციის მიცემისას აღნიშნა, რომ ორივე ქალბატონმა ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები წარმოადგინეს, ხოლო საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები მონაშობდა, რომ ისინი ცრუობდნენ. მან საქებარი სიტყვები არ დაიშურა მსაჯულების მისამართით, დაახასიათა ისინი როგორც პატიოსანი, პასუხისმგებელი და გონიერი მამაკაცები. მისი თქმით, სასამართლოს ამოცანას ადვოკატების შეფასება არ წარმოადგენდა და არც ბრალდებულების კანის ფერს უნდა მოეხდინა მასზე გავლენა.

პროკურორი, თავის დასკვნით სიტყვაში, განრისხებული ტონით წარსდგა ნაფიც მსაჯულთა წინაშე და თქვა: „აჩვენეთ მათ, რომ ალაბამაში სამართლიანობით ვაჭრობა დაუშვებელია ნიუ-იორკიდან მომდინარე ებრაული ფულით!“. მომდევნო ღამით მთელს შტატში ჯვრები იწვოდა. ლეიბოვიცმა ნაფიც მსაჯულებს მოუწოდა, გადაწყვეტილება საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიეღოთ. ხუთ წუთზე ნაკლები დასჭირდათ ნაფიც მსაჯულებს, რათა პატერსონი დამნაშავედ ეცნოთ და ელექტრო სკამზე სიკვდილი მიესაჯათ.

ნიუ-იორკის ელიტა

იმ დროს, ნებისმიერი სამხრეთელი ნაფიცი მსაჯული ვალდებული იყო თეთრკანიანი ქალის გაუპატიურებაში ბრალდებული შავკანიანი მამაკაცი გაემტყუნებინა ქალის სოციალური კუთვნილებისა თუ რეპუტაციის გაუთვალისწინებლად. მოცემულ საქმეში მსაჯულების გადაწყვეტილება აღქმული იქნა როგორც დროული პასუხი ჩრდილოელი მდიდარი და რადიკალი ებრაელების და კომუნისტების მიმართ, რომლებიც სამხრეთში მცხოვრებ მოსახლეობას კანონებსა და ზნეობრიობაზე ესაუბრებოდნენ. გამამართლებელი განაჩენი საშიშ დარტყმას მიაყენებდა ასევე ალაბამას საზოგადოებრივ წყობილებას. ლეიბოვიცი, თავის მხრივ, განაწყენდა და ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ასეთი კომენტარი გააკეთა: მსაჯულები არიან „ფანატიკოსები, რომელთა პირებიც მხოლოდ უბრალო ქრილია მათ

სახეებზე ტუჩებს შორის მოქცეული, მათი თვალები გომბეშოსავით დაყვლეფილია, ხოლო მათ წვერებიან და ბინძურ ნიკაპზე თამბაქოს წვენი მოედინება წურწურით“.

მომდევნო კვირას დაცვის მხარემ საქმის ხელახალი განხილვა ითხოვა, ჰორტონმა კი გადაწყვიტა, პატერსონის სიკვდილით დასჯა გადაედო საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე. ცოტა ხანში მან დანარჩენი საქმეებიც განუსაზღვრელი ვადით გადადო, ვიდრე ადგილობრივ მოსახლეობაში ემოციები არ დაცხრებოდა.

ჰორტონმა სახელმწიფო ბრალმდებელ ნაითს დანარჩენი ბრალდებულე-ბის წინააღმდეგ საქმეების შეწყვეტა სთხოვა. ნაითს ამბიციური გეგმები ჰქონდა, სურდა გუბერნატორის პოსტზე ეყარა კენჭი, ამიტომ ჰორტონი უარით გამოისტუმრა. ჰორტონმა ნაითს უთხრა, რომ მას გადაწყვეტილების გაუქმება შეეძლო. მოსამართლეს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმების უფლება კი ჰქონდა, მაგრამ ამის გაკეთება ისეთ სერიოზულ საქმეში, როგორიც გაუპატიურება იყო, თითქმის წარმოდგენელ რალაცას ნიშნავდა. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გაუქმება ამგვარ საქმეში კომუნისტებისთვის დათმობად ჩაითვლებოდა, – გააფრთხილა ნაითმა ჰორტონი. მან ასევე შეახსენა ჰორტონს, რომ თუკი ის მსაჯულთა გადაწყვეტილებაში ჩაერეოდა, მას მოსამართლედ განმეორებით აღარ აირჩევდნენ. რაზეც მოსამართლემ მიუგო: – „და რა კავშირშია ეს ამ საქმესთან?“

მოსამართლე, რომელმაც საზოგადოება გაანაწყენა

სასამართლო პროცესის გადადების წინ ჰორტონმა გააკეთა განცხადება: მიმოიხილა საქმეში არსებული მტკიცებულებები და საჯაროდ აღნიშნა, რომ ქალების გაუპატიურებას, დიდი ალბათობით, ადგილი არ ჰქონია. მოსამართლემ ნაბიჯ-ნაბიჯ და დეტალურად გაიარა ყველა მტკიცებულება:

რანაირად მოხდა, რომ სასტიკი გაუპატიურების შედეგად, ქალებს სხეულზე ერთი ნაკანრიც კი არ დარჩათ? რატომ არ აღმოჩნდა მათ სხეულზე ახალი სპერმის კვალი? რატომ არ იყვნენ ისტერიკაში ან არ ტიროდნენ, როცა შერიფმა და მისმა წარმომადგენლებმა ისინი მატარებელში იპოვეს? რატომ აღნიშნა მონმემ, რომლის

მტკიცებით, გაუპატიურებას საკუთარი თვალთ უყურა, რომ ორივე ქალს კაბები ეცვათ, მაშინ როცა სინამდვილეში მათ სპეცტანსაცმელი ემოსათ?

ჰორტონმა განცხადების კითხვა განაგრძო და დასკვნაში აღნიშნა, რომ ამ ყველაფრის საფუძველზე, ნაფიცი მსაჯულების მიერ გამოტანილი განაჩენი უნდა გაუქმებულიყო.

ნათმა მაშინვე გამოაცხადა, რომ ახალი ბრალის დადგენილებას მოამზადებდა. ნაციონალურმა პრესამ ჰორტონი შეაქო, როგორც პატიოსანი მოსამართლე, მშობლიურ ქალაქში კი იგი გაკიცხვის ობიექტად იქცა. იგი უხეში თავდასხმების სამიზნე გახდა სამხრეთული პრესის მხრიდან, რომლებიც წერდნენ, რომ „უბრალო ქიაზე უხერხემლო აღმოჩნდა“ და რომ საზოგადოების ინტერესების ხარჯზე შეეცადა აღიარების მოპოვებას. მას დააბრალებს „სკოტსოროს მოძალადეებთან გარიგება“, „ალაბამას თეთრკანიანი მოსახლეობისთვის დამამცირებელი შეურაცხყოფის მიყენება“ და „კანონგარეშე ზანგების გონებაში ბოროტი ზრახვების ჩანერგვისა და ალაბამას თეთრკანიანი ქალების წინაშე არსებული საფრთხეების გაზრდის ხელშეწყობა“.

მართალია, ალაბამას თეთრი ელიტის რამდენიმე წარმომადგენელმა აღიარა, რომ მტკიცებულებები მართლაც ძალიან სუსტი იყო, ისინი მაინც დაჟინებით აცხადებდნენ, რომ თუკი ეს შავკანიანი მამაკაცები გაუპატიურების ბრალდებაში გამართლდებოდნენ, მაშინ შტატში მცხოვრები ვერც ერთი თეთრკანიანი ქალი მომავალში თავს უსაფრთხოდ ველარ იგრძნობდა. ზოგმა ჰორტონს დაუჭირა მხარი. ამის გამო, ერთ-ერთ სოციოლოგიის პროფესორს უნივერსიტეტთან კონტრაქტი აღარ გაუგრძელეს, ხოლო რაბინი, რომელმაც ჰორტონის მხარდაჭერა გაბედა, იძულებული გახადეს სამსახური დაეტოვებინა. ჰორტონი სხვა საქმეების განხილვასაც ჩამოაცილეს. ახლმა მოსამართლემ უარი თქვა პატერსონის საქმეზე ახალი სასამართლო პროცესი ჩანიშნულიყო, ხოლო დანარჩენი რვა ბრალდებული გაასამართლა. კიდევ ერთხელ გაიგზავნა სააპელაციო საჩივარი ალაბამას უზენაეს სასამართლოში, რომელმაც ადგილობრივი სასამართლოს განაჩენი ძალაში დატოვა. და კვლავ საქმე აშშ-ის უზენაეს სასამართლოს გადაეცა განსახილველად. უზენაესმა სასამართლომ ამჯერადაც გააუქმა განაჩენი, იმ მოტივით, რომ ალაბამაში ნაფიც მსაჯულთა სისტემა შავკანიანების ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში მონაწილეობას გამორიცხავდა.

სამუდამოდ განდევნილი სასამართლო სისტემიდან

ჰორტონი მოსამართლე ახალი ვადით აღარ აირჩიეს. რეალურად, იგი არც აპირებდა კენჭისყრაში მონაწილეობას, მაგრამ მისი დაყოლიება ადგილობრივმა ადვოკატმა ასოციაციამ მოახერხა, რომელიც მტკიცედ უჭერდა მხარს მის კანდიდატურას. ჰორტონმა დატოვა მოსამართლის თანამდებობა და ხელი მიჰყო საადვოკატო პრაქტიკას, ასევე დაკავდა საოჯახო მამულის მოვლით, რომელზეც სიცოცხლის ბოლომდე ზრუნავდა. ჰორტონი 1973 წელს, 95 წლის ასაკში გარდაიცვალა. გენერალური პროკურორი ნაითი გუბერნატორად აირჩიეს იმავე არჩევნებში, რომლის ფარგლებშიც ჰორტონს თანამდებობაზე ეთქვა უარი.

ყველაფრის მიუხედავად, ნაითმა სისხლის სამართლებრივი დევნის მესამედ დაწყების შემდეგ, ისევ მოჰკიდა ხელი იგივე საქმეს. მან გუბერნატორის პოსტიდან შვებულებაც კი აიღო, რათა პირადად ეხელმძღვანელა საქმის მსვლელობისათვის. ნაითმა ოთხი მცირეწლოვანი ბრალდებულის წინააღმდეგ დევნა შეწყვიტა. თუმცა, სანამ სხვა საქმეები სასამართლომდე მივიდოდა, ნაითი გარდაიცვალა. საქმეების წარმოება მისმა სამართალმემკვიდრემ გადაიბარა. საბოლოო ჯამში, დანარჩენ ხუთ ბრალდებულს ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მიესაჯათ, თუმცა არა სიკვდილით დასჯა.

რატომ არის ჰორტონი გმირი?

მოსამართლე ჰორტონი კანონის მხარეს იდგა. იგი მოიქცა ისე, როგორც ყველა მოსამართლე უნდა იქცეოდეს. მან ბრალდებულებს მისცა შანსი, მიეღოთ ეფექტური დაცვა მათთვის ნაყენებული ბრალდების წინააღმდეგ, მოუწოდა ნაფიც მსაჯულებს ეხელმძღვანელათ მხოლოდ მტკიცებულებებით და გააუქმა განაჩენი, რომელიც აშკარად წინააღმდეგობაში მოდიოდა სასამართლო პროცესზე წარმოდგენილ ფაქტებთან. მას ღრმად სწამდა, რომ ყველა ადამიანს აქვს სამართლიანი სასამართლოს უფლება კანის ფერის მიუხედავად და ამ რწმენის პრაქტიკაში განხორციელებას ნამდვილად ახერხებდა. წესით, ამაში რაიმე გასაოცარი არც არაფერი უნდა იყოს.

მოსამართლე ჰორტონი ასევე გამორჩეულია საქმეში მონაწილე სხვა მოსამართლეებისგან და ადვოკატებისგან. ის იყო ერთადერთი მოსამართლე ალაბამას შტატის ყველა მოსამართლეს შორის, რომ-

ლებმაც აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებული პროცესები ანარმოეს როგორც პირველ ინსტანციაში, ასევე უზენაეს სასამართლოში, რომელიც ბრალდებულებს კანონის შესაბამისად ეპყრობოდა. ყველა ადამიანზე, გაუპატიურებაში ბრალდებულ შავკანიან ბიჭებზეც კი, ვრცელდებოდა უდანაშაულობის პრეზუმფცია, ასევე სამართლიანი სასამართლოსა და სამართლიანი პროცესის უფლება. აშშ-ის უზენაეს სასამართლოში გამართულმა ორმა პროცესმაც კი ვერ დაარწმუნა ალაბამას მოსამართლეები, რომ აზრი შეეცვალათ. მხოლოდ ჰორტონი იცავდა კანონს კბილებით.

ჯეიმს ედვინ ჰორტონი არ იყო უბრალო მოსამართლე; ის იყო გამორჩეული მოსამართლე. უამრავი საერთოს პოვნა შეიძლება მასსა და შონენბულს შორის.

ჰორტონი დაუპირისპირდა როგორც თავის კოლეგებს, ასევე საზოგადოებრივ აზრს. მან არ მისცა უფლება სამხრეთულ აღზრდას, კონსერვატიულ მსოფლმხედველობას და რასისტულ დამოკიდებულებებს გავლენა მოეხდინათ მისი განსჯის უნარზე. მართალია, ჰორტონი არ ემხრობოდა შავკანიანი ადამიანების თეთრკანიანთა საზოგადოებაში ინტეგრირების იდეას, თუმცა ის ფაქტი, თუ როგორ წარმართა საქმე და როგორ დაიცვა მან კანონი, უდავოდ დასტურია იმისა, რომ შავკანიანებზე სამართლიანი სასამართლოს უფლების გავრცელება ნამდვილად შესაძლებელი იყო. ყველასთვის ცხადი იყო, რომ კომუნისტები ამ საქმეს სოციალური არეულობის გასაღვივებლად და სამხრეთის შტატებში სოციალური სტრუქტურის ასარევად იყენებდნენ. თუმცა, ჰორტონმა ეს ფაქტორი არარელევანტურად მიიჩნია იმ საქმეში, სადაც ახალგაზრდა ბიჭების სიცოცხლე იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ.

ჰორტონის ლიბერალური თეთრი ელიტის წარმომადგენელი კოლეგებიც კი თვლიდნენ, რომ დასჯა აუცილებელი იყო, თეთრკანიანი ქალების საშიში შავკანიანი მოძალადე მამაკაცებისგან დაცვის მიზნით. მთელი საზოგადოება, მათ შორის სასამართლო სისტემა, მიემართებოდა ამგვარი დაცვის უზრუნველყოფისაკენ. ამ დროს კი ჰორტონს სჯეროდა, რომ სამართლის უზენაესობა ყველა ადამიანის უფლება იყო და რომ სისხლის სამართლის საქმეში მხოლოდ სამართლის უზენაესობას უნდა მინიჭებოდა მნიშვნელობა. საკმაოდ დამაფიქრებელი და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ალაბამას შტატის არც ერთი მოსამართლე და პროკურორი არ იზიარებდა მის შეხედულებას. მისი ენერგიული

ბრძოლა, საზოგადოებრივი აზრისა და თანამოაზრეებში გავრცელებული განწყობების მიუხედავად, გაბედული ნაბიჯი აღმოჩნდა სამართლებრივი სიცხადის დასამკვიდრებლად, განსაკუთრებით ისეთ აღმამფოთებელ და პოლიტიკურად გამწვავებულ საქმეში, როგორც იყო „სკოტსბოროს ბიჭების“ საქმე.

ეს საქმე დასტურია იმისა, რომ ბრალდებულს, რომლის წინააღმდეგაც მთელი საზოგადოება ამხედრებული, ყოველთვის ვერ ექნება ნდობა, რომ სამართლებრივი სისტემა კანონს დაიცავს ან სამართლიანობის აღსრულებას უზრუნველყოფს. ამ ნდობის მოსაპოვებლად, ჩვენ გვჭირდება უფრო მეტი გაბედული და პასუხისმგებლობით სავსე მოსამართლე, როგორც იყო ჯეიმს ედვინ ჰორტონი.

გამოყენებული ლიტერატურა

- Berg, Manfred. *Popular Justice: A History of Lynching in America*. Chicago, Ivan R. Dee Publisher, 2011.
- Carter, Dan T. *Scottsboro: A Tragedy of the American South*. Baton Rouge, La: Louisiana State University Press, 1969.
- Linder, Douglas O, “Without Fear or Favor: Judge James Edwin Horton and the Trial of the Scottsboro Boys.” *UMKC Law Review* 68, no. 4 (2000): 549–584.

4

ლოთარ კრეისიგი

კეთილსინდისიერი მოსამართლე

მოკლე მიმოხილვა

ამ თავში განვიხილავთ გერმანელი მოსამართლის ლოთარ კრეისიგის წვლილს. როდესაც 1933 წელს ჰიტლერი მოვიდა ქვეყნის სათავეში, კრეისიგი დაფიქრდა თანამდებობის დატოვებაზე, თუმცა ჩათვალა, რომ ეს მეტისმეტად მარტივი ნაბიჯი იქნებოდა. როდესაც ჰიტლერის გერმანიამ ფსიქიკურად დაავადებული ადამიანების მასობრივი დახოცვის განკარგულება გასცა, ქვედა ინსტანციის მოსამართლემ ჰიტლერის შტაბის უფროსს ბრალი მკვლევლობისთვის წაუყენა. მოსამართლემ უარი თქვა ფიურერის სიტყვის ქვეყნის უმაღლეს კანონად აღიარებაზე, რის გამოც, მას თანამდებობის დატოვება მოსთხოვეს.

იშვიათად მსმენია ისეთი მოსამართლის შესახებ, როგორც ბრანდენ-ბურგის ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე ლოთარ კრეისიგი იყო. ის უშუალოდ ჰიტლერს დაუპირისპირდა და ომის შემდეგაც განაგრძო რეჟიმის ოპონირება კომუნისტური გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (გდრ). განცვიფრებას იწვევს მოსამართლის ისტორია, რომელიც ჰიტლერის სახელისუფლებო სისტემის წინააღმდეგ წავიდა და მოსამართლის უფლებამოსილება ჰიტლერის გეგმის შესაფერხებლად გამოიყენა. მისი ისტორია მესამე რაიხში ძალაუფლებების შიდა ბრძოლას ასახავს და სანიმუშოდ აღწერს, თუ როგორ ცდილობდა

სასამართლო სისტემა თავისი სამოქმედო ტერიტორიის დაცვას და საკუთარი მოვალეობის შესრულებას.

ჰიტლერის შემზარავი გზავნილი

ეს ამბავი 1939 წლის სექტემბერში დაიწყო. გერმანიის საზღვრებს მიღმა, ომი აქტიურ ფაზაში იყო შესული. ამ დროს, ქვეყნის შიგნით, გერმანიის დიქტატორი ადოლფ ჰიტლერი, თავისი შტაბის უფროსს ფილიპ ბიულერსა და გერმანიის ჯანდაცვის სამსახურის უფროსს, ახალ დავალებას აძლევს: მოსპეთ ფსიქიკურად დაავადებულები და გონებრივად ჩამორჩენილები.

გზავნილი სიტყვა-სიტყვით ასე გამოიყურებოდა (თარგმანი ჩემი):

დაველოთ რაიხსლიდერ ბიულერსა და ექიმ ბრანდტს, ოფიციალური უფლებამოსილებით აღჭურვონ კონკრეტული ექიმები, რათა დაავადებულთა მდგომარეობის კრიტიკული შეფასების საფუძველზე, ტერმინალურ პაციენტებს სიკვდილისწინა მოწყალებითი მკურნალობა ჩაუტარონ. ადოლფ ჰიტლერი.

ბრანდენბურგში რალაც ხდება

ლოთარ კრეისიგმა, რომელიც ბერლინთან ახლოს მდებარე ქალაქ ბრანდენბურგის მოსამართლე იყო, რამდენიმე თვის შემდეგ შეიტყო, რომ მის იურიდიულ ოლქში მდებარე ფსიქიატრიული საავადმყოფოდან პაციენტები, ფარულად გადაჰყავდათ ავსტრიის ქალაქ ჰართჰაიმში მდებარე რენესანსის ეპოქის რესტავრირებულ ციხესიმაგრეში T-4 ევთანაზიის პროგრამის ფარგლებში. ეს გახლდათ საიდუმლო პროგრამის განმახორციელებელი ექვსი ცენტრიდან ერთ-ერთი, სადაც უკურნებელი ფსიქიკური სენით დაავადებულ და გონებრივად ჩამორჩენილ ადამიანებს მოსაკლავად აგზავნიდნენ. პროგრამას ბერლინის სათავო ოფისის მისამართი ჰქონდა სახელწოდებად: Tiergartenstrasse 4.

მკვლევლობები ცირკულარის დაგზავნით დაიწყო. ბიულერმა და ბრანდტმა ექიმებს, ექთნებსა და ბებიასებებს უბრძანეს, ალერიცხათ ყველა ის ახალშობილი და სამ წლამდე ასაკის ბავშვი, რომლებსაც მძიმე ფსიქიკური დაავადების ან ფიზიკური უნარშეზღუდულობის ნიშნები

აღენიშნებოდათ. 1939 წლის ოქტომბერში ხელისუფლებამ ამგვარი დარღვევების მქონე ბავშვების მშობლებს მოუწოდა, რომ შეიღებინათ კონკრეტულ სამკურნალო დაწესებულებებში დაეწვინათ. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს კლინიკები სიკვდილის ცენტრებად იყო ქცეული, რადგან აქ ბავშვებს ნარკოტიკული საშუალებების ლეტალური დოზის გამოყენებით ან შიმშილით ხოცავდნენ. პროგრამა სწრაფად გაფართოვდა და მოიცვა ზრდასრული პაციენტებიც, რომლებსაც გაზით გუდავდნენ. ეს ნაცისტების პირველი გამოცდილება იყო გაზის კამერების მასობრივი განადგურების იარაღად გამოყენების თვალსაზრისით.

საიდუმლომ გაჟონა

ნაცისტები ძალისხმევას არ იშურებდნენ, რომ პროგრამის კონფიდენციალურობა დაეცვათ, მაგრამ ინფორმაციამ მაინც გაჟონა და მალევე, ის ღია და ხელმისაწვდომ საიდუმლოდ იქცა. მოსახლეობის პასუხმაც არ დააყოვნა, რაც, საბოლოოდ, ფართომასშტაბიან, ღია საპროტესტო დემონსტრაციებში გადაიზარდა. განსაკუთრებული აქტიურობით ეკლესიები გამოირჩეოდნენ. 1941 წლის აგვისტოში მიუნსტერის ეპისკოპოსმა, კლემენტ ავგუსტ ფონ გალენმა, ქადაგების დროს, ღიად გააპროტესტა მიმდინარე მოვლენები. ჰიტლერმა პროგრამა ოფიციალურად მალევე დახურა, თუმცა ადგილობრივი ინიციატივების სახით, ის მაინც გაგრძელდა, ხოლო სამიზნეს უშუალოდ ფსიქიკური და ფიზიკური შეზღუდვების მქონე ბავშვები წარმოადგენდნენ. 1940 წლის იანვრიდან 1941 წლის აგვისტომდე, პროგრამის ოფიციალურმა ნაწილმა 70 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. საერთო ჯამში, დადგენილია, რომ ექთნებმა და ექიმებმა 250 000 ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს.

კრეისიგი, მოსამართლის სამსახურებრივი როლიდან გამომდინარე, ჩათრეული აღმოჩნდა კაცობრიობის ისტორიის ამ საზარელ ეპიზოდში. ადგილობრივი მოსამართლეების ერთ-ერთ მოვალეობას ფსიქიკურად დაავადებული და გონებასუსტი ადამიანების სამართლებრივი მეურვეობა წარმოადგენდა. კრეისიგმა შეამჩნია, რომ მისი მეურვეობისა და პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი ადამიანები სხვადასხვა დაწესებულებაში უჩინარდებოდნენ, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ – ილუპებოდნენ. იეჭვა, რომ მათ კლავდნენ. კრეისიგს პირდაპირი ინტერვენციის სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდა, თუმცა სწამდა, რომ კანონის

დარღვევის თავიდან აცილება მოსამართლის ფუნქცია იყო. ამიტომ, მან საკუთარი გამოძიება ჩაატარა და საქმე სასამართლოს თავმჯდომარის ყურამდე მიიტანა.

კრეისიგის გამოძიება ეფუძნებოდა საკუთარი ყურით მოსმენილ ამბებს, რომლის თანახმადაც, SS-მა უამრავი სულიერად დაავადებული ადამიანი გაიტაცა და მოსაკლავად გადაიყვანა სამხრეთ გერმანიის ერთ-ერთ რაიონში. კრეისიგმა თავი მოუყარა მეურვეებისა და მომვლელების რამდენიმე ჩვენებას, სადაც გაცხადებული იყო პაციენტების კლინიკებში განთავსების ისტორიები და ის ინფორმაცია, რაც მათ მოგვიანებით შეიტყვეს: პაციენტები სამხრეთით მდებარე ქალაქ ჰართჰაიმში გარდაიცვალნენ. მათი პატრონები კი მკაცრად იყვნენ გაფრთხილებულები, რომ ახლო ნათესავებისთვისაც არაფერი ეთქვათ.

ყველა ჩვენება ერთსა და იმავეს მოწმობდა. განსხვავებოდა ინფორმაცია მხოლოდ ჰართჰაიმში მომხდარის შესახებ. თუმცა ყველა ერთნაირად გადმოსცემდა ფაქტს, რომ გარდაცვლილებს დაუყოვნებლივ უტარდებოდათ კრემაცია, სავარაუდოდ, ინფექციის გავრცელების რისკის თავიდან აცილების გამო. ახლობლებს მხოლოდ იმას ატყობინებდნენ, რომ მათი პაციენტი სხვა დაწესებულებაში გადაიყვანეს და იქ გარდაიცვალა. ოჯახის წევრებს გადასცემდნენ გარდაცვალების მოწმობას და ფერფლით სავსე ურნას.

ჩვენ არ ვართ ყოვლისშემძლე ღმერთი

კრეისიგმა სასამართლოს თავმჯდომარეს წერილი მისწერა, სადაც დეტალურად აღწერა საკუთარი გამოძიების შედეგები. კრეისიგი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ღმერთს შეუძლია გადანყვიტოს ადამიანის სიცოცხლეს აზრი აქვს თუ არა და რომ ადამიანის გადასაწყვეტი არ არის, ვისი სიცოცხლეა ღირებული, ხოლო ვისას უნდა დაესვას წერტილი. მან ასევე ხაზი გაუსვა იმ საზარელ ფაქტს, რომ გადანყვიტილება სიცოცხლის შენარჩუნებისა თუ მოკვდინების შესახებ, მიიღებოდა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლისა და სასამართლო პროცესის გარეშე, სადაც შესაძლებელი იქნებოდა საწინააღმდეგო აზრის მოსმენა, ასევე ყოველგვარი გასაჩივრების შესაძლებლობის გარეშე.

ავისმომასწავებელი შორსმჭვრეტელობით, ის წერდა:

„კანონი არის ის, რაც ხალხის დაკვეთას აღასრულებს“. ამ საშინელმა სლოგანმა, რომელსაც სამართლის უმაღლესი რანგის არცერთი დამცველი არ შესწინააღმდეგებია, საზოგადოების უდიდესი ნაწილი, სასამართლო სისტემის მიღმა დატოვა. ეს დევიზი მშვენივრად მოერგო, მაგალითად, საკონცენტრაციო ბანაკებს და სულ ახლახან ასევე მიესადაგა საექთნო და ზრუნვის განმახორციელებელ დაწესებულებებსაც. ხალხის იმ მტრების მოკვდინება, რომლებიც თავიანთი ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე უდანაშაულოები არიან, (...) არ აღიქმება [გრძელვადიან პერსპექტივაში] სამართლიანად, მაშინ, როდესაც ასოციალურ ადამიანებს საზოგადოების ხარჯზე ჯიუტად გადარჩენა და ცხოვრება ძალუძთ.

მისი წერილი სრულდებოდა თხოვნით, რომ ზემდგომ სასამართლოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული რეკომენდაცია გაეცა.

საქმე ზემდგომ ინსტანციაშია

სასამართლოს თავმჯდომარემ ჩათვალა, რომ კრეისიგის წერილი აღმაშფოთებელი იყო და უბრძანა განცხადებისა და მოთხოვნის უკან გატანა. კრეისიგმა უარი განაცხადა, ამიტომ საქმე იუსტიციის სამინისტროში გადაიგზავნა. სამინისტროში ის ორჯერ შეხვდა სახელმწიფო მდივანს, როლანდ ფრეისლერს, რომლის სახელი, მოგვიანებით, ისტორიას დარჩა როგორც ნაცისტური რეჟიმის ტერორის დამკანონებლად ცნობილი სახალხო სასამართლოს პრეზიდენტის. ამ სასამართლოს ანგარიშზე 5,200 მოკლული „სახელმწიფოს მტერია“.

ფრეისლერმა კრეისიგს ვერ გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი მკვლელობების შესახებ სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით. ჰიტლერის ბრძანება იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ იუსტიციის სამინისტროსაც კი არ ჰქონდა ამის შესახებ ინფორმაცია. კრეისიგის გასაკვირად, ფრეისლერი მას ეთანხმებოდა აღნიშნული ზომების სამართლებრივ დონეზე დარეგულირების საკითხში და აჩვენა კიდეც კრეისიგს ევთანაზიის სამართლებრივი მოწესრიგების კანონპროექტი. სახელმწიფო მდივანმა ისიც კი აღიარა, რომ დევიზი „კანონი არის ის, რაც ხალხის დაკვეთას ასრულებს“, ხშირად არასწორად გამოიყენებოდა.

პროტესტის ნიშნად, კრეისიგმა განაცხადა, რომ მკვლევლობის ლეგალიზება არ მოხდებოდა კანონპროექტით და რომ საკუთარი სინდისი მოუწოდებდა – ემოქმედა მისი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფთა გადასარჩენად. ამ სიტყვებისთვის, კრეისიგმა გარკვეული მხარდაჭერაც კი დაიმსახურა ფრეისლერისგან, რომელმაც აღნიშნა, რომ „ეს დაანახებს იქ ადამიანებს, რომ ის, რასაც ჩვენ აქ, სასამართლო სისტემაში ვაკეთებთ, რეალურად, საკმაოდ მნიშვნელოვანია“.

ფრეისლერმა კრეისიგს გაანდო, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ჰიტლერის შტაბის უფროსს, ბიულერს ეკისრებოდა. მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კრეისიგმა გამოსცა წერილობითი განკარგულება, რომლის თანახმადაც, მის რეგიონში არსებულ დაწესებულებებს აეკრძალათ მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი ყველა ან ნებისმიერი პირის გადაყვანა მისი თანხმობის გარეშე. იმავდროულად, მან ბიულერს ბრალი წაუყენა არაერთი მკვლევლობის ჩადენაში. კრეისიგმა ბრალის დადგენილება რაიონის პროკურორსაც გადაუგზავნა.

ფიურერის ნება კანონია

ამ ყველაფერს მყისიერი რეაქცია მოჰყვა. 1940 წლის 13 ნოემბერს, ჰიტლერისგან შესაბამისი ბრძანების მიღების შემდეგ, კრეისიგი იუსტიციის მინისტრმა დაიბარა. „მაშასადამე მოსამართლის ქმედება უკანონოა“, – განაცხადა მინისტრმა. კრეისიგმა საპასუხოდ მიუგო, რომ ადამიანის მკვლელობა დანაშაულებრივ ქმედებას წარმოადგენდა კანონის თანახმად, რომლის მოქმედებაც „ვერ ანუღირდებოდა მოცემული ბრძანების საფუძველზე“.

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, მინისტრმა თქვა: „თუ თქვენ არ დაემორჩილებით ფიურერის ნებას, როგორც კანონის უპირველეს წყაროს, როგორც სამართლებრივ საფუძველს, მაშინ ვერ შეძლებთ მოსამართლედ მუშაობის გაგრძელებას“. თუკი კრეისიგი თავის განკარგულებას არ გააუქმებდა, სამინისტრო მისი გათავისუფლების პროცედურებს დაიწყებდა.

სამსახურიდან დათხოვნა

რამდენიმე დღის შემდეგ, კრეისიგმა სამინისტროს წერილი გაუგზავნა, სადაც იუწყებოდა, რომ მას საკუთარი სინდისი არ მისცემდა ამკრძალავი განკარგულების გაუქმების უფლებას; ამიტომ ერჩივნა თანამდებობა დაეტოვებინა. სამინისტრომ დააინიციირა მისი სამსახურიდან დათხოვნის პროცედურა; ამასთან, მის წინააღმდეგ უკვე მიმდინარეობდა სამართლებრივი დევნა სამოხელეო სასჯელის განსასაზღვრად – ანტინაციისტური ქმედებებისთვის სამოსამართლო საქმიანობის მიღმა.

სისხლის სამართლის საქმე გარკვეული პერიოდის შემდეგ შეწყდა იმ მიზეზით, რომ მოსამართლის შინაგანი რწმენა ვერ ჩაითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად და მიუხედავად იმისა, რომ კრეისიგი ნაციონალ-სოციალიზმის წინააღმდეგ პოზიციონირებდა, ის ამას წესების დაცვით აკეთებდა. 1942 წლის 1 ივლისს კრეისიგი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და სრული პენსიის თანხა გადაუხადეს. ასე დასრულდა მისი მოსამართლეო კარიერა.

ქრისტიანი ანთროპოსოფისტი და ნაციონალისტი

ვინ იყო ადოლფ ჰიტლერის ტოტალიტარული გერმანიის ძალაუფლების ცენტრში მოქცეული ეს მტკიცე შეხედულებებისა და უცნაური ბედის კაცი?

ლოთარ კრეისიგი დაიბადა 1898 წლის 30 ოქტომბერს, ბოსტნეულის ბითუმად მოვაჭრის ოჯახში. ის საქსონიის პატარა ქალაქ ფლოაში გაიზარდა და პირველი მსოფლიო ომის დროს არმიაში მსახურობდა. ომის შემდეგ, მან ლაიფციგში სამართალი შეისწავლა და გერმანიის ნაციონალურ მოძრაობაში განევრიანდა. ამ ყველაფერთან ერთად, ის მონაწილეობას იღებდა კომუნისტი დემონსტრანტების წინააღმდეგ გამართულ ქუჩის ბრძოლებში.

კრეისიგმა იურისტის ხარისხი 1923 წელს მიიღო, ხოლო 1926 წელს კემნიცის სასამართლო სისტემაში დაიწყო მუშაობა, სადაც მალევე მიიპყრო სასამართლოს თავმჯდომარის რუდოლფ ზიელის ყურადღება. ზიელი დემოკრატი და სოციალურად მოაზროვნე ადამიანი გახლდათ. მან კრეისიგზე იმხელა გავლენა მოახდინა, რომ კრეისიგმა უარიც კი თქვა გერმანულ ნაციონალურ დამოკიდებულებებზე, ამავდროულად

დაიწყო ფილოსოფოსისა და ანთროპოსოფიზმის მკვლევრის, რუდოლფ შტაინერის ნაშრომების კითხვა, რომლის გავლენითაც კრეისიგმა ფლოაში, თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, ხელი მიჰყო ექსპერიმენტირებას ბიოდინამიკური სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

შემდეგ ჰიტლერი გამოჩნდა ასპარეზზე. ზიელი ერთ-ერთი იყო იმ რამდენიმე „წითელ“ მოსამართლეთაგან, რომლებიც ნაცისტებმა 1933 წელს ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ დააპატიმრეს. იგი გააძევეს სისტემიდან, როგორც პოლიტიკურად არასანდო ადამიანი, ხოლო როდესაც კრეისიგმა 1933 წლის გაზაფხულზე ზიელი საპატიმროში მოინახულა, თვითონაც ლამის საკონცენტრაციო ბანაკში ამოყო თავი.

თანამდებობის დატოვების სურვილი ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ

1933 წელს, ნაცისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, კრეისიგმა თანამდებობიდან გათავისუფლების მიმართვა დაწერა, სადაც ჩამოთვალა კანონის რამდენიმე ფუნდამენტური დარღვევა, რომელიც სახელმწიფომ ჩაიდინა ან რომელზეც თვალი დახუჭა ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ: Sturmabteilung-ის (SA) ქუჩებში ბოგინი; რეჟიმის ოპონენტების საკონცენტრაციო ბანაკებში ან საპატიმროებში გამოკეტვა. ლიდერობის კულტის დამკვიდრების შედეგად, ქვეყანაში დემოკრატიის კვალიც კი აღარ დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება გარეგნულად თითქოს ნორმალურად მიედინებოდა, მათ შორის სასამართლო სისტემაშიც.

თეთრად გათენებული ლამის შემდეგ, კრეისიგი მივიდა დასკვნამდე, რომ გადადგომა ძალიან მარტივი გამოსავალი იქნებოდა. მისი პროტესტი დავინწყებას მიეცემოდა, ხოლო ასპარეზი რომელიმე დამნაშავეს ხელში გადავიდოდა. მიუხედავად ამისა, დიდი ხანი ეჭვები ღრღნიდა, რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო მისი სამსახურში დარჩენა და მუშაობის გაგრძელება. გაურკვეველობა ძილისა და მოსვენების საშუალებას არ აძლევდა და ნებისმიერი სირთულისთვის ამზადებდა, რაც, შესაძლოა, მომავალში თავს დასტყდომოდა. ყველაფრის მიუხედავად, მას საკმაოდ დიდი ხანი მოუწია ლოდინი. საქმეების განაწილებისას, კრეისიგს რეჟიმის ოპონენტების საქმეებს აღარ აძლევდნენ, ამიტომ რეჟიმის

ცვლილება მის იურიდიულ კარიერაზე, შედარებით მსუბუქად აისახა, ვიდრე თავად მოელოდა.

დაისი

ცხოვრება ჩვეულ რეჟიმში გრძელდებოდა. უმუშევართა რაზმები აღარსად ჩანდნენ. ქვეყანაში გზები იგებოდა. ბიზნესი გათავისუფლდა კომუნიზმის აჩრდილისაგან. სოციალური განწყობები ეროვნულ სიკეთედ იქცა და თავი იჩინა სხვადასხვა ახლად დაფუძნებული ორგანიზაციების სახით. კრეისიგმა ეს პერიოდი დაისს შეადარა, რომელსაც ბუნებრივი და ხელოვნური სინათლის ნაზავი ახასიათებს.

ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, კრეისიგი სწრაფად შევიდა დაპირისპირებაში ადგილობრივ ნაცისტებთან. 1933 წლის გაზაფხულზე, რამდენიმე ებრაელი სასამართლოს შენობის მახლობლად მდებარე ქალაქ კემნიცის საკონცენტრაციო ბანაკში გაამწყესეს. სასამართლოს ტუსაღების საქმის გამოძიება დაევალა. კრეისიგი მაშინვე გამოცხადდა ბანაკის კომენდანტთან, რათა დარწმუნებულიყო, რომ პატიმრებს ნორმალურად ეპყრობოდნენ. თითოეული საქმის შესწავლის შემდეგ, მან პატიმრების მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება გააუქმა, უსაფუძვლობის მოტივით და პატიმრების გათავისუფლების განკარგულება გასცა.

როდესაც ერთ-ერთი დაპატიმრებული ებრაელი, რამდენიმე დღის შემდეგ, მასთან მაღლიერების გამოსახატად მივიდა, კრეისიგმა უთხრა: „როგორც ჩანს, ვერ ხვდებით აქ რა ხდება, არა? დროზე იზრუნეთ, რომ რაც შეიძლება სწრაფად დატოვოთ ქვეყანა“.

ცუდი ნაცისტი, უმნიშვნელო მოსამართლე

ევანგელური (პროტესტანტული) ეკლესია, თავის შეხედულებებში ნაციზმთან დაკავშირებით, ორად გაიყო. კრეისიგი ემხრობოდა ეკუმენურად მოაზროვნე, ოპოზიციურად განწყობილ მღვდელ მარტინ ნიემოლერს, პროტესტანტებისგან დაკომპლექტებული „აღმსარებელთა ეკლესიის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს, რომელიც ნაცისტების მიმართ

პროტესტანტული ეკლესიის დამოკიდებულებებს ეწინააღმდეგებოდა. სწორედ ნიემოლერს ეკუთვნის ეს ცნობილი სიტყვა:

„როცა ნაცისტები კომუნისტებს მიადგნენ, მე ხმა არ ამოვიღე, რადგან კომუნისტი არ ვიყავი. როცა შეტევა პროფკავშირებზე მიიტანეს, მე ხმა არ ამოვიღე, ვინაიდან პროფკავშირის წევრი არ ვიყავი. შემდეგ, სამიზნეში ებრაელები ამოიღეს და მე კვლავ გავჩუმდი, რადგან ებრაელი არ ვიყავი. ბოლოს კი, როცა ჩემამდეც მოაღწიეს, გარშემო აღარავინ იყო დარჩენილი, ვინც ჩემს დასაცავად ერთ სიტყვას მაინც იტყოდა“.

კრეისიგი სწრაფად გახდა ერთ-ერთი მათგანი. ამის შესახებ, ბრანდენ-ბურგის ნაცისტური პარტიის ადგილობრივმა ლიდერმა, იუსტიციის სამინისტროსაკუ კი მიმართა საჩივრით.

კრეისიგს ასევე უჩივლა ნაცისტური განწყობების მქონე ახალმა სასამართლოს თავმჯდომარემ. ამ ყველაფრს ისიც დაემატა, რომ 1933 წლის მაისში, კრეისიგმა დატოვა შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც, ფიურერის პორტრეტის გახსნა უნდა გამართულიყო, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარისადმი სამმაგი „ჭედილი“ მისალმებისას, კრეისიგმა პირველ შეძახილზე „ოდნავ გაამოძრა პირი“.

როლანდ ფრეისლერმა საჩივრები განიხილა, თუმცა არ დააკმაყოფილა. სავარაუდოდ, კრეისიგის მტკიცე მიდგომამ საქმისადმი მასზე შთაბეჭდილება მოახდინა; ამასთან, ფრეისლერს ცუდი ნამდვილად არაფერი ეთქმოდა კრეისიგის სამოსამართლეო საქმიანობაზე. პირიქით, ის კეთილსინდისიერი და თავის საქმის პროფესიონალი მოსამართლე იყო.

თუმცა, მოთმინების ფილა საბოლოოდ მაინც აივსო და ეს ფსიქიკური დარღვევების მქონე ადამიანთა მკვლევობებამდე პერიოდში მოხდა. პროტესტანტული ეკლესიის შესახებ ადგილობრივ დისკუსიებში კრეისიგის აქტიურობა გესტაპოს მიერ 1939 წელს მისი დაკითხვით დასრულდა. კრეისიგმა აღიარა დემონსტრაციებში მონაწილეობა და აღნიშნა, რომ ეს მისი უფლება იყო. არც იმის თქმას მოერიდა, რომ ნაცისტურ პარტიაში არგანევრიანების მოტივაცია 1933 წელთან შედარებით, 1939 წელს, კიდევ უფრო გაუძლიერდა. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, სამინისტროს სხვა გზა აღარ დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ მის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნა დაეწყო სამსა-

ხურებრივი მოვალეობის უგულვებელყოფის ბრალდებით. შედეგად, კრეისიგს აუკრძალეს ფსიქიკურად დაავადებული ადამიანების მისი მეურვეობის ქვეშ მოქცევა, რაც საბოლოოდ კრეისიგის თანამდებობიდან გათავისუფლებით დასრულდა.

სამართლის გმირი მესამე რაიხის რიგებში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსამართლე კრეისიგის პროტესტი ნაციზმის წინააღმდეგ არის ილუსტრაცია ძალაუფლების წინააღმდეგ ბრძოლისა, რომელიც მესამე რაიხის რიგებში მიმდინარეობდა. ეს ამბავი იმის დადასტურებაა, რომ სასამართლო ხელისუფლება ცდილობდა თავისი სამოქმედო ტერიტორიის დაცვას და საკუთარი მოვალეობის შესრულებას.

როლანდ ფრეისლერის პასუხი კრეისიგისადმი შემდეგ გარემოებებზე მეტყველებს: იუსტიციის სამინისტროში თვლიდნენ, რომ ჯანდაცვის ორგანოებმა ცალმხრივად იმოქმედეს, როდესაც ფართომასშტაბიანი მკვლევლობების პროგრამის განხორციელება მათ იურიდიული საფუძვლის გარეშე დაიწყეს. ვინაიდან არაფერი იცოდნენ ჰიტლერის ბრძანების შესახებ, სამინისტროში დაასკვნეს, რომ ჯანდაცვის ორგანოებმა წითელი ხაზის გადაკვეთით, უხეშად დაარღვიეს კანონი. ფრეისლერი კრეისიგს უყურებდა როგორც ინსტრუმენტს იუსტიციის სამინისტროს ავტორიტეტის განსამტკიცებლად, თუმცა, როდესაც ფრეისლერს ჰიტლერის ბრძანების შესახებ აცნობეს, მას უკან დახევა მოუწია.

კრეისიგის ისტორია უნიკალურია. თუმცა ის ფაქტი, რომ მის ქმედებებს არ მოჰყოლია უფრო მკაცრი პასუხი, სრულად შეესატყვისება იმას, რაც დღეს ნაცისტური გერმანიის კანონების შესახებ ვიცით. ნაცისტური ხელისუფლება გერმანიის სასამართლო სისტემას რეპრესიების ინსტრუმენტად იყენებდა. მოსამართლეთა საქმიანობა კონტროლდებოდა კანონმდებლობით და ზოგადი გაიდლაინებით კანონისა და სასჯელის შეფარდების შესახებ. ასევე 1942 წლიდან მოყოლებული, იუსტიციის სამინისტრო მოსამართლეებს უგზავნიდა წერილებს სამართლებრივი ნორმების გამოყენებისა და სასჯელების განსაზღვრის ზოგადი რეგულაციების მითითებით. მოსამართლეებს ევალუბოდათ ნაცისტების მოსამართლეთა ასოციაციაში განევრიანებაც.

დამოუკიდებელი მოსამართლეები ნაცისტურ გერმანიაში

ამ ყველაფრის ფონზე, მოსამართლეები მაინც ახერხებდნენ დამოუკიდებლად მოქმედებას. ნაცისტური მთავრობა ძალისხმევას არ იშურებდა, რომ მოსამართლეთა ფორმალური დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა. ჰანს ფრანკი, რომელიც გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი იყო სანამ ოკუპირებული პოლონეთის გენერალური გუბერნატორი გახდებოდა, აღნიშნავდა, რომ მთლიანობაში გერმანიის „ბურჟუაზიული კულტურის“ არსებობა მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზე იყო დამოკიდებული.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიაში შემავალ გარკვეულ ძალებს, ასევე SS-ს, სურდათ ზეგავლენის მოხდენა ცალკეული საქმეების შედეგებზე, მოსამართლეები მაინც დაცულები იყვნენ ასეთი გავლენებისგან. ხოლო პოლიტიკური მართვისთვის იუსტიციის სამინისტროს ფორმალური არხები გამოიყენებოდა.

მოსამართლეები ასევე დაცულები იყვნენ სანქცირებისგან, თუკი ისინი ნაცისტებისთვის არადაამაკმაყოფილებელ გადანყვეტილებებს მიიღებდნენ. ჩვენთვის არ არის ცნობილი არც ერთი შემთხვევა, როდესაც გერმანელი მოსამართლე SS-ის მხრიდან დაისაჯა ან ანგარიშსწორებას დაექვემდებარა მისი სამოსამართლო საქმიანობისათვის.

წინააღმდეგობა სასამართლო სისტემის შიგნით

დროდადრო ისტორიის სასტიკი ირონია მართლაც რომ გაოცებას იწვევს. 1940 წლის ნოემბერში, როდესაც კრეისიგი მინისტრთან შესახვედრად სამინისტროში გამოცხადდა, მან დერეფანში ჰანს ფონ დონანი გაიცნო, – სამინისტროს ერთ-ერთ უმაღლესი თანამდებობის პირი, ბრწყინვალე ახალგაზრდა იურისტი და ბრწყინვალე კარიერის მქონე ადამიანი, რომელიც ცოცხა ხანში გერმანიის უზენაესი სასამართლოს ყველაზე ახალგაზრდა მოსამართლე გახდა. დონანს ცოლად ჰყავდა „აღმსარებელთა ეკლესიის“ ერთ-ერთი დამაარსებლისა და ნაცისტების წინააღმდეგ ბრძოლის სულისჩამდგმელის, მღვდელი დიტრიხ ბონჰოფერის და. დონანი ასევე ფარულად მუშაობდა გერმანიის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელთან, ადმირალ ვილჰელმ კანარისთან ერთად და მონაწილეობას იღებდა ადოლფ ჰიტლერის მკვლელობის

რამდენიმე გეგმის შემუშავებაში. სამივე მათგანი სიკვდილით დასაჯეს 1945 წელს, გერმანიის კაპიტულაციამდე ცოტა ხნით ადრე.

1933 წელს ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, დონანი როგორც ფარულად, ისე ღიად უპირისპირდებოდა რეჟიმს, მაგალითად დისკუსიებში და, მათ შორის, როლანდ ფრეისლერთან იურიდიული საკითხების განხილვის პროცესშიც. რეჟიმთან დაპირისპირებას ისიც ართულებდა, რომ იდეას არასაკმარისი მხარდაჭერა ჰქონდა სახელმწიფო აპარატისა და მოსახლეობის შიგნით.

კრეისიგისნაირი ადამიანები, რომლებმაც უარი თქვეს რეჟიმთან თანამშრომლობაზე, ძალიან ცოტანი იყვნენ. დონანის ყველაზე დიდი სურვილი იყო, რომ უფრო მეტ ადამიანს ეთქვა უარი. სანამ დონანი და კრეისიგი მინისტრის მოსვლას დერეფანში ელოდებოდნენ, კრეისიგი დაინტერესდა, უნევდა თუ არა სამინისტროს მისი პროტესტის მსგავს სხვა შემთხვევებთან გამკლავება. ბოლოს და ბოლოს, გერმანიაში ხომ 1400 მოსამართლე მუშაობდა, რომლებსაც ქმედუუნარო პირებზე ზრუნვა ევალებოდათ.

ამაზე დონანიმ უპასუხა: „არა, სამწუხაროდ, თქვენი საქმე ერთადერთია“. რა მოხდებოდა, მეტი მოსამართლე რომ მოქცეულიყო კრეისიგის მსგავსად? ექნებოდათ თუ არა დონანის და მის თანამებრძოლებს ნაცისტების დამხობის უფრო მეტი შანსი?

რა ბედი ეწია კრეისიგს? შეხვედრის დროს, დონანიმ იგი შემდეგი სიტყვებით გააფრთხილა: „არ გქონდეთ ილუზია, რომ ეს ხალხი თქვენ დაგინდობთ“. ამის მიუხედავად, კრეისიგმა უპრობლემოდ იცხოვრა თავის ფერმაში, ქალაქ ბრანდენბურგში, სადაც ომის მიმდინარეობისას, ბიოდინამიკური ბოსტნეულის მოყვანით იყო დაკავებული. ომის შემდეგ, ის კვლავ ჩაერთო ეკლესიის საქმიანობაში, სადაც ახალ დიქტატურას შეეჯახა გდრ-ში, სამარცხვინო STASI-ის სახით. აქაც, სინდისმა არ მისცა საშუალება, რომ რეჟიმს არ დაჰპირისპირებოდა. თუმცა ეს უკვე სხვა ისტორიაა.

გამოყენებული ლიტერატურა

- “United States Holocaust Memorial Museum, Euthanasia Program.” Last modified 07.10.2020, <https://encyclopedia.ushmm.org/content/en/article/euthanasia-program>
- Döring, Hans Joachim (ed.). Lothar Kreyszig Aufsätze, Autobiografie und Dokumente. Leipzig: Evangelische Verlagsanstalt, 2011.
- Graver, Hans Petter. “Why Adolf Hitler Spared the Judges: Judicial Opposition Against the Nazi State.” *German Law Journal* 19, no. 4 (2018): 845–78.

5

ნორვეგიის უზენაესი სასამართლო

გერმანული ხიშტების პირისპირ

მოკლე მიმოხილვა

2022 წლის 21 დეკემბერს, 82 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გერმანიის მიერ ოკუპირებულ ნორვეგიაში კვისლინგის ახალი ნაცისტური მმართველობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, უზენაესი სასამართლოს (Høyesterett) მთელი შემადგენლობა გადადგა. 1940 წელს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ერთსულოვანმა გადაწყვეტილებამ – დამდგარიყვნენ სამართლის უზენაესობის მხარეს, მათ დამსახურებული ადგილი დაუშკვიდრა უშიშარი სამართლის გამირების გვერდით.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ისტორია ფართოდ ცნობილი და არაერთხელ განხილულია, წიგნი სამართლის გამირების შესახებ, გვერდს ვერ აუვლიდა ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს (Høyesterett) ბრძოლის ამბავს, რომელიც 1940 წლის შემოდგომაზე, გერმანიის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ განვითარდა. 1940 წლის 9 აპრილს, გერმანია თავს დაესხა ნორვეგიას. სამთვინი შეტაკებების შემდეგ, ნორვეგიის შეიარაღებულმა ძალებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს, ნორვეგიის მეფე და მთავრობა კი ინგლისში გაიქცნენ. პარლამენტმა (Stortinget) გერმანიის თავდასხმიდან რამდენიმე დღეში, ოსლოსთან ახლოს დასკვნითი სხდომა გამართა, ხოლო უზენაესი სასამართლო ნორვეგიაში

ერთადერთი მოქმედი კონსტიტუციური ორგანო აღმოჩნდა. 1940 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე გერმანელებთან მოლაპარაკებებისა და დაპირისპირების შემდეგ, იმავე წლის 21 დეკემბერს, მოსამართლეებმა კოლექტიურად დატოვეს დაკავებული თანამდებობები.

Høyesterett-ის პოზიცია და გადადგომა ფაქტობრივად ლეგენდარულ მოვლენად შევიდა ნორვეგიის ისტორიაში. ამ ნაბიჯმა ლეგიტიმაცია შესძინა ნორვეგიის კოლაბორაციული მმართველობის წინააღმდეგ ამბოხს და იქცა კანონისა და სამართლიანობისთვის ბრძოლის სიმბოლოდ. აღნიშნული მოვლენა მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ გერმანიის მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს ოკუპირებულ ქვეყნებს შორის, მხოლოდ ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა გააპროტესტეს ნაციისტური მმართველობა თანამდებობიდან გადადგომის გზით.⁵⁹

1945 წელს შექმნილმა ოფიციალურმა საგამოძიებო კომისიამ, რომელსაც 1940 წლის 9 აპრილამდე და მის შემდეგაც, ევალეზოდა როგორც პარლამენტის, ისე მთავრობის, უზენაესი სასამართლოს, მთავარი ადმინისტრაციული საბჭოს, სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციების საქმიანობის შესწავლა, თავისი საგამოძიებო ანგარიში უზენაესი სასამართლოს შესახებ, შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „ქვეყნის მესამე ხელისუფლებას და სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლიათ ამყად გადახედონ 1940 წლის 21 დეკემბრამდე განუულ საქმიანობას. Høyesterett-ი მადლობას იმსახურებს ნორვეგიელი ხალხისგან“.

მთავარი ადმინისტრაციული საბჭო

რა განსაკუთრებული მოვლენა მოხდა 1940 წელს, რამაც ამხელა ქება-დიდება დაიმსახურა? 9 აპრილს განხორციელებული თავდასხმის შემდეგ, მეფე და მთავრობა ქვეყნიდან გაიქცნენ, პარლამენტი კი დაიშალა. ვიდეუნ კვისლინგმა, არმიის ყოფილმა მაიორმა და „ნორვეგიის ნაციონალისტური პარტიის“ (Nasjonal Samling) ლიდერმა ძალაუფლება

59 იხილეთ Derk Venema, “Supreme Courts Dealing with Nazi Occupation: The Struggle for Order and Identity.” In Derk Venema (ed.), *Supreme Courts Under Nazi Occupation Amsterdam University Press* (Amsterdam, 2022), 294. <https://library.oapen.org/handle/20.500.12657/59200>.

ხელში ჩაიგდო და საკუთარი „მთავრობა“ გამოაცხადა. Høyesterett-მა უარი თქვა შეეფასებინა კვისლინგის მიერ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალების კონსტიტუციურობა. მოსამართლე პალ ბერგის თქმით, კვისლინგის მთავრობის კანონიერების საკითხი მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება განხილულიყო: თუკი ერთი მოქალაქე მაინც მოითხოვდა – ელიარებინათ კვისლინგის მიერ გაცემული ბრძანების არალეგიტიმურობა.

და მაინც, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა დისკუსია გამართეს, თუ როგორ მოეშორებინათ თავიდან კვისლინგის მთავრობა. მსჯელობისას, ზოგიერთმა მოსამართლემ გამოთქვა აზრი, რომ კარგი იქნებოდა, თუკი უზენაესი სასამართლო შექმნიდა ადმინისტრაციულ საბჭოს, რომელსაც დაევალებოდა ნორვეგიაში გერმანიის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების სამოქალაქო ადმინისტრირება. ამგვარად, ამ საბედისწერო მომენტში, Høyesterett-ი გამოვიდა პასიური სასამართლოს როლიდან და სცენაზე ქვეყნის მომავლის გადამწყვეტი პოლიტიკური თამაშის მონაწილედ მოგვევლინა. პალ ბერგმა გერმანული მხარისგან მხარდაჭერა მიიღო მთავარი ადმინისტრაციული საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით, რამაც შესაძლებლობა მისცა გერმანიას კვისლინგის წასვლა მოეთხოვა, რაც მან 15 აპრილს გააკეთა კიდევც.

ადმინისტრაციული საბჭოს შექმნისთვის კონსტიტუციაში და კანონმდებლობაში შესაფერისი საფუძველი არ მოიძებნებოდა. უზენაესმა სასამართლომ სამართლებრივი დაცვის ამ საგანგებო ნაბიჯს არსებული კრიტიკული ვითარებიდან გამომდინარე მიმართა. Høyesterett-ს არ გაუვლია კონსულტაცია არც მთავრობასთან და არც Storting-თან მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეთა მცირე ჯგუფი ამას საჭიროდ მიიჩნევდა; მოსამართლეთა მეორე მცირე ჯგუფს კი მიაჩნდა, რომ გერმანელების გადასაწყვეტი იყო – შექმნიდნენ თუ არა ადმინისტრაციულ საბჭოს, რომელსაც გერმანიის ოკუპაციის ქვეშ სამოქალაქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა დაევალებოდა. დისკუსიის მიმდინარეობისას ადმინისტრაციული საბჭოს შექმნას, დამსწრე 13 მოსამართლიდან მხოლოდ 7-მა დაუჭირა მხარი.

მსჯელობა სახელმწიფო საბჭოს შესახებ და საძაგელი რადიოგამოსვლა

15 აპრილს ერთ-ერთ რადიოგადაცემაში პალ ბერგმა კვისლინგს „პასუხისმგებლობის გრძნობისთვის“ მადლობა გადაუხადა: კვისლინგმა საკუთარ თავზე აიღო რთული მდგომარეობის მართვა, რათა თავიდან აეცილებინა სისხლისღვრა და ხელი შეეწყო მშვიდობისა და წესრიგის დამყარებისთვის. ეს მადლობა გერმანელების მოთხოვნა და კვისლინგის მოშორების წინაპირობა იყო. საგამოძიებო კომისიის აზრით, ბერგმა ნამდვილად დაიმსახურა შექება იმისთვის, რომ საკუთარ თავზე აიღო ამ „საძაგელი“ სიტყვის წარმოთქმის უსიამო ამოცანა. ომის შემდეგ National Samling-ის წევრებმა ბერგის მიერ კვისლინგისთვის გადახდილი მადლობა სასამართლო პროცესებში კოლაბორანტების წინააღმდეგ გამოიყენეს იმის არგუმენტად, რომ მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუკი კვისლინგის მხარდაჭერა სახელმწიფო ღალატს მოიაზრებდა. აღნიშნული არგუმენტი სასამართლოებმა კატეგორიულად უარყვეს.

მოგვიანებით, როდესაც მეფე და მთავრობა საბოლოოდ ლონდონში დაბინავდა, პალ ბერგი გერმანელებთან მოლაპარაკებაში ჩაერთო მთავრობისა და პარლამენტის შემცველი სახელმწიფო საბჭოს შექმნის თაობაზე. საგამოძიებო კომისიამ Storting-ის ხელმძღვანელობა გააკრიტიკა იმ კომპრომისების გამო, რომლებზეც Storting-ი ნებაყოფლობით მიდიოდა გერმანელების სასარგებლოდ.

ამ ყველაფერს შესაძლოა სავალალო შედეგები მოჰყოლოდა აღნიშნული მოვლენების მონაწილე პირებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ უზენაესმა სასამართლომ და მოსამართლე ბერგმა თავიდან აირიდეს კრიტიკა სახელმწიფო საბჭოსთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის, უზენაესი სასამართლო, მისი მთავარი მოსამართლის სახით, 1940 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში მიმდინარე პოლიტიკურ თამაშში მაინც ჩაერთო. უზენაესი სასამართლოს შიგნით ძლიერი უთანხმოება წარმოიშვა. უფრო მეტიც, ერთ-ერთმა მოსამართლე ბონევიემ წიგნიც კი გამოსცა, სადაც მოსამართლე ბერგი დაადანაშაულა, რომ „Storting ხელმძღვანელობა „არასწორი მიმართულებით“ მიდიოდა“.

ბრძოლა Høyesterett-სა და ტერბოვენს შორის

სასამართლოებმა, მათ შორის Høyesterett-მა, თავიანთი სამოსამართლეო საქმიანობა ომის მიმე რეალობას მოარგეს. შემოდგომაზე განხილულ რამდენიმე საქმეში Høyesterett-მა მკაცრი სასჯელები გამოიყენა ოკუპანტებისა და კოლაბორაციული რეჟიმის წინააღმდეგ არეულობების მომწყობთა დასასჯელად. ისე მოსჩანდა, თითქოს Høyesterett-ი და სხვა სასამართლოები აპირებდნენ ოკუპირებული დანიისა და ნიდერლანდების სასამართლოების მიერ არჩეულ გზას დასდგომოდნენ, რისთვისაც მათ მკაცრი კრიტიკა დაიმსახურეს ნაცისტებისგან გათავისუფლების შემდეგ. თუმცა, შემდეგ მოხდა 1940 წლის 21 დეკემბრის გარდამტეხი მოვლენა.

იმ მოვლენების კარგად აღსაქმელად, თუ რამ განაპირობა გარდატეხა, უნდა დავუბრუნდეთ 25 სექტემბერს. ნორვეგიაში გერმანიის საოკუპაციო ძალების მაშინდელმა ხელმძღვანელმა, რაიხსკომისარმა, ჯოზეფ ტერბოვენმა სამოქალაქო მთავრობა გამოაცხადა და ნორვეგიის სხვადასხვა ადმინისტრაციული სამსახურის სამართავად მინისტრები დანიშნა. მან გააუქმა ყველა პოლიტიკური პარტია Nasjonal Samling-ის გარდა და აკრძალა ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ნორვეგიის სამეფო კარის ან დევნილობაში მყოფი მთავრობის მხარდასაჭერად იყო მიმართული. მის განცხადებაში საერთოდ არ იკვეთებოდა რაიმე მცდელობა, მიღწეულიყო სამოქალაქო მმართველობა Storting-თან ან ადმინისტრაციულ საბჭოსთან მოლაპარაკების გზით. ნათელი იყო, რომ საკუთარ წესრიგს ახლა გერმანელები ადგენდნენ.

ტერბოვენის განცხადება დაპირისპირების მიზეზი გახდა მასსა და სახელმწიფო ბრალმდებელ სვერ რიისნესს შორისაც, რომელიც ტერბოვენმა იუსტიციის სამინისტროსა და უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელად დანიშნა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, ფერდინანდ შელდერუჰმა, რომელიც ომის დროს წინააღმდეგობის აქტიური წევრი გახლდათ, განაცხადა, რომ 1940 წლის შემოდგომაზე უზენაესი სასამართლო ერთგვარი პარტიზანული ომის პირისპირ აღმოჩნდა. უზენაესი სასამართლოს წინააღმდეგ თავდასხმებს რიისნესი ედგა სათავეში.

სამართლებრივი მდგომარეობა ქვეყანაში ტერბოვენის განცხადების შემდეგ მკვეთრად შეიცვალა. შექმნილი სიტუაცია მაშინვე გახდა უზენაესი სასამართლოს მსჯელობის საგანი. ტერბოვენს მანამდეც ჰქონდა ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობა, როდესაც

პოლიტიკური საქმიანობა აკრძალა და Nasjonal Samling-ს ერთადერთი ლეგიტიმური პოლიტიკური ორგანიზაციის სტატუსი მიანიჭა. ამ გადაწყვეტილებებით ნათლად იკვეთებოდა, რომ გერმანელები ნორვეგიის ნაციონალ-სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაკეთებას აპირებდნენ, რაც გერმანიის, როგორც ოკუპანტის, სამხედრო ინტერესებს ამკარად სცილდებოდა.

საერთაშორისო სამართლის დარღვევა

1940 წლის 25 სექტემბერს, ტერბოვენის გამოსვლის შემდეგ, მოსამართლე პალ ბერგმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ჰელგე კლასტადს შემდეგი დავალება მისცა: შეესწავლა, რამდენად ფართო უფლება-მოსილება მიენიჭათ გერმანელებს ქვეყნის მართვის თვალსაზრისით, საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, და რა უფლება-მოვალეობები ჰქონდათ ოკუპანტებსა და ოკუპირებულ ქვეყანას ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ჰააგის 1907 წლის კონვენცია „სახმელეთო ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ“, ე.წ. სახმელეთო ომის კანონი, რეგულაციების უმთავრეს პაკეტს წარმოადგენს. ჰააგის კონვენციით, ოკუპანტის ძალაუფლება შეიზღუდა იმ ფარგლებში, რაც აუცილებელი იყო ოკუპანტის ინტერესების დასაცავად, „საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების შეძლებისდაგვარად აღდგენისა და უზრუნველყოფისათვის, ამავე დროს, ქვეყანაში მოქმედი კანონების დასაცავად, გარდა განსაკუთრებული გამონაკლისებისა“.

ჰელგე კლასტადს კარგი განათლება ჰქონდა მიღებული საერთაშორისო სამართლის მიმართულებით, ფლობდა დოქტორის ხარისხს და ჰქონდა პრაქტიკული გამოცდილება. წარსულში იგი წარმოადგენდა ნორვეგიას თევზჭერის შეზღუდვის შესახებ გამართულ საერთაშორისო მოლაპარაკებებში, ასევე მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში საქმეზე „გრენლანდია დანიის წინააღმდეგ“. მოგვიანებით, კერძოდ, 1946 წელს, ჰელგე კლასტადი უნდა გამხდარიყო პირველი ნორვეგიელი მოსამართლე ზემოაღნიშნულ სასამართლოში. თავის ანგარიშში იმის შესახებ, თუ რა უფლებამოსილება მიენიჭა ჰააგის კონვენციით ოკუპანტებს, კლასტადი დარწმუნებით ამტკიცებდა, რომ გერმანიის, როგორც ოკუპანტის უფლებები, შეიზღუდა ჰააგის კონვენციით „სახმელეთო ომის კანონების და წეს-ჩვეულებების შესახებ“. იგი ასევე აღნიშნავდა, რომ სასამართლოების პოზიციაზე გერმანიის ოკუპაციას ზეგავლენა

არ მოუხდენია. მათ უნდა გაეგრძელებინათ მუშაობა დამოუკიდებელი სასამართლოების რანგში, მათ შორის, შეეცნავლათ, რამდენად იცავდა ოკუპანტი ქვეყანა საერთაშორისო სამართალსა და სხვა პრინციპებს.

5 ოქტომბერს Høyesterett-ში ერთხმად მოინონეს კლასტადის ანგარიში. მოსამართლეებმა ასევე იმსჯელეს, უნდა გაესაჯაროებინათ თუ არა არსებული დასკვნა; თუმცა, საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ სასამართლოს განსახილველი საქმის გარდა სხვა საკითხზე გერმანელებთან დაპირისპირება სცილდებოდა Høyesterett-ის, როგორც დამოუკიდებელი სასამართლოს ფუნქციას.

კანონი მსაჯულების შესახებ

იუსტიციის სამინისტროს 14 ნოემბრის დადგენილება მსაჯულების შესახებ, მოსამართლეებმა ბრძოლისკენ მოწოდებად მიიღეს. აღნიშნული განკარგულებით, იუსტიციის მინისტრს, სვერ რიისნესს ენიჭებოდა უფლებამოსილება, საკუთარი შეხედულებისამებრ, ხელახლა დაენიშნა არაიურისტი წევრები და შეეცვალა ისინი, ვინც მისი დანიშნულები არ იყვნენ. მოქმედი კანონის თანახმად, მსაჯულებს ირჩევდნენ ქვეყანაში არსებული მუნიციპალიტეტის საბჭოები. ახალი რეგულაციით კი, შესაძლებელი გახდა ნაციონალური სოციალიზმისადმი ერთგული პირების დანიშვნა და ამით ზეგავლენის მოხდენა ნაფიც მსაჯულთა და სასამართლოების შემადგენლობაზე თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე.

„ახლა (...) წინ გვიდევს კონკრეტული საქმე“, – თქვა ბერგმა 19 ნოემბერს უზენაესი სასამართლოს მიერ სასამართლოს პლენარულ სხდომაზე რეგულაციის განხილვისას. იმავე დღეს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა წერილი მისწერეს იუსტიციის სამინისტროს, ასლი კი გაუგზავნეს ტერბოვენს, სადაც ეწერა, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, აღნიშნული განკარგულება სცილდებოდა ოკუპანტების უფლებამოსილებას და, შესაბამისად, კომისარი მინისტრების უფლებებსაც, რომელთა კომპეტენციაც მხოლოდ საოკუპაციო ძალებიდან მომდინარეობდა. უზენაესი სასამართლოს რწმენით, ეს რეგულაცია იყო შეტევა სასამართლოების დამოუკიდებლობაზე, რომელსაც „იურიდიული სფეროსთვის საბედისწერო შედეგები“ მოჰყვებოდა. ამ კანონით Nasjonal Samling-ს შესაძლებლობა ეძლეოდა გავლენა მოეხდინა სასამართლოების

შემადგენლობაზე Nasjonal Samling-ისადმი ლოიალურად განწყობილი მოსამართლეების დანიშვნით.

წერილზე როგორც ტერბოვენს, ასევე რიისნესს მძაფრი რეაქცია ჰქონდათ. ორშაბათს, 25 ნოემბერს, ბერგი წერილთან დაკავშირებით რიისნესთან შეხვედრაზე დაიბარეს. ხუთშაბათს, 5 დეკემბერს, ბერგს იუსტიციის სამინისტროს მუდმივმოქმედმა მდივანმა, კარლ პლატომ აცნობა, რომ Høyesterett-ი მიიღებდა წერილს რაიხსკომისრისგან, რომლითაც აიკრძალებოდა ტერბოვენის მიერ დანიშნული მინისტრების განკარგულებების საფუძვლიანობის შემოწმება. გარდა ამისა, სამინისტრო გამოსცემდა დადგენილებას, რითაც საჯარო მოხელეების ზედა ზღვრული ასაკი 65 წლამდე შეიზღუდებოდა, რაც ასევე გავრცელდებოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზე.

მოსამართლეები მიხვდნენ, რომ ეს იყო Høyesterett-ის დაჩოქების მცდელობა, ისინი ისეთი იურისტებით ჩაენაცვლებინათ, რომლებიც მზად იქნებოდნენ დამორჩილებოდნენ რაიხსკომისარს. მეორე დღეს Høyesterett-მა მორიგი პლენარული სხდომა გამართა. პალ ბერგმა, რომელიც თავად ექცეოდა ასაკობრივ შეზღუდვაში, განაცხადა: „თუკი ასე ჩუმად ყოფნას გაავარძლებთ, ერთ დღეს, ნორვეგიის ავტორიტარულ სახელმწიფოში ხაფანგში გამომწყვდეულ მოსამართლეებად ვიქცევით“. მან თქვა, რომ წერილს მისწერდა სამინისტროს, რომ არავითარ შემთხვევაში არ გაავარძლებდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობას არსებულ პირობებში. მას ყველა მოსამართლე დაეთანხმა. ორშაბათს, 9 დეკემბერს, უზენაესმა სასამართლომ წერილი გაუგზავნა იუსტიციის მინისტრ რიისნესს და მოითხოვა – რეგულაცია ასაკობრივი შეზღუდვის შესახებ სასამართლოებს არ შეეხებოდა.

იმავედროულად, უზენაეს სასამართლოში გაგრძელდა მსჯელობა რაიხსკომისარ ტერბოვენის განზრახვაზე, სასამართლო კონტროლის შეზღუდვასთან დაკავშირებით. შეიქმნა ჯგუფი ტერბოვენის პოზიციაზე პასუხის მოსამზადებლად. დასკვნაში ეწერა, რომ Høyesterett-ის მოსამართლეები ვერ გაავარძლებდნენ საქმიანობას რაიხსკომისარიატის დიქტატის ქვეშ. გადადგომის დღე კი განისაზღვრებოდა სამინისტროსთან შეთანხმებით. აღნიშნულის შესახებ, იუსტიციის მინისტრ რიისნესს 12 დეკემბერს ეცნობა. ერთი კვირაც არ იყო გასული, როდესაც მოსამართლეებმა „პირადი გზავნილი“ მიიღეს სამინისტროში უცნობი პირისგან, რომელმაც შემთხვევით მოჰკრა ყური რიისნესსა და კვისლინგს

შორის საუბარს მასზედ, რომ 65 წელზე უფროსი მოსამართლეები ჩანაცვლდებოდნენ Nasjonal Samling-ის კადრით. მოსამართლეებმა გადანყვიტეს: უკლებლივ ყველა თანამდებობიდან უნდა გადამდგარიყო, დაუყოვნებლივ, ხოლო გადადგომა ძალაში შევიდოდა სასამართლო არდადეგების დაწყებამდე ერთი სამუშაო დღით ადრე, 21 დეკემბერს.

წერილი იუსტიციის სამინისტროში იმავე დღეს გაიგზავნა. რიისნესმა იმ მოსამართლეებს, რომლებსაც ასაკობრივი ზღვარი არ ეხებოდათ, პასუხად მიმართა, რომ მისი აზრით მათ ევალეობდათ თანამდებობაზე დარჩენა, სანამ ოთხკვირიანი გაფრთხილების პერიოდის დასრულების შემდეგ, მათი შემცვლელი კადრი არ მოიძებნებოდა. მომდევნო დღეებში, რიისნესმა ინდივიდუალურად გამართა მოლაპარაკებები მოსამართლეების დასარწმუნებლად, რომ უკან გაეტანათ თანამდებობიდან გადადგომის განცხადება, თუმცა, ვერც ერთი მათგანი ვერ დაიყოლია.

გადადგომა იყო ღია პროტესტი, რასაც შესაძლოა დაჰატიმრება მოჰყოლოდა

თანამდებობიდან გადადგომა მნიშვნელოვანი ნაბიჯი და ღია პროტესტი აღმოჩნდა ნორვეგიის უმაღლესი საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. წესით, მოსამართლეთა პირადი უსაფრთხოებისთვის, აღნიშნული ქმედება სახიფათო უნდა ყოფილიყო და მათაც ჰქონდათ მოლოდინი, რომ ჰატიმრობა არ ასცდებოდათ. მოსამართლე სტენგი, ნორვეგიაში კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რამდენიმე კვირით ადრე, უკვე დაეპატიმრებინათ გერმანელებს. მიუხედავად ამისა, ზემოაღწერილ მოვლენას არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია არც გერმანელების და არც სამინისტროს მხრიდან.

მხოლოდ სპეკულაცია თუ შეგვიძლია იმაზე, თუ რატომ დაუშვეს გერმანელებმა და Nasjonal Samling-ის რეჟიმმა პროტესტის განვითარება, იძულებითი ღონისძიებების ან რეპრესიების გამოყენების გარეშე. თავად მოსამართლეებს ამ ნაბიჯის განხორციელებისას ანგარიშსწორების შიში ნამდვილად ჰქონდათ. რიისნესმა 65 წლამდე ასაკის მოსამართლეებზეც მოახდინა ზენოლა; სურდა ისინი როგორმე ეძულებინა, გაეგრძელებინათ მუშაობა, თუმცა მუქარისთვის მაინც არ მიუმართავს. შესაძლოა, გერმანელების მხრიდან რეაგირების ნაკლებობა ტერბოვენის არყოფნას და შობის დღესასწაულზე მის გერმანიაში

გამგზავრებას უკავშირდებოდა. შესაძლოა, რიისნესი ასევე შიშობდა, რომ ამ მოსამართლეებზე ზედმეტ ზენოლას მოჰყვებოდა პროტესტი და გადადგომა – სხვა დაქვემდებარებული სასამართლოების მოსამართლეების მხრიდან. თუმცა, მიზეზი ასევე, შესაძლოა, იმაშიც მდგომარეობდა, რომ გერმანიის ნაციისტური მთავრობა, ზოგადად, თავშეკავებულობით გამოირჩეოდა მოსამართლეების მიმართ.

ტერბოვენის მთავარმა იურიდიულმა მრჩეველმა და ადმინისტრაციული განყოფილების ხელმძღვანელმა, იურისტმა რუდოლფ შიდერმაირმა ომის დასრულების შემდეგ აღნიშნა, რომ სწორედ მან დაარწმუნა ტერბოვენი, რეაგირების გარეშე დაეტოვებინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ქმედება. დარწმუნებული იყო, რომ სხვა მოსამართლეები და ხელისუფლების წარმომადგენლებიც განუდგებოდნენ მათ, თუკი ერთ მაგალითს დაინახავდნენ (ომამდე შიდერმაირი ბერლინში მუშაობდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ებრაელების კანონმდებლობაზე მომუშავე განყოფილებაში. ომის შემდეგ კი, ის დასავლეთ გერმანიაში ვიურცბურგის ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოში დაინიშნა მოსამართლედ).

თანამდებობების დატოვების შემდგომ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები ყურადღების ცენტრში მაინც მოექცნენ. 5 თებერვალს გერმანიის უშიშროების პოლიციამ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ბერგის, სოლემის და შელდერუჰის საცხოვრებელ სახლებში ჩხრეკა ჩაატარა. ისინი ეჭვიმტანილები იყვნენ კონფლიქტების მოგვარების სამსახურის შესახებ ბუკლეტების მომზადებაში, რომლებიც ადვოკატთა ასოციაციის წევრებში გავრცელდა. ბერგის სახლში მათ რამდენიმე აკრძალული ბროშურა და ადვოკატთა ასოციაციის წევრების მიერ გამოგზავნილი მისალოცი ბარათები იპოვეს. თუმცა, როგორც ჩანს, ამას არანაირი უარყოფითი შედეგი არ მოჰყოლია ბერგისთვის. ის მოგვიანებით, ნორვეგიის საიდუმლო წინააღმდეგობის მოძრაობის მთავარი ლიდერიც კი გახდა.

Høyesterett-ის პროტესტი უნიკალური იყო ევროპაში

Høyesterett-ის პროტესტი და კოლექტიური გადადგომა უნიკალური მოვლენა იმასთან შედარებით, თუ როგორ მოქმედებენ სასამართლოები ისეთ სიტუაციაში, როდესაც ავტორიტარული რეჟიმები ხელში იგდებენ

ძალაუფლებას. ექვგარეშეა, მოსამართლეები ხშირად რჩებიან თავიანთ თანამდებობაზე და, საბოლოოდ, ავტორიტარული სახელმწიფოს მოსამართლეები ხდებიან. ზუსტად ასე მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის მიერ დაპყრობილ ქვეყნებშიც. დანიის, ჰოლანდიისა და საფრანგეთის სასამართლოები საბოლოოდ ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომ მათ მოუწიათ ლეგიტიმაცია მიენიჭებინათ და განეხორციელებინათ ოკუპანტისა და ოკუპირებულ ქვეყნებში მისი თანამზრახველების მიერ შემუშავებული ავტორიტარული კანონ-მდებლობა. იგივე შეიძლება მომხდარიყო ნორვეგიაშიც.

მხოლოდ ბელგიასა და ნორვეგიაში დაუპირისპირდნენ მოსამართლეები ორგანიზებული სახით საოკუპაციო ძალებს და მხოლოდ ნორვეგიაში მიიღო უზენაესმა სასამართლომ მონაწილეობა ამ ყველაფერში. დანიის, ნიდერლანდების და საფრანგეთის სასამართლოები დაემორჩილნენ საოკუპაციო ხელისუფლების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. 1942 წელს, ბელგიის უზენაესმა სასამართლომ *Cour de Cassation* ნორვეგიის მსგავსი ბრძოლა გამართა სასამართლო განხილვების ღიაობის საკითხთან დაკავშირებით; თუმცა საბოლოოდ, მაინც დანებდა და დაემორჩილა გერმანელების მოთხოვნებს. ლუქსემბურგსა და პოლონეთში, გერმანელებმა უმაღლესი სასამართლო გააუქმეს, ხოლო სხვა სასამართლოები უშუალოდ გერმანიის კონტროლქვეშ მოაქციეს. ამ ყოველივეს შემდეგ კი, ეს ქვეყნები გერმანიის იმპერიაში შეიყვანეს.

რატომ გადადგა ასეთი გამორჩეული ნაბიჯი ნორვეგიის უზენაესმა სასამართლომ?

როგორც სახელმწიფო გადატრიალების, ასევე ოკუპაციის დროს, მიღებული ქვეყნის მოდელია ის, რომ სასამართლოები, უმეტესწილად, აღასრულებენ ახალი მმართველების მიერ დაწესებულ ნორმებს. ასე მოიქცნენ ნორვეგიის სხვა სასამართლოები, ყოველ შემთხვევაში, ირიბად მაინც, რადგან არც კი გააპროტესტეს მათი კომპეტენციის შემზღუდველი მექანიზმები. რეჟიმმა სასამართლოს უფლებამოსილება სპეციალურ სასამართლოსა და სახელმწიფო პოლიციას გადასცა. სასამართლოებმა ასევე გაიზიარეს ახალი რეგულაციები სასამართლოს შემადგენლობისა და საქმეთნარმოების შესახებ. აქედან გამომდინარე, Høyesterett-ის ქმედება 1940 წლის დეკემბერში არა მხოლოდ გმირული, არამედ სამაგალითო და უპრეცედენტოც კი იყო.

რით შეიძლება ეს ყველაფერი აიხსნას? განსხვავება, მაგალითად, ნორვეგიასა და დანიაში შექმნილ ვითარებებს შორის ისაა, რომ სანამ დანიური სასამართლოები ქვეყნის კანონიერ ხელისუფლებას უპირის-პირდებოდნენ, ნორვეგიის უზენაეს სასამართლოს უწევდა არა მხოლოდ ოკუპაციასთან, არამედ უკანონო გადატრიალებასთან დაპირისპირებაც.

ბევრ ქვეყანაში, სადაც ადგილი აქვს სახელმწიფო გადატრიალებას, ხშირად იქმნება გარკვეული სოციალური და კლასობრივი კავშირი მოსამართლეებსა და გადატრიალების განმახორციელებლებს შორის. ასე მოხდა სამხედრო დიქტატურის დროს ლათინურ ამერიკაში, აპართეიდის რეჟიმის დროს სამხრეთ აფრიკაში და ჰიტლერის რეჟიმის დროს გერმანიაში. ჩილეში სასამართლოები შევიწროებულად გრძნობდნენ თავს სოციალისტი სალვადორ ალიენდეს მთავრობის მხრიდან, ამიტომ ბევრმა მოსამართლემ სამხედრო გადატრიალება სამართლის უზენაესობის აღდგენის ბოლო შანსად მიიჩნია. გერმანიაში მოსამართლეები თავს მარგინალიზებულად გრძნობდნენ ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდში და ბევრი მოსამართლე გულშემამტკივრობდა გერმანიის ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც კრიტიკულად აფასებდა 1920-იან და 1930-იან წლებში განვითარებულ მოვლენებს. ამ ყველაფრით დაბრმავებულმა მოსამართლეებმა ვეღარ შეძლეს ნაცისტური ოკუპაციის დამანგრეველი ასპექტის დანახვა.

ნორვეგიაში კი, მოსამართლეებმა არ გაიზიარეს არც გერმანელ ოკუპანტებთან და არც Nasjonal Samling-ის რეჟიმთან შეკავშირების სოციალური და ეკონომიკური ინტერესები. ამის საპირისპირო მოხდა მეზობელ დანიაში, სადაც გერმანელებმა ხელისუფლებაში ფორმალურად დატოვეს მეფე, მთავრობა და პარლამენტი. დანიაში მოსამართლეებს თითქმის არ ჰქონდათ კავშირი გერმანელ ოკუპანტებთან, თუმცა დანიის კანონიერ ხელისუფლებას ცვლილება არ შეხებია და მათაც კონკრეტული პოლიტიკა შეიმუშავეს ოკუპანტთან ურთიერთობის თაობაზე. დანიის სასამართლოებს რომ გაეპროტესტებინათ ის ღონისძიებები, რომელთა გატარებაც პარლამენტსა და მთავრობას უწევდა, მაშინ ისინი საფრთხის ქვეშ დააყენებდნენ დანიის კანონიერი ხელისუფლების პოლიტიკას. Høyesterett-ის წინაშე კი ერთი საკითხი იდგა: დამორჩილებოდა თუ არა რიისნესის დირექტივებს და სასამართლო სისტემის ნაციფიკაციის აქტიურ მცდელობებს. მიუხედავად იმისა, რომ 1940 წლის პირველ თვეებში Høyesterett-ის უმრავლესობა თანამშრომლობის მომხრე იყო,

ეს დამოკიდებულება ტერბოვენის მხრიდან მოლაპარაკების ჩაშლის და სექტემბერში მინისტრების დანიშვნის შემდეგ შეიცვალა.

ოკუპაციის პერიოდში აღნიშნული საკითხი იმდენად სწრაფად დადგა დღის წესრიგში, რომ სასამართლოებს არც კი მიეცათ დრო ჩართულიყვნენ რეპრესიული ღონისძიებების აღსრულებაში. რასაკვირველია, უფრო მარტივია უკან დახევა პროცესის დაწყებისთანავე, ვიდრე მოგვიანებით, როცა უკვე პასუხისმგებლობის თანამოზიარე ხდები და შეცვლილ პირობებსაც ეგუები.

იყო თუ არა გადადგომა სწორი გადაწყვეტილება?

შესაძლოა დაისვას შეკითხვა, რამდენად სწორი ნაბიჯი იყო თანამდებობიდან გადადგომა; ხომ არ უნდა აერჩია Høyesterett-ს უფრო აქტიური წინააღმდეგობის ხაზი, ბელგიის სასამართლოების მსგავსად. 1945 წლის საგამოძიებო კომისია წერს, რომ გადადგომამ „ჩვენს ქვეყანას კანონიერი უმაღლესი სასამართლო წაართვა“. შედეგად, შესაძლოა მომხდარიყო ის, რომ გერმანელები გვერდს აუვლიდნენ ნორვეგიის სასამართლო სისტემას, ხოლო იურიდიულ აპარატს პირდაპირ გერმანიის კონტროლს დაუქვემდებარებდნენ, როგორც მაგალითად, ოკუპირებულ პოლონეთში გააკეთეს. რა თქმა უნდა, გადადგომას ახლდა რისკი, რომელიც არ უკავშირდებოდა მხოლოდ მოსამართლეთა პირად უსაფრთხოებას.

აღბათ სწორედ გადადგომის ფაქტორმა ითამაშა გარკვეული როლი იმაში, თუ რატომ არ დაუპირისპირდნენ სხვა სასამართლოები საოკუპაციო კანონმდებლობას. ბოლოს და ბოლოს, ისინი აღმოჩნდნენ გამოუვალ სიტუაციაში. მათ მოუწიათ დამორჩილებოდნენ საოკუპაციო რეჟიმის დადგენილ წესებს და ემოქმედათ იმ უზენაესი სასამართლოს ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც გადამდგარი მოსამართლეების ნაცვლად, რიისნესის მიერ დანიშნული მოსამართლეებით იყო დაკომპლექტებული.

შესაძლოა, სიტუაციის განვითარების კვალდაკვალ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს არ ჰქონდათ ფართო არჩევანი. რვა მოსამართლე ბევრი ხმაურის გარეშე ისედაც მალე გადიოდა პენსიაზე. დანარჩენები კი უმცირესობაში აღმოჩნდებოდნენ, რადგან რიისნესს დაგეგმილი ჰქონდა რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილი ახალი

მოსამართლეებით უმრავლესობის შექმნა. მეორე მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტი, რომ უზენაეს სასამართლოში განვითარებულ, შედარებით დიდ წინააღმდეგობას, შესაძლოა გამოეწვია ამბოხიც – მთლიანად სასამართლო სისტემაში; როგორც ეს მოხდა სამხრეთ აფრიკის ნაწილობრივ ტოტალიტარული აპართეიდის რეჟიმის დროს. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა ნორვეგიის ავტორიტარულ სახელმწიფოში მოსამართლეობას თავი დააღწიეს, თუმცა ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეები ხაფანგში გაბმულები აღმოჩნდნენ.

ისტორიამ Høyesterett-ი გმირად შერაცხა

თაობები Høyesterett-ს მაინც ერთმნიშვნელოვნად დადებითად აფასებენ. „Høyesterett-ის ნაბიჯმა, რომელიც ძალიან მალე გახდა ცნობილი მას შემდეგ, რაც სრული მიმონერა ფართოდ გავრცელდა, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა“, – წერს ავტორი კ. ა. კრისტენსენი თავის წიგნში ომის შემდგომი წინააღმდეგობის შესახებ. კოლექტიური გადადგომით, Høyesterett-მა, როგორც მესამე ხელისუფლებამ, ლეგიტიმაცია მიანიჭა ბრძოლას გერმანელებისა და Nasjonal Samling-ის წინააღმდეგ, ასევე სახელი დაუმკვიდრა გაერთიანებას „ნორვეგიის ბრძოლა სამართლიანობისთვის“. რამდენიმე მოსამართლე ძალიან აქტიურად იყო ჩართული წინააღმდეგობის მოძრაობაში. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე პალ ბერგი ნორვეგიის წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერი გახდა, ხოლო მისი კოლეგა მოსამართლეები ფერდინანდ შელდერუპი და ერიკ სოლემი მას ხელმძღვანელობაში ეხმარებოდნენ.

ისტორია მეორდება. ავტორიტარული მმართველები ახერხებენ სასამართლო სისტემების ხელში ჩაგდებას უზენაეს სასამართლოზე კონტროლის მოპოვებისა და ხელისუფლების ქმედებებზე სასამართლო კონტროლის შეზღუდვის გზით; ვინაიდან უფრო მარტივია, სახელმწიფოს უფლებამოსილების მნიშვნელოვანი ნაწილის სასამართლო კონტროლისგან გათავისუფლება, ვიდრე სასამართლო აპარატის შეცვლა. ასევე მეორდება სასამართლოს დაკომპლექტების მეთოდების ისტორიაც. უნგრეთსა და პოლონეთში ხელისუფლებამ ასაკობრივი შეზღუდვები გამოიყენა ურჩი მოსამართლეების თავიდან მოსაშორებლად და რეჟიმისადმი ახალი, ლოიალური კანდიდატების დასანიშნად.

პოლონეთში მოსამართლეებმა კოლექტიურ პროტესტს მიმართეს, რომელსაც დეტალურად მაღგორზატა გერსდორფის ისტორიაში გავეცნობით. უნგრეთსა და რუმინეთში სასამართლოზე თავდასხმებმა ევროპარლამენტის პროტესტიც კი გამოიწვია. ის ფაქტი, თუ როგორ დახვდა ჩვენი უზენაესი სასამართლო ამ ტიპის თავდასხმებს, შეიძლება როგორც ცოდნის, ასევე შთაგონების წყაროც კი გახდეს იმ მოსამართლეებისათვის, რომლებიც დღეს მსგავს პრობლემებს აწყდებიან.

ტერბოვენის მოთხოვნა, რომ ის თავად განსაზღვრავდა საკუთარი უფლებამოსილების იურიდიულ საზღვრებს, ნორვეგიაში ე.წ. *დუალური საბელმნიფოს* შექმნის საფუძველი გახდა. ნაცისტური რეჟიმის ქვაკუთხედს სასამართლო კონტროლის გარეშე, შეუფერხებლად მოქმედი SS-ი და გესტაპო წარმოადგენდა. შესაბამისად, ნაცისტური რეჟიმში ვერ შეასრულებდა თავის ფუნქციას ნორვეგიის სასამართლოების სამართლებრივი კონტროლის შემთხვევაში. სასამართლოები გერმანიასა და ყველა ოკუპირებულ ქვეყანაში დაემორჩილნენ ამ მოცემულობას გარდა ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა. მათ ტერბოვენის ნაკარნახევი პირობებით სამოსამართლო საქმიანობის გაგრძელება შეუძლებლად მიიჩნიეს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Bonnevie, Thomas. *Høyesterett Og Riksråds-forhandlingene: Bidrag Til Kunnskapen Om Høyesteretts Stilling Og Holdning under Riksråds-forhandlingene I 1940*. Oslo: [s.n.], 1947.
- Hem, Per Eivind. *Megleren : Paal Berg, 1873-1968*. Oslo: Aschehoug, 2012.
- Schjelderup, Ferdinand. *Fra Norges Kamp for Retten: 1940 I Høyesterett*. Oslo: Grøndahl, 1945.
- Venema, Derk. “Supreme Courts Dealing with Nazi Occupation: The Struggle for Order and Identity.” *In Supreme Courts Under Nazi Occupation*, 275–312. Amsterdam: Amsterdam University Press, 2022.

6

ჰანს ლენგლანდი

მეფის მადიდებელი მოსამართლე

მოკლე მიმოხილვა

ამ თავში გავეცნობით მოსამართლეს, რომელმაც ბრალდებულები გაამართლა, მიუხედავად იმისა, რომ ბრალეულობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები არსებობდა. 1942 წელს, ქალაქ ალესუნდში მოღვაწე მოსამართლის მოადგილე ჰანს ლენგლანდი სასამართლო სისტემის პროტესტს მაშინ შეუერთდა, როდესაც მეფე ჰააკონ VII-ის 70 წლის იუბილეს საპატივსაცემოდ, ლილკილოში ყვავილის ტარებისთვის დაპატიმრებული ყველა პირის გამართლება გადაწყვიტა. ქალაქის „ყვავილიანი დემონსტრანტების“ გამართლება შესაძლოა მას ძალიან ძვირად დასჯდომოდა. შეიძლება ითქვას, რომ მან სამართლებრივი წესრიგი არსებითად განზე გადადო. და მაინც, ჰანს ლენგლანდი სწორად მოიქცა.

1942 წლის 3 აგვისტოს გვიანი ზაფხულის მშვენიერი ორშაბათი დილა გათენდა ნორვეგიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს პატარა ქალაქ ალესუნდში. დასავლეთისკენ მდებარე სოფლის ბალებში გვიანი ზაფხული მთელი თავისი დიდებულებით გაშლილიყო უღრუბლო ცის ქვეშ. ალესუნდის ერთ-ერთმა მკვიდრმა, ჰანსინ ალნესმა, საკუთარ ბაღში წითელი ვარდები დაკრიფა მამის საფლავზე წასაღებად. გზად მიმავალი იმდენად მოიხიბლა ვარდების თაიგულით, რომ, როგორც

ექესი კვირის შემდეგ, სასამართლოს განუმარტა – ერთ-ერთ ტოტს ვარდი მოატეხა და ბლუზის ლილკილოში ჩაიმაგრა.

სწორედ ეს ვარდი გახდა ჰანსინის, მისი 44 თანამოქალაქისა და ასობით ადამიანის დაპატიმრების მიზეზი მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მასობრივი დაკავებები ყვავილის ტარებისთვის

1942 წლის 3 აგვისტოს ორშაბათი არ იყო ჩვეულებრივი დღე ოკუპირებულ ნორვეგიაში. დევნილობაში მყოფი მეფე ჰააკონ VII თავის 70-ე წლის იუბილეს აღნიშნავდა, ხოლო მთელს ნორვეგიაში ადამიანებს გულზე ყვავილი ებნიათ მეფისთვის ამ დღის მისალოცად. წინა დღეებში იატაკქვეშა წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლებმა მოსახლეობას სთხოვეს მეფისადმი თანაგრძნობა და ერთგულება გამოეხატათ. ლონდონში მყოფი დევნილი მთავრობის მიმართვა კი არალეგალური გაზეთების მეშვეობით და ზეპირსიტყვიერად ვრცელდებოდა.

დედაქალაქ ოსლოს ძველი ბაზრის მოედანზე ყვავილებით მოვაჭრეები ამ დღის აღსანიშნად ხალხს ყვავილების ყიდვისკენ მოუწოდებდნენ. და მართლაც, მალე ყვავილები სულ გაიყიდა. მოგვიანებით, ამ დემონსტრაციას გაიხსენებენ „მეფის ყვავილის“ აქციის სახელით.

გერმანელმა ოკუპანტებმა და ნორვეგიელი კოლაბორანტების ხელმძღვანელმა Nasjonal Samling-მა აღნიშნული ქმედება, არცთუ უსაფუძვლოდ, მათ საწინააღმდეგოდ და დევნილი მეფის სასარგებლოდ მოწყობილ დემონსტრაციად მიიჩნიეს. ამ მიზეზით, მათ ადამიანები, რომლებსაც პერანგზე ყვავილი ებნიათ, დააპატიმრეს და დასაჯეს.

ალესუნდში დამნაშავეები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. ბრალად წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 350-ე მუხლით გათვალისწინებული საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. აღნიშნული მუხლის თანახმად, იკრძალებოდა „ჩხუბი, დებოში, შეურაცხყოფა ან სხვა არასათანადო ქცევა“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა „საზოგადოებრივი მშვიდობისა და წესრიგის დარღვევა, ან კანონიერი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შეფერხება, ან ამ ყველაფერში ხელშეწყობა“. დაპატიმრებულთა მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაული მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი „დემონსტრა-

ციას მართავდნენ ტანისამოსზე მიმაგრებული ცოცხალი ყვავილით“. აღნიშნული მუხლი მანამდეც გამოუყენებია ნაცისტურ „სახალხო სასამართლოს“, Nasjonal Samling-ის წევრების წინააღმდეგ ჩადენილი დემონსტრაციული ქმედებებისთვის.

ყვავილები ტანკების წინააღმდეგ მეფის დაბადების დღეზე

პოლიციის მხრიდან დაკავებების სერია, ისევე როგორც თავად დემონსტრაციები, მთელი ქვეყნის მასშტაბით კარგად ორგანიზებული ღონისძიებები იყო. სახელმწიფო პოლიციის ინსპექტორმა კნუტ როდმა, რომელსაც პოლიტიკური საქმეებისა და ებრაელების საკითხების მართვა ევალებოდა, ოსლოში შეტყობინება გააგზავნა და გრინის საკონცენტრაციო ბანაკში სივრცე მოასუფთავებინა. სახელმწიფო პოლიციამ, ნაცისტური პარტიის ეროვნულ მილიციასთან, *hirden*-თან ერთად, პატრულირება დაიწყო დემონსტრანტების დასაკავებლად. ერთ-ერთი შვედი ჟურნალისტი ოსლოდან იტყობინებოდა, რომ „გერმანიისა და ნორვეგიის ფართო საპოლიციო შენაერთებს“ „უბრძანეს დაერბათ დემონსტრანტები, რომლებიც ამ მომენტისთვის იმდენად მრავალრიცხოვანი იყვნენ, რომ ძალიან დიდ სირთულეს წარმოადგენდა ერთი ადამიანის პოვნაც კი, რომელსაც ყვავილი არ ჰქონდა ლილკილოში ჩამაგრებული“.

მსვლელობები უმთავრესად მშვიდობიანად მიმდინარეობდა, თუმცა დღის განმავლობაში დაფიქსირდა რამდენიმე საჯარო შეკრების შემთხვევა. მილიცია აგრესიულად იქცეოდა, ამიტომ სპეცრაზმს უბრძანეს, უკან დაეხიათ. დარაჯებმა ოსლოში მდებარე მილიციის ბაზის გარეთ რამდენიმე ყვავილით მორთული ადამიანი დააკავეს და შენობაში შეათრიეს. ზოგიერთი მათგანი მალევე გაუშვეს მას შემდეგ, რაც ყვავილი უხეშად ჩამოგლიჯეს ტანისამოსიდან; სხვები კი დააპატიმრეს. უკვე საღამოს, ოსლოს ქუჩებში ჯავშანმანქანებით გერმანელები გადაადგილდებოდნენ.

ქალაქის საპატიმრო სწრაფად გადაივსო დაკავებულებით. პოლიციამ ზოგიერთ დაკავებულს ჯარიმა დააკისრა, ზოგი კი 15 დღით ჩასვა იზოლატორში. გარდა ამისა, გერმანიის ხელისუფლებამ მოახდინა რადიოგადამცემების კონფისკაცია ყველა იმ ქალაქში, სადაც დემონსტრაციები იმართებოდა.

ყვავილის ძალა და სისხლის სამართლის პროცესი

მართალია ალესუნდში ჯავშანტექნიკა არ გამოჩენილა, მაგრამ პოლიციამ ბრძანება მიიღო – აღერიცხათ ყველა ის ადამიანი, ვინც საპროტესტო აქციაში მონაწილეობდა. შედეგად, დაახლოებით 50 ადამიანი დააჯარიმეს, აქედან 44-მა უარი თქვა ჯარიმის გადახდაზე. იმის ნაცვლად, რომ დამორჩილებოდა ტრონდჰეიმის შტატის პოლიციის ბრძანებას – გაემწესებინა პროტესტანტები „უსაფრთხოების იზოლატორში“, ალესუნდის პოლიციის უფროსმა საქმეები ალესუნდის რაიონულ სასამართლოში შეიტანა.

სასამართლო პროცესი 1942 წლის 21-23 სექტემბრისთვის ჩაინიშნა და საქმეების არსებითი განხილვისთვის გამოიყო ორი დღე. პროცესს უძღვებოდა სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, მოსამართლის მოადგილე ჰანს ლენგლანდი და ორი გამოცდილი მსაჯული, – ორივე კვისლინგის კანონების ოპონენტი.

მოსამართლე ლენგლანდი 1942 წელს 27 წლის იყო. ხარისხი სამართალში 1939 წელს მიენიჭა და სანამ ოლესუნდში უმცროს მოსამართლედ დაინიშნებოდა 1942 წელს, იგი უზენაესი სასამართლოს ადვოკატის ი. ჰაუგანის თანაშემწედ მუშაობდა ოსლოში.

პროკურორმა განაცხადა, რომ საქმეების სამართლებრივ საფუძვლად გამოდგებოდა დემონსტრაციების შესახებ ოკუპაციამდე არსებული პრეცედენტული სამართალი. მისი თქმით, 1915 წელს გენერალური პროკურორი ამტკიცებდა, რომ დემონსტრაციაში მონაწილეობა არასათანადო ტექსტის ან გამოსახულების შემცველი ბანერით ხელში შეიძლება ჩათვლილიყო „საზოგადოებრივი მშვიდობისა და წესრიგის დარღვევად“ და რომ სისხლის სამართლის კოდექსის 350-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელი იყო უკანონო, ამასთან „არაპროვოკაციული“ ხასიათის, დემონსტრაციებთან დაკავშირებითაც.

პროკურორის ხედვას ასევე ეხმიანებოდა ნაცისტების უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაც. მაგალითად, 1941 წელს ოსლოს მაცხოვრებელი ქალბატონი ზიგფრიდ მონი ერთ-ერთ საქმეში დააჯარიმეს და 1000 ნორვეგიული კრონის გადახდა დააკისრეს იმის გამო, რომ იგი „მეტისმეტად დაჟინებული მზერით და დემონსტრაციულად“ მიაჩერდა ქალბატონს, რომელსაც NS-ის პარტიის სამკერდე ნიშანი თვალსაჩინო ადგილას ებნია თავის პალტოზე. ეს ორი ქალბატონი

ტრამვით მიემგზავრებოდა ქალაქის ცენტრისკენ. სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია შემდეგი გარემოება: „ბრალდებულმა დაზარალებულისკენ მიბრუნებითა და დაჟინებული მზერით, როგორც ითქვა, შეურაცხმყოფელი და არასათანადო ქცევა გამოავლინა, რითაც მან დაარღვია საზოგადოებრივი მშვიდობა და ნესრიგი“.

მართალია, ყვავილის ტარება კანონით პირდაპირ არ იყო აკრძალული, თუმცა არსებობდა რაიხსკომისრის 1940 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებულება, რომელიც კრძალავდა სამეფო ოჯახის ან მისი რომელიმე წევრის სასარგებლოდ, ნებისმიერი სახის პროპაგანდას სიტყვიერი, გამოსახულებითი, ბეჭდური ან სხვა ფორმით. დევნილი მეფე ჰააკონის იუბილესადმი მიძღვნილი ყვავილის დემონსტრაცია უდავოდ ამ ნორმის ქვეშ ექცეოდა.

მაშასადამე, სასამართლო პროცესის ცენტრალურ თემად იქცა შემდეგი საკითხი: იმ პირებმა, ვინც ამ კონკრეტულ დღეს, საკუთარი სამოსის მორთულობისთვის გამოიყენეს ყვავილი, აღნიშნული ქმედება მათ, განზრახ, მეფე ჰააკონის თაყვანისცემის მიზნით განახორციელეს, თუ იმის გაუცნობიერებლად, რომ ისინი, ამ საქციელით, მეფისადმი პატივისცემას გამოხატავდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლოს უნდა დაედგინა მოქმედებდნენ თუ არა ბრალდებულები აუცილებელი დანაშაულებრივი განზრახვით.

ჰანსინი და ყვავილის მატარებელი 43 უდანაშაულო პირი

ჰანსინმა სასამართლოს უამბო, თუ როგორ წავიდა იმ დღეს მამის საფლავის მოსანახულებლად. სასამართლომ მონაყოლი დაიჯერა: ჰანსინმა სასამართლო დაარწმუნა, რომ მას არავითარი დემონსტრაციული მიზანი არ ამოძრავებდა და რომ ყვავილით თავი, მხოლოდ ზაფხულის ერთი მშვენიერი დღის სადიდებლად გაილამაზა.

დანარჩენებსაც მსგავსი ისტორია ჰქონდათ. ბრალდებულმა ნილს გისკემ განაცხადა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა მიმდინარე დემონსტრაციის შესახებ. იმ დილით იგი ორკვირიანი შვებულებიდან დაბრუნდა და იმდენად გაუხარდა ულამაზესი დილის ყვავილების დანახვა საკუთარ ბაღში, რომ ყვავილები კანტორაშიც კი წაიღო. იქ 16:30 საათამდე გაჩერდა, რადგან შვებულების გამო, უამრავი საქმე დახვდა გასაკე-

თებელი. სალამოს, ვიდრე სამსახურიდან სახლისკენ გაეშურებოდა, ლარნაკიდან ერთი ყვავილი მონყვიტა და ლილკილოში ჩაიმაგრა. დებმა აგნომ და კორსტენმა განაცხადეს, რომ დაპატიმრების მომენტამდე მათ არაფერი იცოდნენ აკრძალვის შესახებ, ხოლო დაკავებისთანავე, უკვე იშორებდნენ ყვავილებს.

„არ შეიძლება გამოვრიცხოთ, რომ იმ დღეს, მათ მართლაც არაფერი სმენოდათ ყვავილების ტარების აკრძალვის შესახებ?“, – წერს სასამართლო.

გამამართლებელი განაჩენების გამოცხადება ერთი მეორის მიყოლებით გაგრძელდა. სასამართლომ ის პირებიც კი გაათავისუფლა, რომლებმაც თქვეს, რომ ჰქონდათ ინფორმაცია – რაც ელოდათ ამ ქმედებისთვის. მაგალითად, ინგერ იოჰან ლონდალმა აღიარა, რომ იცოდა -პოლიცია მას ვარდის ტარების უფლებას არ მისცემდა. თუმცა, მისთვის „არ იყო ცნობილი, თუ რა გარემოებების გამო იყო ეს ქმედება უკანონოდ გამოცხადებული“, – წერს სასამართლო. „ვინაიდან არ დადასტურდა, მისი მხრიდან ამ ფაქტზე ინფორმირებულობა, არ შეიძლება იგი დამნაშავედ იქნეს ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 350-ე მუხლის დარღვევისათვის“, – ასკვნის ლენგლანდი მის კოლეგა მოსამართლეებთან ერთად.

44 საქმიდან სასამართლომ ვერც ერთში აღმოაჩინა რაიმე მტკიცებულება, რითაც დადასტურდებოდა ის ფაქტი, რომ ბრალდებულებს განზრახული ჰქონდათ დემონსტრაციაში მონაწილეობა. სასამართლომ ყველა ბრალდებული გაამართლა.

შეკონინებული გამამართლებელი განაჩენები

მთელმა ნორვეგიამ იცოდა, რომ სამეფო ყვავილი წინააღმდეგობის სიმბოლო იყო, გარდა იმ 44 ადამიანისა, რომლებიც ალესუნდში გაასამართლეს. იყო თუ არა ეჭვი მათი დანაშაულის შესახებ გონივრული? ლენგლანდი და მისი თანამოაზრე მოსამართლეები ფიქრობდნენ რომ იყო. ან, ყოველ შემთხვევაში, ასე მიუთითეს თავიანთ გადაწყვეტილებაში. რეტროსპექტივაში თუ შევხედავთ, ბრალდებულების გამართლება აშკარად ობსტრუქციულ ქმედებას წარმოადგენდა. სწორედ ასეთადაც უნდა აღქმულიყო ეს მოვლენა იმ დროს. ეს თავად ლენგლან-

დმაც აღიარა ომის შემდეგ, როდესაც დაწერა: „ძალიან რთული იყო ყოველთვის ცივი გონების შენარჩუნება“.

მოსამართლეებმა, რასაკვირველია, იცოდნენ რასაც აკეთებდნენ. მათ ნამდვილად იცოდნენ, თუ რა დაემართათ დემონსტრანტებს მთელს ქვეყანაში, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს ალესუნდში დემონსტრანტების გათავისუფლება. მოგვიანებით ლენგლანდმა დაწერა, მოსამართლეები შეთანხმებულად მოქმედებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა ამ ყველაფერსო. ისინი უფრო შორსაც კი წავიდნენ და სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითეს, რომ ყვავილის ტარება არ წარმოადგენდა ნორვეგიული კანონმდებლობით დასჯად ქმედებას. მოსამართლეებმა მიიღეს ეს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, რადგან თვლიდნენ, მათ პატიმრობა მაინც არ ასცდებოდათ. ნაცვლად იმისა, რომ ღიად გაეკრიტიკებინათ ნაცისტების სამართლებრივი პოზიცია, მათ შუალედური გზა აირჩიეს, რასაც აბსოლუტურად იგივე შედეგი მოჰყვა.

ლენგლანდი ოსლოში ჩაჰყავთ დაკითხვაზე

მოსალოდნელმა რეაქციამაც არ დააყოვნა. ოსლოს შტატის პოლიციამ მოსამართლეების წინააღმდეგ საქმე აღძრა. 10 ოქტომბერს ისინი დააკავეს. ლენგლანდი და ერთ-ერთი მსაჯული ოსლოში გადაიყვანეს; მესამე მოსამართლე გაათავისუფლეს მძიმე ავადმყოფობის გამო.

ლენგლანდი და მისი კოლეგა მოსამართლე მიჰგვარეს სახელმწიფო პოლიციის უფროსს, მარტინსენს, – სკანდალურად ცნობილ ფიგურას, რომელიც ომის დასასრულს წინააღმდეგობის მოძრაობის წევრების მიერ იქნა მოკლული. იგი ორივე მოსამართლეს გერმანიაში გაგზავნით დაემუქრა. მარტინსენმა ლენგლანდს ჰკითხა, მართლა სჯეროდა თუ არა, რომ დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღება არც ერთ ბრალდებულს არ ჰქონდა განზრახული. ამაზე ლენგლანდმა უარყოფითი პასუხი გასცა, თუმცა იქვე შეუბრუნა კითხვა: შეეძლო თუ არა მარტინსენს ეთქვა, რომელი მათგანი აპირებდა დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებას და რომელი არა. მარტინსენს პასუხი არ ჰქონდა. ლენგლანდმა კი დასძინა, რომ კანონის თანახმად, შემთხვევითობის პრინციპით ბრალდებულების განსჯა არ შეიძლებოდა.

მარტინსენმა მოსამართლეები გაუშვა, თუმცა მიუყვანა იუსტიციის მინისტრ რიისნესს, რომელმაც მათ პოლიტიკური ლექცია ჩაუტარა, ლენგლანდს კი უსაყვედურა, რატომ არ გადასცა საქმე სახალხო სასამართლოს; ანუ სასამართლოს, რომლის შექმნის იდეასაც პოლიტიკური საქმეების განხილვა წარმოადგენდა. ლენგლანდი ალესუნდში დაბრუნდა და სამოსამართლო საქმიანობა გააგრძელა. მოგვიანებით, ის მეზობელ საოლქო სასამართლოში გადაიყვანეს, სადაც ომის დასრულებამდე მსახურობდა.

გამამართლებელი განაჩენები არ იქნა გაზიარებული

ამგვარად, საქმის განმხილველი მოსამართლეები გადარჩნენ, თუმცა მათი გადაწყვეტილებები არაფრად ჩაადგეს. თითოეულ ბრალდებულ პირს შტატის პოლიციამ ახალი უწყებები დაუგზავნა. დემონსტრანტებს არჩევანის უფლება მიეცათ: ან ჯარიმა, ან – ერთი თვე საკონცენტრაციო ბანაკში. რასაკვირველია, ყველამ ჯარიმა არჩია.

შტატის პოლიციის უფლებამოსილება ჯარიმის დაკისრებასთან დაკავშირებით განერილი იქნა 1941 წელს, პოლიციის მინისტრ იონას ლიეს მიერ გამოცემული დროებითი განკარგულებით. ჯარიმებთან დაკავშირებულ ჩანაწერებში ნათქვამია, რომ ჯარიმები ამოიღეს, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულები სასამართლომ გაამართლა.

სასამართლოს პროტესტი კვისლინგის რეჟიმის წინააღმდეგ

ეს საქმე ერთ-ერთი იმ რამდენიმე მაგალითთაგანია, სადაც მოსამართლეები პირდაპირ დაუპირისპირდნენ ნორვეგიაში მოქმედ ნაციონალურ სოციალისტურ რეჟიმს. მოსამართლეები მოერიდნენ იმის თქმას, რომ ნორვეგიის კანონმდებლობა არავის უკრძალავდა მეფისთვის პატივისცემის გამოხატვას ღილაკილოში ჩამაგრებული ყვავილით. მარტინსენი და რიისნესი ძალიან კარგადაც მიხვდნენ მოსამართლეების გულისხმას და მიუხედავად იმისა რომ მათ იცოდნენ, დემონსტრანტების განზრახვა მეფისადმი თანაგრძნობის გამოხატვას ემსახურებოდა, ბრალდებულები მაინც გაამართლეს. თუმცა, ნაციონალური რეჟიმის ორივე ლიდერმა მაინც თავი შეიკავა მოსამართლეების წინააღმდეგ სანქციების გამოყენებისგან.

მოსამართლის თანაშემწე ლენგლანდი და მისი კოლეგა მოსამართლეები სამართლიანი და მამაცი ადამიანები აღმოჩნდნენ. ისინი დაუპირისპირდნენ ავტორიტარულ მმართველებს და მათ სიძულვილს სამართლის უზენაესობის ელემენტარული პრინციპებისადმი. ნებისმიერ მოსამართლეს შეუძლია ღიად გამოხატოს პროტესტი, როგორც ეს უზენაესი სასამართლოს მთელმა შემადგენლობამ გააკეთა, როდესაც 1940 წლის დეკემბერში მათ თანამდებობები დატოვეს. ან შეუძლიათ შენიღბონ საკუთარი წინააღმდეგობა მტკიცებულებების შეფასებისას ან დისკრეციული უფლების გამოყენებისას, როგორც მოიქცნენ ლენგლანდი და მისი თანამოაზრე მოსამართლეები. ორივე ქმედება პროტესტის გამომხატველი აქტია.

წინააღმდეგობის განწევის სხვა გზებიც არსებობს. მოსამართლეებს შეუძლიათ პროტესტი გამოთქვან საქმის გაჭიანურებით, ან საქმის „ნაგებით“, ან კონკრეტული საქმის განხილვაზე უარის თქმით, ან ამგვარი საქმეებისადმი კონკრეტული მიდგომის არჩევით. არსებობს ასევე მოსამართლეების მაგალითებიც, რომლებმაც, იმისთვის რომ ხელისუფლებას სასამართლოზე კონტროლის მოპოვება გართულებოდა, გააყალბეს სტატისტიკა, ან სხვაგვარი გზებით არ მიანოდეს სწორი ინფორმაცია.

თუმცა, ბევრმა მოსამართლემ არაფერი გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგიაში მოსამართლეთა მხოლოდ მცირედი ნაწილი თანაუგრძნობდა ნაცისტებს, უმეტესობა მაინც თავს არიდებდა რეჟიმთან დაპირისპირებას.

არასწორი ვერდიქტის გამოტანის უფლება

ჰქონდა თუ არა მოსამართლეს უფლება, გამოეტანა გადაწყვეტილება საქმეში არსებული ფაქტების შეგნებულად უგულვებელყოფით? ამ საკითხზე იურისტებს შორის მოსაზრებები სავარაუდოდ ორად იყოფა. მოსამართლის უპირველესი ამოცანაა საქმე განიხილოს კანონის შესაბამისად და საქმეში არსებული მტკიცებულებები ჯანსაღი მსჯელობის საფუძველზე შეაფასოს. „ყვავილის საქმეში“ საკმაოდ მკაფიოდ ჩანს, რომ ბრალდებულები მეფისადმი პატივისცემის ნიშნად ატარებდნენ ყვავილს და რომ მოსამართლეებმა ეს იცოდნენ. ყვავილის ტარება იყო

პოლიტიკური აქტი, რომელიც არღვევდა რაიხსკომისრის ბრძანებულე-ბას სამეფო ოჯახის მხარდამჭერი პროპაგანდის აკრძალვის შესახებ.

ის ფაქტი, თუ რამდენად უკანონო და დასჯადი იყო დემონსტრაცია, რა თქმა უნდა, საკამათოა. შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლემ კანონი უნდა განმარტოს არა ხელისუფლების მქონე პირთა საამებლად, არამედ სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის ფუნდამენტური მოთხოვნებიდან გამომდინარე. სავარაუდოდ, კანონი ლენგლანდს ინტერპრეტირების საშუალებას აძლევდა. ყველა ბრალდებულს შესაძლებელია არ ჰქონდა მკაფიოდ გააზრებული სამართლებრივი საკითხი, თუმცა, საბაზისო სისხლის სამართლის პრინციპების თანახმად, კანონის არცოდნა არ ამართლებს ადამიანს. თუკი მეფის მხარდაჭერის ამკრძალავი ბრძანება სავალდებულო იყო სასამართლოსთვის, მაშინ დემონსტრაცია სასამართლოს უკანონოდ უნდა ჩაეთვალა. ერთ-ერთ გადანყვეტილებაში მოქმედმა უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ნორვეგიის სასამართლოებს არ შეეძლოთ აღნიშნული განკარგულებების კანონიერების გადამოწმება. ამ თვალსაზრისით, განკარგულებები სასამართლოსთვის სავალდებულო იყო შესასრულებლად.

თუმცა, როგორც წინა თავში ვნახეთ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, რომლებიც ოკუპაციამდე პერიოდში იყვნენ დანიშნულები, გადადგნენ სწორედ ამგვარი საკითხის საფუძველზე, რადგან ისინი რაიხსკომისრის მოსაზრებას არალეგიტიმურად და კანონის საწინააღმდეგოდ მიიჩნევდნენ. ნორვეგიის სასამართლოებს უბრალოდ არ შეეძლოთ საოკუპაციო რეჟიმის განკარგულებები სავალდებულოდ ჩაეთვალათ. მეორე მხრივ, მათ მკაფიოდ არაფერი უთქვამთ აღნიშნულ განკარგულებასთან დაკავშირებით და არ განუცხადებიათ, რომ რაიხსკომისრის რეგულაციები, ზოგადად, არამართებული იყო. გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა ის, თუ რამდენად იცავდა ოკუპანტი საერთაშორისო სამართლის მიერ დადგენილ ფარგლებს. პოლიტიკური აზრის საჯაროდ გამოხატვის აკრძალვა, შესაძლოა, მოიაზრებოდა კიდევ საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისა და შენარჩუნების მიზნებისთვის დადგენილ უფლებად. თუმცა, ასევე შეიძლება ითქვას, რომ მშვიდობიანი მანიფესტაციის აკრძალვა სცილდებოდა ოკუპანტი სახელმწიფოს უფლებამოსილების საზღვრებს საერთაშორისო სამართლის მიხედვით და ეწინააღმდეგებოდა ნორვეგიის კანონმდებლობის ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. ჩემი აზრით, ორივე შეხედულების იურიდიულად დასაბუთება შესაძლებელია.

უკანონო დემონსტრაცია

თუკი სასამართლო არ ჩათვლიდა, რომ ის არ იყო შებოჭილი რაიხს-კომისარის დადგენილებებით, მაშინ ყვავილის პროტესტი იყო უკანონო საჯარო დემონსტრაცია და მასზე უნდა გავრცელებულიყო სისხლის სამართლის კოდექსის 350-ე მუხლი – საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, ასევე ოკუპაციამდე არსებული ნორვეგიული კანონმდებლობა. წინდახედულება მოითხოვდა აღნიშნული კანონის გამოყენებას, სასამართლოს კი ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევდა ამის გაკეთება მანამ, სანამ თვითონ, ან სხვა სასამართლო არ გამოაცხადებდა ნორმას არასავალდებულოდ ისეთ საქმეში, როგორც მოცემული შემთხვევა გახლდათ. ეს პირდაპირ გამოიწვევდა უზენაესი სასამართლოსადმი და რაიხსკომისარის განკარგულებებზე სასამართლო კონტროლის აკრძალვის წესისადმი დაუმორჩილებლობას.

მოსამართლეები, თავის მხრივ, მტკიცედ არ ეთანხმებოდნენ იმ გარემოებებს, რის გამოც დემონსტრაცია არაკანონიერად ჩაითვალა. თუმცა, ლენგლანდი და მისი კოლეგები არ ჩაერთნენ სამართლებრივ განხილვაში და არ შეეცადნენ მიმოეხილათ სამართლებრივი პრაქტიკა, რათა ამ ფორმით დაემტკიცებინათ აქციის ლეგიტიმურობა. ამის გათვალისწინებით, მათი ნაბიჯი უნდა იქნას მიჩნეული როგორც მოქმედი კანონმდებლობის წინააღმდეგ მიმართული საბოტაჟი.

მოერიდნენ ღია დაპირისპირებას, თუმცა დაიცვეს სამართლის უზენაესობა

და მანც, ჩემი თვალსაზრისით, ლენგლანდი და მისი კოლეგა მოსამართლეები მართებულად მოიქცნენ. ზოგმა შეიძლება გააკრიტიკოს ისინი იმის გამო, რომ საკუთარ გადანყვეტილებას მკაფიო სამართლებრივი დასაბუთება არ დაურთეს. თუმცა, სავსებით ნათელია მათი საქციელის მიზეზი. როდესაც გაბატონებულ იურიდიულ პოზიციას მოსდევს არაეთიკური შედეგები, წარმოიშობა კონფლიქტი მორალურობასა და სამართლიანობის პრინციპებს შორის. ზოგმა შეიძლება თქვას, რომ მსგავს საქმეებში მორალური პასუხისმგებლობა ეკისრება თავად მოსამართლეს – განმარტოს კანონი იმგვარად, რომ ის შეესაბამებოდეს მორალურ პრინციპებს. სხვებმა შეიძლება ამტკიცონ, რომ მოსამართლე მორალურად ვალდებულია უარი თქვას კანონის აღსრულებაზე, სწორედ ისე, როგორც ლენგლანდი და მისი კოლეგა მოსამართლეები

მოიქცნენ. თუმცა, არსებობს კი მორალური საფუძველი იმისთვის, რომ განვასხვავოთ მოსამართლე, რომელიც ძირს უთხრის კანონს ფაქტების დამახინჯებით და რომელიც ილაშქრებს გაბატონებული სამართლებრივი მოსაზრების წინააღმდეგ? გადამწყვეტი ფაქტორი აქ შეიძლება იყოს ის, თუ რამდენად მართებული საქციელია მოსამართლის მხრიდან კანონის შეუსრულებლობის აქტი და არა ის, თუ რა საშუალებებით ახორციელებს ის ამ ქმედებას.

განა არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ მათი ქმედება სამართლებრივად სწორიც კი იყო? აუკრძალო ადამიანებს მეფისადმი თანაგრძნობის გამოხატვა მშვიდობიანი და ღირსეული ფორმით, იმდენად ეწინააღმდეგება სამართლის უზენაესობის ძირითად პრინციპებს, რომ ასეთი აკრძალვა არ იმსახურებს იურიდიულ დონეზე აღიარებას, – იტყვის ზოგი. იმდროინდელი მმართველები არაკანონიერი გზებით მოვიდნენ ხელისუფლებაში, მათი რეჟიმი ეწინააღმდეგებოდა როგორც საერთაშორისო სამართალს, ასევე ნორვეგიის კონსტიტუციას, ხოლო გერმანელების დანესებული აკრძალვა, საუკეთესო შემთხვევაში, ის უკიდურესი ზომა გახლდათ, რისი განხორციელებაც ოკუპანტს ლეგიტიმურად შეეძლო საერთაშორისო სამართლის ფარგლებში. ყველა ეს დასაბუთება მართებული არგუმენტებია, მაგრამ აქვს კი სინამდვილეში მნიშვნელობა, რას დავარქმევთ მათ: სამართლებრივ თუ მორალურ არგუმენტებს? ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა ითქვას, რომ ლენგლანდმა და მისმა თანამოაზრე მოსამართლეებმა მართებული გადამწყვეტილება მიიღეს. მე-15 თავში ამ დისკუსიას ჩვენ კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით.

წინააღმდეგობის ყვავილი და ISIS-ის დროშა

დღეს ჩვენს საზოგადოებაში არავინ დადგება რისკის ქვეშ, თუკი ისეთი პოლიტიკური სიმბოლიკით შეიმოსება, როგორიც იმ დროს სამეფო ყვავილის ტარება იყო. თუკი გადამწყვეტთა ისლამური სახელმწიფოს დროშით მორთული გამოჩნდეთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, უსაფრთხოების სამსახურების ყურადღებას ნამდვილად მიიპყრობთ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ უშიშროების წარმომადგენლები გადაკვეთენ დაშვებულ ზღვარს, თქვენ შეგიძლიათ გქონდეთ იმედი, რომ სასამართლო დაგიცავთ. თუმცა, ეს ყოველთვის ასე არ ხდება, თუნდაც ჩვენს საზოგადოებებში. ცივი ომის გამოცდილება გვიჩვენებს,

რომ მოსამართლეები აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში ყოველთვის არ ეწინააღმდეგებიან ხელისუფლებაში მყოფებს, როდესაც ეს უკანასკნელნი სამართლის უზენაესობას უგულვებლყოფენ. ამიტომ, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რაც მოხდა ალესუნდში 1942 წლის 3 აგვისტოს. ჩვენ გავიცანით მოსამართლე, რომელსაც შეუძლია შთააგონოს ადამიანები ჩვენს თანამედროვე ეპოქაშიც კი. მისი მაგალითი დასტურია იმისა, რომ პროტესტის საშუალებები იმაზე მეტია, ვიდრე ბევრს წარმოუდგენია მაშინაც კი, როდესაც რეპრესიები სასტიკი და დაუნდობელია. მისი მაგალითი ასევე გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ ვითარებაში, სწორედ ის მოსამართლე, რომელიც არღვევს კანონს და „არასწორი“ გადაწყვეტილება გამოაქვს, სწორ საქმეს აკეთებს.

გამოყენებული ლიტერატურა

Graver, Hans Petter. “Dommeren Som Likte Roser.” *Lov og Rett* 57, no. 2 (2018):88–111.

7

ჰანს გეორგ კალმაიერი

ჰიტლერის ურჩი ბიუროკრატი

მოკლე მიმოხილვა

ჰანს კალმაიერი – გერმანელი იურისტი და ბიუროკრატი – იურიდიული სფეროს ოსკარ შინდლერია. შინდლერის ისტორია საზოგადოებისთვის ცნობილი სტივენ სპილბერგის ფილმის „შინდლერის სიის“ გამოსვლის შემდეგ გახდა. ამ თავში წარმოგიდგენთ კალმაიერის წვლილს, რომელიც ანალოგიურ აღიარებას იმსახურებს. მან ათასობით ადამიანი გადაარჩინა სიკვდილს, მათგან ყალბი დოკუმენტების მიღებით და კანონში არსებული მცირედი ხვრელების გამოყენებით, რითაც შეამცირა ნიდერლანდებიდან ებრაელების დეპორტაცია მეორე მსოფლიო ომის დროს. კალმაიერი შინდლერზე არანაკლებ საინტერესო პიროვნება იყო.

გერმანელმა ადვოკატმა და ნაციისტური გერმანიის „რასობრივი კანონების“ ექსპერტმა, ჰანს კალმაიერმა ნიდერლანდებში გერმანიის რაიხსკომისარიატის ებრაელების საქმეზე მომუშავე სამსახურის ხელმძღვანელის რანგში 100 000-ზე მეტი ებრაელის მასობრივი დეპორტაცია უზრუნველყო. მან გამოსცა განკარგულება ვინრო განმარტებით, თუ ვინ უნდა ჩათვლილიყო „ებრაელად“, რითაც მოახერხა გამონაკლისების დაშვება ადამიანების გარდაუვალი სიკვდილისგან დასახსნელად. ამავდროულად, იგი გულდასმით არჩევდა თანამშრომლებს, ვინც თვალს დახუჭავდა მის ოფისში შემოსულ

თითქმის ყველა განცხადებაზე თანდართულ ყალბ დოკუმენტებზე, რითაც ადამიანები „არიელბად“ აღრიცხვას ითხოვდნენ, გადასახლების თავიდან აცილების იმედით.

მთელი ომის განმავლობაში SS-ს ეჭვები ღრღნიდა რეჟიმის ერთი შეხედვით ერთგული ბიუროკრატის მიმართ, რომლის წყალობითაც, მრავალი „კალმაიერის ებრაელი“ გადაურჩა დეპორტაციას 1942 წლიდან 1944 წლამდე. ამიტომ კალმაიერს ბენვის ხიდზე უწევდა სიარული. ერთადერთ გზას ადამიანების გადარჩენის შესაძლებლობის შენარჩუნებისთვის, ისე რომ საკუთარი თავიც არ გაეცა, სხვა ადამიანების სასიკვდილოდ განიზვა წარმოადგენდა. მისი ჩანაფიქრის გამჟღავნების შემთხვევაში, არა მხოლოდ კალმაიერი და მისი თანამშრომლები დაისჯებოდნენ, არამედ მათ მიერ გადარჩენილი ათასობით ადამიანიც იმ გაზის კამერაში აღმოჩნდებოდა, რომელსაც ასე ოსტატურად დააღწიეს თავი.

გამოიცადა ომის დროს

ნაცისტური გერმანიის მხრიდან ებრაელების დევნისა და უმცირესობების მიმართ სასტიკი რეპრესიების დროს, უამრავი უბრალო მოსამსახურე ეთიკურ შემონმებას დაექვემდებარა. ამგვარი შემონმება უშუალოდ შეეხო ბევრ მოსამართლესა და სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ იურისტს, რომლებიც სხვებზე უფრო ხშირად ექცეოდნენ რთული მორალური წნეხის ქვეშ. ადვოკატი კალმაიერი, რომელიც ებრაელების საკითხებზე მომუშავე ჰიტლერის ერთ-ერთი სამსახურის ხელმძღვანელი გახლდათ, თითქმის წარმოუდგენელი ეთიკური დილემის წინაშე აღმოჩნდა. მას ბანაკებში გაგზავნისგან შეეძლო გადაერჩინა ისინი, ვისი „ებრაელობაც“ სადავო იყო. ეს ყველაფერი კი იმ ათიათასობით ადამიანის დეპორტაციის ხარჯზე უნდა მომხდარიყო, რომელთა ებრაელობაც დადასტურებას არ საჭიროებდა. კალმაიერმა კი კარგად იცოდა, სად აგზავნიდა ამ ხალხს.

შინდლერი თუ კალმაიერი

მათ, ვისაც უნახავს სტივენ სპილბერგის ცნობილი ფილმი ოსკარ შინდლერის შესახებ, მაშინვე მიხვდება დილემის არსს. შინდლერი იყო

გერმანელი მენარმე და ქარხნების მფლობელი, რომელმაც ებრაელები თავის ფაბრიკებში სამუშაოდ უფასო მუშის სტატუსით აიყვანა, რითაც ისინი სიკვდილისგან იხსნა. ამ ქმედების გამო, ის გმირად შერაცხეს. ჰანს კალმაიერი კი თითქმის არავის ახსოვს, არადა მან შინდლერისგან განსხვავებით, სამჯერ მეტი ადამიანი გადაარჩინა.

განსხვავება მათი ცნობადობის მხრივ, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ჰოლივუდური ფილმითაა განპირობებული. თუმცა, შესაძლოა ასევე, იმიტომაც, რომ შინდლერი იყო მომხიბვლელი ავანტიურისტი და ბიზნესმენი, კალმაიერი კი ამპარტავანი და მოსაწყენი ბიუროკრატის შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორც იურისტი, კალმაიერი ნიურნბერგის სამარცხვინო კანონის – 1935 წლის გერმანიის რასობრივი კანონების – ექსპერტი გახლდათ. მისდაუნებურად, იგი თავისი ცხოვრების ერთ-ერთი დრამატული, ეთიკური დილემის შუაგულში აღმოჩნდა. დიდი ალბათობით, განაცხადი – ოკუპირებულ ქვეყანაში გერმანიის ცენტრალურ ადმინისტრაციაში თანამდებობის დასაკავებლად – მან იმიტომ შეიტანა, რომ, სურვილი ჰქონდა – თავი დაეღწია საჰაერო ფლოტის ბიუროკრატის მოსაწყენი ყოფისთვის; თუმცა ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ადამიანების სასიკვდილოდ გადარჩევა დაევალებოდა.

კანონები იქმნება ოჯახური ისტორიების შესწავლის შედეგად

ნაცისტების „რასობრივი კანონები“ გახლდათ კვაზი-მეცნიერულ გენეალოგიაზე დაფუძნებული ნორმათა კრებული, რომლის თანახმადაც, უნდა დადგენილიყო ვინ ითვლებოდა ებრაელად და ვინ – არა. კანონი განიმარტებოდა სისხლის და არა აღმსარებლობის საფუძველზე. ბერლინში ნაცისტებს ჰქონდათ დიდი ოფისი, დაკომპლექტებული ერთი მხრივ, პროფესიონალი ისტორიკოსებით, რომლებიც იკვლევდნენ ადამიანების რასობრივ მიკუთვნებულობას, და ასევე გამჭრიახი გერმანელი იურისტებით, რომლებიც ნიურნბერგის კანონისთვის იურიდიულ შენიშვნებს ამზადებდნენ.

ომის დროს, აღნიშნული კანონების მოქმედება გერმანიის ბატონობის ქვეშ მყოფ ქვეყნებზეც გავრცელდა. SS-ის მმართველობის ქვეშ არსებულ ქვეყნებში, კერძოდ კი აღმოსავლეთში, ნაკლები ყურადღება ექცეოდა მცირე იურიდიულ დეტალებს, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში,

ამ საკითხს იურისტებით დაკომპლექტებული ადმინისტრაციული სისტემები აგვარებდნენ. ფართო ადმინისტრაციული და სამართლებრივი პრაქტიკა, არსებითი და პროცედურული მოთხოვნების შესაბამისად ხორციელდებოდა. კერძოდ, საფრანგეთში, იტალიასა და ნიდერლანდებში, იურისტები წყვეტდნენ თუ ვინ იყო ებრაელი, რათა შემდეგ მათთვის იურიდიული სუბიექტის სტატუსი ჩამოერთმიათ. თუმცა, ებრაელების სამართლებრივი დევნა არ იყო მხოლოდ გერმანელების წამოწყება.

რიჩარდ ჰ. ვაისბერგმა თავის წიგნში, „ვიშის კანონი და ჰოლოკოსტი საფრანგეთში“ აღწერა, თუ როგორ იღებდნენ და ახორციელებდნენ ფრანგი ჩინოვნიკები, მოსამართლეები და სამართლის მეცნიერები კანონებს, რომლებიც იძლეოდა ებრაელების დევნისა და საფრანგეთიდან დეპორტაციის საფუძველს.⁶⁰ თავის ნაშრომში „ფაშისტები და იტალიელი ებრაელები“, მაიკლ ა. ლივინგსტონი აღწერს, თუ როგორ შეუნყვეს ხელი იტალიის სამართლებრივმა ინსტიტუტებმა ებრაელი ხალხის ფუნდამენტური სამართლებრივი უფლებებისა და დაცვისგან ჩამოცილებას, რითაც ებრაელების იტალიიდან დეპორტაცია უზრუნველყვეს.⁶¹

ნიდერლანდებში ვითარება განსაკუთრებით მწვავე იყო. იმ მომენტისთვის, როდესაც გერმანელები ქვეყანაში შევიდნენ, ნიდერლანდებში საკმაოდ ბევრი ებრაელი ცხოვრობდა, დაახლოებით 140 ათასი ადამიანი. ოთხიდან სამი ადამიანი დეპორტირებული და მოკლული იქნა ომის დროს – ეს ყველაზე დიდი მაჩვენებელია დასავლეთ ევროპის ნებისმიერ ქვეყანასთან შედარებით. ანა ფრანკი, შემდგომში ცნობილი ახალგაზრდა ქალი, ერთ-ერთი მათგანი იყო. ანამ თავისი დღიური იმ დროს დაწერა, როდესაც კალმაიერის სამსახურის წარმომადგენლებს ემალებოდა. ნიდერლანდებში, ნორვეგიის მსგავსად, გერმანელმა დამპყრობლებმა ოკუპაციის დროს შექმნეს სამოქალაქო მთავრობა, რაიხსკომისარიატი. ამით, SS-ს და ნაცისტურ პარტიას უდიდესი ზეგავლენის მოხდენის საშუალება მიეცათ, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც სამხედროები იყვნენ სათავეში, მაგალითად დანიასა და ბელგიაში. თუმცა, ნიდერლანდებში მოღვაწეობდა ადვოკატი, რომელიც, სხვა ქვეყნებში მცხოვრები მისი

60 Richard H. Weisberg, *Vichy Law and Holocaust in France* (Oxfordshire: Routledge, 1996).

61 Michael A. Livingston, “The Fascists and the Jews of Italy: Mussolini’s Race Laws, 1938–1943,” *Studies in Legal History*, Cambridge University Press (Cambridge 2014).

კოლეგებისგან განსხვავებით, გულგრილად ვერ უყურებდა ებრაელების ბედის განკარგვას რასობრივი კანონების საფუძველზე.

იურისტები ებრაელი ხალხის ეფექტურ დევნაში

ჰოლანდიის ბიუროკრატიულ აპარატს ევალებოდა პირადობის მონმობების რეგისტრაცია და გაცემა, ხოლო პოლიცია ებრაელებს დეპორტაციისთვის აგროვებდა და „გაუჩინარებულ“ ებრაელებზე ნადირობდა. გერმანელების დაუნდობელი ეფექტურობა, პლუს მშვიდობიანი მოსახლეობის ნებაცოფლობითი დახმარება, ებრაელების მასობრივი განადგურების საფუძველი გახდა. ამასთან, ნიდერლანდებს არ ჰყავდა ისეთი მეზობელი ქვეყანა, სადაც ებრაელები შეძლებდნენ გაქცევას და უსაფრთხოდ ცხოვრების გაგრძელებას. დეპორტაციას არა მხოლოდ დაქორწინებული წყვილები ექვემდებარებოდნენ, არამედ ასევე არაებრაელ ქალებზე დაქორწინებული ებრაელი მამაკაცებიც. კალმაიერის ხელმძღვანელობით, ებრაელების საქმეებზე მომუშავე რაიხსკომისარიატის განყოფილებამ დეპორტაციისთვის 107,000 მამაკაცის, ქალისა და ბავშვის რეგისტრაცია განახორციელა. და მაინც, კალმაიერმა ჰოლოკოსტის დროს მოახერხა ყველაზე მეტი ადამიანის გადარჩენა, ვიდრე ნებისმიერმა სხვა ადამიანმა, 1944 წელს ბუდაპეშტში რაულ ვალენბერგისა და სხვა დიპლომატების გამოკლებით. როგორ მოხვდა კალმაიერი ამ თანამდებობაზე? ვინ იყო ეს კაცი, რომელსაც საპატიო ადგილი მივუჩინე სამართლის გმირების გვერდით?

სწრაფი ავტომობილები და „ლუდის პუტჩი“

ჰანს კალმაიერი 1903 წელს დაიბადა ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში მდებარე ქვემო საქსონიაში. მას ორი უფროსი ძმა ჰყავდა. მამამისი მოსამართლედ მუშაობდა. ძმები პირველ მსოფლიო ომში დაეღუპა, თვითონ კი გადაწყვიტა მემარჯვენე „ნაციონალური თავისუფალი კორპუსის“ წევრი გამხდარიყო. კალმაიერი მონაწილეობას იღებდა 1923 წელს ბავარიაში გამართულ ჰიტლერის წარუმატებელ „ლუდის პუტჩში“. შემდეგ, სამართალი შეისწავლა და იურისტის წოდებაც მოიპოვა. თუმცა, ის არ იყო ჰიტლერის პროგნოზირებადი მხარდამჭერი. ნაცისტებსა და კომუნისტებს შორის გამართული ქუჩის ბრძოლების შემდეგ, ის კომუნისტებს იცავდა სასამართლოში. მის ოფისში მუშაობდა ებრაული

წარმოშობის დამხმარე ქალბატონი. მას იურიდიული ლიცენზიაც კი ჩამოართვეს ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. თუმცა, მომდევნო წელს ლიცენზია დაიბრუნა, როდესაც ნაცისტების მოტოკლუბში განწევრიანდა, რადგან ძალიან უყვარდა სწრაფი ავტომობილები. იურისტი კალმაიერი უბრალოდ არაორდინარული ადამიანი იყო, რომელმაც არ ისურვა ბრბოს დაკრულზე ცეკვა.

სრული ებრაელები, ნახევრად ებრაელები და არიელები

როდესაც გერმანია ნიდერლანდებში შეიჭრა 1940 წლის 10 მაისს, კალმაიერი საჰაერო ფლოტის დაზვერვის ჯარისკაცის პოზიციაზე მსახურობდა. იგი ქალაქ დორდრეხტში მდებარე ერთ-ერთ ოფისში გაამწესეს ისეთ თანამდებობაზე, რომელიც მას ძალიან სწრაფად მოჰბეზრდა. ამიტომ, გადაწყვიტა განაცხადი შეეტანა რაიხსკომისარიატში, სადაც მის ერთ-ერთ თანამოქალაქეს მაღალი თანამდებობა ეკავა. ამ ადამიანმა კალმაიერს სამუშაო გამოუძებნა და ისიც სწრაფად განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დანიშნა, სადაც დაევალა ებრაელების სავალდებულო რეგისტრაციის პროცესის ხელმძღვანელობა 1935 წლის რასობრივი კანონების თანახმად.

ამოსავალ წერტილს იმის განსასაზღვრად, იყო თუ არა პირი ებრაელი, წარმოადგენდა მისი ბებია-ბაბუის წარმომავლობა. ადამიანები, რომლებსაც ჰყავდათ სამი ან ოთხი ებრაელი ბებია-ბაბუა „სრულ ებრაელებად“ ითვლებოდნენ. მათ, ვისაც ორი ან ერთი ებრაელი ბებია და ბაბუა ჰყავდათ, „ნახევრად ებრაელებად“ არეგისტრირებდნენ, ხოლო ვისაც საერთოდ არ ჰყავდა ებრაელი ბაბუა და ბებია – „არიელებად“ მიიჩნეოდნენ. ნახევრად ებრაელები ებრაელებად ჩაითვლებოდნენ, თუკი ისინი მიეკუთვნებოდნენ ებრაულ აღმსარებლობას ან ებრაელზე იყვნენ დაქორწინებული.

ეჭვი შესაძლოა რამდენიმე მიზეზით გაჩენილიყო. მაგალითად, ადამიანს შეიძლება ეთქვა, რომ დაიბადა ქორწინების გარეშე, როდესაც მის მშობელ დედას სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა არაებრაელ მამაკაცთან. „ებრაელობის“ დასადგენ გენეალოგიურ კვლევას ატარებდნენ და საბოლოო გადანყვეტილებას იღებდნენ იურისტები და ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლები. და სწორედ აქ გაჩნდა ინტერპრეტაციის უდიდესი შესაძლებლობა. ჰოლანდიელი ჟაკლინ

ვან მარსენი ანა ფრანკის მეგობარი იყო. იგი გადაურჩა სობობორის საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნას, რადგან დედამისი „არიელი“ იყო, მამა კი ებრაელი. რეგისტრაციისას მათ განაცხადეს, რომ ისინი მიუკუთვნებოდნენ „მოზაიკის“ თემს და ამიტომ ებრაელებად უნდა ჩათვლილიყვნენ. თუმცა, დეპორტაციის პროცედურის დაწყებისას, ჟაკლინის დედამ თქვა, რომ მისმა ქმარმა ქალიშვილები ამ რელიგიურ თემში ოჯახის დაუკითხავად შეიყვანა და რომ ბავშვები პრაქტიკულად ქრისტიანებად იზრდებოდნენ. მან თავისი სიტყვების დასამტკიცებლად ჰოლანდიელი იურისტიც კი დაიმონმა, ხოლო რამდენიმე კვირის შემდეგ, რაიხსკომისარიატიდან დადებითი პასუხი მიიღო – ხელმოწერილი ჰანს კალმაიერის მიერ. ნახევრად ებრაელები დეპორტაციისგან გაათავისუფლეს.

ფარული დაუმორჩილებლობა

1941-1944 წლებში კალმაიერის სამსახურმა 5,700 საქმე განიხილა. საქმეების 65 პროცენტი დაინტერესებული პირის სასარგებლოდ გადაწყდა.

არაებრაელად კატეგორიზაციის მიზნით, პირს უნდა წარმოედგინა: ექიმის დასკვნა სისხლის ჯგუფის შესახებ, დოკუმენტები ეროვნული რეესტრის არქივიდან, ძველი წერილები – რითიც დამოწმდებოდა ქრისტიანული რელიგიისადმი მიკუთვნებულობა, მამობის დამადასტურებელი ცნობა, ნათლობის მოწმობა და სხვა მტკიცებულებები. ხშირ შემთხვევაში, მტკიცებულებები არასწორ ინფორმაციას შეიცავდა, ცნობები კი გაყალბებული იყო, მაგრამ კალმაიერი მათ მაინც იღებდა. ზოგ შემთხვევაში, კალმაიერის სამსახური ეხმარებოდა კიდევ ადვოკატებს ყალბი ბლანკების მოძიებაში, რომლებსაც შემდეგ კლიენტების სახელით ავსებდნენ.

ეს იყო კალმაიერის დაუმორჩილებლობა. გარეგნულად ის ევროპის „ებრაელებისგან განმედი“ პოლიტიკის ურყევი მხარდამჭერი გახლდათ – კეთილსინდისიერი, ზეკორექტული ფუნქციონერი, რომელსაც უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ამოცანა ჰქონდა მინდობილი. იგი ფართოდ აღიარებული იყო როგორც რასობრივი საკითხების უდავო ექსპერტი, თუმცა იმავდროულად ფარულად უწყობდა საბოტაჟს ზემოაღწერილ პროექტს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კალმაიერი დიდი ყურადღებით არჩევდა ერთგულ, ფრთხილ თანამშრომლებს, რომლებიც თანახმანი იყვნენ, რაც შეიძლება მეტი ადამიანი გადაეჩინათ დეპორტაციისგან. ისინი ფიცის ქვეშ გაკეთებულ განცხადებებსაც კი იღებდნენ, ოფიციალური მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში.

ასეთი რამის გაკეთება გერმანიაში წარმოუდგენელი იყო. ამის მაგალითია ცნობილი გერმანელი მსახიობი კამილა სპირა. იგი დაარეგისტრირეს როგორც ებრაელი მამის ქალიშვილი და ებრაელ მამაკაცზე დაქორწინებული ქალი. თუმცა, იმ მომენტში, როცა მისი ოჯახის დეპორტაცია უნდა დაწყებულიყო, იგი მიუბრუნდა კალმაიერს და დაიფიცა, რომ დედამისმა აღიარა – კამილა მრუმობის ნაყოფი იყო და, შესაბამისად, „ებრაული სისხლის“ ნატამალი არ გააჩნდა. კალმაიერმა ის „არიელად“ გადააკვალიფიცირა და ამით ხელი შეუშალა მსახიობის, მისი მეუღლისა და მათი შვილების დეპორტაციას.

კიდევ ერთი გადარჩენილი პირი იყო რუთ ვან გალენ-ჰერმანი, რომელიც მოგვიანებით იურისტი გახდა. იგი ორ ძმასთან ერთად გადაურჩა ნაცისტების სასაკლავო მანქანას, რადგან კალმაიერმა მიიღო მათი წარმომავლობის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტები. და-ძმის მშობლები კი ბერგენ ბელსენში გამოასალმეს სიცოცხლეს.

– „კალმაიერი პატიოსანი ადამიანი იყო. მან სიკვდილს გადამარჩინა მე და მრავალი სხვა“, – თქვა ვან გალენ ჰერმანმა ადგილობრივ გაზეთთან საუბრისას ჰააგაში გამართულ კალმაიერის გამოფენაზე, სახელწოდებით „მე არ ვარ გმირი“.

დაბრკოლების შექმნა

კალმაიერმა ასევე შექმნა ნორმატიული ჩარჩო, რომელიც დესტრუქციულად შეიჭრა ებრაელების განადგურების სქემაში. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა განკარგულება, რომელიც კლასიფიცირებულ ებრაელს ანიჭებდა უფლებას საჩივრით მიემართა კალმაიერის სამსახურისთვის. ამ წესს ანალოგი არ გააჩნდა მესამე რაიხის სისტემაში, ვინაიდან მხოლოდ ჰიტლერს შეეძლო ადამიანის გათავისუფლება ებრაელად კატეგორიზაციიდან. აღნიშნული განკარგულება მომრიგანს იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობასაც კი აძლევდა. კალმა-

იერმა ასევე მოიშველია ჰოლანდიური კანონი, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანი პირი არ შეიძლება ყოფილიყო რომელიმე რელიგიური თემის წევრი. ამრიგად, ის ნაბიჯ-ნაბიჯ ათავისუფლებდა შერეულ ქორწინებაში დაბადებულ არასრულწლოვან ბავშვებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოჯახი ებრაული კონგრეგაციის აქტიური წევრი იყო.

როდესაც დეპორტაციები დაიწყო, SS-ის ხელმძღვანელებმა აღმოაჩინეს, რომ კალმაიერის ოფისს ებრაელების საეჭვოდ დიდი რაოდენობა გაეთავისუფლებინა გადასახლებისგან. ასეთ პირებს SS-ში „კალმაიერის ებრაელებს“ უწოდებდნენ. SS-მა კალმაიერის კანტორაზე თვალყურის დევნება დაიწყო. რამდენჯერმე უფრო დეტალური შემონმებიტაც კი დაემუქრნენ. კალმაიერით უკმაყოფილონი იყვნენ ასევე ნაცისტური ადმინისტრაციის სხვა განყოფილებებშიც. ცნობილია, რომ ებრაელების ქონება კონფისკაციას ექვემდებარებოდა. იმ შემთხვევაში კი, თუ განმეორებითი კატეგორიზაციის საფუძველზე, ადამიანი აღარ ჩაითვლებოდა ებრაელად, მას უფლება ჰქონდა ჩამორთმეული ქონება უკან გამოეთხოვა. ამ გარემოებამ ვნებათაღელვა და უკმაყოფილება გამოიწვია განყოფილებაში, რომელსაც ებრაელებისთვის ჩამორთმეული ქონების მართვა ევალებოდა.

როდესაც კალმაიერი დაჟინებით ითხოვდა დოკუმენტების მოხერხებულად გაყალბებას, რათა მათი მიღების საფუძველი ჰქონოდა, იგი სულაც არ გულისხმობდა, რომ კატათავგობანას თამაში სურდა განმცხადებელთან. აღნიშნული აუცილებელი იყო იმისთვის, რომ მის მიერ მიღებულ გადანყვებილებას გაეძლო მოსალოდნელი მკაცრი შემონმებისთვის. თუკი SS-ის წარმომადგენლების ყურამდე მივიდოდა ინფორმაცია, რომ რომელიმე საქმე ყალბი დოკუმენტების საფუძველზე იყო მოგვარებული, ამას ცუდი შედეგები მოჰყვებოდა და არა მხოლოდ კალმაიერისთვის. სავარაუდოდ, SS-ი ხელახლა გახსნიდა და დააბრუნებდა ყველა იმ საქმეს, სადაც მან ადამიანების არაებრაელებად კლასიფიცირება დაუშვა.

1944 წელს ეჭვები იმდენად გაღრმავდა, რომ SS-მა გადანყვება გამოძიების ჩატარება და ყველა იმ საქმის შესწავლა, რომელმაც კალმაიერის ხელში გაიარა. საბედნიეროდ, კალმაიერის ოფისი მოკავშირეთა დაბომბვის ქვეშ მოჰყვა. სანამ SS შეძლებდა ნანგრევების გასუფთავებას და მტკიცებულებების მოგროვებას, ნიდერლანდები მოკავშირეების ჯარებმა გაათავისუფლეს.

გმირი თუ ბოროტმოქმედი?

კალმაიერი სამართლის გმირი იყო თუ – კანონდამრღვევი? გერმანელი ბიუროკრატი კალმაიერი ომის შემდეგ დააპატიმრეს და ომის დანაშაულების შესახებ გამოძიებას დაუქვემდებარეს. ერთი წლის შემდეგ, ჰოლანდიის სპეციალური სასამართლოს გადაწყვეტილებით, მის წინააღმდეგ გამოძიება შეწყდა და კალმაიერი 1946 წელს ციხიდან გამოუშვეს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სისტემამ ის გაათავისუფლა, მისი რეაბილიტაცია ისტორიკოსების მხრიდან მაშინვე არ მომხდარა. მისი პასიური წინააღმდეგობრივი საქმიანობა უკვე კარგა ხნის დავიწყებული იყო, როდესაც გადარჩენილთა ისტორიები ერთი მეორის მიყოლებით გახდა ცნობილი. ადამიანები ხაზგასმით აღნიშნავდნენ კალმაიერის, როგორც მათი მხსნელის, წვლილს.

და მაინც, ფაქტია, რომ კალმაიერმა თავისი ინიციატივით მიმართა რაიხსკომისარიატის ებრაელთა საქმეთა განყოფილებას მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის სურვილით. არ არსებობს არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ ეს იყო ნიდერლანდებში მცხოვრები ებრაელების გადასარჩენად თანამდებობაზე მოხვედრის სქემის ნაწილი. როგორც გერმანიაში მიღებული გამოცდილების მქონე იურისტს, უნდა სცოდნოდა, თუ რა მოვალეობები დაეკისრებოდა მას ამ თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში. დავუშვათ, ვერ განჭვრიტა გაზის კამერების ასპექტი, მაგრამ კალმაიერს კარგად უნდა სცოდნოდა რასობრივი კანონებისა და ევროპის ებრაელებისგან „განმენდის“ ნაცისტური პოლიტიკის შესახებ. ის არ იყო ნაცისტური პარტიის წევრი, თუმცა არც პარტიის ოპონენტი გახლდათ. ის ასევე მონაწილეობდა ებრაელების გადასახლებაში, ვინაიდან ადამიანების რეგისტრაცია ევალებოდა. რამდენად იყო ეს მისი პირადი მოთხოვნილება, რომ სიცოცხლისა და სიკვდილის ექსცენტრული გამგებელი ყოფილიყო? ორი ათასი ადამიანის შემთხვევაში, მან განცხადებების მიღებაზე უარი თქვა და სასონარკვეთილი განმცხადებლები ბედის ანაბარა მიატოვა. რამდენად გადაფარავს ადამიანების მცირე ჯგუფის გადარჩენა იმ ფაქტს, რომ მან უამრავი ადამიანის განადგურებას შეუწყო ხელი?

მონაწილეობა მიიღო ჰოლოკოსტში

მეორე მხრივ, ეჭვგარეშეა: კალმაიერის თანამდებობაზე სხვა ადამიანი რომ ყოფილიყო, დიდი ალბათობით, არათუ ცოტა, არამედ საერთოდ

ვერავინ გადაურჩებოდა სიკვდილს. ამიტომ კალმაიერმა უდავოდ დიდი როლი შეასრულა მრავალი ადამიანის ბედის განსაზღვრაში. იმავდროულად, ისიც არ დავივიწყოთ, რომ ხელისუფლებაში მყოფებს თავიანთი გეგმების განსახორციელებლად სჭირდებათ სხვა ადამიანების ჩართულობა. ეს განსაკუთრებით ეხებოდა ჰოლოკოსტს, რომელიც უამრავი სხვადასხვა ფუნქციის მქონე პირის მონაწილეობას გულისხმობდა: გასანადგურებელთა სიაში მყოფი პირების რეგისტრაცია, მათი თავმოყრა, ტრანსპორტირება და მოკვდინება.

ამგვარ ქმედებებში მონაწილე ადამიანები თავს იმით იმართლებენ, რომ მათი მონაწილეობა ნაკლები ბოროტება იყო. მათი თქმით, ისინი ხელს უშლიდნენ ბევრად უფრო არაკეთილსინდისიერ ადამიანებს დავალებების შესრულებაში. ჰანა არენდტის კრიტიკა ამ დაცვით არგუმენტზე არის ის, რომ ისინი, ვინც უფრო ნაკლებ ბოროტებას ირჩევენ, სწრაფადვე ივინყებენ, რომ მცირედი ბოროტებაც ბოროტებაა. ტირანების ფართოდ ცნობილი ტაქტიკაა საკუთარი ქვეშევრდომები რეპრესიებში თანამოაზრეებად გამოიყენონ. ამ გზით, ისინი ყველას თანამონაწილედ აქცევენ და ადამიანებს აიძულებენ მიიღონ ბოროტება, როგორც ასეთი. მაშ, რა უნდა ქნას სინდისიერმა ადამიანმა? უნდა ეძებოს ისეთი დავალებები, სადაც ცვლილების მოხდენა შესაძლებელი თუ უნდა იპოვოს გზა ასეთი დავალებების შესრულებისგან თავის დასაღწევად?

ვანზეს კონფერენცია

რაიხის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივნის, ვილჰელმ შტუკარტის ნიურნბერგის სასამართლო პროცესზე, დაცვის მხარემ დააყენა საკითხი, რამდენად ამართლებს ადამიანს ის ფაქტი, რომ მან თავისი საქმიანობით, უფრო დიდი ბოროტების აღკვეთა მოახერხა. ვილჰელმ შტუკარტს უმაღლესი საჯარო მოხელის თანამდებობა ეკავა 1933 წლიდან 1945 წლამდე სამინისტროში, რომლის მოვალეობასაც რასობრივი კანონმდებლობის შემუშავება და აღმინისტრირება წარმოადგენდა, ასევე მისი ავტორობით შეიქმნა ნაცისტური რასობრივი კანონები. შტუკარტი არ ეწინააღმდეგებოდა ებრაელთა დეპორტაციას, თუმცა აქტიურად აპროტესტებდა ბანაკებში „ნახევრად ებრაელების“ გაგზავნას. 1942 წელს ვანზეს კონფერენციის მიმდინარეობისას, სადაც ეგრეთ წოდებული *საბოლოო გადაწყვეტილება* დამტკიცდა,

შტუკარტი იბრძოდა იმისთვის, რომ „ნახევრად ებრაელები“ დაეხსნა ამ კანონის მოქმედებისგან. მიუხედავად იმისა, რომ SS-ი მტკიცედ ითხოვდა საპირისპიროს, შტუკარტმა მაინც გაიმარჯვა. თუმცაღა, ჩვენთვის უცნობია, რამდენად გადამწყვეტი როლი ითამაშა მისმა დაუმორჩილებლობამ. ბოლოს და ბოლოს, „ნახევრად ებრაელებს“ ხომ ჰყავდათ ნათესავები, რომლებიც არ იყვნენ ებრაელები და მათ გადასახლებას შესაძლოა დიდი წინააღმდეგობა მოჰყოლოდა მათი გერმანელი ოჯახის წევრების მხრიდან. მიზეზი, რის გამოც ნაცისტებმა შეაჩერეს ნახევრად ებრაელების დეპორტაცია, სავარაუდოდ, სოციალური არეულობის თავიდან აცილებით იყო განპირობებული.

პროტესტი ყოველთვის არ ამართლებს

შტუკარტი ნიურნბერგში გაასამართლეს. სასამართლომ გაიზიარა ის ფაქტი, რომ შტუკარტმა „მამაცურად იბრძოლა“ „ნახევრად ებრაელების“ წინააღმდეგ მიმართული ზომების შესარბილებლად. მიუხედავად ყველაფრისა, ის მაინც გაასამართლეს იმისთვის, რომ მან თავისი შესაძლებლობები, ცოდნა და იურიდიული გამოცდილება იმ პირთა განკარგულებაში მოაქცია, ვინც ადამიანების ამოწყვეტის გეგმებს ქმნიდნენ. ის, რომ შტუკარტს სინდისი აწუხებდა და ხედავდა რამხელა უგუნურება იყო „ნახევრად ებრაელების“ განადგურების სქემაში მონაწილეობა, მის გამამართლებელ გარემოებად ვერ ჩაითვლებოდა.

როგორც კალმაიერმა, ასევე შტუკარტმა გამოიყენეს თავიანთი თანამდებობა ადამიანების მასობრივი განადგურების მასშტაბის შესამცირებლად. „ნახევრად ებრაელები“ დეპორტაციის სქემაში რომ მოხვედრილიყვნენ, დამატებით კიდევ ასობით ათასი ადამიანი გახდებოდა ჰოლოკოსტის მსხვერპლი. მეორე მხრივ, შტუკარტის საქმიანობას, უფრო მეტად ირიბი შედეგები მოჰყვა. კალმაიერისა და მისი თანამოაზრეების შემთხვევაში, მხოლოდ ისინი წყვეტდნენ ვინ გადაურჩებოდა სიკვდილს და კანონსაც კი არღვევდნენ უზარმაზარი პირადი რისკის ფასად. კალმაიერი არ ასხვავებდა ადამიანებს რასობრივი კანონების კატეგორიზაციის წესის მიხედვით. ის ეხმარებოდა როგორც „სრულ ებრაელებს“, ასევე „ნახევრად ებრაელებს“. შტუკარტი კი ორიენტირებული იყო იმ პირებზე, რომლებსაც გერმანელებთან ჰქონდათ ნათესაური კავშირი, ხოლო სხვა ადამიანების გადასარჩენად არაფერს აკეთებდა. ამგვარად, ის კალმაიერისგან განსხვავებით,

ებრაელების გენოციდის თანამონაწილე სრულიად განსხვავებული ფორმით გახდა.

ნამლის 50 დოზა 5,000 ადამიანისთვის

კალმაიერს ომისდროინდელი საქმიანობის შესახებ ბევრი არ უსაუბრია. შესაბამისად, ჩვენთვის თითქმის არაფერია ცნობილი მისი მოტივებისა თუ იმ რისკების შესახებ, რომლებსაც თვითონ დაუქვემდებარა საკუთარი სიცოცხლე. მისი განცხადებებიდან ვიცით, რომ დანაშაულის შეგრძნება სტანჯავდა იმის გამო, რა პროცესებშიც ის იღებდა მონაწილეობას. სიცოცხლის ბოლო წუთებამდე იტანჯებოდა დარდით, რომ ვერ შეძლო უფრო მეტი ადამიანის გადარჩენა. მან თავისი მდგომარეობა შეაღარა ექიმს, რომელსაც ეპიდემიის შუაგულში მხოლოდ ნამლის 50 დოზა აქვს 5,000 მძიმედ დაავადებული პაციენტის გადასარჩენად. კალმაიერი 1972 წელს გარდაიცვალა, 69 წლის ასაკში. ორი ვაჟი დარჩა. მისი წვლილი მის სიცოცხლეშივე არ იქნა აღიარებული, თუმცა 1992 წელს დიდი პატივი მიაგეს „იად ვაშემში“, ისრაელის ჰოლოკოსტის მსხვერპლ ებრაელთა მემორიალურ მუზეუმში, როგორც „მსოფლიო ხალხთა მართალ შვილს“. 2023 წელს იგეგმება მისი მუზეუმის გახსნა გერმანიის ქალაქ ოსნაბრუკში.

ჩემთვის, კალმაიერი გმირია. როდესაც სინდისი გამოცდის წინაშე დგება, ბევრი ადამიანი ცდილობს გააკეთილშობილოს საკუთარი ფიქრები, რათა თანაფარდობა იპოვოს საკუთარ ქმედებებსა და ფიქრებს შორის. ეს არის ფართოდ გავრცელებული ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელიც ირთვება ეგრეთ წოდებული კოგნიტიური დისონანსის დროს.

კალმაიერმა უარი თქვა მორგებოდა არსებულ მოცემულობას. მას არ დაეწეებია, რომ ბოროტების მხარეს დადგომა აირჩია, თუმცა იქვე შეინარჩუნა დისონანსი საკუთარ ქმედებებსა და აზროვნებას შორის. შეძლებისდაგვარად ცდილობდა მიჰყოლოდა სინდისს. ამით მან საკუთარი და თავისი კოლეგების კეთილდღეობა დიდი რისკის ქვეშ დააყენა. გარდა ამისა, განვლილმა წლებმა უდიდესი დაღი დაასვა მის სულიერ მდგომარეობას და სიცოცხლის ბოლომდე ტანჯვაში ამყოფა. კალმაიერს ძალიან ძვირად დაუჯდა თავისი საქმიანობა, ის, რამაც ათასობით ადამიანი სიკვდილს გადაარჩინა.

გამოყენებული ლიტერატურა

- Arendt, Hannah. *Responsibility and Judgment*. New York: Schocken, 2003.
- Livingston, Michael A. *The Fascists and the Jews of Italy: Mussolini's Race Laws, 1938–1943. Studies in Legal History*. Cambridge: Cambridge University Press, 2014.
- Moore, Bob. *Victims and Survivors: The Nazi Persecution of the Jews in the Netherlands, 1940–1945*. London: Arnold, 1997.
- Niebaum, Peter. *Hans Calmeyer – Ein «anderer Deutscher» im 20. Jahrhundert: Widerständler, «Landsmann der Toten, der Opfer» – «Der werdende Mensch» einer besseren Zukunft?* Berlin: Frank & Timme, 2011.
- Stoldt, Hans-Ulrich. “Der verzweifelte Retter.” *Der Spiegel*. April 4, 2015. <https://www.spiegel.de/politik/der-verzweifelte-retter-a-9559c0a9-0002-0001-0000-000133262116?context=issue>.
- Van den Boomgart, Petra. “Survival of the Holocaust Through Legal Evasion: Three Perspectives on the Calmeyer Descent Procedure in the Netherlands”. M.A. thesis. University of Amsterdam, 2012.
- Weisberg, Richard H. *Vicy Law and the Holocaust in France*. Oxfordshire: Routledge, 1996.
- იად ვაშემი. „დოქტორ ჰანს გეორგ კალმაიერი“. <https://www.yadvashem.org/righteous/stories/calmeyer.html>

8

ანდრეას სერვინი

ზღვის გმირი

მოკლე მიმოხილვა

შვედი მოსამართლე ანდრეას სერვინი მოკავშირეების ჯარებსა და ნაციისტურ გერმანიას შორის საზღვაო ომის შუაგულში აღმოჩნდა, რადგან არ დაემორჩილა არც სასამართლოს თავმჯდომარეს და არც მთავრობას, როდესაც უარი განაცხადა გოტენბურგში ბაზირებული ნორვეგიული ფლოტის ჰიტლერული გერმანიისთვის გადაცემაზე 1940 წელს. სასწორის პინაზე იდო მისი ქვეყნის დამცველი ბრიტანული არმიისთვის აუცილებელი საბრძოლო შეიარაღებისა და საკვების ტონაჟი. საგარეო საქმეთა მინისტრს კონკრეტული სასამართლო გადანყვეტილების მიღება სურდა გერმანელების დასამშვიდებლად, რადგან შიშობდა, განსხვავებულ გადანყვეტილებას შესაძლოა გერმანიის შვედეთში შეჭრა მოჰყოლოდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ნორვეგიის საზღვაო ომის გმირების ისტორიები უკვდავყოფილი იქნა უამრავი წიგნისა და ფილმის სახით. ომის საბოლოო შედეგზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს ნორვეგიული სავაჭრო ფლოტის მეზღვაურებმა, რომლებმაც სახიფათო კოლონებით, უამრავი ადამიანის სიცოცხლის რისკის ფასად, განახორციელეს აშშ-დან დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირში შეიარაღებისა და მარაგების

ტრანსპორტირება. საზღვაო ომის ერთ-ერთი გაცილებით ნაკლებად ცნობილი გმირი, მოსამართლე და ნეიტრალური შვედეთის მოქალაქეა. ეს არის გოტებურგელი ტანმოვარჯიშისა და რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ანდრეას სერვინის ისტორია, რომელიც არა მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარეს და სააპელაციო სასამართლოს დაუპირისპირდა, არამედ შვედეთის ძლევამოსილ საგარეო საქმეთა მინისტრ კრისტინ გიუნტერსაც კი.

გოტებურგელმა მოსამართლემ უდავოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნაცისტების წინააღმდეგ ნორვეგიის ბრძოლაში. ნორვეგიული სავაჭრო ფლოტის წვლილი, შეტანილი ომის საბოლოო შედეგში, როგორც ამბობენ, ერთი მილიონი ჯარისკაცის მიერ გაღებულ ძალისხმევას უდრის. ეს იყო შთამბეჭდავი წვლილი იმ პატარა ქვეყნისა, რომლის მოსახლეობაც სულ რაღაც სამი მილიონს უდრის.

ნორვეგიის საზღვაო-სავაჭრო ფლოტი 1940 წელს

1940 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში (იხ. თავი 5) გაჩაღებული ბრძოლა ნორვეგიისთვის, ასევე იყო ბრძოლა ნორვეგიის საზღვაო-სავაჭრო ფლოტზე კონტროლის მოსაპოვებლად. ნორვეგია მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს საზღვაო ქვეყანას წარმოადგენდა, ამიტომ ომის დროს, საზღვაო ხომალდებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდათ, საქონლის გადასატანად. ნორვეგიის გემებს ტვირთები გადაჰქონდათ მსოფლიოს ყველა კუთხეში. ნორვეგიული გადაზიდვები უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო ინგლისისთვის, რათა ბრძოლისთვის საჭირო მომარაგება მიეღო და შესძლებოდა გერმანელებისთვის მტკიცე წინააღმდეგობის გაწევა „ბრიტანეთისთვის ბრძოლის“ დროს. ომამდელ პერიოდში ბრიტანული იმპორტის თითქმის ნახევარი ხორციელდებოდა უცხოური ქვეყნების გემების, უმთავრესად კი, სკანდინავიური ხომალდების მეშვეობით. ომის დაწყების შემდეგ, გემებზე წვდომა ბრიტანეთს თანდათან გაუართულდა, რადგან ნეიტრალურ ქვეყნებს გერმანელების შურისძიების ემინოდათ. ბრიტანელებს საშინლად სჭირდებოდათ ტონაჟი, რათა უზრუნველყოთ მოსახლეობა ხორბლის მარაგით, მიწნოდებინათ სანავი და სხვა ნედლეული მასალა თვითმფრინავებისა და გემებისათვის. და აი, სწორედ ამ მომენტში, დასახმარებლად გამოჩნდა ნორვეგიული სავაჭრო ფლოტი.

ბრძოლა ტონაჟისთვის

როდესაც გერმანელები ნორვეგიას თავს დაესხნენ, ისინი იმედოვნებდნენ, რომ კონტროლს მალევე მოიპოვებდნენ ნორვეგიულ სავაჭრო ფლოტზეც. 10 აპრილს ნორვეგიაში გერმანიის სარდლობამ ყველა ნორვეგიულ გემს, რომლებიც უცხოეთის რეისებს ასრულებდნენ, მითითებები გაუგზავნა – მოეძიებინათ უახლოესი ნეიტრალური პორტი ან სახლში, ნორვეგიაში დაბრუნებულიყვნენ. ამავე დროს, ბრიტანეთის საადმირალო უწყებამ ბრძანება გაუგზავნა იმპერიის ყველა პორტს მთელს მსოფლიოში ნორვეგიული გემების დაკავების შესახებ. ბიბისიმ ტელევიზიით გადასცა, თუ რა დიდი პატივით ესალმებოდნენ დანიელ და ნორვეგიელ მეზღვაურებს ბრიტანეთის პორტებში, ჰპირდებოდნენ რა დაცვასა და შრომის ანაზღაურებას. ბრძოლა ტონაჟისთვის დაიწყო.

პირველ კვირებში გაურკვეველობამ დაისადგურა. დაეცემოდა თუ არა ნორვეგია და დაექვემდებარებოდა თუ არა მეფე და მთავრობა გერმანიის კონტროლს? რა ბედი ელოდა ამ შემთხვევაში ნორვეგიის ფლოტს? მთავრობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს იმ კვირებში, ნორვეგიის ტერიტორიაზე გერმანელებთან ბრძოლის გარდა, წარმოადგენდა ფიქრი იმაზე, რომ ფლოტი გერმანიას არ ჩავარდნოდა ხელში. მთავრობამ ბრიტანეთთან შეთანხმება გააფორმა, რომელიც 15 აპრილს გასაჯაროვდა. შეთანხმება ომსა და ნორვეგიული გემების საზღვაო დაზღვევას ეხებოდა და იუწყებოდა, რომ ამიერიდან ხომალდებს მოკავშირეების ინსტრუქციებით უნდა ემოქმედათ. 22 აპრილს, ნორვეგიის მთავრობამ გამოსცა სამეფო განკარგულება დროებითი შეთანხმების შესახებ, რომლის თანახმად, ყველა ნორვეგიული გემით სარგებლობის უფლება კერძო გემთმფლობელებისგან მთავრობის ხელში გადადიოდა. პარალელურად, დაფუძნდა Norrtraship-ი – ნორვეგიის საზღვაო და სავაჭრო მისია. 1940 წლის 18 მაისს, გამოიცა ახალი დროებითი ბრძანებულება გემებისა და გემთმშენებლობის ხელშეკრულებების კომპენსაციაზე-დაფუძნებული რეკვიზიციის შესახებ.

42 ნორვეგიული გემი შვედეთში

ნორვეგიული ფლოტი მთელს მსოფლიოში იყო მიმოფანტული. თუმცა, გემების საკმაოდ დიდი რაოდენობა, მეზობელი ნეიტრალური შვედეთის ტერიტორიაზე იყო განლაგებული. ომის დასაწყისისთვის, შვედეთში სულ 42 ნორვეგიული გემი იმყოფებოდა. მათ არ შეეძლოთ მარტივად

გაეცურათ დიდ ბრიტანეთში, რადგან ბალტიის ზღვიდან ჩრდილოეთის ზღვამდე გასასვლელი ერთადერთი გზა, დანისა და ნორვეგიას შორის არსებულ სკაგერაკის ზღვაზე გადიოდა, რომელსაც გერმანელები აკონტროლებდნენ.

გერმანელებმა გადაწყვიტეს ზენოლა მოეხდინათ ნორვეგიელ გემთმესაკუთრებებზე, რათა მათ ნორვეგიაში გემების დაბრუნება მოეთხოვათ. ზოგმა მათგანმა თანამშრომლობა არჩია და გემები 1940 წლის ზაფხულში უკან დააბრუნა კიდეც; თუმცა უმეტესობამ უარი თქვა, რადგან სურდათ, მთავრობას წარმატებით ჩაეყვანა გემები ინგლისში. ნორვეგიისა და ბრიტანეთის მთავრობებმა გააფორმეს შეთანხმება, რომლის თანახმად, გემები ბრიტანეთის სახელმწიფოსთვის იქნა დაქირავებული. აღნიშნული შეთანხმების შესახებ, შვედეთის მთავრობას 1940 წლის 8 სექტემბერს ეცნობა.

გერმანელები გემთმესაკუთრებს ემუქრებიან

კვირას, 21 სექტემბერს, გერმანიის ხელისუფლებამ სამი ნორვეგიელი გემთმესაკუთრე ოსლოს რაიხსკომისარიატში დაიბარა. გერმანელებმა გემთმფლობელებს უბრძანეს: მათ, ვისაც გემები ჯერ კიდევ შვედეთში ჰყავდათ, მინდობილობა გაეფორმებინათ ერთ-ერთი შვედური იურიდიული ფირმის სახელზე, რომელიც გაატარებდა აუცილებელ სამართლებრივ ღონისძიებებს გემების შვედური პორტიდან გასვლის ხელშესაშლელად. გემთმფლობელებმა განაცხადეს, რომ მათ აღარ ჰქონდათ გემების განკარგვის კანონიერი უფლებამოსილება და გერმანელების მოთხოვნები საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგებოდა. პასუხად გერმანელებმა გააფრთხილეს, რომ თუკი უარს იტყობდნენ ბრძანების შესრულებაზე, მათ დააპატიმრებდნენ და გერმანიაში გადაასახლებდნენ, სადაც, საბოლოოდ, საკონცენტრაციო ბანაკებში აღმოჩნდებოდნენ. მათ ქონებას და სახლებს კონფისკაციას დაუქვემდებარებდნენ, ხოლო მათი ოჯახის წევრებს კარგი დღე არ დაადგებოდათ.

გემთმესაკუთრებმა იმსჯელეს ნაცისტების მოთხოვნებზე. უმრავლესობა ბრძანებას დაემორჩილა. მოლოდინი ჰქონდათ, შვედეთის ხელისუფლება მიხვდებოდა, რომ მინდობილობა მათ იძულების წესით მიაცემინეს და, შესაბამისად, ამ სახის მინდობილობას არ მიიჩნევდნენ

ვალიდურ საგარანტიო ფურცლად. ზოგიერთმა გემთმესაკუთრემ ნებაყოფლობით თანამშრომლობაზე მზადყოფნა გამოთქვა და მთავრობის მიერ გემების მოკავშირეთა სამსახურისთვის იძულებით რეკვიზიციას დაუპირისპირდა.

რამდენიმე გემი სახლში, ნორვეგიაში დაბრუნდა, ზოგიერთი – კონსერვაციაზე გადაიყვანეს, ზოგი კი იმდენად მცირე ზომის იყო, ინტერესის ობიექტი ვერანაირად გახდებოდა და, ამიტომ მხოლოდ შვედეთის სანაპირო რეისებისთვის გამოიყენებოდა. გემების აბსოლუტური უმრავლესობა შვედეთის დასავლეთ სანაპიროზე არსებულ პორტებში დარჩა, დამატებითი სიცხადის მოლოდინში. შვედეთში სულ 29 გემი იქნა აღრიცხული Nortrahship-ის რეესტრში. ამის შემდეგ, ბრძოლა გაჩაღდა მათი ბალტიის ზღვიდან გამოყვანისა და მოკავშირეთა სამსახურში გადაყვანასთან დაკავშირებით.

სკაგერაკის ბარიერი

ნორვეგია და ბრიტანეთი ლონდონში შეთანხმდნენ, რომ შეეცდებოდნენ გერმანიის მიერ მონყობილი სკაგერაკის ბარიერის გარღვევას. 1941 წლის 23 იანვრის ღამეს გოტენბურგის პორტიდან ხუთი გემი გავიდა. გაქცევა ორგანიზებული იყო ბრიტანელებთან ერთად, რომლებიც გემებს ნორვეგიის სანაპიროზე უნდა დახვედროდნენ და ინგლისამდე ჩაეცილებინათ. მცირე ზომის ფლოტს ბრიტანელი კაპიტანი მეთაურობდა. გეგმა კინალა ჩაიშალა. კაპიტანმა არ იცოდა, რომ გერმანიის საბრძოლო ხომალდებმა „Scharnhorst“ და „Gneisenau“ იმავე ღამეს დატოვეს ქალაქი კილი. ნორვეგიულ და გერმანულ გემებს საკმაოდ ახლოს უნდა გაევიდნენ ერთმანეთთან დანიასა და შვედეთს შორის, ამიტომ სიბნელეში ეს ქმედება ისე უნდა განეხორციელებინათ, ერთმანეთი ვერც ერთს ვერ დაენახა. როგორც კი გემები ინგლისში ჩავიდნენ, გაქცევა წარმატებულად ჩაითვალა.

ნორვეგიისა და ბრიტანეთის მთავრობები დანარჩენი გემების გაყვანასაც მსგავსი სქემით გეგმავდნენ, მაგრამ გერმანელებმა მათი ჩანაფიქრის შესახებ მალევე შეიტყვეს და ზენოლა განახორციელეს შვედებზე; სურდათ გემების გაშვება არ დაეშვათ. პასუხად, შვედეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ეს სასამართლოს გადასაწყვეტი იყო და

არა მათი. ამგვარად, ომის საკითხმა შვედეთის სამართლებრივ სისტემაში გადაინაცვლა.

რიგმორის საქმე

პირველი, ვინც სასამართლოს გამოცდა მოუწყო, გემთმფლობელი იოჰან სტენერსენი იყო, კოლაბორაციონისტული ნორვეგიის ნაციონალისტური პარტიის NS-ის წევრი. სტენერსენმა ახალი ეკიპაჟი დაიქირავა საზღვაო ტანკერ „რიგმორისთვის“, რომელიც გოტენბურგის ნავსადგურში იდგა. მან გემის წამოსაყვანად ნორვეგიიდან ეკიპაჟი გაგზავნა, თუმცა ბორტზე უკვე მყოფმა ეკიპაჟის წევრებმა ისინი გემზე არ აუშვეს. ადგილზე მყოფი ეკიპაჟი ერთგულებას დევნილობაში მყოფ მთავრობასა და გერმანელებთან ბრძოლის ნებისმიერ მცდელობას უცხადებდა. ამის შემდეგ, სტენერსენმა გემის დაპატიმრების შუამდგომლობით მიმართა ბეილიფს (överexekutor in Gothenburg). მაგისტრატმა მოსამართლემ საქმე არსებითად განიხილა და 24 სექტემბერს დაპატიმრების მოთხოვნაზე უარი განაცხადა. სტენერსენმა სასამართლოს უარი Göta Hovrett-ში გაასაჩივრა. ამ უკანასკნელმა გადაწყვეტილება გემის დროებითი დაპატიმრების შესახებ 30 სექტემბერს მიიღო. ვიდრე სასამართლო საქმეს ბოლომდე განიხილავდა, გემს, იძულებითი წესით, პორტში დარჩენა მოუწია.

მაგისტრატმა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა სხვა გემების დაპატიმრების მოთხოვნები პროცედურულ ნორმებზე მითითებით. არსებობდა კიდევ ერთი დაბრკოლება გემების დაპატიმრებასთან დაკავშირებით. კანონის თანახმად, დაკავების ორდერის მისაღებად, პირი, რომელიც ამგვარ მოთხოვნას აყენებდა, ვალდებული იყო საბანკო გარანტია წარმოედგინა. სასამართლომ მოითხოვა გარანტია 500 000 ნორვეგიული კრონის ოდენობით თითოეულ გემზე; სულ შვიდი მილიონი, რომელიც იმ დროისთვის უზარმაზარ თანხას წარმოადგენდა.

შვედურმა ბანკებმა თავდაპირველად უარი თქვეს გარანტიის გაცემაზე, მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან საუბრის შემდეგ, მათ უკან დაიხიეს და გარანტიებიც გასცეს. თუმცა, ეს მოხდა მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოქტომბრის დასაწყისში, მხოლოდ ერთი ნორვეგიული ხომალდი დაექვემდებარა დაპატიმრებას.

ს/ტ „რიგმორის“ საქმე სააპელაციო სასამართლოშიც გაჭიანურდა. ნორვეგიის და ბრიტანეთის მთავრობებმა იმუნიტეტი მოითხოვეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ნორვეგიის რეკვიზიციის შემდეგ, ასევე ნორვეგიასა და დიდ ბრიტანეთს შორის გაფორმებული შეთანხმების თანახმად, „რიგმორი“ იყო სახელმწიფო გემი და ემსახურებოდა სახელმწიფოს მიზნებს. ხოლო ის, რომ სახელმწიფო გემებს დაპატიმრებისგან იმუნიტეტი იცავს უცხოური ქვეყნების სასამართლოებში, იმ მომენტისთვისაც და დღემდე, საერთაშორისო სამართლის მიერ დადგენილი წესია.

იმუნიტეტი ბრიუსელის კონვენციის თანახმად

1926 წლის ბრიუსელის „სახელმწიფო გემების უფლებების შესახებ“ კონვენციის თანახმად, სახელმწიფო მიზნებისთვის განკუთვნილი სახელმწიფო გემები იმუნიტეტით სარგებლობდნენ. კონვენცია ნორვეგიის, შვედეთისა და გერმანიის მიერ იყო რატიფიცირებული. შვედეთი კონვენციას ანხორციელებდა 1938 წლის „უცხოური სახელმწიფო გემების შესახებ“ კანონის საფუძველზე. აღნიშნული კანონი მოიცავდა დებულებას, რომ უცხოური სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ჰქონდა უფლება გაეცა ცნობა მასზედ, რომ გემი გამოიყენებოდა სახელმწიფო მიზნებისთვის და არა კომერციული დანიშნულებისთვის. ეს კანონი არ ვრცელდებოდა უშუალოდ განსახილველ საქმეზე, რადგან კანონი შემოიფარგლებოდა მხოლოდ დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებული საქმეებით. განსახილველი საქმე კი დავალიანებას არ ეხებოდა. მიუხედავად ამისა, სტოკჰოლმში ნორვეგიის დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ გასცა სწორედ ის ცნობები, რასაც კანონი ითხოვდა. თუმცა შვედეთის მთავრობამ უარი თქვა ცნობების სასამართლოებისთვის გადაგზავნაზე იმ მოტივით, რომ მათ არ ჰქონდათ მოსამართლეთა საქმიანობაში ჩარევის უფლება. შედგა დიპლომატიური ნოტების გაცვლა-გამოცვლა შვედეთისა და ბრიტანეთის მთავრობებს შორის.

გერმანიის ზეწოლა შვედეთზე

პარალელურად, მწვავე დიპლომატიური აქტივობა მიმდინარეობდა შვედეთისა და გერმანიის ხელისუფლებებს შორის. ბერლინში შვედეთის საქმეთა დროებითი რწმუნებული საგარეო საქმეთა მინისტრ

რიბენტროპთან დაიბარეს და უთხრეს: თუ შვედეთი ნორვეგიული გემების ინგლისში გამგზავრებას დაუშვებდა, გერმანელები ამას გერმანიის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ აქტად ჩათვლიდნენ. მუქარამ სასურველი ეფექტი მოახდინა. ცოტა ხნის შემდეგ, შვედეთში მყოფმა გერმანელმა დიპლომატებმა ბერლინს ტელეგრამით აცნობეს: შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ტელეფონით დაუკავშირდა მოსამართლეს, მის დასარწმუნებლად, რომ გემები დაეპატიმრებინა. სანამ საქმეების სააპელაციო სასამართლოში განხილვა მიმდინარეობდა, სასამართლომ რამდენიმე შეხვედრა გამართა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი სტოკჰოლმიდან იონკოპინგმიცკი გაემგზავრა, სადაც სააპელაციო სასამართლო მდებარეობდა.

1990 წელს გამართულ ერთ-ერთ საუბარში, ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორ ულფ სტრიდბეკსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ემისარს შორის, ამ უკანასკნელმა უარყო, რომ Hovrätten-ში ვიზიტის მიზანი სასამართლოზე ზენოლის მოხდენა იყო. აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო წინამდებარე საქმეში თავს მიიჩნევდა „თითქმის მხარედ“ და ამიტომ მნიშვნელოვანი იყო, მასაც მისცემოდა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, ხოლო სასამართლო მადლიერი უნდა ყოფილიყო მიღებული ინფორმაციისთვის. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული ფაქტი განხორციელდა სტანდარტული პროცედურული წესების გვერდის ავლით და საქმის ფორმალურ მხარეთა ინფორმირების გარეშე. სასამართლოს თავმჯდომარე ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ ამ ვიზიტს ბრაზით გამოეხმაურა. ცხადია, მაშინ, როცა შვედეთის ხელისუფლებამ უარი თქვა ნორვეგიისა და ბრიტანეთის მთავრობების განცხადებების სასამართლოებისთვის გადაცემაზე სასამართლოების დამოუკიდებლობისადმი პატივისცემის გამო, მან გერმანიის ხელისუფლების საქმე სასამართლოს პირდაპირ მაგიდაზე დაუდო. თუკი ხელისუფლება თავს თითქმის საქმის მხარედ მოიაზრებდა, ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ შვედეთის ხელისუფლებას სჯეროდა: გერმანელებთან დაპირისპირება შვედეთისთვის უფრო საზიანო იქნებოდა, ვიდრე ინგლისელებთან და ნორვეგიელებთან დაპირისპირება; ანუ მათ გერმანელების სამხედრო ინტერვენციის თავიდან აცილება სურდათ შვედეთის ნავსადგურებში. ეს კი ომის გამოცხადებად ჩაითვლებოდა.

კვარსტადის ხომალდები

21 ოქტომბერს სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო. გადაწყვეტილების თანახმად, ის ფაქტი, რომ „რიგმორი“ ბრიტანეთის მთავრობას გადაეცა, არ წარმოადგენდა დაბრკოლებას გემის დასაპატიმრებლად. შედეგად, საქმე ხელახალი განხილვისთვის კვლავ გოტენბურგის მაგისტრატ სასამართლოს დაუბრუნდა. აღნიშნული გადაწყვეტილების გამოცხადებიდან, დაუყოვნებლივ, გერმანელებმა ნორვეგიელი გემთმფლობელების სახელით, საჩივარი შეიტანეს ბრიტანეთის მთავრობისა და შესაბამისი გემთმფლობელების წინააღმდეგ, სულ 13 გემის განკარგვის უფლების შესახებ. გემებს მოგვიანებით „კვარსტადის ხომალდები“ ეწოდათ, ვინაიდან „kvarstad“ შვედურ ენაზე დაპატიმრებას ნიშნავს.

მაგისტრატი მოსამართლე ანდრეას სერვინი

სწორედ აქ შემოდის ჩვენი გმირი ასპარეზზე. მაგისტრატი სასამართლოს მოსამართლე, რომელმაც აღნიშნული საქმეები განიხილა, მთავარი აღმასრულებელი და მრჩეველი (რაიონული სასამართლოს მოსამართლე) ანდრეას სერვინი იყო. სერვინი 1888 წლის 31 ოქტომბერს დაიბადა. ის თექვსმეტ დედამიწეილს შორის ყველაზე უფროსი გახლდათ. ანდრეას მამა, მკაცრი და კონფრონტაციული ბუნების ადამიანი, ეკლესიის წინამძღოლად მსახურობდა. ანდრეასს მემკვიდრეობით ერგო მამის თვისებები. იურიდიული სფეროს მიღმა, ანდრეასმა სახელი გაითქვა ოლიმპიური ოქროს მედლით ლონდონის ოლიმპიადაზე 1908 წელს, სადაც შვედეთის ტანმოვარჯიშეთა გუნდთან ერთად ასპარეზობდა და ტანვარჯიშის გუნდურ ჩათვლაში ოქროს მედალი მოიპოვა.

სერვინმა არ მიიღო ბრიტანეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივრები, თუმცა განაცხადი დასაშვებად ცნო ბრიტანელი და ნორვეგიელი კაპიტნების წინააღმდეგ. უარი Göta Hovrätt-ში გასაჩივრდა. იმავდროულად, გერმანელები სამართალწარმოების დასრულებამდე გემების დაკავებას ითხოვდნენ. მათ სთხოვეს სერვინს ამ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ მიღება, მონინააღმდეგე მხარისთვის საქმის გაცნობის გარეშეც კი, რათა მომხდარიყო გემების გაქცევის პრევენცია საქმეების განხილვის მიმდინარეობისას.

ზენოლა სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან

სტოკჰოლმში სერვინი საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა და სასამართლოს ხელმძღვანელმა წნეხის ქვეშ მოაქციეს. მას შემდეგ, რაც საქმეები სერვინის მაგიდაზე აღმოჩნდა, მას ოფისში ეწვია მთავარი მაგისტრატი მოსამართლე, რომელიც ამტკიცებდა, რომ არ არსებობდა არანაირი პრობლემა გემების დაპატიმრების ბრძანებისთვის კანონიერი საფუძვლის გამოსაძებნად. სერვინმა მას მაშინვე კარისკენ მიუთითა. სერვინს ასევე დაურეკეს საგარეო საქმეთა სამინისტროდან. თავის ავტობიოგრაფიაში, სერვინი წერს:

მთავრობამ თავისი საცეცების გამოყენებით სცადა ჩვენი დარწმუნება იმაში, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ეს გადაწყვეტილებები, თუ რას ნიშნავდა ისინი ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის და რა საფრთხე შეიძლებოდა დაგვმუქებოდა, თუკი გადაწყვეტილება არ იქნებოდა მიღებული გერმანელების სურვილების შესაბამისად. აქ, გოტენბორგში, მინისტრი როზანდერი ტელეფონზე გაამწესეს, ხოლო იონკოპინგში თავად საგარეო საქმეთა სამინისტროს მუდმივმოქმედი მოადგილე, ყოფილი მოსამართლე ენგზელი ჩამოვიდა.

მოკლედ, სერვინს პირადად უკავშირდებოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, სანამ ის საქმეების შესწავლის პროცესში იყო. გარდა ამისა, სასამართლოს თავმჯდომარეც სცადა მასზე ზემოქმედების მოხდენა. თუმცა, სერვინი უდრეკად იდგა. მტკიცედ გადაწყვიტა, რომ არ შეეძლო გემების დაპატიმრება მეორე მხარისთვის საქმის გაცნობის გარეშე, ამიტომ უარი თქვა გერმანელების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ლექს სერვინი

შვედეთის კანონმდებლობის თანახმად, გადაწყვეტილება, მიღებული მაგისტრატი სასამართლოს მიერ საქმის არსებით განხილვაზე გადაცემის შესახებ, გასაჩივრებას არ ექვემდებარება. მას შემდეგ, რაც შვედეთის მთავრობა მიხვდა, რომ სერვინი გოტენბურგში დაპატიმრების ბრძანების გაცემას არ აპირებდა, კანონი სასწრაფო წესით შეცვალეს. სერვინს გემების დაპატიმრების მოთხოვნა 25 ოქტომბერს წარედგინა. სერვინმა გადაწყვეტილება 27 ოქტომბერს და 31 ოქტომბერს

გამოაცხადა. შვედეთის პარლამენტმა კი ახალი კანონი 29 ოქტომბერს დამტკიცა. კანონს ეწოდა „ლექს სერვინი“. მართალია, შვედეთის ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ კანონის ცვლილება დიდი ხნის განმავლობაში მუშავდებოდა, მაინც ეჭვგარეშეა, ის იმ მომენტში მოიფიქრეს, როგორც გერმანელების საამებლად შექმნილი ღონისძიება. ვადები ხომ ყველაფერზე მეტყველებს, ისევე როგორც კანონისთვის მინიჭებული სახელწოდება.

სერვინის გადანყვეტილებების გასაჩივრება ზემდგომ ინსტანციაში ახლა უკვე შესაძლებელი იყო. შეიქმნა შესაძლებლობა ურჩი ადგილობრივი მოსამართლის გვერდის ასავლელად. და რაც მთავარია, ახალი კანონით შესაძლებელი გახდა ნორვეგიული კატარღების ჩამორთმევა ხანგრძლივი სასამართლო პროცესის დასრულებამდე. ასეც მოხდა. გერმანელებმა დაუყოვნებლივ გაასაჩივრეს სერვინის გადანყვეტილება გემების არდაპატიმრების თაობაზე სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც სასწრაფო წესით, მეორე დღესვე მიიღო გადანყვეტილება გემების დაპატიმრების შესახებ.

თუმცაღა, სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება გემების დაკავების შესახებ იყო დროებითი და გამოიყენებოდა მხოლოდ იმ ვადის განმავლობაში, სანამ სასამართლოები განიხილავდნენ შუამდგომლობებს შეჯიბრებითობის პროცესის ფარგლებში, სადაც ორივე მხარე წარმოადგენდა საკუთარ მოსაზრებებს. საქმეები კვლავ სერვინს დაუბრუნდა, ხოლო გემები, გადანყვეტილების მიღებამდე, დაპატიმრებული უნდა დარჩენილიყო. სერვინმა სწრაფად მოიპოვა კაპიტნის ჩვენება და გასცა ახალი ბრძანება, რომლითაც დაპატიმრება აიკრძალა. მან თავისი გადანყვეტილება ახსნა იმით, რომ გემები ნორვეგიის მთავრობამ 1940 წლის მაისის დროებითი შეთანხმების საფუძველზე გადაიბარა და, შესაბამისად, გემები სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა. მან ასევე მიუთითა ნორვეგიისა და ბრიტანეთის მთავრობების განცხადებები, სადაც ისინი აღნიშნავდნენ, რომ გემების გამოყენება უნდა მომხდარიყო საომარი და არა კომერციული მიზნებისთვის. ამგვარად, გემებს, კანონის თანახმად, დაპატიმრებისგან იმუნიტეტი იცავდა. სერვინმა ასევე გააუქმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული დროებითი დაპატიმრების გადანყვეტილება.

სერვინის გადანყვეტილების შემდეგ, გემები მზად იყვნენ საბაჟოს გავლით შვედეთი დაეტოვებინათ. თუმცა, ახლა საბაჟოს ხელმძღვანელობა ჩაერია საქმეში და უარი თქვა განბაჟებაზე. რატომღაც ნავსადგურის ხელმძღვანელობაც სწორედ იმ დროს არ აღმოჩნდა ადგილზე, რომ გემებისთვის საჭირო განბაჟების ცნობა მიეცათ. ამ ყოველივეთი ისარგებლეს გერმანელებმა და საქმე გაასაჩივრეს.

გემების გასვლა ზამთრის უკუნი ღამის საფარქვეშ

სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვამდე ახალი დროებითი პატიმრობის ბრძანება გასცა. გემებს კვლავ აეკრძალათ პორტის დატოვება. საბოლოო ვერდიქტით, რომელიც რამდენიმე კვირის შემდეგ გამოცხადდა, გერმანიის მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილდა, ხოლო ბრიტანეთისა და ნორვეგიის მთავრობების პრეტენზია იმუნიტეტის შესახებ უარყოფილი იქნა. ფორმალურად, ნორვეგიაში გემთმფლობელები იყვნენ საქმის მხარე. თითოეულ საქმეში, სასამართლოს დასაბუთებაში სხვა არაფერი ეწერა გარდა ერთისა, რომ „საზღვაო კომპანიის პრეტენზია გემის უპირატესი ფლობის ინტერესის შესახებ უნდა ჩაითვალოს დადასტურებულად“. მოსამართლეებმა თავი არ აიტკივეს იმის გამოსარკვევად, იყო თუ არა ნორვეგიელი გემთმფლობელების მინდობილობა მოპოვებული იძულების ქვეშ და ასევე არც ის გემთმფლობელები მოუკითხავთ გერმანიის ციხეებში რომ იყვნენ გამომწყვდეულები, სანამ საქმისწარმოება მიმდინარეობდა; მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულის შესახებ სასამართლოსთვის ცნობილი საქმეების განხილვისას გახდა.

ამ ყველაფრის შემდეგ, ზამთრის ბნელი ღამის საფარქვეშ გემების გადაადგილების შესაძლებლობა თითქოს დაიკარგა. ერთადერთი გამოსავალი ნორვეგიისა და ბრიტანეთის მთავრობებისთვის იყო საქმის გასაჩივრება უზენაეს სასამართლოში, რაც მათ 15 დეკემბერს გააკეთეს კიდევ. ბრიტანელები და ნორვეგიელები ამტკიცებდნენ, რომ საქმე გადაუდებელ შემთხვევას წარმოადგენდა, ამიტომ ითხოვდნენ სწრაფ განხილვას. თუმცა, სასამართლომ დაჟინებით მოითხოვა, რომ უწყება სარჩელის შესახებ ნორვეგიელ გემთმფლობელებს ნორვეგიაში ჩაჰბარებოდათ და ვადა მისცემოდათ შესაგებებლის მოსამზადებლად. ორი თვე დასჭირდა სააპელაციო საჩივრების ჩაბარებას, თუკი გავითვალისწინებთ ყველა იმ დაბრკოლებას, რაც გერმანე-

ლებმა შექმნეს. კიდევ, დამატებით 30 დღე გავიდა, სანამ გემთმფლობელების შესაგებლის ვადა ამოინურებოდა. არცერთ ნორვეგიელ გემთმესაკუთრეს სასამართლოში შესაგებელი არ წარმოუდგენია. თავის გადანყვეტილებაში უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ გემებს იცავდა იმუნიტეტი. შესაბამისად, 1942 წლის 17 მარტს დაპატიმრება გაუქმდა. როგორც იქნა, გემები გათავისუფლდნენ; მაგრამ ამასობაში დადგა გაზაფხული და, მასთან ერთად, მოკლე და ნათელი ჩრდილოეთის ღამეების სეზონიც.

დაილუპნენ გერმანელების ბანაკებში

31 მარტის საღამოს და 1 აპრილის გამთენიისას ათი გემი გავიდა გოტენბორგიდან, რომლებიც ჩრდილოეთ ზღვაში ინგლისის ესკორტს უნდა შეხვედროდა. უხვი თოვა და ნისლი იყო გამოცხადებული, მაგრამ ამინდის პროგნოზი არ გამართლდა. თუმცა უარესი მოხდა: მხოლოდ ორმა ხომალდმა ჩააღწია ინგლისამდე; ორი გოტენბორგში დაბრუნდა. ექვსი ხომალდი კი ეკიპაჟის წევრებმა ააფეთქეს, რათა გერმანელების ხელში არ ჩავარდნილიყვნენ. გავრცელებული ინფორმაციით, დაახლოებით 20 ადამიანი დაიღუპა. ბევრიც ტყვედ ჩავარდა, მათ შორის დაახლოებით 160 ნორვეგიელი. ყველა მათგანი საკონცენტრაციო ბანაკებში გააგზავნეს. მათგან 43 გერმანიაში გარდაიცვალა, როგორც «Nacht und Nebel» პატიმრები, უმეტესობა კი „სონენბურგის“ საკონცენტრაციო ბანაკში.

ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები

ანდრეას სერვინი იყო მოსამართლე, რომელიც იბრძოდა ომში, მაგრამ არა დაპირისპირებულ არმიებს, არამედ მთავრობასა და სასამართლოებს შორის ომში. ის და მისი კოლეგები დაექვემდებარნენ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პირდაპირ ზენოლას. ხელისუფლებას მართებული არგუმენტები ჰქონდა. შვედეთის, როგორც ნეიტრალური ქვეყნის პოზიცია, შესაძლოა შერყეულიყო. გერმანელები ისეთ პოზიციაში იყვნენ, რომ შეეძლოთ ხელში ჩაეგდოთ შვედეთის მომარაგების სისტემა, ხოლო შვედების სამხედრო შეიარაღება გერმანელებისას ვერც კი გაუტოლდებოდა. ჰიტლერმა მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ გერმანია მზად იყო გამოეყენებინა მთელი თავისი

სიძლიერე საკუთარი ინტერესების გასამყარებლად. ჰიტლერის კამპანია აღმოსავლეთში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და ბევრს სჯეროდა, რომ გერმანია კიდევ დიდხანს იბატონებდა ევროპაში.

მთავრობას ძლიერი არგუმენტები ჰქონდა, როცა გადაწყვიტეს – არ დაჰპირისპირებოდნენ გერმანელებს. მაგრამ ეს არ იყო მართებული იურიდიული არგუმენტები. ბევრი იტყვის, რომ მოსამართლემ გვერდზე უნდა გადადოს სამართლებრივი არგუმენტები, როდესაც საფრთხე ერის სასიცოცხლო ინტერესებს ემუქრება. ამკარაა, Göta Hovrätt-ი სწორედ ამგვარად ფიქრობდა, მაგრამ არა – ანდრეას სერვინი.

გამოყენებული ლიტერატურა

«Norge Utenriksdepartementet. *Norges Forhold Til Sverige under Krigen 1940–45*: Aktstykker: 3. Vol. 3. Oslo: Gyldendal, 1950.

Stridbeck. “Kvarstadsbåtarna – Ett Politisk Drama På Rättens Scen.” Unpublished thesis, University of Gothenburg 1995.

9

ეგილ რაიხბორნ-კიენერუდი

გმირად ქცეული ბოროტმოქმედი

მოკლე მიმოხილვა

ამ თავში ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებს შევხვებით: ვინ არის გმირი და ვინ – ბოროტმოქმედი? ნორვეგიელი ადვოკატი და მოსამართლე ეგილ რაიხბორნ-კიენერუდი განსხვავებული და რთულად აღსაქმელი სამართლის გმირია. იგი ჯარისკაცად ჩაირიცხა მტრის არმიაში და გერმანიის მხარეს იბრძოდა აღმოსავლეთის ფრონტზე, მოგვიანებით კი, გადამზადება გაიარა და ნაცისტი დივერსანტი გახდა. იყო კვისლინგის ნაცისტური უზენაესი სასამართლოს მოსამართლე და სამართლის უზენაესობის დაცვისთვის, საკუთარი სიცოცხლეც კი დადო სასწორზე, როდესაც ტერბოვენი მისგან სასიკვდილო განაჩენს ითხოვდა ერთი კონკრეტული მოსამართლის დასასჯელად.

შეიძლება ბოროტმოქმედი იყოს გმირი? აუცილებელია, რომ გმირი იყოს უმანკო და თეთრკანიანი, თუ სამართლის გმირად უზნეო და საშინელი ქცევების ადამიანიც შეიძლება მოგვევლინოს? ქვემოთ ამბავი მოგიხრობთ ერთ ნორვეგიელ ადვოკატზე, რომელშიც ადამიანების უმეტესობა თავდაპირველად მხოლოდ ბოროტებას დაინახავს. მას ომის შემდგომ ერთ-ერთი უმკაცრესი სასჯელი მიესაჯა კოლაბორაციონისტების სასამართლო პროცესებზე. ის ნორვეგიის მინაზე, ნაცისტების უზენაესი სასამართლოს მოსამართლის რანგში,

ჰიტლერის კანონებს ახორციელებდა. ნუთუ, მართლა ეკუთვნის მას საპატიო ადგილი ჩვენი 13 გმირის გვერდით? ეს არის ამბავი, სადაც შვეიცელები ისტორიული ბოროტმოქმედი სამართლის გმირად ვაქციო.

ზემოლალატე

ბევრისთვის ეგილ რაიხბორნ-კიენერუდი ეშმაკის განსახიერება იყო. ოკუპაციის დროს, მას წამყვანი თანამდებობები ეკავა ნაციონალისტური პარტიის და მტრის რიგებში, მათ შორის გახლდათ ნაცისტების უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, რამდენიმე სპეციალური სასამართლოს მოსამართლე, ხოლო ოკუპაციის დასაწყისში, ნორვეგიული სპორტის ნაციფიკაციის პროცესს ედგა სათავეში. 1942 წლის ნოემბრიდან ხელმძღვანელობდა „სალიკვიდაციო საბჭოს“, რომელიც ნორვეგიელი ებრაელებისა და წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებისთვის ჩამორთმეული ქონების ადმინისტრირებით იყო დაკავებული. სწორედ მისი ძალისხმევით წაიშალა ნორვეგიაში ებრაელების არსებობის ყველანაირი კვალი, ებრაელების აუსვიცში დეპორტაციის შემდეგ. ებრაელების ქონების კონფისკაცია ნაცისტების სასარგებლოდ ისე უნდა მომხდარიყო, რომ მათი რეალური მფლობელის მცირედი ნიშანწყალიც კი არ დარჩენილიყო.

1949 წელს რაიხბორნ-კიენერუდს ლალატისთვის ათი წლით კატორღა მიესაჯა. მისი საქმე უფრო ადრე რომ განხილულიყო, რა თქმა უნდა, უფრო მკაცრ სასჯელს დაექვემდებარებოდა. გაუმართლა, სიკვდილით დასჯას რომ გადაურჩა.

სკალუმი – ნაცისტების უკანასკნელი ბასტიონი

სალიკვიდაციო საბჭოს ხელმძღვანელად მუშაობისას რაიხბორნ-კიენერუდმა ოსლოსთან ახლოს, ბერუმის მუნიციპალიტეტში შეიძინა ფერმა, სახელად „სკალუმი“. 1945 წლის იანვრის დასაწყისში, მან მიიღო ბრძანება, რომლის თანახმადაც, შტატის პოლიციაში უნდა ემსახურა, ხოლო თავისი ფერმა თავდაცვით სამხედრო ნაგებობად, იგივე ფორტიფიკაციად გადაეკეთებინა და 60 კაცზე გათვლილი ყაზარმები მოეწყო. პოლიციის მინისტრი იონას ლიე, იუსტიციის მინისტრი სვერ რიისნესი და ოლქის გუბერნატორი ჰენრიკ როგსტადი

სწორედ ამ ფერმაში იმალებოდნენ ომის ბოლო დღეებში. რაიხბორნ-კინენრუდი არმიის ვეტერანთა ჯგუფს, SS-ის პერსონალს და შტატის პოლიციის ოფიცრებს ხელმძღვანელობდა, რომლებიც ნორვეგიის წინააღმდეგობის მოძრაობის საბრძოლო დივიზია „მილორგთან“ სამოქალაქო ომისთვის ემზადებოდნენ.

მას შემდეგ, რაც ნორვეგიაში გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს, ფერმა „მილორგის“ ალყაში აღმოჩნდა. „მილორგის“ წევრებმა ფერმაში შესვლისთანავე დააკავეს რიისნესი. როგსტადს, როგორც ჩანს, თავი მოეკლა, ლიეც გარდაცვლილი დახვდათ. ლიეს სიკვდილის მიზეზი დღემდე უცნობია; თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ ის ნერვიულობის, დიდი ფიზიკური გადაძაბვისა და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შედეგად გარდაიცვალა. რაიხბორნ-კინენრუდმა და სხვა პირებმა „მილორგის“ მოსვლამდე დატოვეს ფერმა, როდესაც მიხვდნენ რომ ბრძოლა წაგებული იყო.

ნაცისტური ტერორი ნორვეგიული წინააღმდეგობის მოძრაობის მიმართ

„სალიკვიდაციო საბჭო“ ებრაელების ქონების დაუფლების გარდა, არაერთ ჩრდილოვან საქმეს ატრიალებდა. 1944 წელს, რაიხბორნ-კინენრუდთან ერთად, ოთხი თანამშრომელი იმყოფებოდა გერმანიაში, სადაც გადამზადება გაიარეს დივერსიული და პარტიზანული ომის ტექნიკების დასაუფლებლად. შესაბამისად, თუკი გერმანელები ნორვეგიაში მოკავშირეთა შესვლის დროს უკან დაიხვედნენ, მათ შეეძლოთ დივერსიული ოპერაციების შესრულება ფრონტის ხაზის მიღმა. დანარჩენები კი, რაიხბორნ-კინენრუდის მსგავსად, ასევე იბრძოდნენ SS-ის რიგებში აღმოსავლეთ ფრონტზე. მათ ორ სხვა ვეტერანთან ერთად, რომელთაგან ერთ-ერთი უზენაესი სასამართლოს იურისტი ჰაკონ ჰოსტი იყო, შექმნეს მკვლევლობებისა და დივერსიების განმახორციელებელი ჯგუფი, რომელიც ომის დასკვნით ფაზაში კონტრტერორისტულ ოპერაციებს აწყობდა წინააღმდეგობის მოძრაობის მიმართ. ოპერაციების დაგეგმვა „სკალუმის“ ფერმაში ხორციელდებოდა, ძირითადად, რაიხბორნ-კინენრუდის ხელმძღვანელობის ქვეშ.

ბევრი სხვა ოპერაციის გარდა, აღნიშნული ჯგუფის წევრებმა ააფეთქეს ცენტრალური რკინიგზის სადგურთან მდებარე კაფე *Den Gylde Freden*

და მოკლეს წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი წევრი, უზენაესი სასამართლოს იურისტი კარე შეტელიგი. ომის შემდეგ, რაიხბორნ-კიენერუდის საქმეზე გამოძიება დაიწყო, როგორც მკვლელობის თანამონაწილის მიმართ, მაგრამ პროკურატურამ საქმე საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის გამო დახურა. ჰაკონ ჰოსტს უზენაესმა სასამართლომ მკვლელობისთვის 1948 წელს სიკვდილი მიუსაჯა.

სპეციალური სასამართლო

როგორ შეიძლება ასეთმა ადამიანმა ადგილი დაიმკვიდროს სამართლის გმირების საპატიო ხეივანში? ადამიანმა, რომელმაც თავისი იურიდიული განათლება მოლაღატეებსა და სახელმწიფო გადატრიალების შემსრულებლებს ჩაუგდო ხელში და რომელმაც იურიდიული პროფესია დივერსიისა და ტერორის საფარველად გადააქცია. ეს რთულად წარმოსადგენი სამართლის გმირი, მოსამართლეთა დამოუკიდებლობას იცავდა, როდესაც, პირდაპირი მნიშვნელობით შუბლზე იარაღიბრუნებული უარს ამბობდა კვისლინგისა და NS-ის მინისტრების, რიისნესისა და ლიეს მითითებების შესრულებაზე, რომლებიც მისგან, სპეციალური სასამართლოს მოსამართლისგან, პოლიციის უფროსის მოადგილე ეილიფსენისთვის სიკვდილით დასჯის განაჩენს მოითხოვდნენ.

სპეციალური სასამართლოები კვისლინგის მიერ ომის დროს დაარსებული სისხლიანი ტრიბუნალები გახლდათ. ნაცისტები სპეციალურ სასამართლოებს ნორვეგიის წინააღმდეგობის მებრძოლების განმაურებული სასამართლო პროცესებისთვის იყენებდნენ. თუმცა, ეს სასამართლოები გამოყენებული იყო ასევე ისეთი საქმეების განსახილველად, რომლებზეც არ იყო პოლიტიკური გავლენა. სპეციალური სასამართლო სარგებლობდა პოლიციის თანამშრომლების, ნაცისტური გასამხედროებული შენაერთების წევრებისა და, ზოგ შემთხვევაში, მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეების განხილვის იურისდიქციით. 1943-1945 წლებში სპეციალურმა სასამართლოებმა 19 სასიკვდილო განაჩენი გამოიტანა, ყველა მათგანი სადამსჯელო რაზმებმა აღასრულეს. მკაცრი სასჯელების გამოტანა, ნაწილობრივ გამოიწვია სპეციალური სასამართლოების პოლიტიკური დენის იარაღად გამოყენებამ. თუმცა, მკაცრ სასჯელებზე მსჯელობისას, არ უნდა დაგვავიწყდეს იმ დროს არსებული ომის კონტექსტი. სასტიკი სასჯელები ასევე ნაკარნახევი იყო შიშით,

რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, გერმანელები ნორვეგიულ სასამართლოებს მსგავსი საქმეების განხილვის უფლებამოსილებას ჩამოართმევდნენ.

მოადგილე გუნარ ეილიფსენის სიკვდილით დასჯა

პირველი სპეციალური სასამართლო დროებითი კანონის საფუძველზე 1943 წლის 14 აგვისტოს შეიქმნა, საომარი მდგომარეობის დროს მშვიდობისა და წესრიგის შენარჩუნების მიზნით; ასევე ოსლოს პოლიციის სამოქალაქო საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილის, ეილიფსენის საქმის განსახილველად, რომელიც არ ემორჩილებოდა ბრძანებებს. აღნიშნული კანონის დამტკიცება ეილიფსენის უარის საპასუხოდ გახდა საჭირო, რათა მის გასასამართლებლად იურიდიული საფუძველი შექმნილიყო.

კერძოდ, 1943 წლის 9 აგვისტოს ეილიფსენმა მიიღო ბრძანება – შტატის პოლიციისთვის გადაეცა ხუთი ოფიცერი, რომლებმაც უარი თქვეს დაეპატიმრებინათ სამი გოგონა, რომლებიც საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებას თავს არიდებდნენ. ეილიფსენი არ დაეთანხმა ბრძანებას და გოგონების დაკავების მითითება გააუქმა. ეილიფსენი მალევე დააპატიმრეს და ბრძანების შეუსრულებლობისთვის ბრალი წაუყენეს.

ეილიფსენი გერმანიის პოლიციას მიჰგვარეს. გერმანელები დიდი ხანია უკმაყოფილოები იყვნენ ნორვეგიის პოლიციის საქმიანობით. მართალია, ბევრი ნორვეგიელი პოლიციელი ნაციონალისტურ პარტიაში განევერიანდა, თუმცა გერმანელებმა რამდენჯერმე შეამჩნიეს, რომ პოლიციელების დიდი ნაწილი მტრულად იყო განწყობილი გერმანელებისგან მიღებული დავალებების შესრულების მიმართ. გარდა ამისა, შეინიშნებოდა ნერვიული განწყობები, რადგან გერმანია ომში მარცხდებოდა. გერმანიის ლიდერს, რაიხსკომისარ ტერბოვენს თავად სურდა ეილიფსენის საქმის განხილვა, რათა მისი სახით მკაცრი მაგალითი შეექმნა, პოლიციელების რიგებში შიშის შთანერგვისა და მათი დამორჩილების მიზნით. მიუხედავად ამისა, ტერბოვენი დათანხმდა, საქმე ნორვეგიელებს განეხილათ, ოღონდ იმ პირობით, რომ ეილიფსენს დახვრეტას მიუსჯიდნენ.

უკუძალის მქონე კანონი

ტერბოვენის მოთხოვნა არ იყო მარტივად აღსასრულებელი. ელიფსენის მიერ ჩადენილი დანაშაული ნორვეგიის კანონმდებლობით სიკვდილით დასჯას არ ითვალისწინებდა. წარმოუდგენელი იქნებოდა რომელიმე რიგით ნორვეგიულ სასამართლოს ელიფსენისთვის სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოეცანა. სასიკვდილო ვერდიქტის გამოსატანად საჭირო იყო ახალი კანონი, რომელიც უფლებამოსილებით აღჭურვიდა სპეციალურ სასამართლოს და სასიკვდილო განაჩენის საფუძველსაც მოამზადებდა. იმისათვის, რომ ელიფსენი სიკვდილით დასჯილიყო, ახალ კანონს უკუქცევითი ძალა უნდა მისცემოდა. ასეთი კანონი სამართლის უზენაესობას ყველაზე სასტიკი ფორმით დაარღვევდა. თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა თუნდაც ერთი ადამიანის პოვნა, ნაცისტების მიმართ სიმპათიებით განწყობილი იუსტიციის სამინისტროს პარტიულ წევრებს შორისაც კი, რომელიც კანონს მოამზადებდა. საბოლოოდ, გენერალურ დირექტორს, გულმხურვალე ნაცისტს, გეორგ ჰასლეს თავად მოუწია კანონის დანერგვა, იუსტიციის მინისტრ სვერ რიისნესთან ერთად. ჰასლე ომის შემდეგ სიკვდილით დასჯას ძლივს გადაურჩა.

პოლიციის მინისტრმა იონას ლიემ გადაწყვიტა, რომ პოლიციის უფროსი ეგილ ოლბიორნი და პოლიციის გენერალი კარლ ა. მარტინსენი მოსამართლეები უნდა ყოფილიყვნენ ელიფსენის სპეციალურ სასამართლო პროცესზე, რომელსაც თავმჯდომარეობას უზენაესი სასამართლოს მოსამართლე რაიხბორნ-კიენერუდი გაუწევდა. 13 აგვისტოს, პარასკევს, ლიე ოლბიორნსა და მარტინსენს შეხვდა და უბრძანა პროცესს მოსამართლეების რანგში დასწრებოდნენ.

მეორე დღეს, რიისნესმა და ლიემ რაიხბორნ-კიენერუდი დაიბარეს და უთხრეს, რომ მას სერიოზული ამოცანა უნდა შეესრულებინა. რაიხბორნ-კიენერუდი მაშინვე მიხვდა, საქმე კანონის არასწორ გამოყენებას შეეხებოდა. და მაინც, ის დაარწმუნეს, რომ სპეციალური სასამართლო საქმეს დამოუკიდებლად განიხილავდა. შესაბამისად, მან ჩათვალა, რომ ბრძანების შესრულებით შეძლებდა ელიფსენის გადარჩენას, რადგან რასაკვირველია მოახერხებდა დანარჩენი ორი მოსამართლის დაყოლიებას, სასიკვდილო განაჩენისთვის ხმა არ მიეცათ. მოკლედ, ის დათანხმდა სპეციალური სასამართლო პროცესის თავმჯდომარეობას. წინა საღამოს, რიისნესთან, ლიესთან და ოლბიორნთან ერთად, რაიხბორნ-კიენერუდი ვახშამზე იმყოფებოდა, სადაც იგივე გარანტიები გაუღერდა. რიისნესმა და ლიემ დაარწმუნეს მოსამართლეები, რომ

კვისლინგი ელიფსენს შეიწყალებდა, თუკი მას სასამართლო სასჯელად სიკვდილით დასჯას განუხაზღვრავდა.

იონას ლიე უარს ამბობს საქმის გამოთხოვაზე

ელიფსენის პროცესი სპეციალურ სასამართლოში კვირა დღეს, უზენაესი სასამართლოს შენობაში გაიმართა. პროცესი წარიმართა როგორც ჩვეულებრივი სამართლებრივი პროცედურა, მხარეთა შუამდგომლობებისა და მტკიცებულებების განხილვის ფონზე. ელიფსენის ინტერესებს იცავდა ნორვეგიაში გერმანიის სპეციალური სასამართლოების დიდი მცოდნე, ადვოკატი ალბერტ ვიზენერი. მტკიცებულებები ელიფსენის სასარგებლოდ მეტყველებდა; ხოლო, როდესაც სასამართლომ შესვენება გამოაცხადა, რაიხბორნ-კიენერუდმა პროკურორი იონას ლიესთან გააგზავნა, რათა ამ უკანასკნელს საქმე უკან გამოეთხოვა.

ლიემ საქმე არ გაიხმო. პირიქით, როდესაც სასამართლო პროცესის გადადების გადანყვეტილება გამოცხადდა, ლიე და რიისნესი წამოდგნენ და მოლაპარაკების გაგრძელება მოითხოვეს; იმავდროულად, ზენოლას ახდენდნენ მოსამართლეებზე, რომ მათ სასიკვდილო განაჩენი გამოეცხადებინათ. ლიე და რიისნესი ძალიან იმედგაცრუებულები იყვნენ, ვინაიდან საქმე დიდი ხნის წინ უნდა დასრულებულიყო გამამტყუნებელი განაჩენით და სასიკვდილო ვერდიქტით. რაიხბორნ-კიენერუდმა განაცხადა, რომ განაჩენის შესახებ დისკუსიას აღარ აპირებდა. ეს საკითხი მოსამართლეების გადასაწყვეტი იყო.

პოლიტიკური ზენოლა

როდესაც მოსამართლეები ვერდიქტზე სათათბიროდ გავიდნენ, მარტინსენმა აღნიშნა, რომ თუ ელიფსენს არ გაასამართლებდნენ, გერმანელები საქმეს თავის ხელში აიღებდნენ და ელიფსენს მაინც დახვრეტდნენ. ამიტომ მოსამართლეები შეთანხმდნენ, რომ საქმე გამამტყუნებელი განაჩენით უნდა დასრულებულიყო. რაიხბორნ-კიენერუდს სჯეროდა, რომ ელიფსენისთვის პატიმრობის მისჯვით, სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ. მან თქვა, რომ ელიფსენის გასამართლება ახალი კანონის საფუძველზე არ შეიძლებოდა, თუმცა მისი

გასამართლება სავსებით შესაძლებელი იყო ბრძანების შეუსრულებლობის შესახებ კანონში უკვე არსებული მუხლით. ეს მუხლი მაქსიმალურ სასჯელს, ათი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. რაიხბორნ-კიენერუდმა ჩათვალა, რომ ოთხი წელი სრულიად გონივრული სასჯელი იქნებოდა. ოლბიორნი დაეთანხმა რაიხბორნ-კიენერუდს, თუმცა უფრო ხანგრძლივი პატიმრობისკენ იხრებოდა. მარტინსენი კი სიკვდილით დასჯის მომხრე იყო. საბოლოოდ, თავისუფლების აღკვეთის განაჩენს ორი მოსამართლე მიემხრო ერთი წინააღმდეგ.

განაჩენის შეჯერების შემდეგ, მოსამართლეები პოლიციის სამინისტროში წავიდნენ, რათა ვერდიქტზე ლიეს დასტური მიეღოთ. ახალი კანონის მიხედვით, სპეციალური სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები პოლიციის სამინისტროს ხელმძღვანელს უნდა დაემტკიცებინა. გადაწყვეტილების მოსმენისთანავე, ლიე და რიისნესი განრისხდნენ და ყვირილი დაუწყეს რაიხბორნ კიენერუდსა და ოლბიორნს.

„ესროლეთ, ან მას გერმანელები დახვრეტენ“

ელიფსენის გადარჩენა უბრალოდ შეუძლებელი იყო. მინისტრებმა კიდევ ერთხელ გაახმოვანეს ტერბოვენის მოთხოვნა სიკვდილით დასჯის შესახებ. თუკი ნორვეგიის ხელისუფლება ელიფსენს სასიკვდილო განაჩენს არ გამოუტანდა, მას გერმანელები დახვრეტდნენ. გერმანელები სხვა სახის რეპრესიებითაც იმუქრებოდნენ. ლიემ აღნიშნა, რომ აშკარა იყო, გერმანელები არა მხოლოდ ელიფსენს, არამედ რაიხბორნ-კიენერუდსა და ოლბიორნსაც დახვრეტდნენ, სხვა თხუთმეტ პოლიციელთან ერთად. ლიეს თანახმად, ნორვეგიის თავისუფლება საფრთხის ქვეშ იყო. დაიმუქრა, რომ გერმანელები მთელი ნორვეგიის პოლიციას ხელში აიღებდნენ და სამხედრო დიქტატურას დაამყარებდნენ. რაიხბორნ-კიენერუდი და ოლბიორნი ცდილობდნენ შესწინააღმდეგებოდნენ ამ ზეწოლას. რიისნესი და ლიე სულ უფრო მეტად ვარდებოდნენ სასონარკვეთილებაში და ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ოლბიორნი და რაიხბორნ-კიენერუდი დაემუშავებინათ როგორც ერთად, ასევე ცალ-ცალკე. ამ ყველაფერმა რამდენიმე საათს გასტანა, დაბინდებამდე.

რაიხბორნ-კიენერუდის თქმით, თუკი ნორვეგიის თავისუფლება მართლ-მსაჯულების არასწორ აღსრულებაზე იყო დამოკიდებული, მაშინ თავისუფლების დაკარგვა უკეთესი იქნებოდა. ისიც აღნიშნა, რომ ერჩივნა, პირადად ის დაეხვრიტათ გერმანელებს. საბოლოოდ, იმდენად დაიღალა და დაიქანცა, ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეეძლო, იყო მხოლოდ ერთი სიტყვის თქმა – „არა“.

არავითარი გარიგება ტერბოვენთან

ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ოთახში მარტინსენი შემოვიდა და ტელეფონის ყურმილი აიღო, გერმანიის პოლიციაში დასარეკად. ამის დანახვაზე, ოლბიორნი დანებდა. შედეგად, შეიკრა მოსამართლეთა უმრავლესობა ეილიფსენისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოსაცხადებლად. განაჩენი, რაიხბორნ-კიენერუდის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც გამოიტანეს. რაიხბორნ-კიენერუდი გაკვირვებული და იმედგაცრუებული იყო, ოლბიორნმა ზეწოლას რომ ვერ გაუძლო, რადგან ისინი შეთანხმებულები იყვნენ, ეილიფსენს არავითარ შემთხვევაში სასიკვდილო განაჩენს არ გამოუტანდნენ.

კვისლინგს მანამდე დაპირება ჰქონდა გაცემული, რომ ეილიფსენს შეინყალებდა. ტერბოვენთან შეხვედრის შემდეგ, კვისლინგმა უარი თქვა შეწყალებაზე და ეილიფსენი მეორე დღეს დახვრიტეს. „როგორ გგონიათ, მე თქვენთან ვაჭრობა მინდა?“, – ამბობენ ტერბოვენმა ეს სიტყვები მაშინ წარმოთქვა, როცა კვისლინგმა შეწყალების საკითხი წამოაყენა. ომის შემდეგ, მის წინააღმდეგ გამართულ სასამართლო პროცესზე, კვისლინგი ეილიფსენის მკვლელობაში დამნაშავედ სცნეს.

ნაციონალისტური პარტიის დატოვება

ეილიფსენის სიკვდილით დასჯა ძლიერი შოკი აღმოჩნდა როგორც ნორვეგიული საზოგადოებისთვის, ასევე კოლაბორაციონისტი ნაციონალისტური პარტიის წრისთვის. კვისლინგის მთავრობის მდივნის, ფინ თრანას თქმით, აღნიშნულმა საქმემ „დიდი აღშფოთება და შიში გამოიწვია, (და) რამდენიმე ადამიანმა პარტიის რიგებიც კი დატოვა“. თავად რიისნესი ამ ყველაფრის შემდეგ მოტყდა, სტანჯავდა შფოთვა და მუდმივი კომპარები.

მიუხედავად ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა, რასაც ეს საქმე წარმოადგენდა არა მხოლოდ ელიფსენის, არამედ სამართლის უზენაესობის იდეის წინააღმდეგ, ეს ასევე იყო მსხვერპლი, რომლის გაღებისთვისაც მასში მონაწილე ადამიანები მზად აღმოჩნდნენ. აღნიშნული ეხებოდა თავად კვისლინგს; ეს ეხებოდა რიისნესს, ლიეს, ოლბიორნს და მარტინსენს. ეს ეხებოდა ყველას, ეგილ რაიხბორნ-კიენერუდის გარდა. რაიხბორნ-კიენერუდმა, მიუხედავად იმისა, თუ რა იდო სასწორის პინაზე, არ დაუშვა, რომ მისი თანამდებობა მოსამართლისმიერი მკვლელის ჩასადენად გამოეყენებინათ.

სტომატოლოგის ვაჟი და ლეიბორისტული პარტიის წევრი

როგორი ადამიანი იყო რაიხბორნ-კიენერუდი? ეგილ რაიხბორნ-კიენერუდი 1903 წელს დაიბადა კრისტიანსანში, ორი სტომატოლოგის ოჯახში. უფროს ძმასა და უმცროს დასთან ერთად, იგი საკმაოდ მდიდარ ოჯახში იზრდებოდა. რაიხბორნ-კიენერუდი ინტელექტუალური და ფიზიკური მონაცემებით გამოირჩეოდა; მიიღო კარგი განათლება და იყო აქტიური და წარმატებული სპორტსმენი. ის ასევე ნაზი ფსიქიკის, ემოციური ადამიანი გახლდათ. მას აღწერდნენ, როგორც კეთილშობილ, მეგობრულ, მგრძობიარე და სასიამოვნო პიროვნებას.

რაიხბორნ-კიენერუდი 16 წლის ასაკში მშობლებთან საცხოვრებლად ჰამბურგში გადავიდა. გერმანიაში სამართლის დოქტორანტურის დასრულების შემდეგ, იგი ნორვეგიაში დაბრუნდა და სულ რაღაც ორ წელიწადში ნორვეგიული სამართალმცოდნის ხარისხიც მოიპოვა.

1940 წელს ფიქრობდა, რომ საქმე წაგებული იყო

1926-1940 წლებში რაიხბორნ-კიენერუდი ოსლოში ჯერ ასისტენტად, მოგვიანებით კი იურისტად მუშაობდა. 1929 წელს დაქორწინდა. წყვილს შვილი არ ეყოლა, ამიტომ გოგონა იშვილეს და ერთად ლამაზი ოჯახიც შექმნეს. ცოლ-ქმარი ომის დროს განქორწინდა, ხოლო 1945 წელს, რაიხბორნ-კიენერუდმა კვლავ იქორწინა. მისი ორივე მეუღლე ნაციონალისტური პარტიის წევრები იყვნენ.

ომამდე რაიხბორნ-კინენრუდი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ადამიანი, ლეიბორისტულ პარტიას უჭერდა მხარს. 1940 წლის თავდასხმისა და ზაფხულის მოვლენების შემდეგ, ჩათვალა რომ ბრძოლა წაგებული იყო და ნორვეგია ნებისმიერ შემთხვევაში მრავალი წლის განმავლობაში გერმანელების ხელში აღმოჩნდებოდა. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, მივიდა დასკვნამდე, რომ საკუთარი ქვეყნის საუკეთესო ინტერესში იქნებოდა, თუკი ნაციონალისტურ პარტიაში ჩაირიცხებოდა და ასეც მოიქცა. თუმცა აცნობიერებდა, რომ ამას სავალალო შედეგები მოჰყვებოდა როგორც მისი სოციალური ცხოვრების, ასევე იურიდიული პრაქტიკის თვალსაზრისით. საბოლოოდ კი, პარტიის საბრძოლო დანაყოფშიც ჩაენერა.

ნორვეგიის ჩემპიონი ველოსპორტში, ჯარისკაცი და მოსამართლე

ნორვეგიის ოკუპაციის მომენტისათვის, რაიხბორნ-კინენრუდს „ნორვეგიის ეროვნული სპორტული კონფედერაციის“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა ეკავა. ის იყო გულმხურვალე სპორტსმენი, ბუნებაში ყოფნის მოყვარული და აქტიური ველომრბოლედი. 1926 წელს, ის ნორვეგიის ჩემპიონი გახდა 30 კმ სიჩქარით რბოლაში. ნოემბერში მან შრომისა და სპორტის სამინისტროში იურისკონსულტის პოსტთან დაკავშირებით, შემოთავაზება მიიღო. შედეგად, სპორტის სამინისტროს ეროვნული ხელმძღვანელის თანამდებობაზე დაინიშნა – ეს პოსტი მას გადადგომამდე, ანუ 1942 წლის გაზაფხულამდე ეკავა. მომდევნო წლებში, მისმა მცდელობებმა – მოეხდინა ქვეყნის აქტიური ახალგაზრდების ნაციფიკაცია, იგი საძულველ ადამიანად აქცია. 1942 წლის თებერვალში, მან უზენაეს სასამართლოში დაინიშნა მუშაობა. ასევე, ჩაირიცხა გერმანელების სამხედრო დანაყოფში, ხოლო 1942 წლის აპრილში, ბრძანება მიიღო, შეერთებოდა SS-ის „ვიკინგების დივიზიას“. 1942 წლის სექტემბრამდე, რაიხბორნ-კინენრუდი ქვეითად მსახურობდა აღნიშნულ დივიზიაში და აღმოსავლეთის ფრონტზე სადესანტო ოპერაციებში იღებდა მონაწილეობას.

რაიხბორნ-კინენრუდი კარგი სამოსამართლეო რეპუტაციით სარგებლობდა. უზენაეს სასამართლოში მოსამართლის თანამდებობის გარდა, ის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეობდა ფასების კონტროლის საქმეებში. თავმჯდომარის რანგში, მშვიდად და ღირსეულად მართავდა სასამართლოს. „მოდავე მხარეებს თავისუფალი მოქმედების საშუალებას

და რისკისგან თავისუფალ გარემოს სთავაზობდა, როდესაც საქმე ფასტნარმოშობის სასამართლოებისა და ფასტნარმოქმნის პოლიციის საქმიანობის არსებით კრიტიკას შეეხებოდა“. მან ასევე განიხილა ოთხი საქმე სპეციალურ სასამართლოში. მათგან სამი იყო სტანდარტული სისხლის სამართლის საქმე შტატის პოლიციის წარმომადგენლებისა და ფრონტის ხაზის მებრძოლების წინააღმდეგ. საქმეების განხილვა წარიმართა ზუსტად ისევე, როგორც ტარდებოდა ჩვეულებრივი პროცესები საოლქო სასამართლოში ომამდე და ომის შემდეგ, ხოლო ერთ-ერთი საქმის განხილვა კი სავარაუდოდ „სკალუმის“ ფერმაში 1945 წლის აპრილში მოხდა. სწორედ მეოთხე იყო პოლიციის მოადგილე ეილიფსენის წინააღმდეგ გამართული სკანდალურად ცნობილი და სამწუხარო საქმე.

ეთიკის გაკვეთილი

რას გვასწავლის რაიხბორნ-კიენერუდის მიერ ეილიფსენის საქმეში განხორციელებული ნაბიჯი? ნაციონალისტური პარტიის წევრების უმრავლესობა თვლიდა, რომ ის, რაც მოხდა, ნორვეგიის საუკეთესო ინტერესებით იყო განპირობებული გერმანიის ოკუპაციის პერიოდში. სჯეროდათ, რომ საკუთარი თანხმობით, მათ თავიდან აიცილეს მთავრობის ჩამოშლასთან ასოცირებული ქაოსი და ქვეყნის სადავებების გერმანელების ხელში გადასვლა. სწორედ ასე გამოიყურება უფრო ნაკლები ბოროტების მხარდამჭერი არგუმენტი. ეილიფსენის დახვერტის მომხრეთა არგუმენტიც ზუსტად იგივე იყო: მიზანი ამართლებდა საშუალებას და ეილიფსენის დასჯა აუცილებელი იყო გერმანელების მხრიდან უფრო მკაცრი ზომების საპრევენციოდ. ეს საშიში აზროვნება.

ავტორიტარული მმართველები მიზანმიმართულად ქმნიან სქემებს, რათა ადამიანები დანაშაულის თანამონაწილეებად აქციონ გამოუვალი მდგომარეობის შეთავაზებით, ზუსტად ისე როგორც ტერბოვენმა გამოიყენა კვისლინგი და მისი ხალხი. ყველანაირი სამართლებრივი ნორმის აშკარა დარღვევის ფონზე ეილიფსენის სიკვდილით დასჯით, კოლაბორაციულმა რეჟიმმა გადადგა უდიდესი ნაბიჯი სამართლებრივი ქაოსისკენ, საიდანაც უკან დასახვევი გზა აღარ იყო. მანამდე, ერთი წლით ადრე, რეჟიმმა ებრაელები დააპატიმრა და გერმანიაში გადაასახლა; ახლა კი სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტური ინსტიტუტები ნაბილწა.

ერთადერთი, რაც ნორვეგიელ კოლაბორაციონისტებსა და ბოროტების უფსკრულს ერთმანეთისგან ყოფდა, იყო უხილავი საზღვარი. ზემოაღნიშნული სიტუაცია ჰანა არენდტის გაფრთხილების ქრესტომათიული მაგალითია იმის შესახებ, რომ ვინც უფრო ნაკლებ ბოროტებას ირჩევს, სწრაფადვე ივინყებს, რომ მან ბოროტების მხარეს დადგომა არჩია და საბოლოოდ ბოროტების მსახურად იქცა.

SS-ის უარყოფლები

რაიხბორნ-კიენერუდის „არა“ მიმანიშნებელია იმისა, რომ დაბრკოლების აღმართვა ძალზედ თავქვე ზედაპირზეც კი შესაძლებელია. ჩვენ სხვა მაგალითებიც ვიცით, რომლებიც იმავეს ამტკიცებენ. SS-ის სპეცდივიზიის რამდენიმე წევრმა უარი თქვა პოლონეთსა და საბჭოთა კავშირში მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტაში მონაწილეობაზე, როდესაც SS-ი და ვერმახტი აღმოსავლეთ ევროპაში ებრაელი მოსახლეობის ეთნიკურ წმენდასა და გენოციდს ახორციელებდნენ. ტირანი მმართველები დამოკიდებულები არიან თანამორბენლებზე. ამიტომ, მხოლოდ მათ, ვისაც ტირანებთან ერთად სირბილი აღარ სურთ, ძალუძთ მათი შეჩერება. ეს რთული საკითხია და სიმამაცეს საჭიროებს, თუმცა შეუძლებელი ნამდვილად არაა. ამ კონკრეტულ ისტორიაში, რაიხბორნ-კიენერუდი არის მოწმეც და შთაგონებაც.

ღალატის განაჩენი და კატორღა

1949 წლის 16 აგვისტოს, ეიდსივატინგის სააპელაციო სასამართლომ რაიხბორნ-კიენერუდს ათი წლით კატორღა მიუსაჯა. 1945 წლის მაისში, გათავისუფლების მომენტისათვის, ის უკვე პატიმრობაში იმყოფებოდა. 1949 წლის 20 დეკემბერს, რაიხბორნ-კიენერუდი პირობითი სასჯელის საფუძველზე გამოუშვეს. მის სასარგებლოდ მნიშვნელოვანი აქცენტი იმ ფაქტზე გაკეთდა, რომ მან „საკუთარი სიცოცხლისთვის სერიოზული რისკის ფასად გამოავლინა გაბედული და უშიშარი დამოკიდებულება, როდესაც არ შეცვალა თავისი პოზიცია და ეილიფსენისთვის სიკვდილის მისჯის ნაცვლად, პატიმრობის განაჩენის გამოტანას დაუჭირა მხარი“. ომის შემდეგ, ადვოკატად დაიწყო მუშაობა, ასევე თანამშრომლობდა კომპანიასთან Yrkeshil-Finans AS, რომელიც ტაქსების მფლობელების სადაზღვევო ინტერესებზე ზრუნავდა.

ეილიფსენის საქმემ ძლიერი კვალი დატოვა რაიხბორნ-კიენერუდზე. მას დაევალა კონფიდენციალურობის მკაცრად დაცვის ვალდებულება, ამიტომ საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა ის, რომ იგი მართლაც ცდილობდა ეილიფსენის გადარჩენას. არასდროს უცდია ვინმესთვის გაენდო საკუთარი პოზიცია აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, გარდა რამდენიმე თანამოაზრისა. ამიტომ, საზოგადოება მას ეილიფსენის მკვლელად მიიჩნევდა, რის გამოც მუდმივად შიმში ცხოვრობდა, რომ ერთ დღესაც, წინააღმდეგობის მოძრაობა მის ლიკვიდაციას მოახდენდა. 1943-1944 წლებში, მან რამდენიმე ნერვული შეტევა გადაიტანა, სიმშვიდეს კი მხოლოდ საძილე აბებში, ნარკოტიკულ საშუალებებსა და ალკოჰოლში პოულობდა. 1945 წელს, დაპატიმრებიდან მალევე, ის დიკემარკის ჰოსპიტალში მოათავსეს. ფსიქიკური მდგომარეობის გამო, მის წინააღმდეგ საქმის დანყება 1949 წლამდე ვერ მოხერხდა, რამაც სავარაუდოდ სიცოცხლე შეუნარჩუნა.

არავინაა წმინდანი

გმირები არც შავები არიან და არც თეთრები. ის ფაქტი, რომ ადამიანი სამართლის უზენაესობას იცავს, არ ნიშნავს, რომ ის წმინდანია. არც ის ფაქტი, რომ ადამიანი რაღაც მომენტში უკან იხევს, მას ბოროტ ან ცუდ პიროვნებად არ აქცევს. გმირები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ჩვეულებრივი ადამიანებისთვის დამახასიათებელი ძლიერი და სუსტი თვისებებით. მათი ძალისხმევის აღიარებას კი, ჩვენი მხრიდან მათ სისუსტეებზე თვალის დახუჭვა სჭირდება. ამის გაკეთება ზოგ შემთხვევაში საკმაოდ რთულია, ზოგში კი – არც ისე.

გამოყენებული ლიტერატურა

Graver, Hans Petter. *Der Krieg der Richter. Die deutsche Besatzung 1940-1945 und der norwegische Rechtsstaat*. Translated by Melanie Hack. Baden-Baden: Nomos, 2019.

10

ჰერბერტ ჰაი სტერნი

ამერიკელი ბერლინში

მოკლე მიმოხილვა

რას ნიშნავს იყო მოსამართლე? აქვს მოსამართლეს უფლება ხელისუფლების მითითებები შეასრულოს? ქვემოთ თავი ამ საკითხის განხილვას მიეძღვნება. ორი ახალგაზრდის საქმეში, რომლებიც ცივი ომის დროს აღმოსავლეთ ბერლინიდან დასავლეთ ბერლინში გაქცევისთვის დააკავეს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს სურდა გავლენა მოეხდინა საქმის განმხილველი მოსამართლის გადაწყვეტილებებზე. ფედერალური მოსამართლე ჰერბერტ ჯეი სტერნი არ დაეთანხმა მთავრობის ფუნქციონერის როლის შესრულებას და დაიცვა როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობა, ასევე მოსამართლის მანტია.

1978 წელს, პოლონეთის ქალაქ გდანსკში აფრინდა თვითმფრინავი, რომლის ბორტზეც 62 მგზავრი და ეკიპაჟის წევრი იმყოფებოდა. თვითმფრინავი აღმოსავლეთ ბერლინში მიფრინავდა. ბორტზე მყოფთა შორის იყვნენ აღმოსავლეთ ბერლინში მცხოვრები მამაკაცი და ქალი, ბავშვთან ერთად.

მიუხედავად იმისა, რომ ცივი ომი და ატომური ომის საფრთხე ათწლეულების განმავლობაში მუდმივად არსებობდა, აშშ-ის პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა და ჰენრი კისინჯერმა კომუნისტური ბლოკის მიმართ

„რეალისტური“ მიდგომა შეიმუშავეს. ისინი მეტ ყურადღებას სავაჭრო ეკონომიკას უთმობდნენ, ხოლო რკინის ფარდის მიღმა მცხოვრები ჩაგრული ადამიანების უფლებებს, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ ყველაფერმა საძირკველი ჩაუყარა *Détente*-ს ეპოქის დასაწყისს ზესახელმწიფოებს, აშშ-სა და სსრკ-ს შორის. ვილი ბრანდმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (დასავლეთ გერმანია) პრემიერ მინისტრმა, „დასავლეთსა“ და „აღმოსავლეთს“ შორის პოლიტიკის ნორმალიზების ანალოგიური სულისკვეთებით, *Ostpolitik*-ის განხორციელება დაიწყო ორ გაყოფილ გერმანულ სახელმწიფოს შორის.

აღმოსავლეთ ბერლინში მცხოვრებ ახალგაზრდა მიმტან ქალს დასავლეთ გერმანელი ბიზნესმენი მაშინ შეუყვარდა, როცა ეს უკანასკნელი აღმოსავლეთ გერმანიაში სტუმრად იმყოფებოდა. მამაკაცმა ქალს პირობა მისცა, რომ ორგანიზებას გაუწევდა მისი და მისი მცირეწლოვანი ქალიშვილის დასავლეთში გაქცევას. ბერლინის მოსახლეობა მავთულხლართითა და ბეტონის კედლით იყო გაყოფილი. გუშაგებს აღმოსავლეთ გერმანიაში ბრძანება ჰქონდათ ესროლათ და მოეკლათ ყველა, ვინც გაქცევას შეეცდებოდა, კედელზე გადაძრომით ან კედლის გავლით. სულ 171-ზე მეტი ადამიანი იქნა მოკლული დასავლეთ გერმანიაში გაქცევის მცდელობისას. ათასობით კი ამგვარი მცდელობისთვის დააპატიმრეს. შესაბამისად, გაქცევის გეგმა ზედმინწევით კარგად დამუშავებას საჭიროებდა.

შეყვარებულმა მამაკაცმა პოლონეთის ქალაქ გდანსკიდან დასავლეთისკენ მიმავალი გემის ბილეთები შეიძინა. გემის თანახმად, ქალი სახლიდან გავიდოდა თავის ერთ-ერთ მეგობართან ერთად, რომელიც თანახმა იყო მასთან ერთად გაქცეულიყო. ეჭვების თავიდან ასარიდებლად, მათ ყველაფერი ისე დაგეგმეს, თითქოს ერთი პატარა ოჯახი, ცოლ-ქმარი ბავშვთან ერთად, შაბათ-კვირას ექსკურსიაზე მიემგზავრებოდა. გდანსკში გემზე ავიდოდნენ და სამუდამოდ დააღწევდნენ თავს აღმოსავლეთ გერმანიას. აღმოსავლეთ გერმანიის საიდუმლო პოლიციამ, შტაზიმ, შეიტყო მათი ჩანაფიქრის შესახებ და ქალის შეყვარებული გზად მიმავალი დააკავა, სანამ ის ქალისთვის დოკუმენტების გადაცემას მოახერხებდა. როდესაც მამაკაცი, გემის გდანსკიდან გასვლის მომენტისათვის, ნავსადგურში არ გამოჩნდა, წყვილი მიხვდა, რომ დაპატიმრება მათაც არ ასცდებოდათ. სასონარკვეთილებაში ჩავარდნილებმა, აღარ იცოდნენ რა გაეკეთებინათ. გდანსკში რომ დარჩენილიყვნენ, აუცილებლად დააკავებდნენ. საჭირო საბუთების

გარეშე, გემზე ასვლასაც ვერ შეძლებდნენ. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფებს, უცებ იმ თვითმფრინავის გატაცების იდეა დაებადათ, რომლის აღმოსავლეთ ბერლინში დასაბრუნებელი ბილეთებიც უკვე შეძენილი ჰქონდათ. ძველმანების ბაზრობაზე სათამაშო პისტოლეტი იყიდეს, რომელიც თავიანთი პატარა გოგონას სათამაშოდ გაასაღეს აეროპორტში უსაფრთხოების კონტროლის გავლისას.

სანამ თვითმფრინავი აღმოსავლეთ ბერლინში, შონეფელდის აეროპორტში დაეშვებოდა, სათამაშო იარაღით შეიარაღებული მამაკაცი ფეხზე წამოდგა და თვითმფრინავის სამზარეულოსკენ გაემართა, ხელი სტაცა ბორტამცილებელ ქალს და იარაღი შუბლზე მიადო. მამაკაცმა მოითხოვა, თვითმფრინავს გეზი შეეცვალა და დასავლეთ ბერლინში აშშ-ის ტემპელჰოფის ბაზაზე დამჯდარიყო. კაპიტანი დაემორჩილა. რამდენიმე წუთში, თვითმფრინავი მიწაზე დაეშვა და მას აშშ-ის საჰაერო ძალების თანამშრომლები დახვდნენ. ამერიკელებმა მამაკაცი, ქალი და ბავშვი დააკავეს და თვეების განმავლობაში პატიმრობაში ჰყავდათ საჰაერო ძალების ბაზაზე.

თვითმფრინავის გატაცების პრობლემა

ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ადამიანებმა აღმოსავლეთ გერმანიას თვითმფრინავის გატაცებით დააღწიეს თავი. 1969 წლის ოქტომბერში, ორმა აღმოსავლეთ გერმანელმა თვითმფრინავის გამტაცებელმა (მამაკაცმა), ვარშავიდან ბრიუსელში მიმავალი თვითმფრინავის ბერლინის ფრანგული სექტორის „თეგელის“ აეროპორტში დაშვება მოითხოვა. გამტაცებლები დააკავეს. საფრანგეთის სამხედრო სასამართლომ მათ ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.⁶² არ დაგვავიწყდეს, რომ ბერლინი ფორმალურად ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის მოკავშირეთა ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა, რომლებიც ქვეყანაში უზენაეს მმართველობას ახორციელებდნენ. გერმანიის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები კი მთავრობის ყოველდღიურ ფუნქციას ასრულებდნენ, თუმცა ფორმალურად ოთხი მოკავშირე

62 Gregor Schöllgen, Horst Möller, and Klaus Hildebrand, "Dokumentenverzeichnis." *In Akten Zur Auswärtigen Politik Der Bundesrepublik Deutschland* (1978), Xvii–Lxx (München: Oldenbourg Wissenschaftsverlag, 2009), 1278.

ქვეყნის – ბრიტანეთის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის – იურისდიქციისა და კონტროლქვეშ მოქმედებდნენ. განსხვავება ის გახლდათ, რომ ოკუპაცია საბჭოთა სექტორში რეალურად ხდებოდა; დასავლეთ ბერლინში კი, ძირითადად სახელწოდებაში აისახა.

თვითმფრინავის გატაცებამ მკაფიოდ აჩვენა დასავლეთ ბერლინის საოკუპაციო სტატუსს მიღმა არსებული სამართლებრივი და პოლიტიკური რეალობა. თვითმფრინავის მინაზე დაჯდომის მომენტიდან, აშშ-მა სურვილი გამოთქვა, ორი სავარაუდო გამტაცებლის საქმე დასავლეთ ბერლინს განეხილა. იმის მოლოდინში კი, თუ როგორ მოხდებოდა მათი საქმის განხილვა, სამივე ეჭვმიტანილი ტემპელჰოფის ავიაბაზაზე რჩებოდა.

1970-იანი წლები იყო თვითმფრინავების გატაცების ერა. ახალი ტერმინი „საჰაერო მეკობრეობის ვირუსი“ მას შემდეგ შეიქმნა, რაც 1968 წლიდან, ნაციონალური და საერთაშორისო რეისების გატაცების შემთხვევების რიცხვმა მკვეთრად იმატა. 1970 წელს ჰააგაში ხელი მოეწერა საერთაშორისო კონვენციას „თვითმფრინავების უკანონო გატაცების აღკვეთის შესახებ“. დასავლეთის ქვეყნებს სურდათ კომუნისტური ქვეყნების დარწმუნება, რომ ეფექტური სამართლებრივი ღონისძიებებით, პრობლემა მოგვარდებოდა. მოლაპარაკებების მიმდინარეობისას, საბჭოთა კავშირი თავდაპირველად თანახმა იყო გამტაცებლების ექსტრადიციაზე იმ ქვეყანაში, სადაც გატაცებული თვითმფრინავი იყო რეგისტრირებული. დასავლური სახელმწიფოები კი ამტკიცებდნენ, რომ გამტაცებლების საქმე იმ ქვეყანაში უნდა განხილულიყო, სადაც უშუალოდ მოხდა მათი დაკავება. სურდათ ეჩვენებინათ, რომ ეს იყო ეფექტური და სწორი გზა პრობლემის გადასაჭრელად. აღნიშნული შეხედულება მიჩნეული იქნა გამოსავლად.

ბრძოლა იურისდიქციისთვის

ვინაიდან ბერლინი ორად იყო გაყოფილი, ბევრი შიშობდა, რომ დასავლეთ ბერლინის სასამართლოები საკმარისად მკაცრად არ მოექცეოდნენ დასავლეთში გაქცეულ აღმოსავლეთ ბერლინელებს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (დასავლეთ გერმანია) კანონმდებლობის თანახმად, კედელი უკანონოა იყო. შესაბამისად, მისგან თავის დაღწევაც დანაშაულს არ წარმოადგენდა. მათი

გადმოსახედიდან, დამნაშავეები იყვნენ არა ისინი, ვინც გაქცევას ახერხებდნენ, არამედ ისინი, ვინც ხელს უშლიდნენ ადამიანებს თავიანთ ქვეყანაში გადაადგილებაში. დასავლეთ ბერლინის სიმპათია აშკარად თვითმფრინავის გამტაცებელი მამაკაცისა და ქალის მხარეზე იყო.

ბონში გაიმართა შეხვედრა საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის ელჩებსა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის, რომლის მიზანსაც იმაზე მსჯელობა წარმოადგენდა, როგორ გადაეჭრათ თვითმფრინავის გამტაცებლების საკითხი. დასავლეთ გერმანელები გაოგნებულნი უსმენდნენ გაერთიანებული სამეფოს ელჩს, რომელმაც წამოაყენა წინადადება, რომ დაკავებულები აღმოსავლეთ გერმანელებისთვის გადაეცათ. ფრანგებმა ათი წლის წინანდელი საქმე გაიხსენეს, როდესაც თვითმფრინავის გატაცების საქმეზე იურისდიქციას ფრანგები ახორციელებდნენ. მათი თქმით, ამ საქმისთვის აშშ-ის ხელისუფლებას უნდა მოეკიდა ხელი. აშშ-ის ელჩს კი სურდა, გერმანელებს განეხილათ საქმე. ვაშინგტონს მხოლოდ საოკუპაციო ხელისუფლების უფლებამოსილების გამოყენება დაევალებოდა, რათა მიეთითებინა გერმანული სასამართლოსთვის, თუ როგორ განეხილა ეს საქმე ეფექტური სანქციების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. გერმანელები ამ მოსაზრებას პროტესტით შეხვდნენ, ვინაიდან ეს მათი სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფა იქნებოდა.

საბოლოოდ, აშშ-ი დათანხმდა, რომ საქმეს ამერიკული სასამართლო განიხილავდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აშშ-ის სასამართლოების მოქმედება ვრცელდებოდა მხოლოდ ოკუპირებული გერმანიის ამერიკულ ნაწილზე. ოკუპაციის ოფიციალურად დასრულებისა და გერმანიის მიერ საკუთარ საქმეებზე სრული იურისდიქციის დაბრუნების შემდეგაც კი, 1955 წელს, ბერლინი მაინც ოკუპაციის ქვეშ რჩებოდა. იურისდიქციის გერმანიისთვის დაბრუნებამდე, გერმანიაში აშშ-ის უმაღლესმა კომისარმა დაამტკიცა კანონი, რომელიც ითვალისწინებდა აშშ-ის სასამართლოს შექმნას ბერლინში. აღნიშნული სასამართლოს საჭიროება მანამდე არასოდეს დამდგარა დღის წესრიგში, მაშასადამე, დადგა მისი გამოღვიძების დრო.

მკაცრი მოსამართლე

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ფედერალურ მოსამართლე ჰერბერტ ჯეი სტერნს მიმართა. სტერნი დაიბადა 1936 წელს ქალაქ ნიუ-იორკში. 1961 წელს, მას ჩიკაგოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ხარისხი მიენიჭა. 1962 წლიდან 1965 წლამდე, ნიუ-იორკის შტატის ოლქის პროკურორის თანაშემწე იყო და მძიმე დანაშაულების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 1971 წლიდან 1973 წლამდე, სტერნი ნიუ ჯერსის შტატის აშშ-ის პროკურორად მუშაობდა. 1973 წელს, ყველაზე ახალგაზრდა ფედერალური მოსამართლე გახდა აშშ-ის ისტორიაში. როგორც შტატის პროკურორი, ასევე მოსამართლე, სტერნი დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი, მკაცრი მოსამართლის რეპუტაციით სარგებლობდა.

ნიუ-იორკის საოლქო პროკურატურის მძიმე დანაშაულების ბიუროში, მან გასცა იმ მამაკაცების დაპატიმრების ბრძანება, რომლებმაც მალკოლმ X სიცოცხლეს გამოასალმეს. სამი წლის განმავლობაში ფედერალური პროკურორის პოსტზე მუშაობისას, მან წარმატებით აწარმოვა სამართლებრივი დევნა ნიუჯარკის, ჯერსი სიტისა და ატლანტიკ სიტის მერების წინააღმდეგ; სასამართლოს წარუდგინა კონგრესმენი შეთქმულების, ცრუ ჩვენებისა და საგადასახადო კანონის დარღვევის ბრალდებით; ასევე დაიწყო ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულთან. მისი საქმიანობა აღწერილია პოლ ჰოფმანის 1973 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „სასამართლოს ვეფხვი“, რომელსაც თან ახლავს შემდეგი ქვესათაური „ჰერბერტ ჯ. სტერნი: აშშ-ის პროკურორი, რომელმაც გაასამართლა 8 მერი, 2 სახელმწიფო მდივანი, 2 სახელმწიფო ხაზინადარი, 2 გავლენიანი პოლიტიკური ავტორიტეტი, 1 ამერიკელი კონგრესმენი. ... და 64 საჯარო მოხელე“. რასაკვირველია, სასამართლოს დამოუკიდებლობის დასაცავად, ის თავის ჩვეულ სიმკაცრეს ბერლინშიც გამოიჩინდა.

დავა მსაჯულთა შესახებ

როგორც კი სტერნი ბერლინში ჩავიდა, დაიწყო შეუთანხმებლობა მასსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, რომლებიც მას ეუფროსებოდნენ. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიციის თანახმად, სასამართლო იყო საოკუპაციო სასამართლო დაპყრობილ ტერიტორიაზე. სასამართლო, როგორც ასეთი, ამერიკის საგარეო პოლიტიკის განხორციელების

ინსტრუმენტს წარმოადგენდა და უნდა დამორჩილებოდა იმ შეზღუდვებს, რომლებსაც სახელმწიფო დეპარტამენტი ჩათვლიდა სასამართლოს მუშაობისთვის მიზანშეწონილად. ეს ნიშნავდა, რომ სასამართლოს არ გააჩნდა იურიდიული ძალა, მიეღო აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სანინააღმდეგო გადაწყვეტილებები. აშშ-ის მთავრობა თვლიდა, რომ სტანდარტული წესები, რომლებიც სასამართლოზე გავრცელდებოდა, აუცილებლად მთავრობის პოზიციასთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული. ამ პოზიციით, იმლებოდა ყოველგვარი ზღვარი და რთულდებოდა იმის გარკვევა, თუ როდის სთავაზობდა მთავრობა სასამართლოს რჩევებს და როდის მიუთითებდა, თუ რა სახის გადაწყვეტილება უნდა მიეღო მას.

პროკურატურის წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ სასამართლო პროცესი ნაფიც მსაჯულთა გარეშე უნდა ჩატარებულიყო. აშშ-ის კონსტიტუციით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ბრალდებულის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესში. ამ კონკრეტულ საქმეზე გამოყენების შემთხვევაში კი, ბერლინის მოქალაქეები ბრალდებულს გამამტყუნებელ განაჩენს გამოუტანდნენ. სწორედ ამის თავიდან არიდებას ცდილობდნენ მოკავშირეები, როდესაც საქმის გერმანიის იურისდიქციიდან გატანა სურდათ.

თავიდან პროკურატურამ სასამართლოს განუცხადა, რომ მას საოკუპაციო სასამართლოს სტატუსი ჰქონდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სასამართლოს საქმიანობის ძირითად წესებს სახელმწიფო დეპარტამენტი ადგენდა და არა კონსტიტუცია, როგორც ეს ჩვეულებრივი სასამართლოების შემთხვევაში ხდებოდა. ვინაიდან საქმე საგარეო პოლიტიკის საკითხს წარმოადგენდა, სახელმწიფო მდივანმა გადაწყვიტა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლება ბრალდებულებს არ უნდა მისცემოდათ.

უფლებო ქალაქი

სტერნი მიიჩნევდა, რომ აშშ-ის მთავრობის პოზიცია ძირს უთხრიდა ბერლინის ამერიკულ სექტორში მცხოვრები თითოეული ადამიანის ფუნდამენტურ სამოქალაქო უფლებებს. მთავრობის მიდგომის გამარჯვების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება სახელმწიფო დეპარტამენტს და უმაღლეს მთავარსარდალს მიენიჭებოდათ. როგორც მოსამართლე კი, ის შეასრულებდა მხოლოდ სახელმწიფო ფუნქციონერის როლს, რომელსაც მთავრობის

მითითებებისა და დირექტივების განხორციელება დაევალებოდა. თუმცა, მას გამუდმებით ეფიქრებოდა ნაციისტური რეჟიმის პირობებში მყოფი ბერლინელი მოსამართლეების მდგომარეობასა და საქმიანობაზე. დღესაც კი, მარტივი იქნებოდა ამაზე დათანხმება, თუმცა საბოლოო ჯამში აღმოჩნდებოდა, რომ ადამიანის ინდივიდუალურ უფლებებზე დანესებულ შეზღუდვებს საზღვარი აღარ ექნებოდა. დღევანდელ მთავრობას შესაძლოა კეთილგანწყობილი ადამიანები უდგანან სათავეში, თუმცა წარსულში ხელისუფლების წარმომადგენლები გერმანიის მოქალაქეებს სიცრუეში აცხოვრებდნენ.

ხელისუფლების ადვოკატები ოფიციალურად აღიარებდნენ, რომ ბერლინში ადამიანის უფლებების ფარგლები აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ განისაზღვრებოდა და არა კონსტიტუციით, და იქვე ამტკიცებდნენ, – ასეთი იყო ოკუპირებული ბერლინის სამართლებრივი სტატუსი. სასამართლოში ღია დისკუსიის შემდეგ, მათ ფარ-ხმალი დაყარეს და დათანხმდნენ, რომ არა მთავრობის, არამედ სასამართლოს გადასაწყვეტი იყო, თუ რა სამართლებრივი მდგომარეობა იარსებებდა ქვეყანაში. თუმცა, დასძინეს, – სასამართლოს არ ჰქონდა უფლება მთავრობისთვის ნაფიცი მსაჯულების მოწვევა დაევალებინა. ეს ნიშნავდა, რომ თუ სტერნი გამოცემდა განკარგულებას, რომელსაც მთავრობა არ დაეთანხმებოდა, მაშინ მთავრობის გადასაწყვეტი იქნებოდა აღასრულებდა თუ არა ის ამ განკარგულებას. ამით, მთავრობა ხაზგასმით ამბობდა, – მოსამართლე ხელისუფლების წინააღმდეგ თავის იურისდიქციას ვერ განახორციელებდა.

მიუხედავად ამისა, სტერნმა, რომელიც ამასობაში ელოდა, – პოსტიდან მოხსნიდნენ და სახლში შერცხვენილს დააბრუნებდნენ, დაადგინა, რომ ბრალდებულებს, ამერიკის კონსტიტუციის თანახმად, ჰქონდათ უფლება მიეღოთ ნაფიცი მსაჯულთა სასამართლო, რომელიც ბერლინში აშშ-ის სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეებზე სრულად ვრცელდებოდა. მან მთავრობის არგუმენტი „სრულიად უსაფუძვლოდ“ მიიჩნია. სტერნის თქმით, „კონსტიტუციის ნებისმიერი მუხლის გამოყენება თავისთავად კონსტიტუციური სამართლის საკითხს წარმომადგენს, რომელიც უნდა გადაწყდეს არა აღმასრულებელი შტოს, არამედ სასამართლოს მიერ, ბოლო ინსტანციაში“.

იმისთვის, რომ გვერდი აეგლო თანამშრომლობის არმოსურნე ხელისუფლებისათვის და განესაზღვრა აუცილებელი ღონისძიებები ნაფიცი

მსაჯულთა პროცესის ჩასატარებლად, სტერნმა დაადგინა: „თუ შეერთებული შტატების საოკუპაციო ხელისუფლება ოფიციალურად არ განაცხადებდა, რომ ისინი დაემორჩილებოდნენ და შეასრულებდნენ სასამართლოს მითითებებს, ბრალდებულების მიმართ წაყენებული ბრალდებები მოიხსნებოდა“.

ჯარები შავ მანტიაში გამოწყობილი მამაკაცის წინააღმდეგ

ითამაშებდა ხელისუფლება წესების მიხედვით და მოსამართლის გადანყევტილებას დაემორჩილებოდა, თუ დახურავდა საქმეს და აღმოსავლეთ გერმანიას გადასცემდა ორ ზრდასრულ პირსა და ერთ ბავშვს? მთავრობა, რასაკვირველია, არ აპირებდა მოსამართლისთვის ბრალდებულების გათავისუფლების შესაძლებლობის მიცემას. ისინი ან უნდა დათანხმებოდნენ პირობას, ან მოსამართლე თანამდებობიდან მოეხსნათ, სანამ ის ბრალდებულების გათავისუფლების გადანყევტილებას გამოიტანდა, – ფიქრობდა სტერნი. „მათ აქვთ ძალაუფლება. მათ ჰყავთ არმია. შავ მანტიაში გამოწყობილი ერთი კაცი, რა თქმა უნდა, ვერაფერს გახდება“, – ფიქრობდა მოსამართლე. რა გადანყევტილებაც არ უნდა მიეღო მას, წესები, შესაძლოა, მომდევნო მოსამართლეს ნებისმიერ დროს შეეცვალა. ერთადერთი, რაც დარჩენოდა, სამართლის მორალური ძალა იყო.

სახელისუფლებო იურისტებმა ვაშინგტონთან ერთობლივად იმსჯელეს, თუ როგორი რეაქცია ექნებოდა მთავრობას სასამართლოს გადანყევტილებაზე. რამდენიმე დღის შემდეგ, გზავნილი გაუღერდა: აშშ-ი დაეთანხმებოდა. ამასობაში, სტერნი ბერლინში აშშ-ის მინისტრთან მის ოფიციალურ რეზიდენციაში ვახშობდა. დიპლომატმა სცადა აეხსნა, როგორ შეასუსტებდა, (თუ არ გაანადგურებდა), ნაფიც მსაჯულთა პროცესი სასამართლოს მოწვევის მთელს მიზანს; რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ბრიტანელები და ფრანგები გალიზიანებას ველარ მალავდნენ როგორც მიმდინარეობდა ამ საკითხის მოგვარება. გალიზიანება სტერნსაც დაეტყო და ის-ის იყო ვახშმის დასატოვებლად მოემზადა, როცა მინისტრმა სიტუაცია განმუხტა და დაჰპირდა, რომ მთავრობა მას დაემორჩილებოდა.

თუმცა, საქმე ამით არ დასრულებულა. მთავრობას მაინც სურდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავიდან არიდება. ამისთვის, მთავრობამ

საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებიც კი დაიწყო ბრალდებულებთან. თუკი შეძლებდნენ მათ დაყოლიებას, რომ დანაშაული ელიარებინათ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოწვევაც აღარ გახდებოდა საჭირო. პრობლემა კი იმაში მდგომარეობდა, რომ ბრალდება საკმაოდ მკაცრ სასჯელს ითვალისწინებდა და მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმება მოსამართლისთვის შემოჭველი ფაქტორი ვერ გახდებოდა. ბრალდებულების გადმოსახედიდან კი, რატომ უნდა გაეშვათ ხელიდან ბერლინელებით დაკომპლექტებული ნაფიც მსაჯულთა პროცესი, მით უმეტეს, რომ რამდენიმეწლიანი პატიმრობა ემუქრებოდათ? ხელისუფლებამ პრობლემის გადაჭრის გზა მონახა. ისინი მიიღებდნენ ახალ კანონს, რომლის თანახმად, ბრალდებულები გარკვეული ვადის შემდეგ საპატიმროდან გათავისუფლდებოდნენ. თუკი სტერნი ბრალდებულებს უფრო ხანგრძლივ პატიმრობას მიუსჯიდა, აღნიშნული კანონით სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდებოდა. კანონში, რომელიც პროკურორებისა და დაცვის ადვოკატების ერთობლივი ჩართულობით შემუშავდა, სახელმწიფო დეპარტამენტი საკუთარი სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის გაუქმების პირობას დებდა.

ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი წადილი, არ დამორჩილებოდა სასამართლოს, თუკი მოსამართლე ხელისუფლების ინტერესების საპირისპირო გადაწყვეტილებას გამოიტანდა. თუმცა, ამ საკითხმა ყოველგვარი აზრი დაკარგა მას შემდეგ, რაც ბრალდებულებმა ბრალის აღიარებაზე უარი თქვეს. როგორ დასრულდა ეს ამბავი? მთავრობას მოუწია ერთ-ერთი დაკავებულის შემთხვევაში ბრალის გაუქმება, რადგან ჩვენება, სადაც ის თანამონაწილეობას აღიარებდა, მიღებული იქნა ბრალდებულის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის ფონზე. რეისის დროს, იგი გაუნძრევლად იჯდა თავის სავარძელში, შესაბამისად, არ არსებობდნენ მოწმეებიც, რომლებიც თვითმფრინავის გატაცებაში მის თანამონაწილეობას დაადასტურებდნენ. ნაფიცმა მსაჯულებმა ბრალდებული მამაკაცი დამნაშავედ ცნეს მძევლის აყვანაში, თუმცა გაამართლეს თვითმფრინავის გატაცების ნაწილში. სტერნმა შემამსუბუქებელი გარემოებებიც გაითვალისწინა და ბრალდებულს პატიმრობა სწორედ იმ ვადით განუსაზღვრა, რომელიც მას უკვე ჰქონდა ციხეში გატარებული. როგორც კი ჩაქუჩი მაგიდას შეეხო, ის თავისუფალი ადამიანი იყო.

მომდევნო წლებში, კიდევ რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა, როდესაც ადამიანები თვითმფრინავის გატაცების გზით აღმოსავლეთიდან დასავლეთ ბერლინში გაიქცნენ. ეს საქმეები გერმანიის სასამართლოს გადაეცა განსახილველად. პროცესები სტანდარტული შედეგით, 5 წლით თავისუფლების აღკვეთით, დასრულდა.

წერილი მკაფიო მითითებით

მორიგი შეტევა ბერლინში აშშ-ის სასამართლოს დამოუკიდებლობაზე სასამართლოს არსებობის ბოლო დღეებში მოხდა. საქმე აბსოლუტურად სხვა საკითხს და სხვა მონაწილე მხარეებს შეეხებოდა. როდესაც ბერლინში აშშ-ის სასამართლო ამოქმედდა, ერთი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბერლინელი ადვოკატი მიხვდა, რომ მიეცა შანსი, გადაეჭრა სამართლებრივად ჩიხური სიტუაცია, რომელშიც მისი კლიენტები აღმოჩნდნენ. საქმე ეხებოდა ერთ-ერთი პარკის მიმდებარედ მცხოვრებ მეზობლებს, სადაც აშშ-ის არმიის სარდლობას საცხოვრებელი კომპლექსის აშენება სურდა. მეზობლებმა ბერლინის მთავრობას უჩივეს, ვინაიდან სამშენებლო ნებართვა სწორედ მათი გაცემული იყო; თუმცა ამერიკის საოკუპაციო ხელისუფლებამ სასამართლოს აუკრძალა ამ საქმის განხილვა. ამის შემდეგ, მოქალაქეებმა ამერიკელი იურისტი დაიქირავეს და საჩივარი სახელმწიფო დეპარტამენტის წინააღმდეგ ვაშინგტონში, ფედერალურ სასამართლოში შეიტანეს. აქ კი სახელმწიფო დეპარტამენტი ამტკიცებდა, რომ საქმე შეეხებოდა კონფლიქტს გერმანიის მოქალაქეებსა და გერმანიის ხელისუფლებას შორის და, როგორც ასეთი, საქმე ამერიკის სასამართლოების იურისდიქციას სცილდებოდა. ფედერალური სასამართლოს მოსამართლემ ეს პოზიცია გაიზიარა და საქმე დახურა.

ჩიხური სიტუაცია: საქმის განხილვა ვერ მოხერხდა გერმანულ სასამართლოში ამერიკის მხრიდან არსებული აკრძალვის გამო, ასევე ვერ ხერხდებოდა სარჩელის ამერიკულ სასამართლოში შეტანა, რადგან საქმე გერმანიის შიდა პრობლემას შეეხებოდა. ბერლინში აშშ-ის სასამართლოს ამოქმედების შემდეგ, მომჩივნებმა დაინახეს ახალი ფანჯარა სარჩელის აღსაძრავად. მათ შუამდგომლობით მიმართეს გერმანიის სასამართლოს, სადაც უკვე ჰქონდათ საჩივარი შეტანილი, საქმის ბერლინში მდებარე აშშ-ის სასამართლოში გადაგზავნის თაობაზე.

სარჩელი მოსამართლე სტერნის მაგიდაზე თვითმფრინავის გატაცების საქმის დასკვნით ეტაპზე აღმოჩნდა.

ერთი დღით ადრე, სანამ ნაფიცი მსაჯულები განაჩენს გამოაცხადებდნენ თვითმფრინავის გატაცების საქმეზე, სტერნმა სასამართლო პროცესი გამართა სამშენებლო ნებართვის საქმეზე. მთავრობამ გადაწყვიტა უარი ეთქვა სარჩელზე. მეორე დღეს, შაბათს, როდესაც ნაფიცი მსაჯულთა სასამართლო კვლავ შეიკრიბა, მოსამართლე სტერნმა განაჩენის გამოცხადება ორშაბათისთვის გადადო. იმავე დღეს, მას აშშ-ის მთავრობის შუამდგომლობა უნდა განეხილა სამშენებლო ნებართვის საქმის შეწყვეტის შესახებ.

კვირა საღამოს მოსამართლე სტერნს სასტუმროს ფოიეში დახვდა წერილი გერმანიაში აშშ-ის ელჩისგან. ელჩი, როგორც მისი დამნიშნავი ორგანო, წერილში სტერნს მითითებას აძლევდა საქმე დაეხურა, ასევე მიანიშნებდა, რომ ბერლინში აშშ-ის სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება აღნიშნულ საქმეზე არ ვრცელდებოდა. და კვლავ, ხელისუფლება ჰკარნახობდა მოსამართლეს რა უნდა გაეკეთებინა. ამჯერად, თვალთმაქცური მცდელობაც კი არ ყოფილა, რომ ეს ყველაფერი სასამართლოში არგუმენტად წარმოედგინათ. ეს იყო პერსონალური წერილი, გადაცემული სასამართლოს შენობის მიღმა, იმავე ორგანოს მიერ, რომელსაც შეეძლო მოსამართლე საკუთარი შეხედულებისამებრ თანამდებობიდან მოეხსნა. ფაქტია, ეს არ იყო საქმის მონაწილე მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი არგუმენტი.

მეორე დღეს, მთავრობა სასამართლოში სახელმწიფო დეპარტამენტის ახალი დამცველი ადვოკატით გამოცხადდა. ადვოკატმა დაადასტურა, რომ სტერნისადმი გაგზავნილი წერილი იყო მითითება. სააპელაციო სასამართლოში ფედერალურ მოსამართლედ დანიშვნის პერსპექტივის შესხენებით, მან ერთგვარი სატყუარა გადაუგდო სტერნს, იქნებ ეს უკანასკნელი დამორჩილებოდა წერილის მოთხოვნას და სამშენებლო ნებართვის საქმე დაეხურა. სტერნმა განაცხადა, რომ არ სურდა იურისდიქციის საკითხის გადაწყვეტა მოსამართლისთვის გაგზავნილი წერილის საფუძველზე. ამიტომ სხდომა გადადო, რათა ელჩისთვის სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე საკუთარი წერილის უკან განვევის შესაძლებლობა მიეცა. რამდენიმე საათის შემდეგ, მან ახალი წერილი მიიღო ელჩისგან. ელჩი წერდა, რომ როგორც მას აცნობეს, თვითმფრინავის გატაცების საქმეში ბრალდებულ პირს

სასჯელი განესაზღვრა, ხოლო სამართალწარმოება ორი ბრალდებულის წინააღმდეგ შეწყდა. შესაბამისად, ელჩმა სტერნი ბერლინის აშშ-ის სასამართლოში მოსამართლის თანამდებობიდან გაათავისუფლა. ასევე გადავადდა სამშენებლო ნებართვის საქმეზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაც.

იურისდიქცია და „დუალური სახელმწიფო“

ჰერბერტ ჯ. სტერნის ბერლინში მოსამართლედ მოღვაწეობის ისტორია ბადებს კითხვას, თუ რა არის სასამართლო. პირველ თავში, აღვნიშნეთ, რომ სამართლის უზენაესობა ნიშნავს ძალაუფლების განხორციელებას სამართლებრივ საფუძველზე, როდესაც ამგვარი განხორციელება შეიძლება შემომდგეს იურიდიული სფეროს ექსპერტების მიერ, მათი ავტონომიური ექსპერტული ცოდნის გამოყენებით. სასამართლოს კი ევალება სამართლის უზენაესობის დაცვა ბოლო ინსტანციაში. სასამართლო ავტონომიური და ანგარიშვალდებული პროცესის წინამძღოლია, სადაც მმართველები პასუხს აგებენ ძალაუფლების განხორციელებისას მათ მიერ არჩეული მექანიზმების შესახებ. მოსამართლეებს ევალებათ ხელისუფლების მიერ გატარებული ზომების სამართლისადმი შესაბამისობისა და კანონის ფარგლებში მოქცევის უზრუნველყოფა.

სტერნის ბრძოლა იყო ბრძოლა იურისდიქციისათვის: ვინ განსაზღვრავს სასამართლოს მუშაობის წესებს, ვის ენიჭება საბოლოო სიტყვა ამ წესების განმარტებაზე და ვინ წყვეტს, თუ რომელი საქმე უნდა განიხილოს სასამართლომ? სასამართლოს იურისდიქციის შეზღუდვა, მაგალითად, იმის დადგენით, თუ ვის შეუძლია სარჩელის შეტანა, ან სასამართლოსთვის ადმინისტრაციული საქმეების განხილვის აკრძალვა, სამართლის უზენაესობის დემონტაჟისკენ მიმავალი ეფექტური გზაა. ნაცისტებმა აკრძალეს გესტაპოსა და SS-ის განკარგულებებზე სასამართლო კონტროლის შესაძლებლობა; ხოლო სამხრეთ აფრიკის ხელისუფლებამ შეზღუდა სასამართლოსა და პრესის მხრიდან აღმასრულებელი შტოს ზედამხედველობა. მსგავსი კანონების მოძიება შესაძლებელია უმრავლეს ავტორიტარულ რეჟიმებში და სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებულ სამართლებრივ სისტემებშიც კი, როდესაც ასეთ სისტემებში ჩნდება განცდა, რომ საზოგადოება საფრთხის ქვეშაა. აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის სამართლის შესახებ საბოლოო

სიტყვის თქმის უფლების გადაცემა პირდაპირი გზაა „დეულური სახელმწიფოსკენ“, რომელიც განსხვავდება სამართლის უზენაესობის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფოსგან.

„დეულური სახელმწიფოს“ კონცეფცია გერმანელ/ამერიკელ იურისტსა და პოლიტოლოგს, ერნსტ ფრენკელს ეკუთვნის. ფრენკელი იყო გერმანელი ემიგრანტი შეერთებულ შტატებში, სადაც მან 1941 წელს თავისი საეტაპო ნაშრომი „დეულური სახელმწიფო“ გამოაქვეყნა.⁶³ ამ ნაშრომში პირველად გაანალიზდა თეორიული თვალსაზრისით ნაციისტური სამართლებრივი წესრიგის კონცეფცია და ლოგიკა. ფრენკელი წარმოშობით ებრაელი იყო და 1930-იან წლებში ადვოკატად მუშაობდა, სანამ 1938 წელს ქვეყანას დატოვებდა. აღნიშნულ პერიოდში, მუდმივად იცავდა მემარცხენე პოლიტიკურ აქტივისტებს, რისი წყალობითაც უნიკალური ხედვა შეიმუშავა სამართლებრივი წესრიგისა და სამართლებრივი ინსტიტუტების მუშაობის შესახებ.

ფრენკელის თეორიის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა, როგორც თვითონ მოიხსენიებდა, ნორმატიული სახელმწიფოს დომინანტური არსებობა, მიუხედავად პოლიტიკური და მჩაგვრელი პრეროგატიული სახელმწიფოს აღზევებისა. პრეროგატიული სახელმწიფოს ქვეშ, ფრენკელი გულისხმობს „სახელისუფლებო სისტემას, შეუზღუდავი თვითნებობითა და ძალადობით, რომელიც არ კონტროლდება არანაირი სამართლებრივი მექანიზმებით“, ხოლო ნორმატიული სახელმწიფო არის „ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც მინიჭებული აქვს კომპლექსური უფლებამოსილებები, რათა განახორციელოს კანონებში, სასამართლოების გადაწყვეტილებებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში ასახული სამართლებრივი წესრიგი“. ნაციისტურ გერმანიაში, ორივე სახელმწიფო ერთდროულად თანაარსებობდა, თუმცა, ნორმატიული სახელმწიფო პრეროგატიული სახელმწიფოს არაპირდაპირი თანხმობით ფუნქციონირებდა.

ფრენკელის მოსაზრებით, სამართალი მესამე რაიხის დროსაც არსებობდა. თუმცა, სამართლის დარღვევა შესაძლებელი იყო პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ვინაიდან ნორმატიული სახელმ-

63 Republished as Ernst Fraenkel and Jens Meierhenrich. *The Dual State: A Contribution to the Theory of Dictatorship* (Oxford: Oxford University Press, 2017).

ნიფოს საზღვრებს პრეროგატიული სახელმწიფო ადგენდა. თუკი ფრენკელის ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, ნორმატიული სახელმწიფო პრეროგატიული სახელმწიფოს დაქვემდებარებაში იყო. სამართლის ამგვარი დამორჩილება აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან კარგად ხსნის, თუ როგორ ხორციელდებოდა ნაციისტების ტერორი სამართლისა და სამართლებრივი ინსტიტუტების არსებობის მიუხედავად. მთავრობის დაყენებული მოთხოვნა, კანონთან დაკავშირებით საბოლოო სიტყვა ბერლინს გადასცემოდა, სტერნისთვის ავის მომასწავებელი ნიშანი იყო, რადგან ამგვარი იდეოლოგია გერმანიაში სულ რაღაც 35 წლით ადრე დომინირებდა.

ფუნქციონერი თუ მოსამართლე?

კიდევ ერთ ბრძოლის ველს სტერნის პოსტზე დანიშვნის მიზანი წარმოადგენდა: იყო ის მოსამართლე, თუ ბერლინში აშშ-ის საოკუპაციო ადმინისტრაციის ფუნქციონერი? სამართლის მეცნიერი და პოლიტოლოგი ოტო კირხჰაიმერი ფუნდამენტურ განსხვავებას ხედავს ჯარისკაცსა და მოსამართლეს შორის, ზემდგომი ორგანოს ბრძანების შესრულების თვალსაზრისით. როგორც ჯარისკაცის, ასევე მოსამართლის ვალდებულებაა ერთგულება, თუმცა მათი ერთგულების ობიექტები განსხვავდებიან. ჯარისკაცს ევალება სამეთაურო შემადგენლობის ერთგულება, ხოლო მოსამართლე ვალდებულია მოსამართლის მანდატს უერთგულოს.⁶⁴ კანონი სუბორდინაცია არ არის, ამიტომ მოსამართლე, ჯარისკაცისგან განსხვავებით, საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა განსაზღვრავდეს კანონის შინაარსს.

მაშინაც კი, თუ მოსამართლე ზოგადი ლეგიტიმაციის მქონე სასამართლოში მუშაობს, დამოუკიდებლობის არარსებობა, მაგალითად, მოსამართლესა და საქმის ერთ-ერთ მხარეს შორის წინასწარ გაფორმებული შეთანხმება საქმის საბოლოო შედეგის შესახებ – სასამართლოს გადაწყვეტილებებს სამართლებრივ აზრს უკარგავს და მოსამართლის პასუხისმგებლობას წარმოშობს. მოსამართლის იმუნიტეტით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ იმ მოსამართლეებს, რომ-

64 Otto Kirchheimer, *Political Justice: The Use of Legal Procedure for Political Ends* (Princeton, NJ: Princeton University Press, 1961), 176.

ლებიც მოსამართლის ფუნქციას ასრულებენ.⁶⁵ ამიტომ, მოსამართლეს, რომელიც სხვისი მითითებებით მოქმედებს, იქნება ეს საქმეში რომელიმე მხარე თუ საჯარო ორგანო, არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს მოსამართლის იმუნიტეტით, საკუთარი ქმედებების გასამართლებლად. ხელისუფლების დავალებით მოქმედი მოსამართლე, არაფრით განსხვავდება ადმინისტრაციული ფუნქციონერისგან.

ომის შემდეგ, ნიურნბერგის აშშ-ის სამხედრო ტრიბუნალმა ნაცისტური რეჟიმის მოსამართლეების წინააღმდეგ საქმეში აღნიშნა, რომ მათ „არ ჰქონდათ სასამართლო იმუნიტეტის ანგლო-ამერიკული დოქტრინით სარგებლობის უფლება, რადგან აღნიშნული დოქტრინა ემყარება დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების იდეას, რომელიც მიუკერძოებელ მართლმსაჯულებას ახორციელებს“. წინასწარ შეთანხმებული გადაწყვეტილება ვერ ჩაითვლება სასამართლოს გადაწყვეტილებად, შესაბამისად, მოსამართლე, რომელიც სხვის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ინონებს, არ ასრულებს მოსამართლის უფლებამოსილებას. საქმეში მხარის მითითებების შესრულება არის კორუფცია; ხელისუფლებისგან მითითებების მიღება ნიშნავს მოქმედებას აღმასრულებელი ხელისუფლების და არა – სასამართლო ხელისუფლების სასარგებლოდ. ზოგადი სამართლის თანახმად, მოსამართლის იმუნიტეტით სარგებლობისთვის საჭიროა, მოსამართლე დარჩეს საკუთარი ოფიციალური იურისდიქციის ფარგლებში და შეასრულოს მოსამართლის ფუნქცია. ვფიქრობ, ეს გონივრული ათვლის წერტილია. არ არსებობს რაიმე მიზეზი, რითაც შეიძლება გავამართლოთ მოსამართლე, რომელიც წმინდა ადმინისტრაციული ხასიათის ფუნქციას ასრულებს, იმაზე უკეთესადაც კი, ვიდრე ნებისმიერი საჯარო მოხელე.

სტერნს არ სურდა ბერლინში ბრალდებულების უფლებების დარღვევის პროცესის მონაწილე ყოფილიყო. რაღაც მომენტში, ფიქრობდა კიდევ დაეტოვებინა ბერლინში თავისი თანამდებობა. მას ხომ უსაფრთხო და კომფორტული მოსამართლის პოსტი ელოდა სახლში; რატომ უნდა ებრძოლა უძლეველ ძალასთან ბერლინში? ეს ხომ ის ბრძოლა იყო, რომელსაც ვერ მოიგებდა, რადგან მთავრობას ნებისმიერ

65 დამატებით იხილეთ: Hans Petter Graver, “Judging without Impunity: On the Criminal Responsibility of Authoritarian Judges,” *Bergen Journal of Criminal Law & Criminal Justice* 4:1 (2016), 125-149, <https://doi.org/10.15845/bjclcj.v4i1.1029>

დროს შეეძლო მისი მოხსნა. თუმცა, საქმე ეხებოდა არა მხოლოდ პრინციპებს, არამედ წყდებოდა სასამართლო პროცესის მომლოდინე ორი ადამიანის ბედი. „თუკი მოსამართლე გადადგება საკუთარი „ღირსების“ გადასარჩენად, ან საკუთარ მთავრობასთან დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, მაშ ვინაა დაიცავს ადამიანების უფლებებს სასამართლოში“, – ფიქრობდა ის. მისი ისტორია გვიჩვენებს, რომ გაბეულ მოსამართლეს ცვლილებების მოხდენის უნარი ნამდვილად შესწევს. სტერნს არ შეეძლო სისტემის შეცვლა, მაგრამ შეეძლო იმის უზრუნველყოფა, რომ ბრალდებულებს მიეღოთ ისეთი სამართლებრივი პროცესი, რისი უფლებაც, სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური პრინციპების თანახმად, ნამდვილად ჰქონდათ.

გამოყენებული ლიტერატურა

- Fraenkel, Ernst, and Jens Meierhenrich. *The Dual State: A Contribution to the Theory of Dictatorship*. Oxford: Oxford University Press, 2017.
- Fullerton, Maryellen. “Hijacking Trials Overseas: The Need for an Article III Court.” *William and Mary Law Review* 28, no. 1 (1986): 1.
- Graver, Hans Petter. “Judging without Impunity: On the Criminal Responsibility of Authoritarian Judges.” *Bergen Journal of Criminal Law and Criminal Justice* 4, no. 1 (2016): 125–49.
- Kirchheimer, Otto. *Political Justice: The Use of Legal Procedure for Political Ends*. Vol. 2303. Princeton Legacy Library; Princeton, NJ: Princeton University Press, 2015.
- Schöllgen, Gregor, Möller, Horst, Hildebrand, Klaus. “Dokumentenverzeichnis.” In *Akten Zur Auswärtigen Politik Der Bundesrepublik Deutschland* (1962), Xvii–Lxxxvi. München: Oldenbourg Wissenschaftsverlag, 2010.
- Stern, Herbert J. *Judgment in Berlin: The True Story of a Plane Hijacking, a Cold War Trial, and the American Judge Who Fought for Justice*. New York: Universe Books, 1984.

აჭარონ ბარაკი

გმირი ბრძოლის ველზე

მოკლე მიმოხილვა

როგორც ამბობენ, როდესაც ბრძოლის ველზე ქვემეხები ქუხან, მაშინ კანონები სდუმან. თუმცა, ისრაელის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, აჭარონ ბარაკის ისტორია იმ მოსამართლის შესახებ გვიყვება, რომელიც სამართალს ომისა და ტერორის შუაგულშიც კი იცავს. ამ თავში, გავეცნობით მოსამართლეს, რომელსაც ზოგი სამოსამართლო აქტივიზმში ადანაშაულებს, ზოგიც კი გმირად მიიჩნევს. მოსამართლე ბარაკის მემკვიდრეობის ისტორიული კონტექსტი ძალზედ მნიშვნელოვანია, რათა კარგად გავაანალიზოთ დღევანდელ ისრაელში სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობა.

ომებისა და კრიზისების დროს, მოსამართლეები ომისა და მშვიდობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების უფლებას თითქმის ყოველთვის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებას გადასცემენ. ისრაელის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე აჭარონ ბარაკი კი არის მოსამართლე, რომელმაც დინების საპირისპიროდ ცურვა გადაწყვიტა. იგი ნამდვილად იმსახურებს ადგილს ჩვენი გმირების გვერდით, რადგან მან მკაფიოდ დაიცვა სამართლისა და სასამართლოს დანიშნულება ისეთი დავების შემთხვევაში, რომლებიც მაშინ წარმოიშობა, როდესაც სახელმწიფო ბრძოლას საკუთარი უსაფრთხოებისთვის იწყებს. ბარაკმა

აჩვენა, რომ შესაძლებელია სასამართლომ შეინარჩუნოს თავისი ფუნქცია, ისეთ ქვეყანაშიც კი, სადაც ომია და რომელიც მტრებითაა გარშემორტყმული.

მოსამართლეები, რომლებიც განზე დგომას არჩევენ

ის, რომ მოსამართლეები ომის დროს გადანყვეტილების მიღების უფლებას პოლიტიკოსებს ანდობენ, უფრო ნესია, ვიდრე გამოჩნაკლისი. სწორედ ასე მოხდა, როდესაც აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადანყვეტილება იაპონური წარმოშობის მოქალაქეების ინტერნირების შესახებ მეორე მსოფლიო ომის დროს, სკანდალურად ცნობილ საქმეში „კორამაცუ შეერთებული შტატების წინააღმდეგ“.⁶⁶ იგივე მოხდა ცივი ომის პერიოდში, როდესაც დასავლეთის ქვეყნებში დაცვის პოლიცია აღიჭურვა საგანგებო უფლებამოსილებით, თვალთვალი განეხორციელებინათ ყველა იმ პირზე, რომლებიც კომუნისტებისადმი სიმპათიების გამოხატვაში იყვნენ შემჩნეულები. ნებისმიერი საგანგებო მდგომარეობის დროს, მოსამართლეები, როგორც ნესი, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გატარებული ზომების შემონიშნას საგანგებო პერიოდის დასრულების შემდეგ იწყებენ.

როდესაც ეს ნორმა შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ იგივე ვრცელდება მოსამართლეებზე ისრაელის მსგავს ქვეყნებში. ისრაელი ომს აწარმოებს და თითქმის უწყვეტად ებრძვის წინააღმდეგობის შენაერთებს 1947 წელს მიღებული გაეროს „პალესტინის გაყოფის გეგმის“ დღიდან. ისრაელის მთავრობა, თავის მხრივ, აცხადებს, რომ კანონიერად იცავს თავს პალესტინელების უკანონო ტერორისტული აქტების საპასუხოდ. მიუხედავად ამისა, 1980-იანი წლებიდან, ისრაელის უზენაესმა სასამართლომ კონტროლის განხორციელება დაიწყო სტრატეგიული გადანყვეტილებებისა და სამხედრო ოპერაციების მიზანშეწონილობაზე. ეს მოვლენა ერთ კონკრეტულ პიროვნებას დაუკავშირდა: უზენაესი სასამართლოს მოსამართლე აპარონ ბარაკს. სწორედ ბარაკის ხელმოწერა ამშვენებს ისრაელში მიღებული ტრანსფორმაციული მნიშვნელობის კონსტიტუციური სასამართლოს გადანყვეტილებების უმეტესობას.

ბარაკის რევოლუცია

აპარონ ბარაკი უზენაეს სასამართლოში სამუშაოდ 1978 წელს მივიდა. იგი ასაკით ყველაზე ახალგაზრდა მოსამართლე იყო. 1995 წლიდან 2006 წლამდე, მას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტი ეკავა. როგორც კი ბარაკი უზენაეს სასამართლოში მოსამართლედ დაინიშნა, მან დაიწყო, ეგრეთ წოდებული, სასამართლო რევოლუცია.

ისრაელს არ აქვს დანერილი კონსტიტუცია, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა კანონებისა და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების შემოწმება. ბარაკმა, მთელ რიგ სასამართლო გადაწყვეტილებებში, ყველაფერი თავდაყირა დააყენა, როდესაც დაადგინა, რომ სასამართლო უფლებამოსილია შეამოწმოს სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების კანონიერება. სასამართლოებმა ეს საჩივრის დასაშვებობის მარეგულირებელი ნორმების გაფართოებით მოახერხეს; ეს ნიშნავს, რომ ყველა ადამიანს, ვინც სავარაუდოდ სახელმწიფოს მიერ გატარებული ზომების შედეგად დაზარალდა, ენიჭება სასამართლოზე წვდომისა და შესაბამისად, სასამართლოსთვის სარჩელთ მიმართვის უფლება. ზოგადად, ბარაკი თვლიდა, რომ ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს სამართლიანობისა და გონივრულობის ფარგლებში და რომ სასამართლო ვალდებულია განახორციელოს ამ ყველაფრის კონტროლი.

ბარაკმა დანერგა სამართლის ნორმის „მიზნობრივი განმარტების“ პრინციპი, რომლის თანახმად, ნებისმიერი ნორმა, რომელიც ხელისუფლებას მოქმედების უფლებამოსილებას ანიჭებს, უნდა განიმარტოს ისე, რომ უფლებამოსილების ფარგლები არ გასცდეს ნორმის მიზანს და ასევე განიმარტოს ისრაელის, როგორც ებრაული და დემოკრატიული სახელმწიფოს საერთო მიზნებისა და ღირებულებების გათვალისწინებით. სასამართლო ვალდებულია არ დაუშვას ზემოთქმულის საწინააღმდეგო ზომებისა და ღონისძიებების დამტკიცება.

სასამართლო ინტიფადას დროსაც სასამართლოდ რჩება

ბარაკის დანერგილმა იდეებმა დრამატულად შეცვალა სასამართლოს საქმიანობა და ის ადამიანის უფლებების დამცველად აქცია. ეს ყოველივე ხდებოდა მაშინაც, როდესაც ისრაელში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვითარება ძალიან გამწვავდა ინტიფადების გამო

– პალესტინელთა დაუმორჩილებლობა ოკუპირებულ დასავლეთ სანაპიროზე. პირველი ინტიფადა 1987 წელს დაიწყო და ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეინირა. მეორე ინტიფადა დაიწყო 2000 წელს და 3000-ზე მეტი პალესტინელისა და 1000 ისრაელელის სიკვდილით დასრულდა.

მეორე ინტიფადას დროს, ისრაელის სასამართლომ დაიწყო სერიოზული ჩარევა კონფლიქტში. ბარაკს სჯეროდა, რომ ტერორისტული აქტების დროს, მოსამართლე მტკიცედ უნდა იცავდეს ფუნდამენტურ პრინციპებსა და ღირებულებებს. მას ასევე სწამდა, რომ სამართლის დაცვა სწორედ ტერორის დროსაა ყველაზე მეტად საჭირო. მისი იდეოლოგიის თანახმად, მოსამართლეებმა თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ქვეყანა უნდა დაიცვან როგორც ტერორიზმისგან, ასევე იმ სტრატეგიებისგან, რომელთა გამოყენებასაც სახელმწიფო ტერორიზმთან საბრძოლველად აპირებს. ბარაკის სასამართლო მოითხოვდა, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებები და სამხედრო ოპერაციები სასამართლო კონტროლს დაჰქვემდებარებოდა.

კონტრტერორისტული ღონისძიებების სასამართლო ზედამხედველობისადმი დაქვემდებარების მოთხოვნას საფუძვლად ბარაკის მიერ სხვადასხვა სექტორში დანერგილი, აღმასრულებელ შტოზე სასამართლო კონტროლის პრაქტიკა დაედო. მართალია, მისი ზოგიერთი კოლეგა უკმაყოფილებას გამოთქვამდა და თვლიდა, რომ სასამართლო კონტროლი უკვე დამკვიდრებულ სტანდარტს არ შეესაბამებოდა, თუმცა, ბარაკის ხედვამ სასამართლოს მხარდაჭერა მაინც მოიპოვა. საბოლოოდ, სასამართლო კონტროლი დაინერგა როგორც ოფიციალური სამართლებრივი წესრიგი.

ორთოდოქსი თემის პროტესტი

რევოლუციას ისრაელის სასამართლო სისტემაში გამოწვევების გარეშე არ ჩაუვლია. 1990-იან წლებში მიღებული მთელი რიგი გადაწყვეტილებებით, ბარაკი და მისი კოლეგები ისრაელში მოქმედ ორთოდოქს ჯგუფებს დაუპირისპირდნენ. მოსამართლეებმა შეზღუდეს რელიგიური სასწავლებლების სტუდენტების ჯარში განწვევისგან გათავისუფლების წესი, კიბუცებში მალაზიებს შაბათობით მუშაობის უფლება მისცეს, აღიარეს ჰომოსექსუალი პირების უფლება მიეღოთ

პენსია მარჩენლის გარდაცვალების შემდეგ და დაადგინეს, რომ შესაძლებელი იყო ლიბერალური რაზინების პასუხისმგებლობაში მიცემა ადამიანების იუდაიზმის რჯულზე გადაბირებისათვის. შედეგად, 1999 წლის თებერვალში, 250 000 ადამიანი გამოვიდა იერუსალიმის ქუჩებში, სასამართლოს მხრიდან სახელმწიფოსა და რელიგიურ ჯგუფებს შორის არსებულ ურთიერთობაში ჩარევის გასაპროტესტებლად. აპარონ ბარაკს „ებრაელი ხალხის მჩაგვრელი“ უწოდეს. პოლიტიკოსებმა, ეროვნულ საკანონმდებლო ორგანო ქნესეთში, კრიტიკით აავსეს ბარაკი, მოიხსენიეს რა ის ადამიანად, რომელსაც სურდა ტოტალიტარული ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ვისთვისაც სამართალი და სასამართლო სათაყვანებელ კერვს წარმოადგენდა.

ამ ბოლო ხანებში, უზენაესი სასამართლო ისრაელის პოლიტიკური უმრავლესობის საპასუხო თავდასხმის ქვეშაა. პოლიტიკურად მოტივირებული საკონკურსო პროცედურის მეშვეობით, ისინი ცდილობენ უფრო ლოიალური მოსამართლეები დანიშნონ. ქნესეთი განიხილავს ისრაელის საკონსტიტუციო სისტემაში ისეთი დამძლევი ნორმის დამატებას, რომელიც საშუალებას მისცემს ქნესეთს არაპროპორციულად დაარღვიოს კონსტიტუციური უფლებები.⁶⁷ შესაძლოა, მართლაც დასრულდა მწვავე კონფლიქტების მიმდინარეობაზე სასამართლოს აქტიური ზედამხედველობის ხანა. ამგვარ სიტუაციაში, აპარონ ბარაკის მტკიცე რწმენა, რომლის თანახმადაც, მოსამართლე ვალდებულია ჩაერიოს კონფლიქტში, შესაძლოა შთაგონებდა იქცეს ყველასთვის, ვინაიდან ბარაკი თავისი საქმით გვიჩვენებს, რომ ეს შესაძლებელია.

გაექცა პოლოკოსტს

ვინ არის ზემოთ აღწერილი სამართლის გმირი? აპარონ ბარაკი დაიბადა 1936 წელს ლიტვაში. მეორე მსოფლიო ომის დროს, ის და დედამისი კაუნასის გეტოდან სწორედ მაშინ გაიქცნენ, როდესაც ნაცისტებმა გეტოდან ბავშვების დეპორტაციის გადანყვეტილება მიიღეს. ბარაკი სამხედრო უნიფორმებით სავსე ტომარაში ჩასვეს და მანქანის საბარგულში გადამალული ჩუმად გადაიყვანეს საზღვარზე. დედამისმა

67 Rivka Weill, “The High Stakes Israeli Debate over the Override,” VerfBlog, <https://verfassungsblog.de/the-high-stakes-israeli-debate-over-the-override/>, doi: 10.17176/20221126-001705-0.

გუშაგის მოსყიდვით დააღწია თავი გეტოს. ომის დასრულებამდე, დედა-შვილს ლიტველი ფერმერები მალავდნენ, ხოლო 1947 წელს, ოჯახი ისრაელში ემიგრაციაში წავიდა.

აპრონმა იურისპრუდენცია იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში შეისწავლა, ხოლო 1974 წელს ფაკულტეტის დეკანად დაინიშნა. 1975 წელს, იგი გენერალური პროკურორი გახდა, ხოლო 1978 წელს – უზენაესი სასამართლოს მოსამართლის პოსტი დაიკავა. ბარაკის პირველი უმნიშვნელოვანესი დავალება ლიბანის ომის დროს საბრასა და შატილაში განხორციელებული მასობრივი მკვლელობის საგამოძიებო კომისიის წევრობა იყო, რომელსაც უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტი იცხაკ კაჰანი ხელმძღვანელობდა. 1982 წლის 16 სექტემბერს, ლიბანის შეიარაღებული დაჯგუფების ბოეიკებმა 460-დან 3500-მდე მშვიდობიანი მოქალაქე ამოხოცეს, ძირითადად პალესტინელები და ლიბანელი შიიტები, მაშინ როცა ისრაელის თავდაცვის არმიას (IDF) ბანაკი ალყაში ჰყავდა მოქცეული. აღნიშნულ ფაქტამდე რამდენიმე ხნით ადრე, IDF-ის დასავლეთ ბეირუთში მანევრირების სქემის თანახმად, IDF-მა ბოეიკებს უბრძანა, რომ პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის (PLO) მებრძოლებს საბრა და შატილა დაეტოვებინათ. როდესაც ხოცვა-ჟლეტა დაიწყო, IDF-ს ეცნობა მიმდინარე სისასტიკის შესახებ, მაგრამ მათ არანაირი ზომები არ გაატარეს ხოცვა-ჟლეტის აღსაკვეთად ან შესაჩერებლად.⁶⁸ ამ ფაქტის გასაჯაროების შემდეგ, თავდაცვის მინისტრი, ხოლო მოგვიანებით პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი, იძულებული გახდა თანამდებობა დაეტოვებინა. სწორედ ამ ფაქტის შემდეგ დაიწყო ბარაკმა, როგორც მე ვუწოდებ, სასამართლო რევოლუცია. 1993 წელს, იგი უზენაესი სასამართლოს ვიცე თავმჯდომარე გახდა, ხოლო 1996 წელს, სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნა. 2006 წელს, მან ასაკიდან გამომდინარე პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა. ბარაკი დღემდე კითხულობს ლექციებს სამართლის მიმართულებით როგორც თავის ძველ უნივერსიტეტში, ასევე აშშ-ის უნივერსიტეტებში, კერძოდ, იელში და ჯორჯთაუნში, ასევე მსოფლიოს რამდენიმე სხვა ადგილას.

68 იხილეთ Linda A. Malone, “The Kahan Report, Ariel Sharon and the Sabra-Shatilla Massacres in Lebanon: Responsibility under International Law for Massacres of Civilian Populations.” *Utah Law Review* 2 (1985), 373.

კანონი არ სდუმს

აპარონ ბარაკი სამართლის გმირია, ვინაიდან ის სამართლის უზენაესობას ზენოლის მიუხედავად იცავს. ის ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან მოსამართლეთაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კანონი ბრძოლის ველზე არ უნდა სდუმდეს.

ისრაელის უზენაეს სასამართლოს უფლება აქვს ომის მიმდინარეობაში ჩაერიოს იმ სისტემის წყალობით, რომლის თანახმად ოფიციალური ზომების კანონიერების საკითხს მხოლოდ უზენაესი სასამართლო ადგენს. აღნიშნული სისტემა ჯერ კიდევ „ბრიტანეთის სამანდატოს“ პერიოდს უკავშირდება, როდესაც უმაღლესი სასამართლო ინგლისელი მოსამართლეებით იყო დაკომპლექტებული. ბრიტანელებს არ სურდათ გაერისკათ და ქვედა ინსტანციის მოსამართლეებისთვის მიენდოთ მიღებული გადაწყვეტილებების განხილვა, თუმცა, ამავდროულად სურდათ ხელისუფლების საქმიანობა დაჰქვემდებარებოდა სასამართლოს კონტროლს, შესაბამისად, შეიქმნა მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც მთავრობის მიერ გატარებულ ზომებს უშუალოდ უმაღლესი სასამართლო განიხილავდა.

აღნიშნული წესრიგი ისრაელის ახალ სახელმწიფოშიც შენარჩუნდა. ინტიფადას დროს, 50 წლის შემდეგ, ხელისუფლების წარმომადგენლებს არაერთხელ მოუწიათ სასამართლოს წინაშე წარდგომა საკუთარი ქმედებების დასასაბუთებლად ან ზოგიერთ შემთხვევაში, იმის აღმოსაჩენად, რომ მათი მოქმედება კანონით იზღუდებოდა. და ყველაფერი ეს შესაძლებელი გახდა იმ პრაქტიკის დამსახურებით, რომელიც სასამართლოში აპარონ ბარაკის თაოსნობით დაინერგა.

დაპატიმრება, დაკითხვა, ლიკვიდაცია და კედელი დასავლეთ სანაპიროზე

სასამართლოში შესული საკითხების ჩამონათვალი დასტურია იმისა, თუ რამდენად წმინდა სამხედრო ოპერაციები ექცეოდა სასამართლო კონტროლის ქვეშ:

- ეჭვიმტანილ პირთა ხანგრძლივი ვადით დაკავება სასამართლოს წინაშე წარდგენის გარეშე
- ტერორიზმში ეჭვიმტანილი პირების დაკავება ისრაელელ

სამხედრო ტყვეებზე გაცვლის მიზნით

- დაკითხვის „ინტენსიური“ მეთოდები
- მიზანმიმართული ლიკვიდაციები
- ტერორისტების საცხოვრებელი სახლების აფეთქება
- კასეტური ბომბების გამოყენება
- კედლის აღმართვა პალესტინის ტერიტორიის საზღვართან

ინტიფადას მიმდინარეობისას, სასამართლომ შეამოწმა ხელისუფლების ზომების კანონიერება პალესტინელი მემბოხეების წინააღმდეგ. მაგალითად, სასამართლომ დაასკვნა, რომ დაუშვებელია პალესტინელების დატყვევება, პალესტინელების მიერ ტყვედ აყვანილ ისრაელელებზე გაცვლის მიზნით. სხვა საქმეებში კი, სასამართლომ დააკანონა პროცედურული უფლებები. მაგალითად, საცხოვრებელი სახლის მაცხოვრებლებს უფლება მიეცათ წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრება, სანამ ტერორისტების საცხოვრებელ სახლს მინასთან გაასწორებენ. თუმცა, სასამართლო მხოლოდ ფორმალუბით არ დაკმაყოფილდა. გარდა ამისა, ამიერიდან კონკრეტული ღონისძიებების მიზანშეწონილობის და პროპორციულობის საკითხს სასამართლო წყვეტს. მაგალითად, სასამართლოს განკარგულებით, კედლის მშენებლობისთვის დაგეგმილი მარშრუტი გადატანილი იქნა პალესტინის ტერიტორიებთან ახლოს, რათა შემცირებულიყო დაზარალებული პალესტინელი მინათმესაკუთრების უფლებების ხელყოფა.

ანტიტერორისტული ომის კონტროლი რეალურ დროში

ბარაკის სასამართლოს მიდგომა ემყარება ორ ძირითად დაშვებას: ნებისმიერ ადამიანს, რომელიც დაზარალდა ხელისუფლების მოქმედებით, უნდა ჰქონდეს უფლება მისი საქმე სასამართლომ განიხილოს და სახელმწიფოს არც ერთი ქმედება, ასევე საომარი ოპერაცია, არ შეიძლება გათავისუფლდეს სასამართლო კონტროლისგან. ხანდახან სახელმწიფომ შეიძლება იცავოს, რომ მისი კონტრტერორისტული ღონისძიებების უმეტესი ნაწილი სასამართლოს იურისდიქციისთვის ხელმიუწვდომელია, ვინაიდან ისინი ქვეყნის საზღვრებს მიღმა ხორციელდება, ვინაიდან სახელმწიფო აქტის დოქტრინას წარმოადგენს, ან პოლიტიკური ხასიათისაა. მთავრობამ ყველა ეს არგუმენტი უზენაეს სასამართლოში გააყდერა, თუმცა უმეტესობა მათგანი არ იქნა გაზიარებული, რადგან პირდაპირ არღვევდა ადამიანის უფლებებს.

მეორე დაშვება გულისხმობს, რომ უზენაესი სასამართლოს კარი ყველასთვის ღიაა, ვისაც კი სურს იჩივლოს საჯარო დანესებულების მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედების თაობაზე. ყველა ადამიანს გააჩნია საკუთარი პოზიცია როგორც ომიანობის, ასევე მშვიდობიანობის დროს. სარჩელის შეტანის უფლება იმ პირებზეც კი გავრცელდა, რომლებიც თვითონ უშუალოდ არ დაზარალებულან რაიმე აქტის ან ქმედების შედეგად. ამგვარად, სარჩელის აღძვრის უფლება მიეცათ სამოქალაქო უფლებების დამცველ ორგანიზაციებსაც, საზოგადოების იმ სეგმენტის უფლებების დასაცავად, რომელთა დაცვა ადამიანების უმეტესობას არ სურს (მათ შორის ექვმიტანილი ტერორისტების).

ეს არა მხოლოდ რეტროსპექტიული კონტროლია, არამედ ასევე ზედა-მხედველობაც რეალურ დროში, რათა მოხდეს ხელისუფლების მხრიდან ნებისმიერი უკანონობის ჩადენის აღკვეთა. ბარაკი მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებების დაცვა ვერ მოხდება, თუკი შეიარაღებული კონფლიქტების დროს, სასამართლოები, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის შემონმებას მხოლოდ და მხოლოდ საგანგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გადანყვეტენ.

ბარაკის რევოლუცია

საერთაშორისო სამართლის განვითარება უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ სამართლებრივ ცვლილებადაა აღიარებული. ადამიანის უფლებების ისტორიული ფესვები საუკუნეების ან ზოგჯერ ათასობით წლით ადრეც კი იქნა მიკვლეული. თუმცა, საერთაშორისო (ადამიანის უფლებათა) კონვენციებისა და საერთაშორისო სასამართლოების განვითარება (გარდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა) მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა შესაძლებელი და მხოლოდ 1970-იან წლებში დაიწყო აღნიშნულმა მექანიზმებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა ეროვნულ კანონმდებლობებზე. ეს მოვლენა არსებითად ცივი ომის დასრულების შემდეგ დაჩქარდა, თუმცა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში შენელდა და გარკვეულ წინააღმდეგობებსაც კი შეხვდა. მთლიანობაში, აღნიშნულმა მრავალფეროვანმა მოვლენებმა გააძლიერეს

და მხარი დაუჭირეს სამართლის ავტონომიას, თუმცა ასევე გამოიწვიეს პრობლემები და ღია თავდასხმები.

ევროპეიზაცია ევროპაში კანონმდებლობასა და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე სასამართლო კონტროლის განვითარების მთავარ მამოძრავებელ ღერძად იქცა. აღნიშნული დღემდე წარმოადგენს ევროკავშირისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მთავარ დანიშნულებას. ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, პირდაპირი მოქმედების პრინციპი და ევროკავშირის კანონმდებლობის უპირატესობა ეროვნულ სასამართლოებს ავალდებულებს უარი თქვან შეუთავსებელი ეროვნული ნორმის გამოყენებაზე. ადამიანის უფლებათა აქტების მიღებით, რისი მიზანიც ევროპული კონვენციის განხორციელებაა, ეროვნულ სასამართლოებს ევროპის უმეტეს ქვეყანაში საშუალება მიეცათ ძალადაკარგულად ან არაქმედიტად გამოაცხადონ ნებისმიერი კანონი, რომელიც კონვენციით დადგენილ უფლებებს არ შეესაბამება. ამ ორმა მოვლენამ პოლიტიკის „იურიდიზაცია“ გამოიწვია, რაც აღმასრულებელი და/ან საკანონმდებლო შტოსგან განსხვავებით, სასამართლოების იურისდიქციის გაფართოებას გულისხმობს.

ისრაელში ამ მოვლენის გამორჩეულობას განაპირობებს ის, რომ იურიდიზაცია სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც ქვეყანაში შეიარაღებული კონფლიქტები ერთი მეორის მიყოლებით ფიქსირდებოდა, ხშირი იყო ტერორისტული თავდასხმები და შეიარაღებული აჯანყებები. და ამ ყველაფერში ყველაზე უნიკალური კი ის არის, რომ ისრაელის სასამართლო შესაძლებლობას არ აძლევს ხელისუფლებას, კრიზისები საკუთარი ქმედებების სასამართლოს კონტროლისგან გათავისუფლების მიზეზად გამოიყენოს. ისრაელის სასამართლო პრაქტიკა დიდი თავისტკივილია ხელისუფლების წარმომადგენლების საერთო სურვილის მიმართ, იქონიონ ტერორისტების წინააღმდეგ ომში მოქმედების ფართო თავისუფლება.

ბარაკის რევოლუციას თავდაპირველად პოლიტიკოსები არ აპროტესტებდნენ. ისრაელის საკანონმდებლო ორგანო ქნესეთს, საერთოდ არ უცდია სასამართლოს უფლებამოსილების შეზღუდვა. პირიქით, ბევრი პოლიტიკოსი ჩართულიც კი იყო ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რეფორმების განხორციელებაში. 1992 წელს, გარკვეული ფუნდამენტური უფლებები კანონითაც კი გაინერა. აღნიშნული უფლებები უზენაესმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში კიდევ უფრო გაა-

ძლიერა და ჩვეულებრივ კანონმდებლობასთან შედარებით უფრო მაღალი მნიშვნელობა მიანიჭა, რითაც კანონმდებლობაზე სასამართლო კონტროლის დაკანონების საფუძველი შექმნა.

ეს მოხდა ერთ-ერთ ნაკლებად გახმაურებულ საქმეში, სადაც მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე, ამიტომ ძალიან ცოტამ თუ მიაქცია ყურადღება სასამართლოს განცხადებას, რომ მას ფაქტობრივად კანონის გაუქმების უფლება ჰქონდა (ადამიანები შოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ პრემიერ მინისტრ იცჰაკ რაბინის მკვლელობის გამო). კერძოდ, 1995 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში გაერთიანებული მიზრაჰი ბანკის საქმეზე, სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოს აქვს ძირითადი კანონმდებლობის სასამართლო წესით გადახედვის უფლება. ათი წლის შემდეგ, სწორედ ეს გადაწყვეტილება დაედო საფუძვლად იმას, რასაც შემდგომში სასამართლო რევოლუცია ეწოდა სამოქალაქო უფლებების მიმართულებით. ისრაელელი სამართლის მეცნიერი რივკა ვეილი წერს:

ბარაკის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს ერთი ხელწერა გამო-
არჩევს: დასაბუთებული გადაწყვეტილებები ratio decidendi, დღის
წესრიგში მდგარ მწვავე პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით,
პოლიტიკურ მხარეებს ამშვიდებს. პოლიტიკური შტო გადაწყვეტილების
შედეგით კმაყოფილია. ვერდიქტები მკვეთრ და მნიშვნელოვან გავლენას
ახდენს მომავალ საკანონმდებლო ორგანოებსა და მთავრობებზე.
გადაწყვეტილებებში მოცემული მსჯელობა და დასაბუთება აფართოებს
სასამართლოს უფლებამოსილებას პოლიტიკური განშტოებების
მიმართ.⁶⁹

მოსამართლეები გამოცდას ომის დროს აბარებენ

ბარაკის რწმენით, ტრადიციული სიბრძნე მასზე, რომ სასამართლო სიფრთხილით უნდა ამოწმებდეს ხელისუფლებას რთულ და კრიტიკულ სიტუაციებში, არასწორია. მაგალითებზე დაყრდნობით ის გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია სასამართლო სისტემამ შეასრულოს თავისი როლი,

69 Rivka Weill, “The Strategic Common Law Court of Aharon Barak and Its Aftermath: On Judicially-Led Constitutional Revolutions and Democratic Backsliding.” *Law & Ethics of Human Rights* 14:2 (2020), 227-272.

თუნდაც საგანგებო სიტუაციების დროს. ბარაკის გადანყვეტილებები წამებისა და წინასწარი განზრახვით ჩადენილი მკვლევლობების საქმეში შთაგონებად იქცა იურისტებისთვის მთელს მსოფლიოში, რომლებიც სამართლის უზენაესობის ფარგლებში ცდილობენ არ შეწყვიტონ ბრძოლა ტერორთან. ბარაკს მიაჩნია, რომ სწორედ ომის დროს და ტერორიზმთან ბრძოლაში გამოიცდება რეალურად სასამართლო.

მეორეს მხრივ, ბარაკი აღიარებს, რომ უნდა არსებობდეს ბალანსი უსაფრთხოებასა და ინდივიდუალურ თავისუფლებას შორის. კონსტიტუცია არ არის რეცეპტი ეროვნული თვითმკვლევლობისთვის, ხოლო ადამიანის უფლებებმა არ უნდა გამოუთხაროს ძირი ეროვნულ უსაფრთხოებას ყველა შემთხვევაში და ნებისმიერ ვითარებაში. სწორედ ამ დროსაა საჭირო რთულ კომპრომისებზე წასვლა. თუმცა, ეს არ უნდა გახდეს საბაზი მოსამართლეებისთვის, თავი აარიდონ ამგვარ კონფლიქტებში ჩარევას. თუ მოსამართლეები არა, მაშ ვინ მიანვდის რჩევებს პოლიტიკურ და სამხედრო ლიდერებს და პრაქტიკოსებს უსაფრთხოებასა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების პატივისცემის დაბალანსებასთან დაკავშირებით მისაღები რთული გადანყვეტილებების შესახებ? ბარაკის დასკვნა ნათელია. როდესაც სიტუაცია მოითხოვს რთულ კომპრომისებზე წასვლას, სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და სამართლის უზენაესობის დაბალანსების მიზნით, მოსამართლეები აქტიურად უნდა ჩაერთონ გადანყვეტილებების მიღების პროცესში და არავითარ შემთხვევაში არ დაიხიონ უკან.

მოსამართლის უზენაესობა არ ნიშნავს სამართლის უზენაესობას

როდესაც ეროვნულ დონეზე წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის დროს, მოსამართლე იწყებს მსჯელობას, უპირატესობა უსაფრთხოებას მიანიჭოს თუ თავისუფლებას, იგი შესაძლოა მრავალმხრივი კრიტიკის ობიექტი გახდეს. ხელისუფლების წარმომადგენლები მოსამართლის მხრიდან კონტროლს არადროულ ჩარევად იღებენ, რადგან ყურადღება ინაცვლებს სავალდებულო ამოცანებიდან და ხანდახან ხელიც კი ეშლებათ მოწინააღმდეგესთან ეფექტურ ბრძოლაში. კონსერვატიული ამერიკელი მოსამართლე რობერტ ბორკი, ბარაკის სასამართლო ფილოსოფიას აღწერს როგორც „სასამართლოს აქტივისტთა სახელმ-

ძღვანელოს“.⁷⁰ ის თვლის, რომ ბარაკი სამართლის უზენაესობას, მოსამართლის უზენაესობაში ურევს და რომ ბარაკი მოსამართლის ავტორიტარულ მმართველობას ემხრობა, რაც მას „პლანეტაზე ყველაზე ცუდ მოსამართლედ“ აქცევს. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ელენა კაგანისთვის კი, ბარაკი არის „მოსამართლე, რომელმაც საუკეთესოდ განავითარა დემოკრატია, ადამიანის უფლებები, სამართლის უზენაესობა და სამართლიანობა“.⁷¹

ბარაკისთვის სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის დაძაბულობა ბუნებრივიცაა და სასურველიც. თუკი სხვა სახელმწიფო სტრუქტურები სასამართლოს გადაწყვეტილებებს ყოველთვის დამაკმაყოფილებლად ჩათვლიან, ეს იქნება ნიშანი იმისა, რომ სასამართლო ვერ ასრულებს თავის კონსტიტუციით დადგენილ მოვალეობას. ამასთან, სასამართლოებმა უნდა აიტანონ კრიტიკა, რადგან ამ გზით ხდება მათი საქმიანობის შემოწმება.

ბარაკმა და უზენაესი სასამართლოს დანარჩენმა წევრებმა რამდენიმე გადაწყვეტილების საფუძველად ეროვნული კანონმდებლობა, და არა საერთაშორისო სამართალი გამოიყენეს. მაგალითად, მათ არ გაითვალისწინეს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს შენიშვნა მასზე, რომ დასავლეთ სანაპიროზე აღმართული კედელი საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება კედლის საქმეში შეიძლება გაგებული იქნას როგორც ისრაელელი მოსამართლეების თავდაცვითი პასუხი საერთაშორისო სასამართლოს მოსაზრებაზე. ამ ფაქტმა დიდი კრიტიკა დაიმსახურა.

კიდევ ერთი კრიტიკული მოსაზრების თანახმად, უზენაესი სასამართლო, როდესაც ხელისუფლების საქმიანობას სასამართლო კონტროლს უქვემდებარებს, ამით მნიშვნელოვან სიმბოლურ ძალაუფლებას ახორციელებს. ბევრი ამტკიცებს, რომ ეს სიმბოლური ძალაუფლება, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება ისრაელის მიერ პალესტინელების ჩაგვრის ლეგიტიმაციას, ამ მოვლენის კანონიერად გამოცხადების გზით. ლიბერალური კომპრომისი ისრაელის სახელმწიფოს უსაფრთხოების

70 Robert Bork, Barak's Rule, *Azure – Ideas for the Jewish Nation*, Winter 5767/2007: 125-132.

71 Abby Phillip, “Bork Hits Kagan over Israeli Judge.” *Politico*, 23 June 2010, <https://www.politico.com/story/2010/06/bork-hits-kagan-over-israeli-judge-038920>

ინტერესებსა და დაზარალებული პალესტინელების უფლებებს შორის, კრიტიკოსების აზრით, მხოლოდ გარეგნულად ჩანს ლიბერალური. სინამდვილეში კი, ეს არის კანონი მუქი დამცავი სათვალთ, სადაც ბარაკი და მისი კოლეგები უარს ამბობენ თვალი გაუსწორონ კონტექსტს, რომელშიც ამგვარი დაბალანსება ხდება: უკანონო ოკუპაცია, რომლის ცენტრალურ საკითხსაც პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლება წარმოადგენს.

ოკუპაციას უზენაესი სასამართლო არ ახდენს

ისრაელის სასამართლოს მიერ აღიარებულია ისრაელის უფლება, განახორციელოს იურიდიქცია დასავლეთ სანაპიროზე, დააარსოს დასახლებები, ააგოს ოჯახებს შორის გამყოფი კედელი, მოახდინოს ლიკვიდაციები და გაანადგუროს ეჭვიმიტანილი ტერორისტების საცხოვრებელი სახლები საერთაშორისო სამართლის დებულებების სანინალმდევოდ. მაგრამ იქნება კი ეს მართებული, თუ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას ბარაკს და სხვა მოსამართლეებს დავაკისრებთ? ოკუპაცია უზენაესი სასამართლოს მიერ მოფიქრებული მდგომარეობა არაა. ეს სამართლებრივი მდგომარეობა ისრაელის სახელმწიფოს პოლიტიკისა და ქნესეთის კანონმდებლობის შედეგია.

მოსამართლეებს ევალებათ დაიცვან მოქმედი კანონმდებლობა და გააკეთონ ყველაფერი, რაც მათ სამართლის ფარგლებში შეუძლიათ. საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების შტოებს შორის ზღვარს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ბარაკის იურიდიულ თეორიაში ეს ცოტა ბუნდოვანია. თუმცა, ამოსავალი წერტილი არის სამართალი. ზოგადად, მოსამართლე კანონში დაწერილ დებულებებს ახმოვანებს, და არ ქმნის ახალ ნორმებს. მხოლოდ რთულ შემთხვევებში საჭიროებს სამართლის განსაზღვრა ახალი კანონის შექმნას. ბარაკს მიაჩნია, რომ მოსამართლეები საკანონმდებლო პროექტში მონაწილე „პარტნიორები“ არიან. მოსამართლეებმა უნდა შეავსონ უფსკრული სამართალსა და რეალურ ცხოვრებას შორის. თუმცა, ბარაკისთვის ისრაელის, როგორც ებრაული სახელმწიფოს არსებობა, სამართლისა და სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტური პრინციპია.

ინტერპრეტაციის მეშვეობით, მოსამართლეები სამართალს ახალ მნიშვნელობას ანიჭებენ, საზოგადოების ცვლილებისა და ახალი სოციალური საჭიროებების კვალდაკვალ. მაგრამ როდესაც მოსამართლეები ასეთ აქტიურ როლს ასრულებენ სამართლის განვითარებაში, განა არ უნდა დაეკისროთ მათ პასუხისმგებლობა სამართლის მდგომარეობაზე? შეგვიძლია რომ სრულად გავათავისუფლოთ ისრაელი მოსამართლეები პალესტინელების ჩაგვრის ბრალდებისაგან? ეს რთული საკითხია. ზოგადად, მოსამართლეზე პასუხისმგებლობის დაკისრება მის მიერ აღსრულებული კანონის ამჟამინდელი მდგომარეობის გამო, სამართლის უზენაესობას ვერ უზრუნველყოფს, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა. თუკი მოსამართლეებს მოეთხოვებათ დამოუკიდებლად მოქმედება, მათ უნდა შეეძლოთ მსჯელობა ისე, როგორც თვითონ ჩათვლიან მიზანშეწონილად, იმაზე წუხილის გარეშე, რომ მათი გადაწყვეტილება მოგვიანებით, შესაძლოა მათზე პოზიტიურად ან ნეგატიურად აისახოს, – კანონის წინაშე პირადი პასუხისმგებლობის სახითაც კი.

სასამართლოს პოლიტიკა

ის, თუ რა ფუნქცია აკისრიათ და უნდა დაეკისროთ მოსამართლეებს სამართლის განვითარებაში წარმოადგენს სასამართლო სისტემის პოლიტიკის საკითხს და არ უნდა რეგულირდებოდეს სისხლის სამართლის ან დისციპლინური კანონმდებლობის თანახმად. პასუხისმგებლობის დაკისრება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლე არასაჭირო ფაქტორებს განიხილავს, განზრახ ან დაუდევრობით არ ითვალისწინებს მტკიცებულებებს ან შესაბამის სამართლებრივ ნორმებს. ზოგადად, არ შეიძლება მოსამართლე სამართლის დაცვისთვის დადანაშაულდეს ან პასუხისმგებლობაში მიეცეს. იმუნიტეტი მოსამართლის მოვალეობის შესრულების შედეგებისგან დასაცავად მნიშვნელოვანი და აუცილებელია საზოგადოებისთვის, რათა მოსამართლეებმა წარმატებით შეძლონ მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულება. მოსამართლე უნდა იყოს თავისუფალი, გამოიყენოს კანონი დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად, მოსალოდნელი შედეგების შიშის გარეშე.

აქედან გამომდინარე, არ იქნება გონივრული ბარაკის პასუხისმგებლობაში მიცემა ისრაელის მიერ განხორციელებული ოკუპაციის ბრალდებით

ან იმ პოლიტიკისთვის, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს თავისი ინტერესებისა და ამგვარი პოლიტიკისგან დამდგარი შედეგებისგან მოქალაქეების დასაცავად. მაშინ, რა პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ მოსამართლეებს და ვინ გააკონტროლებს მათ? თუკი მოსამართლეს დაევალება იმის შემონახვა, სხვა საჯარო სტრუქტურა იცავს თუ არა სამართალს და სამართლის უზენაესობის პრინციპებს, მაშინ ვინ განახორციელებს უშუალოდ მოსამართლის კონტროლს? შეუძლიათ თუ არა მოსამართლეებს ინტერესთა კონფლიქტის გარეშე თვითონ შეამონონ საკუთარი საქმიანობა? ბარაკის თქმით, ეს დროული კითხვებია, რომლებზეც მისი აზრით, სრულად დამაკმაყოფილებელი პასუხები არ არსებობს. მისი თქმით, მოსამართლეებს სათანადო კვალიფიკაცია გააჩნიათ, რათა დამოუკიდებლად მოაგვარონ ინტერესთა კონფლიქტი საკუთარი განათლების, გადამზადებისა და გამოცდილების საფუძველზე და იმ პროცედურული ჩარჩოს მეშვეობით, რომელშიც მუშაობენ. მოსამართლეს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე, მაგრამ მხოლოდ სამართლებრივ, და არა პოლიტიკურ ან სასამართლოს მიღმა არსებული მიზეზების გამო. სხვა ყველაფერი, საფრთხის ქვეშ დააყენებს მათ დამოუკიდებლობას.

საომარი მოქმედებების სამართლებრივი რეგულირება

აპარონ ბარაკი შთავაზნობა სამართლის უზენაესობის დამცველებისთვის, როდესაც ის ხაზგასმით აცხადებს, რომ მოსამართლეები უნდა ჩაერიონ კონფლიქტებში და როცა საკუთარი ქმედებით ამტკიცებს, რომ ეს ნამდვილად შესაძლებელია. მიუხედავად იმისა, თუ ვინ რას ფიქრობს ცალკეული გადაწყვეტილებების შედეგებზე, ბარაკის თქმით, სამართლის უზენაესობისთვის მნიშვნელოვანია, მოსამართლეებმა არ მიანდონ კრიზისის დროს ერის უსაფრთხოების დაცვა ხელისუფლების უკონტროლო ძალაუფლებას.

როდესაც მთავრობა აცხადებს, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფა ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს, მოსამართლემ უნდა მოითხოვოს პასუხები ამ მოსაზრების დასაბუთების მიზნით. მოსამართლე ასევე უნდა დარწმუნდეს, რომ ხელისუფლების მიერ დასახელებული არგუმენტები არის გონივრული და არ გამოიყენება სხვა ფარული ზრახვების გადასაფარად. ბარაკის თქმით, სასამართლოს უამრავი სამხედრო მეთაურისა და უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსნების

ჩვენებები მოუსმენია მის მიერ განხილული საქმეების ფარგლებში. და მხოლოდ მაშინ, როდესაც რწმუნდებოდნენ, უსაფრთხოების საკითხი ნამდვილად ნამყვან ფაქტორს წარმოადგენდა და გასატარებელი ღონისძიება პირდაპირპროპორციული იყო კონკრეტული გარემოებებისა, ბარაკი და მისი კოლეგები უსაფუძვლოდ მიიჩნევდნენ ამგვარ ზომებთან დაკავშირებით გამოთქმულ პროტესტს.

მამაცი მოსამართლე

ამბავი ეროვნული უსაფრთხოების ზომების სასამართლო კონტროლისადმი დაქვემდებარებისა, რომელიც როგორც წარმატებული, ასევე წარუმატებელი პერიოდების შესახებ მოგვითხრობს, იმთავითვე აპარონ ბარაკს უკავშირდება. ძალიან ცოტას თუ აღუნიშნავს ასე მკაფიოდ მოსამართლის მოვალეობა: მიანოდოს სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურებს რჩევები, თუ როგორ იბრძოლონ უფრო ეფექტურად არსებული სოციალური წესრიგისა და მოქალაქეების უსაფრთხოების დასაცავად.

სწორედ მაშინ, როდესაც სახელმწიფოზე თავდასხმა ხორციელდება, სამართლის უზენაესობა ყველაზე დიდი საფრთხის ქვეშ ექცევა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: სამართლის უზენაესობის გულმხურვალე დამცველები ზუსტად ასეთ დროს იხევენ უკან, უტოვებენ რა ბურთსა და მოედანს მათ, ვისაც არ აქვთ სამართლის უზენაესობის ისეთივე სიღრმისეული აღქმა, როგორიც მოსამართლეებს აქვთ.

სწორედ ამ პარადოქსის აღნიშვნისათვის არის აპარონ ბარაკი სამართლის გმირი. ბარაკის გადანყვეტილება გზის მანათობელია ყველა იმ ადამიანისათვის, ვისთვისაც სამართლის უზენაესობის დაცვა მთავარი საზრუნავია.

გამოყენებული ლიტერატურა

“Judgements of the Israel Supreme Court: Fighting Terrorism Within the Law.” https://www.jewishvirtuallibrary.org/jsourc/Politics/terrorism_law.pdf

Barak, Aharon. *The Judge in a Democracy*. Princeton: Princeton University Press, 2006.

Bork, Robert H. “Barak’s Rule.” *Azure* 27 (2007): 125-132.

- Malone, Linda A. “The Kahan Report, Ariel Sharon and the Sabra-Shatilla Massacres in Lebanon: Responsibility Under International Law for Massacres of Civilian Populations.” *Utah Law Review* 1985, no. 2 (1985): 373.
- Mersel, Yigal. “Judicial Review of Counter-terrorism Measures: The Israeli Model for the Role of the Judiciary During the Terror Era.” *New York University Journal of International Law & Politics* 38, no. 1–2 (2005): 67-120.
- Phillip, Abby. “Bork Hits Kagan Over Israeli Judge.” *Politico*, June 23, 2010. <https://www.politico.com/story/2010/06/bork-hits-kagan-over-israeli-judge-038920>.
- Sultany, Nimer. “The Legacy of Justice Aharon Barak: A Critical Review.” *Harvard International Law Journal* 48 (2007): 83-92.
- Weill, Rivka. “The Strategic Common Law Court of Aharon Barak and Its Aftermath: On Judicially-led Constitutional Revolutions and Democratic Backsliding.” *Law & Ethics of Human Rights* 14, no. 2 (2020): 227–72.
- Weill, Rivka. “The High Stakes Israeli Debate Over the Override.” *VerfBlog*. <https://verfassungsblog.de/the-high-stakes-israeli-debate-over-the-override/>, DOI:10.17176/20221126-001705-00

12

აირის იასმინ ბარიოსი

მოსამართლე, რომელიც სამხედრო დიქტატორებს
ასამართლებს

მოკლე მიმოხილვა

გვატემალელმა მოსამართლე აირის იასმინ ბარიოსმა უმაღლესი რანგის სამხედრო ოფიცრებს პატიმრობა მიუსაჯა გვატემალის სამოქალაქო ომის დროს ჩადენილი მასობრივი მკვლევლობების გამო. ის იყო პირველი მოსამართლე ჩარლზ I-ის სასამართლო პროცესის შემდეგ, რომელმაც სახელმწიფოს ყოფილი მეთაური ეროვნულ სასამართლოში სამართლიანი სასამართლოს პრინციპების თანახმად გაასამართლა. მან ყოფილ პრეზიდენტ რიოს მონტს 50 წლით თავისუფლების აღკვეთა გენოციდის, ხოლო 30 წლით თავისუფლების აღკვეთა – კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის მიუსაჯა. იასმინ ბარიოსი გვატემალაში ახალი ტიპის მოსამართლეა, როგორც ქალი და როგორც „ხალხის“ წარმომადგენელი.

როდესაც ერი ძალადობისა და ჩაგვრისგან საბოლოოდ თავისუფლდება, ადრე თუ გვიან, დღის წესრიგში წარსულთან შერიგების აუცილებლობის საკითხი დგება. მართლმსაჯულება მოითხოვს დამნაშავე პირების პასუხისმგებლობაში მიცემას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ავტორიტარი მმართველები მაინც ახერხებენ საზოგადოებაში გავლენიანი პოზიციების შენარჩუნებას.

გვატემალა სწორედ ასეთი ქვეყნის მაგალითია. 1996 წელს, 36-წლიანი სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის შემდეგ, როგორც იქნა, შედგა სამშვიდობო შეთანხმება სამხედრო დიქტატურასა და მემბოხეთა მოძრაობას შორის. ომს დაახლოებით 200 000 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ბევრი მათგანი, ვინც ომის დროს ქვეყანას მართავდა და ომის დანაშაულები ჩაიდინა, მშვიდობიანობის დამყარების შემდეგაც განაგრძობდა გავლენიან თანამდებობებზე ყოფნას.

მოსამართლის როლი

როდესაც ჩავვრდა და დიქტატურა დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობს, როგორც ეს გვატემალაში მოხდა, ქვეყნის პოლიცია, სასამართლო და ბიუროკრატიული აპარატის დიდი ნაწილი ხშირად ჩათრეული აღმოჩნდება ხოლმე რეჟიმის ქმედებებში. ხშირად ასეთ ქვეყნებს არ გააჩნიათ ინსტიტუტები, რათა გარდამავალი მართლმსაჯულების სამართლიანი იურიდიული მონესრიგება განახორციელონ, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი დარეგულირების გზამ შესაძლოა განსაზღვროს მმართველობის ფორმა გარდამავალი პერიოდის შემდეგ.

უშიშარ მოსამართლეს ასეთ პირობებში შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სამართლის უზენაესობის განვითარებაში. ყველას გასაკვირად, ამგვარი როლი, უდიდესი რისკის მიუხედავად, გვატემალაში ახალგაზრდა მოსამართლე ქალმა, იასმინ ბარიოსმა მოიხატა. ბარიოსმა ქვეყნის რამდენიმე უმაღლესი რანგის სამხედრო ოფიცერი დააპატიმრა და გაასამართლა კიდეც.

გვატემალის პრობლემური ომი

სამართლის გმირის, იასმინ ბარიოსის ამბის თხრობას უპრიანი იქნება თუკი გვატემალის სამოქალაქო ომით დავინწყებთ, რომელიც 1954 წლიდან 1996 წლამდე პერიოდში მიმდინარეობდა. 1954 წელს, დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ჩამოაგდეს, რასაც სისხლისმღვრელი შეიარაღებული კონფლიქტი მოჰყვა, რომელიც 36 წელი გაგრძელდა. 1996 წელს სამშვიდობო შეთანხმება გაფორმდა და დაიწყო მუშაობა შერიგებასთან დაკავშირებით. გაეროსა და სხვა

საერთაშორისო აქტორების მხარდაჭერისა და ზენოლის წყალობით, აღირიცხა კონფლიქტის დროს ჩადენილი ძალადობის ფაქტები.

შეიქმნა ორი ჭეშმარიტების დამდგენი კომისია. გამოძიებით დადგინდა, რომ 200 000-ზე მეტი ადამიანი, მათგან უმრავლესობა, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ 626-ჯერ განხორციელებული პირდაპირი ხოცვა-ჟლეტის შედეგად, იყო დაღუპული; 45,000 ადამიანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ხოლო მილიონზე მეტმა ადამიანმა მექსიკასა ან აშშ-ში გაქცევით უშველა თავს. ხუთი მსხვერპლიდან ოთხი მაიას ტომის წარმომადგენელი იყო და ამ ადამიანების მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტების 95 პროცენტზე პასუხისმგებელი, უშუალოდ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები იყვნენ.

საერთო ამნისტია კონფლიქტის დროს ჩადენილი დანაშაულების შემსრულებელთა მიმართ გარდამავალი პერიოდის ნაწილს წარმოადგენდა. თუმცა, ამნისტია არ შეეხო გენოციდის, წამებისა ან კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ჩამდენებს. სამშვიდობო შეთანხმებით, ფაქტობრივად აღმოჩნდა, რომ გენოციდსა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში ბრალდებულ პირთა უმრავლესობა, ჯერ კიდევ გავლენიან თანამდებობებს იკავებდნენ სამხედრო, ბიზნესისა და პოლიტიკის სფეროში.

მონსენიორ ხუან ხოსე ჟირარდის მკვლელობა

ომის დანაშაულების ჩადენაში პასუხისმგებელი პირები გაშმაგებით ეწინააღმდეგებოდნენ კომისიის მუშაობას, რათა არ გამომჟღავნებულიყო მტკიცებულებები მათი ბოროტმოქმედებისა და სისასტიკეების შესახებ.

ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა, როდესაც ეპისკოპოსმა, მონსენიორ ხუან ხოსე ჟირარდიმ, 1998 წელს წარმოადგინა ანგარიში, გამყარებული ათასობით მონმის ჩვენებით, რომელშიც აღწერილი იყო დიქტატურის დროს ჩადენილი მასობრივი მკვლელობების, სამხედრო ოპერაციების, გატაცებების, გაუპატიურების, წამებისა და საჯაროდ სიკვდილით დასჯის ფაქტები. ანგარიშის წარდგენიდან ორ დღეში, ეპისკოპოსი სასიკვდილოდ ნაცემი იპოვეს.

სახელმწიფო პროკურორმა მკვლევლობისთვის ბრალი სამ სამხედრო მოსამსახურეს წაუყენა, მათ შორის ორ მაღალჩინოსანს. ყველას გასაკვირად, განაჩენი 2001 წლის ივნისში გამოცხადდა. ეს იყო სასამართლოს გადანყვეტილება, რომელსაც არავინ ელოდა გვატემალის ჩამოშლილი და კორუმპირებული სასამართლო სისტემისგან.

მოსამართლე იყო იასმინ ბარიოსი. ახალგაზრდა და ფართო საზოგადოებისთვის უცნობ ქალს, მანამდე უკვე ჰქონდა მონაწილეობა მიღებული ანთროპოლოგი მირნა მაჩ ჩანგის პოლიტიკურად მოტივირებული მკვლელობის საქმის განხილვაში, რომელიც ასევე სამხედროების მიერ იქნა ჩადენილი. შესაბამისად, განსახილველი დანაშაულები მისთვის კარგად ნაცნობ თემას წარმოადგენდა.

ჟირარდის მკვლევლების სასამართლო პროცესის წინა ღამეს, საცხოვრებელ სახლში, სადაც ბარიოსი დედასთან ერთად იმყოფებოდა, უცნობმა პირებმა მოლოტოვის კოქტეილი შეაგდეს. ბარიოსმა ილოცა და იესო ქრისტეს დახმარება შესთხოვა. შემდეგ კი, პოლიციაში დარეკა და პრესაც მოიწვია. გაბრაზებული ბარიოსი, ფიქრობდა: „თუ მომკლავენ, დაე მომკლან. მაგრამ ჯერ აუცილებლად უნდა მოისმინონ, რისი თქმაც მსურს!“

საქმე ჟირარდის სამივე მკვლელისთვის 30 წლით თავისუფლების აღკვეთის ვერდიქტით დასრულდა. მათ განაჩენი გაასაჩივრეს და სააპელაციო სასამართლომ სასჯელი 20 წლამდე შეუმცირა. თვითმხილველთაგან ათი პირი მოგვიანებით სიცოცხლეს გამოასალმეს, ისევე როგორც ერთ-ერთი მსჯავრდებული. 2001 წელს მიღებული გადანყვეტილების შემდეგ, ბარიოსს გადაადგილება დღემდე პოლიციის თანხლებით უწევს.

- „სწორედ ამ საქმიდან გავიგე, თუ რა ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში ომის დროს. ერთს ნამდვილად მივხვდი, რომ არასოდეს დამყარდება მშვიდობა, თუკი სამართლიანობას არ აღვადგენთ“, – თქვა ბარიოსმა.

იურიდიული განათლება სალამოს საათებში

ვინ არის ეს სამართლის გმირი? იგი ჩემი კვლევების შედეგად არ აღმომიჩინია, არამედ მის შესახებ ნორვეგიის მოსამართლეთა ასოციაციის ერთ-ერთ ანგარიშში ამოვიკითხე, რომელიც გვატემალაში სამართლის უზენაესობის მხარდასაჭერად მომზადდა.

აირის იასმინ ბარიოს აგილარი დაიბადა 1962 წელს. იგი იყო ოჯახის პირველი წევრი, რომელიც აკადემიური განათლების მისაღებად იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა 1982 წელს, სწორედ იმ წელს, როდესაც გენერალმა რიოს მონტმა გადატრიალების შედეგად ძალაუფლება ხელში ჩაიგდო. ამჟამად, ბარიოსი გვატემალის ე.წ. „მაღალი რისკის დანაშაულების“ სამი სასამართლოდან ერთ-ერთს ხელმძღვანელობს. როდესაც სისხლის სამართლებრივი დევნა გავლენიან და მნიშვნელოვან პირებს ეხება, მათ შორის ყოფილი ან ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, გავლენიანი დაჯგუფებების წევრებს, სამხედროებს ან გასამხედროებულ ორგანიზაციებს, და ა.შ., ასეთ საქმეებს „მაღალი რისკის დანაშაულების“ სასამართლოები განიხილავენ.

ბარიოსმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ყოველთვის დაინტერესებული იყო მართლმსაჯულების თემით; თუმცა, მისი მხრიდან იურისტის კარიერის არჩევა მაინც შემთხვევით მოხდა. ლექციები საჯარო იურიდიულ სასწავლებელში შუადღისა და სალამოს საათებში ტარდებოდა, რის გამოც იგი დასწრებულ ფაკულტეტზე სწავლას ვერ ახერხებდა. გადატვირთული სასწავლო რეჟიმისა და სახელისუფლებო შეზღუდვების გამო, იგი არ იყო ჩართული 1980-იან წლებში ადამიანის უფლებების დაცვის ღონისძიებებში. მისი თქმით, ის თითქოს თავის ნაჭურჭში ცხოვრობდა დედაქალაქში, იმ ტერიტორიებიდან საკმაოდ შორს, სადაც გენოციდი ხორციელდებოდა. როდესაც მან ბოლოს და ბოლოს გააცნობიერა, თუ რა ხდებოდა წლების განმავლობაში მთელს ქვეყანაში, ძალიან უხერხულად იგრძნო თავი.

ბარიოსის თქმით, მისი ინტერესის სფეროა ის საქმეები, რომლებიც ეხება როგორც აკადემიურ გამოწვევებს, ასევე მართლმსაჯულების საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ საქმეები ხშირად ძალზედ პოლიტიკურ თემებს ეხება, ის თავის საქმიანობას პოლიტიკური მიმართულებით მაინც ვერ ხედავს. ბარიოსი თვლის, რომ დემოკრატია და მართლმსაჯულება მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, თუმცა გვატემალაში

საჯარო ინსტიტუტებისადმი პატივისცემის დეფიციტია. ის რომ გვატე-
მალაში დამნაშავეები დაუსჯელად სჩადიან დანაშაულს, ძალიან დიდი
პრობლემაა. სასამართლო სისტემა მათ დაუსჯელობას უშვებს, რაც
საბოლოოდ მართლმსაჯულების უგულბებლყოფას იწვევს.

გვატემალის სასამართლო სისტემა სუსტი, არაეფექტური და კორუმპი-
რებულია. სასჯელალსრულების სისტემა „მართლმსაჯულების მსოფლიო
პროექტის“ ინდექსის თანახმად, 126 ქვეყნიდან 109-ე ადგილს იკავებს.
სასამართლო ტრადიციულად ორგანიზებული დანაშაულის ხელშია.
რამდენიმე გავლენიანი პირის სასამართლო პროცესზე, მოსამართლეები
სასამართლო დარბაზში ნილაბაფარებულები შემოვიდნენ, რათა მათი
იდენტიფიცირება არ მომხდარიყო.

მოსამართლეები „ავტოკატასტროფაში“ იღუპებიან

იასმინ ბარიოსი გვატემალაში ახალი ტიპის მოსამართლეა, როგორც ქალი
და როგორც „ხალხის“ წარმომადგენელი. წარსულში მოსამართლეები,
როგორც წესი, მაღალი ფენის წარმომადგენელი და კონსერვატიული
აზროვნების მამაკაცები იყვნენ. ეს მიდგომა თანდათან იცვლება.
ახალი მოსამართლეები საკუთარ თავს იურიდიული სიცხადისა და
სამართლიანობის ჩემპიონებად თვლიან და სწამთ, რომ მოსამართლის
როლის გაძლიერება და კორუფციასთან ბრძოლა აუცილებელია.
ამასთან, მოსამართლეობა სახიფათო პროფესიაცაა, ვინაიდან ძალიან
ხშირია მოსამართლეებზე თავდასხმები.

გვატემალაში მოსამართლეების წინააღმდეგ განხორციელებულ მუქა-
რებსა და მკვლელობებს დიდი ხნის ტრადიცია აქვს. მოსამართლე,
რომელსაც 1990 წელს მირნა მაჩ ჩანგის მკვლელობის საქმის განხილვა
დაევალა, საქმის ალების მომენტიდანვე, სხვადასხვა სახის მუქარის
ობიექტი გახდა.

იუსტიციის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ზემოაღნიშნულ მოსამართ-
ლეს ურჩია ფრთხილად ყოფილიყო, რადგან მოსამართლეები, რომ-
ლებსაც სამხედრო პირებისთვის გამამტყუნებელი განაჩენები გამო-
ჰქონდათ, ხშირად უბედური შემთხვევის მსხვერპლი ხდებოდნენ.
და მართლაც, მოსამართლეს მალევე აფეთქებით დაემუქრნენ და

გაუგზავნეს ამანათი, რომელიც ძალიან ჰგავდა ბომბს. მოსამართლემ საბოლოოდ თანამდებობა დატოვა და კანადაში გადასახლდა.

მიუხედავად ამისა, საქმე გაგრძელდა და 1993 წელს სამი ბრალდებულისგან ერთ-ერთს მკვლელობისთვის 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მოსამართლეები და ადვოკატები, რომლებიც დანარჩენი ორი ბრალდებულის წინააღმდეგ აწარმოებდნენ საქმეს, გახდნენ ზენოლისა და მუქარის მსხვერპლი. ერთ-ერთი მათგანი იყო იასმინ ბარიოსი.

ხოცვა-ჟლეტა პლან დე სანჩესში

იმისთვის, რომ დეტალურად გავაანალიზოთ, თუ რასთან უწევს ბარიოსს შეხება, აუცილებელია გავიხსენოთ სოფელ პლან დე სანჩესში განხორციელებული მასობრივი მკვლელობის ფაქტი. 1982 წლის 18 ივლისს, ზაფხულის კვირა დღეს, ნაშუადღევს, სოფელში სამხედროები შეიჭრნენ. მცირეწლოვანი ბავშვები ერთ ჯგუფად შეჰყარეს, მეორე ჯგუფში 15-20 წლამდე გოგონები, ხოლო დანარჩენები – მესამეში გაამწყესეს. დაიწყო ხოცვა-ჟლეტა. ჯერ ზრდასრულები აწამეს, თან პარტიზანულ ოპერაციებში მონაწილეობას აბრალებდნენ. შემდეგ, ყველანი ერთად, ერთ სახლში შეჰყარეს, სადაც ჯარისკაცებმა ხელყუმბარები შეაგდეს და მანამდე ესროდნენ ცეცხლსასროლი იარაღიდან, სანამ სახლი ცეცხლის ალში არ გაეხვია. ამის შემდეგ, ახალგაზრდა გოგონები აწამეს და გააუპატიურეს. გოგონების დახოცვის შემდეგ, ბავშვები სათითაოდ გამოიყვანეს, სცემეს და ცეცხლში ჩაყარეს. დაახლოებით 284 ადამიანი დაიღუპა.

პლან დე სანჩესი იყო ერთ-ერთი პირველი მასობრივი მკვლელობის საქმე, რომელმაც სასამართლომდე მიაღწია. როდესაც გვატემალის სასამართლომ დამნაშავეებს პასუხისმგებლობა არ დააკისრა, საქმე ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკულ სასამართლოში გადაიგზავნა. 2004 წლის 19 ნოემბერს, სასამართლომ დაადგინა, რომ გვატემალამ დაარღვია სამართლიანი სასამართლოს უფლება და, მათ შორის, გენოციდით მიყენებული ზიანის რეპარაციის უფლება, ვინაიდან არ ჩაატარა დიქტატურის დროს ჩადენილი მკვლელობებისა და ძალადობის ფაქტების ეფექტური გამოძიება. სასამართლომ ქვეყანას დაავალა დამნაშავეების წინააღმდეგ ახალი გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება. გაიზარდა წნეხი ხელისუფლებაზე,

რათა სასტიკი დანაშაულების ჩადენაში პასუხისმგებელი პირები დასჯილიყვნენ. გვატემალას კიდევ ბევრი მსგავსი საქმისთვის დაეკისრა პასუხისმგებლობა.

მალალი რისკის დანაშაულების სასამართლო

2006 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, გვატემალის მთავრობის თხოვნის საფუძველზე, შექმნა „გვატემალაში დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კომისია“ (CICIG). CICIG-ის მიზანია გვატემალას დაეხმაროს ქვეყანაში მოქმედი უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებებისა და იატაკქვეშა უსაფრთხოების რაზმების გამოძიების საქმეებში – ესენი არიან კრიმინალური დაჯგუფებები, ინფილტრირებული სახელმწიფო ინსტიტუტებში, რომლებიც ხელს უწყობენ დაუსჯელობის სინდრომის დამკვიდრებას და ძირს უთხრიან გვატემალაში დემოკრატიულ მონაპოვარს, რაც 1990-იან წლებში, ქვეყანაში შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ, იქნა მიღწეული.

2009 წელს გვატემალის უზენაესმა სასამართლომ შექმნა „მალალი რისკის დანაშაულების სასამართლოები“, გვატემალის სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გაძლიერების ხელშეწყობისა და კორუფციის, ასევე უსაფრთხოების გაზრდილი რისკების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებსაც გავლენიანი პირების სამართლებრივ დევნასა და დაცვაში მონაწილე მოსამართლეები, ადვოკატები და სხვა პირები აწყდებიან. ეს სასამართლოები განიხილავენ მხოლოდ გენოციდთან, წამებასთან, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან და ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ ისეთ საქმეებს, როგორებიცაა ფულის გათეთრება, ნარკოდანაშაული და ტერორისტების დაფინანსება.

2012 წლიდან „ნორვეგიის მოსამართლეთა ასოციაცია“ აქტიურადაა ჩართული გვატემალაში სამართლის უზენაესობისა და მოსამართლეების მხარდაჭერის პროექტში. CICIG და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად უჭერენ მხარს როგორც პროკურატურის, ასევე სამივე სპეციალური სასამართლოს საქმიანობას.

სამხედრო დიქტატორი რიოს მონტის დანაშაულები

დაარსებიდან სამი წლის თავზე, „მაღალი რისკის სასამართლომ“ დიქტატორის, გენერალ ხოსე ეფრეინ რიოს მონტის საქმე განიხილა. მონტის ბრალი ედებოდა მისი მმართველობის პერიოდში, კერძოდ 1982-1983 წლებში, განხორციელებულ გენოციდსა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში.

ბოლო ხანებში განხილულ საქმეებს შორის, მონტის საქმე პირველია, სადაც სახელმწიფოს მეთაური გენოციდის ჩადენის ბრალდებით წარდგა ეროვნული სასამართლოს წინაშე.⁷² მანამდე იყო ინგლისის პარლამენტის მიერ მეფე ჩარლზ I-ის იმპიჩმენტის საქმე 1649 წელს, მაგრამ ეს სულ სხვა ისტორიაა. მიზეზი, რამაც რიოს მონტის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება განაპირობა, იყო მისი პარლამენტის წევრობის ვადის ამონაწერვა, რითაც მას სისხლის სამართლებრივი დევნიდან დაცვის იმუნიტეტი მოეხსნა.

სასამართლო პროცესი 2013 წლის მარტში დაიწყო. პროცესს უძღვე-ბოდნენ იასმინ ბარიოსი და მისი ორი კოლეგა მოსამართლე.

ზემოთ აღნიშნულ გენოციდამდე იყო 1981 წლის აპრილის მასობრივი მკვლელობა, რომლის დროსაც სამხედროები თავს დაესხნენ მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ მცირერიცხოვან იქსილმაიას თემს. დაახლოებით 70-დან 90-მდე ადამიანი იქნა მოკლული. ბევრმა გაქცევით უშველა თავს, მოახერხეს ჩრდილოეთის მთების გავლით მექსიკაში გადასვლა, სადაც მცირე გასამრჯელოს ფასად, დიდი გაჭირვებით გაჰქონდათ თავი 1996 წელს, სამოქალაქო ომის დასრულებამდე.

გენერალი და უშიშროების უფროსი ბრალდებულები არიან

რიოს მონტი არ იყო გვატემალის ერთადერთი დიქტატორი, რომელიც რეგულარულად სჩადიოდა პოლიტიკურ მკვლელობებს, თუმცა მან

72 თუ არ ჩავთვლით სხვადასხვა საჩვენებელ სასამართლო პროცესებს, რომლებიც არ აკმაყოფილებდნენ სამართლიანი სასამართლოს სტანდარტებს, მაგალითად, 2005–2006 წლების სასამართლო პროცესი სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ, იხილეთ “Iraq: Amnesty International Condemns Iraqi Appeal Court Verdict against Saddam Hussein and Co-accused,” <https://www.amnesty.org/en/documents/mde14/044/2006/en/>

თავი სისტემატური სისასტიკით გამოიჩინა. მისი ხელისუფლებაში 17-თვიანი ყოფნის პერიოდში, 80 000-ზე მეტი ადამიანი ან დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

რიოს მონტისა და მისი დაზვერვის უფროსის, ხოსე მაურისიო როდრიგეს სანჩესის წინააღმდეგ საქმის აღძვრის შემდეგ, სხვადასხვა მხრიდან პროცესის ჩაშლის არაერთი მცდელობა განხორციელდა. ამასთან, საერთაშორისო საზოგადოება სკეპტიკურად ადევნებდა თვალს სასამართლო პროცესს. შესაძლოა საერთაშორისო ყურადღების გამო, სასამართლოს გარეთ მკვლელობებისა და ფიზიკური მუქარის სისრულეში მოყვანა ძალიან ძვირი დაუჯდებოდათ და, სავარაუდოდ, ამიტომ ოპონენტებმა გადაიფიქრეს უკიდურესი ზომების გამოყენება პროცესის ჩასაშლელად.

ოპონენტებმა ყველა შესაძლო იურიდიულ ხრიკს მიმართეს. დაცვის ადვოკატებმა დიდი რაოდენობით დოკუმენტების მტკიცებულებად წარმოდგენა მოითხოვეს, თუმცა მათ მოსაპოვებლად საერთოდ არაფერი გაუკეთებიათ. ბარიოსმა უარი თქვა საქმის გადადებაზე, მაგრამ იძულებული გახდა დამორჩილებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებას, რომლის თანახმად, დაცვის მხარეს უფლება ჰქონდა მტკიცებულებად მათთვის სასურველი მასალები წარმოედგინათ. ამის შემდეგ, გამომძიებელმა მოსამართლემ გარკვეული დროით საქმე გაუქმებულად გამოაცხადა, სანამ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებით არ დადგინდა, რომ საქმე უნდა გაგრძელებულიყო.

მარიონეტები და კრიმინალები

სასამართლო პროცესის პირველ დღეს, რიოს მონტი მოულოდნელად ახალი ადვოკატის თანხლებით გამოცხადდა. ადვოკატმა ფრანსისკო გარსია გუდიელმა საქმის გადადება მოითხოვა, საქმის მასალების საგულდაგულოდ გაცნობის მიზეზით. მოსამართლე ბარიოსმა არ გაიზიარა მოთხოვნა. ამის გაგონებაზე, გარსია გუდიელმა ბარიოსისა და ერთ-ერთი მოსამართლის აცილება მოითხოვა მიკერძოებულობის მიზეზით, მასა და ბარიოსს შორის არსებული დაძაბულობისა და ერთ-ერთ მოსამართლესთან მისი მეგობრობის გამო.

სასამართლომ პასუხად მიუგო, რომ ადვოკატი, რომელსაც ამგვარი ურთიერთობები ჰქონდა საქმის განმხილველ მოსამართლეებთან, არ შეიძლება ჩართული ყოფილიყო მიმდინარე საქმეში და გუდიელს დარბაზის დატოვება უბრძანა. გასვლისას გარსია გუდიელმა მოსამართლეებს „მარიონეტები“ და „კრიმინალები“ უწოდა, ხოლო პერსონალურად ბარიოსს, შემდეგი სიტყვებით მიმართა: „უბრალოდ, თქვენი ყურებაც კი გულს მირევს“ და „სანამ მე დავნებდები, მანამდე, ჯერ თქვენ გნახავთ გისოსებს მიღმა“. მოსამართლის მიმართ ამ განცხადებების გამო, იგი ადვოკატთა ასოციაციიდან გარიცხეს.

მედია კამპანია სასამართლო პროცესის პარალელურად

სამართალწარმოების მიმდინარეობისას სასამართლოში დაიკითხნენ ის სამხედრო პირები, რომლებიც სოფლის გადანვასა და დარბევაში იღებდნენ მონაწილეობას. ამის კვალდაკვალ, გავლენიანი მამაკაცების ერთმა ჯგუფმა პრესაში სარეკლამო კამპანია წამოიწყო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ გენოციდს ადგილი არ ჰქონია, რომ სასამართლო პროცესი გაართულებდა მიმდინარე სამშვიდობო პროცესს და შედეგად უფრო დიდ პოლიტიკურად მოტივირებულ ძალადობაში გადაიზრდებოდა. კამპანიამ მხარდაჭერა ეროვნული ასამბლეის უმრავლესობისგან და პოლიტიკური ისტებლიშმენტისგან, კერძოდ, თვით პრეზიდენტ პერეს მოლინასგანაც კი მიიღო, რომელიც თვითონაც ყოფილი სამხედრო იყო. როგორც საქმის მოწმეები აცხადებდნენ, მკვლელობების საქმის შესრულებაში უშუალოდ პერეს მოლინაც მონაწილეობდა.

მოსამართლეები უზარმაზარი ზენოლის ქვეშ მოექცნენ, რომ როგორმე გამამართლებელი განაჩენი გამოეტანათ. ამ ყველაფრის მიუხედავად, გამოცხადდა განაჩენი, რომელშიც ეწერა სიტყვა „დამნაშავე“. რიოს მონტს 50 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა გენოციდის ჩადენისათვის, ხოლო 30 წლით თავისუფლების აღკვეთა – კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის. სანჩესი გამართლდა, თანამონაწილეობის დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის გამო. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს მეთაური გენოციდის ჩადენისთვის ეროვნულმა სასამართლომ გაასამართლა. თავის გადანყვეტილებაში, ბარიოსმა ქვეყნის გენერალურ პროკურორს მოუწოდა ჩაეტარებინა გამოძიება ასევე იმ დამნაშავე პირების დასა-

დგენად, რომლებიც გენოციდის დაფინანსებას უზრუნველყოფდნენ. ბარიოსს ქვეყნის გავლენიანი ოლიგარქები ჰყავდა მხედველობაში.

ამ ყველაფერს, უზარმაზარი გამოხმაურება მოჰყვა. რიოს მონტის მხარდამჭერები, დაჯგუფებები, რომლებიც ომის დროს ტერორს ახორციელებდნენ მთელს ქვეყანაში, „ქვეყნის პარალიზებით“ იმუქრებოდნენ. გაულერდა აფეთქების მუქარები და დაიწყო საქმეში მონაწილე პირების წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანია, განსაკუთრებით იასმინ ბარიოსის მიმართ. მას ემუქრებოდნენ როგორც დისციპლინური, ასევე სისხლის სამართლებრივი და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებით.

მიუკერძოებელი განსჯადობა

ზემოაღნიშნული განაჩენი გვატემალაში სამართლისა და მართლმსაჯულების გამარჯვების სიმბოლოდ იქცა. ბარიოსმა და მისმა კოლეგა მოსამართლეებმა მოახდინეს საკუთარი დამოუკიდებლობის დემონსტრირება, მათ წინააღმდეგ მიმდინარე სასტიკი მედია კამპანიის ფონზე, კამპანიისა, რომელსაც თან ახლდა მუქარები და აფეთქებები. მათ აჩვენეს, რომ არსებობენ თავდადებული, პატიოსანი და პასუხისმგებლობით სავსე მოსამართლეები, რომლებიც მზად არიან დაიცვან სასამართლო, საქმის მტკიცებულებები და არ დაუფერონ გარე მოსაზრებებს. „მე არ ვფიქრობ მოსალოდნელ შედეგებზე, რადგან მეჯერა, რომ მოსამართლემ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს ცრურწმენებისა და მიკერძოების გარეშე“, ამბობს ბარიოსი. აღნიშნულ საქმეში, ბარიოსი და მისი კოლეგები იქცნენ როლურ მოდელად, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რამხელა მნიშვნელობა ენიჭება ხალხს, მაშინ როდესაც თავად სისტემა გახრწნილია.

განაჩენი დაუყოვნებლივ გასაჩივრდა. ათი დღის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლომ განაჩენი გააუქმა, იმ მოტივით, რომ სასამართლოს მიერ ადვოკატი გარსია გუდიელის გაძევება არასწორი გადაწყვეტილება იყო. საქმე ახალი მოსამართლეების მონაწილეობით 2015 წელს დაიწყო და 2018 წელს კვლავ სანჩესის გამართლებით დასრულდა. რიოს მონტი ამასობაში გარდაიცვალა, თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ გენოციდი მისი ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა.

აღნიშნულ საქმეს გარკვეული შედეგები მოჰყვა საქმის რამდენიმე მონაწილისთვის. ადვოკატი გარსია გუდიელის საჩივრის საფუძველზე, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომიტეტმა ბარიოსის წინააღმდეგ მკაცრი გადაწყვეტილება გამოიტანა. ეს გადაწყვეტილება გვატემალის საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა და დაადგინა, რომ ადვოკატთა ასოციაციას არ ჰქონდა უფლება მოსამართლე სასამართლოში მის მიერ შესრულებული სამუშაოსთვის დაესაჯა.

სახელმწიფო პროკურორი, რომელმაც რიოს მონტის ბრალდება წაუყენა, ვადამდე ექვსი თვით ადრე გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. საქმის პროკურორის ბრალი უფლებამოსილების გადამეტებაში წაუყენეს. ამგვარად, გავლენიანი ადამიანები, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ძალადობის ჩადენა, სასამართლოს აპარატის უდიდეს ნაწილს აკონტროლებდნენ და იარაღად იმ მოსამართლეებისა და პროკურორების წინააღმდეგ იყენებდნენ, რომლებიც მათი მართლმსაჯულების წინაშე წარდგენას ცდილობდნენ.

შეშინებული სასამართლო სისტემა

გვატემალაში სასამართლო სისტემა თითქმის მთლიანად ტერორიზებულია. მიუხედავად ამისა, მაინც განიხილება საქმეები იმ პირების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დიქტატურის დროს ჩადენილი ძალადობის შემთხვევებზე.

„ამ ტრიბუნალის მოსამართლეებს სჯერათ სეპურ ზარკოში განხორციელებული სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების ჩვენებების“, – თქვა იასმინ ბარიოსმა, როდესაც 2016 წელს, ორ ყოფილ სამხედრო მაღალჩინოსანს პატიმრობა მიუსაჯა სეპურ ზარკოს სამხედრო ბაზაზე ქალების სექსუალურ მონებად გამოყენებისათვის. მანვე დასძინა, რომ „ქალები სიცოცხლის საწყისები არიან (...) განმეორებადი ფიზიკური ძალადობით და მათი არსის ხელყოფით, თქვენ ზიანი მიაყენეთ არა მხოლოდ ქალებს, არამედ კაცობრიობას“.

ბარიოსმა სამხედრო ბაზის ყოფილ მეთაურს და მის ერთ-ერთ ოფიცერს, 120 და 240 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ისინი მკვლევლობისთვისაც გაასამართლეს. გამოძიებით დადგინდა, რომ მათს ტომის ქალების მიმართ სისტემატურად ხორციელდებოდა

სექსუალური ძალადობა, როგორც მიზანმიმართული ქმედება მაიას ტომის გასანადგურებლად.

გარდამავალი პერიოდის შესაძლებლობები

იასმინ ბარიოსი და მისი მამაცი კოლეგა მოსამართლეები, ისევე როგორც პროკურატურა, საკუთარი სიცოცხლისთვის უდიდესი რისკის ფასად მუშაობენ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს სამართლის უზენაესობის ტრადიციები და სადაც ინსტიტუტები დასუსტებულია.

სხვა ქვეყნების მოსამართლეებისგან განსხვავებით, მათ არ აქვთ მხარდაჭერა ძალაუფლებაში მყოფი პირების მხრიდან. ის ფაქტი, რომ ისინი ჯერ კიდევ აგრძელებენ საქმიანობას, შეიძლება მხოლოდ ორი ფაქტორით აიხსნას. პირველი, ისინი გამოჩნდნენ გარდამავალ პერიოდში და აღმოჩნდნენ დაძაბულობის ველში, რომელიც, როგორც წესი, ერთი რეჟიმიდან მეორეზე გადასვლისას წარმოიქმნება. გავლენიანი ადამიანები, რომლებსაც სისხლის სამართლებრივი დევნა ემუქრებოდათ, იძულებულნი ხდებიან ძალაუფლება დათმონ, ვინაიდან ძლიერი საზოგადოებრივი ძალები სამართლიანობასა და პასუხისმგებელ პირთა დასჯას მოითხოვენ. მეორე ფაქტორი კი არის ძლიერი საერთაშორისო ყურადღება, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში გვატემალისკენაა მიმართული და, ასევე – მტკიცე მხარდაჭერა იმ სამსახურების დასახმარებლად, რომლებიც ქვეყანაში დაუსჯელობის აღმოსაფხვრელად, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის დასამყარებლად იბრძვიან. ამ ყურადღებისა და მხარდაჭერის გარეშე, ძნელი წარმოსადგენია, ბარიოსი და მისი კოლეგები ოდესმე თუ შეძლებდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას.

გარდამავალი პერიოდი სამუდამოდ ვერ გაგრძელდება, მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა კი შეუძლებელია. მაიას ტომის წინააღმდეგ მიმართული ძალადობა დღემდე გრძელდება. 2018 წლის აპრილში, სამი ხელმძღვანელი პირი ბრიტანული ენერგოკომპანიის ფასების გაპროტესტების გამო გაიტაცეს და აწამეს. იმავე წლის მაისში, კიდევ სამი ადამიანი მოკლეს მაიას ტომის მინის საკუთრების უფლებებზე თავდასხმების წინააღმდეგ საპროტესტო აქციის ორგანიზებისათვის. დღემდე გრძელდება უფლებადამცველების დაკავება და დატყვევება

ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე, ზოგიერთი მათგანი სიცოცხლესაც კი გამოასალმეს.

2018 წლის აგვისტოში, პრეზიდენტმა ჯიმი მორალესმა ანტიკორუფციული სამსახური მას შემდეგ დაითხოვა, რაც უწყებამ პრეზიდენტის ოჯახის წევრების წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო. 2019 წლის იანვარში, მან ასევე გააუქმა გაეროსთან გაფორმებული შეთანხმება „გვატე-მალაში დაუსჯელობის წინააღმდეგ საერთაშორისო კომისიის შესახებ“ (CICIG). საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ კომისიის ერთპიროვნული დათხოვნა უკანონო გადაწყვეტილება იყო. კომისიის რამდენიმე თანამშრომელი გვატემალაში დაბრუნდა, ხოლო უმრავლესობა უცხოეთიდან აგრძელებს ორგანიზაციის ფარგლებში საქმიანობას.

სამართლის უზენაესობა თავდასხმის ქვეშ

ზემოაღნიშნული კომისიის თავმჯდომარის, ივან ველასკესის თქმით, ეს არ იყო ბრძოლა მასა და პრეზიდენტ მორალესს შორის. ეს იყო თავდასხმა გვატემალის ისედაც მყიფე სამართლის უზენაესობაზე, განხორციელებული იმ ადამიანების მხრიდან, რომლებსაც სამართლის გვერდის ავლით სურთ მოქმედება. კერძოდ, მათ რიგებში მოიაზრებიან სამხედრო პირები, უმაღლესი რანგის საჯარო მოხელეები, ორგანიზებული დანაშაულის ბოსები და ბიზნეს სექტორის გავლენიანი წარმომადგენლები.

ადამიანის უფლებათა დამცველებსა და მოსამართლეებზე თავდასხმების რიცხვის ზრდას თან ახლავს მოსამართლეთა შორის სამართლის უზენაესობისადმი მხარდაჭერის შემცირება. თუმცა, გარკვეული იმედის სხივი მაინც კიაფობს. შეიქმნა ახალი მოსამართლეთა ასოციაცია, რომელსაც პატიოსანი მოსამართლეები უჭერენ მხარს. ამით, გვატემალის მოსახლეობამ აჩვენა, რომ მათ შეუძლიათ კორუფციის წინააღმდეგ და სამართლიანობისთვის ძალების მობილიზება. მიუხედავად ამისა, CICIG-ის მხარდაჭერის გარეშე, გვატემალის ინსტიტუტები და მოსამართლეები ბევრად მონყვლადები და ფაქტობრივად დაუცველები არიან ორგანიზებული დანაშაულისა და კრიმინალური დაჯგუფებების პირისპირ, რომლებიც ყოფილ მოძალადეებს იცავენ.

საპატიო დოქტორის წოდება

2014 წელს, მიშელ ოზამამ იასმინ ბარიოსს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის „მამაც ქალთა საერთაშორისო ჯილდო“ გადასცა. აღნიშნული ჯილდო ყოველწლიურად გადაეცემათ ქალებს, რომლებმაც გამოავლინეს „განსაკუთრებული სიმამაცე, სიძლიერე და ლიდერობა მშვიდობის, სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და თანასწორობის, ასევე ქალებისა და გოგონების გაძლიერებისთვის, მთელი თავიანთი მრავალფეროვნებით – ხშირად უდიდესი საფრთხისა და სიცოცხლის რისკის ფასად“. 2017 წელს, მას ოსლოს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

გამოყენებული ლიტერატურა

- Amnesty International. “Iraq: Amnesty International Condemns Iraqi Appeal Court Verdict Against Saddam Hussein and Co-accused.” <https://www.amnesty.org/en/documents/mde14/044/2006/en/>
- Burt, Jo-Marie. “From Heaven to Hell in Ten Days: The Genocide Trial in Guatemala.” *Journal of Genocide Research* 18, no. 2–3 (2016): 143–69.
- Julsrud, Åsne and Elizabeth Baumann. “Ikke bare bare å dømme presidenter og militære, intervju med Yassmin Barrios av.” *Domstolsadministrasjonens blad Rett på sak 2* (2016):7.
- Juristforbund, Norges. “Reinforcement of the Rule of Law in Guatemala, Final Project Report from the Norwegian Association of Judges.” Committee of Human Rights 2018–2018, 2019.
- Moffet, Luke. “Guatemala’s History of Genocide Hurts Mayan Communities to This Day.” *The Conversation*, June 18, 2018. <https://theconversation.com/guatemalas-history-of-genocide-hurts-mayan-communities-to-this-day-97796> .
- Petrich, Blanche. “Juzgar a Ríos Montt, avance pese a todo.” *La Jornada*, 31 July 2013. <http://www.jornada.unam.mx/2013/07/31/mundo/044n1mun>

13

მალგორზატა გერსდორფი

ბრძოლა სასამართლოსთვის პოლონეთში

მოკლე მიმოხილვა

სასამართლოს დამოუკიდებლობა სამართლის უზენაესობის მნიშვნელოვან გარანტს წარმოადგენს. თუმცა, დღეს ევროპაში, ეს გარანტია ევროკავშირის წევრ ქვეყანა პოლონეთში, საფრთხის ქვეშაა. მოცემულ თავში განვიხილავთ მალგორზატა გერსდორფის წვლილს, რომელმაც ხელისუფლებას ქვეყნის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება არ მისცა და ამით სასამართლოს დამოუკიდებლობა დაიცვა. ხელისუფლებას სურს ქვეყნის სასამართლო სისტემა მთლიანად თავის რკინის მარწუხებში მოაქციოს, მაგრამ პოლონელი მოსამართლეები დამოუკიდებლობას არ თმობენ.

მოსამართლე ვალდებულია დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს. მოსამართლეებს ეკრძალებათ „რომელიმე პოლიტიკური პარტიის დაკრულზე ცეკვა“. სასამართლოს დამოუკიდებლობა სამართლის უზენაესობის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. თუმცა, დღეს ევროპაში, ეს გარანტია ევროკავშირის ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში, კერძოდ პოლონეთში, საფრთხის ქვეშაა. მთავრობამ უკვე მოახერხა ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოსა და იუსტიციის ეროვნული საბჭოს ხელში ჩაგდება. შემდეგ ნაბიჯად კი, განზრახული ჰქონდა გავლენის მოხდენა ქვეყნის უზენაეს სასამართლოზე, რომელსაც მალგორზატა გერსდორფი ხელ-

მძღვანელობდა. პოლონეთის უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტის რანგში, სამართლის პროფესორმა გერსდორფმა უდიდესი სიმამაცე გამოიჩინა, როდესაც ის მტკიცედ დაუპირისპირდა პოლონელი ავტოკრატის იაროსლავ კაჩინსკის მცდელობებს, რომ საკუთარი კონტროლის ქვეშ მოექცია ქვეყნის დამოუკიდებელი სასამართლოები.

გერსდორფი პოლონეთში სამართლის უზენაესობის მიზანმიმართული დემონტაჟის წინააღმდეგობის სიმბოლოდ იქცა. ამ ბრძოლის ყველაზე ძლიერი ილუსტრაცია 2018 წელს მოხდა, როდესაც გერსდორფმა არაფრად ჩააგდო ბრძანება და სამსახურში გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას ის უკვე გათავისუფლებული ჰყავდა თანამდებობიდან. ათასობით დემონსტრანტი შეიკრიბა უზენაესი სასამართლოს წინ, შეძახილებით „თავისუფლება სასამართლოებს!“.

გმირი და წინააღმდეგობის სიმბოლო

მალგორზატა გერსდორფი 1952 წლის 22 ნოემბერს დაიბადა ვარშავის ზოლიბორცის რაიონში. მისი მშობლები ადვოკატები იყვნენ, მისი მეუღლეც, ბოჰდან ზძინიკი ასევე ცნობილი პოლონელი ადვოკატია, რომელსაც წლების წინ ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პოსტი ეკავა. ბედის ირონიით, მალგორზატამ ბავშვობის წლები იმავე უბანში გაატარა, სადაც ტყუპი ძმები ლეხ და იაროსლავ კაჩინსკები იზრდებოდნენ, შესაბამისად, ისინი ერთმანეთს ბავშვობიდან კარგად იცნობდნენ. ძმები კაჩინსკები მოგვიანებით პოლონეთის „სამართლისა და სამართლიანობის პარტიის“ ლიდერები გახდნენ, პარტიისა, რომელიც დღემდე მართავს პოლონეთს. ლეხი, მალგორზატას მსგავსად, შრომითი სამართლის პროფესორი, პოლონეთის პრეზიდენტი იყო, თუმცა რამდენიმე წლის წინ, ტრაგიკულად დაიღუპა ავიაკატასტროფაში. პარტიის ლიდერობა იაროსლავმა გადაიბარა და პოლონეთის გავლენიანი ადამიანიც გახდა.

1980-იან წლებში, გერსდორფი კომუნისტური სამყაროს პირველი, თავისუფალი და დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი „სოლიდარობის“ წევრი იყო. მოგვიანებით, მას ვარშავის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორის ტიტული მიენიჭა, შემდეგ კი უნივერსიტეტის დეკანიც გახდა. 2008 წელს, მოსამართლედ დაინიშნა უზენაეს სასამართლოში,

ხოლო 2014 წელს უზენაესი სასამართლოს პირველი ქალი პრეზიდენტი გახდა.

ის და უზენაესი სასამართლოს სხვა მოსამართლეები აკვირდებოდნენ, თუ როგორ ესხმოდა თავს „კანონისა და სამართლიანობის“ პარტია კანონსა და სამართლიანობას საკონსტიტუციო სასამართლოს გაჩუმების გზით. შემდეგ, პარტიის ყურადღების არეალში მოექცნენ სხვა სასამართლოები და უშუალოდ უზენაესი სასამართლო. 2015 წელს გერსდორფი პოლონეთში სამართლის უზენაესობის მთავარი დამცველი გახდა, ასევე შეიძინა ევროპაში მოღვაწე სამართლის დამცველი გმირის ტიტული.

საკონსტიტუციო სასამართლოს დაღუპება

იმის აღსაქმელად, თუ რატომ და როგორ გახდა გერსდორფი სამართლის გმირი, უნდა დავუბრუნდეთ პოლონეთის 2015 წლის ოქტომბრის არჩევნებს. არჩევნებით კაჩინსკის პარტია „კანონმა და სამართლიანობამ“ პარლამენტში ხმათა უმრავლესობა მოიპოვა. ცოტა ხანში, ახალმა მთავრობამ ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოზე ზენოლის განხორციელება კანონის ინიცირებით დაიწყო, რომელიც ახალ პარლამენტს უფლებას ანიჭებდა წინა პარლამენტის მიერ დანიშნული მოსამართლეები გაეთავისუფლებინა და მათ ნაცვლად ახლები დაენიშნა.

კანონი უმოკლეს ვადებში მიიღეს. ჯერ ისევ მოქმედი პარლამენტის მიერ დანიშნული ხუთი მოსამართლე ერთი კვირის განმავლობაში გაათავისუფლეს, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ, მათ ნაცვლად ხუთი ახალი მოსამართლე დანიშნეს. ეს იყო კონფლიქტის დასაწყისი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს პარალიზებით და, საბოლოო ჯამში, მისი ახალი რეჟიმის მორჩილ ინსტრუმენტად გადაქცევით დასრულდა.

ჯერ კიდევ 2015 წლის არჩევნებამდე, იაროსლავ კაჩინსკიმ განაცხადა, რომ მისი მიზანი იყო სასამართლო სისტემის რეფორმა. საკონსტიტუციო სასამართლოს პარალიზების შემდეგ, კონსტიტუცია პოლიტიკური უმრავლესობისთვის უკვე დაბრკოლებას აღარ წარმოადგენდა. ჯერი იუსტიციის ეროვნული საბჭოს ხელში ჩაგდებაზეც მიდგა, რითაც უმრავლესობამ კონტროლი მოიპოვა მოსამართლეთა დანიშვნებზე.

მოგვიანებით კი, დღის წესრიგში უზენაესი სასამართლოსა და რიგითი მოსამართლეების საკითხიც დადგა.

მოსამართლეების შეცვლა ყველა დონეზე

სანამ მოქმედი რეჟიმი მეტ-ნაკლებად კონსტიტუციურ სახეს ინარჩუნებს, სასამართლო კონტროლი, როგორც ასეთი, გაუქმებულად ვერ ჩაითვლება. ეს ნიშნავს სწორედ იმ სასამართლოს კონტროლის იმანენტურობას, რომელიც კონსტიტუციურ ზედამხედველობას ახორციელებს. მსგავსი მოდელი შეგვიძლია ვნახოთ ბევრ სხვა ქვეყანაშიც, სადაც ლიბერალური დემოკრატია ჩამოშლილია. სასამართლოების შემადგენლობის შეცვლა და მათი ახალი კადრებით დაკომპლექტება, ასევე მოქმედი მოსამართლეების გათავისუფლება, სტანდარტული სტრატეგიაა. არსებობს მოქმედი მოსამართლეების გათავისუფლების სხვადასხვა მექანიზმი, როგორებიცაა საპენსიო ასაკის დაწვევა, ან ინდივიდუალურ დონეზე სისხლის სამართლის ბრალდების წაყენება ან დისციპლინური სამართალწარმოების და იმპიჩმენტის ინიცირება. ასევე ხშირია თანამდებობაზე დანიშვნის პროცედურებში ცვლილების შეტანა.

საკონსტიტუციო კონტროლის ხელში ჩაგდების შემდეგ, ბევრი რამ უკვე შეიძლება მიღწეულად ჩაითვალოს, არალიბერალური მმართველის თვალსაზრისით. როგორც წესი, სასამართლოებზე კონტროლი ხშირად კანონმდებლობის მეშვეობით ხორციელდება, ვინაიდან მოსამართლეები, როგორც წესი, კანონს მისი შინაარსის სიღრმისეული შესწავლის გარეშე იყენებენ, მაშინაც კი, თუკი კანონში არალიბერალური ან ავტორიტარული შინაარსია ჩადებული. მიუხედავად ამისა, მოსამართლეები ხშირად ელიტის წინააღმდეგ მიმართული სტანდარტული პოპულისტური თავდასხმების მსხვერპლი ხდებიან და მათ კორუმპირებულობაში, არაეფექტურ მუშაობასა და უბრალო ადამიანების გასაჭირისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში ადანაშაულებენ. სასამართლო ხელი-სუფლებასთან ბრძოლის გავრცელებული პრაქტიკაა ცვლილების შეტანა ისეთ სტრუქტურებში, რომლებსაც მოსამართლეებისა და სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნა ევალებათ, ასევე მოსამართლეების ადმინისტრაციული და დისციპლინური კონტროლის მექანიზმების დანერგვა და სასამართლოს შემადგენლობის შეცვლა,

რათა სასამართლოები საკუთარი პოზიციის მტკიცედ დამცველი მოსამართლეებისგან გასუფთავდეს.

ეს ყველაფერი პოლონეთში მოხდა. პოლიტიკურმა უმრავლესობამ რამდენიმე წელიწადში მოახერხა სასამართლოების რკინის მარწუხებში მოქცევა. იმავდროულად, დაინყეს საზოგადოების თვალში მოსამართლეთა რეპუტაციის მადისკრედიტირებელი მიზანმიმართული მედია კამპანია.

ევროკავშირი ზომებს იღებს პოლონეთის წინააღმდეგ

ზემოაღნიშნულ მოვლენებს პროტესტის გარეშე არ ჩაუვლია. ევროკომისიამ ევრეთ-წოდებული მე-7 მუხლის პროცედურაც კი დააინიცირა, რასაც შესაძლოა შედეგად პოლონეთის ევროკავშირში ხმის უფლების შეჩერება მოჰყვეს. ცნობილმა კონსტიტუციურმა იურისტებმა, როგორც პოლონეთის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, აღნიშნეს რომ საკონსტიტუციო სასამართლოზე თავდასხმა ეწინააღმდეგება როგორც პოლონეთის კონსტიტუციას, ასევე საერთაშორისო მოთხოვნებს იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც სამართლის უზენაესობის პრინციპით იმართებოდნენ. როგორც ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფმა „სამართლის მეშვეობით დემოკრატიისთვის“ ვენეციის კომისიის ფარგლებში განაცხადა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს ფუნქციონირებს, არა მხოლოდ სამართლის უზენაესობა, არამედ დემოკრატია და ადამიანის უფლებები ექცევა რისკის ქვეშ. ხელისუფლების მხრიდან ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შეუსრულებლობამ, პოლონელი მოსამართლეების უზარმაზარი პროტესტი გამოიწვია.

პოლონეთში განვითარებული პოლიტიკური და კონსტიტუციური მოვლენები სერიოზულ საფრთხეს უქმნის 1989 წლიდან ბევრი ადამიანის მტკიცე რწმენას მასზე, რომ ევროპა მუდმივად მიისწრაფვის უფრო მეტი დემოკრატიულობისა და სამართლის უზენაესობისკენ. დაწყებულია საუბარი „სათათბირო დემოკრატიისა“ და ევროკავშირის კონსტიტუციური პროექტის შესახებ. როდესაც პოლონეთი, ყოფილი „აღმოსავლეთის ბლოკის“ შვიდ სხვა ქვეყანასთან ერთად, ევროკავშირის წევრი გახდა 2004 წელს, ისე მოჩანდა, თითქოს, დასავლეთში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაწყებული მოვლენები, საბოლოოდ, მთელს

კონტინენტს მოიცავდა. ამიტომ, პოლონეთში და, სხვათა შორის, ასევე უნგრეთში დაფიქსირებული დემოკრატიული დაღმასვლა, მეტად საყურადღებო მოვლენაა. სამართლის უზენაესობა ნადგურდება, ხოლო ევროკავშირს, როგორც ჩანს, არ გააჩნია რაიმე განსაკუთრებულად ეფექტური ინსტრუმენტი ამ მოვლენის შესაჩერებლად. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი პოლონელი მოსამართლეების აქტიური პროტესტი.

ომი უზენაესი სასამართლოსთვის

2015 წლის ივლისში „კანონისა და სამართლიანობის“ ეროვნულ-კონსერვატიულმა პარტიამ გამარჯვება მოიპოვა საპრეზიდენტო არჩევნებშიც, თავის კანდიდატ ანდჟეი დუდასთან ერთად. საკონსტიტუციო სასამართლოს პარალიზების შემდეგ, პარტიამ მოახერხა და თითქმის ყველა სასურველი რეფორმა გაატარა. მთლიანად შეიცვალა პოლონეთის სასამართლო სისტემა, მათ შორის მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების წესი.

ახალი მოსამართლეების ნომინირება ამჟამად იუსტიციის ეროვნული საბჭოს პრეროგატივაა. კონსტიტუციის თანახმად, საბჭოში მანდატების უმრავლესობას მოსამართლეები ფლობენ. მანამდე წევრებს თავად მოსამართლეები ირჩევდნენ. თუმცა, პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმად, საბჭოში მოსამართლეებს დღეს უკვე პარლამენტი ნიშნავს. ამ მექანიზმის დამსახურებით, საბჭოს შემადგენლობა ბევრად უფრო პოლიტიზებული გახდა.

2017 წლის ივლისში, მთავრობამ წარმოადგინა კანონპროექტი, რომელიც უზენაესი სასამართლოს ყველა მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერებას მოიხარებდა, რითაც იუსტიციის მინისტრს ენიჭებოდა უფლებამოსილება, მოსამართლეები ინდივიდუალური შეფასების შედეგად დაენიშნა. პარლამენტმა კანონი დაამტკიცა, თუმცა მას იურისტებისა და მოსახლეობის პროტესტი მოჰყვა, ამიტომ პრეზიდენტმა კანონს ვეტო დაადო. სანაცვლოდ, პრეზიდენტმა ახალი კანონპროექტი წარმოადგინა. შეთავაზების თანახმად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის საპენსიო ასაკი 70-დან 65 წლამდე შემცირდებოდა, ხოლო პრეზიდენტს მიენიჭებოდა მოსამართლეთა უფლებამოსილების გახანგრძლივების უფლება ინდივიდუალური განაცხადის საფუძველზე.

გარდა ამისა, გაიზარდა მოსამართლეთა რაოდენობაც. პრეზიდენტმა ეს წინადადება ზოგადი საპენსიო რეფორმის სახით შემოიტანა. ამ ყველაფრის შედეგად, პარტია „კანონსა და სამართლიანობას“ ეძლეოდა შესაძლებლობა თავად დაენიშნა მოსამართლეთა უმრავლესობა ახალ უზენაეს სასამართლოში. პარლამენტმა კანონი 2018 წლის იანვარში დაამტკიცა, ხოლო აპრილში კანონი ძალაში შევიდა.

ბევრი მოსამართლე, სასამართლო და ადვოკატთა ასოციაცია, და მათ შორის პოლონეთის რიგითი მოქალაქეები კანონის წინააღმდეგები იყვნენ. მალგორზატა გერსდორფი, სწორედ ამ წინააღმდეგობის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა. იმავე დღეს, როდესაც პრეზიდენტმა დუდამ თავისი კანონპროექტის წინასწარი პრეზენტაცია გამართა 2017 წლის დეკემბერში, გერსდორფმა გამოაქვეყნა წერილი, რომლითაც „პოლონეთის მოქალაქეებს“ მიმართა.

წერილში მან აღწერა „გადატრიალება – მიმართული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტის სტრუქტურის წინააღმდეგ“ და თქვა, რომ „არ არსებობს არანაირი ზნეობრივი ან იურიდიული გამართლება იმ პირებისთვის, ვისაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ პოლონეთში დემოკრატიული სამართლის უზენაესობის განადგურებისათვის, როგორც კონსტიტუციის მე-2 მუხლშია ნათქვამი!“. წერილი შემდეგი რეპლიკით სრულდებოდა: „არცერთ პოლიტიკურ ძალას არ აქვს უფლება გაანადგუროს სახელმწიფოს კონსტიტუციური სტრუქტურები, ისე როგორც ამას ოკუპანტი ძალა გააკეთებდა“. მანამდე, მან აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა, სადაც აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი პოლონეთში უზენაესი სასამართლოს დასასრულს მოასწავებდა. მის კრიტიკას ხელისუფლების მისამართით, შედეგად მოჰყვა მმართველი პარტიის 50 წარმომადგენლის მხრიდან საკონსტიტუციო სასამართლოსადმი თხოვნით მიმართვა, – შემომნებულებო, თუ რამდენად კონსტიტუციის დაცვით მოხდა გერსდორფის თანამდებობაზე დანიშვნა 2014 წელს.

უარი გადადგომაზე

გერსდორფი რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდა. 2018 წლის 3 აპრილს, ასაკობრივი შეზღუდვის შესახებ კანონის ძალაში შესვლისას, პროტესტის ნიშნად, თანამდებობიდან წასვლას აპირებდა, თუმცა გადაწყვიტა

დარჩენილიყო. იმ დღეს, როდესაც გერსდორფს, ახალი კანონის თანახმად, პოსტი უნდა დაეტოვებინა, ის და ბევრი სხვა მოსამართლე სამსახურში გამოცხადდნენ და პრესასთან განცხადებებიც გააკეთეს. „მთავრობის ერთადერთი მიზანი, უზენაესი სასამართლოს საკუთარი კადრით დაკომპლექტება“, – თქვა მან. ათასობით დემონსტრანტი უზენაესი სასამართლოს შენობის წინ სკანდირებდნენ – „თავისუფლება სასამართლოებს!“ და „კონსტიტუცია, კონსტიტუცია!“

ამ მოვლენებს მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალს. გერსდორფის მიმართვა სასამართლოს გარეთ შეკრებილი ადამიანების მიმართ, მისი შენობაში შესვლის მომენტში, მთელს მსოფლიოში გადაიცემოდა ტელევიზიებით. ის, რაც პოლონეთის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებთან დაკავშირებით მოხდა, იყო არა მხოლოდ პოლონეთის, არამედ სამართლის უზენაესობის მომავლის საკითხი მთელი ევროპისათვის. ეს დღე შესაძლოა ერთ-ერთ მნიშვნელოვან დღედ შევიდეს ევროპის მართლმსაჯულების ისტორიაში.

ორი კვირის შემდეგ, გერსდორფი ქალაქ კარლსრუეში მიიწვიეს ლექციის წასაკითხად როგორც საჯაროდ, ასევე გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, პოლონეთში მოსამართლეთა მდგომარეობის შესახებ. გერსდორფმა აღნიშნა:

იურისტები არ უნდა იყვნენ ჩუმად იმ ბოროტების შემყურე, რაც პოლონეთის სასამართლოს დაატყდა თავს ბოლო ორწელიწად-წახევრის განმავლობაში დამტკიცებული კანონმდებლობის წყალობით. ზიანი, სამწუხაროდ, უზარმაზარია და, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში გამოსწორების იმედიც არ უნდა გვექნდეს. პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობა მიწასთანაა გასწორებული, სასამართლო კოლეგიებზე ხორციელდება ზეწოლა, რათა მათ მმართველი პარტიის მოლოდინები დააკმაყოფილონ (...) რისი გაკეთება შეუძლია უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტს? ერთადერთი, რაც მას დარჩენია არის ხმის ამოღება. იგი ვერ დარჩება „აპოლიტიკური“, რადგან კონსტიტუციის დაცვა, არსებითად, პოლიტიკურ საკითხად იქცა. ასეთია პოლონეთში არსებული დღევანდელი ვითარება – იმედია, ხვალ გერმანია არ აღმოჩნდება იგივე სიტუაციაში!

ის მარტო არ იყო. 2018 წლის ოქტომბერში, ევროკომისიამ აღნიშნული კანონი ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში გაასაჩივრა, პოლონეთის მიერ ევროკავშირის სამართლის დარღვევის გამო. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ 19 ოქტომბერს გამოსცა დროებითი განკარგულება, რომლითაც პოლონეთს აეკრძალა აღნიშნული კანონის დებულებების გამოყენება. პოლონეთის უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ევროკავშირის სასამართლოს გადანყვეტილებას პირდაპირი ეფექტი ჰქონდა და, შესაბამისად, კანონი გააუქმა. პოლონეთის ხელისუფლებამ პატივი სცა სასამართლოს გადანყვეტილებას. 2018 წლის ნოემბერში კანონში ცვლილება შევიდა.

2019 წლის 25 ივნისს ევროკავშირის სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვეყნა.⁷³ სასამართლომ საოცრად კონფრონტაციული პოზიცია დაიკავა, რითაც ეჭვი არ დაუტოვა არავის, რომ პოლონეთის მთავრობას სასამართლო სისტემაზე კონტროლის მოპოვების მოტივაცია ამოძრავებდა. კომისიის დასკვნით, პოლონური კანონი იყო მთავრობის ფარული ხერხი, ხელში ჩაეგდო მოქმედი მოსამართლეების საკუთარი მოსამართლეებით ჩანაცვლების შესაძლებლობა. ეს არგუმენტი სასამართლომ გაიზიარა. სასამართლოს თქმით, სერიოზულ ეჭვს იწვევდა ის ფაქტი, თუ რამდენად იყო რეფორმა ქეშმარიტად საპენსიო, თუ ეს იყო ღონისძიება ურჩი მოსამართლეების თავიდან მოსაშორებლად. სასამართლომ ასევე განმარტა: მას საეჭვოდ ენიშნა მთავრობის განცხადება მასზედ, რომ რეფორმის მიზანი მოსამართლეებისთვის იგივე საპენსიო ასაკის დადგენა იყო, როგორც სხვა საჯარო მოხელეების შემთხვევაშია განსაზღვრული. სასამართლომ პირდაპირ განაცხადა, რომ რეფორმა იძლეოდა მანამდე დანიშნული მოსამართლეების ჩამოშორების შესაძლებლობას და შესაძლოა სერიოზული შედეგები მოჰყოლოდა ქვეყნის უზენაესი სასამართლოს შემადგენლობისა და უწყვეტობის თვალსაზრისით. გერსდორფმა და მისმა კოლეგებმა მოიგეს ბრძოლა სამართლის უზენაესობის დამოუკიდებლობისთვის. თუმცა, ომი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

73 ევროპის სასამართლო, გადანყვეტილება საქმეზე C-619/18.

დისციპლინური დევნა მაკრიტიკებლების წინააღმდეგ

პოლონეთმა 30-ზე მეტი კანონი მიიღო, რომლებიც მართლმსაჯულების სისტემის მთლიან სტრუქტურას შეეხებოდა, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს, იუსტიციის ეროვნულ საბჭოს, უზენაეს სასამართლოს, საერთო სასამართლოებს, ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოებს და პროკურატურის საქმიანობას. ეს ყველაფერი სერიოზულ შემოფოთებას იწვევს სამართლის უზენაესობისა და განსაკუთრებით სასამართლოს დამოუკიდებლობის თვალსაზრისით.

შემოფოთებას იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ლეგიტიმურობის საკითხი, იუსტიციის ეროვნული საბჭოს მოსამართლე წევრების დანიშვნის პროცედურა, უზენაესი სასამართლოს ორი ახლად შექმნილი პალატის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, დისციპლინურ საქმეთა პალატა, ასევე საგანგებო და სამოქალაქო საქმეთა პალატა, რომლებსაც ექსკლუზიური უფლებამოსილება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილებები სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, უზენაესი სასამართლოს ახალი პირველი თავმჯდომარის დანიშვნის პროცედურა, მოსამართლეთა დისციპლინირების სისტემა (მიმდინარე დისციპლინირების რეჟიმი იძლევა დღევანდელ სასამართლო პრაქტიკაში მოსამართლის დისციპლინური სამართალწარმოებისადმი დაქვემდებარების საშუალებას, მათ მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებებისა ან იმ განცხადებების შინაარსიდან გამომდინარე, რომლებსაც ისინი აკეთებენ კონსტიტუციური ორგანოების ფუნქციონირების შესახებ პოლონეთში), ზოგადი აკრძალვა, რომლითაც პოლონეთის სასამართლოებს ეკრძალებათ სასამართლოებისა და ტრიბუნალების, საკონსტიტუციო ორგანოებისა და სამართალდამცავი ორგანოების უფლებამოსილების კითხვის ქვეშ დაყენება, ასევე პოლონეთის ყველა მოსამართლის ვალდებულება საჯაროდ გამოაქვეყნოს საკუთარი პერსონალური ინფორმაცია, მათ შორის ასოციაციების წევრობა, დაკავებული თანამდებობა ნებისმიერ არაკომერციულ ორგანიზაციაში, ასევე წევრობა ან დაკავებული თანამდებობა პოლიტიკურ პარტიებში 1989 წლის 29 დეკემბრამდე.⁷⁴

74 ყოვლისმომცველი მიმოხილვისთვის იხილეთ: Laurent Pech, Patryk Wachowicz, and Dariusz Mazur, "Poland's Rule of Law Breakdown: A Five-Year Assessment of EU's (in)action," *Hague Journal on the Rule of Law* 13:1 (2021), <https://doi.org/10.1007/s40803-021-00151-9>

ახალი დისციპლინური წესების თანახმად, გენერალური პროკურორი უფლებამოსილია, იუსტიციის მინისტრის მოთხოვნის საფუძველზე, მოსამართლეების წინააღმდეგ გამოძიება დაიწყოს. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება რეჟიმის ოპონენტი რამდენიმე მოსამართლის წინააღმდეგ, მათ შორის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მიმართ, რომლებმაც რამდენიმე შეკითხვა გააგზავნეს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში იმის გასარკვევად, თუ რამდენადაა თანხვედრაში პოლონური კანონების გამოყენება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. რა თქმა უნდა, მოსამართლის მხრიდან ევროპულ სასამართლოში საქმის წარდგენის უფლებით სარგებლობა დანაშაულს არ წარმოადგენს. მოსამართლე თავის გადაწყვეტილებებში უზენაესია. თუმცა, მოსამართლეების წინააღმდეგ გამოძიების დაწყების საბაზი გახდა სავარაუდო ეჭვი, რომ ეს ნაბიჯი მათ შეთანხმებული პოლიტიკური აქციის ფარგლებში განახორციელეს, რაც მოსამართლის ოფიციალური მოვალეობის დარღვევად ჩაითვლება. ის ფაქტი, რომ ამგვარი ეჭვები შესაძლოა მიმართული იქნას მოსამართლეების წინააღმდეგ, ზოგადად მოსამართლეებში ნერგავს შიშს, არ გააკეთონ ისეთი რამ, რაც მმართველი უმრავლესობის დისკრედიტაციას გამოიწვევს და რასაც არსებითად მსუსხავი ეფექტი აქვს.

რეე შემთხვევებში, გამპროტესტებელ მოსამართლებს დაუნიშნეს გამოძიებლები, რომლებსაც მოსამართლეების მიერ ბოლო ხანებში განხილული საქმეების სრული პორტფოლიოს გადახედვა დაევაღათ, რაც შესაძლოა მათ წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების ინიციირების საფუძველიც გახდეს.

სამართლის უზენაესობა და ლიბერალური დემოკრატია

ბრძოლა პოლონეთში სასამართლოებთან დაკავშირებით გარდამტეხ მომენტად იქცა თანამედროვე ევროპის სამართლის ისტორიაში. ლიბერალური დემოკრატია აერთიანებს „ხალხის მმართველობის“ და ინდივიდუალური უფლებების დაცვის იდეას. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი რეკონსტრუქციის ფარგლებში, სასამართლო სისტემის რეფორმა მთელს დასავლეთ ევროპაში განხორციელდა. რეფორმები მოიცავდა სასამართლოების კომპეტენციის გაფართოებას ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დასაცავად, ასევე სასამართლოების ინსტიტუციური პოზიციისა და დამოუკიდებლობის გაძლიერებას.

დემოკრატიული სამართლის უზენაესობის მთავარი მამოძრავებელი იდეა არის ის, რომ ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს იმ შეზღუდვებს, რომლებსაც კონსტიტუცია და ნორმათა ჩამონათვალი ადგენს პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებისათვის. ამ შეზღუდვების დაცვას აკონტროლებენ დამოუკიდებელი სასამართლოები, რომლებსაც კონსტიტუციით აქვთ მინიჭებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების გადამოწმების უფლებამოსილება. აღნიშნული იდეა ვრცელდება ასევე ისეთ ქვეყნებზეც, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი საკონსტიტუციო სასამართლოები, მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნები და დიდი ბრიტანეთი.

ლიბერალური ნორმებისა და ღირებულებების დაცვაზე ორიენტირებული სასამართლო ზედამხედველობის დანერგვა, პოპულისტურ პოლიტიკას მოქმედების შედარებით ვიწრო არეალს უტოვებს. ამიტომ, მნიშვნელოვანი ამოცანაა სასამართლოების ქმედუუნარობის მიღწევა. ხანდახან, საზოგადოების გავლენიანი ძალები თავს ესხმიან სასამართლოებს პირადი ინტერესებიდან გამომდინარე. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დავინახეთ რუმინეთში, სადაც სასამართლოების მზარდ ეფექტურობას, საზოგადოების წამყვან წრეებში არსებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, პასუხად მართლმსაჯულების რეფორმები მოჰყვა.

როგორც აპრონ ბარაკის შესახებ მე-11 თავში აღვნიშნეთ, საერთაშორისო სამართლის აღზევება უახლეს ისტორიაში ყველაზე ფუნდამენტურ სამართლებრივ ცვლილებად იქცა. ევროპაში, ევროპეიზაცია გახდა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე სასამართლო კონტროლის დანერგვის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი. რკინის ფარდის დაშვების შემდეგ, აღნიშნული ტენდენცია ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებზეც გავრცელდა. 1989 წელს, ევროპის საბჭომ საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნები სავალდებულო თანამშრომლობაში მონაწილეობისთვის მიიწვია იმ პირობით, რომ ისინი აიღებდნენ ვალდებულებას ჰელსინკის შეთანხმებისა და გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების შესრულებაზე. ქვეყნებს, რომლებიც ევროკავშირის წევრები გახდნენ, დაევალათ დემოკრატიისა და სამართლებრივი სიციხადის დასამკვიდრებლად ევროკავშირის მოთხოვნების შესრულება. 1990-იან წლებში, ყოფილი აღმოსავლეთის ბლოკის ბევრ ქვეყანაში საკონსტიტუციო სასამართლოები შეიქმნა.

სამართლის უზენაესობის რეგრესი

ჩვენი თაობა პირველად გახდა მოწმე იმისა, რომ ევროპის დემოკრატიული ქვეყნების ხელისუფლებები კითხვის ქვეშ აყენებენ საერთო ევროპული ინსტიტუტების მთავარ არსს. დემოკრატიის დაღმასვლასა და სამართლის უზენაესობის რეგრესს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი, ყოველ შემთხვევაში, როდესაც დემოკრატია ლიბერალურ დემოკრატიად აღიქმება. სამართლის უზენაესობის დაღმასვლა განისაზღვრა როგორც

პროცესი, როდესაც არჩეული საჯარო ხელისუფლება შეგნებულად ახორციელებს სამთავრობო გეგმას, მიზანმიმართულს ძალაუფლების შიდა კონტროლის სისტემატური შესუსტების, განადგურების ან ხელში ჩაგდებისაკენ, ლიბერალური დემოკრატიული სახელმწიფოს ძირის გამოთხრისა და დომინანტი პარტიის გრძელვადიანი მმართველობის განმტკიცების მიზნით.⁷⁵

აღნიშნულ განმარტებაში ცენტრალური ადგილი სამართლებრივი ინსტიტუტების სისტემატურ და მიზანმიმართულ ხელში ჩაგდებას უკავია. მაშასადამე, სამართლის უზენაესობის რეგრესი უფრო მეტია, ვიდრე სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სამართლის ავტონომიის ხარვეზი.

გაუძლებენ აღნიშნული ინსტიტუტები გამოცდას და აგვარიდებენ თავიდან ავტორიტარული რეჟიმების განვითარებას ისე, როგორც ამას ბევრი ადამიანი მოელის და სჯერა? ბევრს ჰქონდა იმის მოლოდინი, რომ ინსტიტუტები და, მათ შორის, ევროკავშირი და ევროპული საბჭო ამგვარი მოვლენების არგანვითარების გარანტი იქნებოდნენ. თუმცა, ევროკავშირის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ არსებობს მრავალი დაბრკოლება და არაეფექტურობა წევრ ქვეყნებში სამართლის უზენაესობის რეგრესთან ბრძოლის მიმართულებით. ეს იმაზე მოწმობს, რომ საერთაშორისო ვალდებულებები და ინსტიტუტები საკმარისი არ არის იმისათვის, რომ საზოგადოება დემოკრატიის დაღმასვლისა და სამართლის უზენაესობის რეგრესისგან დაცვივდეთ. დემოკრატიისა და თავისუფლების ღირებულებები დაცული უნდა იქნას უშუალოდ

75 I. Pech and K. Scheppele, “Illiberalism Within: Rule of Law Backsliding in the EU,” *Cambridge Yearbook of European Legal Studies* 19 (2017), doi:10.1017/cel.2017.9

საზოგადოების შიგნით, რათა ამგვარმა დაცვამ ეფექტურობა შეინარჩუნოს.

დღეს, როგორც არასდროს, გვჭირდება უშიშარი მოსამართლეები, ანუ მოსამართლეები, რომლებიც დაიცავენ სამართლის უზენაესობის იდეალს, თუნდაც ზენოლის ქვეშ. სწორედ ამიტომ იკავებს გერსდორფი ადგილს ჩვენი გმირების გვერდით. ბრძოლა, რომელიც მან და მისმა კოლეგებმა გაიარეს, არ არის ჩვეულებრივი მოვლენა. სამწუხაროდ, მოსამართლეებს ზოგადად არ სჩვევიათ ქვეყნის მმართველი ხელისუფლების კრიტიკა. ბევრი თვლის, რომ მოსამართლეებმა თავი უნდა შეიკავონ პოლიტიკური განცხადებებისგან. არსებობს არაერთი ისტორიული მაგალითი იმისა, თუ როგორ გაუჩუმებიათ დამოუკიდებელი სასამართლოები ავტორიტარულ მმართველებს. უმრავლეს შემთხვევაში, მოსამართლეები ამგვარ განვითარებას მორჩილად იღებენ და შეძლებისდაგვარად ადაპტირდებიან. მცირეოდენ გამონაკლისებში კი შედის ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს გაბედული პროტესტი გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ 1940 წლის დეკემბერში, რომლის შესახებაც მე-5 თავში ვისაუბრეთ.

სამართლის უზენაესობის ჩამოშლა ხდება ასევე უნგრეთში, თუმცა, პოლონელი კოლეგებისგან განსხვავებით, უნგრელი მოსამართლეები ძირითადად ჩუმად ყოფნას ამჯობინებენ. პოლონეთში მოსამართლეები ხმამაღლა გამოთქვამენ პროტესტს, უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტი გერსდორფისა და სხვათა მიერ შთაგონებული. პოლონეთის სასამართლო სისტემის ამგვარი აქტივობის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის ფაქტორი, რომ პოლონეთი დიდი ქვეყანაა, სადაც დაახლოებით 10,000 მოსამართლე მუშაობს. მეორე მიზეზად კი შეიძლება დასახელდეს ის, რომ სასამართლოზე შეტევა მცირე ხანში მოხდა, ხოლო უნგრეთში პროცესი დროთა განმავლობაში და თანდათანობით ვითარდებოდა. უნგრეთში, ხელისუფლებას ასევე ჰქონდა უმრავლესობის მხარდაჭერა კონსტიტუციაში შესწორებების შესატანად. პოლონეთში კი, ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების ლეგიტიმურობა ინტენსიური ყურადღების ქვეშაა და მარტივად შეიძლება სასამართლოს განხილვის საგანი გახდეს.

უდავოდ აღნიშვნას იმსახურებს პოლონეთის უახლესი ისტორია საპროტესტო გამოსვლებთან დაკავშირებით, რომელსაც 1980-იან წლებში პროფკავშირული მოძრაობა „სოლიდარობა“ აწარმოებდა.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოსამართლეების პროტესტმა მტკიცე მხარდაჭერა მოიპოვა უზენაესი სასამართლოსგან, ასევე უნივერსიტეტების კონსტიტუციური სამართლის მკვლევრებისგან და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისგან. მოსამართლეები დგანან ერთად, ხოლო მათ ზურგს ძლიერი პროფკავშირი უმაგრებთ.

თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი გმირი გერსდორფისნაირი უშიშარი პოლონელები. გერსდორფი და მისი კოლეგები არიან შთაგონების წყარო, ხოლო მათი ქმედებები ნებისმიერ ქვეყანაში მყოფ მოსამართლეებს მოუწოდებს, არ მისცენ ავტორიტარულ ძალებს სამართლის უზენაესობის ინსტიტუტების განადგურების საშუალება. ჩვენი სამართლებრივი ინსტიტუტები და კონსტიტუციური უფლებები უმნიშვნელოვანესია სამართლის უზენაესობის მისაღწევად. მათი აქტიური მხარდაჭერა კი აუცილებელია. ისტორიამ გვასწავლა, რომ სასამართლო ხშირად პასიურ პოზიციას იკავებს. ევროპაში ბოლო წლებში განვითარებული მოვლენები გვიჩვენებს, რომ სამართლის უზენაესობა ბუნებრივ მოვლენად არ უნდა მივიჩნიოთ. შესაბამისად, მაღმორზატა გერსდორფისა და მისი უშიშარი პოლონელი კოლეგების მსგავსი მოსამართლეები ჩვენთვის, ყველასთვის, ძალიან მნიშვნელოვანია.

გამოყენებული ლიტერატურა

- Brennan Centre for Justice. “Legislative Assaults on State Court.” Last modified December 17, 2018. <https://www.brennancenter.org/our-work/research-reports/legislative-assaults-state-courts-2018>
- Gersdorf, Małgorzata. “Open Letter to the Citizens of Poland.” <https://oko.press/chief-justice-of-poland-this-is-a-coup-d-etat-against-the-supreme-court-in-poland/> read 5.12.2018.
- Gersdorf, Małgorzata. “Speech to Mark the Occasion of the Conference Organised by the Federal Court of Germany Bundesgerichtshof): Polish Rule of Law: Missed Opportunities?” Karlsruhe, July 19th–20th 2018, accessed NAR?Wystapienie20PPSN-20w20Karlsruhe20-20wersja20ang_2.pdf (iustitia.pl)
- Krzemiń, Edward. “Chief Justice of Poland: This Is a coup d’etat Against the Supreme Court in Poland”, Oko Press, December 22, 2017. <https://oko.press/chief-justice-of-poland-this-is-a-coup-d-etat-against-the-supreme-court-in-poland>
- Reasoned Proposal in Accordance with Article 7(1) of the Treaty on European Union Regarding the Rule of Law in Poland COM (2017) 835 final. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52017PC0835>

Report from the Commission to the European Parliament and the Council on Progress in Romania Under the Cooperation and Verification Mechanism, COM (2018) 851 final. https://ec.europa.eu/info/sites/info/files/progress-report-romania-2018-com-2018-com-2018-851_en.pdf

Sanders, Anne and Luc von Danwitz. “Defamation of Justice: Propositions on How to Evaluate Public Attacks Against the Judiciary.” VerfBlog, October 10, 2017. <https://verfassungsblog.de/defamation-of-justice-propositions-on-how-to-evaluate-public-attacks-against-the-judiciary/>, <https://doi.org/10.17176/20171031-181401>

Wefng, Henrich. “Diese Frau sagt Nein”, Die Zeit, September 1 2018. <https://www.zeit.de/2018/36/malgorzata-gersdorf-polen-regierung-entlassung-recht-unrecht> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 5 დეკემბერს).

14

დეიდა გილეადიდან

სამართლის გმირი მხატვრულ ლიტერატურაში

მოკლე მიმოხილვა

ხანდახან სამართლის არსი ყველაზე კარგად ლიტერატურაშია გამოცემული. ფიქრი იმაზე, რომ რეჟიმის წინააღმდეგ ფარულად, მცირე ნაბიჯებით მოქმედება შესაძლებელია, ძალიან მარტივად შეიძლება იქცეს ლაჩრული თანამონაწილეობის საფარველად. ყველას შეუძლია დროდადრო პატარ-პატარა დაბრკოლებების შექმნა რეჟიმისთვის, მაგრამ ამით კოლაბორაციონისტი, გმირი ვერ გახდება. თუმცა, როგორ იქნებოდა ჩვენი რეაქცია, რომ ეთქვათ, გერინგი, ბერია ან ლინ ბიაო ძალისხმევას არ იშურებდნენ რეჟიმის შიგნიდან დასამხობად, ასევე ადამიანისა და სამართლის უზენაესობის მიმართ პატივისცემის აღსადგენად? შევიცვლიდით ჩვენს შეხედულებას მათ შესახებ და მივანდობდით ისტორიას მათთვის განსხვავებული ვერდიქტის გამოტანას? მარგარეტ ეტუუდის გამოგონილ, ახალ ქვეყანა გილეადში ცხოვრობს ერთი უშიშარი მოსამართლე, რომელიც არაადამიანურად დიდი წნეხის ქვეშ იბრძვის სამართლის უზენაესობისათვის. გილეადი გამოგონილი ისტორიაა, თუმცა ეტუუდი იქვე გვახსენებს ნაწარმოების აქსიომას: მასში არ არის აღწერილი არც ერთი მოვლენა, რომლის პრეცედენტიც კაცობრიობის ისტორიაში არ მოიძებნება.

ბოლო ისტორიაში, გილუადში გავემგზავრებით. გილუადი წარმოსახვითი ქვეყანაა, აღწერილი მარგარეტ ეტვუდის ნაწარმოებში სახელწოდებით „მხევლის ნიგნი“ და „გილუადის ქალიშვილები“. მართალია, გილუადი გამოგონილი ამბავია, თუმცა ეტვუდი შეგვახსენებს ნაწარმოების აქსიომას: მასში არ არის აღწერილი არც ერთი მოვლენა, რომლის პრეცედენტიც კაცობრიობის ისტორიაში არ მოიძებნება. ამიტომ, ვიყენებთ ამ შესაძლებლობას და გილუადის ერთ-ერთ პერსონაჟს, ჩვენი სამართლის გმირების გვერდით მივუჩენთ ადგილს.

სამართლის გმირები მხატვრულ ლიტერატურაში

უშიშარი მოსამართლეები მხატვრულ ლიტერატურაშიც იშვიათობაა. გამოძიებელი მოსამართლე, კოსტა-გავრასის ოსკაროსან ფილმში „ზეტა“, სწორედ ის პერსონაჟია, რომელიც კარგად მოერგებოდა მხატვრულ სერიალს მოსამართლეების შესახებ. იგი უპირისპირდება გენერლებსა და საიდუმლო პოლიციის გავლენიან ბოსს და წარმატებით ახერხებს მათ გასამართლებას პოლიტიკური ოპონენტის მკვლელობისათვის.

მართალია, გმირები ცოტანი არიან, თუმცა ბევრია დილემის წინაშე მყოფი მოსამართლე. ფართოდ ცნობილი და განხილვადი პერსონაჟია კაპიტანი ვერი ჰერმან მელვილის ნაწარმოებში „ბილი ბადი, მეზღვაური“. უნდა გამოიტანოს თუ არა კაპიტანმა ვერიმ საზღვაო ფლოტის მკაცრი კანონების მიხედვით განაჩენი, რომელიც თვითონაც იცის, რომ უსამართლოა? როდესაც ის გადაწყვეტს დაჰკითხოს და გაასამართლოს ბილი ბადი, იყენებს თუ არა ის კანონს ბოროტად და სწორავს უდანაშაულო ადამიანს, ეკიპაჟის წევრების ამბოხებისა და აჯანყების თავიდან ასაცილებლად, თუ უბრალოდ მკაცრად იცავს კანონს? მელვილი ბოსტონის ინტელექტუალური ელიტის წევრის, მოსამართლე ლემუელ შოუს სიძე იყო. მიუხედავად იმისა, რომ მონობის ინსტიტუტს სასტიკად ეწინააღმდეგებოდა, შოუმ გაქცეულ მონა თომას სიმს 1851 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, კვლავ მონობაში დაბრუნება მიუსაჯა. როგორც ამბობენ, შოუ მელვილის შთაგონებად იქცა კაპიტან ვერის პერსონაჟის შესაქმნელად.

ლიტერატურული მოსამართლე პერსონაჟები ასევე გვევლინებიან სისტემის უსახელო აღმსრულებლებად, როგორც მაგალითად

კაფკას „სასამართლო პროცესში“ ან ბიორნბოუს „თავისუფლების მომენტში“ აღწერილი. ისინი კანონს უმონყალოდ და ყოველგვარი სამართლიანობის გარეშე იყენებენ. ალბათ, ბევრს სწორედ ასეთი წარმოდგენა აქვს მოსამართლეებზე რეალურ ცხოვრებაში. ზოგიერთი ნაწარმოები კი, საშუალებას გვაძლევს უფრო სიღრმისეულად გავცნოთ მოსამართლის პიროვნებას, მათი გმირებად შერაცხვის გარეშე. ადამი, ივან კლიმას მოთხრობაში „მოსამართლის სასამართლო“, კომუნისტურ ჩეხოსლოვაკიაში მოღვაწე, იმედგაცრუებული მოსამართლეა, რომლის ცხოვრებასაც, მისი იდეალისტური ახალგაზრდობის წლებიდან, 1968 წლის „ჩეხეთის გაზაფხულის“ შემდგომ პერიოდამდე, ვადევნებთ თვალს. იან მაკევენი კი გვთავაზობს ოჯახის მოსამართლე ფონას მგრძნობიარე პორტრეტს და მორალურ დილემას, რომელსაც იგი წიგნში სახელწოდებით „ბავშვის კანონი“ აწყდება.

ზოგიერთი მოსამართლე, რომელთაც რეალურ ცხოვრებაში ვიცნობთ, მართლაც რომ ბოროტების განსახიერებაა. დაუნდობელი და კორუმპირებული ანჯელო შექსპირის პიესაში „საწყაული საწყაულისა წილ“, იზაბელას ღირსების შელახვას ცდილობს. ლიტერატურა უამრავ რეალისტურ და ბრძნულ მოსამართლეთა პორტრეტს გვთავაზობს, საიდანაც ბევრი რამის სწავლაა შესაძლებელი.

ტოტალიტარული თეოკრატია

მაგრამ, მოდით დავუბრუნდეთ გილედს და ლიდას, მის ერთ-ერთ პერსონაჟს. ქრისტიანულ-ფუნდამენტალისტური, პატრიარქალური ტერორის იმპერია გილეადი თავისუფლად შეგვიძლია შევადაროთ ირანის, ნაცისტური გერმანიისა და რუსეთის საბჭოთა კომუნისტურ რეჟიმებს, ასევე ცივი ომის დროს რკინის ფარდის მიღმა მყოფ ევროპის ქვეყნებს. თუმცა, ასევე შეიძლება ისტორიული პარალელის გავლება სამართლის უზენაესობის ამჟამინდელ გამონეგებთან, რომლებიც გვხვდება როგორც ამერიკის, ისე ევროპის კონტინენტზე.

ლიდას ბევრი იცნობს მარგარეტ ეტუუდის ნაწარმოებებიდან, ასევე სერიალიდან სახელწოდებით „მხევლის წიგნი“. ლიდია „დეიდების“ სექტორის სასტიკი და გამჭრიახი დირექტორი და ლიდერია, რომელსაც გოგონების პოლიტიკური და რელიგიური ინდოქტრინაცია ევალება. ის ახორციელებს სოციალურ კონტროლს და მისი ბრძანებით ადამიანებს

სიკვდილით სჯიან. „დეიდები“ გულდასმით სწავლობენ ოჯახურ კავშირებს, არჩევენ შესაფერის მხეველებს რეჟიმის ლიდერებისა და ოფიცრებისთვის, ასევე ზედამხედველობენ მშობიარობების პროცესს. ორგანიზაციის Pearl Girls მეშვეობით, ისინი მართავენ შპიონაჟისა და დაზვერვის ქსელს, რომლის მიზანიც სამეფოს მტრების, განსაკუთრებით, იატაკქვეშა მოძრაობის „მეიდეი“ წინააღმდეგ ბრძოლაა. ლიდია რეჟიმის ქალების კასტას „შალის თათმანში და ტყავის ხელთათმანში ჩაფუთნული რკინის ხელით“ მართავს.

მოსამართლე ლიდია, ნამება და სიკვდილით დასჯა

გილუადამდე ლიდია ადვოკატად და მოსამართლედ მუშაობდა. ერთ დღეს, რამდენიმე ქალ კოლეგასთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო იმ დღეს არ მუშაობდა, ლიდია სამსახურში გვიანობამდე შემორჩა, რათა საბუთების დასტა ცოტათი მაინც შეემცირებინა. რამდენიმე დღით ადრე, კონგრესი ტერორისტული თავდასხმის შედეგად ააფეთქეს და ქალაქში იმ მომენტისათვის საგანგებო მდგომარეობა მოქმედებდა. რატომღაც, არცერთი მამაკაცი კოლეგა იმ დღეს სამსახურში არ გამოცხადდა.

უეცრად ხმაური შემოესმებათ. ოფისში შემორბის ხუთი მამაკაცი, შეიარაღებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით და ქალებს აკავებენ. ათასობით სხვა ქალთან ერთად, ლიდია და მისი კოლეგები, დაპატიმრებულები, სპორტულ სტადიონზე გადაჰყავთ. სპორტული არენები გადატრიალების მომწყობთა საყვარელი ადგილია, რომელსაც პოლიტიკური მტრებისა და პოტენციური ოპონენტების საპატიმრო ადგილად იყენებენ.

რამდენიმე დღის შემდეგ, ლიდიას ჯგუფიდან გამოარჩევენ და მიიყვანენ კომანდორ ჯადთან, გილუადის მმართველთან. რამდენიმე კვირის განმავლობაში მას „ამუშავებენ ისე, როგორც ხორცის მაგარ ნაჭერს ამუშავებთ ხოლმე დასარბილებლად: ჯერ ჩაქუჩით ბეგვავთ, შემდეგ ამარინადებთ და ასე არბილებთ“. დამუშავების შემდეგ, ლიდია თანახმაა რეჟიმთან ითანამშრომლოს: „სჯობს შენ ისროდე ქვევს, ვიდრე შენ გესროდნენ“. მან ერთგულება სტადიონზე ათასობით დაკავებული ქალის წინაშე სიკვდილით დასჯაში მონაწილეობით უნდა დაამტკიცოს,

რომლის დროსაც იარაღიდან გასროლით კლავს თავის კოლეგასა და მეგობარ ანიტას.

ჰილდა ბენჯამინი, „წითელი გილიოტინა“

„დეიდების“ სამ სხვა ხელმძღვანელთან ერთად, ლიდია შეიმუშავებს ინდოქტრინაციის, ფარული თვალთვალის, რეგისტრაციის, ნამებისა და დასჯის სისტემას. არის ლიდია მოდელირებული ჰილდა ბენჯამინი, – ერთ-ერთი პირველი ქალი, რომელსაც იურიდიული განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული? ბენჯამინი ოცი წლის ასაკში უკვე იურისტი და კომუნისტური პარტიის აქტიური წევრი იყო. 1933 წლის შემდეგ, ებრაული წარმომავლობის გამო, მას ადვოკატობის უფლება ჩამოერთვა. როდესაც რუსებმა და აღმოსავლეთ გერმანელმა კომუნისტებმა ომის შემდეგ აღმოსავლეთ გერმანია დააფუძნეს, იგი გდრ-ის უზენაესი სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა. აღნიშნულ თანამდებობაზე ყოფნისას, მისი თავმჯდომარეობით გაიმართა სამარცხვინოდ ცნობილი „ვალდჰაიმის სასამართლო პროცესი“ ყოფილი ნაცისტებისა და რეჟიმის ოპონენტების წინააღმდეგ, რომლის შემდეგაც, მას მეტსახელი „წითელი გილიოტინა“ და „სისხლიანი ჰილდა“ შეარქვეს.

ბენჯამინი 1953 წელს დაანინაურეს და იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე დანიშნეს, რომელსაც 1967 წლამდე იკავებდა. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა ახალი სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები. 1967 წელს მას პენსიაზე გასვლა უბრძანეს, რადგან პოლიტიკური ფანატიზმი და მკაცრი სამართლიანობა ხელს უშლიდა გდრ-ის საერთაშორისო დონეზე აღიარებას. მისი სისტემაში ყოფნა აფუჭებდა იმ იმიჯს, რომლის ჩვენებასაც რეჟიმი მთელი მსოფლიოსთვის ცდილობდა. მიუხედავად ამისა, რეჟიმი მას დიდი პატივისცემით და ღირსეულად ეპყრობოდა, პენსიაზე გასვლის შემდეგაც კი.

წმენდა გილადში

ლიდიას კი გადადგომას არავინ სთხოვს. ის დაუნდობელი, ერთგული და, იმავდროულად, ძალიან ფრთხილია. იგი უმნიშვნელოვანესი

კადრია რეჟიმის მმართველი მამაკაცებისთვის და ისიც ნელ-ნელა კომპრომატების ვრცელ არქივს აგროვებს, უმეტესობა მათ შესახებ. ამით გარკვეულ უსაფრთხოებას იქმნის რეჟიმში, სადაც მუდმივად მიმდინარეობს ბრძოლა ძალაუფლებისთვის და ხშირია წმენდები. როდესაც სხვებს პოსტებს ატოვებინებენ, ლიდია თანამდებობაზე რჩება. მეთაური ჯადიც გადაურჩება წმენდას, შესაძლოა იმიტომ, რომ კარგად აკონტროლებს თავის ახლო თანამოაზრე ლიდიას.

Pearls Girls-ის დახმარებით, მეთაური ჯადი და ლიდია „მეიდეის“ წინააღმდეგობის მოძრაობას ებრძვიან. „მეიდეი“ შეიმუშავებს გაქცევის გეგმას, რათა დაეხმაროს ქალებს კანადაში გადაპარვაში. „მეიდეის“ გილადში თავისი აგენტი ჰყავს, რომელიც მას ინფორმაციას აწვდის ორგანიზაციის წინააღმდეგ დაგეგმილი ოპერაციებისა და მოსალოდნელი ღონისძიებების შესახებ.

ჯაშუში თოკრატიაში

აგენტი „მეიდეის“ ატყობინებს, რომ ორგანიზაცია მიიღებს იმდენად სენსაციური შინაარსის შემცველ დოკუმენტებს, რომ მათი გასაჯაროების შემდეგ, აუცილებლად მოხდება რეჟიმის ჩამოშლა.

როგორც ირკვევა, ეს ჯაშუში ლიდიაა. წლების განმავლობაში, ის თვალყურს ადევნებდა და აგროვებდა ინფორმაციას. ლიდიას ყველას შესახებ აქვს რაღაც. მისი არქივები დასტურია იმისა, თუ რაოდენ კორუმპირებულია რეჟიმი, რომლის ლიდერებსაც, ღვთისმოსავი და ფასადური ბიბლიის მორწმუნე ქრისტიანობის მიღმა, იმდენი ცოდვა აქვთ ჩადენილი, რომ მათი ენით აღწერა უბრალოდ შეუძლებელია. დოკუმენტები შეიცავს სახელმწიფო გადატრიალებების ან წამყვან პოზიციებზე მყოფთა დამხობის გეგმებს. ამ ინფორმაციას ის „მეიდეის“ უგზავნის.

14 წლის გოგონებზე ქორწინება

საზოგადოებაში, რომელსაც ძალაუფლებისთვის ბრძოლა და უნდობლობა ახასიათებს, ადამიანები საკუთარ ცოდვებს გარეშე თვალისგან მალავენ. მაგრამ ლიდიამ ეს ყველაფერი იცის. მეთაური ჯადი, მაგალითად,

ქორწინდება ახალ-ახალ 14 წლის გოგონებზე, რომლებსაც ლიდია მისთვის არჩევს. როდესაც მეთაურ ჯადს გოგონები მოჰზებრდება, ისინი მისთვის მოსახერხებელ გარემოებებში ილუპებიან. განქორწინება და მრუშობა გილეადში სიკვდილით ისჯება, ამიტომ ქორწინებიდან თავის დაღწევის სხვა გზა არ არსებობს, თვით ჯადისთვისაც კი. ამჯობინებს დაქვრივდეს.

როდესაც ლიდიას მიერ დაარქივებული მასალა კანადამდე ჩააღწევს და საჯარო გახდება გარე სამყაროსათვის, იწყება წმენდის ახალი ტალღა, რომელიც გილეადის ხელმძღვანელობის დასუსტებით სრულდება. სწორედ ასე იყრება როგორც სამხედრო გადატრიალების, ასევე სახალხო აჯანყების საფუძველი. რეჟიმს თავს ესხმიან შიდა და გარე ძალები, მათ შორის აშშ-ის ყოფილი შტატები, ტეხასისა და კალიფორნიის ჩათვლით, რომლებთანაც გილეადი მანამდე ომს აწარმოებდა. ამერიკის შეერთებული შტატები აღდგენილია.

გამანადგურებელი ანგელოზები

ლიდიამ იცის, რომ ინფორმაცია, რომელსაც ის წინააღმდეგობის მოძრაობის არხებით აგზავნის, არის ნაღმი, რომელიც საბოლოოდ აფეთქდება და რეჟიმს თან ჩაიყოლებს. ამისთვის, იყენებს ორ ახალგაზრდა ქალს, რომლებიც სწორედ ამ მიზნისთვის შეარჩია. ლიდია მათ შემდეგი სიტყვებით ემშვიდობება: „კარგად იფრინეთ ჩემო მაცნეებო, ჩემო ვერცხლისფერო მტრედებო, ჩემო გამანადგურებლო ანგელოზებო. უსაფრთხო ფრენას გისურვებ“. იცის, რომ ეს მისი ბოლო სვლაა და გარდაუვალი აფეთქება მასაც გაანადგურებს.

„აღბათ იკითხავთ, როგორ მოვახერხე ამდენი საშინელების, ამდენი სისასტიკის, ამდენი სისულელის ჩადენა. თქვენ ხომ ასეთ რამეებს არასოდეს გააკეთებდით“, – წერს იგი და მკითხველს მიმართავს: „მაგრამ თქვენთვის არც არასდროს დაუვალეებით ამის ჩადენა“. მას სინანულის ნატამალიც არ ეტყობა. ერთადერთი რასაც ნანობს, არის ის, რომ იქამდე ველარ იცოცხლებს, რომ ნახოს ეს ყველაფერი, უზარმაზარი ცეცხლი და დამსობა. „შეეცადეთ, ჩემზე ძალიან ცუდად არ იფიქროთ, ან იმაზე ცუდად, ვიდრე მე ვფიქრობ საკუთარ თავზე“. ლიდია მომნანიებელი ცოდვილია, თუ ადამიანი, რომელიც მხოლოდ ბოლოს ანალიზებს, თუ რას მიუძღვნა მან მთელი თავისი ცხოვრება?

ის წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სადაზვერვო სამსახურს, რომელიც რეჟიმის მონინალმდეგებს ებრძოდა. ამავე დროს, იგი ინფორმაციას აწვდიდა მტერს გილადის საიდუმლოებების შესახებ. ის ფარულად, მიკრონერტილების სახით გადასცემს ინფორმაციას, რომლებსაც ნერტილების ნაცვლად ანებებს პროპაგანდისტულ ბროშურებზე და რეჟიმის მისიონერებს გაუთვითცნობიერებლად გადააქვთ კანადაში. როდესაც ეს ამბავი გამჟღავნდება, ქსელი ლიდიას გარშემო თანდათან ვინროვდება. „ფეხის ხმა მიახლოვდება, ერთი ჩექმა, მეორის მიყოლებით. ერთი ამოსუნთქვაც და მეორეზე უკვე კაკუნი იქნება“.

ფარული ცხოვრება რეჟიმის ძირის გამოსათხრელად

მკითხველს მღელვარება იპყრობს. ნუთუ ეს ყველაფერი თავიდანვე დაგეგმილი იყო, როდესაც ლიდია დაემორჩილა მეტაფორიკული ბრძანებას – ემსახურა რეჟიმისთვის? თუ წინასწარ გათვალა, რომ ისეთ თანამდებობაზე მოხვდებოდა, რომლის მეშვეობითაც რეჟიმის დამხობას მოახერხებდა? თვლიდა თუ არა ის თავის კოლეგა და მეგობარი ანიტას სიცოცხლეს უკვე დაკარგულად და ამიტომაც ხომ არ მიიჩნევდა მის მკვლელობას კეთილი საქმისთვის გაღებულ აუცილებელ მსხვერპლად? თუ ამ კითხვებზე პასუხი დადებითია, მაშინ სახეზეა გმირის კლასიკური მაგალითი, რომელიც ფარულად მოქმედებს სისტემის შიგნით.

ბუნებრივია, რომ ასეთი გმირები, როგორც წესი, აღიარების გარეშე რჩებიან. ისინი ხშირად მარცხს განიცდიან, და შესაბამისად, მათი სახიფათო ძალისხმევების მიუხედავად, გმირის როლს არავინ ანიჭებთ. ფარულობის შენარჩუნებისთვის, ისინი იძულებულნი არიან ეშმაკს მიჰყიდონ სული და გახდნენ მჩაგვრელი რეჟიმის თანამონაწილე და თანამზრახველნი. ამგვარ დილემას ჰიტლერის ურჩი ბიუროკრატის, ჰანს კალმაიერის ისტორიაშიც გავეცანით, სადაც დავინახეთ, თუ როგორ ართმევს ეშმაკის ბულალტერია ადამიანს უნარს, გადანვიტოს, მიღებული შედეგი კარგია თუ ცუდი. კალმაიერი მრავალი წლის განმავლობაში ბოროტმოქმედად ითვლებოდა და არა გმირად. მას გმირად აქცევს ძალისხმევა – გაღებულ კონკრეტული ადამიანებისთვის, საკუთარი სიცოცხლისთვის უზარმაზარი რისკის ფასად. მისი წვლილის არდავინწყებამ მას ღირსება შეუნარჩუნა.

წამებული ჰანს ფონ დონანი

ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც რეჟიმის შიგნით მოქმედი პირების შესახებ ინფორმაცია გასაჯაროვდება, ისინი რეჟიმის რისხვისა და შურისძიების ობიექტები ხდებიან, რაც მათ საბოლოოდ წამებულადაც კი აქცევთ ხოლმე. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პატივსაცემი ადამიანი იყო იურისტი და მოსამართლე ჰანს ფონ დონანი. ჩვენ მას მცირედით ლოთარ კრეისიგის ისტორიაში გავეცანით. დონანიმ მუშაობა ბერლინის იუსტიციის სამინისტროში 1930 წელს დაიწყო, ხოლო 1933 წელს, გერმანიის უმაღლესი სასამართლოს Reichsgericht-ის მოსამართლე გახდა. მომდევნო წელს, ჰიტლერის იუსტიციის მინისტრის ოფისის ხელმძღვანელად დაინიშნა. დონანი მინისტრის უახლოესი თანამზრახველი იყო გერმანიის სამართლებრივი სისტემის ნაციფიკაციის მიმართულებით; ფარულად კი, ნაციტების ოპონენტი – 1920-იან წლებში გერმანიაში ნაციტების აღზევების მომენტიდან, რადგან ნაციტების ხელისუფლებაში მოსვლას ის გერმანიის დასასრულად მიიჩნევდა. 1938 წელს, დონანიმ არმიის დაზვერვის სამსახურის უფროსი ვილჰელმ კანარისი გაიცნო. სწორედ ამის შემდეგ გადანყვიტა: საკუთარი თავი რეჟიმის დამხობისთვის მიეძღვნა და თუ საჭირო გახდებოდა – ჰიტლერიც კი მოეკლა.

დონანი ასაკით ყველაზე ახალგაზრდა მოსამართლე იყო Reichsgericht-ში, თუმცა უპირატესობას წინააღმდეგობის მოძრაობისთვის მუშაობას ანიჭებდა და დაზვერვის სამსახურში ადგილიც კი იშოვა. დაზვერვის სამსახურს მასშტაბური გაფიცვებისა და მკვლევლობების ორგანიზება ევალებოდა, მათ შორის მათი დაგეგმილი იყო 1944 წლის 20 ივლისს განხორციელებული ჰიტლერის მკვლევლობის ცნობილი მცდელობა. ძალიან ბევრი წინააღმდეგობის მოძრაობის წევრი და მრავალი სხვა პირი, ვინც მონაწილეობას იღებდა მკვლევლობის მცდელობის განხორციელებაში, დააპატიმრეს.

რეჟიმის დაცემამდე სულ რაღაც ოთხიოდე კვირით ადრე, დონანი სიკვდილით დასაჯეს იმ საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც ის სასჯელს იხდიდა. მრავალი წელი დასჭირდა გერმანიას, რომ ჰიტლერზე თავდასხმა გმირულ აქტად ელიარებინა. 2002 წელს კი, დონანის დაბადებიდან 100 წლისთავის აღნიშვნისას, გერმანიის დღევანდელი უზენაესი სასამართლოს, Bundesgerichtshof-ის პრეზიდენტმა მემორიალური სიტყვა წარმოთქვა. მან გააკრიტიკა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სასამართლო ნაცისტი მოსამართლეების მიმართ გამოხატული

აპოლოგეტური დამოკიდებულების გამო და გმირებად მოიხსენია რეჟიმის ოპონენტები, მათ შორის დონანი.

დაბრკოლების შექმნა

რწმენა იმისა, რომ რეჟიმის ძირის გამოთხრა ფარულად და მცირე ნაბიჯებით შესაძლებელია, მარტივად შეიძლება გახდეს ლაჩრული თანამონაწილეობის საფარველი. ყველას შეუძლია დროდადრო პატარა-პატარა დაბრკოლებების შექმნა, მაგრამ ეს ქმედება კოლაბორანტს გმირად ვერ აქცევს. წინააღმდეგობის მცირე, სიმბოლური აქტები, როგორცაა სტუდენტური კავშირი „თეთრი ვარდის“ პროკლამაციების გავრცელება 1942 წლის მიუნხენში, უმანკოთა საქმეა, ხოლო მათ, ვინც ბოროტების თანამონაწილეობა აირჩიეს, უფრო დიდი მსხვერპლის გაღება მოეთხოვებათ. მოსამართლეები, რომლებიც ნორვეგიაში ებრაელთა ქონების რეგისტრაციის შესახებ ბრძანებას არ ასრულებდნენ, უკიდურესად გადატვირთული გრაფიკის მიზეზით, არ იყვნენ გმირები, მიუხედავად იმისა, რომ მათი ქმედება მართლაც რომ ღირსეული იყო. გმირის სტატუსის დამსახურებისთვის, საჭიროა რისკი და მასშტაბი.

და რას იტყვით უფრო სიღრმისეული როლის მქონე ადამიანზე, როგორც ლიდაა? შესაძლოა, რეჟიმის წინააღმდეგ ფარული მოქმედება გახდეს ადამიანის რეაბილიტაციის საფუძველი? როგორი იქნება ჩვენი რეაქცია, რომ გვითხრან, – გერინგი, ბერია ან ლინ ბიაო რეჟიმის შიგნით აქტიურად იღვწოდნენ მის დასამხობად, რათა ადამიანისა და სამართლის უზენაესობის მიმართ პატივისცემა აღედგინათ? შევიცვლიდით თუ არა მათდამი ჩვენს შეხედულებას და დაუფტოვებდით ისტორიას სხვა ვერდიქტის გამოტანის უფლებას? ბოროტება ნებისმიერ შემთხვევაში არსებობს. მოკლევადიან პერსპექტივაში მისი შეჩერება ან მოსპობა – შეუძლებელია. მეორე მხრივ, სისტემა უძლურია, თუკი მას ხალხი მხარს არ უჭერს. თუ საკმარისად ბევრი ადამიანი იტყვის უარს მორჩილებაზე და მხარდაჭერაზე, ძალადობაც აღარ მოხდება. ეს უძლიერესი არგუმენტია, რომლის თანახმად, ყველა ადამიანს ეკისრება მორალური პასუხისმგებლობა, მაშინაც კი, როცა ისინი დიდი აგრეგატის პატარა წახიკები არიან. ხომ არ ჯობია დაუფტოვით გამონაკლისი მათთვის, ვინც საკუთარ თავს საგანგებოდ იგდებს ისეთ მდგომარეობაში, საიდანაც გარანტირებულად მოახერხებს ცვლილებების მოხდენას, გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც?

უფრო ტრაგედია, ვიდრე საგმირო ეპოსი

წარუმატებლობის რისკი დიდია. ხშირად ძალისხმევა სრულდება იმით, რომ ადამიანი ერთვება რეჟიმის ძალადობასა და რეპრესიებში, ნაცვლად იმისა, რომ რეჟიმის შერბილება ან დამხობა მოახერხოს. კანარისისა და დონანის ისტორიები უფრო ტრაგედიებია, ვიდრე გმირული ეპოპეა. ჩვენ შეგვიძლია აღვფრთოვანდეთ და შთაგონებით აღვივოთ მათ მიერ გამოვლენილი სიმამაცისა და განზრახულობის მაგალითებით. თუმცა, საბოლოოდ მაინც გვრჩება ის, რომ ისინი იღვწოდნენ და ეხმარებოდნენ რეჟიმს პროცესის უწყვეტობის შენარჩუნებაში. ერთადერთი, რაც მათ მოახერხეს, ესაა საკუთარი თავის განადგურება რეჟიმის ჩამოშლასთან ერთად.

საქმე სულ სხვანაირადაა მათ შემთხვევაში, რომლებსაც რეჟიმის შიგნით გავლენიანი თანამდებობები არ ეკავათ. დონანისა და კანარისის ერთ-ერთი თანამზრახველი იყო მღვდელი, სახელად დიტერ ბონჰოფერი. ბონჰოფერი არ ემსახურებოდა ნაცისტებს, მისი ხელნაწერები დღემდე შთაგონებს იმ ადამიანებს, რომლებიც სასტიკი მმართველების წინააღმდეგ იბრძვიან. მათი მიზანი მნიშვნელოვანია, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული თუ როგორ მოიხსენიებენ ამ ადამიანებს მომავალში. თუმცა, მხოლოდ მიზანი საკმარისი არაა. თუკი ტერორის განხორციელებაში მონაწილეობა გაქვთ მიღებული, უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენი ნამოქმედარის შედეგები თქვენს სამომავლო შეფასებაში აისახება.

ლიდიას ხასიათში არის რაღაც კალმახერისეული. „მეიდეისთან“ თანამშრომლობით, ის ეხმარება უამრავ სასონარკვეთილებაში ჩავარდნილ ქალს, რომ მათ როგორმე გადაკვეთონ საზღვარი და გაიქცნენ. თუმცა, მისი წვლილი უფრო მნიშვნელოვანია. რეჟიმის რეპრესიებში წამყვანი როლის მიუხედავად, მუდმივად ერთი მიზანი უტრიალებს თავში: შეძლოს რეჟიმის დამხობა. ლიდია ამ მოვლენის რთულ და წინააღმდეგობრივ ბუნებას განასახიერებს.

„მძულდა თუ არა სისტემა, რომელსაც ვაშენებდით? რაღაც დონეზე, დიახ, მძულდა: ეს იყო ლალატი ყველაფრისა, რასაც წინა ცხოვრებაში გვასწავლიდნენ და ლალატი ყველაფრისა, რასაც მივალწიეთ. ვამაყობდი თუ არა იმით, რისი მიღწევაც შევქელით, შეზღუდვების მიუხედავად? გარკვეულ დონეზე, დიახ, ვამაყობდი. რაღაც-რაღაცები არასდროს არაა მარტივად მისაღწევი“.

გილვადი – სამართლის უზენაესობის უარყოფა

რატომ აირჩია ეტვუდმა ნაწარმოების მთავარ გმირად მოსამართლე? ეტვუდი ისე ნათლად გადმოგვცემს ამ აზრს, რომ არ შეიძლება ეს უბრალო შემთხვევითობას მიენეროს. გილვადისთვის ძალაუფლების მოპოვება სასამართლოზე თავდასხმისა და მოსამართლეების დაპატიმრების შემდეგ იწყება. დაპატიმრებულ მოსამართლეებს სტადიონზე აგროვებენ და სხვა იურისტებთან ერთად, ერთ ჯგუფში ამწესებენ. ამ ფორმით, ეტვუდი გვეუბნება, რომ დიქტატურის გზა ძალაუფლების ხელში ჩაგდებისკენ, სასამართლოს თავდასხმაზე გადის. პატრიარქალური ტირანიის გამტარებელი გილვადი არის თავდასხმა ქალთა უფლებებისთვის ბრძოლაზე. მაგრამ გილვადი, ასევე, სამართლის უზენაესობის უარყოფის სიმბოლოა.

როდესაც მეთაური ჯადი ლიდიანზე ზენოლას ახორციელებს, იგი ეუბნება მას, რომ ლიდიას ახალგაზრდობაში აბორტი გაუკეთებია, ხოლო რეჟიმს სიკვდილით დასჯა აქვს დაწესებული აბორტისთვის და ამ კანონს უკუქცევითი ძალა გააჩნიაო. ეს აღმაშფოთებელია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ეს სამართლის უზენაესობის სრული უარყოფაა და ასევე ნათლად ვხედავთ, თუ როგორი უძლურები ხდებიან ადამიანები, როდესაც სამართლის უზენაესობა ფუნქციონირებას წყვეტს. სამართლის უზენაესობის უარყოფის მიუხედავად, დავალება, რომელსაც ჯადი ლიდიას და მის კოლეგა „დეიდებს“ აძლევს, არის „კანონებისა და ყველაფერი დანარჩენის“ შემუშავება ტერორის დამკვიდრების უზრუნველსაყოფად. იურისტებისა და სამართლის უზენაესობის უმთავრესი როლი, რომელიც აღწერილია მეორე ნაწარმოებში გილვადის შესახებ, ეტვუდის შეფასებაა – ამჟამად სამართლის უზენაესობის წინაშე არსებული საფრთხეების შესახებ. სწორედ ამიტომაც აქტუალური ეტვუდის „გილვადი“ დღეს არსებულ გამოწვევებთან მიმართებით.

ჯადი ლიდიას ეუბნება, რომ ის მოსამართლე აღარ არის. თუმცა, ჯადი ცდება. ლიდას ასამართლებს გილვადს, აღასრულებს განაჩენს და გილვადის დაცემასაც უზრუნველყოფს. საბოლოოდ, ნაწარმოების ყველაზე საშინელი ბოროტმოქმედი, მამაცი მოსამართლე აღმოჩნდება.

გამოყენებული ლიტერატურა

Hirsch, Günter. "Ansprache des Präsidenten des Bundesgerichtshofs Prof. Dr. Günter Hirsch beim Festakt aus Anlaß des 100." Geburtstags von Hans von Dohnanyi am 8. März 2002. <https://www.bundesgerichtshof.de/DE/DasGericht/Praesidenten/Hirsch/HirschReden/rede08032002.html>

15

განსჯა კანონის სანინალმდეგოდ?

მოკლე მიმოხილვა

ზოგჯერ მოსამართლეს კანონის დარღვევა უწევს, რათა სამართლიანობა დაიცვას. როგორც ვნახეთ, კალმაიერი განზრახ ახდენდა მტკიცებულებების გაყალბებას, ხოლო ლენგლანდი და მისი კოლეგა მოსამართლეები ამკარად ყალბ ჩვენებებს მტკიცებულებად იღებდნენ. ლიდია იატაკქვეშა წინააღმდეგობის მოძრაობას ეხმარებოდა, რომელიც შემდგომში რეჟიმის დასამხობად გამოიყენა. რამდენად შეესატყვისება მსგავსი ქცევები მოსამართლის როლს? მოცემულ თავში განვიხილავთ საკითხს, თუ რამდენად შესაძლებელია მოსამართლეს ჰქონდეს ვალდებულება დაარღვიოს კანონი ან არის თუ არა მორჩილების ვალდებულება მოსამართლის ფუნქციის აუცილებელი ელემენტი. ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შევეცდებით ცნობილი დებატის საფუძველზე, რომელიც მეოცე საუკუნის სამართლის ფილოსოფიის ორ გიგანტს, ჰ.ლ.ა. ჰარტსა და ლონ ფულერს შორის შედგა. შემდეგ ნაწილში ასევე განხილულია, რომ სამართლებრივი და მორალური ვალდებულებები ერთმანეთისგან განსხვავდება და რომ ზოგჯერ ისინი ურთიერთსანინალმდეგო მოთხოვნებს უყენებენ მოსამართლეს. ერთადერთი, ვისაც ამ კონფლიქტის გადაწყვეტა შეუძლია, თვითონ მოსამართლეა.

დისკუსია კანონისა თუ სამართლიანობის შესახებ საკმაოდ ძველი თემაა. როდესაც არჩევანზე მიდგება საქმე, მოსამართლეთა უმეტესობა იხრება კანონისკენ. ის, თუ როგორ განმარტავდნენ ლიბერალური მოსამართლეები აშშ-ის მონობის კანონებს სამოქალაქო ომის დაწყებამდე, საკმაოდ ხშირად ციტირებული მაგალითია. რობერტ მ. კავერის საეტაპო კვლევა სწორედ ამ საკითხს ეხმიანება.⁷⁶ აშშ-ის კონსტიტუციის IV მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამი იყო და დღესაც ნათქვამია, რომ:

არცერთი პირი, რომელიც მოცემულ შტატში მსახურობს ან შრომობს და ამ შტატის კანონებს ექვემდებარება, სხვა შტატში გაქცევის შემთხვევაში არ თავისუფლდება ამ სამსახურისა ან სამუშაოსგან, არამედ უნდა გადაეცეს მოთხოვნისთანავე იმ მხარეს, რომელსაც ერგება ან ეკუთვნის ეს სამსახური ან სამუშაო.

ფსიქოლოგიური ზეწოლის მიუხედავად, მოსამართლეებმა გადაწყვიტეს მხარი დაეჭირათ მონათმფლობელთა უფლებების დამცველი ამორალური კანონისათვის. გარკვეულ შემთხვევებში კი, კანონი უშვებს მორალურად გამართლებულ გადახრას საზოგადოებაში გაბატონებული აზრისგან. ლორდ მენსფილდის ცნობილი გადაწყვეტილება საქმეში „სომერსეტი სტიუარტის წინააღმდეგ“ არ იყო მორალის კანონზე გამარჯვების მაგალითი. ამ საქმეში ინგლისის სასამართლომ მონათმესაკუთრე სტიუარტს უარი უთხრა თავისი მონა სომერსეტის დაბრუნებაზე. ლორდი მენსფილდი არ იყო მეამბოხე, არამედ „ღრმად იაზრებდა საკუთარ ფუნქციას, როგორც ბრიტანეთის საიმპერიო მონარქიის მიერ დადგენილი წესრიგის დამცველი“.⁷⁷

ავტორიტეტული ადამიანები თვლიან, რომ რაც მოსამართლეებმა მონობის მხარდაჭერისას მოიმოქმედეს, ზუსტად ის იყო, რისი გაკეთებაც მათ ევალუბოდათ. სახელგანთქმულმა ოლივერ უენდელ ჰოლმსმა, ერთხელ ასევე სახელგანთქმულ ლერნდ ჰენდს უთხრა: „[სამართლიანობის

76 Robert M. Cover, *Justice Accused: Antislavery and the Judicial Process* (New Haven: Yale University Press, 1975).

77 Jerzy Zajadlo, *Judges and Slaves Sketches from the Philosophy of Law* (Gdansk: Gdansk University Press, 2019), 127.

აღსრულება] ჩემი საქმე არ არის. ჩემი საქმეა ვითამაშო თამაში ნესების დაცვით“.⁷⁸ ჰოლმსმა თავის პირად წერილში ასევე აღნიშნა:

იმედი მაქვს და მნამს, ჩემზე ზეგავლენას ვერ მოახდენს ჩემივე შეხედულება, რომ ეს სულელური კანონია. ეჭვი თითქმის არ მეპარება, რომ კანონი ქვეყანას მოსწონს. და როგორც მოგეხსენებათ, ყოველთვის ვამბობ, რომ თუ ჩემს თანამოქალაქეებს ჯოჯოხეთში ნასვლა სურთ, მე მათ ამაში დავეხმარები. ესაა ჩემი საქმე.⁷⁹

პირველ თავში ჩვენ გავეცანით სამხრეთ აფრიკელი მოსამართლეების დაცვით არგუმენტს და იმას, თუ როგორ უმაგრებს ზურგს ამ ყველაფერს სამართლის თეორია.

ჰოლმსის მიერ გამოთქმული მოსაზრების საპირისპიროდ, ერთადერთი, რაც მოცემულ წიგნში წარმოდგენილ ყველა მოსამართლეს აერთიანებს არის ის, რომ მათ უარი თქვეს გამხდარიყვნენ სახელმწიფოს მსახურები სამართლის ფეხით გათელვის პროცესში. შესაბამისად, სამართლის აღსრულება მათ თავიანთი პროფესიის მნიშვნელოვან მისიად აქციეს. ისინი იბრძოდნენ, რათა თვითონაც ჩაგვრის იარაღად არ ქცეულიყვნენ. რაც არ უნდა განსხვავებული იყოს მათი ისტორიები, ისინი შეგვიძლია სამ ჯგუფად დავყოთ. პირველი: ჩვენი გმირი იცავს სამართალს ისეთ გარემოებებში, სადაც მმართველები მის დაცვაზე უარს ამბობენ. მეორე: გმირი არღვევს მჩაგვრელ და ამორალურ კანონებს. მესამე: გმირი შედის პოლიტიკურ ბრძოლაში სახელმწიფოსთან, როდესაც სამართლის უზენაესობა საფრთხის ქვეშაა.

სამართლის მხარდასაჭერად, სამართლის წინააღმდეგ და სამართლისათვის ბრძოლაში ჰორტონი, სერვინი, რაიხბორნ-კინერუდი და ბარიოსი იმ მოსამართლეების მაგალითები არიან, რომლებიც კანონდამრღვევ ხელისუფლებებს დაუპირისპირდნენ. ჰორტონის შემთხვევაში, პროკურორმა ბრალი აშკარად უდანაშაულო ბრალდებულებს წაუყენა. რაიხბორნ

78 Learned Hand, “A Personal Confession.” In Irving Dilliard (ed.), *The Spirit of Liberty* (3rd ed.) (1960), 306–307, cited from Michael Hertz, “Do Justice!: Variations of a Thrice-Told Tale,” *Virginia Law Review* 82:1 (1996), 111, <https://doi.org/10.2307/1073568>, ბოლოს ნანახია 2022 წლის 9 ნოემბერს.

79 In a letter to Harold J. Laski, cited from Herz, “Do Justice!” 114.

კინერუდმა უარი თქვა სიკვდილით დასჯის ვერდიქტის გამოტანაზე ისეთ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელიც კონკრეტული კანონის ამოქმედებამდე იყო ჩადენილი. სერვინმა უარი თქვა დამორჩილებოდა ხელისუფლების მხრიდან სასამართლოს საქმიანობაში ჩარევას. ბარიოსი იბრძვის, მართლმსაჯულებას წარუდგინოს გვატემალის ყოფილი ხელისუფლების წევრები იმ დანაშაულებისთვის, რაც მათ ქვეყნის სათავეში ყოფნისას ჩაიდინეს.

ამ ყველა შემთხვევაში აღსანიშნავი ის არ არის, რომ ჩვენი გმირები სამართალს იცავდნენ. სამართლის დაცვა სწორედ ისაა, რასაც ნებისმიერი მოსამართლისგან მოველით; ეს, მოკლედ რომ ვთქვათ, მოსამართლეობის დედააზრია. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ისინი მარტო იბრძოდნენ სამართლიანობისთვის და სამართალს, სახელმწიფო ძალაუფლებისა და საზოგადოებრივი აზრის მიუხედავად, იცავდნენ. ჰორტონის შემთხვევაში, ყველა მოსამართლე, ჰორტონის გარდა, დაწყებული სხვა სასამართლოს მოსამართლეებით და ალაბამას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებით დამთავრებული, მზად იყვნენ არაფრად ჩაეგდოთ ბრალდებულების უდანაშაულობა და მათთვის სასიკვდილო განაჩენი გამოეტანათ. რაიხბორნ-კინერუდი მარტოდმარტო აღმოჩნდა თავის განსხვავებულ მოსაზრებაში; მისმა კოლეგებმა კანონი უგულებელყვეს და ეილიფსენს სიკვდილი მიუსაჯეს. სერვინის სააპელაციო სასამართლოს კოლეგა მოსამართლეებმა ზენოლას ვერ გაუძლეს, რომელსაც სერვინი ასე მედგრად ეწინააღმდეგებოდა. გვატემალაში კი მოსამართლეები, რომლებიც მზად არიან განიხილონ გავლენიანი პირების საქმეები, ძალიან ცოტანი არიან.

ლენგლანდს და კრეისიგს გარკვეულწილად განსხვავებული პოზიცია ეკავათ, როდესაც უარი თქვეს იმ კანონების გამოყენებაზე, რომლებიც ფორმალურად სწორი იყო და რომლებსაც, როგორც მოქმედ კანონს, მათი კოლეგები პატივს სცემდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე არ იყო, კალმაიერი მაინც აღმოჩნდა ანალოგიურ სიტუაციაში. ის რეჟიმის პოლიტიკის ზეგავლენის შემცირებას იურიდიული ხრიკებისა და პირდაპირი დივერსიული ქმედებების მეშვეობით ცდილობდა. ლიდია, რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი, ფარულად მუშაობდა რეჟიმის დასამხობად.

პირველ თავში, მე შემოგთავაზებთ დისკუსია იმის თაობაზე, უნდა გადადგეს თუ არა თანამდებობიდან მოსამართლე, რომელიც ფუნ-

დამენტიურად არ ეთანხმება კონკრეტულ კანონსა და რეჟიმის პოლიტიკას. ბევრს მიაჩნია, რომ თუკი მოსამართლე ვერ ასრულებს თავის მოვალეობას სამართლის განხორციელების თვალსაზრისით, მისი ადგილი სასამართლოში არ არის. ჩვენი გმირები კი ამტკიცებენ, რომ საქმე ასე მარტივადაც არაა. კრეისიგი აპირებდა თანამდებობიდან წასვლას, როდესაც ჰიტლერი ქვეყნის სათავეში მოვიდა. თუმცა, გადანყვიტა, რომ ეს ლაჩრული ნაბიჯი იქნებოდა.

რას ნიშნავს იყო მოსამართლე? მოსამართლე არის ადამიანი, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს განსახილველ საკითხს და არ მოქმედებს გარეშე პირთა მითითებით, იქნება ეს საქმის მხარე თუ სახელმწიფო. სტერნი დაუპირისპირდა მთავრობას, რომელსაც სურდა მისთვის ეკარნახა თუ რა გადანყვიტებდა უნდა მიეღო სასამართლოს. ამ მოცემულობას რომ დათანხმებოდა, ის აღარ იქნებოდა მოსამართლე, არამედ გახდებოდა ერთი ჩვეულებრივი ბიუროკრატი. უნდა ეთქვა თუ არა სტერნს უარი თანამდებობაზე და გადამდგარიყო? თუ ყველა კეთილსინდისიერი ქალი ან მამაკაცი სამსახურს დატოვებს, როდესაც ტირანები ჩაიგდებენ ხელში ქვეყნის მართვის სადავეებს, ამით ჩავგრა ვერ შემსუბუქდება. ისტორია გვასწავლის, რომ გმირებს ნამდვილად შეუძლიათ ცვლილების მოხდენა. პრობლემა ის კი არ არის, რომ ეს ადამიანები თავიანთ თანამდებობაზე რჩებიან, არამედ პრობლემა ისაა, რომ ისინი ძალიან ცოტანი არიან.

1983 წლის მარტში, სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანში, ნატალის უნივერსიტეტში თავის საინაუგურაციო ლექციაზე, სამართლის პროფესორმა, რაიმონდ ვაქსმა იმ მოსამართლეებს, რომლებიც თვლიდნენ, რომ სამხრეთ აფრიკის კანონები გაუმართლებელი იყო ზნეობრივი თვალსაზრისით, მოუწოდა თანამდებობა დაეტოვებინათ.⁸⁰ მისი მტკიცებით, მოსამართლეს, რომელიც ამგვარ სიტუაციაში აღმოჩნდება, სამი არჩევანი აქვს: გააპროტესტოს, იცრუოს კანონის შესახებ, ან თანამდებობა დატოვოს. როდესაც იმყოფება კანონსა და ზნეობრივ პრინციპებს შორის კონფლიქტში, მოსამართლეს შეუძლია გააპროტესტოს და არ გამოიყენოს კანონი, რომელიც მას ამორალურად მიაჩნია. ალტერნატივის სახით, მოსამართლეს შეუძლია კანონი არასწორად განმარტოს და ამტკიცოს, რომ მას განსხვავებული და

მორალურად უფრო მეტად დასაბუთებადი შინაარსი აქვს, ვიდრე ის, რასაც მისი სამართლებრივი მსჯელობა ჰკარნახობს რომ უნდა ჰქონდეს. ორივე შემთხვევაში, ვაქსის თქმით, მიღებული შედეგი სავარაუდოდ უმნიშვნელო იქნება. თუკი პირი ბოლო ინსტანციის მოსამართლე არ არის, მისი ვერდიქტი, დიდი ალბათობით, გასაჩივრების შემთხვევაში გაუქმდება. თუკი მოსამართლე კანონის არასწორ განმარტებას გააკეთებს, ეს სავარაუდოდ საკანონმდებლო ორგანოს პროვოცირებას გამოიწვევს, რომ მის მსჯელობას სამომავლო პრაქტიკაში მნიშვნელობა აღარ მიენიჭოს. და მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეს ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია შეამსუბუქოს რეპრესიების სასტიკი შედეგები, სისტემა არსებითად უცვლელი დარჩება. მეორე მხრივ, როდესაც მოსამართლეები თანამდებობაზე ყოფნას აგრძელებენ, ამით პატივისცემას უცხადებენ და ლეგიტიმურობას ანიჭებენ რეპრესიულ რეჟიმს. ვაქსის თქმით, მოსამართლისთვის, რომელსაც სინდისის განმენდა სურს, არ არსებობს სხვა ალტერნატივა, გარდა გადადგომისა. თანამდებობის დატოვება ოფიციალური პირის მხრიდან, რომლის პროფესიაც სამართლიანობისკენ სწრაფვას ემსახურება, „იქნება საბრძოლო ყიჟინა: მოსამართლის სასონარკვეთისა და სიბრავის გამოხატულება. ეს იქნება მოსამართლის აბსოლუტური ერთგულების მტკიცებულება მართლმსაჯულებისადმი, პროტესტი სამართლის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ“ და „სუსტი, თუმცა მაინც ექოს გამოძახილი სახელისუფლებო დერეფნებში“.⁸¹

ვაქსისადმი პასუხად, ჯონ დუგარდი ამტკიცებდა, რომ კანონმდებლობის არსებული მდგომარეობის გამო, აპართეიდმა თავისი სახით ვერ შექმნა სრულყოფილი სისტემა.⁸² მჩაგვრელი კანონები უკვე არსებობდა საერთო სამართლისა და ჰოლანდიურ-რომაული სამართლის ლიბერალური პრინციპების ფონზე, ხოლო აპართეიდის სამართლებრივი წესრიგის კონტექსტში ჯერ კიდევ რჩებოდა ადამიანის უფლებების განვითარების შესაძლებლობა. იგი ასევე არ დაეთანხმა მოსამართლეთა, როგორც მორალური თანამზრახველების, გამორჩევას. ნებისმიერი პოლიტიკური საქმის სასამართლო პროცესის მონაწილე ადვოკატები და ბრალმძებლები ლეგიტიმაციას უცხადებენ სისტემას, ვინაიდან

81 Wachs, “Judges and Injustice,” 284.

82 John Dugard, “Should Judges Resign? – A reply to Professor Wachs,” *South African Law Journal* 1 (1984), 86–294.

მათი მონაწილეობა უკვე ადასტურებს სისტემის სამართლიანობას. საგადასახადო საქმის ადვოკატიც კი, რომელიც საგულდაგულოდ ცდილობს არაფერი ჰქონდეს საერთო „პოლიტიკურ სამართალთან“, იმ შთაბეჭდილების შექმნაში მონაწილეობს, რომ ეს კონკრეტული სისტემა სტანდარტული სამართლებრივი სისტემაა. ამდენად, თანამდებობიდან გადადგომის მხარდამჭერი არგუმენტი შეიძლება მოერგოს ყველას და, შესაბამისად, ნიშნავდეს უმოქმედობას დაუჭირო მხარი.

მე ვეთანხმები ჯონ დუგარდს. მაშინაც კი, თუ ერთი ან ორი მოსამართლის ამბოხი უმნიშვნელოდ ჩაივლის, მათი მაგალითი არაფრისმთქმელი ნამდვილად არ იქნება. მათი მაგალითი შესაძლოა გახდეს შთაგონება სხვა ადამიანებისთვის და წინააღმდეგობასაც ჩაუყაროს საფუძველი. ამან კი სიტუაცია შეიძლება მესამე კატეგორიაში გადაიყვანოს, სადაც ბრძოლა უკვე სამართლის უზენაესობისთვის მიმდინარეობს. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სისტემისთვის ლეგიტიმურობის მინიჭება ან არმინიჭება არჩევანის საკითხი არ არის. რეალურ ცხოვრებაში სავსებით შესაძლებელია სოციალურ სისტემაში როგორც მონაწილეობა, ასევე მისი ავტორიტეტისთვის ძირის გამოთხრა. თუკი ბურდიეს მიერ შემუშავებული სოციალური ველების თეორიას მოვიშველიებთ, დავინახავთ, რომ ბრძოლა ლეგიტიმურობისთვის და სიმბოლური წესრიგის დამხობისთვის, სოციალური ცვლილებისა და კვლავწარმოების განმაპირობებელი ფაქტორებია.⁸³

მოსამართლეებს, განსაკუთრებით ზემდგომ ინსტანციებში, აქვთ ძალაუფლება გავლენა მოახდინონ სამართლის განვითარებაზე. გერსდორფის კოლეგები პოლონეთის სასამართლოებში იბრძვიან ხელისუფლების წინააღმდეგ, რათა პოლონეთში სამომავლოდ უზრუნველყოფილი იყოს სამართლის უზენაესობა და სასამართლოს დამოუკიდებლობა. ნორვეგიის უზენაესი სასამართლო ანალოგიურ ბრძოლაში იყო ჩართული გერმანიის ხელისუფლების წინააღმდეგ, ნორვეგიის ოკუპაციის დროს მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში. ბარაკმა და ისრაელის უზენაესმა სასამართლომ შეძლეს პალესტინის წინააღმდეგობისადმი მიმართული სახელმწიფოს ქმედებები სამართლის იურისდიქციის ქვეშ მოექციათ.

83 Mathieu Hilgers and Eric Mangez, *Bourdieu's Theory of Social Fields: Concepts and Applications* (London: Routledge, 2015), 11.

მარტივია გააკრიტიკო მმართველ ძალასთან მებრძოლი მოსამართლე, მოსამართლის როლიდან გამოსვლისა და პოლიტიკურ ასპარეზზე შესვლის გამო. თუმცა, მაინც არასწორია ვიფიქროთ, რომ ეს მოსამართლეები აქტიურად არიან ჩართულები ჩვეულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი დაკავებულები არიან სამართლის უზენაესობის ფუნდამენტური მოთხოვნის აღსრულებით, რომლის თანახმად, სახელმწიფოს ძალაუფლება კანონით უნდა იყოს შეზღუდული და ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელი სასამართლოს მხრიდან კონტროლს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც კი აღნიშნა, რომ მოსამართლის მოვალეობაა საჯაროდ ისაუბროს სამართლის უზენაესობისა და სასამართლო დამოუკიდებლობის დასაცავად, როდესაც ამ ფუნდამენტურ ღირებულებებს საფრთხე ემუქრება.⁸⁴ ჩვენ გვჭირდება მოსამართლეები, რომლებიც დაიცავენ სამართლის უზენაესობას, მაშინაც კი, როდესაც ეს არაპოპულარული პოზიციაა.

არანაირი მკვეთრი ხაზები

არ არსებობს მკვეთრი ხაზები ზემოთ აღწერილ სამ სიტუაციას შორის. როდესაც მოსამართლეები პოლიტიკაში ერთვებიან სამართლის უზენაესობის დასაცავად, გერსდორფის ან ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს მსგავსად, ეს იმიტომ ხდება, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა ეწინააღმდეგება სამართალს, ხოლო ზოგის აზრით, არღვევს კიდევაც მას. სწორედ ესაა მიზეზი, თუ რატომ იმაღლებს აქტიურად ზოგიერთი მოსამართლე ხმას და გამოდის საჯარო ასპარეზზე. ხაზები ასევე ბუნდოვანია როდესაც მოსამართლეები კანონს არღვევენ უფრო ფუნდამენტური ღირებულებების დასაცავად. ბევრი ამტკიცებს, რომ ნაციისტების სამართლებრივი ნორმები „უკანონოა“ იყო, რომლებსაც სავალდებულო ძალა არ ჰქონდათ მოსამართლეებისა ან სამართლის სხვა აღმსრულებლებისთვის. ამ კუთხით თუ შევხედავთ, კალმაიერს ან ლენგლანდს კანონი არ დაურღვევიათ.

შეგვიძლია თუ არა განვმარტოთ კანონი მისი არსებითი შინაარსისგან დამოუკიდებლად, ან თუ არსებობს რაიმე ზღვარი, სადამდეც

84 იხილეთ ECtHR Case of *Żurek v. Poland* (სარჩელი No. 39650/18), 2022 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება, პ. 222.

შესაძლებელია სასტიკი დანაშაულების კანონის სახით შენიღბვა და მათი სამართლებრივ ნორმებად აღიარებისა და პატივისცემის მოთხოვნა? როგორც წიგნის შესავალ ნაწილში აღვნიშნე, სამართლის უზენაესობის არსი მოიცავს იდეას, რომ სახელმწიფოს ძალაუფლება უნდა ეყრდნობოდეს სამართლებრივ ნორმებს, პატივს უნდა სცემდეს სამართალს და ექვემდებარებოდეს კონტროლს დამოუკიდებელი იურიდიული სფეროს პროფესიონალების მხრიდან. ასევე აღვნიშნე, რომ შესაძლებელია წარმოიშვას კონფლიქტი სამართალსა და სამართლის უზენაესობას შორის იმ შემთხვევებში, სადაც კანონი ხელისუფლებას მოქმედების იმდენად ფართო არეალს ანიჭებს, რომ სასამართლოს მხრიდან კონტროლი აზრსაც კი კარგავს. დანარჩენ შემთხვევებში კი, სასამართლო და მოსამართლეები შესაძლოა ვერ ასრულებდნენ საკუთარ მოვალეობას სამართლის უზენაესობის პრინციპების მიხედვით და ეთანხმებოდნენ უკონტროლო ძალაუფლების განხორციელებას. პოზიტიური გაგებით, კანონი ხშირად განიმარტება იმის მიხედვით, რაც კანონმდებელმა დაამტკიცა ან რასაც სასამართლო აღასრულებს. მაგრამ არის კი ასეთი კანონი ქმედითი, მისი შინაარსის განურჩევლად?

ეს სამართლის ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუნდამენტური კითხვაა. ჩვენ აქ არ შევეცდებით ამ კითხვაზე სიღრმისეული პასუხის გაცემას, თუმცა მთლიანობაში გვერდს მაინც ვერ ავუვლით. თუკი საქმე იმაშია, რომ ყველა კანონი, რომელიც ერთი შეხედვით გამოიყურება როგორც კანონი, მაგრამ სინამდვილეში არ არის სათანადო კანონი, გამოდის რომ მოსამართლე არ არის ვალდებული გამოიყენოს ყველა ნორმა, რომელიც კანონად გვევლინება. თუმცა, აქ ისმის კითხვა, როგორ უნდა გაარჩიოს მოსამართლემ, თუ რომელია სათანადო კანონი და რომელი გვეჩვენება უბრალოდ ასეთად. და რა სტანდარტებით უნდა იხელმძღვანელოს მოსამართლემ, როდესაც პოზიტიური სამართალი მხოლოდ მოჩვენებითად წარმოგვიდგება ასეთად?

ისტორია გვასწავლის, რომ საკანონმდებლო ორგანო შეიძლება იმდენად დასცილდეს სამართლის უზენაესობას, რომ შექმნას სამართლებრივი წესრიგი, რომელიც იმდენად შორსაა მორალისა და სამართლის უზენაესობისგან, რომ ბევრის მტკიცებით, ის კარგავს კიდეც სამართლებრივი წესრიგის ფუნდამენტურ მახასიათებლებს და იქცევა „უკანონობის“ წესრიგად. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ნორმა იმდენად ფართოა, რომ მისი მეშვეობით ხელისუფლების ნებისმიერი ქმედების დამტკიცებაა შესაძლებელი. მაგალითად, სამხრეთ აფრიკის კანონები, აპართეიდის

რეჟიმის დროს უშიშროების პოლიციის მიერ დაკავებულ პირებს სასამართლოზე წვდომის უფლებას უკრძალავდა. ასეთი რამ მაშინ ხდება, როდესაც სამართლებრივი წესრიგი ადამიანებს კანონის მოქმედებიდან გამორიცხავს, როგორც მოიქცა ნაცისტური რეჟიმი იმ პირებთან მიმართებაში, რომლებსაც კანონი „ებრაელებად“ ახარისხებდა და იურიდიული სუბიექტის სტატუსს ართმევდა. სამართლის უზენაესობა ფუნქციონირებას წყვეტს, როდესაც კანონმდებლობით დგინდება, რომ ხელისუფლების საქმიანობა თავისუფლდება სასამართლოს კონტროლისგან ან როდესაც მოსამართლეები აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლს ქვეშ ექცევიან. როდესაც სახელმწიფო ასეთ კანონებს ამტკიცებს, ზოგი იტყვის, რომ ისინი საერთოდ არ უნდა ჩაითვალოს კანონებად, ხოლო მოსამართლეებმა არ უნდა მიიღონ ისინი მხედველობაში. სხვები იტყვიან, რომ მოსამართლის გადასაწყვეტია, დაიცავს კანონს თუ დაიცავს სამართლის უზენაესობასა და მორალს. ზოგის აზრით კი, მოსამართლეს არჩევანი არ აქვს: ის ვინც მოსამართლის თანამდებობაზე რჩება, ვალდებულია კანონს დაემორჩილოს.

ჩვენი გმირები სავარაუდოდ არ დაეთანხმებიან ამ მიდგომის მართებულობას, თუმცა ყველა ერთხმად შეთანხმდება, რომ მესამე პასუხი არასწორია. ეს ჩემი პოზიციაა. ის, რომ მოსამართლეს შეუძლია თავი გაითავისუფლოს ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან კანონზე მითითებით, კანონის მორალური შინაარსის მიუხედავად, აშკარად არადადამაკმაყოფილებელი მსჯელობაა. სამართალი თავისთავად ვერ განხორციელდება. ყოველთვის არსებობს მორალური სუბიექტი, რომელიც პასუხისმგებელია კანონების აღსრულებაზე, ამიტომ მორალური სუბიექტის რანგში, მოსამართლე მორალურად პასუხისმგებელია თავის ქმედებებზე. იმის საჩვენებლად, თუ რატომ არის მცდარი მოსაზრება, რომ მოსამართლე ვალდებულია ყველა შემთხვევაში დაიცვას კანონი, უნდა გავცეთ პასუხი კითხვას: სად გადის ზღვარი, რა შეიძლება ჩაითვალოს კანონად?

პარტი და ფულერი

დისკუსია კანონის აღსრულებისა და სამართლიანობის დაცვის შესახებ, ბადებს კითხვას, თუ რა ადგილი უკავია სამართლიანობას კანონის განსაზღვრისას. თუ უსამართლო კანონები არ ითვლება „კანონებად“, მაშინ კონფლიქტი კანონსა და სამართლიანობას შორის რეალურად არ

არსებობს. კანონსა და სამართლიანობას შორის კავშირის განხილვისას უნდა აღვნიშნოთ განსხვავება სამართლიანობის აღსრულებასა და უსამართლობის აღკვეთას შორის. კანონები პოლიტიკური პროცესების შედეგია, რომლის დროსაც ხდება ინტერესების, მოსაზრებებისა და ღირებულებების ურთიერთშეპირისპირება და კომპრომისი. ძალაუფლება თანაბრად არ ნაწილდება. იმის რწმენა, რომ ასეთი პროცესების შედეგმა აუცილებლად უნდა მიგვიყვანოს სრულყოფილ ან სრულყოფილთან მიახლოებულ სამართლიანობამდე, არარეალისტურია. ასეთი სამართლიანობა ვერც სამართლის გამოყენებით მიიღწევა. ამიტომ, იმის მტკიცება, რომ სამართლიანობა მოსამართლის საქმე არ არის, სრულიად საფუძვლიანია. ეს არ ნიშნავს, რომ კანონის შემუშავებისას სამართლიანობასთან დაკავშირებული ფაქტორები არ უნდა იქნას გათვალისწინებული, თუმცა მხოლოდ უშუალოდ კანონის ძირითადი პრინციპების ფარგლებში.

სხვა საკითხია უსამართლობის აღკვეთა. ზოგიერთ შემთხვევაში, უსამართლობა იმდენად მასშტაბურია, რომ ამკარად წარმოიშობა მორალური ვალდებულება, არ მოხდეს კიდევ უფრო დიდი ზიანის მიყენება. შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ მოსამართლის საქმე არ არის სამართლიანობის აღსრულება და ამავდროულად ვთანხმდებოდეთ, რომ მოსამართლემ თავი უნდა აარიდოს სერიოზული უსამართლობის ჩადენას. თუმცა, ასეთი შეხედულების ჩამოყალიბების მიზეზები შეიძლება განსხვავდებოდეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, სამართლის ფილოსოფიის ორი გიგანტი, იურისპრუდენციის ინგლისელი პროფესორი ჰ.ლ.ა. ჰარტი და ამერიკელი პროფესორი ლონ ფულერი ჩაერთნენ დისკუსიაში, რასაც მოგვიანებით „ჰარტი-ფულერის დებატი“ ეწოდა.⁸⁵ დებატის ფოკუსს წარმოადგენდა ის, თუ რამდენად შესაძლებელი იყო ნაცისტების რეჟიმის ქვეშ მოქცეული გერმანიის კანონმდებლობის ყველაზე აღმაშფოთებელი ნაწილი წოდებულიყო „კანონად“ და აკმაყოფილებდა თუ არა ნაცისტების სამართლებრივი წესრიგი ასეთად (სამართლებრივ წესრიგად) მოხსენიების მოთხოვნებს.

85 H.L.A. Hart, “Positivism and the Separation of Law and Morals,” *Harvard Law Review* 71 (1957), 593–629; and L.L. Fuller, “Positivism and Fidelity to Law – A Reply to Professor Hart,” *Harvard Law Review* 71 (1957), s. 630–672.

დებატი დაიწყო ჰარტის მიერ დასახელებული 1949 წელს გერმანიაში მომხდარი ერთი ფაქტით, სადაც მან დასვა შეკითხვა: რამდენად შესაძლებელი იყო ადამიანის თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის დამნაშავედ ეცნოთ ქალი, რომელმაც ქმრის თავიდან მოშორების მიზნით, პოლიციაში დაასმინა მეუღლე ჰიტლერის მისამართით გამოთქმული შეურაცხმყოფელი ფრაზების გამო, როდესაც ის გერმანიის არმიიდან შვებულებაში იმყოფებოდა. ქმარი დააპატიმრეს და სიკვდილი მიუსაჯეს, თუმცა, რეალურად არ დასაჯეს და ისევ ფრონტზე დააბრუნეს. ჰარტის თქმით:

ცოლი ირწმუნებოდა, რომ მისი მეუღლის დაპატიმრება ნაცისტური კანონებიდან გამომდინარე მოხდა და, შესაბამისად, მას არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია. მიუხედავად იმისა, რომ ქმარი უკვე გასამართლებული იყო სასამართლოს მიერ კანონდარღვევისათვის, სააპელაციო სასამართლომ, რომელსაც საბოლოოდ საქმე განსახილველად გადაეცა, ცოლი დამნაშავედ ცნო ქმრის თავისუფლების აღკვეთის ხელშეწყობაში გერმანიის სასამართლოში მისი დასმენის შედეგად. ვინაიდან, თუკი სასამართლოს სიტყვების ციტირებას მოვანდენთ, კანონი „ენინაალმდეგებოდა ყველა წესიერი ადამიანის ჯანსაღ სინდისსა და სამართლიანობის აღქმას“. მსჯელობის ეს ხაზი გამოყენებული იქნა არაერთ გადაწყვეტილებაში, აღიარებული როგორც ბუნებითი სამართლის თეორიის ტრიუმფი და პოზიტივიზმის დამხობის ნიშანი.⁸⁶

ჰარტი აღნიშნავს: „დამდგარი შედეგით აბსოლუტური კმაყოფილება, ისტერიკად მეჩვენება“.⁸⁷ აქ საკითხი უკავშირდება პოზიტიურ სამართალს, რომლის თანახმად, ნებისმიერი ნორმა დამტკიცებული საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან ფუნდამენტურად აღიარებული ნორმების საფუძველზე, რომლებიც არსებით საკანონმდებლო პროცედურებს განსაზღვრავენ, წარმოადგენს „კანონს“; განსხვავებით ბუნებითი სამართლის პოზიციისა, რომელიც გარკვეულ ნორმატიულ მოთხოვნებს ადგენს და რომელთა დაკმაყოფილების შედეგადაა მხოლოდ შესაძლებელი, რომ ნორმა დაკვალიფიცირდეს როგორც „კანონი“.

86 Hart, "Positivism and the Separation of Law and Morals," 619.

87 Hart, "Positivism and the Separation of Law and Morals," 619.

განსხვავება სამართლის უზენაესობასა და სამართლებრივ ნესრიგს შორის

ჰარტი და ფულერი შეთანხმდნენ, რომ სამართლებრივი ნესრიგი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ ნორმატიულ მოთხოვნებს, რათა შეესაბამებოდეს სამართლის უზენაესობის მიერ დადგენილ ნესრიგს, ან Rechtsstaat-ის მოთხოვნებს. სხვა საკითხია, შეიძლება თუ არა არსებობდეს სამართლებრივი ნესრიგი, რომელიც არ აკმაყოფილებს Rechtsstaat-ის მოთხოვნებს. ჰარტის მტკიცებით, იმის განსაზღვრა, თუ რამდენად არის ნორმატიული ნესრიგი სამართლებრივი, განსხვავდება შეფასებისგან თუ რამდენად წარმოადგენს ნორმატიული ნესრიგი Rechtsstaat-ის ნესრიგს. მისი რწმენით, ისეთ სახელმწიფოებსაც კი შეიძლება ჰქონდეთ სამართლებრივი ნესრიგი, რომლებიც არ კლასიფიცირდებიან როგორც Rechtsstaat-ი. კანონს არ სჭირდება სამართლის უზენაესობის მოთხოვნების დაკმაყოფილება, რათა ქმედით კანონად ჩაითვალოს. ჰარტი თვლის, რომ გარკვეული ფორმალური მოთხოვნების შესრულება საკმარისია, ხოლო კანონი და მორალი განსხვავებული ნორმატიული ნესრიგებია. ამ თვალსაზრისით, ნაციისტურ გერმანიასაც ჰქონდა სამართლებრივი ნესრიგი და ნორმები, რომლებიც კანონებად დამტკიცდა და ფორმალური გაგებით იყო კიდევ კანონები. „კანონი შეიძლება მიიჩნეოდეს კანონად, მაგრამ მეტისმეტად საზარელი იყოს აღსასრულებლად“, – ამბობს ჰარტი.⁸⁸

ფულერი არ დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას და ამტკიცებდა, რომ ზღვარი კანონსა და მორალს შორის ვერ გაივლება და ამგვარმა მცდელობებმა შეიძლება საშიშ შედეგებამდე მიგვიყვანოს. ფულერისთვის კანონის განმარტების ცენტრალურ ასპექტს წარმოადგენს ის, თუ როგორ შეგვიძლია საუკეთესო ფორმით განვსაზღვროთ და ვემსახუროთ კანონის ერთგულების იდეალს.⁸⁹ ფულერი აღიარებს, რომ შესაძლებელია ხაზის გავლება „ნესრიგსა“ და „კარგ ნესრიგს“ შორის. თუმცა, მისი მტკიცებით, ნესრიგის აბსტრაქტული ცნებაც კი მოიცავს იმას, რასაც მორალური კომპონენტი შეიძლება ეწოდოს. ნესრიგის მორალური კომპონენტის პატივისცემა აუცილებელია, თუკი გვსურს შევექმნათ ის, რასაც შეიძლება ეწოდოს კანონი, თუნდაც ცუდი კანონი. ამას ფულერი

88 Hart, “Positivism and the Separation of Law and Morals,” 619.

89 Fuller, “Positivism and Fidelity to Law,” 632.

„კანონის შინაგან მორალს“ უწოდებს.⁹⁰ კანონი ვერ შეასრულებს კანონის ფუნქციას, თუკი ის რეტროაქტიურად ამოქმედდება, თუკი მისი ნორმები გასაიდუმლოებულია, ან თუკი მისი დებულებები ხელისუფლების მიერ სრულად უგულებელყოფილია.

ბუნებითი სამართალი და პოზიტიური სამართალი

ჰარტი და ფულერი ვერ შეთანხმდნენ მოსამართლის პოზიციასთან დაკავშირებით იმ ქალის საქმეში, რომელმაც ქმარი ნაცისტური რეჟიმის დროს პოლიციაში დაასმინა. მათი დებატი დამბეზღებელი ცოლის ბრალეულობას შეეხებოდა და არა მოსამართლის, რომელმაც ქალის ქმარი გაასამართლა. როგორც დევიდ დიზენჰაუსი აღნიშნავს, ეს გამოიწვია საქმის გარემოებების დამახინჯებულმა გააზრებამ, ვინაიდან ცოლს ქმრის დასმენის კანონისმიერი ვალდებულება არ ეკისრებოდა. სასამართლო, რომელმაც ცოლი ომის შემდეგ გაასამართლა, არ იყო ვალდებული ნაცისტური კანონი გამოეცხადებინა „უკანონობად“ განაჩენის გამოსატანად.⁹¹ მართალია, ეს სწორი არგუმენტია, თუმცა საქმესთან კავშირი არ აქვს. ჰარტის არგუმენტი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ცოლი საკუთარ ვალდებულებას ასრულებდა, არამედ ის, რომ მისი ქმედება კანონიერი იყო იმ დროისთვის მოქმედი კანონის თანახმად. ცოლის გასასამართლებლად, ომის შემდეგ, სასამართლოებს ან უნდა დაედგინათ აკრძალვა და რეტროაქტიურად მიექციათ ის ცოლის წინააღმდეგ, ან გაეუქმებინათ ნაცისტური კანონის ის კომპონენტები, რომლებიც ცოლის ქმედების კანონიერებას აღიარებდა.

რაც შეეხება სასამართლოს მიდგომას ნაცისტური სამართლებრივი სისტემის მიმართ, ფულერის მიდგომა გულისხმობდა:

იმის გარკვევას, თუ სამართლებრივი სისტემის რა ნაწილი გადაურჩა დეგრადაციასა და სოციალური წესრიგის ყველანაირი ფორმის გაუკუღმართებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ნაცისტური რეჟიმის დროს და რა მორალური ზიანი მიაყენა ამ დასახიჩრებულმა

90 Fuller, “Positivism and Fidelity to Law,” 645.

91 David Dyzenhaus, “The Grudge Informer Case Revisited,” *New York University Law Review* 83 (2008), 1000–1034.

სისტემამ კეთილსინდისიერ მოქალაქეს, რომელიც იძულებული იყო ამ პირობებში ეცხოვრა.⁹²

კერძოდ, აღნიშნულ საქმეში ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა ის, თუ რამდენად გონივრული იყო ჰიტლერის რეჟიმის სასამართლოების მიერ გამოყენებული კანონის განმარტების პრინციპების გაზიარება, იმის დასადგენად, იყო თუ არა ქმრის განცხადებები მართლაც უკანონო და ექვემდებარებოდა თუ არა იგი სიკვდილით დასჯას. ფულერი ამტკიცებს, რომ ომის შემდგომი გერმანიის სასამართლოებისთვის წარმოუდგენელი რამ იქნებოდა ინტერპრეტირების იმ პრინციპების გამოყენება, რომლებსაც ნაცისტური სასამართლოები მოქმედი, თუმცა ამაზრუნენი, კანონების განსამარტად იყენებდნენ. ჰარტი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ ცოლის ქმედება არ იყო უკანონო რეჟიმის კანონების თანახმად, რომელიც აღნიშნული ქმედების ჩადენის მომენტისათვის იყო ძალაში.

ჰარტი ამტკიცებს, რომ ომის შემდგომი გერმანიის სასამართლოებს, დაუშვავთ, დავალებოდათ ცოლის დასჯა ქმრის დაბეზლებისთვის, ხოლო ქმრისთვის – რეჟიმის სასჯელის დაკისრება, მათ ღიად უნდა განეცხადებინათ, რომ ეს „მოხდებოდა მკაფიოდ, უკუქცევითი კანონის მიღების შედეგად და იმის სრული გაცნობიერებით, თუ რამხელა მსხვერპლის გაღება გახდა საჭირო ქალის მიმართ ამ სასჯელის განსაზღვრისთვის“.⁹³ ფულერი თვლის რომ, საქმე ეხება სამართლისადმი პატივისცემის, ასევე სამართლიანობისადმი პატივისცემის აღდგენას და რომ ის არ დაუშვებდა ხალხის მიერ სამართლის აღსრულების თავის თავზე აღებას თუ სამართლის ინსტიტუტები უნდა აღდგენილიყო გერმანიაში.

უამრავი სტატია და წიგნი დაიწერა „ჰარტი-ფულერის დებატთან“ დაკავშირებით.⁹⁴ თუმცა საკითხი იმის შესახებ, გამიჯნულია თუ არა კანონი და მორალი, ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება. პოზიტივისტური

92 Fuller, “Positivism and Fidelity to Law,” 646.

93 Hart, “Positivism and the Separation of Law and Morals,” 619.

94 დებატის შესახებ ორი მოსაზრება ჰარტისა და ფულერის თვალთახედვით, ასევე მოიცავს დებატების შემდგომ კომენტარებს ნიკოლა ლეისის ავტორობით, *A Life of H.L.A. Hart: The Nightmare and the Noble Dream* (Oxford: Oxford University Press, 2004), თ. 8; და Kristen Rundle, *Forms Liberate: Reclaiming the Jurisprudence of Lon L Fuller* (Oxford: Oxford University Press, 2012), თ. 3.

მიდგომის თანახმად, ის სამართლებრივი ნორმებიც კი, რომლებიც არ პასუხობს სამართლის უზენაესობის მოთხოვნებს, კანონად ითვლება, თუკი ასეთი რამ გამომდინარეობს თავად სამართლებრივი წესრიგის კრიტერიუმებიდან.⁹⁵ ბუნებითი სამართლის მიდგომის თანახმად კი არსებობს გარკვეული მინიმალური მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სამართლებრივი ნორმა, რათა მას კანონის ძალა მიენიჭოს. ამ შეხედულებას თუ გავყვებით, მაშინ ნაცისტური რეჟიმის ამორალური ნორმები კანონად ვერ ჩაითვლება.

ჩვენ არ ვაპირებთ აქ ბუნებით სამართალსა და პოზიტიურ სამართალს შორის არსებული ფუნდამენტური კონფლიქტის მოგვარებას. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნული დებატის თანახმად, მოსამართლეს შეიძლება ჰქონდეს უფლება და ვალდებულება დაარღვიოს პოზიტიური სამართლის ნორმა, იმისგან განურჩევლად, ბუნებითი სამართლის მომხრეა იგი თუ პოზიტივისტურ-სამართლებრივი ხედვის. ბუნებითი სამართლის მხარდამჭერებისთვის, ეს დასკვნა გასაკვირი არ იქნება. მაგრამ, სწორედ ამიტომ იმსახურებს ჩვენს ყურადღებას პოზიტივისტი ჰარტის შეხედულება ამ თვალსაზრისით.

არის თუ არა კანონისადმი დაუმორჩილებლობა მორალური ვალდებულება?

არც ჰარტს და არც ფულერს პირდაპირ არ განუხილავთ ის სიტუაცია, რომელშიც 1944 წელს დაბეზლებული ქმრის სასამართლო პროცესის მოსამართლეები აღმოჩნდნენ. ჰარტის თქმით, მოსამართლეები იმ მომენტისთვის ძალაში მყოფ კანონს იყენებდნენ. ფულერის თქმით კი, მათ გამოიყენეს დრაკონული კანონები ნორმის განმარტების ისეთ პრინციპებზე დაყრდნობით, რომლებიც აბსოლუტურად უცხო იყო ომის შემდგომი გერმანიის სამართლებრივი პროცესისათვის და სამართლის უზენაესობაზე დამყარებული სისტემისათვის. ორივე შეთანხმდა იმაზე, რომ მიღებული შედეგი „ენინაალმდეგებოდა ჯანსაღ სინდისსა და ყველა წესიერი ადამიანის სამართლიანობის აღქმას“.⁹⁶ თუმცა, მათი

95 ამ შეხედულების თანამედროვე ახსნისთვის, იხილეთ: David Fraser, *Law after Auschwitz: Towards a Jurisprudence of the Holocaust* (Durham: Carolina Academic Press, 2005).

96 Hart, "Positivism and the Separation of Law and Morals," 619, quoting the post-war German ruling.

არგუმენტებიდან ნათელია, რომ ორივე თანხმდებოდა, – ნაცისტ მოსამართლეებს არ უნდა გამოეყენებინათ მოქმედი კანონი და ქმარი დამნაშავედ არ უნდა ეცნოთ. ჰარტისთვის კანონი აღსასრულებლად ზედმეტად ბოროტული იყო. შესაბამისად, მოსამართლეებს ეკისრებოდათ მორალური ვალდებულება, არ დამორჩილებოდნენ მას.⁹⁷

ვინაიდან არ არსებობს სამართლებრივი წესრიგის მორალთან შესაბამისობის მოთხოვნა, მაშასადამე, შესაძლებელია კანონი იყოს ამორალური. ჰარტი მაგალითისთვის ასახელებს მონობის კანონს. ასეთ შემთხვევებში, მოსამართლე ფუნდამენტური არჩევანის წინაშე დგება: დაემორჩილოს კანონს თუ დაარღვიოს კანონის დაცვის ვალდებულება, რათა საკუთარი მორალური ვალდებულება აღასრულოს? ეს სიტუაცია ორ ურთიერთგამომრიცხავ ზნეობრივ მოთხოვნას მოიცავს: მოსამართლის (მორალური) ვალდებულება დაიცვას კანონი და მორალური ვალდებულება – არ მიაყენოს ზიანი. მოსამართლეს შეიძლება ჰქონდეს კანონის არგამოყენების მორალური ვალდებულება. მოსამართლემ ღიად უნდა განაცხადოს მორალურ ნორმებს შორის არსებული კონფლიქტის შესახებ და აღნიშნული საკითხი გახადოს მკაფიო და უსწრაფესი ეთიკური განხილვის საგანი. ჰარტის თქმით, „როდესაც გვაქვს მკაფიოდ მეტყველების ფართო რესურსი, ინსტიტუტების მორალური კრიტიკა არ უნდა წარმოვანინოთ საკამათო ფილოსოფიის პროპოზიციად“.⁹⁸ ეს გვიჩვენებს, რომ რასაც ჰარტი ამტკიცებს, რეალურად, არა ნორმატიული, არამედ თეორიული ან სოციოლოგიური განსხვავებაა კანონსა და მორალს შორის. ჰარტმა ეს მოსაზრება თეორიულ და ანალიტიკურ საფუძვლებზე დაყრდნობით გაამყარა. ჰარტისთვის მნიშვნელოვანი იყო საუკეთესო თეორიული და მეცნიერული მიდგომების გამოყენება სამართლის კვლევისთვის.

უფრო ვიწრო კონცეფცია (სამართლის სისტემიდან ამორალური ნორმების გამორიცხვა) ამ შემთხვევაში გარდაუვალად და დამაბნეველად გახლენს ჩვენს ძალისხმევას, გავიაზროთ სოციალური კონტროლის კონკრეტული მექანიზმის განვითარება და შესაძლებ-

97 საინტერესო არგუმენტი მოსამართლეთა მორალური ვალდებულების შესახებ, რომ არ დაემორჩილონ უზნეო კანონებს, იხილეთ Jeffrey Brand-Ballard, *Limits of Legality: The Ethics of Lawless Judging* (Oxford: Oxford University Press, 2010).

98 Hart, "Positivism and the Separation of Law and Morals," 621..

ლობები, დანახული პირველადი და მეორადი წესების სისტემაში. მისი გამოყენების შესწავლა, ასევე გულისხმობს მისი ბოროტად სარგებლობის კვლევასაც.⁹⁹

განცალკევების იდეის მხარდასაჭერად გამოდგება მორალის თეორიის არგუმენტებიც. ვენელი ფილოსოფოსი ჰერლინდე ჰაუერ-შტუდერი, თავის ბოლო კვლევაში ნაცისტური გერმანიის სამართლის თეორიის შესახებ, ამტკიცებს, რომ სამართალი და მორალი სხვადასხვა ნორმატიულ სფეროებს განეკუთვნება. მაშინ, როცა მორალი ინდივიდების შინაგან მოტივებს არეგულირებს, სამართალი მათ გარეგნულ შესაბამისობაზე ზრუნავს.¹⁰⁰ ამ სფეროების გამიჯვნა სასიცოცხლოდ აუცილებელია თავისუფლების უზრუნველსაყოფად.

არც თუ ყველა პოზიტიური სამართლის მიმდევარი ისურვებდა მათი პოზიტივისტური მიდგომიდან ასეთი დასკვნები გამოეტანათ. შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, რომ აპარტიდის დასრულების შემდეგ, სამხრეთ აფრიკელმა მოსამართლეებმა „ჭეშმარიტებისა და შერიგების კომისიის“ წინაშე თავი იმართლეს არგუმენტით, რომ კანონის გამოუყენებლობა მათი „სამსახურებრივი ფიცის დარღვევა“, „კეთილსინდისიერებას მოკლებული“ და „სასამართლო უფლებამოსილების ზღვარგადასული ბოროტად გამოყენება“ იქნებოდა. მათ ერთმანეთში აურიეს კანონის სოციოლოგიური გაგება და კანონის ნორმატიული გაგება, ანუ ის რაც მორჩილებას მოითხოვს.

კანონის მინიმალური ზნეობრივი მოთხოვნები

მათთვის, ვისაც მიაჩნია, რომ კანონი გარკვეულ მინიმალურ მორალურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, მოსამართლის მორალური ვალდებულება თვითონ კანონშია ნაგულისხმევი. ამორალური ნორმა სამართლებრივი ძალის არმქონეა, შესაბამისად, მოსამართლისთვის სავალდებულო ვერ იქნება. ეს მოსამართლის წინაშე არსებული დილემის აშკარად მარტივი გადაწყვეტაა. მაგრამ თუკი ხსენებული დებულება მართებულია, უნდა დავსვათ კითხვა, რატომ იცავდნენ

99 H.L.A. Hart, *The Concept of Law* (Oxford: Clarendon Press, 1961), 205.

100 Herlinde Pauer-Studer, *Justifying Injustice Legal Theory in Nazi Germany* (Oxford: Oxford University Press, 2020), 210–211.

მთელი ისტორიის განმავლობაში მოსამართლეები ისეთ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც ბოროტება იყო და ამკარად ეწინააღმდეგებოდა ზნეობრივ კრიტერიუმებს. ჩვენ ან უნდა ვაღიაროთ მორალის ფარდობითობა და ვამტკიცოთ, რომ ის, რაც ჩვენთვის ამორალურია დღეს, მაგალითად, მონობა, კონკრეტულ ეპოქაში არსებულ მორალურ სტანდარტებს სავსებით აკმაყოფილებდა. ან უნდა შევთანხმდეთ, რომ მოსამართლეები ხშირ შემთხვევაში შეცდომას უშვებენ და იცავენ ნორმებს, რომლებიც საერთოდ არ არის სამართლებრივი ნორმები.

ჩვენ უნდა განვასხვაოთ ეს მსჯელობა იმ არგუმენტისგან, რომლის თანახმადაც კონკრეტული სამართლებრივი სისტემა მოიცავს ნორმას, რომელიც უფლებას აძლევს მოსამართლეს შეცვალოს უსამართლო ან არაეთიკური შედეგების მომტანი წესები. არ არსებობს არანაირი მიზეზი, თუ რატომ არ შეიძლება სამართლებრივი წესრიგი მოიცავდეს ასეთ ნორმას. ხოლო თუ მსგავსი წესი არსებობს, მაშინ უსამართლო კანონების არსებობის საკითხსაც არანაირი პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ აქვს, რაც, რასაკვირველია, იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ განიმარტება და გამოიყენება აღნიშნული ნორმა. თუმცაღა, თეორიული არგუმენტის თანახმად, მოსამართლის ასეთი პოზიცია აუცილებლად გამომდინარეობს სამართლებრივი წესრიგიდან.¹⁰¹

ფულერის არგუმენტი ემყარება რწმენას, რომ ერთი მხრივ, თანმიმდევრულობასა და სიკეთეს შორის უფრო მეტი კავშირია, ვიდრე თანმიმდევრულობასა და ბოროტებას შორის და მეორე მხრივ, როდესაც ადამიანები იძულებულნი არიან განმარტონ და გამართლება მოუძებნონ საკუთარ გადაწყვეტილებებს, ეს გადაწყვეტილებები საბოლოო ჯამში სიკეთისკენ იხრება, როგორც არ უნდა იყოს არსებული სიკეთის სტანდარტები.¹⁰² ეს წმინდა არისტოტელესეული არგუმენტია იმის შესახებ, რომ რაციონალურ მსჯელობაში საბოლოოდ ჭეშმარიტება და სამართლიანობა იბადება. ეს ძალიან გრძელვადიანი პერსპექტივაა და რა უნდა ვიფიქროთ იმ უამრავი სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ, რომლებიც ამასობაში ამტკიცებენ ნორმებს, რომლებიც არ არის სამართლებრივი ნორმები სამართლის მინიმალური მოთხოვნების

101 შესადარებლად იხილეთ: Joseph Raz, *The Authority of Law: Essays of Law and Morality* (2nd ed.) (Oxford: Oxford University Press, 2009), 330.

102 Fuller, "Positivism and fidelity to law," 636.

თანახმად? რა თქმა უნდა, ამპარტავნობა იქნება იმაზე ფიქრი, რომ როგორც იქნა მეოცე საუკუნის ბოლოს, დასავლური სამართლის ტრადიციის მიმდევარმა კანონმდებლებმა და მოსამართლეებმა გადაჭრეს საკითხი ისეთი კანონის შემუშავების შესახებ, რომელიც უპირატესად ჭეშმარიტი კანონის კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს.

აქტუალურია თუ არა აღნიშნული დებატი დღეს?

რა დახმარებას უწევს სამართლის ფილოსოფიაში გამოთქმული სხვადასხვა პოზიცია პრაქტიკოს მოსამართლეებს, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში აწყდებიან მსგავს პრობლემებს? რა მოხდება, თუკი კანონით დადგინდება, რომ ყველა თავშესაფრის მაძიებელი ინტერნირებული უნდა იქნას სასამართლოზე წვდომის უფლების გარეშე? უნდა თქვას თუ არა თანამედროვე მოსამართლემ უარი ასეთი კანონის გამოყენებაზე, რომელიც არა მხოლოდ ეწინააღმდეგება სამართლის უზენაესობის პრინციპებს, არამედ ამავე დროს საშინლად ამორალურია; ან იქნებ სულაც უკანონობაა, რადგან სამართლის უზენაესობის მოთხოვნებს არღვევს? რა მოხდება, თუკი ეროვნული ასამბლეა შეცვლის კონსტიტუციას და აკრძალავს საჯარო სივრცეში მუდმივი საცხოვრებლის მოწყობის უფლებას, რასაც დღევანდელ უნგრეთში ვაკვირდებით? იქნებ ჯობდეს სასამართლოებმა უსახლკარობის კრიმინალიზება მოახდინონ?¹⁰³ და რას იტყვიან მოსამართლეზე, რომელიც უარს ამბობს ექიმის დასჯაზე, რომელმაც უკანონო აბორტის ჩატარებით ქალის სიცოცხლე გადაარჩინა, მაშინაც კი როდესაც კანონი ასეთ ქმედებას უკანონობად მიიჩნევს? ნებისმიერმა დემოკრატიულად მართულმა საზოგადოებამ შეიძლება დაამტკიცოს კანონები, რომლებიც მორალის თეორიის მიხედვით, შესაძლოა დახასიათდეს როგორც ამორალური, ხოლო სხვა თეორიებმა კი ასევე შესაძლოა განსხვავებული დასკვნა გააკეთონ. უსამართლო კანონები შეიძლება დაინერგოს სამართლიან საზოგადოებებშიც, თუმცა ასევე შესაძლოა იქცეს იმ

103 See the discussion in Petra Gyongyi, "The Obligation of Judges to Uphold Rules of Positive Law and Possibly Conflicting Ethical Values in Context: The Case of Criminalization of Homelessness in Hungary," *Netherlands Journal of Legal Philosophy* 49:2 (2020), 196–217.

საზოგადოების გარდაუვალ შედეგად, რომელიც თავად უსამართლოა და ტირანის ხელით იმართება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი მოსამართლის, ასევე სამართლისა და არალიბერალური დემოკრატიის სტუდენტის, ანდრას საჯოს თვალსაზრისით, ადამიანის უფლებებისა და სამართლის ბოროტად გამოყენება კონსტიტუციურ დემოკრატიებშიც კი საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. „სამართლებრივი სისტემის დამახასიათებელი თვისებაა, რომ კანონი ბოროტად იყენებს კანონს“, – ამტკიცებს საჯო.¹⁰⁴ აქედან გამომდინარე, არსებობს მრავალი კონფლიქტი, რომელთა დაკავშირებითაც სამართლის თეორია ვერ იძლევა მკაფიო რჩევებს და სადაც შესაძლოა პასუხზე გავლენა სამართლის ფილოსოფიაში არსებულმა რომელიმე კონკრეტულმა პოზიციამ მოახდინოს.

დღეს, კლიმატთან დაკავშირებული საკითხების გამო, მოსამართლეები შესაძლოა აღმოჩნდნენ კონფლიქტში საკუთარ სინდისსა და მმართველი ხელისუფლების მიერ დადგენილ სამართალს შორის. კლიმატის ცვლილების საფრთხეები და სავალალო შედეგები კარგად იქნა აღწერილი „კლიმატის ცვლილების სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის“ (IPCC) მიერ, ხოლო სათბური გაზების ემისიის შემცირების აუცილებლობა დღითიდღე აქტუალურობას იძენს. 2022 წელს გამოქვეყნდა ღია წერილი ორგანიზაციისგან „იურისტები 1,5°C ტემპერატურისთვის“, რომლის განმარტებით ბარათშიც აღწერილია უჩვეულოდ მაღალი ტემპერატურა კანადასა და ჩრდილო-დასავლეთ ამერიკაში, რის გამოც უამრავ ადამიანს გამაგრებულ ცენტრებში უწევს ცხოვრება; წყალდიდობა, რომელმაც მთლიანი სოფლები გაანადგურა გერმანიაში, საფრანგეთსა და ლუქსემბურგში, და ხანძრები ხმელთაშუა ზღვის რეგიონში. 2022 წლის ივლისში, როდესაც ევროპაში საშინელი ხანძრები მძვინვარებდა, ავღანეთსა და აღმოსავლეთ აფრიკას გვალვით გამოწვეული შიმშილობა დაატყდა თავს, ხოლო წყალდიდობებმა ერთიანად წალეკა დასახლებები ავსტრალიიდან დაწყებული ბანგლადეშით დასრულებული, დიდ ბრიტანეთში ტემპერატურამ პირველად მიაღწია 40°C გრადუსს, ვრცელდებოდა ცნობები ასაფრენი ზოლის „დნობის“ შესახებ, ხოლო

104 András Sajó, *Ruling by Cheating Governance in Illiberal Democracy* (Cambridge: Cambridge University Press, 2020), 292.

ლონდონში ხანძრების ყველაზე დიდი რიცხვი დაფიქსირდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.¹⁰⁵

ერთ-ერთ ცნობილ საქმეში, რომელიც ჰოლანდიის მთავრობის პასუხისმგებლობას ეხებოდა ემისიების შემცირებასთან დაკავშირებით, ჰოლანდიის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმე „გამონაკლის გარემოებას“ მოიცავდა, რომელიც სასამართლოებსა და სახელისუფლებო ორგანოებს შორის უფლებამოსილებების სტანდარტული განაწილების წესიდან გადახვევას საჭიროებდა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წარმოებაშია რამდენიმე საქმე, რომლებიც ევროპული კონვენციით დაცულ შემდეგ უფლებებს უკავშირდება: მუხლი 2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 მუხლი (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) და მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრებისა და საცხოვრებლის უფლება).

კლიმატთან დაკავშირებული კანონების რიცხვი იზრდება. სასამართლოები მთელს პლანეტაზე სულ უფრო და უფრო მეტ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საქმეს განიხილავენ, მათი უდიდესი ნაწილი განვითარებულ ქვეყნებზე მოდის, ხოლო მცირედი კი განვითარებად ქვეყნებზე.¹⁰⁶ ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოები გავლენას ახდენენ კლიმატის მართვის შედეგებსა და ამბიციებზე. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, სასამართლოები პოულობენ გზებს ხელისუფლების ქმედებებისა და მისწრაფებების მხარდასაჭერად.

გლობალური დატბობის და მათ შორის ემისიების მზარდი მატების კვალდაკვალ – რაც სულ უფრო მეტად იწვევს საკვების მიწოდების პრობლემებს, მიწებისა და საცხოვრებლად ვარგისი ტერიტორიების დაკარგვას, აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას და აუფასურებს მის სიცოცხლეს – შესაძლოა წარმოიშვას სიტუაცია, როდესაც მოსამართლე ჩათვლის, რომ დადგენილი კანონების დაცვა მორალურად მიუღებელი იქნება.

105 “Lawyers for 1.5°C – humanity’s lifeline,” Lawyer’s Letter, <https://docs.google.com/document/d/1ImBUdEWFwTliFXcN9nPwgbc2HNngfkKpLh2vLhrhFYrM/edit>, ბოლოს ნანახია: NÅR?

106 Intergovernmental Panel on Climate-Change, “Climate Change 2022: Mitigation of Climate Change. Summary for Policymakers,” https://www.ipcc.ch/report/ar6/wg3/downloads/report/IPCC_AR6_WGIII_SPM.pdf, ბოლოს ნანახია: 13.05.2023, პარ. E.3.3.

ჰარტი და ფულერი ორი თაობის წინ მსჯელობდნენ კანონისა და მორალურობის საკითხებზე და მათთვის ორიენტირად ნაცისტური გერმანიის კანონმდებლობა იქცა – მდგომარეობა, რომელიც დღეს ძალიან განსხვავებულია თანამედროვე ქვეყნების უმეტესობაში არსებული მდგომარეობისგან. რამდენად აქტუალურია მათი არგუმენტები მოსამართლეებისა და სამართლის მეცნიერების წინაშე დღეს არსებული გარემოებების გათვალისწინებით? სამართლის უზენაესობა და კანონის მოვალეობა, პატივისცემით მოეპყროს ადამიანის ღირსებას, დღეს ბევრი ქვეყნის კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებშია კოდიფიცირებული, როგორც პოზიტიური სამართალი. დღევანდელი სიტუაცია რადიკალურად განსხვავდება 1950-იან წლებში არსებულისგან. შესაბამისად, შემცირებულია კანონის მოთხოვნებსა და ზნეობრივ მოთხოვნებს შორის კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობა, ასევე შემცირებულია პოზიტიური სამართლის მორალური მსჯელობით შევსების აუცილებლობა, რათა სამართალმა შეძლოს მინიმალური ზნეობრივი მოთხოვნების დაკმაყოფილება. მოსამართლე დღეს უფლებამოსილია ამორალური კანონმდებლობა ან უსამართლო გადაწყვეტილებები მიღებული ზოგადი სამართლის მიხედვით შეადაროს აშშ-ის „უფლებათა ბილს“ ან საერთაშორისო ინსტრუმენტებს, როგორებიცაა ადამიანის უფლებათა კონვენციები ან „ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია“.

ეს უსაფრთხოების გარანტიაა. თუმცა, პრინციპში პრობლემა მაინც პრობლემად რჩება. ნებისმიერი მოსამართლე შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ სიტუაციაში, როდესაც მისი სინდისი დაუპირისპირდება კანონს, ყოველ შემთხვევაში, იმას როგორც კანონი აღიქმება ცენტრალური ინსტიტუტების, მათ შორის საკანონმდებლო ორგანოს, მთავრობისა და უზენაესი სასამართლოს მიერ. ცხოვრება მრავალფეროვანია, ხოლო წესები, რომლებიც ზოგადად უსამართლოდ არ ითვლება, შესაძლოა ცალკეულ შემთხვევებში უსამართლო შედეგების მიზეზი გახდეს. ზოგი ადამიანი, მაგალითად იტყვის, რომ ბოლო ხანებში ევროპაში თავშესაფრისა და იმიგრაციის წესების გამკაცრება, რომლის მომსწრენიც გავხდით, როგორც ევროპულ, ისე ეროვნულ კანონმდებლობაში, შესაძლოა კონკრეტული შედეგების საფუძველი გახდეს, რაც არ იქნება ეთიკური პრინციპებისა და ღირებულებების შესაბამისი. მაგრამ რამდენად შესაძლებელია, რომ კანონი, შემუშავებული დემოკრატიული პროცედურების მიხედვით და გამოქვეყნებული დემოკრატიული

კანონმდებლის მიერ, დაკვალიფიცირდეს როგორც „უკანონო“, მხოლოდ იმიტომ რომ მისი შინაარსი ამორალურია?

რონალდ დვორკინი გვთავაზობს ამ დილემის ამოხსნის გასაღებს კანონისა და მორალის მიმართ თავისი „ინტეგრირებული მიდგომის“ მეშვეობით. ნაცვლად იმისა, რომ სხვადასხვა ნორმის კრებულად განიხილოს, იგი სამართალს პოლიტიკური მორალის ნაწილად აღიქვამს.¹⁰⁷ ამით, ოფიციალურ პირთა მოვალეობებისა და ვალდებულებების საკითხი სამართლის არსის დისკუსიიდან ინაცვლებს პოლიტიკური მორალის სფეროში. გაქცეული მონის კანონის მაგალითზე დაყრდნობით, იგი ამტკიცებს ფუნდამენტურ ზნეობრივ არგუმენტს, რომ კანონი არ უნდა აღსრულებულიყო. სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს ორნაირად შეიძლება აიხსნას: ან შეიძლება ითქვას, რომ მონათმფლობელებს ჰქონდათ პოლიტიკური უფლება დაებრუნებინათ თავიანთი მონები, თუმცა ამ უფლებაზე უპირატესი ძალა მორალურმა აუცილებლობამ იქონია. აღნიშნული კანონი იყო მოქმედი ნორმა, თუმცა მეტისმეტად უსამართლო აღსასრულებლად. ანდა შეიძლება ითქვას, რომ კანონი ძალიან უსამართლო იყო იმისთვის, რომ ვალიდურ კანონად ჩათვლილიყო. ლეგიტიმური კანონმდებლის მქონე საზოგადოებაში, დვორკინი უპირატესობას პირველ მიდგომას ანიჭებს, ხოლო არალეგიტიმურ საზოგადოებებში, როგორც ნაცისტური გერმანიაა, მეორეს – „მორალურ სიზუსტეს“. მაშასადამე, დვორკინი ფუღერს ეთანხმება ნაცისტური გერმანიის სიტუაციის განხილვისას. ის კანონსა და მორალს განკერძოებულად განიხილავს ისეთ საზოგადოებებში, სადაც სამართლის უზენაესობას პატივს სცემენ.

დვორკინის მიდგომის თანახმად, სამართალი განსხვავებულად განი-მარტება სხვადასხვა სოციალურ სისტემებში, რაც არადადამაკმაყოფი-ლებელია ანალიტიკური თვალსაზრისით. მორალის თეორიის პერსპექ-ტივიდანაც, ეს მოლიპულ გზაზე სიარულს ჰგავს. ეს ნიშნავს, რომ ავტორიტარულ სისტემებში, სამართალი უნდა შეესაბამებოდეს მორალს, სწორედ მაშინ, როცა ინდივიდუალური ავტონომიის დაცვის აუცილებლობა ყველაზე აქტუალურია. როგორც პაუერ-სტუდერი თავის კვლევაში ნაცისტების სამართლის თეორიის შესახებ აღნიშნავს, სწორედ

107 Ronald Dworkin, *Justice for Hedgehogs* (Cambridge, MA: Harvard University Press, 2011), 405–411.

სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების შერწყმით გახდა შესაძლებელი მოქალაქეთა აზროვნებისა და დამოკიდებულებების იურიდიული კონტროლი და შესაბამისად ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრება, „ყოველსმომცველი ღირებულებითი სისტემის, რომლის მიზანსაც სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტის მართვა წარმოადგენდა“.¹⁰⁸

ჰარტისა და ფულერის დებატის შემდეგ თანამედროვე სამართლის ფილოსოფია განვითარდა. აქ ამ თეორიების სიღრმისეული შესწავლა ვფიქრობ ზედმეტი იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში, ვერ გავექცევით იმ ფაქტს, რომ ცალკეული მოსამართლე საკუთარ სინდისთან უნდა მოვიდეს თანხვედრაში, თუკი სურს რომ დაგვაჯეროს საკუთარი გადაწყვეტილების მართებულობა. კანონის დაცვის მოთხოვნა, როგორც ამას ხელისუფლება ხედავს, მნიშვნელოვანია გათვალისწინდეს ამგვარ თანაფარდობაში. მიუხედავად ამისა, თუკი მოსამართლე, კეთილსინდისიერი მსჯელობის შედეგად, დასკვნის, რომ ვერ ასაბუთებს თავის გადაწყვეტილებას სათანადოდ, ჩემი აზრით, გადამწყვეტი არ უნდა იყოს ის, თუ რამდენად მოერგება მოსამართლის დასკვნა სამართლებრივ-თეორიულ ფორმულას.

პაუერ-სტიუდერის გაფრთხილება ეყრდნობა კანტის თეორიას ეთიკის შესახებ და განსხვავებას შიდა და გარე თავისუფლებებს შორის. ეს შესაძლოა არც თუ დამაჯერებლად უღერდეს კონსეკვენციალური ეთიკის თეორიის მიმდევრებისთვის ან უტილიტარიზმის მომხრეებისთვის. უტილიტარული თეორიის ინტერესის ობიექტი არა მოტივი, არამედ ქმედების შედეგია. მაგრამ აქ თავს იჩენს მეორე პრობლემა. თუკი კანონებზე ვმსჯელობთ მათი შედეგების მიხედვით, მაშინ სამართლის ნორმატიულობა დაიყვანება სამართლის ეკონომიკური ანალიზის ნორმატიულობამდე, რომელიც ასევე საკამათო თეორიული პოზიციაა.

თანამედროვე პოლიტიკა არ გულისხმობს ზოგადი მორალური კონსენსუსის ან სწორი მორალური თეორიის გამოყენებას. იგივე ეხება სამართალსა და სამართლებრივ გადაწყვეტილებებს. მე ვეთანხმები ალასდერ მაკინტიარს იმაში, რომ „ჰარმონიის შენარჩუნება დაპირისპირებულ სოციალურ ჯგუფებს შორის, რომლებსაც დიამეტრულად

108 Herlinde Pauer-Studer, *Justifying Injustice Legal Theory in Nazi Germany* (Oxford: Oxford University Press, 2020), 208.

განსხვავებული და შეუთავსებელი მოსაზრებები აქვთ სამართლიანობის შესახებ, უნდა იყოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი ფუნქცია და ამას ის უნდა ახორციელებდეს სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის დემონსტრირებით თავის გადანყვეტილებებში“.¹⁰⁹ აქედან გამომდინარე, მოსამართლის პასუხისმგებლობა არ შეიძლება იყოს დამოკიდებული იმაზე, მას სამართლის შესახებ პოზიტივისტური მსოფლმხედველობა უჭირავს თუ ბუნებითი. სასამართლოს გადანყვეტილება – ეს არის გაცნობიერებული ქმედება, შესრულებული მორალური პასუხისმგებლობის მქონე სუბიექტის მიერ და მოსამართლე პასუხს უნდა აგებდეს საკუთარი სინდისის წინაშე თავისი ქმედების გამო, განურჩევლად იმისა, თუ რომელი სამართლის ფილოსოფიის ან მორალის თეორიის პოზიციას იზიარებს მოსამართლე ან რომლის გამოყენებით ხდება მისი შეფასება.

ყველაზე მნიშვნელოვანი სხვაობა სამართლის უზენაესობის დამცველ საზოგადოებასა და საზოგადოებებს შორის, რომლებიც ავტორიტარულ პრაქტიკას მისდევენ, ძალიან კარგად ჩანს მორალური პასუხისმგებლობის მქონე სუბიექტებში. საჯო ამბობს,

ის, რაც ხელს უშლის კონსტიტუციური თაღლითობის (და აქედან გამომდინარე თვითნებობის) გაბატონებას კონსტიტუციურ დემოკრატიაში არის კონსტიტუციური პროცესების მონაწილე აქტორების მორალური და კულტურული თავშეკავება, განპირობებული შეზღუდვებითა და ტრადიციებით, რომლებსაც წესიერი პოლიტიკოსები, მმართველები და იურისტები თვალდახუჭული იზიარებენ ან იღებენ მორალურად სენსიტიური საზოგადოების აზრის ზენონის შედეგად.¹¹⁰

ამიტომ, ჩვენ არ გვჭირდება რომელიმე პოზიციის დაკავება სამართლებრივ-ფილოსოფიურ დისკუსიაში სამართლის ბუნების შესახებ. ყველა პოზიცია აღიარებს, რომ ზოგ შემთხვევაში, მოსამართლე შესაძლოა ვალდებული იყოს არ გაიზიაროს პოზიტიური სამართლის ნორმა. სხვადასხვა პოზიციის არჩევა ხდება იმის გათვალისწინებით,

109 Alasdair Macintyre, *After Virtue: A Study in Moral Theory* (2nd ed.) (Notre Dame: University of Notre Dame Press, 1984), 253.

110 Sajó, *Ruling by Cheating Governance in Illiberal Democracy*, 293.

თუ რა სახის ვალდებულება აკისრია მოსამართლეს და როგორია ამ ვალდებულების დასაბუთება. მნიშვნელოვანი ისაა, რომ პოზიტიური სამართლის ნორმა ყოველთვის არაა შემოჭველი მოსამართლისთვის და რომ მოსამართლეს შეიძლება ჰქონდეს ვალდებულება დაარღვიოს ასეთი ნორმა. და საერთოდაც არაა მნიშვნელოვანი, ასეთი გადაწყვეტილება დაეფუძნება სამართლებრივ თუ მორალურ ვალდებულებას ან გამომდინარე იქნება სასამართლოს მიერ სამართლის უზენაესობის დაცვის მინიმალური მოთხოვნებიდან თუ წმინდა მორალურ-ფილოსოფიური მოსაზრებიდან.

როგორც არ უნდა მივუდგეთ საკითხს, თუ რა არის სწორი სამართლიანობის თვალსაზრისით, ვერ გავეცევით ფაქტს, რომ მოსამართლის მოვალეობაა პერსონალური გადაწყვეტილების მიღება. ხანდახან რეჟიმი იმდენად უსამართლო ან არაადეკვატურად დასაბუთებულია, რომ მოსამართლეს შეუძლია არ გამოიტანოს განაჩენი რეჟიმის მოთხოვნების შესაბამისად. ეს შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ მოსამართლეს აქვს ძლიერი მორალური ვალდებულება დაარღვიოს კანონი, ან სავარაუდო უფლებამოსილება იმდენად ამორალურია, რომ არ შეიძლება მას ეწოდოს კანონი, იმ მინიმალური მოთხოვნებიდან გამომდინარე, რასაც სამართლებრივი წესრიგი უნდა აკმაყოფილებდეს. ორივეს ერთსა და იმავე დასკვნამდე მივყავართ: მოსამართლე უნდა განემოროს დადგენილ სამართლებრივ პოზიციას. ჩვენ არ ვსაუბრობთ კანონმდებლობისა და მთავრობის საქმიანობის რუტინულ სასამართლო კონტროლზე, სადაც პასუხი აშკარაა და გადაწყვეტილება, როგორც წესი, სწრაფად ჰპოვებს აღიარებას. ჩვენ ვსაუბრობთ მოსამართლის გადაწყვეტილებაზე, რომელიც არ იქნება მარტივად გაზიარებული სისტემის მიერ და რომელიც არც მხარდაჭერას მიიღებს სხვა მოსამართლეების მხრიდან, ყოველ შემთხვევაში, მოკლე ხანებში მაინც.

ამ ტიპის წინააღმდეგობა მნიშვნელოვანია, რადგან ავტორიტარული რეჟიმები ხშირად დამოკიდებულნი არიან ისეთი საკვანძო ინსტიტუტების მხარდაჭერაზე, როგორებიცაა პოლიცია, სასამართლო ხელისუფლება, მთავრობის ადმინისტრაცია და ძალოვანი სტრუქტურები, რათა ხელისუფლებაში დარჩენა და საკუთარი პოლიტიკის გატარება შეძლონ. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ხელისუფლებაში მყოფები, როგორც წესი, მხარდაჭერას იღებენ. ასეთ მხარდაჭერას კი უზრუნველყოფენ სხვადასხვა თანამდებობის პირები, რომლებსაც არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ნამდვილად აქვთ. მნიშვნელო-

ვანია გვახსოვდეს, რომ მათ შეუძლიათ და ვალდებულები არიან განსხვავებული არჩევანი გააკეთონ და რომ განსხვავებულმა არჩევანმა შესაძლოა ხელი შეუშალოს რეჟიმს ავტორიტარული თუ მჩაგვრელი პოლიტიკის განხორციელებაში. სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, ასეთი არჩევანი შეიძლება იყოს ავტორიტარული და არალეგიტიმური კანონმდებლობისთვის ძირის გამოთხრა და ავტორიტარული მთავრობის მჩაგვრელ ქმედებებში მონაწილეობაზე უარის თქმა.

გამოყენებული ლიტერატურა

- Brand-Ballard, Jeffrey. *Limits of Legality: The Ethics of Lawless Judging*. Oxford: Oxford University Press, 2010.
- Cover, Robert M. *Justice Accused: Antislavery and the Judicial Process*. New Haven: Yale University Press, 1975.
- Dugard, John. “Should Judges Resign?: A Reply to Professor Wacks.” *South African Law Journal* 101, no. 2 (1984): 286.
- Dworkin, Ronald. *Justice for Hedgehogs*. Cambridge, MA: Harvard University Press, 2011.
- Dyzenhaus, David. “The Grudge Informer Case Revisited.” *New York University Law Review*, (1950) 83, no. 4 (2008): 1000–034.
- Fuller, Lon L. “Positivism and Fidelity to Law: A Reply to Professor Hart.” *Harvard Law Review* 71, no. 4 (1958): 630–72.
- Fraser, David. *Law after Auschwitz: Towards a Jurisprudence of the Holocaust*. Durham, N.C.: Carolina Academic Press, 2005.
- Gyöngyi, Petra. “The Obligation of Judges to Uphold Rules of Positive Law and Possibly Conflicting Ethical Values in Context.” *Netherlands Journal of Legal Philosophy* 49, no. 2 (2020): 196–217.
- Hart, H. L. A. “Positivism and the Separation of Law and Morals.” *Harvard Law Review* 71, no. 4 (1958): 593–629.
- Hart, H. L. A. *The Concept of Law*. Clarendon Law Series. Oxford: Clarendon Press, 1961.
- Herz, Michael. “‘Do Justice!’: Variations of a Thrice-Told Tale.” *Virginia Law Review* 82, no. 1 (1996): 111–61.
- Intergovernmental Panel on Climate-Change. “Climate Change 2022: Mitigation of Climate Change. Summary for Policymakers.” https://www.ipcc.ch/report/ar6/wg3/downloads/report/IPCC_AR6_WGIII_SPM.pdf.
- Lacey, Nicola. *A Life of H. L. A. Hart: The Nightmare and the Noble Dream*. Oxford:

Oxford University Press, 2006.

Lawyers for 1.5° C: Humanity's Lifeline. "Lawyer's Letter. <https://docs.google.com/document/d/1ImBUdEWfjTliFXcN9nPwgbc2HNgfKpLh2vLhrhFYrM/edit> .

MacIntyre, Alasdair. *After Virtue: A Study in Moral Theory*. 2nd ed. Notre Dame: University of Notre Dame Press, 1984.

Mangez, Eric, and Mathieu Hilgers. *Bourdieu's Theory of Social Fields: Concepts and Applications*. Vol. 128. Routledge Advances in Sociology. London: Routledge, 2015.

Pauer-Studer, Herlinde. *Justifying Injustice: Legal Theory in Nazi Germany*. Cambridge: Cambridge University Press, 2020.

Raz, Joseph. *The Authority of Law: Essays on Law and Morality*. 2nd ed. Oxford: Oxford University Press, 2009.

Rundle, Kristen. *Forms Liberate: Reclaiming the Jurisprudence of Lon L Fuller*. 1st ed. Oxford: Hart Publishing, 2012.

Sajó, András. Ruling by Cheating: Governance in Illiberal Democracy. *Cambridge Studies in Constitutional Law*. Cambridge: Cambridge University Press, 2021.

Wacks, Raymond. "Judges and Injustice." *South African Law Journal* 101, no. 2 (1984): 266.

Zajadlo, Jerzy. *Judges and Slaves Sketches from the Philosophy of Law*. Gdansk: Gdansk University Press, 2019

16

როგორია ღირსეული მოსამართლე?

მოკლე მიმოხილვა

ზოგჯერ მოსამართლეს სამართლის დაცვა ხელისუფლებაში მყოფ პირთა თავდასხმებისგან უნევს; ხანაც ბოროტ და მჩაგვრელ კანონებს უპირისპირდება; ზოგ შემთხვევაში კი, როდესაც ხედავს, საზოგადოება სამართლის უზენაესობის იდეალებს შორდება, საკუთარ თავზე იღებს ბრძოლის ხელმძღვანელობას. ამ ყველაფერს ღირსეული მოსამართლე სჭირდება. მომდევნო თავში განვიხილავთ, რამდენად შესაძლებელია სათნოების ეთიკამ მოსამართლის არჩევანი განაპირობოს. ჩვენი გმირების არჩევანისა და საქმიანობის სანინდრადქცეული სიმამაცის, ზომიერების, სიბრძნისა და სამართლიანობის მნიშვნელოვნების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე, გიჩვენებთ, თუ რატომაა სათნოების ზემოაღნიშნული გამოვლინებები და სათნოების ეთიკა დღევანდელ დღეს აქტუალური.

არეტისტური (Aretaic) მიდგომა

როგორც წინა თავში აღინიშნა, მოსამართლემ სამართლის უზენაესობის დაცვა სამართლის თეორიის მკაცრი მითითებების გარეშე უნდა მოახერხოს. მოსამართლე, პერსონალური და ინდივიდუალური არჩევანის საფუძველზე, ვალდებულია გააკეთოს ის, რაც მას სწორად მიაჩნია

და ჩაეხსნას გაბატონებულ აზრს, იმის განურჩევლად, შეესატყვისება თუ არა სამართალი ასეთ შეხედულებას. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უნარი ამოიცნოს, თუ როდის ხდება უსამართლობა ან დანაშაული და შესაბამისად იმოქმედოს. ამისთვის, გარკვეული მორალური თვისებებია საჭირო.

მოსამართლეებს ხშირად მათი ზნეობრივი მახასიათებლებით აფასებენ.¹¹¹ ხშირ შემთხვევაში, ეს ნიშნავს ებრძოლო ადამიანების ზოგად მიდრეკილებას – თვალი დახუჭონ უსამართლობასა და ძალადობაზე, და ეს საკითხები საკუთარი ყურადღების თუ პასუხისმგებლობის მიღმა დატოვონ. სათნოების ეთიკის თანახმად, ეთიკური კომპონენტი ნაწილია იმ დეფინიციისა, რომელიც განმარტავს, თუ რას ნიშნავს იყო რომელიმე პროფესიის ან საქმიანობის უბადლო შემსრულებელი.

თუკი ვინმე ეთანხმება მოსაზრებას, რომ მოსამართლის პირადი პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა – გააკეთოს პასუხისმგებლიანი არჩევანი, დაიცვას თუ დაარღვიოს კანონი, მაშინ ისმის კითხვა: რაზე დაყრდნობით უნდა გააკეთოს მოსამართლემ ამგვარი არჩევანი?

თუკი სამართლის უზენაესობის დაცვა შეუძლებელია სტანდარტული სამართლებრივი ინტერპრეტაციის გზით, გამოდის, რომ მოსამართლემ საკუთარი პროტესტის დასაბუთება კანონის გარეთ უნდა ეძიოს. ვინაიდან საქმე ეხება სამართლის უზენაესობის დაცვას ხელისუფლებაში მყოფთა ქმედებებისგან და ზოგჯერ თვით კანონისგანაც კი, ბუნებრივია, რომ ნორმატიული საფუძვლის ძიება უშუალოდ სამართლის უზენაესობაში დავიწყოთ.

ფულერის მსგავსად, ზოგი ამ საფუძველს სამართლის „შინაგან მორალში“ პოულობს. დევიდ დიზენჰაუსმა აღნიშნული მიდგომა სიღრმისეულად შეისწავლა და სამართლებრივი ინტერპრეტაციის თეორიად აქცია თავის სტატიაში „Grudge Informer Case Revisited“ („დამბეზღებლის საქმე გადაიხედა“). ცენტრალური ადგილი მის მიდგომაში უკავია ფართოდ აღიარებულ განსხვავებას რთულსა და მარტივ საქმეებს

111 იხილეთ See Tomasz Widlak, “Judges Virtues and Vices: Outline for a Research Agenda for Legal Theory,” *Archiwum Filozofii Prawa i Filozofii Społecznej* 2:51–62 (2019), <https://www.cceol.com/search/article-detail?id=826118>

შორის. გარდა ამისა, ის განასხვავებს სამართლის დოქტრინულ და ფუნდამენტურ განმარტებებს. თუკი ბოროტი კანონი სამართლებრივი განმარტებისთვის რთულ შემთხვევას წარმოადგენს, მაშინ ამგვარი ინტერპრეტაცია შემოქმედებითი სავარჯიშო იქნება მოსამართლისთვის, რადგან მას დასჭირდება მთელი რიგი არგუმენტების, მათ შორის, მორალური არგუმენტების მოშველიებაც. მოსამართლემ უნდა იმოქმედოს დისკრეციულად და ნორმა განმარტოს ისე, როგორც მას მორალური თვალსაზრისით საუკეთესოდ მიაჩნია. ასეთ შემთხვევებში, მოსამართლემ უმჯობესია თავი აარიდოს გადაწყვეტილებას, რომელიც ძალზედ უსამართლო იქნება განსახორციელებლად. თუკი სახეზეა მარტივი საქმე, განმარტების თვალსაზრისით პასუხი ნათელია. ამ დროს მოსამართლემ შესაძლოა ვალდებულად იგრძნოს თავი მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილება. სწორედ ასეთ შემთხვევაშია საჭირო ინტერპრეტაცია ფუნდამენტურ დონეზე. მსგავსი საქმეების განხილვისას, მოსამართლეებმა უნდა გამოარკვიონ, ხომ არ არის კანონი, რომელიც, თითქოსდა აბრკოლებს სასურველი შედეგის მიღებას, იმდენად ხარვეზიანი შინაგანი მორალის თვალსაზრისით, რომ საერთოდ არ უნდა მოხდეს მისი გათვალისწინება.¹¹²

ამ გამოსავალთან დაკავშირებული პრობლემა ის არის, რომ იგი სამართლის განმარტების სპეციფიკურ თეორიას ეყრდნობა. მაშ, როგორი უნდა იყოს მიდგომა სამართლებრივი წესრიგის მიმართ, რომელიც არ აღიარებს კანონის შინაგან ზნეობრიობას, როგორც სამართლებრივი განმარტების მართებულ დასაბუთებას? შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ასეთი სამართლებრივი წესრიგი ხარვეზიანია, თუ შესაძლებელია, რომ ის საერთოდაც არ არის სამართლებრივი წესრიგი? კვლავ ჩნდება „კანონისა“ და „უკანონობის“ პრობლემა, ოღონდ ამჯერად სხვა დონეზე, თავისი თეორიული და ნორმატიული პრობლემებით.

პაუერ-სტუდერის მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტა უფრო დამაჯერებელია. მისი თქმით, „კანონის შინაგანი ზნეობრიობის“ ძირითადი ელემენტები – საჯაროობა, გამჭვირვალობა, მკაფიოობა, სანდოობა, პროგნოზირებადობა, თანმიმდევრულობა და თვითნებური უკუქცევითი კანონების დაუშვებლობა – უნდა განიხილებოდეს კონსტიტუციურ

112 David Dyzenhaus, “The Grudge Informer Case Revisited,” *New York University Law Review* 83:4 (2008), 1026–1027.

მოთხოვნებად ისეთი სამართლებრივი სისტემისათვის, რომელიც ღიად არ არღვევს სამართლის უზენაესობას.¹¹³ ეს მიდგომა ნორმატიულ მოთხოვნებს განიხილავს არა როგორც მორალურ ელემენტებს სამართლებრივ წესრიგში, არამედ როგორც ნორმატიულ მოთხოვნას სამართალსა და მორალს შორის.

პაუერ-სტუდერი არ მსჯელობს პრაქტიკულ სამართლებრივ ან მორალურ პრობლემაზე, რომელსაც მოსამართლე ბოროტი კანონების წყალობით აწყდება. თუმცა, როდესაც იგი აცხადებს, რომ „შინაგანი მორალი“ განმსაზღვრელი წინაპირობაა სამართლებრივი სისტემისათვის, რომელიც სამართლის უზენაესობასთან შესაბამისობისკენ მიისწრაფვის, მაშინ ის საშუალებას აძლევს მოსამართლეს ეს მოთხოვნები კანონების განმარტებისას გამოიყენოს. ამგვარად, პაუერ-სტუდერი იმ კანონების სასამართლო კონტროლისადმი დაქვემდებარების ლეგიტიმაციას ახდენს, რომელთა განმარტებაც, ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, შეუძლებელია.

მაგალითად, მოსამართლეს, რომელიც მუშაობს ისეთ სამართლებრივ წესრიგში, რომელიც სამართლის უზენაესობასთან შესაბამისობისკენ მიისწრაფვის, შეუძლია განაცხადოს, რომ რომელიმე კონკრეტული კანონი არ არის პროგნოზირებადი ან საკმარისად თანმიმდევრული, რათა არსებითი მოთხოვნები დააკმაყოფილოს და, შესაბამისად, საჭიროა მისი შეცვლა ინტერპრეტაციის გზით. სწორედ ეს უქმნის ქმედით სამართლებრივ საფუძველს ისრაელის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე აპარონ ბარაკის მიერ მიღებულ ინოვაციურ გადაწყვეტილებებსა და პოლონელი მოსამართლეების პროტესტს, რომელიც მათ ხელისუფლების მხრიდან სასამართლოების კონტროლის მიზნით შემოღებული ზომების მიმართ გამოთქვეს. ასევე ეხმიანება სტერნის უარს, რომ არ შეასრულებდა ბერლინში მდებარე აშშ-ის სასამართლოში მისი მოსამართლედ დანიშვნის პირობებს. ისრაელის, პოლონეთისა და აშშ-ის სამართლებრივი სისტემები მიისწრაფვიან სამართლის უზენაესობაზე დამყარებული წესრიგისკენ.

113 Herlinde Pauer-Studer, *Justifying Injustice: Legal Theory in Nazi Germany* (Cambridge: Cambridge University Press, 2020), 224.

თუმცა, ზემოაღნიშნული არ გამოადგებათ ისეთ სამართლებრივ სისტემაში მოღვაწე მოსამართლეებს, რომელიც აშკარად შორსაა სამართლის უზენაესობის მოთხოვნებისგან და არ მიისწრაფვის მიეკუთვნებოდეს სამართლის უზენაესობის სამართლებრივი სისტემების ოჯახს. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლე ვერ შეძლებს ხელისუფლების მოთხოვნებისადმი თავისი წინააღმდეგობის დასაბუთების პოვნას ვერც თავად კანონის ტექსტში და ვერც ფუნდამენტურ დონეზე. მოსამართლეს ისლა დარჩენია შთაგონება სამართლის უზენაესობის სისტემის მოთხოვნებში ეძიოს, თუმცა ამას არ ექნება შემოჭველი ძალა. ზემოაღნიშნული სიტუაცია საკმაოდ განსხვავდება იმისგან, რასაც დვორკინი გვთავაზობს: კანონის შინაგანი მორალი შესაძლოა დამაჯერებელი სამართლებრივი არგუმენტი იყოს დემოკრატიულ სისტემაში, თუმცა არა ავტორიტარული რეჟიმის პირობებში. მოსამართლემ, საკუთარი მორალური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, შესაძლოა, იგრძნოს მორალური ვალდებულება გადაუხვიოს კანონს ან უარი თქვას მის გამოყენებაზე. მაგრამ როგორ უნდა შევეუთავსოთ ერთმანეთს სამართლის ნორმატიული მოთხოვნები, მორალი და მოსამართლის მტკიცე ვალდებულება – დაიცვას კანონი?

ვფიქრობ, პასუხი შეგვიძლია სათნოების ეთიკაში აღმოვაჩინოთ. მოსამართლემ სათნოების ეთიკით შეიძლება იხელმძღვანელოს როგორც დემოკრატიულ, ისე ავტორიტარულ გარემოში. სათნოების ეთიკა ხშირად არისტოტელესთან ასოცირდება. არისტოტელეს ინტერესის საგანს წარმოადგენდა ადამიანის გაძლიერება, რათა მას ემოქმედა და მიეღწია კეთილდღეობისთვის საღი და ნაფიქრი არჩევანის შედეგად.¹¹⁴ რა თვისებებია ამისთვის საჭირო? აქ ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ცოდნა ჩვენი გმირების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ზუსტად ისე, როგორც დიდი კლასიკოსები ეძიებდნენ რჩევებს ჰომეროსისა და სხვა ეპოსის გმირების ცხოვრებაში.

როგორც შოტლანდიელი ფილოსოფოსი ალასდაირ მაკინტაირი ამბობს, სათნოება არის დისპოზიცია, რომელიც გვეხმარება ჩვენს საქმიანობაში და მასში არსებული სიკეთეების რეალიზებაში.

114 Alasdair MacIntyre, *After Virtue: A Study in Moral Theory* (2nd ed.) (Notre Dame: University of Notre Dame Press, 1984), 148.

მაშასადამე, სათნოება უნდა იქნას გაგებული, როგორც დისპოზიცია, რომელიც არა მხოლოდ შეგვიწინარჩუნებს პრაქტიკას და საშუალებას მოგვცემს მივალწიოთ პრაქტიკისთვის დამახასიათებელ სიკეთეებს, არამედ გააძლიერებს ჩვენში სიკეთის ძიების სურვილს და დაგვეხმარება გადავლახოთ დამაზიანებელი, სახიფათო, მაცდუნებელი, დამაბნეველი ფაქტორები, რომლებსაც ჩვენი ცხოვრების გზაზე შევხვდებით, და შეგვძინს სიკეთის აღქმის ძლიერ უნარს.¹¹⁵

ეთიკური ქცევის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მორალის აღქმა, რაც გულისხმობს კონკრეტული სიტუაციის მნიშვნელოვანი მორალური მახასიათებლების შემჩნევას და ამ მახასიათებლების ადეკვატური შეფასების უნარს. იგივე შეგვიძლია ვთქვათ სამართლის აღქმაზეც.¹¹⁶ აქედან გამომდინარე, სათნოებები და სათნოების თეორია სხვადასხვა სიბრტყეზეა განლაგებული, ვიდრე დეონტოლოგიური და კონსეკვენციალური თეორიები. სათნოებების კონტექსტი აღმოჩენებს უკავშირდება; ზნეობრივი ნორმები კი დასაბუთების კონტექსტს.¹¹⁷ შესაბამისად, რა ჩვევებსაც ვითვისებთ და როგორც ვითვისებთ, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმას, შევძლებთ თუ არა ეთიკური გადწყვეტილებების მიღებას. სათნოების თეორია გვეხმარება დავინახოთ, თუ რომელი ჩვევებია კარგი; ეთიკური რეფლექსია კი არის საშუალება მივხვდეთ, თუ რა ტიპის ქცევა უნდა გავიხადოთ ჩვევად. ამიტომ, პრაქტიკა და წვრთნა სათნოებების განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტებია.

ლოურენს სოლუმი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ღირსეული მოსამართლეობის თეორია შეიმუშავა თავის არეტიკურ თეორიაში სამართლის შესახებ. სოლუმი თვლის, რომ „სამოქალაქო გამბედაობა, მოსამართლის განონასწორებულობა, მოსამართლის გონიერება, სიბრძნე და, უპირველეს ყოვლისა, სამართლიანობა“ მოსამართლის

115 MacIntyre, *After Virtue*, 219.

116 Claudio Michelon, “Lawfulness and the Perception of Legal Salience,” *Jurisprudence* 9:1 (2018), 47–57.

117 იხილეთ Richard A. Wasserstrom, *The Judicial Decision* (Stanford: Stanford University Press, 1961), 25–31 for this distinction.

ღირსებებია.¹¹⁸ შემდეგი ოთხი თვისება – სიბრძნე, სიმამაცე, ზომიერება და სამართლიანობა, შეიძლება განვიხილოთ კლასიკური სათნოებების ვარიანტებად და კონკრეტულ მაგალითებად. სოლუმი გვთავაზობს, რომ ზომიერებას სასამართლოს კონტექსტში ვუნოდოთ „მოსამართლის სიფხიზლე“, ხოლო „სიმამაცე“ ფიზიკურ და სამოქალაქო სიმამაცედ დავყოთ.¹¹⁹ ორივე ძალზედ მნიშვნელოვანია სასამართლოს კონტექსტში. ზემოთქმული ჩვენი გმირებისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი თვისებებია.

მაგრამ ნიშნავს კი ეს, რომ ყოველთვის სათნოების ეთიკას უნდა დავეყრდნოთ, როდესაც მოსამართლის ზნეობრივი კომპასის შექმნა დაგვჭირდება თანამედროვე ეპოქაში? ბევრი ადამიანი სათნოებებს და bildung რაღაც დრომოჭმულს უკავშირებს, რომელიც წარსულ ეპოქას ჩაბარდა. შესაძლოა ამის მიზეზი იყოს ის, რომ სათნოება მეთვრამეტე საუკუნის ვიქტორიანულ ეპოქაში, მათ შორის, ფარისევლური სახით სექსუალურ მორალთან იყო კავშირში. აქედან გამომდინარე, სათნოებებზე საუბრისას, ბევრს შესაძლოა გაახსენდეს ჯეინ ოსტინი, და არა ის, რაც თანამედროვე მოსამართლეს ესაჭიროება.

მაგრამ ვიქტორიანული ეპოქის ვინრო აზროვნება, კლასიკოსების მიერ შექმნილი სათნოებების ეთიკის დამახინჯებაა. სიმამაცეს, ზომიერებას, სიბრძნესა და სამართლიანობაში არაფერია სარდონიკული ან თვალთმაქცური. პირიქით, ეს ის იდეალებია, რომლებიც დღესაც ძალიან აქტუალურია საჯარო დებატებში. ასევე, სულაც არაა დრომოჭმული იმის მოთხოვნა, რომ ადამიანი დაფიქრდეს თავისი ქმედების შედეგებზე, რასაც ის სხვა ადამიანებისთვის აკეთებს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ასეთი რამ სულაც არ შეესაბამებოდეს ჩვენი დროის გადაჭარბებულ ინდივიდუალიზმს.

სათნოებაზე დამყარებული სამართალწარმოების თეორიის მნიშვნელოვანი ნაწილია, განსხვავება კანონიერებასა და სამართლიანობას

118 Lawrence B. Solum, “Virtue Jurisprudence: Towards an Aretaic Theory of Law.” In L. Huppes-Cluysenaer and N. Coelho (eds.), “Aristotle and the Philosophy of Law: Theory, Practice and Justice,” *Ius Gentium: Comparative Perspectives on Law and Justice* 23 (2013), https://doi.org/10.1007/978-94-007-6031-8_1,2.

119 Solum, “Virtue Jurisprudence,” 14. See also Alasdair MacIntyre, *After Virtue: A Study in Moral Theory* (2nd ed.) (Notre Dame: University of Notre Dame Press, 1984), 152–153.

შორის. კანონიერება, რომელიც ნიშნავს პოზიტიური ნორმებისა და სტაბილური წეს-ჩვეულებების შესაბამისად მოქმედების დისპოზიციას, წარმოადგენს ღირსეული მოსამართლეობის მნიშვნელოვან ნაწილს.¹²⁰ თუმცა, ხანდახან, ის, რაც გამომდინარეობს კანონიდან და რაც გამომდინარეობს სამართლიანობიდან, ერთმანეთს არ ემთხვევა. ასეთ შემთხვევებში, ღირსეულმა მოსამართლემ უნდა აირჩიოს სამართლიანობა და გაითვალისწინოს თუ „რას მოითხოვს კანონის სულისკვეთება“.¹²¹ ეს სამართლებრივი საკითხების ფორმისა და შინაარსის კლასიკური დებატის რეფორმულირებაა.

სოლუმის მსჯელობა ფოკუსირებულია იმ ფაქტის გარშემო, რომ სამართალი არის და უნდა იყოს ჩამოყალიბებული აბსტრაქტული და ზოგადი ნორმების სახით და შესაბამისად შესაძლოა არასამართლიან შედეგებსაც იწვევდეს ისეთ კონკრეტულ შემთხვევებში, რომლებიც არ ერგება სამართლის ფორმულირების ჩაფიქრებულ ნიმუშს. ეს განსხვავდება იმ შემთხვევებისგან, როდესაც ნორმები, როგორც ასეთი, სრულად გამორიცხავს სამართლიანობას. სოლუმისეული მიდგომა სათნოებებისა და სამართლიანობის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას ასეთ შემთხვევებშიც, ამასთან ასევე პასუხად ჰარტიისა და ფულერისადმი, თუ როგორ უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილებები ისეთ გარემოებებში, როდესაც სამართლებრივი წესრიგი ფუნდამენტური ბოროტებაა. სიმამაცისა და სამართლიანობის გრძნობით დაჯილდოებული მოსამართლე უარს იტყვის უსამართლო კანონის გამოყენებაზე და თავის მოტივაციას სამართლებრივი ან ზნეობრივი არგუმენტებით დაასაბუთებს ანდა ამ ყველაფერს ფარულად მოახერხებს, როგორც ლენგლანდის შემთხვევაში ვნახეთ.

კარგი ჩვევები და ეთიკური რეფლექსია

სათნოების კრიტერიუმი არ ნიშნავს, რომ მოსამართლე ვალდებულია კარგი პიროვნება იყოს ზოგად მორალურ მოთხოვნებზე დაყრდნობით, რათა იქცეს ისეთ გმირად, რომელიც სამართლის უზენაესობას ესაჭიროება. ფართოდ აღიარებული მოსაზრებაა, რომ მოსამართლეობა

120 Solum, “Virtue Jurisprudence,” 23.

121 Solum, “Virtue Jurisprudence,” 24.

ნიშნავს გარკვეული შეზღუდვების დაწესების ვალდებულებას მეორე პირის პირად თავისუფლებაზე. თუმცა, მოცემულ ნაშრომში, ჩემთვის სხვა საკითხი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მორალური ხასიათის სტანდარტები. ნიგნის გმირებში თავმოყრილია ადამიანური თვისებებისა და მახასიათებლების ფართო სპექტრი. ლოთარ კრეისიგი უდავოდ კარგი და ღვთისმოსავი ადამიანი იყო, ღრმად მორწმუნე, ძლიერი ხასიათით და სიკეთის კეთების ძლიერი სურვილით შეპყრობილი. ის გასცდა თავის სამოსამართლე ფუნქციას, უმწეოთა და უფლებანართმეულთა დასაცავად. დაპატიმრებულ ებრაელებს საპყრობილეებში დაეძებდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მათ არაფერი უშავდებოდათ. ასევე აქტიურად იღვწოდა დაავადებული ადამიანების დასაცავად, რათა ისინი ნაცისტური სახელმწიფოს ევთანაზიის პოლიტიკის მსხვერპლად არ ქცეულიყვნენ. იმ რწმენით, რომ თითოეული გერმანელი დანაშაულის თანამონაწილე იყო, ნაცისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, ლოთარ კრეისიგი ძალისხმევას არ იშურებდა ნაციონალ-სოციალიზმისა და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების დღის სინათლეზე გამოსატანად. 1958 წელს სამშვიდობო ორგანიზაციის დაარსებით, მან ახალგაზრდა გერმანელებს შესაძლებლობა მისცა ემუშავათ საერთო, სამართლიანი მომავლის შექმნაზე, ხოლო ერის ცოდვები ნაციზმის მსხვერპლთათვის სასარგებლო შრომით გამოეყიდათ. მოხალისეები ეხმარებოდნენ ჰოლოკოსტის გადარჩენილებს, მუშაობდნენ მემორიალის მშენებლობებზე, ჩართულები იყვნენ ანტირასისტულ ღონისძიებებში და მრავალი სხვა.

სპექტრის რადიკალურად საპირისპირო მხარესაა რაიხბორნ-კიენერუდი: მოღალატე, რომელიც გერმანიის საოკუპაციო არმიის რიგებში ირიცხებოდა, რომელიც ნორვეგიაში მცხოვრები ებრაული მოსახლეობის ქონების კონფისკაციის პროცესს ხელმძღვანელობდა და რომელმაც შეიარაღებული დაჯგუფებები შექმნა როგორც ნაციონალ-სოციალიზმის დასაცავად, ისე სამოქალაქო ომისთვის მოსამზადებლად, როდესაც გერმანელები იძულებულნი გახდნენ კაპიტულაცია გამოეცხადებინათ და ქვეყნიდან გაქცეულიყვნენ.

ამ გმირებს შორის კი ჩვენ გავიცანით ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრების გარკვეული ასპექტების გამო, ვერ ჩაითვლებიან ზნეობრიობის მაგალითებად. კალმაიერი მექალთანე იყო და ცოლს ღალატობდა. თუმცა, როგორც ადვოკატს, ადგილი გმირებს შორის, ნამდვილად ეკუთვნის. არამხოლოდ ჩვენს გვერდით მცხოვრებ ღვთის-

მოსავ ადამიანებს შეუძლიათ გახდნენ გმირები გარკვეულ გარემოებებში და არც კარგი მოსამართლისთვის დამახასიათებელი აუცილებელი ხასიათის კონკრეტული თვისებების ფლობა ნიშნავს, რომ ადამიანი სხვა გარემოებებშიც ღირსეულად მოიქცევა. სწორედ მოსამართლეობა და არა წმინდანობა აქცევს ჩვენს ცამეტივე გმირს შთაგონების წყაროდ და მისაბაძ მაგალითად.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც ვცდილობთ გმირებში ამოვიცნოთ მათი პიროვნული თვისებები, უმჯობესია, დავაკვირდეთ სხვა რალაცეებს, ნაცვლად იმისა, რომ ვეძიოთ მათში ზნეობრიობა სტანდარტული გაგებით. სათნოების ეთიკა უფრო მეტად რეფლექსიას და აზროვნების უნარს გულისხმობს, ვიდრე მორალს. სათნოება კლასიკური გაგებით არის დასწავილილი უნარი, ჩვევა. გარკვეული თვალსაზრისით, ეს უკავშირდება პერსონალურ განვითარებას ანუ *bildung*-ს.¹²² განვითარება კი ამ კონტექსტში გულისხმობს უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რათა გავხდეთ ბევრად უკეთესი ან გავხდეთ სათნო, ღირსეული ადამიანი და თანამოძმე, არისტოტელესეული გაგებით.

სიბრძნე, სიმამაცე, ზომიერება და სამართლიანობა

სიბრძნე, სიმამაცე, ზომიერება და სამართლიანობა კლასიკური სათნოებების რიგს განეკუთვნება. სათნოების ანტიკური დოქტრინა ეფუძნება სიღრმისეულად და სისტემატურად აკუმულირებად ცოდნას იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო იმისთვის, რომ ადამიანმა საკუთარი თავის საუკეთესო ფორმით რეალიზება და საზოგადოებისთვის სიკეთის მოტანა შეძლოს. ასეთი ცოდნა აქტუალურია თანამედროვე ადამიანისთვისაც; მიუხედავად იმისა, რომ პირობები, რომელშიც ჩვენ დღეს ვცხოვრობთ, ძალიან განსხვავდება ანტიკური პერიოდის პირობებისგან. წიგნში აღწერილი გმირების გადაწყვეტილებებსა და ქმედებებში გამოვლენილი სიმამაცის, ზომიერების, სიბრძნისა და სამართლიანობის მნიშვნელობის ანალიზზე დაყრდნობით, გიჩვენებთ თუ რამდენად აქტუალურია აღნიშნული სათნოებები დღეს.

122 Dagfinn Føllesdal, „Hva er dannelse?“ In Bernt Hagtvet and Gorana Ognjenovic (eds.), *Dannelse, Tenkning modning Refleksjon: Nordiske Perspektiver på allmennundannelsens nødven dighet and høyere utdanning og forskning* (Oslo: Dreyers Forlag, 2011), 113.

ქვემოთ სათითაოდ შემოგთავაზებთ ყველა სათნოების ანალიზს. თუმცა, აქვე ხაზი უნდა გაესვას სათნოებების ერთიანობის მნიშვნელობასაც; მაგალითად, არ შეიძლება ადამიანს ჰქონდეს განვითარებული ერთი რომელიმე სათნოება და არ ჰქონდეს სხვა დანარჩენი.¹²³ ამის დამტკიცება მარტივი ანალიზითაა შესაძლებელი. სიმამაცე და სიმტკიცე სათნოებებია. მაგრამ სიმამაცე სამართლიანობისა და ზომიერების გარეშე სათნოება აღარ იქნება. სიმამაცე თავისთავად შეიძლება გამოვლინდეს როგორც კარგი, ასევე ცუდი მიზნებისთვის, ხოლო სიბრძნისა და ზომიერების გარეშე, შესაძლებელია სიფიცხეში გადაიზარდოს. ანალოგიურად, სამართლიანობა, სიბრძნისა და ზომიერების გარეშე, მარტივად იქცევა თვითკმაყოფილებად და ფორმალიზმად. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მოდით, რიგრიგობით გავაანალიზოთ თითოეული სათნოება.

სიმამაცე ჩვენი გმირების უმრავლესობისთვის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ღირსებაა. ბარიოსმა და რაიხბორნ-კიენერუდმა საკუთარი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ ჩაიგდეს სამართლიანობის დასაცავად და ამით უზარმაზარი ფიზიკური სიმამაცის დემონსტრირება მოახდინეს. სხვებმა კი უდიდესი სამოქალაქო სიმამაცე გამოიჩინეს, როდესაც არ დანებდნენ ხელისუფლებისა თუ საზოგადოებრივ ზენოლას, არ დაარღვიეს კანონი და სამართლიანობა. ჰორტონი თავისი კოლეგების შეხედულებისა და უზარმაზარი საზოგადოებრივი წნეხის ტყვეობაში აღმოჩნდა, რათა 12 ახალგაზრდა კაცი გაესამართლებინა იმის მიუხედავად, რომ მათ ბრალად შერაცხილი დანაშაული აშკარად არ ჩაუდენიათ. პოლონელი მოსამართლეები ხელისუფლებას საზოგადოების დიდი მხარდაჭერის ფონზე დაუპირისპირდნენ და რისკის ქვეშ დააყენეს როგორც საკუთარი კარიერა, ასევე სოციალური მდგომარეობა.

ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის გარდა, სტერნმა და სერვინმა სულ სხვა ტიპის სიმამაცე გვაჩვენეს. სტერნი აღმოჩნდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის არგუმენტების პირისპირ: მას შესაძლოა საფრთხეში ჩაეგდო აშშ-ის საგარეო პოლიტიკა, détente, და თვითმფრინავების გატაცების მზარდი საშიშროებისკენ მიმართული ძალისხმევა. სერვინმა გაბედა და მტკიცედ დაიცვა სასამართლოს პოზიცია, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა გერმანელების მხრიდან

123 Alasdair MacIntyre, *After Virtue: A Study in Moral Theory* (2nd ed.) (Notre Dame: University of Notre Dame Press, 1984), 155–156.

შვედეთის ომში ჩათრევის საშიშროება. მისი გადანყვეტილება ფუნდამენტურად განსხვავებულია, მაგალითად, დანიის უზენაესი სასამართლოს შეფასებისგან, როდესაც ამ უკანასკნელმა აღიარა, რომ დანიელი კომუნისტების დაპატიმრება, გერმანელების ბრძანებით, მოხდა 1941 წელს. დანიის სასამართლოზე ისეთივე ზენოლა ხორციელდებოდა, როგორც სერვინზე. უზენაესი სასამართლოს მიერ კომუნისტების კანონის დამტკიცებასთან დაკავშირებით, დანიელი სამართლის ისტორიკოსი დიტლევ ტამი წერს:

იმის მოლოდინი, რომ უზენაესი სასამართლო, 1941 წელს, არ დაამტკიცებდა პარლამენტის მიერ საგანგებო ვითარებაში ერთსულოვნად მიღებულ კანონს, იგივეა რაც გვექონდეს მოლოდინი, რომ უზენაესი სასამართლო, როგორც მთავარი სახელმწიფო ორგანო, დისტანცირდებოდა პოლიტიკური მოლაპარაკების პროცესისგან და შეუერთდებოდა – უფრო სწორად დაიწყებდა – წინააღმდეგობის მოძრაობას. საქმეზე მიღებულმა გადანყვეტილებამ აჩვენა, რომ უზენაესი სასამართლო არ იყო მზად ასეთი როლის საკუთარ თავზე ასაღებად.¹²⁴

ზემოთქმულთან დაკავშირებით, შესაძლოა გაისმას კრიტიკა, რომ მოსამართლის მოვალეობას არ წარმოადგენს მის მიერ მიღებული გადანყვეტილებების პოლიტიკური შედეგების შეფასება. შედეგები ხშირად ბუნდოვანია და მათზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს აღმასრულებელ შტოს ეკისრება, და არა სასამართლოს. ამ ხაზის ნაშლა ძირს უთხრის სამართლის უზენაესობას.

სიმამაცე აღძრავს პატივისცემას, ხოლო ქმედებას ისეთ მნიშვნელობას ანიჭებს, რაც ცდებდა კონკრეტული ქმედების ფარგლებს. ოკუპაციის პერიოდში ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს გაბედული ნაბიჯი, როდესაც 1940 წლის დეკემბერში მოსამართლეებმა თანამდებობები დატოვეს, უმნიშვნელოვანეს განმაპირობებელ ფაქტორად იქცა სასამართლოს პოზიციის გასამყარებლად, რომელიც მას ომის შემდგომ პერიოდში ეკავა. ამ თითქმის ლეგენდარული ნაბიჯით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა ნორვეგიის იურიდიულ ცნობიერებასთან

124 Ditlev Tamm, "Rettsoppjøret etter besættelsen", Copenhagen, Jurist og økonomiforbundets forlag 1985, 60.

შეთანხმებით, საფუძველი ჩაუყარეს ჩანასახის დონეზე მყოფ წინა-ალმდეგობის მოძრაობას.¹²⁵ აქვე ვერ გამოვრიცხავთ, რომ სწორედ კრეისიგის მიერ გამოვლენილი სიმამაცე იქცა მისდამი ნაკლებად მკაცრი მოპყრობის მიზეზი.

ზომიერება შესაძლოა გარკვეულწილად განსხვავებოდეს სიმამაცის იდეალისგან; ყოველ შემთხვევაში, თუკი ვინმე ფიქრობს, რომ სიმამაცე ერთი კონკრეტული ადამიანის პრინციპებზე მტკიცედ დგომას გულისხმობს. პრინციპებზე მყარად დგომა მამაცობის იდეალია; თუმცა, პრინციპებისადმი უკომპრომისო სწრაფვა, იმავდროულად, ხშირად არც თუ დამაჯერებლად გვეჩვენება. კლასიკურ რიტორიკაში, ზომიერებისადმი მოთხოვნა გვხვდება, მათ შორის, რჩევაში, რომ გამოვიჩინოთ თავმდაბლობა საუბრის დასაწყისში და თავი შევიკავოთ მჭევრმეტყველების უნარებით ტრაბახისაგან.¹²⁶ ზომიერება იურიდიულ კონტექსტში, მათ შორის, კონტრარგუმენტის დანახვის უნარს და გარკვეულ თავმდაბლობას გულისხმობს სხვების მიერ გამოთქმული პოზიციებისა და არგუმენტების მიმართ.

მაშინაც კი, თუ კეთილი მიზნისთვის იბრძვით, ზომიერება მნიშვნელოვანია. კალმაიერმა ადამიანების მხოლოდ ის ნაწილი გადაარჩინა, რომლებსაც გარდაუვალი სიკვდილი ელოდათ. თავშეკავება რომ არ გამოეჩინა, მისი საქმიანობა სავარაუდოდ გამჟღავნებოდა და შედეგად საერთოდ ვეღარავინ გადაარჩებოდა. იმ ადამიანებზე ფიქრი, რომელთა გადაარჩენაც მან ვერ მოახერხა, სიცოცხლის ბოლომდე სტანჯავდა. აჰარონ ბარაკმა კრიტიკა იმის გამო დაიმსახურა, რომ ძირეულად არ დაუპირისპირდა ისრაელის პოლიტიკას და საბრძოლო მოქმედებებს პალესტინელების წინააღმდეგ. თუმცა, ალბათობა იმისა, რომ ხელისუფლება გაიზიარებდა უზენაესი სასამართლოს რადიკალურ პრაქტიკას, ძალზედ მცირეა. თავისი ზომიერებით, მან ხელისუფლების წარმომადგენლები აიძულა ეღიარებინათ, რომ ვალდებულები იყვნენ სასამართლო კონტროლს დაჰქვემდებარებოდნენ და ჰქონოდათ დასაბუთება საკუთარი არჩევანისა და ქმედებების

125 Hans Petter Graver, *Dommernes krig Den tyske okkupasjonen 1940–1945 og den Norskerettsstaten* (ოსლო: Pax Forlag, 2015), 35–39.

126 Øivind Andersen, *Lingua Suspecta: On Concealing and Displaying the Art of Rhetoric*, *Symbolae Osloensis* LXXI:1 (1996), 68–86.

გასამართლებლად, რომლებსაც დამოუკიდებელ სასამართლოს წარუდგენდნენ განსახილველად.

ზომიერების ნაწილია ასევე სამართლიანობის სათნოება. არისტოტელე რიტორიკაში ამბობს:

სამართლიანობა მოგვიწოდებს ვიყოთ მოწყალენი ადამიანის ბუნების სისუსტეებისადმი; ვიფიქროთ ნაკლები კანონებზე და მეტი მათ შემმუშავებლებზე, ნაკლები თუ რა თქვა მან და უფრო მეტი თუ რა იგულისხმა; ყურადღება უნდა მიექცეს არა ბრალდებულის ჩადენილ ქმედებას, არამედ მის განზრახულობას, არა აქა-იქ წვრილმანებს, არამედ მთლიან ამბავს; არა იმას თუ როგორია ვინმე ახლა, არამედ თუ როგორია ის ყოველთვის ან უმეტეს შემთხვევაში. სამართლიანობა მოგვიწოდებს გვახსოვდეს სიკეთე და არა ბოროტება, სარგებელი ჩვენი ძალებით მოპოვებული და არა ბოძებული; რომ შევძლოთ უსამართლობის ატანა; რომ დავა მოვაგვაროთ სიტყვით და არა ფიზიკური ძალით; უფრო მეტად მივმართოთ მომრიგებელ მოსამართლეებს ვიდრე სასამართლოს – რადგან მომრიგებელი მოსამართლეები ითვალისწინებენ სამართლიანობას, მოსამართლენი კი მკაცრ კანონებს, და მომრიგებელი მოსამართლე სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ სამართლიანობამ გაიმარჯვოს.¹²⁷

სამართლიანობა ღირსეული მოსამართლეობის მნიშვნელოვანი კომპონენტია და გულისხმობს კანონის ღმობიერ გამოყენებას. ეს არ ნიშნავს, რომ მოსამართლემ ის უნდა გააკეთოს, რასაც თვითონ ჩათვლის სამართლიანად, არამედ ის, რასაც სამართლის სულისკვეთება მოითხოვს.¹²⁸ სოლუმი თანასწორობას განიხილავს, როგორც „სამართლებრივი ხედვის“ ფორმას. ისეთ გარემოებებში, როდესაც კანონი ბოროტებაა, კანონის სულისკვეთება უნდა ჩანაცვლდეს სამართლის უზენაესობის სულისკვეთებით, რომლითაც იხელმძღვანელებს მოსამართლე, რომელიც კალმახერის ან ლენგლანდის მსგავსად, თვლის, რომ კანონის გამოყენება საერთოდ დაუშვებელია.

127 არისტოტელე, რიტორიკა I თავი 13, 17–19.

128 იხილეთ Solum, “Virtue Jurisprudence”, 24–25.

სიბრძნე აუცილებელია თქვენს წინაშე არსებული გარემოებების დამოუკიდებელი შეფასებისთვის, რათა განსაზღვროთ თქვენი არჩევანი, ასევე მკაფიოდ დაინახოთ თქვენს მიერ გაკეთებული არჩევანის შედეგები. სიბრძნე ცოდნის გამოყენების უნარია და მჭიდრო კავშირშია ლოგიკასა და მსჯელობასთან. სიბრძნე გმირს უჩენს კითხვას, რამდენად მართებულია ის, რასაც სხვა ადამიანები სჩადიან. ჰორტონმა არ მისცა საკუთარ თავს უფლება გაეზიარებინა გაბატონებული მოსაზრება, რომ შავკანიანების დასჯა აუცილებელი იყო თეთრკანიანი ქალების უსაფრთხოების საგარანტიოდ.

ჩვენი რეფლექსიის მთავარ კომპონენტს წარმოადგენს ის, თუ რა გავლენას ვახდენთ სხვა ადამიანებზე მათი გამოცდილებისადმი ჩვენი ემპათიის გამოხატვით. როგორც ნორვეგიელი ფილოსოფოსი დაგფინ ფოლესდალი ამბობს: „ჩვენ მუდმივად უნდა ვამონმოთ ჩვენი ეთიკის თეორია დაზარალებულებზე დაკვირვებითა და კონკრეტულ მოვლენებზე მათი შეხედულების შესწავლით“.¹²⁹ ემპათია მოსამართლის უმთავრესი ღირსებაა და მოითხოვს სიბრძნეს, დეტალების შემჩნევისა და ადამიანების ყურადღებით მოსმენის უნარს.¹³⁰

ჰორტონი ბრალდებულებს უყურებდა როგორც ცხრა ბიჭს და არა ცხრა ჰობოს ან შავკანიანი ავაზაკების ურდოს, რომელთაგანაც თეთრკანიანი ქალები ყველა შესაძლო საშუალებით უნდა დაეცვა. სიბრძნემ აიძულა ასევე ბარაკი დაენახა, რომ თუკი ადამიანს ბრძოლა უნევს სამართლისათვის, მან პატივი უნდა სცეს იმ ადამიანების უფლებებსაც, რომელთა წინააღმდეგაც ის იბრძვის. ბარაკმა არ მისცა საკუთარ თავს უფლება – დამორჩილებოდა საზოგადოებრივ აზრს, რომლის თანახმად, სასამართლო ბრძოლის ველზე უნდა სდუმდეს. შონენბული იმდენად სკეპტიკურად უყურებდა ეშმაკის მაცდუნებელი საქმიანობის შესახებ გაბატონებულ შეხედულებას, რომ აუცილებლობად მიიჩნია მტკიცებულებითი სტანდარტის გამოყენება.

129 Føllesdal, “Hva er dannelse?” 111.

130 Tommi Ralli, “Intellectual Excellences of the Judge.” In L. Huppes-Cluysenaer and N.M.M.S. Coelho (eds.), “Aristotle and The Philosophy of Law: 135 Theory, Practice and Justice,” *Ius Gentium: Comparative Perspectives on Law and Justice* 23. doi: 10.1007/978-94-007-6031-8_8, 135–147.

სიბრძნე ამ გაგებით, მოქმედი სამართლისა და სალი აზრის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. სიბრძნის მეორე აუცილებელი კომპონენტია გულისხმიერება. ფილოსოფოსმა ჰანა არენდტიმ გაანალიზა ინდივიდის რეფლექსიის მნიშვნელობა ტოტალიტარულ საზოგადოებაში. სათნოება, რომელსაც ჰანა არენდტი აღწერს როგორც აუცილებელ თვისებას ამორალურობისა და ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად, არის ზრუნვა და გულისხმიერება. კალმაიერი ზრუნვად ნაცისტური რასობრივი კანონების შედეგად დაჩაგრულ ადამიანებზე და იპოვა გამოსავალი, თუ როგორ დახმარებოდა ზოგიერთ მათგანს მაინც. ზრუნვა არ საჭიროებს ინტელექტს ან სხვა განსაკუთრებულ ნიჭს და არის ის, რაც ჩვენ პიროვნებად გვაყალიბებს.¹³¹ ასევე არ ნიშნავს, რომ მაღალი ინტელექტი და ცოდნის მარაგი ადამიანში აუცილებლად ზრუნვის სურვილს აღვივებს. მართალია, სიბრძნე დამოკიდებულია ცოდნასა და ინტელექტზე, თუმცა მაინც გონიერებასთანაა ახლოს. როგორც ამართია სენი აღნიშნავს, ეთიკური გადაწყვეტილების მიღებას ლოგიკური აზროვნება სჭირდება, თუმცა ლოგიკა არ არის ეთიკური რწმენების უზენაესი არბიტრი.¹³² კონსერვატიული მოსამართლეები უსაფრთხოდ ყოფნას ირჩევენ, ხოლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფისთვისაა საჭირო, ქვეყნის მმართველებს ანდობენ. ბრძენი მოსამართლე კი ამ დროს იაზრებს შესაძლებლობისა და საჭიროების არსებობას, რომ სწორედ ამ კონკრეტულ მომენტში ევალება მოსამართლეს გადაწყვეტი როლის შესრულება.

სიბრძნე პიროვნული ხასიათის ის თვისებაა, რომელიც ამარტივებს აღქმას, თუ რა არის სამართლიანი და რა უსამართლო. სიბრძნე ადამიანს ასევე ანიჭებს ძალას – გამოიჩინოს ზომიერება, რომ სიკეთის კეთებას სამართლიანობა ამჯობინოს, როცა ასეთი რამ მიზანშეწონილია. სამართლებრივ პოზიციასთან მიმართებით, განსაკუთრებული ვაჟკაცობაც არაა საჭირო საკუთარი პოზიციის დასაცავად. ამიტომ, ზომიერება და სამართლიანობა მოიაზრებს სიბრძნესა და გამბედაობას, რაც სათნოებათა ერთიანობის კიდევ ერთი მტკიცებულებაა.

131 Hannah Arendt, *Responsibility and Judgment* (New York: Schocken Books, 2003), 95.

132 Amartya Sen, *The Idea of Justice* (London: Allen Lane, 2009), 44.

სამართლიანობა გამოკვეთილი სატნობაა სამართლის კონტექსტში. სამართლიანობა და ობიექტურობა ხშირად ერთსა და იმავე კონტექსტში მოიხსენიება, ბევრისთვის სამართლიანობა სამართლის სტანდარტს ნიშნავს. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვიცით, რომ არ არსებობს მათ შორის გარდაუვალი კავშირი და რომ კანონი შეიძლება იყოს უსამართლო. ასევე პრობლემაა ისიც, რომ სამართლიანობა არის ცნება, რომელიც სხვადასხვა სახის მოთხოვნებსა და მოლოდინებს მოიაზრებს თავის თავში. ამიტომ, სამართლიანად თავის წარმოჩენის მრავალი გზა არსებობს.

სამართლიანობა ნიშნავს თანაბარ მოპყრობას. განვასხვავებთ მაკორექტირებელ და გადანაწილებით სამართალს. მაკორექტირებელი სამართლიანობა უკავშირდება ურთიერთგაცვლით სიტუაციებს („მიმოცვლა“), მათ შორის საქონლის ყიდვა-გაყიდვის, იჯარის, გაცვლის ან სანქციების, მაგალითად, ჯარიმებისა და ლიცენზიების გაუქმებისთვის საჭირო ტრანზაქციებს. გადანაწილებითი სამართლიანობა კი უკავშირდება, მაგალითად, სიტუაციებს, როდესაც რომელიმე უწყება ანაწილებს სიკეთეს ან ტვირთს ადამიანთა წრეზე ან სიტუაციას, როდესაც ერთი ჯგუფი ერთმანეთში ინაწილებს რაიმეს.

ბევრი გმირი ხელმძღვანელობს სამართლიანობის გრძნობით, კერძოდ, მაკორექტირებელი სამართლიანობით, დანაშაულის აღკვეთისა ან სასჯელის განსაზღვრისათვის. ბარიოსი ხელმძღვანელობდა იმ ფაქტით, რომ აუცილებელი იყო სამხედრო დიქტატურის დროს ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლთა გამართლება დამნაშავე პირების პასუხისმგებლობაში მიცემით. ლენგლანდი აშკარად თვლიდა, რომ უსამართლო იყო ადამიანების დასჯა, რომლებსაც ცუდი არაფერი ჩაუდენიათ, იმის გარდა, რომ სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავდნენ თავიანთი მეფის მიმართ, რომელიც გაძევებული იყო ქვეყნიდან უცხოელი დამპყრობლების მიერ. ხოლო ჰორტონისთვის საშინელი უსამართლობა უნდა ყოფილიყო ადამიანების დასჯა იმისთვის, რაც მათ არ ჩაუდენიათ და რისი არდაშვებისთვისაც იგი მზად იყო მსხვერპლად შეენირა საკუთარი თანამდებობა, პატიოსანი სახელი და რეპუტაცია.

ფორმალური გაგებით, არსებობს მჭიდრო კავშირი სამართლიანობასა და მიუკერძოებლობას შორის, რადგან ადამიანს მოლოდინი აქვს, რომ მიუკერძოებელი ადამიანი ყველას თანაბრად მოექცევა. მიუკერძოებლობის წინაპირობა კი დამოუკიდებლობაა. ამიტომ, პოლონელი

მოსამართლეების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის არის ბრძოლა სამართლიანობისთვის. ასევე არსებობს კავშირი სამართლიანობას, მიუკერძოებლობასა და შეჯიბრებითობით სამართალწარმოებას შორის, ვინაიდან შეჯიბრებითი სამართალწარმოება ნიშნავს პროცესს, სადაც ორივე მხარეს თანაბარი შესაძლებლობები აქვს საკუთარი არგუმენტების წარმოსადგენად.

არის თუ არა სათნოების ეთიკა კონსერვატიული?

სათნოების ეთიკას ხშირად კონსერვატიულობის გამო აკრიტიკებენ, ვინაიდან მისი ვალდებულება არსებული წესრიგის დაცვაა. სათნოებები ჩადებულია ტრადიციებში და ტრადიციების დაცვისკენაა მონოდებული. სათნოების ეთიკა შეიძლება იყოს ორაზროვანი და ზოგიერთ შემთხვევაში ამორალურიც კი. ნაციზმის დროს, სათნოებად იქცა საზოგადოებისა და გერმანული „სისხლის“ დაცვა, ხოლო ისინი, ვინც მასობრივ მკვლელობებში იღებდნენ მონაწილეობას, ამას სუფთა სინდისითა და სწორი საქმისთვის წვის შეგრძნებით სჩადიოდნენ. სათნოებები საზოგადოებაზეა დამოკიდებული, ხოლო საზოგადოება შეიძლება იყოს ექსკლუზიური და მიმართული „სხვათა“ წინააღმდეგ. სათნოებები ასევე უკავშირდება იმ ფაქტს, რომ სიკეთე უკვე არსებობს საზოგადოების ღირებულებებსა და ნორმებში. ამ მიზეზით, სათნოებები შეიძლება იყოს კონსერვატიული და ხელს უშლიდეს საზოგადოებას გაუმჯობესებისკენ სვლაში. სუბიექტს ურჩევნ გაითავისოს დამკვიდრებული მდგომარეობა და არსებული წეს-ჩვეულებები, კრიტიკული რეფლექსიის გარეშე. შესაბამისად, ვეტლესენის აზრით, სათნოების ეთიკა სახიფათო ურთიერთობაში შედის ტოტალიტარულ საზოგადოებებთან.

როგორც თანამედროვე სათნოების ეთიკოსმა ჯულია ანანასმა აღნიშნა, აღნიშნული კრიტიკა არ შეეხება მაინცდამაინც სათნოების ეთიკას, როგორც ასეთს. მართალია, სათნოების ეთიკის ანალიზი ეფუძნება კონკრეტულ ინტუიციას, რომელიც კონკრეტულ საზოგადოებაშია გავრცელებული, თუმცა არ არის აუცილებელი, რომ სათნოების ეთიკა გულისხმობდეს უკვე არსებულის უპირობო მიღებას.¹³³ პირიქით, კლასიკური ვერსია მჭიდროდ უკავშირდებოდა ინდივიდუალური

გარემოებების კრიტიკულ რეფლექსიას და კრიტიკულად იყო განწყობილი ფართოდ აღიარებული ნორმებისა და ქცევების მიმართ.

ჰანა არენდტის თქმით, სოკრატემ ათენში გაბატონებული მორალი შეარყია და ამასთანავე გაბატონებული შეხედულებები და გაუცნობიერებელი მორჩილებაც დაამარცხა.¹³⁴ სიბრძნე და რეფლექსია თავისთავად მნიშვნელოვანი სათნოებებია და ამიტომაც, კრიტიკული აზროვნება სათნოების ეთიკის ნაწილია.

მოსამართლე ჰორტონი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შთააგონა სამართლიანობამ და სიბრძნემ აჯანყებულიყო გაბატონებული შეხედულებების წინააღმდეგ იმ საზოგადოებაში, რომლის ნაწილი თვითონაც იყო და დაჰპირისპირებოდა ფართოდ მიღებულ აზრს. აღნიშნულის მაგალითები არიან ასევე ბარაკი და სერვინი. მათ შემთხვევაში ვხედავთ, რომ საზოგადოებაში შესაძლოა გარკვეული მიდგომა ან აღქმა დომინირებდეს, თუმცა ასევე აუცილებლად იარსებებს კონტრ-ღირებულებები და კონტრ-მოსაზრებები, რომლებიც ღირსეულ მოსამართლეს შეუძლია თავისი მსჯელობისა და მოქმედების დასაბუთებად გამოიყენოს. სანამ ეს ასეა, არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ სათნოებები კონსერვატიულია და იცავს მხოლოდ არსებულ და გაბატონებულ აზრს ან ის, რომ სათნოებების ეთიკა ტოტალიტარულია.

კრიტიკა იმაზე, რომ ეთიკა შეიძლება იყოს ორაზროვანი და ლეგიტიმურობას ანიჭებდეს ბოროტებას, შეიძლება ეთიკისა და მორალის ნებისმიერ ფორმას მიემართებოდეს. ჰანა არენდტი აღნიშნავს, რომ ჰიტლერულ გერმანიაში მოხდა სრული მორალური კოლაფსი, სადაც საზოგადოების პატივსაცემი წარმომადგენლები კოლაბორანტებად გადაიქცნენ; სადაც მორალი ისეთი წეს-ჩვეულებებისა და ქცევის სისტემად იქცა, რომელიც თვალის დახამხამებაში შეიცვალა.¹³⁵ გერმანელებს ასწავლიდნენ, რომ პირველი მცნება იყო არა გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორცა თავი შენი, არამედ გიყვარდეს და დაიცავი გერმანელი ხალხი მტრებისგან. ის ადამიანები, რომლებიც ღირებულებებით ცხოვრობენ და ზნეობრივ ნორმებს იცავენ, როგორც აღმოჩნდა, ყველაზე ნაკლებად

134 Arendt, *Responsibility and Judgment*, 102.

135 Arendt, *Responsibility and Judgment*, 43–44.

სანდონი არიან მორალური თვალსაზრისით. როდესაც საზოგადოების მორალი ერთ წამში შეიცვალა, ერთადერთი რაც მათ დარჩენოდათ, იყო ჩვევა – რალაცას ჩასჭიდებოდნენ. არენდტის აზრით, საიმედო ადამიანები იყვნენ ისინი, ვინც დილოგს ანარმოებდნენ საკუთარ თავთან იმის შესახებ, თუ ვინ სურდათ ყოფილიყვნენ. ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ჩვევად ჰქონდათ მსჯელობა და საკუთარი პოზიციის დაცვა; ანუ ისინი ზნეობრივ-ფილოსოფიური გაგებით, სწორედ რომ სათნოები იყვნენ. რეჟიმის მიერ განხორციელებულ ძალადობაში მათ მონაწილეობა არ მიუღიათ.

ძირფესვიანად რადიკალური

თუკი არენდტის ანალიზი ზუსტია, მაშინ ზნეობრივი და ეთიკური რეფლექსიის ყველა ფორმას შესაძლოა ჰქონდეს საერთო საფუძველი, იმის განურჩევლად ეხება რეფლექსია მოვალეობებს, შედეგებსა თუ სათნოებებს. მხოლოდ მას, ვინც მოქმედებს გააზრებულად, შეუძლია იმოქმედოს ზნეობრივად. ამასთან, რეფლექსია უნდა იყოს რადიკალური – ჩასწვდეს სიღრმეებს – და არ უნდა დაეყრდნოს პოსტულატებს ან მაქსიმებს, იმის მიუხედავად, თუ რომელ ეთიკურ თეორიასა ან მორალს ეყრდნობიან ისინი.

აქტორის ნაგულისხმევი ცოდნა და დისპოზიცია შეგვიძლია გავაანალიზოთ რიტორიკის თეორიისა და პიერ ბურდიეს მიერ შემუშავებული *doxa* და *habitus* კონცეფციის მეშვეობით. ჰაბიტუსი არის „სუბიექტური, თუმცა არაინდივიდუალური, ინტერნალიზებული სტრუქტურების სისტემა, აღქმის, კონცეფციისა და ქმედების სქემები, რომლებიც საერთოა ერთი და იგივე ჯგუფის, ან კლასის ყველა წარმომადგენლისათვის“.¹³⁶ მოსამართლეთა ჰაბიტუსი ახლოსაა იმასთან, რასაც ჯონ ბელი აღწერს როგორც მოსამართლის ინსტიტუციურ კულტურას: „რწმენებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც ქმედებას გაზიარებად მნიშვნელობას ანიჭებს“.¹³⁷ ბელი აღნიშნავს, რომ ეს არაცნობიერ თვისებებსაც მოიცავს. შესაბამისად, ჰაბიტუსის ან ინსტიტუციური

136 Pierre Bourdieu, *Outline of a Theory of Practice* (Cambridge: Cambridge University Press, 1977).

137 John Bell, *Judiciaries within Europe: A Comparative Review* (Cambridge: Cambridge University Press, 2009), 4, doi:10.1017/CBO9780511493829.002.

კულტურის ანალიზი ინტერპრეტაციისა და კონსტრუქციის საკითხია, რომლის რეალობაც „ჰაბიტუსის შესაბამისობის ხარისხსა და ქმედების აღქმაზეა დამოკიდებული“.¹³⁸ ასეთი შესაბამისობის შესამოწმებლად გამოდგება იმის დანახვა, თუ რამდენად შეძლებენ ადამიანები, თვითრეზენტაციის პროცესში ამოიციონ საკუთარი თავი ობიექტურად: ყოველგვარი დამახინჯებისა და ინტერპრეტაციის გარეშე.

შესაბამისად, საზოგადოების ორთოდოქსულობა და doxa, რომელიც აქტორების ნაგულისხმევი ცოდნა და დისპოზიციებია, მჭიდრო კავშირშია ჰაბიტუსთან. ამით იქმნება რეალობის განცდა და ხდება ის ყველასთვის ბუნებრივი და გარდაუვალი. როგორც მენტალური სტრუქტურები, ისინი აყალიბებენ ეთიკურ დისპოზიციებს და გაზიარებად რწმენას სამყაროს არსის შესახებ – რალაც-რალაცები უსიტყვოდაც ნათელია, რადგან ისინი თავისი არსითაა ნათელი.¹³⁹

კიდევ ერთი თეორიული ტრადიცია, რომელიც იმავე შეხედულებას უსვამს ხაზს, ეკონომიკური თეორიის ინსტიტუციური თეორიაა, რომელიც შემუშავდა ნობელის ლაურეატ დუგლას ქ. ნორტის მიერ. აუცილებელია, რომ ინსტიტუტები შედგებოდნენ როგორც ნორმებისგან, ასევე ცოდნისგან. ნორტის აზრით, შეხედულებები აუცილებელია იმ საძირკვლის ასაშენებლად, რომლითაც ცვლილების არსის გაგება შესაძლებელი.¹⁴⁰ ნორმებიც და ცოდნაც შეიძლება იყოს ფორმალური და გამონატული, ასევე არაფორმალური და ნაგულისხმევი. არაფორმალური და ნაგულისხმევი ნორმები, ასევე ცოდნა შეიძლება იყოს გაგებული და აღიარებული აქტორების მიერ; თუმცა ასევე არსებობს არაერთი სხვა ნაგულისხმევი ნორმა და ცოდნა, რომლებსაც აქტორები ქვეცნობიერად იცავენ და იყენებენ, და რაც მათი ყოველდღიური დაშვებების ფუნდამენტურ ასპექტს წარმოადგენს; მათ შორის რწმენებსა და არაღიარებულ ვარაუდებს, რომლებიც წარმართავს მათ აზრებსა და ქმედებებს. აქცენტირება იმაზე, თუ

138 John Bell, *Judiciaries within Europe: A Comparative Review* (Cambridge: Cambridge University Press, 2009), 4, doi:10.1017/CBO9780511493829.002.

139 Pierre Bourdieu, “The Force of Law: Towards a Sociology of the Juridical Field,” *The Hastings Law Journal* 167 (1987), 814–853.

140 Douglass C. North, “Institutions,” *The Journal of Economic Perspectives* 5:1 (1991): 83.

რა არის ნაგულისხმევი და ნავარაუდევი, ინსტიტუციური თეორიის მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

ადამიანები იყალიბებენ შეხედულებებს სამყაროს შესახებ, რომელიც მათ გარშემოა და ამ შეხედულებებზე დაყრდნობით, ცდილობენ შექმნან და შეცვალონ ინსტიტუტები თავიანთი პოზიციების გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, ინსტიტუტები იქმნება მიზანმიმართული ქმედებების შედეგად, იმ ადამიანების მიერ, რომლებსაც შესწევთ საკმარისი ძალა თავიანთი შეხედულების დასაცავად. ინსტიტუტები იმ სტრუქტურის ნაწილია, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე და მოიცავს „ფორმალურ წესებს, არაფორმალურ წესებს და მათი აღსრულების კრიტერიუმებს“. მაშასადამე, ინსტიტუტები შედგება როგორც არაფორმალური შეზღუდვისგან, მაგალითად სანქციები, ტაბუ, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, ქცევის კოდექსები, ასევე სამართლებრივი სახის ფორმალური შეზღუდვისგან. სტიმულების შეთავაზებით, ისინი გავლენას ახდენენ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ადამიანები იღებენ.¹⁴¹ შეზღუდვები – ფორმალური და არაფორმალურის ნაზავი – ჩადებულია სალაპარაკო ენაში, ფიზიკურ არტეფაქტებსა და რწმენებში.¹⁴²

არსებობს ახლო კავშირი ადამიანების შეხედულებებსა და ინსტიტუტებს შორის. წესები, არაფორმალური ნორმები და, შესაბამისად ინსტიტუტები, წარმოიშობა ადამიანების რწმენებიდან. ამიტომ, ინსტიტუციური სტრუქტურა ასახავს იმ ადამიანების შეხედულებებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მოიფიქრონ თამაშის წესები.¹⁴³ იმავდროულად, ინსტიტუტები და ნორმები აყალიბებენ ადამიანის ღირებულებებსა და რწმენებს. დომინანტი ჯგუფის შეხედულებები გაბატონებულ მოსაზრებად ყალიბდება. ნორტის მიდგომაში, შეგვიძლია დავინახოთ მარქსისტი მოაზროვნების, მათ შორის გრამშისა და ალტიუსერის, გავლენა.

ვინაიდან ჩვენი გამოცდილება, მიდგომები და აღქმები აყალიბებს იმას, თუ ვინ ვართ ჩვენ, ჩვენი რეფლექსიაც მათზე დაყრდნობით უნდა

141 Douglass C. North, *Understanding the Process of Economic Change* (Princeton, NJ): Princeton University Press, 2005), 48.

142 North, *Understanding the Process of Economic Change*, 1.

143 North, *Understanding the Process of Economic Change*, 48–49.

განვავითაროთ. იმავდროულად, ზემოთქმული უნდა დაექვემდებაროს კრიტიკულ შემოწმებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეჭვქვეშ დავაყენოთ ჩვენი აზროვნების წინაპირობები, რომელთაგან უმეტესობას ვერ აღვიქვამთ და ვერც წინაპირობებად ვაცნობიერებთ. ის, რაც გვგონია რომ გონების კარნახია, შესაძლოა მცდარ შეხედულებებს ეფუძნებოდეს.

ხშირად ვარაუდებსა და ცრურწმენებს ვიღებთ და ვითავისებთ მოცემულობად და არასდროს ვაყენებთ მათ ეჭვქვეშ. ამერიკელი ფილოსოფოსი რიჩარდ რორტი აღნიშნავს, რომ „ადამიანმა, ნაცვლად იმისა იდარდოს, თუ რამდენად დასაბუთებულია მისი შეხედულებები, ჯობია იფიქროს იმაზე, თუ რამდენად ფლობს ის საკმარის წარმოსახვას, მოიფიქროს მისი შეხედულებების საინტერესო ალტერნატივები“.¹⁴⁴ რორტი „ედიფიკატორულ ფილოსოფიას“ ემხრობა, რათა

დაგვრჩეს სივრცე ალფრთოვანებისთვის, რომელსაც ხანდახან პოეტები აღგვიძრავენ – ალფრთოვანებისთვის იმაზე, რომ რაღაც ახალი არსებობს მზისქვეშეთში; რაღაც, რაც არ არის უკვე არსებულის ზუსტი ასლი; რაღაც, რაც (ყოველ შემთხვევაში, ამ მომენტისათვის) შეუძლებელია აიხსნას და თითქმის შეუძლებელია აღინეროს.¹⁴⁵

ედიფიკატორული ფილოსოფია რეკოლუციურია და მისი მიზანია:

არ დაუშვას, გარკვეულმა ლექსიკამ ან დადგენილმა ფორმებმა, რომლითაც ადამიანები საკუთარ თავს აღიქვამენ, შეცდომაში შეიყვანოს და დააჯეროს ისინი, რომ ამიერიდან ყველა დისკურსი უნდა იყოს სტანდარტული დისკურსი. ედიფიკატორული ფილოსოფოსების თვალში, შედეგად მიღებული კულტურის სტაგნაცია გამოიწვევს ადამიანების დეჰუმანიზაციას.¹⁴⁶

144 Richard Rorty, *Philosophy and Social Hope* (London: Penguin, 1999), 33.

145 Richard Rorty, *Philosophy and the Mirror of Nature* (Princeton, NJ: Princeton University Press, 2009), 370.

146 Rorty, *Philosophy and the Mirror of Nature*, 377.

სწორედ ამ კონტექსტშია მნიშვნელოვანი სათნოების ეთიკა; ზუსტად იმიტომ, რომ ის ღიაა და არ იძლევა მითითებებს გარკვეულ ნორმებთან შესაბამისობის ან კონკრეტული მიზნების მიღწევის შესახებ და ტოვებს ძიების შესაძლებლობას. სათნოების ეთიკის თანახმად, ადამიანი უნდა ისწრაფოდეს განვითარებისაკენ და თავისი საუკეთესო შესაძლებლობების რეალიზებისკენ, თანამემამულეთა სასიკეთოდ. ამ თვალსაზრისით, სათნოების ეთიკა ამტკიცებს პრინციპს, რომ ყველა ადამიანი დაბადებიდანვე თანასწორია, თანდაყოლილი ღირსებებითა და განუყოფელი უფლებებით, რომელთა ხელშეწყობა და დაცვაც კანონის ძალით უნდა მოხდეს.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ვიფიქროთ ჩვენი გადანყვეტილებების შედეგებზე და იმაზეც, თუ როგორ აისახება ეს ყოველივე სხვა ადამიანების ცხოვრებასა და კეთილდღეობაზე. ასევე მნიშვნელოვანია კარგი წესებისა და კარგი ინსტიტუტების შექმნა კარგი გადანყვეტილებების მისაღებად და კარგი ნორმების შესაქმნელად. თუმცა, არ უნდა ვკონცენტრირდეთ ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ წესებსა და ინსტიტუტებზე. ასევე უნდა გავითვალისწინოთ ზნეობრივი სტანდარტები, ქცევის წესები და კანონებიც კი. როდესაც ადამიანი მეტისმეტად ფოკუსირებულია მხოლოდ წესებზე, ასევე მათი დამტკიცებისა და გამოყენების მეთოდებზე, შესაძლოა ვერც კი შეამჩნიოს, როდესაც სამართლებრივი ნორმები გახდება პრობლემური. სამართალთან ასეთი ობიექტური ურთიერთობა არ არის აუცილებელი. მას, ვისაც სამართლის აღსრულება ევალება, შეუძლია ეს ემპათიისა და თანაგრძნობის გამოხატვით გააკეთოს.

ეთიკის დაცვა და არა – წესების

რამდენად აყალიბებს კარგი პრაქტიკა ან მოსამართლის ქცევის კოდექსი კარგ მოსამართლეს? ვფიქრობ, რომ საერთოდ არა. სათნოება მოითხოვს საზოგადოების წესების დაცვას, თუმცა წესების დაცვა თავისთავად სათნოება არ არის.¹⁴⁷ ჩვენ უფრო მეტს ვითხოვთ მოსამართლისგან, ვიდრე იმას, რომ მან დაიცვას ეთიკის ან კარგი სამოსამართლეო ქცევის წესები, განურჩევლად იმისა, აღნიშნული კანონმდებლობითაა

147 Alasdair MacIntyre, *After Virtue: A Study in Moral Theory* (2nd ed.) (Notre Dame: University of Notre Dame Press, 1984), 152.

დადგენილი თუ სასამართლოს ადმინისტრაციის ან სხვა ორგანოების მიერ დამტკიცებული. ეთიკური პრინციპები, უმთავრესად აქცენტირებულია ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სასამართლოში მოქცევის წესი. კიდევ ერთი მიმართულებაა დაცვის ადვოკატებთან და მხარეებთან ურთიერთობა, პროდუქტიულობა, მედიასთან ურთიერთობა და მოსამართლის პირადი კავშირები სამსახურის გარეთ – მათ შორის მოსამართლის მანტიის მიღმა არსებული ვალდებულებები, კოლეგებთან და სასამართლოს პერსონალთან ურთიერთობა.¹⁴⁸ ეს მნიშვნელოვანი წესებია, რომლებიც მოსამართლემ უნდა დაიცავს, თუმცა მათში არ მოიაზრება ღირსეული მოსამართლეობის თვისებები.

ეთიკური წესების კიდევ ერთი ნაკლოვანება არის ის, რომ ისინი წესებია. წესები შეიძლება იყოს არამკაფიო, ჰქონდეთ შეზღუდული მოქმედების არეალი, ეწინააღმდეგებოდეს სხვა წესებს და ა.შ. ამიტომ, ყოველთვის ისმის კითხვა, თუ რა შეგვიძლია გავაკეთოთ წესებით მოთხოვნილ მინიმუმზე მეტი. არაზნეობრივი იქნება წესების ზღვარზე ყოფნა, თუ ჯობია ადამიანი უსაფრთხოდ წესების შიგნით იმყოფებოდეს? რა მოხდება, თუკი ადამიანი დაიცავს წესების ყველა პუნქტს, მაგრამ დაარღვევს მათ სულისკვეთებას?

ყოველთვის იარსებებს აუცილებლობა აღსრულდეს სამართლის ის იდეალები, რომლებიც წესებში არ არის აღწერილი. რთულია დაანესო ზნეობრივი ვალდებულება, რომლის თანახმად, ადამიანი ერთგულად უნდა ასრულებდეს საკუთარ მოვალეობას და არასოდეს გადაუხვიოს დადგენილი წესების მიზნებს. ბოლოს და ბოლოს, არაკანონიერსა და კანონიერს შორის არსებობს განსხვავება, და თუკი კანონში არსებულ ხვრელებსაც გამოვიყენებთ, მაინც ჩაითვლება რომ კანონიერად ვმოქმედებთ. კარგი წესების გარდა, უნდა ვფოკუსირდეთ კარგ პრაქტიკასა და იმ ღირებულებებზე, რომლებიც კარგი პრაქტიკის საფუძველია. საბოლოოდ, სწორედ კარგი პრაქტიკაა გადამწყვეტი, თუ რა გავლენას

148 იხილეთ მაგალითად, ბანგალორის სამოსამართლო ქცევის კოდექსი, 2001 წლის ბანგალორის სამოსამართლო ქცევის კანონპროექტი, მიღებული „სასამართლო მთლიანობის გაძლიერების შესახებ სასამართლო ჯგუფის“ მიერ, რომელიც გადასინჯული იქნა „მთავარ მოსამართლეთა მრგვალი მაგიდის შეხვედრაზე“, რომელიც გაიმართა მშვიდობის სასახლეში, ჰააგაში, 2002 წლის 25–26 ნოემბერს, The Bangalore Principles, 2002 (unodc.org).

იქონიებს სამართლის მიერ დადგენილი წესები ცალკეულ ადამიანებზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კარგ პრაქტიკას ესაჭიროება უფრო მეტი, ვიდრე წესების კრებული. საჭიროა ეთიკურობის მოთხოვნა, რომლის თანახმად, ისინი, ვისაც მოქმედების თავისუფლება აქვთ მინიჭებული, მოქმედებდნენ საკუთარი თავისა და საზოგადოების სასიკეთოდ, ან რომ საკმარისი რაოდენობის ადამიანები მაინც იქცეოდნენ ასე.

გარდა ამისა, ვინაიდან მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნია, თუნდაც ისეთ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც ძალზედ განსხვავებული ზნეობრივ-ფილოსოფიური ან ეთიკური პოზიციების სფეროს განეკუთვნება, სამართლის აღმსრულებლები არ შეიძლება იყვნენ ვალდებულები დემორჩილონ კონკრეტულ მორალურ-ფილოსოფიურ პოზიციას ან ეთიკური ნორმების კონკრეტულ ნაკრებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ფილოსოფიური პოზიციის არჩევანმა შესაძლოა პირდაპირი გავლენა იქონიოს სამართლებრივი საკითხის შედეგზე. ეთიკის თეორიებს შორის არსებული განსხვავების საილუსტრაციოდ გამოდგება ორი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლებიც სხვადასხვა ეთიკურ ხედვას ეყრდნობიან სიცოცხლის უფლებაზე მსჯელობისას.

პირველია ისრაელის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ექვმიტანილი ტერორისტების ლიკვიდაციისთვის მიზანმიმართული დარტყმის ლეგიტიმაციის შესახებ.¹⁴⁹ ამ საქმეს საფუძვლად დაედო ტერორისტული აქტების რიცხვის ზრდა ისრაელში 2000 წლის მეორე ინტიფადას შემდეგ. ტერორს სახელმწიფომ მიზანმიმართული შეტევებით უპასუხა, რომელთა სამიზნესაც ტერორისტული აქტების დაგეგმვაში, ორგანიზებასა ან განხორციელებაში მონაწილე ორგანიზაციების წევრების ლიკვიდაცია წარმოადგენდა. 2005 წლის მდგომარეობით, სამხედრო ოპერაციების შედეგად, ტერორისტულ საქმიანობაში ექვმიტანილი დაახლოებით 300 ადამიანი იქნა მოკლული. გარდა ამისა, დაიღუპა დაახლოებით 150 მშვიდობიანი მოქალაქე, რომლებიც თავდასხმების განხორციელების დროს ახლო პერიმეტრზე იმყოფებოდნენ. მოსარჩელები დაობდნენ, რომ შეტევები იყო აბსო-

149 HCJ 769/02, The Public Committee against Torture in Israel and others v The Government of Israel and others, ხელმისაწვდომია: http://elyon1.court.gov.il/files_eng/02/690/007/a34/02007690a34.pdf.

ლუტურად უკანონო საერთაშორისო სამართლის, ისრაელის კანონ-მდებლობისა და ფუნდამენტური ზნეობრივი პრინციპების თანახმად.

საქმეში აუცილებელი იყო თავდასხმების შედეგად დაღუპული უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლის ხელყოფის შეფასება პროპორციულობის საფუძველზე. ჩათვალა რა ომის კანონის გამოყენებად, უზენაესმა სასამართლომ საკითხი ირიბად გადანყვიტა, ადამიანის უფლებების დაცვა კონფლიქტის დროს სამხედრო ოპერაციების განხორციელების აუცილებლობის თანაზომიერი უნდა იყოს. ერთდროულად სამხედრო გეგმების შესრულება და ადამიანის უფლებების სრულყოფილი დაცვა შეუძლებელია. ამიტომ, მნიშვნელოვანია დავეყრდნოთ პროპორციულობის პრინციპს. ისრაელში სასამართლომ გამოიყენა უტილიტარული სარგებლიანობის შეფასება და დაადგინა, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლის უფლების დარღვევა თავისთავად არასწორი კი არ იყო, არამედ იმაზე დამოკიდებული თუ რამდენად წარმოადგენდა აღნიშნული კანონიერი საომარი მოქმედება გარდაუვალ და არაპროპორციულ შედეგს. სასამართლოს დასკვნით, ნებისმიერი მიზნობრივი შეტევის კანონიერება არ შეიძლება შეფასდეს აბსტრაქტულად, არამედ უნდა შეფასდეს კონკრეტულად, ტრადიციულ საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით.

ამ გადანყვიტელების საპირისპიროდ, გავეცნოთ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვიტელებას საქმეზე, რომელიც ტერორისტების მიერ გატაცებული სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოგდების კანონიერებას შეეხებოდა.¹⁵⁰ აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული თავდასხმების შედეგად, 2005 წელს, გერმანიამ სამოქალაქო ავიაციის კანონში ცვლილებები შეიტანა. გარდა სხვა საკითხებისა, ცვლილებით განისაზღვრა ტერორისტების მიერ გატაცებული ისეთი საჰაერო ხომალდების ჩამოგდების უფლება, რომელთა გამოყენებასაც ტერორისტები სამიზნე ობიექტების ასაფეთქებლად გეგმავენ, რასაც შესაძლოა ადამიანური მსხვერპლი მოჰყვეს. კანონი რამდენიმე მოქალაქემ გააპროტესტა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ კანონი არღვევდა კონსტიტუციას და სახელმწიფოს აძლევდა

150 BVerfG, Beschluss des Ersten Senats vom 15. February 2006 – 1 BvR 357/05 – Rn. (1–154) ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია: http://www.bverfg.de/entscheidungen/rs20060215_1bvr035705en.html

უფლებას მიზანმიმართულად დაეხოცა ადამიანები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ დანაშაულის ჩადენაში, არამედ იყვნენ დანაშაულის მსხვერპლი.

საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადანყვეტილებაში დაეყრდნო გერმანიის კონსტიტუციით გათვალისწინებულ სიცოცხლის უფლებას. სიცოცხლის უფლებას დარღვევისაგან საკანონმდებლო ორგანო ვერ დაიცავს, თუმცა კანონი, რომელიც სიცოცხლის უფლებას ზღუდავს, ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია პატივს სცემდეს ამ უფლების ძირითად არსს. სასამართლომ დაადგინა, რომ თვითმფრინავის ბორტზე მყოფ მფრინავებსა და მგზავრებს, რომელსაც იარაღად იყენებენ გამტაცებლები, წართმეული აქვთ უფლება თავად გადანყვიტონ საკუთარი მდგომარეობა ან ქმედება. ეს ნიშნავს, რომ მათი გამოყენება ხდება წმინდა სამიზნედ, არა მხოლოდ გამტაცებლების, არამედ სამაშველო სამსახურების მხრიდანაც. თვითმფრინავის ჩამოგდების შემთხვევაში, ბორტზე მყოფები გამოყენებული იქნებიან სხვა ადამიანების გადასარჩენ ინსტრუმენტად, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციაში აღიარებულ ყველა ადამიანის უფლებას – განხილულნი იქნან თანასწორ სუბიექტად, საკუთარი ღირსებითა და ღირებულებებით. სასამართლო ერთმნიშვნელოვნად გაემიჯნა არგუმენტს, რომ აღნიშნულ ვითარებაში მყოფ პირებს ნებისმიერ შემთხვევაში სიკვდილი ელოდებოდათ. ადამიანის სიცოცხლე სარგებლობს დაცვის იგივე უფლებით, მიუხედავად ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობისა, განაცხადა სასამართლომ.

ამ ორ საქმეს შორის არსებითი სამართლებრივი განსხვავება არის ის, რომ ისრაელის საქმე ეყრდნობოდა ომის კანონს, ხოლო გერმანიისა თავდაცვით ოპერაციას მშვიდობიანობის პერიოდში. მიუხედავად ამისა, ორივე საქმე ორი განსხვავებული ზნეობრივ-ფილოსოფიური პოზიციის ილუსტრაციაა და ნიმუში, თუ როგორ გავლენას ახდენენ ეს პოზიციები უშუალოდ სამართლებრივი საკითხების გადანყვეტაზე.

მიუხედავად ამისა, ხშირად ადამიანის მიერ არჩეულ პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც მიზანი კანონებისა და ინსტიტუტების მიერ გამოწვეული უსამართლობისა და ძალადობის იდენტიფიცირებაა. სიკეთისკენ სწრაფვის რწმენა, ადამიანს ამის შემჩნევის უნარს უკარგავს. როგორც ჩანს, ესაა მახასიათებელი, რომელიც არ უკავშირდება რომელიმე კონკრეტულ თეორიასა თუ ხედვას, თუმცა საერთოა ყველასთვის.

წესები ხშირ შემთხვევაში, მიზანშეწონილი და აუცილებელია, თუმცა როდესაც ისინი სამართლის აღმსრულებელს კრიტიკული ანალიზის უნარს უზღუდავს, საფრთხე სწორედ აქ შეიძლება იმალებოდეს.

მოყვასისადმი თანაგრძნობა

თანაგრძნობა საზოგადოების გეგმების კონკრეტული შედეგების დანახვის მთავარი კომპონენტია. რაციონალურობისა და თეორიის გარდა, თანაგრძნობაც აუცილებელია. ემპათიის უნარი ასევე წარმოსახვის უნარს მოითხოვს.¹⁵¹ თანაგრძნობის უნარი მნიშვნელოვანი თვისებაა მოსამართლისთვის, რომელიც მხარეებს მამინ ხვდება, როდესაც მათი თავისუფლება და პიროვნულობა საფრთხის ქვეშაა. მოსამართლის თანაგრძნობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულისთვის, ან კერძო მხარისთვის ბავშვის უფლებების დაცვის ან სოციალური დაცვის საქმეში, რათა მათ იგრძნონ, რომ სამართლიანად ეპყრობიან. ხშირად შედეგი დამთრგუნველია მხარისთვის. სწორედ ასეთ შემთხვევაშია კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მხარემ იგრძნოს, რომ მას ყურადღებით ეპყრობიან.

თანაგრძნობის უნარის დემონსტრირება არ ნიშნავს, რომ ლოგიკური მსჯელობა და არგუმენტაცია უმნიშვნელოა ზნეობრივი მოთხოვნების განსაზღვრისას. მხოლოდ რეფლექსიური მიდგომით შეგვიძლია დავიცვათ თავი ემოციური გადატვირთვისგან და ბოროტად გამოყენების საშიშროებისგან, რაც ზედმეტ ემოციებს ახლავს თან. თუმცა მეორე ადამიანის მდგომარეობაში შესვლა მნიშვნელოვანი ამოსავალი წერტილია, ასევე ჩვენი რეფლექსიის მაკორექტირებელიც. როგორც ინდოელი ნობელის პრემიის ლაურეატი და ფილოსოფოსი ამარტია სენი აღნიშნავს: „თუკი ძლიერად დაგვეუფლება რომელიმე კონკრეტული ემოცია, კარგი იქნება მოვუსმინოთ, თუ რას გვკარნახობს ეს ემოცია. აზროვნება და ემოცია კომპლემენტარულ როლს თამაშობენ ადამიანის რეფლექსიაში“.¹⁵²

151 See Richard Rorty, “Dewey and Posner on Pragmatism and Moral Progress,” *University of Chicago Law Review* 74 (2007), 915–927, 924.

152 Amartya Sen, *The Idea of Justice* (London: Allen Lane, 2009), 44. ასევე იხილეთ: Martha C. Nussbaum, *Poetic Justice: The Literary Imagination and Public Life* (Boston: Beacon Press, 1995).

ჰანს კალმაიერის ისტორია ზემოთქმულის ცოცხალი მაგალითია. თუმცა, იმის გასაანალიზებლად თუ რა ახდენს გავლენას ადამიანზე, საჭიროა ამ ადამიანის პერსპექტივის გაზიარება, რათა უკეთ გავაცნობიეროთ მისი ხედვა. თუკი სამართლებრივ საკითხებთან დაუკავშირებელ ფაქტორებს მოვაშორებთ, სამართალი ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს სისტემატიზებულ საშუალებას თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელ შედეგებზე ფიქრი. ეს რომ სამართლებრივ პრაქტიკად არ იქცეს, გვჭირდება ღირსეული და განათლებული სამართლის აღმსრულებლები. სწორედ ესაა სათანადო პრაქტიკის ამოცანა თანამედროვე სამართალში.

Le bon juge?

საფრანგეთში, შატო-ტიერიში მცხოვრებ ფრანგ მოსამართლე მ. მაგნოზე ამბობენ, რომ იგი უზომო პოპულარობით სარგებლობდა თავისი რაიონის მაცხოვრებლებში. მოსამართლე როგორც წესი ჩაგრულთა მხარეს იჭერდა და იღებდა გადაწყვეტილებებს, რომლებიც სრულ ჰარმონიაში იყო მის ლიბერალურ, პოლიტიკურ და სოციალურ შეხედულებებთან.¹⁵³ ერთ-ერთ საქმეში, მან ქალი, რომელსაც პურის მოპარვა ედებოდა ბრალად, გაამართლა იმაზე აპელირებით, რომ დედაკაცი მშვიერი იყო. მისი მიდგომა მოსამართლეობისადმი მოიცავდა გადაწყვეტილების მიღებას იმის მიხედვით, თუ რა იყო გონივრული გამოსავალი კონკრეტულ საქმეში და არ აქცევდა ყურადღებას წვრილმანებს, მაგალითად იმას, რომ მისი გადაწყვეტილებები პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა სამართლის მკაფიო და ცალსახა ნორმებს. მას შეარქვეს *le bon juge* – კარგი მოსამართლე. იყო კი ის სინამდვილეში ისეთი მოსამართლე, რომელიც გვჭირდება?

ჩემი პასუხი ამ კითხვაზე არის არა. მოსამართლემ, სტანდარტულ ვითარებაში, გვერდზე არ უნდა გადადოს კანონი. ასევე არაა მართებული მოსამართლემ ფაქტები „შეკვეცოს“ და კანონში არსებული ხვრელები გამოიყენოს, რათა საკუთარი სუბიექტური მსჯელობა განამტკიცოს იმის შესახებ, თუ რა მიაჩნია სწორად და გონივრულად. ბოლოს და ბოლოს, მოსამართლეობა ხომ სამართლის უზენაესობის აღსრულებას

153 Max Radin, “The Good Judge of Château-Thierry and His American Counterpart,” *California Law Review* 10:4 (1922), 301–302.

ნიშნავს და არა რომელიმე პიროვნების კაპრიზების დაკმაყოფილებას. მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის გონივრული, ორადაა გაყოფილი.

სკანდინავიის ქვეყნებში არსებობს ტრადიცია, რომ მოსამართლეები ერთგულები არიან საკანონმდებლო და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოების მიმართ და თავიანთ მოვალეობად სამართლის პრაქტიკულ სამართლებრივ ცხოვრებაში გადატანის ხელშეწყობას მიიჩნევენ. ეს, მათ შორის, ჩანს ნორვეგიულ მეთოდოლოგიაში, რომელიც მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს კანონის დანიშნულებასა და მოსამზადებელ სამუშაოზე. მოსამზადებელი სამუშაო წარმოადგენს კანონის შევსებისა და ხანდახან კანონის ფორმულირებისგან გადახვევის საშუალებას, როდესაც კანონმდებლის განზრახვა და კანონის დანიშნულება არასახარბიელო შედეგებს იწვევს. ეს მიდგომა, რომელიც სკანდინავიური სამართლებრივი რეალიზმის სახელწოდებითაა ცნობილი, დამახასიათებელია ნორვეგიული და ნორდიული სამართლისათვის, განსხვავებით იმ სამართლებრივი ტრადიციებისა, რომელიც კონტინენტსა და ინგლისურ საერთო სამართალში არსებობს.¹⁵⁴

საკანონმდებლო ორგანოსა და სასამართლოებს შორის ურთიერთნდობაზე დამყარებული ურთიერთობა, სავარაუდოდ ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც სასამართლოების მაღალ რეპუტაციას განაპირობებს სკანდინავიის ქვეყნებში. აღნიშნულში ასევე მოიაზრება მოლოდინი, რომ ცალკეული მოსამართლე დაემორჩილება და არ ეცდება გაატაროს საკუთარი მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა ეჩვენება გონივრულად და რა არა. ჩემი აზრით, ეს სკანდინავიური სამართლის ტრადიციის ჯანსაღი და სწორი თავისებურებაა. როდესაც ვამბობ, რომ მოსამართლემ უნდა გამოიყენოს ზემოაღნიშნული მეთოდით გათვალისწინებული მოქმედების თავისუფლება, ჩემი ფიქრები მიმართულია მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც სასწორზე მოსამართლის მნიშვნელოვანი მორალური ფასეულობები დგას. შედარებით ჰომოგენურ, პატარა და სანდო სკანდინავიურ საზოგადოებებშიც კი, მოსამართლეს არ შეუძლია თავიდან აირიდოს მორალურად პასუხისმგებელი სუბიექტის როლი

154 ნორვეგიული სამართლებრივი მეთოდის მახასიათებლების მოკლე მიმოხილვისთვის, იხილეთ Hans Petter Graver, "Teaching Legal Method in Norway," *Rebels Zeitschrift für ausländisches und inter Nationales Privatrecht* 83:2 (2019), 346–360.

და პასუხისმგებლობა საკუთარი გადანყვეტილებების შედეგებზე. მაგრამ ეს არ აძლევს მოსამართლეს მანდატს საკუთარი პოზიცია სხვა ნორმატიული პროგრამის ხელშეწყობისა და სასამართლო აქტივიზმისთვის გამოიყენოს.

სწორედ ესაა მიზეზი, თუ რატომ ითვლება მოსამართლე ბარაკი საკამათო ფიგურად ისრაელში. ამერიკელი მოსამართლე რობერტ ბორკი სასამართლო აქტივიზმს მიიჩნევს საერთაშორისო კულტურული ომის ნაწილად, რომელსაც ინტელექტუალური მემარცხენეები აწარმოებდნენ, ხოლო ბარაკისდროინდელ ისრაელის უზენაეს სასამართლოს აღწერს როგორც „მსოფლიოში ყველაზე აქტივისტურ, ანტიდემოკრატიულ სასამართლოდ“, რომელსაც შეუძლია „ინინასწარმეტყველოს მსოფლიოს ყველა საკონსტიტუციო სასამართლოს მომავალი“.¹⁵⁵ როდესაც ვფიქრობ, რომ ბარაკი იმსახურებს ადგილს ჩვენი გმირებს გვერდით, ამის განმაპირობებელი მიზეზი ისაა, რომ მისი ნორმატიული პროგრამა უპირისპირდებოდა კლასიკურ შეხედულებას, რომ სასამართლო და სასამართლოები გვერდზე უნდა გადგნენ, როდესაც სახელმწიფო საფრთხის ქვეშაა. მისი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთ სიტუაციებში სამართლის უზენაესობაც შეიძლება იქნას გამოყენებული. სტანდარტული გზა, რომლითაც სახელმწიფოები ძირს უთხრიან სამართლის უზენაესობას, არის იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს საფრთხე ემუქრება და ამიტომ შეუძლებელია სამართლის უზენაესობის დაცვა. ბარაკი ამ არგუმენტის დაუსაბუთებლობას ამტკიცებს.

ტრადიციული ურთიერთობა საკანონმდებლო ორგანოსა და სასამართლოებს შორის დღეს კითხვის ნიშნის ქვეშაა იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ სასამართლოს დღეს ექსკლუზიურად ეროვნული წარმომავლობა აღარ აქვს. სამართლის მნიშვნელოვანი სფეროები დღეს ეროვნული სახელმწიფოების გარეთ იქმნება, ევროპაში ევროკავშირის, ხოლო საერთაშორისო დონეზე კი, ადამიანის უფლებათა კონვენციების მეშვეობით. აღნიშნულ სამართლებრივ სისტემებს საკუთარი ლოიალობის ტრადიციები აქვთ. ევროპული სასამართლოსთვის და გარკვეულწილად EFTA-ს სასამართლოსთვის, ევროინტეგრაციის პროექტისადმი ერთგულება გზის გამკვალავი ვარსკვლავია კანონების განმარტებისა და გამოყენებისას. იმ ორგანოებისთვის კი, რომლებიც ადამიანის

უფლებათა კონვენციებს აღასრულებენ, როგორცაა მაგალითად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECHR), მთავარ მამოძრავებელ ღერძს ადამიანის უფლებათა დაცვის დინამიური განვითარება წარმოადგენს.

შეუძლებელია, ადამიანი, რომელსაც სამართლის აღსრულება ევალება, ყველა აღნიშნული ვალდებულებით ერთდროულად და ყოვლისმომცველად ხელმძღვანელობდეს. ამის კარგი მაგალითია, პირველ თავში აღწერილი სოცუზრუნველყოფის უწყების სკანდალი. ნორვეგიელი მოსამართლეები ეროვნული სადაზღვევო კანონის ნორმას და NAV-ის პრაქტიკას სამართლისადმი და პრაქტიკისადმი საკუთარი ტრადიციული მიდგომის საფუძველზე უყურებდნენ. მათ საკითხისთვის ევროინტეგრაციის პერსპექტივიდან რომ შეეხედათ, იმთავითვე დაინახავდნენ, რომ რაღაც რიგზე არ იყო.

ევროპის ქვეყნების უმეტესობას დღეს აქვს ნორმები, რომლებიც სათავეს იღებენ სამი ან მეტი სხვადასხვა სამართლებრივი წესრიგიდან, რომელთაგან თითოეულს თავისი საკუთარი მოთხოვნები გააჩნია ლოიალობის კუთხით. ეს მოსამართლეებს საშუალებას აძლევს განსხვავებულად გამოიყენონ კანონები, ვიდრე ჩვეულებრივ. ზოგიერთი მოსამართლე, და იმედი მაქვს, უმეტესობა მათგანი კარგად ერკვევა ეროვნულ ტრადიციებში და საკუთარ ამოცანას ქვეყნის სახელისუფლებო ორგანოებთან პარტნიორობაში ხედავს. სხვები კი მხარს უჭერენ ადამიანის უფლებების პროექტს ადამიანის უფლებების დაცვის დინამიკური განვითარების შესახებ, ყოველ შემთხვევაში იმ დროს, როდესაც საქმე მკაფიოდ ადამიანის უფლებების დაცვას ეხება. ის, რომ მოსამართლეებს შორის არსებობს განსხვავება, დასტურდება ფაქტით, რომ მსგავს საქმეებში მოსამართლეებს შორის ხშირად წარმოიქმნება შეუთანხმებლობა.

ერთი რამ, რაც მოსამართლეებს შემოიძლია ვურჩიო არის ის, რომ უმჯობესია შეეცადონ გონივრულად დააბალანსონ სხვადასხვა იდეისადმი ერთგულება ისეთ საქმეებში, სადაც საკითხი აქტუალურ თემებს შეეხება. სწორედ ეს იქნება სკანდინავიურ სამართალში არსებული ტრადიციული პრაგმატული მიდგომის გამოყენება. ასევე გარკვეულწილად დააკმაყოფილებს სასამართლოს ტრადიციული ლოიალობის მოთხოვნას აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ, რადგან სწორედ საკანონმდებლო ხელისუფლებამ გადაწყვიტა

გამხდარიყო ევროპული პროექტისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციების ნაწილი. თუმცა, პასუხი კითხვაზე, თუ რას ნიშნავს გონივრული ბალანსი, მარტივი არ არის, ვინაიდან არცერთი სამართლებრივი წესრიგი არ იძლევა პასუხს ამ კითხვაზე. ეს შესაძლებლობას აძლევს მოსამართლეებს უფრო მეტად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, ვიდრე ჩვეულებრივ მოველით ჩვენი ეროვნული სამართლის ტრადიციაში.

ჰუმანიტარული რევოლუცია

ბოლო საუკუნის განმავლობაში, კაცობრიობამ უზარმაზარ ტექნოლოგიურ წარმატებას მიაღწია, რამაც შესაძლებელი გახადა უკეთესი ცხოვრების უზრუნველყოფა ბევრი ადამიანისათვის. მაშ, შეგვიძლია ვიქონიოთ იმედი, რომ პროგრესი ასევე მიღწეულია ეთიკურ ფრონტზეც, რომ სამართლის გმირისთვისაც გაიზარდა შესაძლებლობები, ვიდრე ამ წიგნში აღწერილი გმირების დროს იყო? ამერიკელი პროფესორი და ფსიქოლოგი სტივენ პინკერი საუბრობს „ჰუმანიტარულ რევოლუციაზე“, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში გამოიარა. ჰუმანიტარული რევოლუციის შედეგად მიღწეული ყველაზე დრამატული ცვლილება ყოველდღიური ცხოვრების სენსიტივიზაციის კუთხით არის ის, თუ როგორ რეაგირებენ ადამიანები სხვა ცოცხალი არსებების ტანჯვაზე.¹⁵⁶ სწორედ ამ კონტექსტში შეგვიძლია ვიმსჯელოთ ზნეობის თვალსაზრისით მიღწეულ პროგრესზე: როგორ მოახერხეს ადამიანთა საზოგადოებებმა განვითარება, რომ ადამიანის სინმინდე ელიარებინათ და ეს რწმენა თანდათანობით ყველა ადამიანზე გაეფრცვლებინათ – მათ შორის საკუთრების მფლობელ მამაკაცებზე, ზოგადად მამაკაცებზე, მონებზე, ქალებსა და ბავშვებზე. ემპათიის წრე მუდმივად ფართოვდება.

გერმანელი სოციოლოგი და ფილოსოფოსი ჰანს იოასი იმავე აზრზეა. დიდი ხნის განმავლობაში, ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი აზროვნების სკოლა, როგორებიცაა კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი და უტილიტარიზმი, უარყოფდა ადამიანის უფლებების იდეას. მაგრამ მას

156 Stephen Pinker, *The Better Angels of Nature: The Decline of Violence and Its Causes* (London: Allen Lane, 2011), 169.

შემდეგ, რაც საზოგადოებამ სულ უფრო მეტად დაიწყო ადამიანის პიროვნების დაცვა, აზროვნების სკოლებმა გაითავისეს და შეიმუშავეს არგუმენტები ადამიანის უფლებების სასარგებლოდ.¹⁵⁷ ეს სწორედ იგივე მორალური პროგრესის გამოხატულებაა, რაზეც პინკერი საუბრობს.

თუკი ეს მართლაც ასეა, რომ სწორედ ტანჯვის მიმართ რეაქციამ განაპირობა პროგრესი ისეთი ინსტიტუტების განვითარებაში, რომლებიც ხელს უწყობენ და იცავენ ადამიანის უფლებებს, მაშინ არსებობს იმედი, რომ დღევანდელი თაობები, წინა თაობებისგან განსხვავებით, უფრო კარგად არიან მომზადებული საზოგადოების დიქტატორებისა და მათ მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად. გარკვეული გარემოებები მიუთითებს, რომ ეს მართლაც ასეა. მაგალითად, სასამართლოს პრაქტიკა თავისუფლების აღკვეთის, ასევე სათანადო სამართალწარმოების სტანდარტების მიმართ, საკმაოდ განსხვავებული იყო გასული საუკუნის შუა ხანებში, ვიდრე დღეს, მეოცე საუკუნის შუა პერიოდში. ეს ნიშნავს, რომ დღეს სასამართლოსგან მოველით დაცვის უფრო მაღალ ხარისხს, ვიდრე ადამიანებს შეეძლოთ მიეღოთ მრავალი წლის წინ. ასევე დღეს გვაქვს ხელისუფლების გადაწყვეტილებების ბევრად უფრო ყოვლისმომცველი სასამართლო კონტროლის სისტემა, ვიდრე წინა თაობებს ჰქონდათ, ადამიანის უფლებებიც დღეს ბევრად უფრო ზედმინეწიანია დაცული.

მეორეს მხრივ, უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ დღევანდელი ავტორიტარული ლიდერები თანამედროვე ფორმებს აითვისებენ; ანუ ფორმებს, რომელთა წინააღმდეგ საბრძოლველად და მათგან დასაცავად მოსამართლეები და სხვა პირები შეიძლება არ იყვნენ მზად. მასობრივი მოძრაობებისა და დიქტატის ნაცვლად, დღევანდელი პოპულისტი მმართველები „არალიბერალურ დემოკრატიაზე“ საუბრობენ. ბევრი ამბობს, რომ ისტორია მეორდება. თუმცა, ეს არ უნდა იქნას გაგებული პირდაპირი მნიშვნელობით, რომ ადამიანები უკანასკნელი ბრძოლისთვის უნდა ემზადებოდნენ. მთავარია, რამე ვისწავლოთ ისტორიიდან. ის, რაც წარსულში მოხდა, კვლავ განმეორდება, თუმცა ახალ გარემოებებთან ადაპტირებული ფორმით. ჩვენს ეპოქაში, მასობრივი თვალთვალის

157 Hans Joas, *The Sacredness of the Person: A New Genealogy of Human Rights* (Washington, DC: Georgetown University Press, 2013), 140–143.

საშუალებებმა და სოციალურ მედიაზე კონტროლმა, საიდუმლო პოლიციისა და ერთპიროვნული დაკავებების ფუნქცია ჩანაცვლა, რაც ახალი ტიპის გამოწვევებს უქმნის სამართლის უზენაესობის დამცველებს.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოსამართლეებმა გამოიმუშაონ მგრძობელობა, თუ რა გავლენას ახდენს კონკრეტული სამართლებრივი ნორმები და სასამართლო გადაწყვეტილებები კონკრეტულ ადამიანებზე. სამართლის აღმსრულებლები ვალდებული არიან ბალანსი დაიცვან სამართლის უზენაესობის აღსრულების მოთხოვნასა და მორალურ ვალდებულებას შორის, რათა უფლებამოსილება ბოროტად არ გამოიყენონ. ამ კონფლიქტის გადასაჭრელად სამართალს შეუძლია მოსამართლეს ინტერპრეტაციის საშუალება შესთავაზოს. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ნიშნავს რომ მოსამართლე ამოიცნობს კონფლიქტს და სამართლის უზენაესობას ემპათიით გამოიყენებს იმ ადამიანის მიმართ, რომლისადმიც ნორმა გამოიყენება.

მოსამართლეს არ შეუძლია უბრალოდ შეხედოს ადამიანს და მისი მდგომარეობა გაითვალისწინოს. აუცილებელია ნორმების გამოყენება. ამ მოსაზრებებს შორის კი ხშირად წარმოიშობა აშკარა ან რეალური დაპირისპირება, რისი დაძლევისთვისაც საჭიროა სათანადო მსჯელობა. სწორედ აქ, ასპარეზზე შემოდის კლასიკური სათნოებები. სათნოების ეთიკა არის ზნეობრივ-ფილოსოფიური მიმართულება, რომლის ინტერესის საგანია, თუ როგორ ცდილობენ ადამიანები საკუთარი თავის საუკეთესო ფორმით რეალიზებას საზოგადოების სასიკეთოდ.

კარგი პრაქტიკა ორი გამოწვევის წინაშე დგას: პირველი ეხება სამართალს, მეორე კი სამართლის აღსრულებას. პრაქტიკა უნდა ეფუძნებოდეს მისწრაფებას, რომ მიღწეული იქნას უკეთესი შედეგი, ვიდრე ამას წესები მოითხოვს, ხოლო სამართლის დამცველებმა უნდა შეძლონ უსამართლობის დანახვა, რომელსაც სისტემა წარმოშობს. როდესაც ეს ორი ფაქტორი ერთმანეთს ემთხვევა, შედეგად ვიღებთ კარგ სამართლებრივ პრაქტიკას.

აქედან გამომდინარე, გამოწვევა არა მინიმალური ზნეობრივი სტანდარტების დადგენა (რომლებიც სასამართლომ უნდა დაიცვას), არამედ ემპათიის გაძლიერება იმ ადამიანებში, რომლებიც კანონებს იყენებენ (რათა თანაგრძობით მოხდეს სამართლის გამოყენება). იმავდროულად, საჭიროა დამოკიდებულება, რომელიც აიძულებს

სამართლის დამცველს არ დაკმაყოფილდეს ნორმების მოთხოვნების შესრულებით, არამედ იბრძოდეს ყველა ადამიანის ხელშეუვალი ღირსების უკეთესი რეალიზებისათვის.

ემპათია საზოგადოების გეგმების კონკრეტული შედეგების დანახვის უმთავრესი საშუალებაა. რაციონალურობისა და თეორიის გარდა, ემპათიაც აუცილებელია. წარმოსახვა კი ემპათიის მნიშვნელოვანი ნაწილია. სხვა ადამიანის გარემოებების წარმოსახვისა და თანაგრძნობის უნარი არ ნიშნავს, რომ შესაძლოა აზროვნებასა და არგუმენტაციას არ ეკავოს მნიშვნელოვანი ადგილი იმის განსაზღვრაში, თუ რას მოითხოვს მორალი. მხოლოდ რეფლექსირებით შეგვიძლია თავი დავაღწიოთ ემოციების აყოლიებას, რასაც ხშირად ბოროტად გამოყენების საფრთხე ახლავს თან. ჰანა არენდტის თქმით, მიზანი ის კი არ არის, რომ ადამიანებმა სწორად იფიქრონ, არამედ ის, რომ მათ უბრალოდ იფიქრონ. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უდიდეს ბოროტებას სჩადიან ადამიანები, რომლებიც არ ფიქრობენ და თვალს ხუჭავენ საკუთარი ქმედებების შედეგებზე. ბარიერი, რომელიც არ აქვს წინდაუხედავ ადამიანს, აქვს მას, ვინც საკუთარ თავთან მარტოა და თავს იწყევლის, რომ დავიწყება არ შეუძლია.¹⁵⁸ მაგრამ იმის გასაზრებლად, თუ რა ახდენს გავლენას მეორე ადამიანზე, ჩვენი თავი მათ ადგილას და მათ მდგომარეობაში უნდა წარმოვიდგინოთ. სამართალი, ხშირ შემთხვევაში, მოსალოდნელ შედეგებზე ფიქრის თავიდან აცილების სისტემატიზებული საშუალებაა, იმ ასპექტების გამორიცხვის საშუალებით, რაც სამართლებრივ საკითხებს არ უკავშირდება.

მოცემულ ნაშრომში ჩვენ კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენებთ ფართოდ აღიარებული რწმენა, რომ მოსამართლეს კანონის დაცვა ევალება, ამ უკანასკნელის მიზანშეწონილობის მიუხედავად. ჩვენ ასევე ვნახეთ, რომ ამის მიუხედავად, მოსამართლეები კანონს არღვევენ, როდესაც ასეთია ხელისუფლების დაკვეთა ძლიერი საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის ქვეშ. ეს ნიშნავს, რომ სასამართლოები ხშირად ვერ ასრულებენ სამართლის უზენაესობის დამცველის ფუნქციას, როდესაც სახელმწიფო უწყებები ფეხქვეშ თელავენ სამართლის უზენაესობას ისეთი კანონების მიღებით, რომლებიც ძირს უთხრიან სამართლის უზენაესობას და უბრალოდ კანონზე მაღლა საკუთარ თავს აყენებენ.

სანამ ეს წიგნი იწერება, პოლონელი მოსამართლეები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად იბრძვიან, ხელისუფლების მხრიდან მასზე განხორციელებული თავდასხმების ფონზე. უამრავი რამ ხდება ქვეყანაში ხელისუფლებასა და სასამართლოებს შორის და თანაც იმდენად სწრაფად, რომ მოცემული ნაშრომი აქტუალურობას ნამდვილად ვერ შეინარჩუნებს. წიგნში აღწერილი გმირების მსგავსად, პოლონელი მოსამართლეები ჩვენს მაგივრადაც იბრძვიან. ავტორიტარული მმართველები ერთმანეთისგან სწავლობენ და სათავისოდ იყენებენ სამართლის უზენაესობის ცინიკურ ნაკლოვანებებს, რაც დემოკრატიული და ლიბერალური სახელმწიფოებისთვის ბუნებრივი მახასიათებელია. შესაბამისად, სამართლის უზენაესობაზე თავდასხმებმა შეუმჩნევლად არ უნდა ჩაიაროს, მაშინაც კი, როდესაც ეს ჩვენს საკუთარ საზოგადოებაში ხდება. მთავარია, იურისტებმა და გავლენიან თანამდებობებზე მყოფმა პირებმა გააცნობიერონ სამართლის უზენაესობის მნიშვნელობა და მისი დაცვის აუცილებლობა. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ თავიდან ავიცილოთ მოსამართლის მარცხი, როდესაც სამართლის უზენაესობას საფრთხე რეალურად დაემუქრება.

გამოყენებული ლიტერატურა

- Andersen, Øivind. “Lingua suspecta On Concealing and Displaying the Art of Rhetoric.” *Symbolae Osloensis* LXXI (1996):68–86.
- Annas, Julia. *The Morality of Happiness*, 445. Oxford: Oxford University Press, 1993.
- Arendt, Hannah, *Responsibility and Judgment*, 95. New York: Schocken Books, 2003.
- Aristotle. *The art of Rhetoric*, Penguin Classics, London: Penguin Books, 1991, Book I, Chapter 13, 17–19.
- Bell, John. *Judiciaries Within Europe: A Comparative Review*. Cambridge: Cambridge University Press, 2009. <https://doi.org/10.1017/CBO9780511493829.002> (accessed NÅR?): 4.
- Bork, Robert H. “Barak’s Rule.” *Azure* 27 (2007):125–132.
- Bourdieu, Pierre. “The Force of Law: Towards a Sociology of the Juridical Field.” *The Hastings Law Journal* 167 (1987):814–853.
- Bourdieu, Pierre. *Outline of a Theory of Practice*. Cambridge: Cambridge University Press, 1977.
- Dyzenhaus, David. “The Grudge Informer Case Revisited.” *New York University Law Review* 83. no. 4 (2008):1026–1027.

- Føllesdal, Dagfinn. “Hva er dannelse?” In *Dannelse, tenkning modning refleksjon: Nordiske perspektiver på allmennundannelsens nødvendighet i høyere utdanning og forskning*, edited by Bernt Hagtvet and Gorana Ognjenovic (red.), 113. Oslo: Dreyers Forlag, 2011.
- Graver, Hans Petter. *Dommernes krig Den tyske okkupasjonen 1940–1945 og den norske rettsstaten*, 35–39. Oslo: Pax Forlag, 2015.
- Graver, Hans Petter. “Teaching Legal Method in Norway.” *Rabels Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht* 83, no. 2 (2019):346–360.
- Joas, Hans. *The Sacredness of the Person: A New Genealogy of Human Rights*. Washington, DC: Georgetown University Press, 2013.
- MacIntyre, Alasdair. *After Virtue: A Study in Moral Theory*. 2nd ed. Notre Dame: University of Notre Dame Press, 1984.
- Michelon, Claudio. Lawfulness and the Perception of Legal Salience.” *Jurisprudence* 9, no. 1 (2018):47–57.
- North, Douglass C. “Institutions.” *The Journal of Economic Perspectives* 5, no. 1(1991):83.
- North, Douglass C. *Understanding the Process of Economic Change*, 48 Princeton: Princeton University Press, 2005.
- Nussbaum, Martha C. *Poetic Justice the Literary Imagination and Public Life*. Boston: Beacon Press, 1995.
- Pauer-Studer, Herlinde. *Justifying Injustice: Legal Theory in Nazi Germany*. Cambridge: Cambridge University Press, 2020.
- Pinker, Stephen. *The Better Angels of Nature. The Decline of Violence and its Causes*, 169 London: Allen Lane, 2011.
- Radin, Max. “The Good Judge of Château-Thierry and His American Counterpart.” *California Law Review* 10, no. 4 (1922):301–302.
- Ralli, Tommi, “Intellectual Excellences of the Judge.” In “Aristotle and The Philosophy of Law: 135 Theory, Practice and Justice.” *Ius Gentium: Comparative Perspectives on Law and Justice* 23. https://doi.org/10.1007/978-94-007-6031-8_8.
- Rorty, Richard. “Dewey and Posner on Pragmatism and Moral Progress.” *University of Chicago Law Review* 74 (2007):915–927, 924.
- Rorty, Richard. *Philosophy and Social Hope*, 33 London: Penguin, 1999.
- Rorty, Richard. *Philosophy and the Mirror of Nature*, 370. Princeton: Princeton University Press, 2009.
- Sen, Amartya. *The Idea of Justice*. London: Allen Lane, 2009.
- Solum, Lawrence B. “Virtue Jurisprudence: Towards an Aretaic Theory of Law.” In *Aristotle and The Philosophy of Law: Theory, Practice and Justice. Ius Gentium: Comparative Perspectives on Law and Justice*, edited by L. Huppel-Cluysenaer and N. Coelho, 23. 2013. https://doi.org/10.1007/978-94-007-6031-8_1_2.

Tamm, Ditlev. *Rettsoppgjøret etter besettelsen. Copenhagen: Jurist og økonomiforbundets forlag, 1985.*

The Bangalore Principles of Judicial Conduct, The Bangalore Draft Code of Judicial Conduct 2001 Adopted by the Judicial Group on Strengthening Judicial Integrity, as Revised at the Round Table Meeting of Chief Justices held at the Peace Palace, The Hague, November 25–26, 2002, at THE BANGALORE PRINCIPLES, 2002 (unodc.org).

Wasserstrom, Richard A. *The Judicial Decision*, 25–31. Stanford: Stanford University Press, 1961 for this distinction.

Widłak, Tomasz. “Judges Virtues and Vices: Outline for a Research Agenda for Legal Theory.” *Archiwum Filozofii Prawa i Filozofii Społecznej* 2 (2019):51–62. <https://www.ceeol.com/search/article-detail?id=826118>

„ნიგნში აღწერილი შთამბავთნებელი ისტორიები მამაცი მოსამართლეების შესახებ მკითხველს დააფიქრებს: რა ნიშნავს ეს – იყო მოსამართლე? ავტორი გვაჩვენებს, როგორ შეიძლება მოსამართლემ, რომელსაც შესაძლებელი არ ჰქონდეს იდეალური ბიოგრაფია და სანიშნულო ცხოვრება, სამართლიანობის გამო და ადამიანის უფლებების დასაცავად სრული შეუვალობა გააოიჩინოს. აღნიშნულის განზრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ საზოგადოებებშიც, სადაც მოსამართლის დამოუკიდებლობის საუკუნოვანი კულტურა არსებობს და იქაც, სადაც ეს კულტურა ჯერაც უნდა შეიქმნას. კაცობრიობის თანამედროვე ისტორია გვარწმუნებს, რომ ადამიანის ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა, სამართლის უზენაესობა ის ღირებულებებია, რომელთა დაცვაც ჩვენგან მუდმივ ძალისხმევას მოითხოვს. ავტორი მკითხველს მოუთხრობს იმ ურთულეს სამართლებრივ, მორალურ თუ ეთიკურ დილემებზე, რომელთა წინაშეც მოსამართლეები აღმოჩნდნენ, როცა ისინი ამ ღირებულებათა დაცვას ცდილობდნენ ავტორიტარიზმის, ომის, სამოქალაქო დაპირისპირებისა და ტერორის დროს. ავტორი აღწერს როგორ შეიძლება კანონის დაცვის სახელით საშინელი დანაშაულების გამართლება და რას ნიშნავს სამართლიანობის ის განცდა, რომელიც იმდენად განუყოფელია მოსამართლედ ყოფნასთან, რომ ნამდვილ მოსამართლეს ასეთ ვითარებებში თავის განწირვას აიძულებს. წიგნი მკითხველში ღირსების გრძობას და გამბედაობის სურვილს ამალვებს.“

ნიკო ბაქაქური

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე (2014-2024)

„ჰანს პეტერ გრავერის ეს წიგნი გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ ცამეტი საგმირო ამბავი. კონკრეტული ისტორიებით ავტორმა შესანიშნავად წარმოაჩინა, რომ ეპოქის, დროისა და გეოგრაფიული განსხვავებების მიუხედავად, მოსამართლის ფასეულობები უცვლელია. გამბედაობა, განონასწორებულობა, სიბრძნე და სამართლიანობა თანაბრად ესაჭიროება მოსამართლეს ნაციტურ გერმანიაში, მეთექვსმეტე საუკუნის ნორვეგიასა თუ გამოგონილ სახელმწიფო გილეადში. სამართალი იმარჯვებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსამართლეები ამ ღირებულებებს არ ღალატობენ. ჰანს პეტერ გრავერის ნებები იოლ გზას არ გადიან. საზოგადოებრივი აზრის, მმართველი ხელისუფლების ნების, თუ უსამართლო კანონის გავლენებთან გასამკლავებლად, ისინი პიროვნულ თუ კარიერულ სიკეთეებსაც კი დებენ სასწორზე, მაგრამ იცავენ ადამიანთა თავისუფლებას, თანასწორობასა და სამართლის უზენაესობას. რეჟიმების ცვლილების მიუხედავად, მამაცი მოსამართლეების საჭიროება აქტუალობას არ კარგავს. კარგი იქნება, თუ წიგნით დაინტერესდებიან სამოსამართლო სკოლები და მოსამართლეთა ასოციაციები. ამ ისტორიების გაცნობა დაეხმარება მოსამართლეებს საკუთარ თავში აღმოაჩინონ ძალა, რომ მეტად სამართლიანი გახადონ გარემო.“

მაია ბაქრაძე

დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი
თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე (2006-2015)